
ოშო

ჭდოგვის მარცვალი



საგამომცემლო ფირმა **„სავანეთა“**

თბილისი
1994

ოშო
მღოგვის მარცვალი

საქველმოქმედო საზოგადოება „საიანეთა“ მადლობას უხდის ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ წიგნის გამოცემაში: „ბიოფარმპრეპარატს“, თემურ გიორგაძეს, გიულარ ზაქარეიშვილს, ომარ დევიძეს, თამაზ მუშკუდიანს, ჯუმბერ შოთაძეს.

თარგმანი **მზია ქურციძისა**

წიგნი გამოცემულია სრულიად საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოება **„საიანეთას“** შეკვეთით

© საგამომცემლო ფირმა **„საიანეთა“**

* * *

ოშო რაჯნიში (ბჰაგვან შრი რაჯნიში) დაიბადა ინდოეთში 1931 წლის 11 დეკემბერს. მან 1953 წლის 21 მარტს 21 წლის ასაკში მიაღწია ადამიანური ცნობიერების უმაღლეს მწვერვალს და ეზიარა ჭეშმარიტებას.

1957 წელს მიიღო ფილოსოფიის მაგისტრის წოდება და რაიპურის სანსკრიტ-კოლეჯში და შემდეგ ჯაბალპურის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა პროფესორის თანამდებობაზე.

1966 წელს მიატოვა უნივერსიტეტი და მთელი დარჩენილი ცხოვრება მიუძღვნა ადამიანთა სულიერ გამოღვიძებას. მან იმოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც კითხულობდა ლექციებს.

1974 წელს პუნაში (100კმ ბომბეიდან) დააარსა აშრამი, სადაც მის ყოველდღიურ ლექციებს ესწრებოდნენ მიმდევრები დედამიწის ყოველი კუთხიდან. ჩამოყალიბებულ იქნა თერაპიული ჯგუფები, რომლის მოქმედებაში ორგანულად ერწყმოდა ერთმანეთს მედიტაციის აღმოსავლური გაგება და დასავლური ფსიქოთერაპია. სულ ორიოდ წელიწადში აშრამმა მსოფლიოში მოიპოვა „ადამიანის შინაგანი ზრდის და თერაპიის ცენტრის“ საუკეთესო სახელი მსოფლიოში.

მოწაფეთა (სანიასინთა) რიცხვი ყოველწლიურად საგრძნობლად იზრდებოდა და 80-იანი წლების დასაწყისში 100 ათასს გადააჭარბა.

1981 წლის 1 მაისს რაჯნიშმა შეწყვიტა ლექციების კითხვა და შეეიდა ე.წ. „გულისმიერი ურთიერთობის მდუმარე ფაზაში“. ამავე პერიოდში მისმა ამერიკელმა მოწაფეებმა ორიგონის შტატში იყიდეს მიტოვებული მიწის ნაკვეთი და საცხოვრებლად მიიწვიეს ბჰაგვანი. აქ დაარსდა სასოფლო-სამეურნეო კომუნა, რომელსაც შემდგომში ეწოდა „რაჯნიშპურამი“. უმოკლეს ხანში ეს მოუვლელი და მიტოვებული მიწის ნაკვეთი იქცა ნაყოფიერ ოაზისად, რომელსაც შეეძლო დამოუკიდებლად დაეკმაყოფილებინა ათასობით ადა-

მიანის მოთხოვნილება. მსგავსი კომუნები დაარსდა იაპონიასა და დასავლეთის მსხვილ სახელმწოუოებშიც.

1985 წლის იელისში „რაჯნიშ უ რაში“ განახლდა ლექციების კითხვა ჭეშმარიტების მაძიებელთა მრავალათასიანი აუდიტორიის წინაშე.

რაჯნიშმა მიმართა ორიგონის შტატის მმართველობას „რელიგიური მასწავლებლის სტატუსით“ ამერიკაში მუდმივად ცხოვრების ნებართვისათვის, მაგრამ უარი მიიღო.

კომუნა განიცდიდა მრავალმხრივ შევიწროებას მმართველი წრეების მხრიდან.

1985 წლის 14 სექტემბერს რაჯნიშის პირადმა მდივანმა და კომუნის რამოდენიმე წევრმა მოულოდნელად დატოვა კომუნა და გახმაურდა მათ მიერ ჩადენილი არაკანონიერი ქმედებების მთელი სერიალი, რის გამოც ბჰაგვანმა მოიწვია მართლმსაჯულება საქმის სრული გამოკვლევისათვის. მათ გამოიყენეს ეს შესაძლებლობა კომუნასთან ბრძოლის გასაძლიერებლად. 29 ოქტომბერს რაჯნიში უკანონოდ დააპატიმრეს შესაბამისი ორდერის გარეშე და ბრალად წაუყენეს „იმიგრაციის კანონების დარღვევა“. ნოემბრის შუა რიცხვებში ბჰაგვანმა, თავისი დამცველის დაჟინებული თხოვნით, თავი ცნო დამნაშავედ, მასზე წაყენებული 34 მეორეხარისხოვანი ბრალდებიდან „იმიგრაციის კანონების დარღვევის შესახებ“, მხოლოდ ორ პუნქტში, რათა საკუთარი სიცოცხლე საფრთხისაგან ეხსნა ამერიკული მართლმსაჯულების მხრიდან (უწყობდნენ სხვადასხვა სახის თავდასხმებს).

რაჯნიში დააჯარიმეს 400 ათასი დოლარით, თან აიძულეს დაეტოვებინა შეერთებული შტატები 5 წლის ვადით. იგი გაემგზავრა ინდოეთში და გარკვეული პერიოდი გაატარა ჰიმალაებში. გამგზავრებიდან ორი კვირის თავზე ორიგონის კომუნა დარბეულ იქნა.

მოგვიანებით, პრესკონფერენციაზე, შტატის გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ მმართველობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა კომუნის მოსპობა და მხოლოდ ბჰაგვანის მო-

ცილება მისცემდათ საშუალებას მიზნის განსახორციელებლად. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდათ არანაირი სამხილი რაჯნიშის მიერ ჩადენილი რაიმე სახის დანაშაულისა, იგი დროებით მაინც მოცილებულ იქნა. თუმც მათ არ აწყობდათ ბჰაგვანის დაპატიმრება, რამდენადაც ამით იქმნებოდა საშიშროება, მიმდევრებს იგი ტანჯულ კერპად ექციათ... მიზანი მიღწეულ იყო. რაჯნიშმა დატოვა ამერიკის შეერთებული შტატები.

1987 წლიდან რაჯნიში კვლავ პუნაშია. აშრამში განახლდა 70-იანი წლების ცხოვრების სტილი და კვლავ იწყეს სვლა მისმა მოწაფეებმა.

რაჯნიში გარდაიცვალა 59 წლის ასაკში, 1991 წლის 17 იანვარს პუნაში.

ამჟამად პუნაში აშრამი კვლავ განაგრძობს მოღვაწეობას. ამავე დროს „რაჯნიშ-ცენტრები“ არსებობენ მთელს მსოფლიოში, ევროპის და ამერიკის ქვეყნებში, აგრეთვე არამუსულმანური აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში.

რაჯნიშის ყოველდღიური ლექციების სერიალი შეკრებილ და გამოცემულ იქნა ასეულობით ტომად ინგლისურ და ინდურ ენებზე.

რაჯნიშის საუბრები ეხება კაცობრიობის ყველა ძირითად რელიგიურ ტრადიციას. იგი არ არის ერთი რომელიმე რელიგიური მოძღვრების მქადაგებელი. როგორც თვითონვე ამბობს, ყველა რელიგია ღმერთისკენ მიმართული სანიშნეა. ადამიანმა თავისი გულის მზერა უნდა მიმართოს მიზნისკენ, რომელსაც ღმერთი წარმოადგენს და არა სანიშნისკენ.

ოშო რაჯნიში იყო კაცობრიობის ერთ-ერთი იმ ჭეშმარიტ სულიერ მასწავლებელთაგანი, რომელნიც ცდილობდნენ დარღეულიყო საუკუნებრივი ზღვარი დასავლურ და აღმოსავლურ აზროვნებას შორის, მოხდარიყო ადამიანის სულიერი და მატერიალური საწყისის სინთეზი და დედამიწაზე ეხილათ გამთლიანებული, სულით ხორცამდე ჯანსაღი ადამიანები.

წინამდებარე წიგნში გადმოცემულია 1974 წლის აგვისტო-სექტემბერში წაკითხული ლექციების სერიალი, რომელსაც რავჭნიშმა „მდოგვის მარცვალი“ უწოდა. მის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს ჩვენს საუკუნეში ნაპოვნი მოციქულ თომას სახარებიდან აღებული იესო ქრისტეს 21 გამონათქვამი. თავის საუბრებში რავჭნიშს ნათელზე გამოაქვს იესოს გამონათქვამების ეზოთერული (შინაგანი) მხარე და თანამედროვე ადამიანის აზროვნებისთვის გასაგებს ხდის.

„მდოგვის მარცვალი“ პირველად გამოდის ქართულ ენაზე. ვუიქრობთ, რომ იგი მრავალ ადამიანს დაუმაყოფილებს სულიერ წყურვილს და გასცემს პასუხს სიცოცხლის, სიყვარულის და ყოფიერების რაობის შესახებ ბოლომდე ამოუხსნელ კითხვებზე. ახლებურად დაანახვებს საკუთარ თავსაც და გარე სამყაროსაც. უმთავრესს კი თავად საუბრებში იხილავთ...

პატივისცემით — გამომცემლები

დიდსულოვნებას მაისებელსო
მოდით, სადა ხართ
მოდით, სადა ხართ.

ჯალალედინ რუმი

საშბარი პირველი

პირველი შეგონება

მოწაფეებმა ჰკითხეს იესოს:

— გვითხარი, რას ჰგავს ცათა სასუფეველი?

იესომ მიუგო:

— ცათა სასუფეველი მღოგეის მარცვალსა ჰგავს, ყოველნაირ თესლზე მცირეს, მაგრამ როგორც კი მოხნულ ნიადაგში მოხვდება, უღიღეს სეღ აღმოცენდება, რომელზეც ცური ფრინველნი ღაიბუღებენ.

(თომა 23)

ადამიანთა შინაგანი ურთიერთობანი გაქრა ცხოვრების ყველა სფეროში. დავიწყებულია უბრალო ჭეშმარიტება, რომ ცოლი უნდა ცოლობდეს, ხოლო ქმარი შესაფერის ქმრობას წევდეს. ქალი და კაცი დღეს ერთმანეთისთვის მხოლოდ „ახლობლები“ არიან და მეტი არაფერი. ახლობლობა კარგია, მაგრამ ის ვერ იქნება სიღრმისეული. ქორწინება კი სულის სიღრმეში დადებული აღთქმა და საკუთარი თავის სხვისადმი მიძღვნაა. თუ მთლიანად არ ეძლევით, მხოლოდ ზედაპირზე რჩებით, ვერ აკეთებთ ნახტომს. რასაკვირველია სიღრმეში შესვლა საშიშია, თქვენ ხომ მხოლოდ ზერელე ურთიერთობაში ხართ ასეთი მოხერხებულები, სადაც მექანიკურად მოქმედებთ და არანაირი შეგნება არ გესაჭიროებათ. სიღრმისეული ურთი-

ერთობანი კი თქვენთვის უცხოა. თქვენ მხოლოდ ზედაპირულად შეგიძლიათ მოძრაობა. თქვენი შეგნება და ყურადღება იმის მიხედვით იზრდება, თუ რამდენად ღრმავდებით საკუთარ თავში, რადგან ამ დროს, ყოველ წამს სიკვდილია მოსალოდნელი. სწორედ სიკვდილის შიშით ვერ ამყარებთ ერთმანეთთან ნამდვილ და ჭეშმარიტ სულიერ ურთიერთობას. ადამიანები უმწიფარნი არიან. მეგობარი ქალი, ისევე როგორც მეგობარი მამაკაცი, ფრიად სასიამოვნოა, მაგრამ ის ვერ იქცევა სულის სიღრმეში შესაღწევ კარად, რომელიც სიყვარულშია დაფარული. მეგობარ ქალთან შეიძლება გქონდეთ სქესობრივი კავშირი, მაგრამ ამ ურთიერთობაში სიყვარული ვერ აღმოცენდება. ამ უკანასკნელისათვის უფრო ღრმა ფესვებია საჭირო. სექსი ზედაპირზე ხორციელდება. ის ცხოველური, ბიოლოგიური მოვლენაა. სექსი შეიძლება მშვენიერი იყოს, როგორც ნაწილი სიყვარულისა, მაგრამ ნამდვილი სიყვარულის გარეშე, იგი ყველაზე დიდი სიმახინჯეა მთელს ქვეყანაზე. თქვენს შორის არ არის დადებული აღთქმა, ადგილი არა აქვს მიძღვნას. ერთმანეთს ხვდებიან მხოლოდ სხეულები და არა თქვენ: „მე“ და „შენ“. ასევე დაეშართა ყველა ადამიანურ ურთიერთობებს.

ყველაზე დიდი კავშირი კი, ურთიერთობა ოსტატსა* და მოწაფეს* შორის, სრულიად გაქრა. მისი შეცნობის გარეშე თქვენ ვერასოდეს ჩასწვდებით იესოს მოძღვრებას. დღეს ოსტატსა და მოწაფეს შორის კავშირი, ფსიქიატრსა და ავადმყოფს შორის ურთიერთდამოკიდებულებით შეიცვალა. ეს ურთიერთობა პათოლოგიურია.

ავადმყოფი ხომ ჭეშმარიტების საძიებლად არ მიმართავს ექიმს. ის აღდგენას ითხოვს. სიტყვა „ჯანმრთელობა“ მთლიანობას, სიწმინდეს, საკუთარი „მე“-ს სიმრთელეს ნიშნავს. ავადმყოფი სინამდვილეში ჯანმრთელობის მოსაპოვებლად რომ მიმართავდეს ექიმს, იგი მოწაფე იქნებოდა. მაგრამ ის მიდის მხოლოდ ავადმყოფობის მოსაცილებლად. მისი მიზანი ნეგატიურია. მას სურს, რომ იძულებითი ფორმით კვლავ ნორმალური სამყაროს მუშა ნაწილი გახდეს. ავადმყოფი ვეღარ ეგუება

გარე სამყაროს და საჭირო ხდება ჩარევა, რაშიც ფსიქიატრი ეხმარება. მაგრამ რას უნდა შეეგუოს იგი? — მას სჭირდება იმ სამყაროსთან და იმ საზოგადოებასთან შეგუება, რომელიც თავისთავად აბსოლუტურად არავანსაღია. რასაც თქვენ ნორმალურ ადამიანს უწოდებთ სხვა არაფერია, თუ არა ნორმალური პათოლოგი ან შეშლილი, ისიც ამა თუ იმ საზოგადოების, კულტურის მიერ დადგენილ საზღვრებში. ზოგჯერ ვიღაც გადააბიჯებს ამ საზღვარს და იგი ავადმყოფად იქცევა. მთელი დაავადებული საზოგადოება ამტკიცებს, რომ საზღვარს გადაბიჯებული ადამიანი ავადაა. ამ დროს კი საზღვარზე დგას ფსიქიატრი, რომელსაც ძალუძს ავადმყოფის უკანვე დაბრუნება.

ფსიქიატრი ვერ იქნება ოსტატი, რადგანაც ის თავად არ არის მრთელი პიროვნება. ვერც პაციენტი იქცევა მოწაფედ, რამეთუ იგი სასწავლებლად არ მოსულა. მისი სიმშვიდე დარღვეულია, მას აწუხებს ამდენი ღელვა და ყველაფერ ამას ისევ შემგუებლობა ურჩევნია. ისე, კი უნდა ითქვას, რომ დასავლეთში ფსიქიატრები აყენებენ ოსტატობის პრეტენზიას, მაგრამ იგი თვითონ დაავადებულია. მას ძალუძს დახმარება გაუწიოს სხვებს გარესამყაროსთან შეგუებაში. მაგრამ ერთ ავადმყოფს მეორის დახმარება შეუძლია ნაწილობრივ. მას არ შესწევს უნარი გამოავანმრთელოს მეორე.

შეშლილი შეშლილს ვერანაირად ვერ დაეხმარება სიგიჟის გადალახვაში.

თავად ფროიდი*, იუნგი* და სხვანიც კი ავად არიან. უდიდესი ფსიქიატრებიც კი პათოლოგიურად ავადმყოფობენ. გიამბობთ ერთ ნამდვილ ამბავს, რომელიც ჩემს ზემოთქმულში დაგარწმუნებთ:

როცა ვინმე საუბარში უნებურად სიკვდილზე ჩამოაგდებდა სიტყვას, ფროიდს აკანკალებდა თურმე. მას გონიც კი დაუკარგავს ეგვიპტური მუმიების შესახებ საუბრის მოსმენისას. ასეთი რამ იუნგსაც ემართებოდა.

და თუკი ძლიერ ეშინია სიკვდილის თავად ფროიდს, რაღა საჭიროა მის მოწაფეებზე ლაპარაკი? რატომ ბადებს სიკვდილი ასეთ შიშს? შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ბუდა*, რომელსაც სიკვდილის ეშინია? მაშინ ხომ იგი ბუდა აღარ იქნება.

იუნგი თავის მემუარებში იგონებს, რომ ბევრჯერ დააპირა რომისა და ვატიკანის მონახულება. სურდა გასცნობოდა ვატიკანის უდიდეს და უმდიდრეს ბიბლიოთეკას. მაგრამ ყოველთვის, როცა კი დაუპირებია გასამგზავრებელი ბილეთის შეძენა, კანკალს აუტანია თურმე იგი. ამას იწვევდა შიში უბრალო მოგზაურობისადმი და საინტერესოა, რა იქნებოდა, თუ იუნგი მოკშას* გზას გაუდგებოდა? იუნგი ყოველთვის უკან აბრუნებდა შეძენილ ბილეთს და მისი ოცნება ოცნებად დარჩა — ერთხელაც ვერ მოინახულა რომი.

საიდან ჩნდება შიში? რატომ უნდა ეშინოდეს ფსიქიატრს რომს გამგზავრება? ალბათ იმიტომ, რომ რომი რელიგიის სიმბოლოა, ხოლო იუნგს საკუთარი გონებრივი ფილოსოფიის გაცამტვერებისა ეშინოდა. ეს ყველაფერი იმ აქლემის საქციელს ჰგავს, რომელსაც ჰიმალაიზე გავლის ეშინია, რამეთუ აქ პირველად გრძნობს თავის არარაობას.

იუნგის გამოგონილი ფილოსოფია ბავშვური თამაშია. ადამიანი კოსმოსურ სისტემებს ქმნის, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველა მათგანი ინგრევა. იუნგი შიშობდა, რომ რომში მოგზაურობა წარსულში შექმნილ უდიდეს სისტემათა ნანგრევებში მოგზაურობას გაუტოლდებოდა.

ღირს კი ლაპარაკი თქვენს პატარა სისტემაზე? იმ მცირე ადგილზე, რომელიც გაასუფთავეთ და გააშვენიერეთ? რა შეიძლება ითქვას თქვენი ფილოსოფიის შესახებ? დრომ გახვეტა უდიდესი ფილოსოფიების მტვერი. წადით რომში და იხილეთ, რა დაეპართათ მათ. სადღაა არისტოტელეს*, პლატონის* ან სოკრატეს* სკოლები? ბოლოს და ბოლოს ყველა აზრი უსარგებლო ხდება, რამეთუ აზრი უბრალო რაღაცაა, რომელიც ადამიანმა შექმნა.

მხოლოდ ასრის მიღმა შეიცნობა ღმერთი. ახრი დროის კუთვნილებაა და მარადიულის შესაცნობად ვერ გამოიყენებთ. ამდენად ვერანაირი ფილოსოფია ან სისტემა ვერ იქნება მარადიული. სწორედ ამიტომ ეშინოდა რომში მოგზაურობა იუნგს.

არადა იუნგი ერთ-ერთი უდიდესი ფსიქიატრია. თუ მას ასე ეშინოდა გამგზავრება, რაღა უნდა ითქვას მის მოწაფეებზე? თქვენ არ გეშინიათ ასე ძლიერ, რამეთუ ნაკლებ მგრძნობიარენი ხართ და არც წვდომის უნარი გაგაჩნიათ. იუნგი კი გრძნობდა, რომ რომში მას თავის დახრა მოუწევდა, უდიდესი ცივილიზაციის ნანგრევები ისევ სიკვდილს გაახსენებდნენ და საკუთარ თავს ასეთ კითხვას დაუსვამდა: **„მე რაღა მომიყვა? რა მოუვა ჩემს სისტემას?“**

იუნგი თავის მემუარებში წერს: **„მაშინ საბოლოოდ მივატოვე ეს წამოწყება. მე არასოდეს ვინახულებ რომს“.**

ფროიდსაც ასევე ეშინოდა რომს გამგზავრება. რატომ? ეს არ გახლავთ უბრალო დამთხვევა. შესაძლოა, ფროიდი თქვენზე უფრო ჭკვიანი ადამიანი, იქნებ გენიოსიც იყო, ეხმარებოდა კიდეც ადამიანებს გარე სამყაროსთან შეგუებაში, მაგრამ ფროიდიც ისევე ბრაზობდა, როგორც თქვენ. თქვენსავით სექსუალური იყო და ისევე კრთოდა სიკვდილის წინაშე როგორც თქვენ. ამიტომ საბოლოოს, საიდუმლოს, ყოფიერების ღრმა შუაგულის წვდომაში უმწიფარი იყო. არა ფსიქიატრია ვერ იქნება რელიგია. ფსიქიატრიული განყოფილება შეიძლება იქცეს კარგ საავადმყოფოდ, მაგრამ ტაძრად — ვერასოდეს.

ფსიქიატრი საჭირო ადამიანია. მას შეუძლია ავადმყოფს შემგუებლობის დაკარგული უნარის აღდგენაში მიეხმაროს, მაგრამ არც ერთია ოსტატი და არც მეორე — მოწაფე.

ოსტატთან თუ ისე მიხვალთ, როგორც პაციენტი, მიზანს ასცდებით, რადგან ოსტატი არ არის ფსიქიატრი. თუნდაც მე, ხალხი მოდის და მეუბნება, რომ მათი გონება შფოთავს, ისინი იტანჯებიან და ნევროზი აწუხებთ. ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მე არ ვაპირებ მათი მღელვარების განკურ-

ნებას, მე თვითონ ისინი უნდა განვკურნო. მე მაინტერესებს არა სენის, არამედ ადამიანის არსი.

როგორც კი საკუთარ თავს შეიცნობთ, მაშინვე განიკურნებით. ყველანაირი ავადმყოფობის ძირითადი მიზეზი არის თქვენი უარი, შეხვდეთ საკუთარ თავს, ჩაიხედოთ საკუთარ სულში და შეიცნოთ არსი.

რა დაგემართათ? რატომ გეშინიათ საკუთარ „მესთან“ შეხვედრა? ვიდრე არ იქნებით მზად ამ შეხვედრისათვის, თქვენ მოწაფედ ვერ იყარგებთ, და იმ შემთხვევაში ოსტატსაც არაფერი ძალუძს. მას შეუძლია, თუ მზად ხართ, დაგეხმაროთ თქვენს თავთან პირისპირ შეხვედრაში.

რატომ გეშინიათ ასე? იმიტომ, რომ წარსულში რაღაც არ იყო წესრიგში, ახალშობილ ბავშვს არ ღებულობენ თავისთავადს და ბევრ რამეს ცვლიან მასში ძალდატანებით. ბავშვის ბუნებრივი ქცევა მშობლებისა და საზოგადოებისათვის ხშირად მიუღებელია, ამიტომ იძულებულს ხდიან უფროსების რჩევა-დარიგებები მოისმინოს. ბავშვი მათი ზემოქმედებით საკუთარი არსის ზოგიერთ მხარეს იმდენად უარყოფს, რომ ზოგჯერ თვითონაც ვეღარ გრძნობს მათ არსებობას.

ბავშვი იძულებულია უფროსებისაგან უარყოფილი ნაწილი ბნელ კუნჭულში მიჩქმალოს, მაგრამ ეს ნაწილი მყარად მკვიდრდება, ამბოხებასა და წინააღმდეგობის გაწევას ცდილობს. ბავშვები და ასევე მოზრდილი ადამიანებიც დიდ ენერგიას ხარჯავენ, რათა ისევ ბნელ კუნჭულში შეაბრუნონ ისინი — აი, საიდან ჩნდება საკუთარ თავთან შეხვედრის შიში. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოუვა თქვენი არსების დათრგუნულ ნაწილს? ის ხომ კვლავ წარმოაჩენს თავს... რა მოუვა არაცნობიერს? თუ შეიცნობთ საკუთარ არსებას, თქვენთან იქნება არაცნობიერიც და ყოველივე უარყოფილიც. სწორედ ეს გაშინებთ!

იქამდე, სანამ ბავშვს არ შეიცნობენ ისეთს, როგორიც არის სინამდვილეში, ეს შიშიც იარსებებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჯერ არ არსებულა ისეთი საზოგადოება, ბავშვს პირველყოფილი სახით რომ მიიღებდა. ეს თითქმის

შეუძლებელია. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ საკუთარი არსების რაღაც მხარეებზე უარს ამბობს ადამიანი და ნაწილობრივ თუ მთლიანად კლავს მათ თავის თავში. ამიტომ პირისპირ შეხვედრის პრობლემასთან შეჯახება თითოეული ადმიანისათვის გარდაუვალია.

სწორედ მაშინ იქცევით მოწაფედ, როცა დაივიწყებთ, რა არის კარგი და რა არის ცუდი; აღარ ეცდებით, რომელი მიიღოთ და რომელზე თქვათ უარი და საკუთარ თავს მთელი თქვენი არსებით წარუდგებით წინ. ოსტატი ბებიაქალია მხოლოდ. იგი ხელახლა დაბადებაში და იმ ბარიერის გადალახვაში გეხმარებათ, რომელიც ხელს უშლის ამ დაბადებას. მოწაფე ეჭვის გარეშე უნდა ენდობოდეს ოსტატს, უმცირესი ეჭვის შემთხვევაშიც კი ის ვერ გაუმხელს თავს ოსტატს. თუ ეჭვის თვალით შეხედავთ ვინმეს, მასთან არ იხსნებით, ის უცხოა თქვენთვის და იკეტებით საკუთარ თავში, იღვიძებს თავდაცვის ინსტიქტი და ასე ვთქვათ, იჯავშნებით.

ოსტატთან კი ეს ჯავშანი მთლიანად უნდა მოიხსნათ და არა ნაწილობრივ. ეს აუცილებელი პირობაა. შეიძლება ყველაზე ახლობელ ადამიანთანაც კი არ იყოთ ბოლომდე გახსნილი, მაგრამ ოსტატს სრულიად უნდა მიენდოთ, სხვაგვარად არაფერი გამოვა, საჭიროა სრული ნდობის გამოცხადება. მხოლოდ მაშინ გაიხსნება თქვენს სულში დაფარული საიდუმლო, მხოლოდ მაშინ მოგეცემათ გასაღები ჭეშმარიტების შეცნობისა. თუ იმალებით თქვენ ოსტატისა გეშინიათ და ამ შემთხვევაში იგი ვერაფრით დაგეხმარებათ.

. ოსტატამდე მისვლა ბრძოლით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ საკუთარი თავის კაპიტულაციით. ადამიანს კი სრულიად გაუქრა ეს უნარი, რადგანაც სამი-ოთხი საუკუნის მანძილზე ასწავლიდნენ მას ინდივიდუალისტობას და ეგოისტობას. ადამიანსაც ისწავლა არა დათმობა, არამედ ბრძოლა, არა მორჩილება, არამედ ამბოხება, არა ნდობა, არამედ ეჭვიანობა.. მეცნიერება ღრმა სკეპტიციზმია. ნდობა არ გახლავთ მისი გზა. მეცნიერების საშუალებები — ლოგიკა, დავა და დაეჭვე-

ბაა. რაც უფრო ეჭვიანობთ, იმდენად უფრო მეცნიერულად აზროვნებთ და ეს სრულიად ეწინააღმდეგება რელიგიურ გზას.

რელიგია ნდობაზეა დამყარებული — რაც უფრო მიმნდობი ხართ, იმდენად რელიგიური ხდებით. მეცნიერება სასწაულებს ახდენს და ეს სასწაულები შესამჩნევია. რელიგიის სასწაულები უფრო მეტია, მაგრამ შეუმჩნეველი. ბუდა რომ იყოს აქ, დაინახავდით? რას იგრძნობდით? ის ხომ უხილავია. ჩანს მხოლოდ მისი სხეული, ხოლო, რაც ჩანს, ისეთივე მოკვდავია, როგორც თქვენ. ხილული ყველაფერი ბერდება და ერთ მშვენიერ დღეს კვდება. მხოლოდ უხილავია მარადიული, მაგრამ თქვენ არ გაქვთ მისი დანახვის უნარი.

მხოლოდ მიმნდობი ადამიანი აღიქვამს და გრძნობს უხილავს, მაგრამ ისიც ნაწილობრივ. ნდობა ორივე თვალის დახუჭვას გულისხმობს. აი, რატომაა ნდობა სიყვარულივით ბრმა და უფრო ბრმაც, ვიდრე სიყვარული.

რა ხდება როცა ორივე თვალს ხუჭავთ? ხდება შინაგანი ტრანსფორმაცია. როდესაც გარე სამყაროს აღიქვამთ, თქვენი თვალებიდან გამოდის ენერგია, ხოლო როცა თვალებს ხუჭავთ, ეს ენერგია უკანვე გიბრუნდებათ. იგი თვალის საშუალებით ველარ აღწევს ობიექტამდე და იცვლის მიმართულებას, ბრუნს აკეთებს. ენერგია კი უნდა მოძრაობდეს, იგი ყოველთვის პოულობს გამოსავალს. როდესაც ორივე თვალი დახუჭულია, ენერგია უკანვე ბრუნდება და მისი გარდაქმნა ხდება. მერე ეს ენერგია „მესამე თვალს“* უტევს, რომელიც არ არის ფიზიკური სხეული. უბრალოდ, ის ენერგია, რომელიც თქვენს თვალებს უნდა დაეხარჯა გარეგანი ობიექტების აღსაქმელად, საწყისს უბრუნდება და სამყაროს ხედვის მესამე საშუალებად — „მესამე თვალად“ იქცევა.

მხოლოდ „მესამე თვალით“ შეგიძლიათ დაინახოთ ბუდა და ეზიაროთ იესოს. ხალხმა ვერ შეიცნო იესო. მის მშობლიურ ქალაქში ფიქრობდნენ, რომ ის უბრალო ხუროს — იოსების ჩვეულებრივი შვილი იყო. ვერავინ შეძლო მისი ამოცნობა. ვერავინ მიხვდა, რომ ის აღარ იყო ხუროს შვილი,

ვერავინ გაიგო, რომ **ის გახდა ძე ღვთისა.** არ დაგავიწყდეთ, რომ ეს უკანასკნელი შინაგანი ფენომენია. იესო თავად აცხადებდა: **„მე ვარ ძე ღვთისა, მამაჩემი ზეცაშია“.** ხალხი კი დასცინოდა მას, შეშლილს, თავზეხელაღებულს ეძახდა. „განა შეიძლება ხუროს შვილი ღვთის ძედ იქცესო?“. მე კი გეუბნებით რომ ეს შესაძლებელია.

სხეულიდან მხოლოდ სხეული იბადება. შინაგანი „მე“ სხეულიდან არ იბადება, ის სულიწმინდისაგან, ღვთისაგან მოდის. მაგრამ თავდაპირველად უნდა შეიძინოთ თვალი, რათა დაინახოთ, გამოიბათ ყური, რომ მოისმინოთ.

ეს კი უაღრესად ძნელია. სანამ ნათელით შეიმოსებით, გასავლელი გაქვთ ჭეშმარიტი ცოდნის შეძენის უდიდესი და ურთულესი გზა. იესოს მოსმენა და გაგება ისევე გაგიჭირდებათ, როგორც კლასიკურ მუსიკაში ჩაწვდომა, თუკი მოუმზადებელნი დასხდებით მის მოსასმენად. კლასიკური მუსიკის აღქმა მხოლოდ ნატიფ და ნავარჯიშებ სმენას შეუძლია. რაც უფრო ეჩვევით, მით უფრო ნატიფი ხდება აღქმა, მაგრამ კლასიკური მუსიკა არაფერია იესოსთან შედარებით, რამეთუ იესო კოსმიური მუსიკაა. თქვენში უნდა სუფევდეს დიადი სიჩუმე და აზრის არანაირი ჩქამი არ გაწუხებდეთ. მხოლოდ მაშინ შეძლებთ იესოს მოსმენას, გაგებასა და შეცნობას.

იესო სულ იმეორებს: **„ვისაც ყურები აქვს, ისმინოს, ვისაც თვალები აქვს, დაინახოს, მე აქა ვარ!“**

რატომ იმეორებს ის ხშირად?

იესო აზროვნების იმ განზომილებაზე ლაპარაკობს, რომელიც მხოლოდ მოწაფისთვისაა ხელმისაწვდომი. მხოლოდ უმცირესობას ესმოდა იესოსი. ეს გარდუვალია, მაგრამ ვინ იყო ეს უმცირესობა? ეს იყო გაუნათლებელი ხალხი. ისინი არც უნივერსიტეტის პროფესორები ყოფილან, არც კანდიდატები და არც ფილოსოფოსები. ისინი უბრალო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ: მეთევზეები, გლეხები, მეწაღეები, მეძავები... მაგრამ რატომ მაინცდამაინც მათ შეიცნეს იესო? როგორც ჩანს, უბრალო ადამიანში არის რაღაც განსა-

კურირებული, რაც ქრება ე.წ. „არარეგულებრიე“ ადამიანში. ეს არის მორჩილება და ნდობა. მართლაც, რამდენადაც ინტელექტუალურად განათლებულნი ბრძანდებით, ნაკლებად მიენდობი ხართ.

გლეხი მიენდობია. რაში უნდა დაეჭვდეს იგი, როცა თესავს მარცვლეულს და სჯერა, რომ ჯეჯილი ამობიბინდება. გლეხი მოთმინებით ელის და ლოცულობს, რათა თესლმა გაიხაროს. იგი ხეების, ბალახების, მდინარეების, მთათა გარემოცვაში ცხოვრობს და რაში უნდა ეპარებოდეს ეჭვი, ბუნება ხომ არავითარ საბაბს არ აძლევს ამისათვის? ხეები არ ეშმაკობენ, მთები არც პოლიტიკოსები არიან და არც დამნაშავენი, რომ მათგან თავდასაცავად ჯავშანი იყოს საჭირო. ამიტომაც ბუნებაში შეგიძლიათ გადაიხსნათ კიდით-კიდემდე. ბუნების წიაღში აღტაცების გრძნობა გეუფლებათ სწორედ იმიტომ, რომ თქვენს პირველყოფილებას გრძნობთ. მთელი სილამაზე ბუნებიდან კი არა, თქვენი სულიდან გამომდინარეობს.

ადამიანები, რომლებიც ცხოვრების უმეტეს ნაწილს ბუნების წიაღში ატარებენ, უფრო მიენდობნი არიან. აი, რატომაა წარმოუდგენელი იესოს დაბადება ნიუ-იორკში, ეს თითქმის შეუძლებელია. იქ შეიძლება მხოლოდ იესომანი დაიბადოს და არა იესო. იესო რომც დაბადებულიყო იქ, მას არავინ მოუსმენდა და ვერც შეიცნობდნენ. იესო იმ დროს დაიბადა, როცა არც ტექნიკა და არც მეცნიერება არ იყო განვითარებული. იგი ხუროს ოჯახში დაიბადა და მთელი ცხოვრება უბრალო და ღარიბი, მაგრამ ნდობით აღსავსე ხალხის გვერდით გაატარა.

ერთხელ გარიჟრაჟზე ტბასთან მისული იესო მეთევზეებს გადააწყდა. მათ ის-ის იყო წყალში ჩაეშვათ ბადეები და თევზაობას აპირებდნენ. იესომ მიმართა მათ: **„მოისმინეთ, რატომ ფლანგავთ ცხოვრებას ტყუილუბრალოდ? მე შემიძლია თქვენ ადამიანთა მებადურებად გაქციოთ. ადექით და გამომყევით თან!“** თქვენთან რომ მოსულიყო სამსახურში ან სახლში და იგივე ეთქვა, თქვენ ეტყოდით, რომ მოგშორებოდათ და

ისედაც მცირე დრო არ დაეკარგვინებინა. მეოცეზეებმა კი მას ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეხედეს. მზე ამოდიოდა და იესო მშვენიერი იყო: მას თვალები ტბასავით ღრმა და უძირო ჰქონდა. და რადგანაც მისი ბრწყინვალება მზის ნათელს აღემატებოდა, მეოცეზეებმა გადაყარეს ბადეები და გაჰყვნენ მას ისე, რომ არ მიუციათ არც ერთი შეკითხვა, ვინაობაც კი არ უკითხავთ მისთვის. ქრისტე მათთვის სრულიად უცნობი იყო. არაფერი სმენოდათ მასზე, მაგრამ იესოს მიხმობა საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისი სიწრფელე შეეცნოთ და უკან გაჰყოლოდნენ.

როცა ისინი ქალაქიდან გადიოდნენ, მდევარი დაეწია და მიმართა მათ: „სად მიდიხართ? მამაოქვენი გარდაიცვალა მოულოდნელად. დაბრუნდით უკან!“ მეოცეზეებმა ჰკითხეს იესოს: „შეგვიძლია სახლში დავბრუნდეთ და გარდაცვლილი მამა დავმარხოთ? შემდეგ კი გამოგყვებით“. იესომ უპასუხა: **„ნუ ზრუნავთ მკვდრებზე. ამ ქალაქში საკმარისად არიან მკვდრები და სხვები იზრუნებენ თავიანთ მიცვალებულებზე. თქვენ კი გამომყევით და ნურაფერს დარდობთ“.** მეოცეზეები იესოს გაჰყვნენ და ერთხელაც აღარ შემობრუნებულან უკან. ნდობა უკანმიუხედაობას, უკანდაუბრუნებლობას გულისხმობს. ეჭვიანი გონება ყოველთვის უკან იცქირება, ყოველთვის ალტერნატივაზე ფიქრობს.

ასეთი ადამიანი იესოს არ გაჰყვება, მას გონებაში შემდეგი აზრი გაუელვებს: „ვინ იცის, მართლა ღვთის ძეა? არავინ არაფერი იცის არც ღმერთზე და არც მის შვილებზე, ეს კაცი კი არაფრით განსხვავდება ჩვენგან!“. მეოცეზეები კი არც დაფიქრებულან, ისე შეუდგნენ იესოს გზას.

თუ იესოს გზას მიუყვებით, ადრე თუ გვიან, თქვენც მისი სენი შეგეყრებათ, მაგრამ ეს რომ მოხდეს, საჭიროა არსაით არ იყურებოდეთ, მისდიოთ მას და როცა იქნება, მიხვდებით, რომ იესო ძე ღვთისაა. მისი წყალობით იმასაც ჩასწვდებით, რომ თქვენც ღვთის შვილი ხართ. მაგრამ ჯერ

ნდობა უნდა გამოიჩინოთ. გიმეორებთ თუ არსებობს ეჭვი, ნდობა დახშულია.

მეცნიერების წარმატებით განვითარებამ გააფერმკრთალა ურთიერთობა ოსტატსა და მოწაფეს შორის. მეცნიერთა სასწაულები არაფრის მაქნისია, რადგან ნამცეციც კი არ მიუმატებიათ ადამიანისა ბედნიერებისათვის. სასწაული კი მაშინ არის ჭეშმარიტი, როცა ადამიანისათვის ბედნიერება მოაქვს. დღეს ძალიან ცოტაა ბედნიერი. მეტი ტექნიკა და კომფორტი, მეტი ფორიაქი და ტანჯვა, ბედნიერება კი ნაკლები — აი, მეცნიერების წარმატება. რაც უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ მექანიკურ დანადგარებს, უფრო ნაკლებად ხართ საჭირო. და რაც უფრო ნაკლებად ხართ საჭირო, იმდენად გამოუსადეგარად და უმაქნისად გრძნობთ თავს. ადრე თუ გვიან კომპიუტერი შეასრულებს თქვენს ფუნქციებს მთლიანად და ეს მდგომარეობა თვითმკვლელობამდე მიგიყვანთ.

როცა ვინმეს სჭირდებით, თქვენ ბედნიერი ხართ და თქვენი არსებობაც გამართლებულია, რამეთუ ფიქრობთ, რომ უთქვენოდ ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა. ახლა კი, როცა მანქანა ასრულებს ადამიანის ფუნქციებს, უთქვენოდაც ყველაფერი კარგად მიდის. თქვენ უბრალოდ „მოძველდით“. ყოველ წელს განახლებული სახით უშვებენ ამა თუ იმ ნივთს. გამოდის ავტომანქანა „ფორდის“ ახალი მოდელი, ყველანაირი საგნის ახალი მოდელი... მხოლოდ ადამიანი რჩება არათანამედროვე მოდელად. ამდენად ახალ საგანთა შორის თქვენ ერთადერთი „მოძველებული“ არსება ხართ.

თანამედროვე ადამიანი გამუდმებით გრძნობს თავის უსარგებლობას, რადგანაც იგი არავის სჭირდება — არც საკუთარ შვილებს, რომლებზეც „კეთილდღეობის სახელმწიფო“ ზრუნავს და არც ხანშიშესულ მშობლებს, რომელთათვისაც სპეციალური სახელმწიფო სახლებია აშენებული. თქვენს წინაშე დგება კითხვა: **„ვის ვჭირდები?“** ხოლო როცა თქვენს უსარგებლობას გრძნობთ, ვერანაირად ვერ იქნებით ბედნიერები.

წინათ ადამიანი ყოველთვის საჭირო იყო. ებრაელ მისტიკოს გიდლელს, ღრმად მორწმუნე და მიმნდობ ადამიანს, ასე მიუმართავს ღვთისათვის: **„ღმერთო, ნუ იფიქრებ, რომ მხოლოდ მე მჭირდები. მეც საჭირო ვარ შენთვის. უწყოდ შენ არარაობა იქნებოდი. რომ არ ვიყო მე ვინ ილოცებდა? ვინ გაგაღმერთებდა? ჩემი არსებობა აუცილებელია შენთვის“.**

როდესაც თქვენ საჭირო ხართ სამყაროში და ღმერთსაც სჭირდებით, თქვენს არსებობას აქვს აზრი. მაგრამ დღეს უთქვენოდ იოლად გადიან ფონს. ტექნოლოგიურმა პროცესებმა აგიშენათ საუკეთესო სახლები, მაგრამ ვერანაირი ტექნოლოგია ვერ შექმნის საუკეთესო ადამიანს. ამისათვის საჭიროა სხვა განზომილება, რომელიც მეცნიერებას არ გააჩნია. ის შემეცნებითია.

მეცნიერება ვერ შექმნის ბუდას და იესოს. მაგრამ მას ძალუძს შექმნას ისეთი საზოგადოება, სადაც ვერც ბუდა და ვერც ქრისტე ვერ იარსებებენ.

ბევრი მეკითხება, თუ რატომ აღარ იბადება ბუდა, ტირტჰანკარა* ან იესო? თქვენს გამო! თქვენ შექმენით ისეთი საზოგადოება, რომელშიც უბიწო ადამიანისათვის შეუძლებელია არსებობა, რომც არსებობდეს, შეიცნობდით მას? პრობლემა ბუდას დაბადება და არსებობა კი არ არის, პრობლემა მისი შეცნობაა. იქნებ ყოველდღე ხვდებით კიდეც მას, მაგრამ ვერ ამჩნევთ თქვენი სიბრმავის გამო.

დღეს ნდობა გაქრა, გახსოვდეთ, რომ იესო ნდობის საუკუნეში ცხოვრობდა! მთელი მისი დიდების ნაოელის დანახვა და არსში ჩაწვდომა მხოლოდ ნდობის განზომილებაში ხდება.

ახლა განვიხილოთ ქრისტეს შეგონება.

„მოწაფეებმა ჰკითხეს იესოს:

გვითხარი, რას ჰგავს ცათა სასუფეველი?“

ეს შეკითხვა უმანკოა, მოწაფეები არც ცნობისმოყვარეობით უსვამენ კითხვას და არც კამაოს არ აპირებენ იესოსთან, რომელსაც მხოლოდ უმანკო შეკითხვაზე შეუძლია პასუხის

გაცემა. იცით, როდისაა შეკითხვა უმანკო? როცა კითხვაზე პასუხი თქვენვე არა გაქვთ შხად. თქვენ კითხულობთ: „არსებობს ღმერთი?“ და პასუხიც იცით. ჩემთან მხოლოდ იმისათვის მოხვედით, რომ დასტური მიიღოთ ამის შესახებ. ან, პირიქით, იცით, რომ ღმერთი არ არსებობს და მხოლოდ იმის გასაგებად მოხვედით, ვიცი თუ არა ეს. ასეთი შეკითხვა ეშმაკობაა და იესოს არ შეუძლია ასეთ შემოხვევაში პასუხის გაცემა.

როცა მოწაფე ქრისტეს ეკითხება, მან ნამდვილად არ იცის პასუხი. ვიდრე კითხვას დასვამდეთ, კარგად გაიაზრეთ, გაქვთ თქვენ თვითონ ამ კითხვაზე პასუხი შხად თუ არა. დაფიქრდით, საკუთარი ცოდნიდან ხომ არაა გამოწვეული კითხვა. თუ ეს ასეა, მაშინ შეხვედრა შეუძლებელია, რომც გიპასუხონ, პასუხი ვერ მოაღწევს თქვენთან. თქვენში ამ საკითხის შესახებ სიცარიელე უნდა იყოს, პასუხმა რომ შეაესოს იგი. წინააღმდეგ შემოხვევაში, თქვენ წინასწარ დაჯერებულნი და მოწამლულნი ხართ, სანამ პასუხს მიიღებდეთ.

შეკითხვის ორი სახე არსებობს: პირველი შეკითხვა ცოდნიდან გამომდინარეობს და მასზე პასუხის გაცემა უაზრობაა, რადგან მას კამათი და დიალოგი მოჰყვება, მეორე შეკითხვის დროს დარწმუნებულნი უნდა იყოთ, რომ პასუხი რა იქნება, თქვენ არ იცით. ამ შემთხვევაში თქვენ მოწაფე ხდებით, რადგან უბრალოდ გწყურიათ და ითხოვთ წყალს, გშიათ და ითხოვთ პურს, არ იცით და ეკითხებით. მოწაფე ოსტატს მიმართავს შეკითხვით, რადგან კარგად იცის, რომ არ იცის. როდესაც არ იცით, თქვენ მორჩილი ხართ, როდესაც იცით — ეგოისტი, იესოს კი არ შეუძლია თქვენი „ეგოს“* ბრბოსთან საუბარი.

„მოწაფეებმა ჰკითხეს იესოს...“ მოწაფეებმა, ე.ი. მათ, რომლებიც სავსებით ალიარებენ, რომ არ იციან. „...გეითხარი, რას ჰგავს ცათა სასუფეველი?“

ქრისტე გამუდმებით ლაპარაკობდა ცათა სასუფეველზე, რამაც ბევრი უსიამოვნება გამოიწვია, თვით სიტყვა „სასუფეველო“

ხომ პოლიტიკური სიტყვაა და პოლიტიკოსებმა განაცხადეს: „ეს კაცი ლაპარაკობს რაღაც საუფლოზე, რომელიც ამქვეყნად დამკვიდრდება, თან ამბობს, რომ ამ საუფლოს მეუფე თვითონაა. მას სურს მთავრობის დამხობა და ახალი სამეფოს შექმნაო!“ გადაწყვიტეს, თავიდან მოიშორებინათ იესო, ამიტომაც აცვეს იგი ჯვარს.

იესო გავლენას ახდენდა ხალხზე და ამისა ეშინოდათ მეუფეს, მეფის ნაცვალს, სხვა თანამდებობის პირებსა და ღვთისმსახურთ. ხალხს მისი საუბრები გარდასახავდა და აღაგზნებდა. ადამიანები სრულიად იცვლებოდნენ. ვერც მღვდელმთავრებმა, ვერც მეფისნაცვალმა პილატემ, ვერც მთელმა სასულიერო და საერო მთავრობამ ვერ შეიცნო იგი და ამიტომ საშიშ პიროვნებად გამოაცხადეს.

ყოველთვის არსებობდა იესოს ვერშეცნობის შესაძლებლობა. საქმე იმაშია, რომ იგი თქვენივე ენით გესაუბრებათ, საოქმელს თქვენივე სიტყვებით გეუბნებათ, რადგან არც სხვა ენა არსებობს და არც სხვა სიტყვები. თქვენი სიტყვები კი სხვადასხვა მნიშვნელობითაა დაჯიჯებული, მათში ბევრი სხვა აზრია ჩადებული. ქრისტე უბრალოდ ცის საუფლოზე, ღვთის სასუფეველზე ლაპარაკობს, მაგრამ თქვენთვის სიტყვა „საუფლოს“ სხვა მნიშვნელობაც გაანია. ეს სიტყვა თქვენთვის საშიშია, რამეთუ „საუფლოსა“ და „სამეუფოს“ პოლიტიკასთან აიგივებთ.

იესო არ იყო ამ სამყაროს რევოლუციონერი. მან რევოლუცია სულიერ სამყაროში მოახდინა. მისი ხშირად მოწაფეებსაც კი არ ესმოდათ. როცა ოსტატთან მიდიხართ, ორი განსხვავებული გაწზომილება ხვდება ერთმანეთს. ეს შეხვედრა მიწისა და ცის შეხვედრას ჰგავს. ეს არის სახღვარზე შეხვედრა.

თუ გაქვთ ნდობა, შეგიძლიათ გაშალოთ ფრთები და აფრინდეთ.

თუ არა გაქვთ ნდობა, მიწიდან მოწყვეტის გეშინიათ.

რას წარმოადგენს ღვთის სასუფეველი? იგი სრულიად განსხვავდება ამქვეყნიური სამეფოსაგან. ქრისტე გამუდმებით ლაპარაკობდა ამ განსხვავების შესახებ, მაგრამ ხალხმა ვერ დაიჯერა.

ქრისტე ამბობდა: „ღვთის სასუფეველში უკანასკნელი იქნება უმდიდრესი, უკანასკნელი იქნება პირველი“. მისი საუბარი ლაო ძის* საუბარს პგავდა: „უკანასკნელი პირველი იქნება ჩემს სამეფოში“. იესო ქადაგებდა, რომ ყველაზე თავმდაბალი იქნებოდა ყველაზე წარჩინებული და ვისაც აქ არ სცნობდნენ, აღიარებდნენ იქ. ყველაფერი თავდაყირა იქნებოდა. ეს ასეც უნდა იყოს. თუ მოლიელივე მდინარესთან დგახართ, მასში არ არის ქაფი და დაინახავთ თქვენს ანარეკლს, მხოლოდ გამოსახულება იქნება პირიქითი, ისევე როგორც სარკეში. სინამდვილეში სამყაროში თავდაყირა ვდგავართ. იმისათვის რომ გავსწორდეთ, საჭიროა ყველაფრის მეორე პირზე ამოტრიალება. ეს თუ მოხდება მოგეჩვენებათ, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგა. ეს ასეც უნდა იყოს — საჭიროა ქაოსი.

ბუდამ მდაბიოდ ყოფნა აირჩია. იგი ამქვეყნად უკანასკნელ ადამიანად იქცა. მეფე იყო, მაგრამ უარი თქვა მეფურ დიდებაზე, მიხვდა ამქვეყნიური სამეფოს უსარგებლობას და დატოვა იგი. ღვთის სასუფეველი უკანასკნელთ ეკუთვნით. ამქვეყნიური სამეფო უაზრო ტვირთია, თქვენ მას მიეზიდებით, მაგრამ იგი განადგურებით გემუქრებათ, რამეთუ ნელი შხამია და ვერც გრძნობთ მის მოქმედებას.

ვიღაც ლოთი ღვინოს სვამდა. გზად მეგობარმა ჩაუარა და უთხრა: „რას შვრები, ეს ხომ საწამლავია, რომელიც ნელნელა გიღებს ბოლოს?“

„არა უშავს რა, მე არსად მეჩქარება“, — მიუგო ლოთმა.

ყველაფერი, რასაც თქვენ ცხოვრებას ეძახით, საწამლავია, რადგან ბოლოს და ბოლოს იგი სიკვდილით მთავრდება. თქვენ იქნებ არც ჩქარობთ, მაგრამ ცხოვრებას ეს არ ცვლის. საბოლოო შედეგი ერთია: თქვენი სიკვდილი.

ამქვეყნიური სამეფო სიკვდილისაა, ცის საუფლო კი მარადიული სიცოცხლის, ამიტომ ამბობს იესო: **„ვინც მზად ხართ, მოდით ჩემთან, მე მოგცემთ საგსე ცხოვრებას“.**

ერთ სოფელში იესოს მოსწყურდა და ჭასთან მივიდა. ვიღაც ქალი ჭიდან წყალს იღებდა. იესომ სთხოვა: „დამალევინე წყალი, რათა წყურვილი მოვიკლა“.

„კი, მაგრამ მე ისეთ კასტას ვეკუთვნი, რომ არა მაქვს უფლება წყალი მოგაწოდო“ — უთხრა ქალმა.

იესომ მიუგო: **„ნუ სწუხარ, დამალევინე წყალი და სანაცვლოდ მე ჩემი ჭის წყალს დაგალევინებ. რაკი ერთხელ შესვამ მას, აღარასოდეს მოგწყურდება“.**

„რას ჰგავს ცათა სასუფეველი?“—ეკითხებიან მოწაფეები იესოს, რადგან უხილავის ახსნა მხოლოდ **„მსგავსით“** შეიძლება, აქედან მომდინარეობს ყველა მითი. მითოლოგია — ეს იმის ასახვის მცდელობაა, რაც არ იცით და არც შეიძლება იცოდეთ თქვენი გონებრივი მონაცემების საშუალებით. **უხილავის ახსნის მცდელობა რეალურად არსებულის საშუალებით, არის მითი.**

შეუძლებელია ცათა სასუფეველის ახსნა პირდაპირ და უშუალოდ. ვიდრე თვითონ არ შეაბიჯებთ მასში, ვერაფრით ვერ გაიგებთ მის არსს. ყოველი ახსნა იქნება ყალბი, რამეთუ ჭეშმარიტება ენით არ გამოითქმის.

მაშ რას აკეთებდნენ წლების განმავლობაში იესო, ბუდა და ლაო ძი? ისინი ცდილობდნენ, თქვენთვის საცნობი სიმბოლოების საშუალებით აეხსნათ ის, რისი ახსნაც არ შეიძლება. ცნობილის საშუალებით გამოეხატათ უხილავი. მითებში, იგავებში, ლეგენდებში ულრმესი აზრია გადმოცემული.

ზოგიერთი ბრიყვი ცდილობს მითის ანალიზირებას და ამტკიცებს, რომ იგი არ არის სამდვილი. ადამიანი აქუცმაცებს მითს, ანაწევრებს, თითქოს ქირურგიულ ოპერაციას უკეთებს, შემდეგ კი ამბობს, რომ მითი არ არის ისტორია. ეს იმას ჰგავს, გზაზე ქვა რომ შემოგხვდეთ დელის მაჩვენებელი ისრითა და წარწერით, რომ დაამსხვრიოთ იგი და თქვათ, რომ

ქვა ვიღაც სულელს აღუმართავს და დელი აქ არ მდებარეობს.

მითი სწორედ ის საგზაო ნიშანია, რომელიც მიგანიშნებთ უხილავის ადგილსამყოფელისაკენ. მოწაფეების შეკითხვის აზრიც ის არის, რომ თავიანთ კითხვაზე ზუსტ პასუხს არ მოელიან, მათ მხოლოდ ურდა იცოდნენ, რას ჰგავს ცათა სასუფეველი, რათა მათთვის გასაგები ენის საშუალებით ჩასწვდნენ ჭეშმარიტებას.

წარმოიდგინეთ ბრმა, რომელიც თხოულობს აუხსნან, რა არის სინათლე. მისთვის ხომ თავისივე შეკითხვა იქცევა წინააღმდეგობად პასუხის გაცემისას. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია, რამეთუ, თუ გსურო გაიგოთ, რა არის სინათლე, საჭიროა თვალის გახელა. სულ სხვანაირად აღიქმება შემდეგი შეკითხვა: „გვითხარი, რას ჰგავს სინათლე?“ ეს ნიშნავს: „გვითხარი, აგვიხსენი ბრმების ენაზე“.

იაპონიაში არის ერთი ბუდისტური ტაძარი, მაგრამ მასში ბუდას ვერცერო ქანდაკებას ვერ ნახავო. შიგ შესულ ადამიანებს აინტერესებთ, რატომ არ დგას ტაძარში ბუდას ერთი ქანდაკება მაინც. მაგრამ კვარცხლბეკზე დევს ერთი თითი, რომელიც ცისკენაა მიმართული, სწორედ ეს არის თვითონ ბუდა.

მოწაფეთა შეკითხვაზე ქრისტე პასუხობს, რომ „ცათა სასუფეველი მდოგვის მარცვალს ჰგავს, ყოველსაირ თესლზე მცირედს, მაგრამ როგორც კი მოხსულ ნიადაგში მოხვდება, უდიდეს ხედ აღმოცენდება, რომელზეც ციური ფრინველნი დაიბუდებენ“.

იესო ბევრს ლაპარაკობდა მდოგვის მარცვალზე. ვერ ერთი, ის უმცირესია თესლეულთა შორის. მეორეც, ღმერთი უხილავია და უმცირესზეც უფრო მცირე. ჰოდა, როგორ შეიძლება მიუთითო მასზე? მდოგვის მარცვალი უხილავის საზღვარზეა. იგი უმცირესია ხილულ საგანთა სამყაროში. მასზე მცირეც კი უხილავია და თქვენი თვალი ველარ

ამირჩევს. მდოგვის მარცვალი საზღვარია. მის მიღმა უხილავი და უშაქიზესი სამყარო იწყება.

მდოგვის მარცვალი უდიდეს ხედ აღმოცენდება მცენარეთა შორის: თესლი—უმცირესი, ხე კი—უდიდესი, ღმერთი-უხილავი, სამყარო კი-ხილული. სამყარო-ეს არის ხე, მცენარე, ხოლო ღმერთი არის თესლი. ღმერთი გამოუმჟღავნებელია, ხოლო სამყარო-გამომჟღავნებული.

თუ გახსნით თესლს, მასში ვერ იპოვნით ხეს და შეგიძლიათ თქვათ, რომ ხე არ არსებობს, ადამიანები ცდებიან როცა ამბობენ, რომ უზარმაზარი ხე დამალულია თესლში. იქ კი ვერაფერს პოულობენ. ასე იქცევიან ანალიტიკოსები. მათ რომ ლამაზი ყვავილი ანახოთ, ლაბორატორიაში წაიღებენ, დაანაწევრებენ, ცალ-ცალკე ქიმიურ ანალიზს ჩაუტარებენ, მოათავსებენ ქილებში და დაუწყებენ სილამაზეს ძებნას. მაგრამ ის არც ერთ ქილაში არ იქნება.

გამოვლენ ლაბორატორიიდან და გეტყვიან: „ოქვენი სილამაზე ილუზიაა, მასში ვერ ვპოვე ვერანაირი სილამაზე“.

არის საგნები რომლებიც მთლიანობაში აღიქმება. მაიი დანაწევრება არ შეიძლება, რადგან ნაწილს აღემატებიან. ეს ჭეშმარიტების მაძიებელთა პრობლემაა. ჭეშმარიტება უფრო დიდია, ვიდრე მისი ერთად აღებული ყველა ნაწილი.

მელოდია მხოლოდ ნოტებისა და ბგერების ერთობლიობა კი არ არის, არამედ უფრო მეტია. როცა ყველა ნოტაა ერთად თავმოყრილი, ჰარმონია იქმნება, რაც ცალკეულ ნოტებს არ გააჩნიათ.

როცა მე თქვენთვის ვლაპარაკობ, ჩემს მიერ წარმოთქმული წინადადებები შეგიძლიათ დაყოთ სიტყვებად. თითოეულ მათგანს იპოვნით ლექსიკონში, მაგრამ იქ ვერ მიპოვნით მე.

ერთხელ მარკ ტვენი* მეგობარი მღვდელის ქადაგებას დაესწრო. მღვდელი კარგი ორატორი იყო და მის ნიჭს დიდად აფასებდნენ. მისი ქადაგების დროს ეკლესია ხალხით იყო გაჭედილი. მღვდელმა მარკ ტვენი მიიწვია ქადაგების მოსასმე-

ნად და განსაკუთრებულად მოეშზადა იმ დღისათვის. ქადაგებაში მოელი თავისი ნიჭი და უნარი ჩააქსოვა. მისი სიტყვები ძალიან პოეტური და ემოციური იყო. მარკ ტვენი მღვდლის პირდაპირ იჯდა. მალე მღვდელს აღელვება დაეტყო, რადგან მარკ ტვენის სახეზე არ იკითხებოდა არავითარი ემოცია. იგი გულგრილად იჯდა. ეს არა უარყოფითი, არამედ უფრო მომაკვდინებელი შთაბეჭდილება იყო. თუ რაღაცას ეწინააღმდეგება ადამიანი, — უკიდურეს შემთხვევაში უარყოფითი დამოკიდებულება მაინც უნდა გამოავლინოს. მაგრამ თუ გულგრილია ადამიანი რაღაცის მიმართ, ეს ნიშნავს, რომ იგი მისთვის სრულიად არაფრისმთქმელია და არც ღირს მის გამო თავის შეწუხება. როცა ქადაგება დამთავრდა, მეგობრები ერთად გამოვიდნენ ეკლესიიდან. გამომშვიდობებისას მღვდელმა სთხოვა მარკ ტვენს თავისი აზრი გამოეთქვა ქადაგების შესახებ.

მარკ ტვენმა უპასუხა: „შენ ახალი არაფერი გითქვამს. ეს ქადაგება შენი საკუთარი როდია, ის ნასესხებია და ტყუილად გაქცს ჩემი გაცრუების იმედი. შეგიძლია ის სულელები გააბრიყვო ეკლესიაში, მაგრამ მე განათლებული კაცი ვარ და ბევრს ვკითხულობ. სწორედ იმ წიგნს ვკითხულობდი წუხელ შემთხვევით, რომელშიც შენი ნაქადაგები სწერია“.

მღვდელი ყურებს არ უჯერებდა: „რას ამბობ? ეს ყველაფერი ჩემი დაწერილია. შეუძლებელია, სადმე წაგეკითხა იგი“.

მარკ ტვენმა უპასუხა: „იმ წიგნში არის ყველა ის სიტყვები, რომლებიც დღეს წარმოთქვი. ხვალ დილით გამოგიგზავნი მას და თავად დარწმუნდი“. მეორე დღეს დიდი ლექსიკონი გამოუგზავნა მღვდელს შემდეგი წარწერით: **„შენ აქ იპოვნი ყველა სიტყვას!“**

ასეთი ადამიანი ანალიტიკოსია. მას ერთ წამში შეუძლია ჩაკლას ნებისმიერი პოეზია, არ შესწევს უნარი, დაინახოს ის, რაც სიტყვებს შორისაა და არც სტრიქონებს მიღმა კითხვა ძალუძს. პოეზია კი ამის გარეშე არაფერია. ამაშია მთელი

სილამაზე. ექსტაზი, ღმერთი და ყოველივე, რაც მნიშვნელოვანია, ყოველთვის სიტყვების და სტრიქონებს შორის იკითხება.

მდოგვის მარცვალი უმცირესია და უდიდესს შეიცავს. თქვენ ვერ ხედავთ ღმერთს, რამეთუ იგი უხილავია. იგი **მდოგვის მარცვალია**, მაგრამ სამყაროს ხომ ხედავთ და თუ არსებობს სამყარო, უნდა არსებობდეს თესლიც, რომლისგანაც უდიდესი ხე აღმოცენდება. და დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თქვენ ამჩნევთ თუ არა ამ თესლს. განა შეიძლება სამყარო არსებობდეს საწყისის ან საბოლოო მიზნის გარეშე? განა შესაძლოა მდინარე განგი სათავის გარეშე მოედინებოდეს?

ამ უზარმაზარ სამყაროში სუფევს საოცარი ჰარმონია, საყოველთაო სიმფონია. მასში ყველაფერი თავის ადგილზეა და მუდმივი წესრიგია დამყარებული. ვინც ეს სამყარო შეიცნო სრულყოფილად, ყველა ამბობს, რომ ის საუკეთესოა შესაძლო სამყაროთა შორის.

თესლი არსებობს, მაგრამ **მდოგვის მარცვალზე** მცირედია. **მდოგვის მარცვალი**, როგორც მითი, მისანიშნებლად გამოიყენება. უბრალო ადამიანებისათვის, რომლებმაც ქრისტეს შეკითხვით მიმართეს, გასაგები იყო იგავის ენა და თვით იგავი **მდოგვის მარცვალზე**.

თუ ანაწევრებთ, თქვენ კარგავთ. თუ ანაწევრებთ რელიგიას, კარგავთ მას. რელიგიური ხდებით მხოლოდ მაშინ, როცა მთლიანად გწამთ და არა ნაწილ-ნაწილ. თქვენ ან მთლიანად აღიქვამთ, დანაწევრების გარეშე, ან საერთოდ ვერ აღიქვამთ. მისკენ ერთადერთი გზა მიდის და ეს არის ნდობა: თესლში ხეს ვერ აღმოაჩენთ, მაგრამ შეგიძლიათ დათესოთ იგი. ამ შესაძლებლობას იყენებს მიმნდობი ადამიანი. ის ზრუნავს თესლზე, არჩევს შესაფერის ნიადაგს და თესავს მას. უვლის, მოთმინებით ელოდება და ლოცულობს, რომ გაიხაროს თესლმა, რომ აღმოცენდეს მცენარე.

სხვა რა შეგიძლიათ გააკეთოთ? მოიქეცით მიმნდობ გლეხივით და ერთ მშვენიერ დღეს მიწაში ჩაგდებული თეს-

ლის ნაცვლად ხის ყლორტები დაგხვდებათ. რა ხდება ოესლის მცენარედ გადაქცევის დროს? ესეც იგავის ნაწილია. თესლი უნდა მოკვდეს, მხოლოდ ამ გზით იქცევა ის მცენარედ. ღმერთი მოკვდა სამყაროს შექმნაში. ის არ დარჩენილა განსვე, შეენივთა სამყაროს და ჩაიკარგა მასში. აი რატომ ვერ პოულობთ ღმერთს. მას ვერ ნახავთ ვერც ჰიმალაებში, ვერც მექსიკაში, ვერც კაშში და ვერც სხვაგან, რადგან ის აქაა, ის ყველგანაა. მცენარის აღმოცენების შემდეგ თესლს ველარ იპოვნით, ის მთელს ხეში ცოცხლობს.

ღმერთი მოკვდა ამ სამყაროში, ჩვენს ყოფიერებაში და კოსმოსად იქცა. ის არ არის განყენებული, ცალკე მდგომი. ღმერთი არა ჰგავს მშენებელს, რომელიც რაღაცას აშენებს და თავად ცალკე რჩება. ღმერთი თესლსა ჰგავს, მისგან ხე იზრდება. როცა ხე აღმოცენდება, იგი ქრება ხეში. ღმერთს მხოლოდ მაშინ იპოვნით, როცა ხე გაქრება.

ინდუსები ფიქრობენ, რომ ღმერთის პოვნა შეიძლება სამყაროს შექმნის წინ ან დასასრულს. შექმნამდე იყო თესლი, მაგრამ არ იყავით თქვენ, რომ ეს თესლი გეპოვნათ. ან როგორ იქნებოდით, თქვენ ხომ სამყაროს ნაწილი, მისი ფოთლები ხართ. ინდუსების აზრით ღმერთის პოვნა შეიძლება აგრეთვე სამყაროს დასასრულს, პრალაიაში, როცა ყველაფერი იშლება, ბერდება და კვდება. ასე ემართება ყველა ხეს, მაგრამ მათ ამ დროს მილიონობით თესლი გააჩნიათ.

პრალაიაში ხელახლა შეიძლება მილიონი ღმერთის ნახვა, მაგრამ თქვენ აღარ იქნებით. ამაშია მთელი სირთულე. ღვთის პოვნის ერთადერთი გზა არსებობს: ახლავე, აქვე, თითოეულ ფოთოლში უნდა დაინახო იგი. თუ თქვენ კონკრეტულად კრიშნას* ან რამას* დაუწყებთ ძებნას, ვერასოდეს ნახავთ მათ. ისინიც ფოთლები არიან, ოღონდ უფრო ნორჩი და ხასხასა ფოთლები, რამეთუ მათ თქვენზე წინ შეიცნეს ღმერთი, მიხვდნენ, რომ იგი ყველგანაა.

როცა იესო ამბობს: **„ცათა სასუფეველი მდოგვის მარცვალს ჰგავსო“**, ამაში ღრმა აზრს ატევს. ეს არის იგა-

ვის სილამაზე. თითქოს არაფერია მისი ეს სიტყვები და მაინც რა უდიდეს აზრს წარმოთქვამს. როცა ქრება თესლი, რჩება სამყარო. როცა ქრება თესლი, ჩნდება ხე. აი, ღვთის საუკეთო, ცათა სასუფეველიც აქაა. და თუ სხვაგან ეძებთ მას, ტყუილად წვალობთ. თუ გსურთ ღვთის სასუფეველი, უნდა იქცეთ თესლად და მოკვდეთ. თქვენ უეცრად აღმოცენდებით ხედ. რა მოხდება? თქვენ აღარ იქნებით, იქნება ღმერთი. თქვენ ვერასოდეს შეხვდებით ღმერთს. უკეთუ არსებობთ თქვენ, არ არის ღმერთი, რადგან თქვენ ხის ნაწილი ხართ, ის კი თესლია. **როდესაც გაქრებით თქვენ, მაშინ გამოჩნდება ღმერთი.** ასე რომ, შეხვედრა არ შედგება. როცა აღარ არის „მე“, არის ღმერთი. თუ ცარიელნი ხართ, მაშინ არის ღმერთი და კვლავ პარადოქსია: თესლი შეიცავს მცენარეს. შეუძლია აღმოაცენოს ხე და აგრეთვე, შეუძლია არ აღმოაცენოს. თუ ეგოიზმი იმძლავრებს თესლში, თუ მას სიკვდილის შეეშინდება, მაშინ მისი ქერქი ციხე იქნება ხისათვის და ხე იღუპება თესლში. სწორედ ის ქერქი, რომელიც ხეს იმ მომენტამდე იცავს, ვიდრე შესაფერის ნიადაგში არ მოხვდება იგი.

თქვენ ჰგავხართ თესლს, რომელსაც საკუთარი ქერქი ციხედ ექცა. ბუდა ან იესო — ეს ის თესლია, რომელთაგანაც ხე აღმოცენდა.

იესომ მოწაფეებს შეკითხვაზე ასე უპასუხა: **„ცათა სასუფეველი მდოგვის მარცვალსა ჰგავს, ყოველნაირ თესლზე მცირედს, მაგრამ როგორც კი მოხნულ ნიადაგში მოხვდება, უდიდეს ხედ აღმოცენდება, რომელზეც ციური ფრინველნი დაიბუდებენ...“**

„...როგორც კი მოხნულ ნიადაგში მოხვდება...“ იესო გვეუბნება, რომ შესაფერისი ნიადაგია საჭირო. თუ მშრალ ან ქვიან ნიადაგში მოხვდა თესლი, მისგან ხე არ აღმოცენდება. უნდა მოიძებნოს შესაფერისი მიწა. ამაშია მოწაფეობის მნიშვნელობა. მოწაფეობა სწავლასა და ვარჯიშს გულისხმობს იმისათვის, რომ თქვენ იქცეთ მოხნულ, ნაყოფიერ ნიადაგად, რაც თქვენშივეა ჩაბუდებული. ოსტატსაც მხოლოდ ასეთი

ნიადაგის მოშხაღება შეუძლია. მას შეუძლია თქვენი სარეველებისაგან გაწმენდა, დამუშავება, განოყივრება. იგი მებაღეა და კარგ ნიადაგს აშხადებს. თქვენ სწორედ მებაღე გჭირდებათ, რათა უსარგებლოდ არ მიმოფანტოთ თესლი. თესლი თუ ბილიკზე დავარდა, ადამიანები ფეხით გაოელავენ. მომაკვდავ ადამიანს თანამდგომი სჭირდება თავის დასაცავად. ბავშვის დაბადებისას ბებიაქალია საჭირო. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ჭეშმარიტების დაბადება, უფრო დიდი მოვლენაა, როცა ღმერთი იბადება თქვენში. ოსტატი კი არავინაა, თუ არა ბებიაქალი.

ოსტატის გარეშე შეიძლება ბევრი რამ მოხდეს: შეიძლება დაიბადოს უდღეური ბავშვი და მაშინვე მოკვდეს. ახლადმოსული ჯვეჯილი სუსტია და უსუსური, იგი შეიძლება ყოველ წუთს განადგურდეს. ეს ძალიან საშიშია. სხვა გზა არ არსებობს, ოსტატს უნდა ენდოთ! თუ არ ენდობით, თესლი მოკვდება, ახალშობილი ბავშვი დაიღუპება და ჯვეჯილიც გაფერანდება. თესლი არ იცნობს ხეს, აი რაში მდგომარეობს სირთულე. მას გარანტია სჭირდება, რომ სიკვდილის შემდეგ, მისგან ხე აღმოცენდება. მაგრამ არ შეიძლება ასეთი რწმენის გარანტიის მიცემა. რწმენა აბსურდულია. თქვენ გსურთ დარწმუნდეთ, რომ მოწაფეობას შეძლებთ, რომ გახდებით განდეგილი, რომ მზად იქნებით სიკვდილისათვის, მაგრამ ვინ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ თქვენს შემდეგ აღმოცენდება ხე — გამორჩნდება ღმერთი? რომც მისცეს თესლს ასეთი გარანტია, რა აზრი აქვს, თვითონ ხომ აღარ იქნება, რომელი გარანტია დაუმტკიცებს მას, რომ სიკვდილის შემდეგ ხე ნამდვილად აღმოცენდება? აი რატომ არის რწმენა აბსურდული. ეს იმას ნიშნავს, გწამდეთ ის, რაც არ შეიძლება რომ გწამდეთ, ირწმუნოთ შეუძლებელი. არაფრით არ შეიძლება გწამდეთ, მაგრამ მაინც გწამთ. თესლი კვდება დიდი ნდობის დროს და აღმოცენდება ხე, მაგრამ საჭიროა შესაფერისი ნიადაგი. უნდა გაისარჯოთ, რომ ამ ნიადაგად იქცეთ.

„... უდიდეს ხედ აღმოცენდება, რომელზეც ცური ფრინველი დაიბუდებენ.“

და როცა მართლა გაიზრდება თქვენი ხე, როცა იგი „ქრისტეს ხედ“ იქცევა, მილიონობით ფრინველი — მაძიებელი სული — მოფრინდება და იპოვნის თქვენთან თავშესაფარს. ბევრი მაძიებლისათვისაა იესო თავშესაფარი, ბევრი პოულობს თავშესაფარს ბუდასთან. „ბუდასა და იესოს ხეებზე“ მაძიებლებს შეუძლიათ უხილავის მაჯისცემა იგრძნონ. იქ შეუძლიათ მათ ნახტომის გაკეთება.

„ცათა სასუფეველი ჰგავს მდოგვის მარცვალს...“

თქვენ თვითონ ხართ ცათა სასუფეველი, თქვენ თვითონ ჰგავხართ მდოგვის მარცვალს... იყავით მზად სიკვდილისათვის!

რასაკვირველია, ბევრჯერ უკანაც დაიხევო, თქვენი გზა სავსე იქნება შიშით, ყოყმანით, თროთლვით. უფსკრულის პირს მისულნი და მისი სიღრმით შეშინებულნი ბევრჯერ უკანაც გამოიქცევით, მაგრამ იცოდეთ, რომ თესლი ქრება და ისე აღმოაცენებს ხეს. თუ თქვენ მზად ხართ სიკვდილისათვის, ჩააგდეთ თესლი მიწაში, როცა ხე აღმოცენდება, გათხარეთ მიწა და მოძებნეთ იქ თესლი, მას ვერ იპოვნით. წადით და შეეცადეთ, ქრისტეში ან ბუდაში ჰპოვოთ თესლი. ეს ტკბილი გარჯა იქნება. ამიტომაა იესო ძე ღვთისა და არა იოსებისა და მარიამის შვილი — ქერქი გამქრალია, თესლი გაიშალა და ხე აღმოცენდა არა ხილულისაგან, არამედ უხილავისაგან.

შეხედეთ იესოს. მასში არ არის თესლი, მასში მხოლოდ ღმერთია. იყავით მზად სიკვდილისათვის, რათა კვლავ შეძლოთ აღმოცენება, მიატოვეთ ტკივილი, სხეული, ეგო, საკუთარი პიროვნება და უცბად აღმოაჩენთ, რომ თქვენში იბადება რაღაც ახალი, თქვენ იქეცით დედის საშოდ და ახლა ორსულად ხართ. სულიერი ორსულობა შემოქმედების მწვერვალია, რამეთუ მხოლოდ ასე ქმნით საკუთარ თავს. ამას არაფერი შეედრება. შეიძლება ფერწერის ან ქანდაკების დიდებული შედევრები შექმნათ, მაგრამ როდესაც საკუთარ თავს ქმნით, ეს თვითშემოქმედება ყველაფერზე უდიადესია.

„... როგორც კი მოხსულ ნიადაგში მოხვდება...“ მხალ იყავით სიკვდილისათვის, მაგრამ ვიდრე ნახტომს გააკეთებდეთ, „მოხსულ ნიადაგად“ იქეცით, გახდით მოწაფე, იყავით და მოიქეცით ისე, თითქოს არა ხართ, მალე მართლაც აღარ იქნებით, მოემზადეთ ამისათვის და მოიქეცით ისე, თითქოს არა ხართ.

მაშინ „... მისგან ულიდესი ხე აღმოცენდება, რომელზეც ცისური ფრინველნი დაიბუდებენ...“

ასე იყო მუდამ. თქვენ აქა ხართ, ჩემს გვერდით სწორედ იმიტომ, რომ ჩემი თესლი მკვდარია. აქა ხართ არა საკუთარი თავის, არამედ ჩემი წყალობით. მაგრამ „ჩემი წყალობით“ არასწორი ნათქვამია, რამეთუ „მე“ არ ვარსებობ. თესლი გამქრალია. თქვენ ხედავთ მხოლოდ ხეს და ჩემი საშუალებით თქვენი შესაძლებლობების გამოკრთომასაც თუ დაინახავთ, საქმე გაკეთებულია.

„ცათა სასუფეველი ჰგავს მდოგვის მარცვალს...“ თქვენ ხართ თესლი, თქვენ ხართ შესაძლებლობა სასუფევლად ქცევისა. მოემზადეთ სიკვდილისათვის, რამეთუ ეს აღორძინების ერთადერთი გზაა!

1974 წლის 21 აგვისტო
პუნა, ინდოეთი

ს ა შ ბ ა რ ი მ ე ო რ ე

მეორე შეხვედრა

იეხომ თქვა:

— იქნებ აღმიანებს ჰგონიათ,
რომ ღელამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი,
მათ არ უწყიან, რომ მე განხეთქილების
ჩამოსაგდებად მოვედი და მოვიტანე ცეცხლი,
მახვილი და ომი.
ვინაიდან შინ იქნებიან ხუთნი:
სამნი იქნებიან ორის წინააღმდეგ
და ორნი — სამის წინააღმდეგ,
მამა შვილის წინააღმდეგ და
შვილი — მამის წინააღმდეგ.
და იღვებიან იხინი, ვითარცა ერთადერთნი.

(თომა 17)

იეხომ თქვა:

— მე თქვენ მოვცემთ იმას, რაც კაცის თვალს
არ უნახავს, რაც ყურს არ სმენია,
რასაც ხელი არ შეხებია
და რაც აღმიანის გულში არ დაბადებულა.

(თომა 18)

იესო პარადოქსალურია, მაგრამ ეს პარადოქსები ახრობრივად დატვირთულია, მათი მნიშვნელობის გასაგებად წინას-

წარ ბევრ საკითხში უნდა გავერკვეთ. უპირველესად, სრულიად შშვიდობა შესაძლებელია მაშინ, როცა თითქმის ყველა მკვდარია. ამ დროს ომი და პოლიტიკური კონფლიქტები არ იქნება, მაგრამ არც ცხოვრება იარსებებს. სამარისებური სიჩუმე დამყარდება. მაგრამ რა აზრი აქვს ასეთ სიჩუმეს? მას ომი სჯობს, რადგან ომის დროს, თქვენ ცოცხლები და ენერგიულები ხართ.

სიჩუმის სულ სხვა სახე და აბსოლუტურად განსხვავებული განზომილებაა მაშინ, როცა თქვენ ასევე სიცოცხლით აღსავსენი და ხალისიანები ხართ, მაგრამ თქვენი ყურადღების ცენტრი თქვენივე არსების შიგნითა გაქვთ გადატანილი. თქვენ ასეთ შემთხვევაში შეიცნობთ საკუთარ არსს, მოგეფინებათ ნათელი, აენთება ლამპარი და თქვენს გარშემო აღარ იქნება სიბნელე. სწორედ მაშინ დაიწყება დიდი ცხოვრება და დიდი სიჩუმე, მაგრამ ეს უკანასკნელი სიცოცხლის კუთვნილება გახდება და არა სიკვდილისა.

ამ პარადოქსს კარგად უნდა ჩავწვდეთ. ომი ბოროტებაა! სიძულვილიც ბოროტებაა! ცხოვრების ეს საშინელებანი უნდა ამოიძირკვოს. ავადმყოფობაც ბოროტებაა, ხოლო ჯანმრთელობა — სიკეთე. ავადმყოფობა უნდა მოისპოს, მაგრამ გახსოვდეთ: ცხედარი არასოდეს ავადმყოფობს, იგი იხრწნება. თუ ამას არ გავიგებთ, მაშინ თქვენი ძალისხმევის შედეგი მხოლოდ და მხოლოდ უსიცოცხლო სამყარო იქნება, სადაც არავინ იავადმყოფებს, არ იქნება ომები და სიძულვილი, მაგრამ არც ცხოვრება იქნება.

იესოს ამგვარი სიჩუმე არ მოეწონებოდა, რამეთუ იგი უსარგებლოა. ამას ცოცხალი სამყარო სჯობია თავისი სისხლისღვრებითა და მანკიერი მხარეებით. მათ შორის, ვინც მშვიდობის დამყარებას ცდილობდა, ბევრი ნეგატიურ პოზიციაზე იდგა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ომის შეწყვეტის შემდეგ ყველაფერი მოგვარდებოდა. ეს არც ისე იოლია. არა მარტო უბრალო ადამიანები, არამედ ბერტრან რასელის* მსგავსი უდიდესი ფილოსოფოსებიც ვარაუდობდნენ, რომ თუ ომს შევა-

ჩერებთ, ყველაფერი დამშვიდდება, მაგრამ ეს ნეგატიური პოზიციაა, რადგან საქმე ადამიანშია და არა ომში,თანაც უმთავრესია არა გარეგანი, არამედ შინაგანი ომი. თუ საკუთარ თავთან არ გქონიათ შინაგანი ომი, თქვენ გარეთ იომებთ. თუკი თქვენ შინაგან ომში გაიმარჯვებთ, ნაძდვილ ომსაც მოეღება ბოლო. ეს არის ერთადერთი გზა.

ჩვენ ინდოეთში მაპაგირს* მძლეოსმძლეს გამარჯვებულს — ჯაინს (ნიშნავს „გამარჯვებულს“) ვუწოდებთ, მაგრამ იგი არასოდეს იბრძოდა, არავისთან არ უომია, იგი არასოდეს მდგარა ძალმომრეობისა და სისხლისღვრის მხარეს. მას ღაბადებიდან ვარდპამანა ერქვა. რა მოხდა? მან საკუთარ თავს სძლია და თუ თქვენც თავს სძლევთ, თქვენი ბრძოლა სხვებთან დაუყოვნებლივ შეწყდება, რაიეთუ სხვასთან ქიშპობა ფანდია საკუთარ თავთან ომის ასაცილებლად.

თუ საკუთარ თავს ასე თუ ისე ვერ უგებთ, თქვენ ან იტანჯებით, ან თქვენი შინაგანი დისკომფორტი სხვაზე გადაგაქვთ. შინაგანი დაძაბულობის დროს თქვენ მხადა ხართ დრამისათვის. ნებისმიერი საბაბი ამ დროს გამოსადეგია — საბაბს არა აქვს მნიშვნელობა. თქვენ თავს ესხმით ნებისმიერ ადამიანს — ცოლშვილს, მშობლებს, მსახურებს, მეგობრებს ან ნაცნობებს.

როგორ უნდა მოიცილოთ თავიდან შინაგანი კონფლიქტი და გაღიზიანება? თქვენ კონფლიქტისათვის სხვას აკისრებთ პასუხისმგებლობას და თქვენში ხდება კათარზისი*: თქვენ ბრაზდებით, გადმოანთხევთ თქვენს ბოღმას, ძალადობთ და ეს ყველაფერი გაძლევთ შვებას, გათავისუფლებთ. რასაკვირველია, ეს დროებითი შვებაა, რაიეთუ ის, რაც თქვენში იყო, უცვლელი დარჩა. ხვალ ხელახლა დაგიგროვდებათ რისხვა და სიძულვილი და კვლავ მოგიხდებათ მათი პროეცირება.

თქვენ ებრძვით სხვას იმის გამო, რომ თქვენში გამუდმებით გროვდება ბოღმა და ღვარძლი და საჭირო ხდება დაიცალოთ მათგან. საკუთარი თავის მძლეველი ადამიანი კი აღარ განიცდის შინაგან კონფლიქტს, ომი შეწყვეტილია.

მასში ალარ არის ორი დაპირისპირებული „მე“, ის ადამიანი უკვე ერთიანია, მრთელია თავის თავში, რომელიც არასოდეს გაღმოანთხევს ბოლმას.

ასე რომ, პროექცირება არის ფანტი ტვინისათვის შინაგანი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, რადგან ეს კონფლიქტი ძალზე მტკივნეულია, თანაც ბევრი მიზეზის გამო. მთავარი მიზეზი. ის კი არ არის, რომ თითოეულ თქვენგანს კარგი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე, ისიც მართალია, რომ ამის გარეშე ცხოვრება შეუძლებელია.

ფსიქიატრები გვირჩევენ, რომ ცხოვრებისათვის ილუზიები არის საჭირო. თუ თქვენ არა ხართ გასხივოსნებული, ილუზიები ნამდვილად დაგჭირდებათ. უკეთუ იფიქრებთ, რომ თქვენ ა'უტანელი, საზიზღარი და ბოროტების მოესველი ხართ და ის სახე, რომელიც მაროლაც სინამდვილეში გაგანიათ, შემოაღწევს თქვენში, მაშინ საერთოდ ვეღარ შესძლებთ ცხოვრებას, დაკარგავთ საკუთარი თავის რწმენას. თავს იმდენად დაინაშავედ იგრძნობთ, რომ დასწყევლით საკუთარ თავს, ნამდვილად ვერავის შეიყვარებთ, ვერ შეძლებთ სხვა ადამიანის ცქერას, საკუთარ თავში ეშმაკსა და მდაბალ ადამიანს შეიცნობთ და სინდისის ქენჯნა თვითმკვლელობამდე მიგიყვანთ. ეს სამართლიანიც იქნება. როგორ უნდა მოიქცეთ? თქვენ უნდა იქცეთ ღვთისნიერ ადამიანად. ეს გზა კი ღიდ ძალისხმევას მოითხოვს, ბევრი რამ უნდა გააკეთოთ, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი იქცე ღვთაებრივად. ადამიანს შეუძლია გახდეს ღვთიური! თქვენ იქნებ არ იცით, რომ ბევრ ენაში სიტყვებს ეშმაკი, ღვთაება ერთი საერთო ძირი აქვთ. ეს სიტყვები ერთი და იგივე სანსკრიტული ძირიდან წარმოიქმნება.

ვინაიდან ღვთაება იქცა ეშმაკად, ეშმაკსაც შეუძლია იქცეს ღვთაებად. არსებობს ასეთი შესაძლებლობა, ეშმაკი და ღვთაება მთლიანი ენერგიის ორი პოლუსია. ენერგიას, რომელიც გახლა მწარე, შეუძლია დატკბეს. საჭიროა შინაგანი

ტრანსფორმაცია, შინაგანი ალქიმია, მაგრამ ეს არის ხანგრძლივი და მძიმე გზა.

ადამიანის ტვინი კი იოლ გზას ეძებს. იგი ფიქრობს: „რატომ უნდა ეცადო საკარგის? უბრალოდ ირწმუნე, რომ კარგი ხარ. ეს ადვილია, ამისათვის არაფრის გაკეთება არ არის საჭირო. შექმენი შენივე ხატი — მშვენიერი, ღვთიური, შეუდარებელი და თვით ეს ილუზია მოგცემს სასიცოცხლო ენერგიას“.

და თუ ილუზიები იძლევიან ამდენ ენერგიას, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი თქვენ ჭეშმარიტებას ნასწყლებით. საკუთარ იავნაზე კარგი წარმოდგენაც კი მოგცემთ ძალას მოქმედებისათვის, გაბოვრისებთ საერდენს და საკუთარი თავის რწმენას. ილუზიების წყალობით თქვენ თითქმის ცენტრირებული გახდებით და ეს ცენტრი იქნება „ეგო“.

როდესაც ჭეშმარიტად ცენტრირებული ხართ, ეს ცენტრი არის სიღრმისეული „მე“, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მიღწეულია ჭეშმარიტება, როდესაც თქვენი შინაგანი ენერგია ტრანსფორმირებულია: **უმდაბლესი გარდასახულია უმაღლესში, მიწიერი—ზეციერში, როდესაც ეშმაკისეული იქცა ღვთიურად, როდესაც თქვენ გასხივოსნდით საკუთარი ნათელით, როდესაც თესლი აღმოცენდა, როდესაც მდოგვის მარცვალი იქცა უზარმაზარ ხედ.**

ეს არის ხანგრძლივი პროცესი. საჭიროა სიმამაცე, რათა ელოდო და არ მოიხიბლო მოკლე გზით. ცხოვრებაში ხომ არ არსებობს მოკლე გზები; მოკლე გზები ილუზიებია; ცხოვრება მძიმეა, არც ზრდაა ადვილი; ზრდა ბრძოლის შედეგია.

შეუძლებელია ზრდა უსასყიდლოდ მიიღო; ის, რაც იაფია, ვერ დაგეხმარებათ ზრდაში. მხოლოდ ტანჯვა გაშველით. საკუთარ თავზე ძალდატანებას, საკუთარ თავთან ბრძოლას მოაქვს სიმწვავე, ზრდა, გამოცდილება, სიმწიფე. როგორ შეიძლება სიმწიფის მიღწევა მოკლე გზით? არის საშუალება. ახლა ამ მეთოდის გამოცდა ცხოველებზე ხდება. ადრე თუ გვიან ადამიანებზეც გასინჯავენ. აი ეს საშუალებები:

საჭიროა ორგანიზმში ჰორმონების შეყვანა. ათი წლის ბავშვის ორგანიზმში შეჰყავთ ჰორმონები და ის ღაემსგავსება ოცი წლის ახალგაზრდას.

თქვენ ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში 10 წლის ბავშვი მიაღწევს ისეთ სიმწიფეს, როგორსაც მიაღწევდა მაშინ, თუ გაივლიდა ცხოვრების ათწლიან გზას? ბრძოლა, სქესობრივი მოთხოვნილების გაჩენა, კონტროლის აუცილებლობა, სიყვარულის მოთხოვნილება, თავისუფალ ადამიანად ყოფნა და მაინც საკუთარი თავის კონტროლირება; თავისუფალ და ამავე დროს ცენტრირებულ ადამიანად ყოფნა, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარება და თანამშრომლობა, სასიყვარულო განცდები, სწავლა — ყველაფერი ეს არ იქნება. ოცი წლის შესახედაობის ადამიანი სინამდვილეში იქნება ათი წლისა, ჰორმონებით მხოლოდ მისი სხეული გაზარდეს.

ამას ახორციელებენ ცხოველებზე, მცენარეებზე. შეიძლება ხეს გაუკეთო ინექცია და ეს ხე, რომელიც აყვავილდებოდა სამი წლის შემდეგ, იყვავილებს ერთ წელიწადში, მაგრამ მის ყვავილებს რაღაც დააკლდებათ; შეუძლებელია ამ ნაკლის დანახვა, მაგრამ ისინი იქნებიან არასრულფასოვანნი. ისინი ძალით ააყვავეს, მათ არ გაიარეს სიმწიფის პერიოდი. ინექცირებული ხე ნაყოფსაც მალე მოგვცემს, მაგრამ ამ ნაყოფსაც დააკლდება სიმწიფე, რადგან ის ბუნებრივად კი არ დამწიფდა, არამედ ხელოვნურად.

ბუნება არ ჩქარობს. დაიხსომეთ! ტვინი ყოველთვის ჩქარობს, ბუნება კი — არასოდეს, ის იცდის, ელის, ის ენერგიულია. რატომ უნდა ანქარდეთ: ცხოვრება გამუდმებით გრძელდება, ის არის მარადისობა. ტვინის დრო კი მოკლეა, ის ამბობს: „დრო ფულია“. ცხოვრებისათვის მთავარია არა დრო, არამედ გამოცდილება! ცხოვრებას შეუძლია მოცდა; ტვინი ვერ მოიცდის — მას სიკვდილი უახლოვდება. ცხოვრებისათვის არ არსებობს სიკვდილი, ტვინი კი კვდება.

იქნებ იმიტომ ეძებთ მოკლე გზას უმარტივესი ილუზიებით — ფიქრობთ, რომ თქვენ ხართ ისეთები, როგორნიც გინ-

დათ იყოთ. ამიტომ თქვენ ნევროზით ავადდებით. საგიჟეთში ზოგი ფიქრობს, რომ იგი ნაპოლეონია, ზოგი ალექსანდრე მაკედონელად ასაღებს თავს და ა.შ. ისინი დარწმუნებულნი არიან ამაში და შესაბამისად იქცევიან.

მე მსმენია კაცზე, თავი ნაპოლეონად რომ წარმოიდგინა, მას მკურნალობდნენ, ფსიქოანალიზს უტარებდნენ. სამი — ოთხი წლის შემდეგ მკურნალმა დაასკვნა, ჩემი პაციენტი სრულიად გამოჯანსაღდაო და მიმართა: „თქვენ ახლა ჯანმრთელი ბრძანდებით, შეგიძლიათ სახლში წასვლა“. პაციენტმა წამოიყვირა: „სახლში?! თქვენ ალბათ გირდოდათ გეთქვათ — სასახლეში!“

ასე რომ, თუკი საკუთარ თავს ნაპოლეონად ჩათვლით, ძალიან ძნელი იქნება თქვენი განკურნება და თუნდაც გამოჯანმრთელდეთ, რაღაცას დაკარგავთ.

ერთი გენერალი კაპიტანს გადაეყარა, რომელიც ყოველთვის მთვრალი იყო. ლოთები კი თითქმის ყოველთვის გულგახსნილი და კარგი ხალხია. მათ უბრალოდ მოკლე გზა აირჩიეს. გენერალმა უთხრა: „მე თქვენ გაგასებთ, თქვენ ყველას უყვარხართ. რატომ იხარჯებით ასე ტყუილ-უბრალოდ? სმა რომ მიატოვოთ, მალე პოლკოვნიკის ჩინს მიიღებთ“. კაპიტანმა სიცილით მიუგო: „ხომ გაგიგიათ, რომ ჩიტი ბდღვრად არა ღირს. მთვრალი მე უკვე გენერალი ვარ. თუ ფხიზელი მხოლოდ პოლკოვნიკობას მიეაღწევ, მთვრალი ყოველთვის გენერალი ვიქნები, ყველაზე უფროსი ვიქნები!“ ეს ილუზია ძვირფასია. როგორ იტყვის ის ამ ილუზიაზე უარს? ის უსასყიდლოდ ყველაზე უფროსი გახდა. ტვინი პოულობს მოკლე გზებს. ყველაზე ადვილად მაიას* მოპოვება შეიძლება, რეალური სინამდვილე კი ძნელია და მძიმე. ურჩია იტანჯოთ, გაიაროთ ცეცხლში. რაც უფრო მეტად დაიწვებით, უფრო მეტი ფასი დაგედებათ. ღვთაებრიობას ვერსად ვერ იყიდით, მას მოიპოვებთ, თუ საფასურად თქვენს ცხოვრებას გაიღებთ. როდესაც სასწორზე სდებთ მთელს თქვენს ცხოვრებას, მხოლოდ მაშინ ხდება ღვთაებრიების მოპოვება.

თქვენ ებრძვით სხვებს იმიტომ, რომ ეს აღვილი გსაა. თქვენ ასე ფიქრობთ: მე კარგი ვარ, სხვა — ცუდი და ომი მიმდინარეობს თქვენს გარეთ. თუკი უარყოფთ საკუთარ თავს, ომი გადაიქცევა შინაგანად: თქვენ იცით, რომ სწორედ თქვენ ხართ ცუდი, რომ ძნელია თქვენზე ბოროტი ადამიანის პოვნა. თუ ჩაიხედავთ საკუთარ თავში, აღმოაჩენთ, რომ თქვენ ხართ ცუდი ადამიანი და მიხვდებით, რომ საჭიროა რაღაცის გაკეთება. იწყება შინაგანი ბრძოლა.

ამ შინაგანი კონფლიქტის წყალობით, რომელიც არის ტექნიკა, დიახ, ერთ-ერთი უდიდესი ტექნიკათაგანი, რომელსაც იყენებენ საუკუნეების მანძილზე, ვიმეორებ — შინაგანი კონფლიქტის წყალობით თქვენ მიაღწევთ მთლიანობას. თუ არსებობს შინაგანი კონფლიქტი, მაშინ არა მტრულად განწყობილ ნაწილებში აღმოცენდება ახალი ცენტრი, დამკვირვებელი ცენტრი. შინაგან კონფლიქტში მთისხდება მთელი თქვენი ენერგია, მთელი თქვენი არსება განხეთქილებაშია: იქმნება ქაოსი და ამ ქაოსიდან იბადება ახალი არსება.

ხელახლა დაბადებისათვის ქაოსია საჭირო, ქაოსიდან განდა სამყარო. მანამ, სანამ ნამდვილად დაიბადებით, საჭირო იქნება ქაოსი — ეს არის იესოს ომი. ის ამბობს: „მე მოვედი, რათა მოგცეთ მშვიდობა", — მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქრისტეს მშვიდობა მოაქვს. ეს არ იქნება ის იაფასიანი მშვიდობა, რომელსაც თქვენ ისურვებდით.

შეეცადეთ, მის სიტყვებს ჩასწვდეთ: **„იქნებ ადამიანებს ჰგონიათ, რომ დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი, მათ არ უწყიან, რომ განხეთქილების ჩამოსაგდებად მოვედი და მოვიტანე ცეცხლი, მახვილი და ომი".**

როდესაც მიდიხარ ისეთ მკურნალთან, როგორიც იესოა, სიმშვიდის მოსაპოვებლად, განცხრომისაგან დაბრმავებულნი ვერ ხედავთ, რომ სხვა ადამიანიან მოხვდით. თქვენნაირი ადამიანები ვერ მოიპოვებენ სიმშვიდეს და რომც მოიპოვოთ, ეს იქნება სიკვდილი, რამეთუ ბრძოლა შეწყდება მანამ, ვიდრე რამეს მიაღწევდეთ. ხუ სხვამ მოგცათ სიმშვიდე, ეს ნიშნავს,

რომ თქვენ ვერ განავითარეთ შინაგანი „მე“ და მაინც მდგომარეობით კმაყოფილდებით. აი, რით განსხვავდება ცრუ მოძღვარი ჭეშმარიტისაგან. ცრუ მოძღვარი გამშვიდებთ, არ ზრუნავს თქვენს გარდასახვაზე, გამშვიდებთ ისეთს, როგორიც ხართ. ეს იგივეა, რაც ტრანკვილიზატორი, ძილის წამალი. ჭეშმარიტი მოძღვარი კი გირღვევთ სიმშვიდეს, ზღუდავს თქვენს კეთილგანწყობილებასა და სილაღეს. იგი არ არის მტერი, რამეთუ უწყის, რომ თქვენი დამშვიდება მომაკვდინებელია. თქვენ ბევრჯერ დააპირებთ მისგან გაქცევას, მაგრამ ვერ შეძლებთ, რამეთუ ის გამუდმებით გაღვივებთ თვალ-ყურს.

სიმშვიდე როლია მიზანი. მოძღვარი ყალბად ვერ დაგამშვიდებთ, იგი აგღზრდით. მისი წყალობით ერთ შშვენიერ ღღეს, თქვენ მრთელი აღმოჩნდებით, მაშინ მოვა ჭეშმარიტი შვება და ჭეშმარიტი სიხარმე. დამშვიდება ყალბია. ნემოან მოდის ხალხი და მთხოვს ნუგეშის ცემას, ლოცვას მათი დამშვიდებისათვის. თუკი მოძღვარი აღელვებულს დაამშვიდებს, ვერ შეცვლის მას. ჭეშმარიტმა მოძღვარმა შეიძლება მაინც დაგამშვიდოთ, ესე იგი, მახე დაგიგოთ. ამის შემდეგ ის თქვენში ნელ-ნელა ქაოსს გამოიწვევს, თქვენ მოგიწევთ ქაოსის დაძლევა იმიტომ, რომ არსებული სახით თქვენ აბსოლუტურად უკუღმართები ხართ და თუ თქვენ ახლა ვინმე გამშვიდებთ, იგი თქვენი მტერია. მასთან ტკბილუბრალოდ კარგავთ ღროს, ენერგიას, ცხოვრებას და საბოლოოდ ფუჭი დამშვიდება მაინც ვერ გიშველით.

ერთმა მოხუცმა, რომელსაც შვილი მოუკვდა მომმართა: „დამამშვიდეთ!“

„არ შეიძლება ამის გაკეთება, ეს ცოდვაა!“ — მივუგე მე.

მან მითხრა: „მე ამისათვის მოველი“.

მე ვუპასუხე: „იქნებ მართლაც ამისათვის მოხველი, მაგრამ მე ეს არ ძალმიძს“.

„კი მაგრამ, ვიყავი შანკარაჩარიასთან* და მან დამამშვიდა: „ნუ ღელავ, ნუ დარდობ, შენმა ვაჟმა გაიხარა ცათა სასუფეველშიო“, — მითხრა მოხუცმა.

მე ვიცნობდი მის შვილს და ვთვლი, რომ მამის დამშვიდება შეუძლებელი იყო, რამეთუ მისი შვილი პოლიტიკოსობდა. მან გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია — მინისტრი გახდა. ჰოდა, პოლიტიკოსის ცბიერებითა და ამბიციებით როგორ მოხვდებოდა იგი სამოთხეში?

ის მოხუციც პოლიტიკოსი იყო და არა შვილის სიკვდილი, არამედ დაღუპული ამბიცია აღელვებდა. შვილის დახმარებით პატარა წარმატებებს აღწევდა. თავის დროზე მუხლშეუხრელად შრომობდა, მაგრამ გულუბრყვილო და მოსულელო ადამიანი იყო. დიდი ვაჟის გასწირა გასწირა ყველაფერი, მაგრამ საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია. უკანასკნელ იმედად მას შვილი რჩებოდა, რომელმაც გაუმართლა. ახლა კი ვაჟთან ერთად თავისი ამბიციაც დაასამარა.

როდესაც ვუთხარი, რომ ის შვილს კი არა, სხვა რამეს დარდობდა, გული ეტკინა და მითხრა: „შენგან თანაგრძნობას ველოდი, შენ კი უარო მეტად მატკინე გული. იქნებ მართალიც ხარ, შენი ნათქვამი სიმართლეს ჰგავს, ჩემი ამბიცია შეილახა და შესაძლოა, მკვდარ ვაჟს კი არა, მართლაც ჩემს ამბიციას დაეტირი. მაგრამ ახლა ძალიან მიჭირს, შენ კი ასე სასტიკად მექცევი. მე ვინახულე მაჰატმა*, შანკარაჩარია, გურუსთანაც* ვიყავი და ყველამ დამამშვიდა, მათ მითხრეს, რომ „სული მარადიულია, არასოდეს არავინ არ კვდება, შენი ვაჟი არ იყო უბრალო მოკვდავი, მისი სული ცაშიაო!“

ეს მართლა ნუგეშია და უკეთუ მოხუცი კვლავაც მოუსმენს მათ, იგი დაკარგავს უღიდეს შესაძლებლობას, პირისპირ შეეჯახოს თავის ყველაზე დიდ პრობლემას — საკუთარ ამბიციას. მას შეეძლო აღმოეჩინა, რომ ეს ამბიცია ფუჭია, რამეთუ სიკვდილი ადამიანს ყველაფერს ართმევს. მას შეეძლო ამის აღმოჩენა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მან ჩემთან ყოფნას მათთან არჩია სიარული, ვინც ანუგეშებდა.

თქვენ თუ სანუგეშოდ მოსულხართ აქ, გზა შეგშლიათ. იესო ამბობს: **„იქნებ ადამიანებს ჰგონიათ, ვითომ დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი, მათ არ უწყიან, რომ მე განხეთქილების ჩამოსაგდებად მოვედი და თან მოვიტანე ცეცხლი, მახვილი და ომი“.**

ყოველთვის, როცა მიწაზე იესოსთანა ადამიანი გამოჩნდებოდა, კაცობრიობა იყოფოდა ორად — მის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. არც ერთი ადამიანი არ იყო მის მიმართ გულგრილი. შეუძლებელია იყო გულგრილი იესოსადმი.

თუ მოგისმენიათ იესოს სიტყვა, თუ ერთხელ მაინც შეგიხედავთ მისთვის, ან შეგიყვარდებოდათ იგი, ან უარყოფდით, ან მისი მიმდევარი გახდებოდით, ან ამხედრდებოდით მის წინააღმდეგ.

ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ იესოს მსგავსი ადამიანი არაამქვეყნიური მოვლენაა. მას კაცობრიობისათვის მოაქვს რაღაც ზეციური სამყაროდან. ვისაც ეშინია ზეცნობიერის, ისინი დაუყოვნებლივ მტრებად იქცევიან, რადგან ეს მათი თავდაცვის საშუალებაა. ხოლო მათთვის ვინც განუწყვეტლივ ეძიებს და ესწრაფვის ზეცნობიერს, ეს ადამიანი ხდება მაგნიტური ძალა — მის მიმართ სიყვარულით იმსჭვალებიან, ვინაიდან ელოდნენ მას რამოდენიმე ცხოვრების განმავლობაში.

კაცობრიობა დაუყოვნებლივ იყოფა ორად. ან ქრისტეს მიმდევარი ხართ, ან მისი მოწინააღმდეგე. სხვა გზა არ არსებობს, გულგრილნი ვერ იქნებით. თქვენ ვერ იტყვით: „მე ეს არ მაინტერესებს“. ეს შეუძლებელია, რადგან ადამიანი, რომელიც გაწყე გადგომას შეძლებს, თავად გახდება იესო. ადამიანი, რომელიც არც შეიყვარებს და არც შეიძულებს, თავად გასცდება ცნობიერის საზღვრებს. თქვენ არ შეგიძლიათ გაწყე დგომა; თქვენ დადგებით ერთ—ერთის მხარეზე, გახდებით „მეშარჯვენე“, ან „მეშარცხენე“, აუცილებლად იქნებით ამ ორიდან ერთ-ერთ დავჯგუფებაში.

ზეადამიანი ბადებს უდიდეს მღელვარებას. განა მარტო ცალკეული ადამიანები, მთელი სახოგადოება, მთლად დედამიწა ებმება კონფლიქტში, იწყება უდიდესი ომები.

რაც იესო მოგვევლინა, ალარ ყოფილა მშვიდობა დედამიწაზე. ქრისტემ რელიგია შექმნა. მან მოიტანა რაღაც, რაც ისეთ შფოთს, ისეთ მტრობას და კონფლიქტს იწვევს გონებაში, რომ იგი ისტორიაში ათვლის წერტილად იქცა.

აი რატომ ვამბობთ: „ქრისტემდე...“ „ქრისტეს შემდეგ...“

იესომ გაყო ისტორია, დრო. ის დადგა ხლვარზე.

იესოთი იწყება ისტორია. მისი მიდგომა, განსხვავებულია ბუდას ან ლაო ძის მიდგომისაგან. მათ საბოლოო მიზანი ერთი აქვთ, მაგრამ მიზანს მისაღწევად მათი გზები სრულიად განსხვავებულია.

იესო უნიკალურია. იგი ამბობს, რომ შინაგანი ხრდა მხოლოდ კონფლიქტით მიიღწევა, მხოლოდ ომის წყალობით იფურჩქნება მშვიდობა. ნუ მიიღებთ მის ყოველ სიტყვას ზუსტი მნიშვნელობით, ქრისტე ხომ ქარაგმებით საუბრობს. ქრისტიანულმა სამყარომ მისი ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და სასტიკადაც შეცდა. ქრისტიანებმა ხელი მახვილი აიღეს და მილიონობით ადამიანი გაუსიტეს. არადა, იესოს ეს რიდი ჰქონდა მხედველობაში, ქრისტიანული ეკლესია მებრძოლ ეკლესიად იქცა, ის იქცა ჯვაროსნულ სვლად.

ქრისტიანები ებრძოდნენ მუსულმანებს, ინდუსებს, ბუდისტებს, ღვრიდნენ სისხლს, მაგრამ ისინი ცდებოდნენ, რამეთუ იესომ არა ამქვეყნიური, არამედ იმქვეყნიური მახვილი მოიტანა. ეს მახვილი სიმბოლოა. ყველაფერი ორად უნდა გააპო მისი საშუალებით, რადგან თქვენში მიწა და ცა შეერწყა ერთმანეთს; თქვენი ერთი ნაწილი კი მიწიერია, მეორე ციური, ანუ ღვთიური. თქვენ ხართ გადაკვეთის წერტილი და იესოს მახვილმა უნდა გაგყოთ ორ ნაწილად, რათა მიწა მიწადვე იქცეს და ღვთიური შეუერთდეს ღვთიურს.

იქნებ ვერ ხვდებით, რა ეკუთვნის მიწას. როცა გშიათ, გგონიათ, რომ მშიერი ხართ? „არა, — ამბობს იესო, — ახლა ჩემი მახვილი და მოიკვეთე იგი!“ შიმშილი სხეულის თვისება და ცხოველური მოთხოვნილებაა. ტვინი ვერ იქნება მშიერი, მაგრამ სხეულს რომ არ გააჩნია შეგრძნება, ტვინი შეიგრძნობს შიმშილს.

იქნებ გსმენიათ ერთი ძველი ზღაპარი პანჩატანტრადან*: ულრან ტყეში, მოულოდნელად ხარშარი გაჩნდა. ამ დროს ტყეში ორი კაცი იმყოფებოდა. ერთი ბრმა და მეორე ხეიბარი. ხეიბარი ვერ მოძრაობდა, მაგრამ ხედავდა, ბრმას შეეძლო მოძრაობა, მაგრამ ვერ ხედავდა. შეთანხმდნენ და უსინათლომ ხეიბარი ზურგზე შეისვა. ისინი ერთ არსებად იქცნენ. ასე დააღწიეს თავი ხარშარს და გაძარცნენ.

ეს არ ხდება უბრალოდ ზღაპარში. ეს არის ის, რაც თქვენშიც ხდება. თქვენს ერთ ნაწილს შია, მაგრამ არ გრძნობს ამას, რადგან ეს ნაწილი უსინათლოა. თქვენ სხეულს შია, სწყურია, აქვს სქესობრივი მოთხოვნილება, სჭირდება კომფორტი. ყველა მოთხოვნა სხეულიდან წარმოიშობა. თქვენი ცნობიერება კი ხედავს ამას, ამის მოწმეა თქვენი „მე“. ისინი გაერთიანდნენ, რადგან სხეულის გარეშე ვერ იმოქმედებს ცნობიერება, ცნობიერების გარეშე კი ვერ მიხვდება სხეული რა სჭირდება: შია თუ სწყურია.

იესოს „მახვილი“ ნიშნავს იმას, რომ ეს კომპრომისი უნდა გაიგო და შემდეგ მოახდინო განსხვავება: ის რაც მიწიერია, ეკუთვნის მიწას — დააკმაყოფილეო მიწიერი, მაგრამ ამან არ უნდა შეგიბუროთ, ნუ გაიგივდებით მასთან, თუკი გრძნობთ შიმშილს, ეს თქვენს სხეულს შია, დაიმახსოვრეთ — დაიკმაყოფილეთ შიმშილის გრძნობა, მაგრამ ნუ ემორჩილებით საჭმელს. ბევრი ადამიანია საჭმელზე შეშლილი. მაოთოვის ჭამა აკვიატებული აზრია; ისინი გამუდმებით ჭამენ. მერე უეცრად გული უცრუვდებათ ჭამაზე და იწყებენ მარხვას — შიმშილობენ, ერთთავად შიმშილობენ. ორივე მდგომარეობაში ხდებით აკვიატებული აზრის მონები: ჭამა ძალიან ბევრი

ისევე ცულია, როგორც, რომ იშიშილო. საჭიროა სწორი ბალანსი, მაგრამ ვინ მოგცემთ ამას?

თქვენ უნდა გაიყოთ ორად და ბოლომდე შეიცნოთ: **„ეს მიწისგანაა, ეს კი არ არის მიწიერი“.** სწორედ ამაშია იესოს „მახვილის“ მნიშვნელობა. ქრისტე ამბობს: **„მე მათ შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად მოვედი და თან მოვიტანე ცეცხლი, მახვილი და ომი“.**

რატომ ცეცხლი? ცეცხლი კაბალისტებისა* და ინდუსების ძველისძველი სიმბოლოა. ინდუსები ყოველთვის ლაპარაკობენ შინაგან ცეცხლზე, რასაც **„ტაპი“** უწოდეს, („ტაპი“ მხურვალებას ნიშნავს). შინაგანი ცეცხლის გაღვივებას **„აჯნას“** ეძახოდნენ. არსებობს შინაგანი ცეცხლის გაღვივების ტექნიკა. ამ წუთას ის თქვენში თითქმის ჩაქრა, მიიწაცრა. ის უნდა გაქეთ, აღმოაჩინოთ, მისცეთ საწვავი; საწვავის დიდი მარაგი სჭირდება. როდესაც შინაგანი ცეცხლი მთელი ძალით აგიზგიზდება, თქვენ უეცრად გარდაიქმნებით. ცეცხლის გარეშე ხომ არ არსებობს გარდაქმნა, ტრანსფორმაცია. თქვენ აცხელებთ წყალს 100 გრადუსამდე. ის ორთქლდება; იცვლება მისი ყველა თვისება.

დაკვირვებიხართ, როდესაც წყალი ორთქლად იქცევა, მთლიანად იცვლება მისი თვისება? სანამ ის წყალია, ის მიედინება ქვევით. დინება მისი ბუნებაა. შეუძლებელია წყალმა იდინოს ზემოთ, მაგრამ როდესაც 100 გრადუს ტემპერატურაზე ის იქცევა ორთქლად, იცვლება მისი ბუნება. ის მიემართება ზევით. ორთქლი არასოდეს არ მიდის ქვევით. გაცხელების წყალობით იცვლება ყველა განზომილება.

რას ნახავთ ქიმიკოსის ლაბორატორიაში? თუ იქიდან მოაშორებთ ცეცხლს, აღარაფერი აღარ მოხდება და ვინ ხართ თქვენ, თუ არა ცეცხლი? რას აკეთებთ მანამ, სანამ ცოცხლობთ? რით სუნთქავთ? ჟანგბადი ხომ საწვავია ცეცხლისათვის. როცა გარბიხართ, მეტი ცეცხლია საჭირო და ღრმად სუნთქავთ, დასვენების დროს ნაკლები ცეცხლი, ე.ი. ნაკლები ჟანგბადი გჭირდებათ. სწორედ თქვენ ხართ ცეცხლი — საჭ-

მლის, ჰაერის, წყლის საშუალებით ოქვენში ყოველ წამს ახლდება ცეცხლი.

როდესაც ცეცხლი ძალზედ ბევრია, თქვენ გიხდებათ მისი გამოთავისუფლება, რაცა ცხოველები სქესობრივად აღეგზნებიან, ჩვენ ვამბობთ, რომ ისინი იწვიან. ამ ნაოქვაში არის აზრი, ვინაიდან სქესობრივად აღგზნება მაროლაც არის ცეცხლის სახეობა, მისი სახესხვაობა. როდესაც ჩვენში იმაზე მეტი ცეცხლია, ვიდრე ძალგვიძს ავიოვისოო, საჭირო ხდება მისი გამოყოფა. ამისათვის გამოსავალი არის სექსი.

გაიხსენეთ — ცხელ ქვეყნებში აღამიანები უფრო სექსუალურნი არიან, ვიდრე ცივში. სექსს პირველად „კამა სუტრა“, „კოკაშასტრა“ და „კოკა პანდიტა“ განიხილავდნენ. აღმოსავლეთში ფროიდამდე სამი ათასი წლის წინ არსებობდნენ ფროიდისტები. დასავლეთში კი სექსმა ამ უკანასკნელ პერიოდში მოიპოვა მნიშვნელობა.

ცივ ქვეყანაში ადამიანს სხეულში არა აქვს საკმარისი ცეცხლი, რომელიც ძლიერ სექსუალობას გამოიწვევს. დასავლეთში სექსმა ამ ბოლო 3-4 ასწლეულში მოიპოვა მნიშველობა, რაღგანაც გაჩნდა ცენტრალური გათბობა. ამიტომაც იქ ადამიანები აღარ არიან ისეთი ცივები, მანამდე კი სხეულის მხურვალება გაუთავებლად ებრძოდა სიცივეს. აი ამიტომ იზრდება აღმოსავლეთის მოსახლეობა, ძნელია ამას ხელი შეუშალო. დასავლეთში კი ასეთი დემოგრაფიული აფეთქება არ არის.

გამიგონია, როცა რუსმა კოსმონავტებმა პირველად დააბიჯეს მთვარეზე ფეხი, ბედნიერები ეგონათ თავი, მაგრამ მათკენ აუჩქარებლად მიმავალი სამი ჩინელი რომ დაინახეს, გაოცდნენ. რუსებმა დიდხანს უყურეს და შემდეგ ჰკითხეს მათ: „ჩვენზე ადრე როგორ მოაღწიეთ აქამდე? თქვენ ხომ ამისათვის არც სახსრები და არც ტექნიკა არ გაგაჩნიათ? საოცრებაა როგორ შესძელით?!“

ჩინელებმა უპასუხეს: „არავითარი საოცრება. ჩვენ უბრალო მათემატიკა გამოვიყენეთ: დავდექით ერთმანეთის

მხრებზე და ასე მოვაღწიეთ მოვარენდე". ჩინელებს შეუძლიათ მიაღწიონ, ინდოელებსაც, ეს აღვილია. თუ გაღასწავლეს, ისინი სადაც გნებავთ იქ მივლენ.

სექსი სიობური და ცეცხლოვანი ფენომენია. ყოველგვარი სქესობრივი თუ სულიერი ტრანსფორმაცია ცეცხლსება დამოკიდებული.

იესოს ამხადებდა ესეების ოკულტური, ეზოთერული ჯგუფი. ისე, როგორც ინდუსებისათვის, კაბალისტებისათვის, იუდეველებისა და სუფიებისათვის*, მათთვის ცნობილი იყო ცეცხლის გაღვივების ბევრი მეთოდი. ასე, რომ აქ ლაპარაკია არა თქვენთვის ცნობილ ცეცხლზე, არამედ იმ ღრმა შინაგან ცეცხლზე, რომლის წყალობითაც არსებობს სიცოცხლე.

თუ თქვენ შეგწევთ ძალა, ეს ცეცხლი მიიყვანოთ განსაზღვრულ ღონემდე, მაშინ მოხდება ტრანსფორმაცია! მაგრამ ცეცხლი მიაღწევს ამ ტემპერატურას მხოლოდ მაშინ, თუ ის არ გამოიყოფა. აი რატომ კრძალავს სექსს ამ ცეცხლთან მომუშავე ყველა რელიგია. თუ ეს ცეცხლი დაიხარჯება სექსში, მაშინ მისი გახურება საჭირო ტემპერატურამდე არ მოხერხდება, რაღგანაც მოხდება გაყოფვა. ამიტომ, რომ არ მოხდეს ცეცხლის გაყოფვა, ყველა სავარაუდო გამოსასვლელი საფუძვლიანად უნდა ამოიქოლოს. მაშინ ის მიაღწევს 100 გრადუს ტემპერატურას, სწორედ იმ ტემპერატურას, რომელზეც უეცრად ხდება ტრანსფორმაცია, სული და სხეული გაერთიანება — მახვილია თავისი მისია შეასრულა! მაშინ თქვენ გეცოდინებათ, რა არის თქვენში მიწის და რა მოვიდა უხილავისაგან.

„...ცეცხლი, მახვილი, ომი..." საჭიროა ღრმა შინაგანი კონფლიქტი. თქვენ არ უნდა მიეცეთ ლეთარგიულ (სიღათას) ძილს, არ უნდა მოდუნდეთ მანამ, სანამ ეს თავისთავად არ მოხდება. ეს კი სულ სხვა რამ არის. უნდა იბრძოლოთ, გამოიწვიოთ კონფლიქტი, შეხლა-შემოხლა. შინაგანი ომის აღმნიშვნელი საუკეთესო გამოთქმაა — შეხლა-შემოხლა.

გიორგი გურჯიევი* სწორედ ამის საშუალებით მოქმედებდა, ის სხეულში იწვევდა შეხლა-შემოხლას. ამ წუთში შეიძლება ვერც ამჩნევთ, მაგრამ გახსოვდეთ: ერთ მშვენიერ ღღეს თქვენ მიხვდებით, რომ თქვენს სხეულში არის ენერგიის ბევრი ფენა. თუ არ ხდება შინაგანი შეხლა-შემოხლა, მაშინ თქვენ იყენებთ ენერგიის მხოლოდ ზედა ფენას. თუ წარმოიშობა მძიმე კონფლიქტი, ზედა ფენა გამოიფიტება და ამის შემდეგ ამოქმედდება მეორა ფენა.

მაგალითად, თქვენ ყოველთვის იძინებთ საღამოს 10 საათზე და ამ დროს რული გერევათ. ნუ დაწვებით დასაძინებლად, იუხისლეთ! ამ მეთოდს ხშირად იყენებენ სუფიები. ქრისტეშაც ამ მეთოდს მიმართა — უდაბნოში მას ორმოცი ღღე-ღამის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს, იკვდა მთაზე და ფხიზლობდა. თუ თქვენ არ იძინებთ 10 საათზე, რამდენიმე წუთში რული გერევათ, ნაგეთვლიმებათ და იოცნებით, მაგრამ თუ წინააღმდეგობას გაუწევთ ძილს, თქვენში შინაგანი ომი და შეხლა-შემოხლა დაიწყება. თქვენ გაორდებით. ერთ ნაწილს ენდომება ძილი, მეორეს — არა. თუ არ დანებდებით, უეცრად აღმოაჩენთ, რომ ძილ-ბურანი ქრება და თავს უფრო ხალისიანად იგრძნობთ. ახლა ძალიანაც რომ მოინდომოთ, ნაძინება გაგიჭირდებათ. რა მოხდა?

იყო ორი გზა და შეხლა-შემოხლამ წარმოშვა ენერგია. ენერგიას ყოველთვის შეხლა-შემოხლა წარმოშობს. მთელი მეცნიერება ეფუძნება შინაგან შეხლა-შემოხლას, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის ენერგიას. ძრავიანი მანქანები მარტივ მექანიზმს წარმოადგენს. მასში გამოყენებულია ხახუნის პრინციპი, რომლის დროსაც ორი საგანი ებრძვის ერთმანეთს. როდესაც თქვენს სხეულს ეძინება, თქვენ კი არ გსურთ ძილი, იწყებთ ომს. ამ შინაგანი შეხლა-შემოხლის შედეგად წარმოიშობა დიდი ენერგია.

ძალიან ცუდი იქნება, თუ დანებდებით. თუ დასთმობთ, ორთაბრძოლაში გაიმარჯვებს სხეული, ცნობიერება კი დამარცხდება. ასე რომ, თუ ეცდებით ზემოთ თქმულის განხორ-

ციელებას, იმოქმედეთ იმის სრული შეგნებით, რომ არ უნდა დანებდეთ. სხვა შემთხვევაში სჯობია არ სცადოთ ის მეთოდები, რომლებიც იყენებენ შეხლა-შემოხლას, სახიფათოა: თუ ვერ მოახერხებთ გამარჯვებას, თქვენ იქნებით წაგებული და მაშინ დაკარგავთ საკუთარი თავის რწმენას. თუკი ცდით, უნდა გაიმარჯვოთ და თუ ბევრჯერ განიცდით მარცხს, გამარჯვების სულ უფრო ნაკლები შანსი დაგრჩებათ. თქვენი ცნობიერება დასუსტდება, სხეული კი გაძლიერდება.

თუკი გადაწყვიტეთ, გამოიყენოთ შეხლა-შემოხლის ნებისმიერი მეთოდი, მაშინვე ღიისახეთ მიზნად გამარჯვების მოპოვება. აქ წაგება ღაუშვებელია. ეს ბრძოლა ურნა მოიგოთ. ამ მოგებით თქვენ მიაღწევთ ენერგიის უფრო ღრმა ფენას.

გამარჯვების შემთხვევაში შეამჩნევთ, რომ თქვენში მიიღეთ სხეულის სხვა ფენის ენერგია და გახდით უფრო ძლიერი. მაშინ ყოველი ახალი ბრძოლა უფრო მეტად გაგაძლიერებთ მანამ, სანამ სხეულის მთელი ენერგია არ გაღავა თქვენს „მე"-ში.

გურჯიევი ზუსტად ასევე მოქმედებდა, იგი აქტიურად იყენებდა შეხლა-შემოხლას. მისი საშუალებები ძალიან სახიფათო და საშიში იყო. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე მან საავტომობილო ავარია მოახდინა შეგნებულად. გურჯიევის მსგავსი ადამიანების ცხოვრებაში არ არსებობს შემთხვევითი მოვლენები. ასეთი ადამიანი იმდენად ყურადღებიანია, იმდენად შეგნებული, რომ მასთან შემთხვევითობა შეუძლებელია. მაგრამ ამასთანავე მას შეუძლია დაუშვას, ან გამოიწვიოს კიდეც სახიფათო შემთხვევა, რაც გურჯიევმა განახორციელა კიდეც.

გურჯიევი მანქანას დიდი სიჩქარით მართავდა, მაგრამ სიცოცხლეში არ შემთხვევია არცერთი ავარია. იგი თავზეხელაღებული მძღოლი იყო. არ სწამდა მოძრაობის წესებისა და არანაირი კანონებისა.

ერთხელ თავის აშრამიდან იგი პარიზს მიემგზავრებოდა. ვიღაცამ ჰკითხა: „როდის გელოდოთ?" „თუ ცოცხალი ისე

იქნება, როგორც გვიქრობ, მაშინ სალამოს დაბრუნდები, თუ არა და ძილი სათქმელია“ — უპასუხა გურჯიევმა. მართლაც, უკან დაბრუნებისას შეემთხვა საშიში ავარია და ექიმები განცვიფრდნენ, როცა გურჯიევი ცოცხალი ნახეს, თუმცა მანქანა ნამსხვრევებად იყო ქცეული. გურჯიევი ცოტა მოშორებით ნახეს, ხის ქვეშ. იგი მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო, მაგრამ გონი როდი დაეკარგა. ეს იყო მის მიერ საკუთარ არსებაში გამოწვეული შეხლა-შემოხლა, რომელიც კი ოდესმე გამოუწვევია. მან საკუთარი სხეული სიკვდილის პირას მიიყვანა და სურდა, რომ სად გონზე ყოფილიყო.

გურჯიევი ცოცხალ, ყურადღებიან არსებად ღარნა ბოლომდე და ამ მომენტში მიაღწია უმაღლეს ხარისხს, რომელიც კი ადამიანს ხელეწიფება. ის გახდა ცენტრირებული საკუთარ გონიერებაში — მიწიერი ნაწილი მთლიანად განცალკევებული იყო. ეს ნაწილი იქცა გაიტარად: მას შეეძლო მისი გამოყენება მასთან გაიგივების გარეშე.

აი, რას გულისხმობს იესო, როცა ამბობს: „მე მოვიტანე ცეცხლი, მახვილი და ომი, ადამიანები კი ალბათ ფიქრობენ, რომ მშვიდობის მოსატანად მოვედი...“

„ვინაიდან შინ იქნებიან ხუთნი: სამი იქნებიან ორის წინააღმდეგ და ორნი — სამის წინააღმდეგ... და იდგებიან ისინი, ვითარცა ერთადერთნი...“

„...ვინაიდან შინ იქნებიან ხუთნი...“ — ეს არის იგავი: „ხუთნი შინ“ — ეს არის თქვენს სხეულში არსებული ხუთი გრძნობა. მართლაც, თქვენში ძალიან ღრმად არის ხუთი ცენტრი, რაღგან თითოეულ გრძნობას გააჩნია საკუთარი ცენტრი. ყოველი მათგანი გმართავთ თავისი მიმართულებით: თვალები გეუბნებიან: „შეხედე, ეს ლამაზია.“ თვალს არ აინტერესებს შეხება; ხელს თავის წილ, არ აინტერესებს ლამაზი ადამიანის, ან ხის ღანახვა.

ხუთივე გრძნობა არსებობს, როგორც ხუთი სხვადასხვა ცენტრი, ტვინი კი გამუდმებით ახდენს იმის კოორდინირებას, რასაც ღებულობს ამ ხუთი გრძნობიდან. როდესაც მიყურებთ,

ან მისმენთ, მიყურებთ თვალებით და მისმენთ ყურებით — თვალებს არ ესმით და პირიქით, ყურები ვერ ხედავენ. როგორ ხვდებით, რომ იმ ადამიანის გესმით, რომელსაც უყურებთ? ტეინი ახდენს კოორდინირებას, ის კომპიუტერია: ის ერთმანეთს უპირისპირებს იმას, რითაც იკვებებიან თვალები და ყურები და გვაძლევს ამოხსნას.

გურჯიევი იყენებდა **შეხლა-შემოხლის** მეთოდს, ამასვე მიმართავდა იესოც.

მათ, ვინც იციან ქრისტეს ცხოვრების დიდი საიდუმლოებები, ამბობენ, რომ იესო ჯვარს კი არ აცვეს, მან თავად მოაწყო საკუთარი ჯვარცმა. ისინი, ვინც მას ჯვარზე აკრავდნენ, ფიქრობდნენ, რომ კლავდნენ მას, მაგრამ იესოსნაირ ადამიანებს ვერ მოკლავთ. მას ხომ იოლად შეეძლო სიკვდილის თავიდან აცილება თუნდაც იმიტომ, რომ წინასწარ იცოდა, რომ უნდა შეეპყროთ. შეეძლო, საერთოდ გასცლოდა იმ ქვეყანას, ეს არ იყო ძნელი, მაგრამ ის მივიდა დედაქალაქში. იმასაც ამბობენ, რომ იუდა მისი მტერი კი არა, მეგობარი იყო, რომელიც მას დაეხმარა. **იესოს ჯვარზე რომ აკრავდნენ, ამ დროს მიმდინარეობდა მისი ბოლო შინაგანი ომი, უკანასკნელი და უდიდესი შეხლა-შემოხლა.** სიკვდილის პირას მისული, ის არ კარგავდა ღვთიურისადმი რწმენას, მიწიერთან გაერის ჟამს ის არ იყო გაიგივებული სხეულთან.

გურჯიევი ამბობს, რომ ქრისტეს ჯვარცმა სპექტაკლი იყო, რომლის ჭეშმარიტი ავტორობა არც პილატეს და არც მღვდელთმთავარს არ უკისრიათ. ეს სპექტაკლი თვით იესომ დადგა და თანაც ისე მშვენივრად, რომ დღემდე ამოუცნობი რჩება.

თქვენივის ალბათ წარმოუდგენელია, როგორ შეიძლება ადამიანი საკუთარი ნებით გაეცეს ჯვარზე, მაგრამ რელიგია სწორედ ეს არის: საკუთარი თავის ჯვარცმა. ამ დროს შეხლა-შემოხლის იმ ზღვარს აღწევ, როდესაც დგება სიკვდილი.

იესო ამბობს: „**ვინაიდან შინ იქნებიან ხუთნი: სამნი იქნებიან ორის წინააღმდეგ და ორნი—სამის წინააღ-**

მდეგ“. ბრძოლა უნდა დაიწყოს, თანაც შეგნებულად. გრძნობებმა უნდა გაამწვავონ ურთიერთშორის დამოკიდებულება. ისინი ისედაც იბრძვიან, მაგრამ შეუგნებლად. თუ შეგიმჩნევიათ, უსიამოვნოს უცრო ძლიერი სჩვა აქვს, ვიდრე ნორმალურ მხედველს. ბრმები ხშირად არანორმალურები მუსიკოსები და მომღერლები გამოდიან. მათ ძლიერ აქვთ ბგერის აღქმის უნარი განვითარებული. მათი ყურები მგრძნობიარეა, რადგან თვალები ვეღარ მეტოქეობენ ყურებს. ის ენერგია, რაც თვალებს უნდა დაეხარჯათ, სხვის ორგანოებს გადაეცემათ.

თქვენი თვალები იყენებენ თქვენსავე ენერგიის 80%-ს და მხოლოდ 20% რჩება სხვა ორგანოებს. თვალი თქვენი სხეულის ორგანოების „დიქტატორია“ და ზოგიერთი გრძნობა ამიტომ გიქვეითდებათ.

ხოგს არა აქვს განვითარებული ყნოსვა, მაგრამ ამაზე რიდი მოსთქვამენ. ისინი ვერც კი ამჩნევენ, რომ სურნს შეგრძნება დაკარგული აქვთ. თვალებმა მთლიანად გაძარცვეს ცხვირი. ისინი ხომ ისე ახლო ახლოს არიან ერთმანეთთან, რომ ერთმანეთის დანახულის მითვისება შეუძლიათ. ბავშვებს გაანისათ ყნოსვა, მაგრამ დროთა განმავლობაში ის იკარგება, რადგან თვალები სულ უცრო მეტ ენერგიას ხარჯავენ. თვალი იქცა ჩვენი არსებობის ცენტრად, ეს კი ცუდია.

შეხლა-შემოხლა გრძნობებს ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართავს. არსებობდა სკოლები, მეთოდები, სადაც ხელოვნურად ხდებოდა ერთ-ერთი კონკურენტი გრძნობის მთლიანად გამოთიშვა, ასე ეწვევდნენ ბრძოლას.

მრავალი მეთოდი აძლევს მაძიებლებს შემდეგ რჩევას: რამდენიმე თვის განმავლობაში ნუ გაახელთ თვალს. ენერგია დაიწყებს გადაადგილებას და თქვენ იგრძნობთ ამას. სამი თვის განმავლობაში სულ თვალდახუჭული თუ იქნებით, იგრძნობთ, თუ როგორ მიეშართება ენერგია ყურებისაკენ, ცხვირისაკენ; შესაძლოა, ყნოსვაც დაგიბრუნდეთ; იგრძნობთ სუნს. სამი თვის განმავლობაში ყურებს თუ დაიცობთ, თუ მხოლოდ დაინახავთ და ვერ გაიგონებთ, იგრძნობთ ენერგიის გაწყვეტელ ღინებას.

თუ შეიძლება, დაინახოთ, როგორ იბრძვიან თქვენი გრძნობები, თქვენ განცალკევდებით მათგან, იქცევით მოწმედ. თქვენ აღარ იქნებით არც თვალები, არც ყურები, არც ხელები და არც სხეული — თქვენ იქნებით მოწმე. სხეულში გაგრძელდება ბრძოლა, თქვენ კი მეთვალყურე იქნებით. აი, ეს ღრმა ახრი დევს ამ იგავში, მაგრამ ის ჭეშმარიტია სხვა თვალსაზრისითაც.

„ვინაიდან შინ იქნებიან ხუთნი, სამნი იქნებიან ორის წინააღმდეგ და ორნი — სამის წინააღმდეგ, მამა-შვილის წინააღმდეგ და იდგებიან ისინი, ვითარცა ერთაღერთნი...!“ თუ ოჯახი ხუთეულთანია, სამი შეეწინააღმდეგება ორს და პირიქით, — აი, ამ ნათქვამის მეორე მხარე: ოჯახში მორწმუნე ადამიანის განსხვავებაც იწყება შეხლა-შემოხლა, რადგან ოჯახი ძნელად თუ იპოვის რელიგიურ ადამიანს. რელიგიური ადამიანი ძალზე საშიშია ოჯახისათვის. ოჯახი ყველაფერს იტანს რელიგიის გარდა, რადგანაც რელიგიური გახდებით თუ არა, თქვენ აღარ გააიგივებთ თავს სხეულთან.

ოჯახი ერთი სისხლისა და ხორცის ადამიანთა ერთობლიობაა: მამათქვენი სხეულის გამოა თქვენი მამა. უკეთუ ფიქრობთ, რომ თქვენ ხართ სხეული, მაშინ ენათესავებით მამათქვენს, მაგრამ თუ მიხვდით, რომ ეს ასე არ არის, მაშ ვინ არის მამათქვენი? ღედათქვენმა თქვენ კი არა, თქვენი სხეული დაბადა. თქვენ კი ისე გაიგივდით სხეულთან, რომ ფიქრობთ, თითქოს დედამ გშობათ. მაგრამ ვინ არის დედა, თუ უარყოფთ სხეულთან გაიგივებას? მან მხოლოდ თქვენი სხეული დაბადა, რომელიც მოკვდავია, ასე, რომ დედ-მამამ სიკვდილს კი არა, სიკვდილი გაჩუქათ. როგორც კი უარყოფთ საკუთარ სხეულთან გაიგივებას, შორდებით ოჯახს და ეს ფესვების მოკვეთის ტოლფასია.

ოჯახი ეგუება იმას, რომ მეძავებიან ატარებთ დროს. ამაში არაფერია დასაძრახი, ამით უფრო მეტად უახლოვდებით სხეულს. თუ დაიწყეთ მელტაცების ჩატარება და სანიასნი

გახდით, ეს უკვე ცუდია. ოჯახი ველარ გმართავთ, თქვენ შელახეთ მისი და ამქვეყნიური ცხოვრების ღირსება. ამიტომაც ამბობს იესო: „მამა შვილის წინააღმდეგ და შვილი მამის წინააღმდეგ და მე მოვედი, რათა აგაღელვოთ, განგაშოროთ, აგაჯანყოთ...“

ეს სრული სიმართლეა. თქვენ შეგეძლიათ თაყვანი სცეთ ბუდას, მაგრამ მაშინისი ხომ უარყოფს მას. ნათესავებიც; მისი წინააღმდეგნი არიან. ბუდა არ დაემორჩილა მათ და სხვებსაც დაეხმარა, ოჯახისა და საზოგადოების ტვირთისაგან განთავისუფლებულიყვნენ.

ოჯახი საზოგადოების მთავარი ერთეულია. თუ საზოგადოებას ტოვებთ, მოგიწევთ ოჯახის დატოვებაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნდა შეეძულოთ ის — საქმე ამაში რიდია; ეს არ ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ წახვიდეთ მის წინააღმდეგ — საქმე ამაშიც არ არის. ეს ისედაც მოხდება: ყველაფერი, რაც ადრე იყო, საკუთარი თავის ძიების პროცესში აღშფოთდება, დაირღვევა, აღმოცენდება ქაოსი. როგორ უნდა მოიქცეთ? ისინი ყველა ღონეს იხმარენ, უკან რომ დაგაბრუნონ. სად არის გამოსავალი? არსებობს ორი გზა. პირველი გზა, ეს გაქცევაა საზოგადოებისაგან და იმ საშუალებების მოსპობა, რომლებიც ეცდებიან თქვენს უკან დაბრუნებას. ნემი აბრით, ეს გზა ნაკლებად გამოგადგებათ. მეორე გზა საზოგადოებაში დარჩენა და ნიღბის აყარებაა. ნუ გააგებინებთ, რომ მიდიხართ მათგან და გასწიეთ! დაე, იყოს თქვენს სულში მოგზაურობა. გარეგნულად ყველა ფორმალობა შეასრულეთ — ემორჩილეთ თქვენი მშობლების ნაფეხურებს და თქვენ იქნებით საუკეთესო მსახიობები.

ძველი გზით სიარული ბევრს არ შეუძლია. ამის გამოა, კაცობრიობა რომ ვერ გახდა რელიგიური — განა რამდენს შეუძლია საზოგადოების დატოვება? თუნდაც რომ მოშორდნენ ისინი საზოგადოებას, ამ უკანასკნელმა მაინც უნდა იბრუნოს მათზე. მაშინ, როცა ბუდა, მაჰავირი, ან იესო ცხოვრობდნენ, ათასობით ადამიანმა დატოვა ოჯახები, მაგრამ მხოლოდ

აიასმა — მილიონობით ადამიანი დარჩა და მათ უნდა ეზრუნათ განდგომილებზე. ამ გზით მთელი მსოფლიო ვერ გახდება რელიგიური, ამის მიღწევა უფრო ლამაზი გზით შეიძლება, რომელიც კარგ მსახიობობას გულისხმობს.

სანიასინი კარგი მსახიობი უნდა იყოს. ამაში მე შემიძლია გგულისხმობ. თქვენ აღარა ხართ შებოჭილნი, მაგრამ, ამავე დროს, ყოველგვარ ფორმალობას ასრულებთ. თქვენი ფესვები ოჯახიდან ამოძირკვულია, მაგრამ თქვენ ამას არაფრით არ ამჟღავნებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებისა და ოჯახის წევრები თქვენს ხელახლა აღზრდას შეეცდებიან. გარეგნულად ისე უნდა გამოიყურებოდეთ, რომ მათ არ მისცეთ ამის ეჭვიც კი: თქვენ საკუთარ შინაგან სამყაროში იმოგზაურებთ და საკმარისი იქნება უბრალო სპექტაკლის გათამაშება, ვინაიდან ისინი ცხოვრობენ ზერელე ურთიერთობით და სულაც არ სჭირდებათ შინაგანი თაყვანისცემა, შინაგანი სიყვარული.

ეს პირველი გზა ბუდასა და იესოს გზაა, მეორე კი ჯანაკას* და ჩემი. დარჩით იქ სადაც ხართ. გარეგნულად ნუ შეიმჩნევთ, რომ იცვლებით და რელიგიურნი ხდებით, ვინაიდან ამას უამრავი სირთულე მოჰყვება, არა და, შეიძლება თქვენ ჯერ კიდევ არ იყოთ საკმარისად ძლიერნი. გამოიწვიეთ შინაგანი კონფლიქტები, მაგრამ მოერიდეთ ადამიანებთან უთანხმოებას. შინაგანი კონფლიქტი საკმარისი იქნება თქვენი ზრდისა და მომწიფებისათვის.

„...მამა იქნება შვილის წინააღმდეგ და შვილი — მამის წინააღმდეგ... და ისინი იდგებიან, ვითარცა ერთადერთნი...“

საჭიროა ღრმად გავიაზროთ სიტყვა „ერთადერთნი“. როცა თქვენ რელიგიური ხდებით, იქცევით მარტოსულად, თქვენთვის აღარ არსებობს საზოგადოება, თქვენ სრულიად მარტონი ხართ. იმის შეგნება, რომ თქვენ მარტო ხართ, არის უდიდესი ტრანსფორმაცია, რადგან ტვინს ეშინია მარტოობის, მას სჭირდება ვინმე, ვისაც დაეყრდნობა, ვისაც მოეჭიდება.

მარტოდ დარჩენილები თქვენ კანკალებთ, შიში გიპყრობთ. იგრძნობთ თუ არა მარტოობას, მაშინვე მიისწრაფით საზოგადოებისაკენ — კლუბში, კონცერტიაზე, სექტაში, ეკლესიაში, — სადმე, სადაც არის თავყრილობა, სადაც თავს არ იგრძნობთ მარტო. აი, რატომ შეიძინა ბრბომ მნიშვნელობა. თქვენ მიდიხართ იპოდრომზე, კინოში, რადგან გჭირდებათ ხალხის მასა, რომელშიც თავს აღარ გრძნობთ მარტო, საღაც შეგიძლიათ მოდუნდეთ. რელიგიური ადამიანი მარტოსულია, რადგან ის ცდილობს უმაღლესი მწვერვალების დაპყრობას. ის არ კარგავს საკუთარ თავს მასში. იგი ღრმად ღრე უყურებ გულმოდგინე, შეგნებული და ყურადღებიანი ხდება, რომ ეხიაროს ჭეშმარიტებას. ყოველი ადამიანი მარტოსულია, ყოველი ერთობა შეუძლებელია. თქვენი ცნობიერება ეული მწვერვალია. მარტოობაშია სილამაზე და თქვენ არ უნდა გეშინოდეთ მარტოობის. წარმოიდგინეთ ეევრესტი მასავით მაღალ მწვერვალებთან ერთად და მისი სილამაზე და სიდიადე მაშინვე გაქრება. მორწმუნე ადამიანიც ეევრესტს ჰგავს. იგი მარტოობით ცხოვრობს და ტკბება.

ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ უყვარდეს ადამიანები და არ საქმიანობდეს საზოგადოებაში. პირიქით, მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია სიყვარული, მხოლოდ მას შეუძლია მოქმედება — იმიტომ, რომ ის უკვე არსებობს. თქვენ ჯერ არ არსებობთ, მაშ როგორ შეძლებთ სიყვარულს? მხოლოდ რელიგიურ ადამიანს ძალუძს სიყვარული. მისი სიყვარული ნარკოტიკს არა ჰგავს, რომ მისთვის დამდუპველი იყოს. მას შეუძლია ყველაფერი გაიღოს რაც გააჩნია, მსხვერპლად მიიტანოს საკუთარი თავი და ამასთან ერთად, თავისთავადი დარჩეს. მას ძალუძს დაიხარჯოს თქვენისთვის და მისი ენერგია არ დაცარიელდება, ვინაიდან მუდმივ მიზანდასახულობას და თვითმარტივას ყოველთვის ინარჩუნებს თავისი არსების სიღრმეში. თქვენისვე არსების შუაგულში თქვენ მარტო ხართ — შეიგრძენით მარტოობის სისპეტაკე და სილამაზე. მაგრამ რადგან დაიბადეთ, გაიზარდეთ და ცხოვრობთ გარკვეულ საზო-

გალობაში, გეუფლებათ შიში. ამის გამო სრულიად დაგავიწყდით, რომ თქვენ მარტოსაც შეგიძლიათ იარსებოთ! განმარტოვდით რამდენიმე ღღით, რათა უბრალოდ შეიგრძნოთ თქვენი მარტოობა — ის შესანიშნავია. ნუ ღაიბნევით. ღარჩით შეცნებულ, უხოხელ ალამიანად. გადით საზოგადოებაშიც და ამავე დროს ღარჩით მარტოსული.

თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ იყოთ ხალხში და მაინც მარტოდ იგრძნოთ თავი. როცა მარტო ხართ, მაშინაც შეძლებთ ხალხში ყოფნას. შეიძლება ასეც მოხდეს, რომ ახვიდეთ ჰიმალაის მთებში ღა ბაზარზე იფიქროთ. თქვენ ამ დროს უკვე ბრბოში აღმოჩნდებით.

ერთხელ ჯუნაიდი თავის მოძღვართან მივიდა ტაძარში. მან ჯუნაიდს მიმართა: **„ჯუნაიდ, მარტო მოდი, ნუ მოგყვება თან ეს ბრბო“**. ჯუნაიდმა, რასაკვირველია, უკან მოიხედა, ეგონა ვინმე შემოვიდა ჩემთან ერთად, მაგრამ ვერავინ ღაინახა. მოძღვარს გაეცინა ღა უთხრა: **„უკან კი ნუ იცქირები, საკუთარ სულში ჩაიხედე!“** ჯუნაიდმა თვალები დახუჭა და მიხვდა, რომ მოძღვარი მართალი იყო. მან ღატოვა ცოლშვილი, მაგრამ მაინც ფიქრობდა, მათი სახე თვალიდან არ შორღებოდა. იგი გამოსამშვიღობებლად მოსულ მეგობარსაც ფიქრობდა. მოძღვარმა უთხრა: **„გაღი გარეთ ღა მარტო შემოღი. აბა, როგორ გელაპარაკო ამ ბრბოს?“** ჯუნაიდს ერთი წელი ღასჭირდა ამ ბრბოსაგან გასათავისუფლებლად. ერთი წლის შემღეგ ოსპარემა მოიხმო: **„ახლა შენ შიგნ ხარ, ჯუნაიდ. შენ მარტო ხარ ღა ჩვენი ღიალოგიც შესაძლებელია“**.

შესაძლოა შენში ატარო ბრბო; შესაძლოა იყო ბრბოში ღა მაინც მარტო ღარჩე. სცაღეთ: როცა მოხვღებით ხალხმრავლობაში, მაგალითად ბაზარში, უბრალოდ იფიქრეთ რომ მარტო ხართ. ეს მართლაც ასეა. ამღენიგ, ეს არ იქნება ძნელი წარმოსაგღენი. თქვენ შეგწევთ უნარი ეს იგრძნოთ ღა რაგღგან შეგიძლიათ იგრძნოთ რომ მარტო ხართ, ე.ი. უკვე გახღით მარტოსული. იესო ამბობს, რომ მოვიღა, რათა

გაქცეთო მარტოსულებად, მარტოლტოლებად. „მე თქვენ მოგცემთ იმას, რაც თვალს არ უნახავს, რაც ყურს არ სმენია, რასაც ხელი არ შეხებია და რაც ადამიანის გულში არ დაბადებულა“.

თქვენს თვალებს არ ძალუძთ იმის დანახვა, რაც თქვენშია. თქვენს ყურებს არ შეუძლიათ თქვენი შინაგანი ხმის მოსმენა. თქვენი ყველა გრძნობა გარეგანი ობიექტებისკენაა მიმართული. ასე რომ, როცა ყველა შეგრძნება გაგიქრებათ, თქვენ აღმოჩნდებით შიგნით, საკუთარ არსში.

იესო ქადაგებს: „მე მოგცემთ იმას, რაც კაცის თვალს არ უნახავს, მაგრამ ჯერ მარტოსულნი გახდით“. სწორედ ამ გაგებით ვხმარობ მე სიტყვა „სანიასინს“ (მარტოხელა). ჯერ სანიასინი გახდით, შეიგრძეთ თქვენი მარტოობა და ამ დროს თავი იაფასუფლად და მსუბუქად იგრძენით, დაინახეთ მარტოობის სილამაზე და სიღრმე, სიწმინდე და საიდუმლოება, მარტოობა ქალწულივით ხელშეუხებელია.

თქვენი უმანკოება დაფარულია თქვენში. გახდით სანიასინი, დარჩით მარტო და მაშინ „მე თქვენ მოგცემთ იმას, რაც თვალისჩინის უხილავია“ — ამბობს იესო.

როდესაც მარტოსული ხდებით, როდესაც სრულიად მარტო რჩებით, უეცრად თქვენთვის მისაწვდომი ხდება ის, რისი დანახვაც არანაირ თვალს არ შეუძლია, რისი გაგონებაც ყურს არ ძალუძს, რაც ხელშეუხებელია. როგორ შეგიძლიათ შეეხოთ თქვენს „მე“-ს? შეგიძლიათ შეეხოთ სხეულს, მაგრამ არა „მე“-ს. ხელი იქ ვერ შეაღწევს, მას არ შესწევს ძალა შეეხოს ცნობიერებას, ასეთი შესაძლებლობა არ არსებობს.

და აი, ბოლო ფრაზაც, ერთ-ერთი უმშვენიერესი ფრაზა, რაც კი ადამიანის მიერ თქმულა: „...და იმას, რაც არ შობილა ადამიანის გულში“...

თქვენი სული ხომ თქვენსავე გულს აღემატება. გული სხეულის შიგნითაა, მაგრამ სულთან შედარებით ისიც გარეთ არის. სხეულში შიშმილი იბადება, გულში კი- სიყვარული, მაგრამ არა ლოცვა. ლოცვა უფრო სიღრმისეულია. ღმერთი

გულის კი არა, უფრო ზეცნობიერების მოთხოვნილებაა. ურდა აუცილებელი ტვინსაც და გულსაც. საჭიროა მიელი პერიფერიის დაძლევა, რათა დარჩეს ცენტრი.

რა არ შობილა ადამიანის გულში? ღმერთი არ დაბადებულა ადამიანის გულში, თუ ადამიანის გონება ბადებს მეცნიერებასა და ფილოსოფიას, გულში ხელოვნება და პოეზია იბადება, მაგრამ არა რელიგია.

რელიგია კი იმ ულრმეს ფენაში იბადება, რომლის იქით არავითარი მიზანი არ არსებობს. იგი წარმოიშობა თქვენიდე არსების ცენტრში, რომელიც გულიც კი არ არის, რაღაც სხვაა.

„მე თქვენ მოგცემთ იმას,... რაც არ დაბადებულა ადამიანის გულში“... იმას, რაც არის „შორს, შორს, შორს,“ ყველა საზღვარს მიღმა. თქვენ არ შეგწევთ ძალა, დაინახოთ ან მოუსმინოთ მას, იგრძნოთ იგი. ამ საკითხში იესო ურო ღრმად მიდის, ვიდრე გულით მისტიკოსები. მისტიკოსების სამი ტიპი არსებობს — პირველი, გონებით მისტიკოსები, რომლებიც თეოლოგიური და ფილოსოფიური ცნებებით ლაპარაკობენ; მათ აქვთ ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი საბუთები. არ არსებობს არანაირი მტკიცება, ან ყველაფერი ერთად უკვე მტკიცებაა. შეუძლებელია დაამტკიცო ღმერთის არსებობა, ვინაიდან ნებისმიერ მტკიცებაზე შეიძლება კამათი და აქედან გამომდინარე იმის დამტკიცებაც, რომ ნებისმიერი მათგანი არასწორია. მეორე, გულით მისტიკოსები სიყვარულზე, საყვარელ არსებაზე, ღვთაებაზე, კრიშნაზე საუბრობენ. თავიანთ სათქმელს მუსიკითა და პოეზიით გადმოსცემენ, რამეთუ რომანტიკოსები არიან. მათი ძიებები შელარებით ღრმაა, მაგრამ საკმაო სიღრმე არც მათ აქვთ.

იესო ამბობს: „მე თქვენ მოგცემთ იმას, რაც ადამიანის გულშიც კი არ დაბადებულა...“ რაღაც ისეთს, რასაც ვერ შეიცნობს ვერც თეოლოგია, ვერც პოეზია, ვერც ლოგიკა, ვერც სიყვარული. ეს უკანასკნელიც აქ ჩერდებიან, „მე თქვენ მოგცემთ იმას, რაც არ დაბადებულა ადამიანის გულში“.

ეს არის საკუთარი თავის პოვნის საშუალება, მაგრამ ქრისტიანულ სამყაროში ადამიანის თავს მიანდეს ამის ახსნა. ნახეთ თომა აქვინელის* „თეოლოგიის ჯამი“ და მიხვდებით, რამხელა მარცხი განიცადა თეოლოგთა შეხედულებებმა. იესო ხომ თავში არ არის. მოაზროვნე თეოლოგებმა გულით მისტიკოსები ეკლესიიდან განდევნეს, მათ შორის ეკჰარტი და ფრანცისკი. მათ შეშლილები და ერეტიკოსები უწოდეს, რადგან ისინი გულსა და სიყვარულზე ლაპარაკობდნენ.

მაგრამ იესო ვერც თეოლოგებმა შეიცნეს და ვერც გულით მისტიკოსებმა, რადგან მას არ ჰქონდა ორიენტირი. იესო მოგიწოდებთ, მოიშოროთ ყველაფერი გარეგანი და საკუთარი არსების შუაგულში შეაბიჯოთ, სადაც ხართ მხოლოდ თქვენ, სადაც მხოლოდ თქვენი არსება ჰფლობრებს, სადაც მხოლოდ ყოფიერებაა.

თქვენ გაქვთ ძალა აქამდე მისვლისა: და თუ მიხვედით, მაშინ გაიხსნება ყველა საიდუმლო და გაიღება ყველა კარი. მაგრამ შესაძლოა ზედ კართან მისულმაც დაუშვათ შეცდომა. თუ კვლავაც გონებაზე აიღებთ ორიენტაციას, დარჩებით კარს გადმოღმა თეორიტიკოსობით დაკავებული. შესაძლოა კართან იდგეთ პოეზიაში გართულები — ლაპარაკობდეთ პოეზიითა და მუსიკით და ამიტომაც კარის ზღურბლს ვერ გადააბიჯოთ.

ერთხელ მოლა ნასრედინი ფსიქიატრთან მისულა და უთქვამს: „საგონებელში ვარ ჩაგარდნილი, მიშველე რამე. უკვე ათტანელია ერთი და იგივე სიზმარი, რომელსაც ყოველღამ ვნახულობ — თითქოს კართან ვდგავარ, შიგნით ვაწვები და მინდა გავაღო, კარზე წარწერაა. მე კი უშედეგოდ ვწვალობ და ვერ გამიღია კარი...“

ფსიქიატრმა მოლას ნაამბობი ჩაიწერა, ნახევარსაათიანი ბაასის შემდეგ კი ჰკითხა: „ახლა მითხარი, ნასრედინო, რა აწერია კარს?“

მოლამ უპასუხა: „წარწერა ასეთია: „გამოსწიე შენკენ!“

თუ კარზე სწერია, „გამოსწიეთ“, რომ გაიღოს, ნუ ჰკრავთ ხელს იქით, თორემ ეს განმეორებად სიზმრად

გექცევათ. თქვენ ლაქვავგურებით კარის და ვერაფერს გახლებით, არა და არანაირი სირთულე არ არის აქ. უბრალოდ წაიკითხეთ წარწერა კარებზე.

იესო ამბობს, რომ კარზე არც „გონება“ სწერია და არც „გული“, არამედ სხვა, რაც გულსაც აღემატება და გონებასაც.

გახსოვდეთ, რომ საზღვარს უნდა გასცდეთ. ნუ გახდებით ლოგიკისა და გონების, ემოციებისა და სენტიმენტალობის მსხვერპლი, გონებაც და გულიც სხეულს ეკუთვნის. გასცდით მათ და გახლებით აღმატებულნი.

და რა დაგხვდებათ იქ? იქ უბრალო ყოფიერებაა, იქ თქვენ უბრალოდ იგრძნობთ თავს. ეს არის მედიტაცია და ეს წერია კარზე.

კარი უეცრად იღება მაშინ, როცა უბრალოდ არსება ხართ და აზრებთან და ემოციებთან არ იგივდებით. აღარ არის ღრუბლები, თქვენ გამოაშკარავდით, ცეცხლს აღარ ახლავს კვამლი, არის მხოლოდ ცეცხლი — და თქვენ შეხვედით კარში.

„...და მე თქვენ მოგცემთ იმას, რაც არ დაბადებულა ადამიანის გულში...“

1974 წლის 22 აგვისტო
პუნა, ინდოეთი

საშბარი მესამე

მესამე შემთხვევა

იესომ თქვა:

— მე დავდექი სამყაროს შუაგულში
და ხორცშესხმული მოვევლინე ადამიანებს
და ვიპოვე ისინი მთვრალნი.
მათ შორის არავის ვხედავ მწყურვალს
და ჩემი სული დანაღვლიანდა ადამიანთა
შვილების გამო, რამეთუ ისინი გულით
ბრმანაბადებულები არიან და
ვერ ხედავენ, რომ ამ ქვეყანას ცარიელნი
მოვევლინენ. ისინი ესწრაფვიან, კვლავაც
ცარიელნი გაეცალონ ამ სამყაროს.
ამჟამად ისინი მთვრალები არიან.
როცა გამოფხიზლდებიან მაშინ მოინანიებენ.

(თომა, 33)

იესომ თქვა:

— უკეთუ ხორცი სულისგან წარმოიშვა, ეს სასწაულია, მაგრამ თუკი სხეულისაგან წარმოიშვა სული, ეს უკვე სასწაულთა შორის უღრმესი სასწაულია.
მაგრამ მე მიკვირს, უკეთუ ასეთმა დიდმა განძმა როგორ გაიხადა თავის სახლად ეს ღარიბი?

(თომა, 34)

იესო, ბუდა ან რებისჰიერი სხვა გამოღვიძებული პიროვნება თქვენ მთვრალებს გაბუტულობენ. ეს სიმთვრალე მრავალგვარია, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც სიმთვრალეა. თქვენ არა ხართ ყურადღებით, თქვენი სიზმარი ღაბაღებიდან სიკვდილამდე გრძელდება.

გურჯიევი ერთი კაცის ამბავს მოგვითხრობს, რომელსაც უამრავი ცხვარი ჰყავდა. მას მოსვენება დაკარგვოდა იმის გამო, რომ ფარას თანდათანობით სტოვებდნენ ცხვრები და გაააბნეულნი, მტაცებელი ცხოველების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ფარის პატრონმა რჩევისათვის ერთ ბრძენს მიმართა. მან ურჩია, მოლარაჯე ძაღლები გაეზარდა. ფარის პატრონიც ასე მოიქცა. ძაღლები ერთგულად ღარაჯობდნენ და თუ რომელიმე ცხვარი გამოეყოფოდა ფარას, უმალვე გლეჯდნენ.

დროთა განმავლობაში ძაღლებმა იმდენი ცხვარი დაგლიჯეს, რომ თანდათან შეეჩვივნენ და ახლა უმიზეზოდ ღაიწყეს ფარის განადგურება. მაშინ პატრონმა კვლავ ბრძენს მიაკითხა და უთხრა: „ეს უკვე საშიშია, მცველები მკვლელებად გადაიქცნენ.“

პოლიტიკოსებიც მოდარაჯე, ფარის მცველ ძაღლებს ემსგავსებიან. რა ჟამს ხელთ ჩაიგდებენ ძალაუფლებას, იწყებენ კაცთა კვლას.

მაშინ ბრძენმა უთხრა: „ეროი გამოსავალი დაგვრჩა. მე თავად წამოვალ შენთან“. მან დააპირისპირა ცხვრის ფარა შემდეგი სიტყვებით: **„თქვენ არ გძინავთ, თქვენ ფხიზლობთ, ხართ ყურადღებით, თქვენ სრულიად თავისუფალი ხართ. საკუთარი თავის პატრონები თავადვე ხართ“.**

იმ ღღიდან ცხვრები დარჩნენ ჰიპნოზის ქვეშ და აღარ ტოვებდნენ ფარას, აღარ ცდილობდნენ გაქცევას. „ეს ხომ ციხე არ არისო“, ფიქრობდნენ ისინი და სჯეროდათ, რომ თავად იყვნენ საკუთარი თავის ბატონ-პატრონები. მეცხვარეს თუნდაც რომ დაეკლა რომელიმე მათგანი, დანარჩენები ფიქრობდნენ: „ეს ყოფილა მისი ბედი, მე კი. უკვდავი სული

მაქვს, მე თავისუფალი ვარ. რას უნდა მოვერიდო, ან რისთვის?“

აღარ იყო საჭირო ძაღლების ყოლა, პატრონმაც მოისვენა, ვინაიდან გაბრუებული ცხვრები ბაკიდან აღარ გადიოდნენ.

ზუსტად ამ ცხვრების მდგომარეობაში ხართ თქვენც. ასეთებს გპოულობთ იესო. მხოლოდ თქვენ სხვამ კი არ დაგაჰიპნოზათ, საკუთარ თავს თვითონ გაუკეთეთ პიპნოზი. თქვენ თავად ხართ ბრძენიც და დაჰიპნოზებული ცხვარიც.

თვითჰიპნოზის მეთოდი შემდგომში მდგომარეობს: თუ თავში გამუდმებით ერთი აზრი გიტრიალებთ, თქვენ ამ აზრს ემორჩილებით, ჰიპნოზდებით.

ერთხელ ერთი ფრანგი პოეტი ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხვდა. მას ექსკურსია მოუწყეს ნიუ-იორკის დასათვალიერებლად და მიიყვანეს ცათამბჯენთან. მონუსხულმა პოეტმა თვალი მოაშორა ცათამბჯენს და ჩაილაპარაკა: „იგი სექსს მაგონებსო“.

გიდი შეშინებული დარჩა. მას ასეთი რამ ჯერ არავისგან გაეგონა. ამიტომაც შეეკითხა პოეტს, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში.

ფრანგმა უპასუხა: „მე ყველაფერი სექსს მაგონებს“.

თქვენც, თუ გამუდმებით იფიქრებთ სექსზე, თქვენ დაჰიპნოზდებით, ყველაფერი სექსუალურად მოგეჩვენებათ. თუნდაც ტაძარში მიდიოდეთ, ეს ტაძარიც სექსს მოგაგონებთ: არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ სად მიდიხართ, ტვინი ხომ სულ თან დაგაქვთ. ის კი ყოველ წამს განუწყვეტლივ ქმნის თავის გარშემო სამყაროს. ერთი ადამიანი დაჰიპნოზებულია სექსით, მეორე სიმდიდრით, მესამე ძალაუფლებით, დაჰიპნოზებულია ყველა განურჩევლად. ეს თქვენთვის არავის ჩაუტარებია ჰიპნოზი, თქვენივე ნამოქმედარია.

მაგრამ თქვენ იმდენი ხანია ეწევით ამ საქმიანობას, რომ სრულიად დაივიწყეთ ერთი რამ: ორივე, ბრძენიც და ცხვარიც თავად რომ ხართ. როგორც კი ჩასწვდება ადამიანი აზრს: „მე ვარ ეს ცხვარი, მე ვარ ეს ბრძენი“, მაშინვე დაიწყება

ცვლილებები, ვინაიდან მასში მოხდება ტრანსფორმაციის პირველი გაელვება. ამიერიდან თქვენ ვეღარ შეძლებთ იყოთ იგივენი, ვინაიდან პიპნოზი ნელ-ნელა დაკარგავს ძალას. დადგება გარდატეხის მომენტი — თქვენში შემოიჭრება ნაპერწკალი ცნობიერებიდან, სიფხიზლიდან.

ადამიანი შეიძლება მრავალმა ობიექტმა დააჰიპნოზოს. გამოარკვიეთ, რომელია თქვენი ჰიპნოზის მთავარი ობიექტი, რომელი უფრო მეტად გიზიდავთ, შემდეგ განიხილეთ და ნახავთ, როგორ აღმოჩნდით მისი ჰიპნოზის ქვეშ.

რა მეთოდით ხდება ჰიპნოზი? გამუდმებით ერთი ობიექტის ცქერით ან რაიმეზე ფიქრით. თუ ოდესმე შეგხვედრიათ ჰიპნოზიორი, რომელიც კაცს აძინებს, შეამჩნევდით ალბათ, რომ იგი გამუდმებით იმეორებს მონოტონური ხმით: „თქვენ იძინებთ, იძინებთ, იძინებთ“ და ადამიანი მართლაც ღრმად იძინებს. არადა ჰიპნოზიორის მოქმედებაში არაფერია, იგი ხომ ერთსა იმავე აზრს იმეორებს. თქვენ ისმენთ ერთსა და იგივე ფრაზას და იძინებთ — თქვენ ჩაიტარეთ თვითჰიპნოზი.

გახსოვდეთ, რომ ამას საზოგადოების სხვა წევრებიც აკეთებენ. პროპაგანდის მთელი შინაარსი განმეორებაა. პოლიტიკოსები გამუდმებით იმეორებენ თავიანთ მოსაზრებებს. ისინი არ ფიქრობენ იმაზე, უსმენთ თუ არა. უბრალოდ, გამუდმებით იმეორებენ ერთსა და იმავეს. მთავარი მოსმენა არ არის. თუ მოჰყვებიან ერთი და იგივეს მტკიცებას განუწყვეტლივ, ნელ-ნელა დაგარწმუნებენ ამაში. ეს მოხდება არა ლოგიკისა და გონების გზით — ისინი არასოდეს გეკამათებიან, მაგრამ გამეორების წყალობით თქვენ ჰიპნოზის ქვეშ აღმოჩნდებით.

ჰიტლერი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ებრაელი ერი არის გერმანიის უბედურებისა და დაცემის მიზეზი. „როგორც კი მოვსპობთ მათ, — ამბობდა იგი, — მაშინვე ყველაფერი მოგვარდება. გერმანელებო! თქვენ ხართ განსაკუთრებული რასა, „მეუფე რასა“, თქვენ დაიბადეთ, რათა მსოფლიოზე იბატონოთ“. თავიდან ამ სიტყვების მის მეგობრებსაც არ

სჯეროდათ, თავადაც კი არ სჯეროდა, რადგან აშკარა ტყუილი იყო, მაგრამ ჰიტლერი განაგრძობდა ქადაგებას და ნელ-ნელა ხალხმა დაუჯერა — ჰიტლერმა არა მარტი ისინი, არამედ საკუთარი თავიც დააჰიპნოზა. დაფიქრდა, ალბათ მართლაც არის ამაში სიმართლის მარცვალიო: „თუ მილიონობით ადამიანს სჯერა რაღაცის, ე.ი. სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს“. ეს დაიჯერეს, დაიჯერეს მისმა მეგობრებმაც. ეს იყო ურთიერთჰიპნოზი. მაშინ ამან მოელი გერმანია მოიცვა.

ასე სულელურად იქცეოდნენ ერთ-ერთი ყველაზე გონიერი ერის წარმომადგენლები. მაინც რა დაემართათ გერმანელებს? თავის ავტობიოგრაფია „მაინ კამპფში“ („ჩემი ბრძოლა“) ჰიტლერი წერდა, რომ სიცრუის, ჭეშმარიტებად შთაგონება მეტად მარტივია: „უბრალოდ იმეორეთ ის!“ ყველაფერი მან თავისი გამოცდილებიდან იცოდა. თქვენ თუ ყოველდღე ერთსა და იგივე საქმეს ასრულებთ, იმდენად შეეჩვევით ამას, რომ თქვენთვის იგი ჰიპნოზად იქცევა. მაგალითად, ყოველდღე ერთ კოლოფზე მეტ სიგარეტს ეწევით. როცა იგებთ, რომ ეს უსარგებლო და ჯანმრთელობისთვის მავნებელია, თავი ვეღარ დაგინებებიათ. ეს უკვე თვითჰიპნოზია.

მოლა ნასრედინს ცოლი სიგარეტის მავნებლობის შესახებ სტატიას უკითხავდა რომელილაც გაზეთიდან. სტატიაში ნათქვამი იყო, რომ მწეველ ადამიანს უფრო ხშირად უნდება კიბო, ავადმყოფდება ტუბერკულოზით და სხვა. მოლამ უსმინა, უსმინა და ბოლოს უთხრა: „რას ჩმახავ, ქალო, რა სისულელეებს მიკითხავ. იქამდე მოვწევ, სანამ სული არ გამძვრებაო“. დაღლილმა ცოლმა უთხრა: „კარგი, ისე მოიქეცი, როგორც გინდა, მაგრამ რატომ გგონია, რომ მერე დაანებებ წევას თავს?“

მართლაც, თუ ჰიპნოზის ქვეშ ხართ, ეს არასოდეს მთავრდება. აქ სიკვდილს არ ენიჭება დიდი მნიშვნელობა: მომავალ ცხოვრებაში თქვენ აგრძელებთ იმის კეთებას, რასაც მანამდე აკეთებდით. მომავალი ცხოვრება იწყება იმით, რაზეც

შეწყდა წინამორბედი — მათ შორის არ არსებობს წყვეტილი. ასე, რომ როდესაც ბავშვი იბადება, ის უკვე ხნიერია, ძალიან ხნიერი. მას თან მოაქვს თავისი ძველი კარმები*, ყველაფერი განპირობებულია. ის იწყებს, როგორც მოხუცი. მას უკვე აქვს თავისი პიპნოზი. ამას უწოდებენ ინდუსები კარმას, სამსარას*.

მაინც რა არის კარმა? იგი თვითჰიპნოზის მეთოდია. თუ გამუდმებით ერთსა და იგივე მოქმედებას ასრულებთ, ამ მოქმედებით ჰიპნოზირდებით. მაშინ კარმა, ეს მოქმედება, ბატონობს თქვენზე, თქვენ კი მისი მონა ხდებით.

რას მიაღწიეთ სექსის წყალობით? მიაღწიეთ რამეს, თუ ეს უბრალო გამეორებაა? თანაც თქვენ ამას იმეორებდით იმდენი ხნის განმავლობაში, რომ ახლა თუ შეწყვეტთ, იგრძნობთ, რომ რაღაცას კარგავთ. თუ კვლავაც განაგრძობთ მიხედებით, რომ ვერაფერს მიაღწიეთ. თუ ვერაფერს აღწევთ სექსით, მაშინ ვერც ვერაფერს დაკარგავთ იმ შემთხვევაში თუ შეწყვეტთ მას. მაშ რატომღა გრძნობთ დანაკლისს? ეს, უბრალოდ ძველი ჩვევაა — კარმა. თქვენ ამას იმეორებდით საკმარისზე მეტად და კიდეც აღმონდით სექსის ჰიპნოზის ქვეშ. ახლა თქვენ იძულებულები ხართ, იმეოროთ ის, რაც თქვენთვის იქცა უნებურ და აკვიატებულ მოთხოვნილებად.

ავიღოთ ადამიანი, რომელიც ყოველთვის ბევრს ჭამს. მან იცის, რომ ბევრი ჭამა არაა მარგებელი, ის განიცდის ამას, მაგრამ როგორც კი საჭმელს დაინახავს, თავს ვერ იკავებს. რატომ იქცა ჭამა იძულებით მოქმედებად? ადამიანი იმდენი ხანია ამას აკეთებს, რომ ის დაჰიპნოზდა ამით. ის მთვრალია.

მოლა ნასრედინი ერთხელ ძალიან გვიან დაბრუნდა შინ. ღამის სამი საათი იქნებოდა, როცა კარზე დააკაკუნა. მოლამ თავის საშინლად გაცეცხლებულ ცოლს დაასწრო და უთხრა: „მოიცადე, ერთი წუთით. ჯერ ყველაფერს აგიხსნი და მერე მენიჯღე. აქამდე ავადმყოფ მეგობართან შემოვრჩი და იმიტომ დამაგვიანდა“. ცოლმა მიუგო: „შენი სიტყვა სიმართლეს ჰგავს, ოღონდ რა ჰქვია იმ მეგობარს?“

მოლა ნასრედინი ჩაუიქრდა. დიდხანს იფიქრა და ბოლოს მოზეიმე გამომეტყველებით უპასუხა: „იგი ისე მძიმედაა, რომ საკუთარი სახელი ვერ მითხრა“. მთვრალი გონება პოულობს გამართლებას, მაგრამ ყველა მართლება იქნება ისეთივე ცრუ, როგორც ეს: „ის ისე მძიმედაა, რომ თავისი საკუთარი სახელი ვერ მითხრა“.

თქვენ შეგიძლიათ გამართლება მოუძებნოთ სექსს, ხელისუფლების წაღილს, მაგრამ თქვენ არ იქნებით მზად, დაინახოთ და აღიაროთ, რომ ამ აზრმა შეგიპაროთ და დაგაჰიპნოზათ.

იესომ თქვენ მთვრალები და ღრმად ჩაძირებულები გრახათ. თქვენ კი ამას ვერ მიხვდებიო, სანამ არ გამოიღვიძებთ, ვერ შეიგნებთ, რა ხდება თქვენს ირგვლივ. კაცობრიობა სომნამბულის მდგომარეობაშია, ის დახეტიალობს ძილში. აი, საიდან მოდის ამდენი ვაება, ამდენი ძალადობა და ამდენი ომი. ეს გარდუვალია, ვინაიდან ძმინარე და მთვრალ ადამიანებს ძალა არ შესწევთ, თავიანთ ქცევაზე პასუხი აგონ. ვინმე რომ მისულიყო იესოსთან და ეკითხა, რა ექნა რომ გამოეჯანსაღებინა, იესო უპასუხებდა: „სანამ არ გამოიღვიძებ, ვერაფერს ვერ შეძლებ“. რა ძალუძს ძმინარე ადამიანს თავისი სიზმრების შესაცვლელად?

ამ კითხვით მიმართავდნენ გურჯიევს. იგი არ არის ვატიკანის პაპი, ის ადამიანია, რომელსაც ყველაზე უკეთ წარმოუდგენია იესო ჩვენს საუკუნეში. გურჯიევი ზუსტად ხედავდა იესოს იმიტომ, რომ მას სწვადა შეხლა-შემოხლის იმ მეთოდისა, რომლითაც მუშაობდა იესო, მან გამოიმუშავა კიდეც ის ხელახლა. გურჯიევმა შექმნა ჯგუფების ნაირსახეობა, რათა ადამიანებს საკუთარი თავი ჯგუფზე გაეკრათ და გარდასახულიყვნენ.

გურჯიევიც იმას ამბობდა, რომ ვერაფერს ვერ გააკეთებ იმ დრომდე, ვიდრე არა ხართ გამოღვიძებული, თუ არა ხართ უხიზელნი. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ არა ხართ — თქვენ

უბრალოდ გვჯერათ, რომ ხარო, მაგრამ ეს რწმენა ვერ გაშველით.

ახლა ჩაულრმავდეთ იესოს გამონათქვამს. მასში ღრმა აზრია ჩაქსოვილი და ისინი შესაძლოა მეგზურ შუქურად გახდნენ თქვენთვის. დაიმახსოვრეთ ისინი.

·იესომ თქვა: **„მე დავდექი სამყაროს შუაგულში და ხორცშესხმული მოვეცხლინე ადამიანებს. და ვპოვე ისინი მთვრალები. მათ შორის არავინ იყო მწყურვალი...“**

იესო არასოდეს განდგომია ქვეყანას, იგი ყოველთვის ჩვენს შორის იდგა. ქრისტე როდი იყო ესკაპისტი. იგი დადიოდა ბაზრებში, ცხოვრობდა უბრალო ხალხში, ესაუბრებოდა მდაბიოებს, გლეხებს, მეძავებს და ჩვენს შორისვე დარჩა. ქრისტე უკეთ იცნობდა ამ სამყაროს, ვიდრე ისინი, ვინც იგი დატოვა.

გასაკვირი არაა, რომ იესოს ქადაგება ასეთი ძლევამოსილია. მაჰავირის ქადაგება არასოდეს ყოფილა ასეთი სიძლიერის, ქრისტემ კი ნახევარი მსოფლიო მოაქცია იმიტომ, რომ იგი ამქვეყნად დარჩა, შეიცნო სამყაროს გზები, ჩასწვდა ხალხის სულსა და გონებას. მან დაიწყო ადამიანების გამოსაღვიძებლად გზებისა და საშუალებების ძებნა.

შეპყრობის წინა ღამეს, როცა ბოლო დრამა თამაშდებოდა, იესომ ერთ-ერთ მოწაფეს მიმართა: **„ეს ჩემი უკანასკნელი ღამეა, მე წავალ და ვილოცებ, შენ კი აქ დარჩი და ფხიზლად იყავი. ნუ დაიძინებ! მე უკანვე დავბრუნდები. დაიმახსოვრე—ეს ჩემი უკანასკნელი ღამეა“.**

იესო ნახევარ საათში დაბრუნდა უკან და მოწაფე მძინარე დაუხვდა. იესომ მიმართა მას: „მე დავბრუნდი. ერთ საათს ვერ გასძელი ფხიზლად? ეს ხომ ჩემი უკანასკნელი ღამეა. იყავი ყურადღებით. მალე მე აქ აღარ ვიქნები. იფხიზლე და ილოცე, რომ განსაცდელში არ ჩავარდე“. მოწაფემ უთხრა, რომ აუცილებლად იფხიზლებდა. იესო კვლავ წავიდა სალოცავად და უკან დაბრუნებულს მოწაფე ისევ მძინარე დახვდა. გააღვიძა იგი: „რასა იქმ? მალე მოვა ჟამი და

შემიპყრობენ!“ მოწაფემ უპასუხა: „მაპატიე, მაგრამ ხორცი ძლიერია, ნებისყოფა კი სუსტი. სხეული ისე დაიმძიმდა, რომ ვიფიქრე, ცუდი არ იქნებოდა, ცოტა ჩამეოვლიმა. როცა მესამედ მოხვალ, მე უხიზლად დაგხვდები“.

მესამედ უკან დაბრუნებულმა ქრისტემ მოწაფე ისევ მძინარე იხილა. ასეთივე დგომარეობაში იმყოფება ყველა მოწაფე. ბევრჯერ მოვსულვარ თქვენთან, მაგრამ ყოველთვის მძინარეებს განახულობთ. რას ნიშნავს ეს ძილი? თქვენ ვერ აცნობიერებთ, ვერ ამჩნევთ თქვენს არსებობას.. ამ შემოხვევაში რაც არ უნდა გააკეთოთ, პასუხისმგებლობის გარეშე გააკეთებთ. უგონოდ ხართ და მთვრალებივით მოქმედებთ.

მოლა ნასრედინი დაიჭირეს, როცა უცნობ ქალს აკოცა გზაზე. სასამართლოდან გამოსულმა ნასრედინმა მეგობარს უთხრა: „ძალიან მკაცრად მომექცნენ. მოსამართლემ 50 რუპიით დამაჯარიმა, მაგრამ როცა ის უცნობი ქალი დაინახა, ჯარიმას კიდევ 50 რუპია დაუმატა სიმთვრალისათვის — ეს ქალი ისეთი მახინჯი ყოფილა, რომელი ჭკუათმყოფელი აკოცებდაო“.

ასეთივე მახინჯ და უმსგავსო საგნებს ჰკოცნიო ყველანი ამქვეყნად. ეს თქვენი სიმთვრალის წყალობით ხდება. გიფიქრიათ ოდესმე, რითი ხართ შეპყრობილნი? განა ნახავთ ძალაუფლებაზე უფრო საზიზღარ რამეს? ვერ იპოვნით ალექსანდრე მაკედონელზე, ნაპოლეონსა და ჰიტლერზე მახინჯ ადამიანს. ამასთან, თქვენ გულის სიღრმეში ოცნებობთ, რომ ჰგავდეთ მათ, მიაღწიოთ მათ დიდებასა და წარმატებას.

ძალაუფლება არის ყველაზე საძაგელი რამ, მაგრამ ის მაინც ყველას სურს. ყველას სურს ბატონობა. შეგიმჩნევიათ რა სიმახინჯეა სიმდიდრე? ის ვერ იქნება „ლამაზი“, რადგან დაფუძნებულია ექსპლუატაციაზე. მასში არის სისხლი და სიკვდილი, რადგან თქვენი საბანკო ანგარიში უმჯობესდება ბევრი ადამიანის სიკვდილის ხარჯზე. ამაზე უარყოფითს ვერაფერს ნახავთ, მაგრამ გულის სიღრმეში ყველა ესწრაფვის სიმდიდრეს.

როდესაც დადგება განკითხვის დღე, ღმერთი თავდაპირველად იმ 50 რუპიით დაგავალიებთ, მაგრამ როდესაც შეხედავს საგნებს, თქვენ რომ ეტრუოდით, ვალიმას გაგიორმაგებთ. მეორე ვალიმა სიმთვრალისათვის დაგეკისრებათ. სიმთვრალე რომ არა, ეს არ მოხდებოდა.

იესო ამბობს: **„მე დავდექი შუაგულ სამყაროში და ხორცშესხმული მოვევლინე ადამიანებს...“**

ის არ იყო სული. ბევრი მოძღვარი სულის სახით გევლინებათ. ბუდაც გიკაკუნებთ კარზე, ახლა უკვე როგორც სული, მაგრამ თუ არ შეგვევო ხორცშესხმული ადამიანის დანახვის უნარი, როგორღა იცნობთ ბუდას? როდესაც ე.პ. ბლავატსკაიამ* ხელახლა აღმოაჩინა ის მოძღვრები, რომლებიც სულების სახით ეხმარებოდნენ ჭეშმარიტების გზაზე დამდგარ ადამიანებს, მას არავინ დაუჯერა. ხალხი დასაბუთებას თხოულობდა მისგან. ყველა გასხივოსნებული ხომ ამ სამყაროში რჩება, რადგან სხვაგან არსად არის წასასვლელი. ეს არსებობაა ერთადერთი, ისინი რჩებიან მხოლოდ სხეულის გარეშე, თითოეული მათგანის არსება განაგრძობს მოქმედებას, დახმარებას, რაშეთუ ასეთია მათი ბუნება — ეს არის მათი საკეთებელი.

ეს არის სინათლე, ირგვლივ მუდამ რომ ანათებს ყოველივეს, რადგან ასეთია მისი ბუნება: თუ ვინმე დაადგება გზას, იქ დახვდება სინათლე და გაუძღვება მას, იმიტომ კი არა, რომ მას ევალება — არა. ეს თავისთავად, მისი ბუნებიდან გამომდინარეობს. სულერთია, სად და როდის გასხივოსნდება ადამიანი, იგი რჩება გამყოლად, მაგრამ თუ არ შეგიძლიათ შეიცნოთ ხორციელი გამყოლი, ვერაფრით ვერ შეიცნობთ გამყოლ სულს.

იესო ამბობს: **„მე მოვევლინე მათ ხორცშესხმული. მე ვიყავი ხორციელი, მათ შეეძლოთ: ჩემი დანახვა, მოსმენა, შეცნობა, მაგრამ ხელიდან გაუშვეს ეს შესაძლებლობა. ეს მოხდა იმიტომ, რომ ვპოვე ყველანი მთვრალები. ისინი სინამ-**

დვილეში იქ არ იყვნენ, არ იყო არანაირი შეგრება. მე ვაკაკუნე მათ კარებზე, მაგრამ ისინი არ იყვნენ შინ“.

თქვენს კარს რომ მიუკაკუნოს იესომ, სახლში დახვდებით და მიიღებთ მას? თქვენ სადმე სხვაგან იქნებით, რამეოდ არასოდეს არ იმყოფებით შინ. თქვენ თქვენი სახლის გარდა მთელ ქვეყანაზე დაეხეტებით, სად არის თქვენი სახლი? იგი თქვენშია, იქ, სადაც თქვენი ცნობიერების ცენტრია.

— აი სად არის თქვენი სახლი. თქვენ არასოდეს არა ხართ იქ. როდესაც იქნებით ღრმა მედიტაციაში, დაუყოვნებლივ იცნობთ იესოს, იმის მიუხედავად, მოგევლინათ ის ხორცშესხმული თუ არა. თუ სახლში იქნებით, თქვენ გაიგებთ მის კაკუნს. მაგრამ რა შეგიძლიათ გააკეთოთ, თუ სახლში არა ხართ? იესო დაგიკაკუნებთ კარზე, თქვენ კი არ იქნებით. აი, რა აზრია ჩადებული სიტყვაში „მთვრალი“ — სახლის გარეთ მყოფი.

სინამდვილეში თქვენ გსურთ მიეცეთ თავდავიწყებას და ღებულობთ ალკოჰოლს, ნარკოტიკებს. როდესაც გსურთ დაივიწყოთ თქვენი თავი, სვამთ. სიმთვრალე ნიშნავს თავდავიწყებას, რელიგია კი მთლიანად გახსენებაა. ამის გამოა, რომ ყველა რელიგია ეწინააღმდეგება სიმთვრალეს. თავისთავად სიმთვრალეში ცუდი არაფერია, თუკი არ ადგეხართ ჭეშმარიტების გზას, მაგრამ თუ დადექით ამ გზაზე, სიმთვრალეზე უარესი ვერაფერი იქნება, ვინაიდან მთელი ეს გზა საკუთარი თავის გახსენებაა — სიმთვრალე კი თავდავიწყება.

რატომ გსურთ მიეცეთ თავდავიწყებას? რატომ მოგბეზრდათ საკუთარი თავი ასე? რატომ არ შეგწევთ ძალა იყოთ ნათელი, ყურადღებიანი ადამიანები, შეიგრძნოთ თავი თავისუფალ ადამიანებად? რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ როდესაც ყურადღებიანი, ფხიზელი და მარტოსული ხართ, გრძნობთ სიცარიელეს; ისეთი გრძნობა გაქვთ, თითქოს არა ხართ. თქვენს შიგნით შეიგრძნობთ უფსკრულს, გეშინიათ და გაურბიხართ მას.

გულის სიღრმეში თქვენ მართლაც უფსკრული ხართ, ამიტომაც გარბიხართ. ბუდა ამ უფსკრულს ასე უწოდებდა: ანატმა — „არა-მე“. შიგნით არავინ არაა. როდესაც ჩაიხედავთ, იქ დაინახავთ თვალუწვდენელ სივრცეს, მაგრამ იქ არ არის არავინ — მხოლოდ უსასრულო შინაგანი ზეცაა, უფსკრული.

როგორც კი ჩაიხედავთ იქ, გეწყებათ თავბრუსხვევა, თქვენ გარბიხართ — გაქცევით შველით თავს. მაგრამ სად გაიქცევით? სადაც არ უნდა წახვიდეთ, ეს სიცარიელე თქვენთან იქნება, ეს ხომ თავად თქვენა ხართ, ეს არის თქვენი დაო*, თქვენი ბუნება. საჭიროა მასთან ურთიერთობის მოგვარება.

მედიტაცია სხვა არაფერია, თუ არა შინაგან სიცარიელესთან ურთიერთობის მოგვარება, მისი შეცნობა და არა მისგან გაქცევა. მედიტაცია გულისხმობს ამ სიცარიელით ცხოვრებას და არა მისგან გაქცევას. მაშინ ეს სიცარიელე უეცრად ივსება სიცოცხლით. როდესაც არ გაურბიხართ მას, ის არის წმინდა და ყველაზე მშვენიერი, რადგან მხოლოდ სიცარიელეში შეიძლება იყოს სიწმინდე. თუ მასში არის რაღაც, ნიდება სიკვდილი, შეზღუდულობა. თუ მასში არის რამე, იქ ვეღარ იქნება ღმერთი.

ღმერთი — უზარმაზარი სიღრმეა, საბოლოო უფსკრულია. ის არსებობს, მაგრამ თქვენ არასოდეს გისწავლიათ მასში ცქერა.

წარმოიდგინეთ, მთაზე რომ ახვიდეთ და ხეობას გადმოხედოთ, თავბრუ დაგესხმებათ, ქვემოთ ცქერის სურვილიც გაგიქრებათ, შეგიპყრობთ სიმაღლის შიში. მაგრამ ვერცერთი მთა ვერ იქნება ისეთი სიმაღლის და ვერცერთი ხეობა ისეთი სიღრმის, როგორიც თქვენში არსებული უფსკრული.

როდესაც იცქირებით თქვენში, გრძნობთ თავბრუსხვევას, გულისრევას, მაშინვე ხუჭავთ თვალებს და გარბიხართ. თქვენ გარბოდით მილიონი ცხოვრების განმავლობაში, მაგრამ ვერსად გაიქეცით, თქვენ ხომ არ შეგიძლიათ გაქცევა.

ვერსად გაიქცევით. საჭიროა შინაგან სიცარიელესთან ურთიერთობის მოგვარება, როცა მოაგვარებთ ურთიერთობას სიცარიელესთან, ის უეცრად შეიცვლის ბუნებას, ის გადაიქცევა ყველაფრად. ის უკვე აღარ იქნება სიცარიელე, ის აღარ იქნება ნეგატიური, ის ყველაზე პოზიტიური რამ არის მოელს ყოფიერებაში, მასთან მისასვლელი კარია — მიიღოთ უუსკრული.

აი, რატომ იზიდავს ხალხს ალკოჰოლი და ნარკოტიკები. ნარკოტიკების სხვადასხვა სახე არსებობს: ფიზიკური, ქიმიური, გონებრივი — სიმდიდრე, ძალაუფლება, პოლიტიკა, ესენიც ნარკოტიკებია.

შეხედეთ პოლიტიკოსს. იგი მთვრალია ძალაუფლებით, ის მიწაზე არ დგამს ფეხს, არც მდიდარი დადის მიწაზე, ის ზემოთაა, ის ფლობს სიმდიდრეს. მხოლოდ ღარიბები და მდაბიონი არიან მიწას მიჯაჭვულნი, მდიდრები კი ღრუბლებში დაფრინავენ. როდესაც ქალი შეგიყვარდებათ, ეს სიყვარული ცად გაგაღლებთ. ამ დროს თქვენ იცვლებით, იცვლება თქვენი არსება იმიტომ, რომ თვრებით. ბუნებამ გაუქრო უდიდესი ალკოჰოლი — სექსი.

იესო ამბობს: „... მე ვხედავ ისინი მთვრალები; მათ შორის არავინ იყო მწყურვალი“...

თქვენ ამ სამყაროს დაგათროთ და სხვა სამყარო არ გწყურიათ. თუ ჩვეულებრივი ალკოჰოლით, ჩვეულებრივი ღვინით დათვრებით, ღვთიური ღვინო აღარ მოგწყურდებათ — ეს შეუძლებელია.

როდესაც ამქვეყნიურობით არ არის მთვრალი ადამიანი, მას უჩნდება წყურვილის გრძნობა. ამ წყურვილს ვერავითარი ამქვეყნიური ვერ მოკლავს. მისი დაკმაყოფილება მხოლოდ უხილავს შეუძლია.

იესოს სიტყვებიდან გამომდინარე, ადამიანთა შორის არავის სწყუროდა უხილავი, რადგან ისინი ფიქრობდნენ, რომ ამქვეყნიურ საგანძურსა და საუფლოს მიაგნეს და აღარ ეძიებდნენ.

ღმერთი სხვა სახის სიმოცრალეა. ყადირს* უთქვამს: „ლიზი ტარი ლაგი“ „მე სამარადჟამოდ დავკარგიო“. ომარ ხაიამსაც განიცადა ეს თრობა. იგი ახსენებს არაადქვეყნიურ ღვინოს. დასავლეთში ომარ ხაიამის პირველი მკვლევარი — ფიცჯერალდი კი საერთოდ ვერ ჩასწვდა ხაიამის აზრს. პოეტი ღვთიურ ღვინოზე ლაპარაკობს. ღვინო ღვთის სუფიური სიმბოლოა. თქვენ თუ ღმერთი დაგაბრობთ, აღარასოდეს მოგწყურდებათ.

ამქვეყნიური სამყარო და ღვინის სმა მხოლოდ დროებით შვებას მოგანიჭებთ. თქვენ დროდადრო მიეცემით თავდავიწყებას. აქ სხვაობა დიამეტრალურია, ღვთიური ღვინით მთვრალი კაცი სრულიად ფხიზელი, ნათელი და შეგნებულია. თუკი ვინმე თვრება ამქვეყნიერებით და მისი ღვინოებით, ის ჰიპნოზირდება, იძინებს — მთელი მისი ცხოვრება ხანგრძლივი სიზმარია.

„მე ვპოვე ყველანი მთვრალები; მათ შორის არავინ იყო მწყურვალი. და ჩემი სული დანაღვლიანდა ადამიანთა შვილების გამო, ვინაიდან ისინი გულით დაბრმავებულები არიან და ვერ ხედავენ, რომ ამქვეყნად ცარიელნი მოვიდნენ. ისინი ესწრაფვიან კვლავაც ცარიელნი წავიდნენ ამქვეყნიდან“.

„... და ჩემი სული დანაღვლიანდა“... ამბობს იესო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ იტანჯებიან იესო და ბუდა, როცა სრულიადაც არ გწყურიათ ღმერთი და ჭეშმარიტება, როცა თქვენ ისე გწამთ სიცრუე, როგორც ჭეშმარიტება. იტანჯებიან, რამეთუ თქვენ ყოველთვის კარგავთ არაფრის გამო. თქვენ მდგომარეობაში მცირედი წვრილმანიც დიდ როლს თამაშობს.

ერთხელ კაცი ავად გახდა. იგი გამუდმებით გრძნობდა, რომ თვალები ბუდეებიდან უცვივდებოდა, ყურებში ზარის რეკვის ხმა ჩაესმოდა. ეს შეგრძნებები ყოველდღე უმეორდებოდა, ვეღარ იძინებდა და გაცოფებამდე მიჰყავდა ამ მდგომარეობას. ავადმყოფმა ექიმს მიმართა საშველად.

ერთმა ექიმმა ბრმანაწლავის ამოჭრა ურჩია. გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩა. მეორე ექიმს როცა მიაკითხა, მან კბილების დაძრობა შესთავაზა. მაგრამ ამის შემდეგაც კაცს მტკივნეული შეგრძნებები ისევ ტანჯავდა. ბოლოს ვიღაცამ გლანდების ამოჭრა ურჩია (მილიონი მრჩეველი არსებობს. ყველას რომ მოუსმინოთ, შეგიწირავენ). არც ამით შეცვლილა არაფერი, მხოლოდ ავადმყოფი უფრო მობერდა. მას ხელი არ აუღია ექიმებთან სიარულზე. ერთ-ერთმა საუკეთესო ექიმმა ურჩია: „ვერაფრით დაგეხმარებით, ვინაიდან შეუძლებელია ავადმყოფობის მიზეზის აღმოჩენა. თქვენ დიდი-დიდი ექვსი თვის სიცოცხლე დაგრჩენიათ. ექიმებმა სხვა საშუალება არ ვიცით გარდა იმისა, რითაც აქამდე გიმკურნალესო“.

ავადმყოფი დაფიქრდა და დაასკვნა, რომ დარჩენილი სიცოცხლე დროსტარებასა და სიამოვნებაში გაეტარებინა. თუ აქამდე ძალიან მომჭირნე იყო, ახლა ახალი და ძვირფასი ავტომობილი შეიძინა, საცხოვრებლად მშვენიერ კომფორტულ ბუნგალოში გადავიდა და ახალი ტანსაცმელიც შეუკვეთა.

როცა მკერავთან მივიდა, აღმოჩნდა, რომ მისთვის პერანგის საყელოს ზომა 16½ იყო.

კაცი გაოცდა: „მე ყოველთვის 15-ს ვატარებდიო...“

მკერავმა ხელახლა გაზომა და ისევ 16 აღმოჩნდა. ის კაცი მაინც უარზე იდგა, არა 15-იაო.

მკერავმა უპასუხა: „როგორც გენებოთ, მაგრამ ერთს კი გეტყვით, თვალები გადმოცვენაზე გექნებათ, ყურებში კი ზარის ხმა ჩაგიდგებათ!“ — აი, სულ ეს იყო იმ კაცის ავადმყოფობის მიზეზი.

თქვენ ღმერთი გეცლებათ ხელიდან, უმნიშვნელო მიზეზების გამო.

უბრალოდ, თქვენი საყელოც მეტად მჭიდროა თქვენთვის და თქვენს თვალებს უჭირთ დანახვა, ხოლო ყურებში ზარის რეკვა გესმით.

ადამიანის ავადმყოფობის მიზეზი უბრალოა, რამეთუ იგი წვრილმანებსაა მიჯაჭვული.

აქვეყნიური საგნები ძალიან უმნიშვნელოა. უდიდეს სამეფოსაც რომ ფლობდეთ, ეს არაფერს ნიშნავს. სადღაა ერთ დროს მდიდარი და ძლიერი სამეფოები? სად გაქრნენ ბაბილონი, ასირია, ფარაონთა სამეფო? ისინი პირისაგან მიწისა აღიგავნენ და მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა მათი სიდიადის გასახსენებლად. რას მიაღწიეს მათმა მფლობელებმა? რას მიაღწია ჩინგიზ-ხანმა, ალექსანდრე მაკედონელმა ან სხვებმა? — ვერაფერს. მათი დიდება წარმავალი იყო.

და თქვენ არ იცით, რას კარგავთ. თქვენ ღვთის საუფლო გეცლებათ ხელიდან. თუ კარგად დააკვირდებით იმ ადამიანებს, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს, შეამჩნევთ, რომ ისინი თქვენზე მეტად ეძიებენ სულიერ სიმშვიდეს, მათაც ეწვევა როდესმე სიკვდილი და მიხვდებით, რომ მათ ძალისხმევასა და ტანჯვას ტყუილუბრალოდ ჩაუვლია, სიკვდილის წინ ყველაფერი ხომ საპნის ბუშტივით ქრება. ამ საპნის ბუშტს შეეწირა ის, რაც მუდმივია. **„და ჩემი სული დანაღვლიანდა ადამიანთა შვილების გამო. რამეთუ ისინი გულით დაბრმავებულები არიან და ვერ ხედავენ, რომ ქვეყანას ცარიელნი მოევლინენ და კვლავაც ცარიელნი ესწრაფვიან გაეცალონ ამ სამყაროს“.**

თქვენ მიხლად ცარიელნიც არ დაბადებულხართ, რამეთუ სურვილით ხართ აღსავსენი. თქვენი წასვლისას კი სურვილები ისევ სურვილებად დარჩება, თქვენ კი ისევ ცარიელნი იქნებით. სურვილებში არსებითი არაფერია. თქვენ დაიბადეთ ცარიელნი, ცხოვრობთ და აგროვებთ საგნებს იმ იმედით, რომ ისინი სიამოვნებას მოგანიჭებენ, მაგრამ სიკვდილი გართმევთ ყველაფერს. თქვენ კვლავაც ცარიელნი ტოვებთ აქაურობას.

რა არის ცხოვრების დასასრული. რა აზრი და შედეგი აქვს მას? რას აღწევთ თქვენ ამ ცხოვრებაში? ამაზე დარდობენ იესო და ბუდა. ადამიანები უსინათლონი არიან, რაში მდგომარეობს მათი სიბრმავე? იმის თქმა არ შეიძლება,

თითქოს ისინი უჭკუონი არიან, პირიქით, ძალზედ ჭკვიანები და ცბიერნი არიან, რომ ეს მათთვის საზიანოც კია, თუმცა თავიანთ თავებს სიბრძნის განსახიერებად ხედავენ. მათ ძალუძთ ჭეშმარიტი ხედვა, მაგრამ ხედავენ იმას, რაც მხოლოდ თვითონ ესაჭიროებათ, რაც წარმავალია. მათი გულები დახშულია სინათლისათვის.

ოდესმე დაგინახავთ გულით? ალბათ ბევრჯერ გიცდიათ დამტკბარიყავით მზის ამოსვლით, მშვენიერი დილით, თან აღტაცებული გაიძახოდით: „რა მშვენიერი დილაა, რა მზეა“. თვლიდით, რომ ეს მზის გამოა ასე? არა, ამას ადამიანის ჭკუა ლაყბობს და თანაც სხვის აზრებს იმეორებს. განა გიგრძვნიათ ჭეშმარიტად მშვენიერი დილა? ჩასწვდომიხართ ამ მოვლენას, რომელიც აქ, ხდება? თუ თქვენი განცდა ზედაპირულია?

როდესმე გიყურებიათ სურნელოვანი ყვავილისთვის ნამდვილად? თქვენ მხოლოდ იტყვით, რომ ყვავილი მშვენიერია და სურნელოვანი. ეს იქნება ცარიელი სიტყვები, რომლებიც გულიდან არ მოდის. ჩვენ გულით ბრმანი ვართ, რამეთუ გული სახიფათო გზებზე გვატარებს.

ამიტომაც არავის ეძლევა ნება, გულის კარნახით იცხოვროს. გონება და ჭკუა მოგაპოვებინებთ თქვენ ამქვეყნიურ წარმატებებს. თქვენი მშობლები, ნებისმიერი საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი, გასწავლით თქვენ ცხოვრებას, თუ როგორ მიაღწიოთ წარმატებას ჭკუით. ჭკვიანები აღწევენ წარმატებებს, ღებულობენ ოქროს მედლებს და ხელი უკვე ამ ცხოვრების გასაღები უჭირავთ. გულიანი ადამიანი კი სიყვარულით დასტრიალებს ყველაფერს, ვერ იქცევა წურბელად, ვერავის გაუწევს ექსპლუატაციას, პირიქით, სხვას უნაწილებს თავის ქონებასა და გულის სითბოს. მაგრამ იგი მარცხდება, რამეთუ იმდენად პატიოსანია, რომ თქვენი მოტყუება არ ძალუძს. იგი უცხოა ამ ქვეყნისათვის, სადაც მხოლოდ ცბიერნი და მოხერხებულები აღწევენ წარმატებას. აი რატომ

იღწვიან მშობლები, მანამ დააბრმავონ შვილთა გულები, სანამ ცხოვრებას დაიწყებენ.

თქვენ არ შეგიძლიათ სიყვარული და არც ლოცვა ძალგიძთ. კვირაობით იარეთ ეკლესიაში. ხალხი ლოცულობს, მაგრამ ეს ლოცვა ყალბია, რამეთუ იგი თვით აღამიანების სიყალბიდან, მაოი „თავიდან“ გამომდინარეობს. მაოი გულები მკვდარია და ცარიელი. ეს ხალხი ვერაფერს გრძნობს. ადამიანებს „უყვართ“ ერთმანეთი, ქორწინდებიან და ანუნებ შვილებს, მაგრამ ეს ყველაფერი არა სიყვარულზე, არამედ გამოთვლაზეა დამყარებული. თქვენ სიყვარულის გეშინიათ, რადგან არ იცით, სად წაგიყვანთ იგი. გულის გზები საიდუმლოებითაა მოცული და თქვენ თვითონ უნდა იპოვნოთ თქვენი გზა.

გულთან თქვენ მარტონი, ინდივიდუალურები ხართ, ისე კი საზოგადოების წევრებად ითვლებით. ნებისმიერი საზოგადოება ზრუნავს თქვენში გულის ჩასაკვლელად, რადგანაც გულიო ხდებით მარტოსულნი, უცხონი.

იესო ამბობს: **„...ვინაიდან ისინი არიან გულით დაბრმავებულნი და ვერ ხედავენ, რომ ცარიელნი მოვიდნენ ამ ქვეყნად. ისინი ესწრაფვიან კვლავაც ცარიელნი წავიდნენ ამ ქვეყნიდან“.**

მხოლოდ გულს შეუძლია დაინახოს თქვენი სიცარიელე. რას მიაღწიეთ? როგორი ნაყოფი მიიღეთ? თქვენ აქამდე არ განგიცდიათ ექსტაზი, ლოცვა, მადლიერება. მთელი თქვენი წარსული ხრწნადია, რასაც მომავალშიც გაიმეორებთ. სხვა რა შეგიძლიათ? ამიტომ გრძნობენ იესო და ბუდა თავს უბედურებად. **„...ამჟამად ისინი მთვრალები არიან. როცა გამოფხიზლდებიან, მაშინ მოინანიებენ...“**

ეს თქვენა ხართ მთვრალები და როცა სიმთვრალე გაგივლით, მაშინ მოინანიებთ.

სიტყვა „მონანიებას“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სიტყვა მონანიებაზეა დამყარებული მთელი ქრისტიანობა. თუ მოინანიებთ, თუკი აღსარების ძალა გაივლის გულს და ჩასწვდებით,

რომ იესო მართალია, რომ ნამდვილად გაუცვალეთ მოკვდავი თქვენი ცხოვრება, — თქვენ განიწმინდებით. სწორედ ეს ფლანგავა ცოდვა.

ინდუიზმი არ ფლობს მონანიების საიდუმლოს. იგი საერთოდ არ იყენებს ამ გასაღებს. მონანიება ქრისტიანული რელიგიის უნიკალური საკუთრებაა. თუ თქვენი მონანიება სრულყოფილია, მიელი არსებით იგრძნობთ, რომ ფლანგავდით ღვთის ბოძებულს და არ იყავით მადლიერნი, მაშინ თქვენ იგრძნობთ სიძულილს. სწორედ ეს არის ცოდვა და არა ვინმეს კვლა, ან რამის მოპარვა. ეს ყველაფერი წვრილმანი შეცდომებია, გამომდინარე საწყისი ცოდვიდან. თქვენ ალმოაჩენთ, რომ ტყუილუბრალოდ დახარჯეთ საკუთარი ძალები და პოტენციალი, ხელიდან გაუშვით სულიერი ზრდისა და ღვთიურ სამეფოში შესვლის შესაძლებლობა, ძვირფასი დრო დაკარგეთ უსარგებლო და უნაყოფო ნივთების მოგროვებაზე.

ეს იმის გამოა, რომ მთვრალები იყავით. თუ ბოლომდე ინანიებთ, ახელთ თვალს; ყვირილი, გოდება მოდის თქვენი არსებიდან. სიტყვები არ არის საჭირო. აზრი არა აქვს ღმერთს უთხრათ: „ვინანიებ, მომიტევე“. თუ მთელი არსებით, გულით ინანიებთ, თუ ის ეხება გულის შუა ცენტრს, სავსებით იცლებით წარსულისაგან და თქვენ განიწმინდებით.

მონანიება ყველაზე იდუმალი გასაღებია, რომელიც კაცობრიობას ქრისტემ მოუტანა. ჯაინები ამბობენ, რომ წარსული უნდა გადაიხარშოს. თუ ცოდვა ჩაიდინეთ, რაღაც უნდა მოიმოქმედოთ მის გამოსასწორებლად. ინდუსები კი ამბობენ, რომ ადამიანს იმდენი ცოდვა აქვს უნებლიეთ ჩადენილი და წარსული იმდენს მოიცავს, რომ არც თუ ისე ადვილია ამ ცოდვებისაგან თავის დაღწევა. იესომ მოგცათ ნამდვილი გასაღები. იგი გირჩევთ, რომ უბრალოდ მოინანიოთ და ასე განიწმინდებით.

ამაშია ინდუისტურ, ბუდისტურ, ჯაინურ და ქრისტიანულ რელიგიათა შორის განსხვავება. ინდუისტები, ბუდისტები და ჯაინები არასოდეს დაივჯერებენ, რომ განწმენდა შეიძლება

მხოლოდ მონანიებით მოხდეს, რამეთუ არ უწყიან, რა არის მონანიება.

მონანიების დროს მხოლოდ სიტყვაა წარმოთქმა როლი გიშველით. თქვენი ნახევრადგულწრფელი მონანიება არაფრის მაქნისია.

როდესაც მოელი თქვენი არსება ინანიებს და კარის თითოეული ნაწილით, მთლიანად თროით; როცა ყველა უჯრედით განიცდით, რომ ფუჭად იცხოვრეთ თქვენი სიმოვრალის გამო, ახლა კი ინანიებთ, მყისვე ხდება ტრანსფორმაცია. წარსული ქრება. ქრება წარსულიდან მომავლისაკენ მიმართული პროექციაც.

თქვენ გამორიყულნი ხართ „აქ“ და „ახლა“, თქვენ გამორიყული ხართ საკუთარ არსში. ამ დროს პირველად იგრძნობთ საკუთარ „არარაობას“ და ბოლოს იცლებით. მხოლოდ სიცარიელე არ არის ნეგატიური. თქვენი ტაძარი ისევე ტევადია, როგორც კოსმოსი.. თქვენ შენდობილი ხართ. იესო ამბობს, რომ თუ მოინანიებთ, თქვენ შეგენდობათ. ქრისტეს წინამორბედი იოანე ნათლისმცემელი, ხალხს მიმართავდა: „მოინანიეთ, რამეთუ ახლოა განკითხვის დღე!“ ეს იყო მთელი მისი მოძღვრება. ის იყო მოუდრეკელი ადამიანი, უღიდესი რევოლუციონერი. იოანე დადიოდა ქვეყნის ერთი ბოლოდან მეორეში და სავსაროდ აცხადებდა მხოლოდ ამას: **„მოინანიეთ, რადგან მოახლოებულია უკანასკნელი განკითხვის დღე!“**

აი, რატომ მიაჩოვეს ქრისტიანებმა ხელმეორედ დაბადების თეორია. არა იმიტომ, რომ ქრისტემ არ იცოდა გარდასახვის შესაძლებლობის არსებობა. მან საუცხოოდ უწყოდა, რომ არსებობს გარდასახვის უწყვეტი წრე, მაგრამ იესომ განაგდო ეს იდეა, რათა მონანიებისათვის უფრო მეტი სიღრმე და ძალა მიეცა.

თუ მომდევნო ცხოვრების იმედი გაქვთ, მაშინ მონანიება ვერ იქნება გულწრფელი. შეგიძლიათ გადასდოთ, დაელოდოთ და თან იფიქროთ: „თუ ამ ცხოვრებაში ვერ მივაღწიე,

არაფერია საგანგაშო. არის მომდევნო ცხოვრებაც“. ასე იქცეოდნენ ინდუსები, ისინი ყველაზე ზარმაცი ხალხია მთელ დედამიწაზე და მიზეზი ეს თეორიაა, მაგრამ იგი უტყუარია, ამაშია საქმე. მათ ყოველთვის შეუძლიათ გადასდონ საქმე, სანქარო არაფერია, რა საჭიროა. აი, რატომ არაფრად აგდებენ დროს ინდუსები. საათი რომ არ გამოეგონათ, ინდუსებს არასოდეს გაუჩნდებოდათ მისი მოთხოვნილება. საათი ინდუსისათვის უცხო ელემენტია, იგი ჰარმონიაში არ იქნება ინდურ სახლთან. საათი ქრისტიანების გამოგონებაა. დრო ხომ ცოტაა, იგი არ ითმენს, თავად ცხოვრება გვეცლება ხელიდან. სიკვდილი იქნება ყველაფრის ბოლო. არაფრის გადადება არ შეიძლება სახვალიოდ, დროის იდეა შეიქმნა მხოლოდ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სახვალიოდ გადადება.

იესოსა და იოანეს მოძღვრება ეყრდნობოდა მონანიებას. ისინი ქადაგებდნენ: **„მოინანიეთ, რამეთუ აღარ დარჩა დრო, ნუღარ გადასდებთ საომავლოდ. მონანიების გარეშე დაიღუპებით!...“**

უეცრად რომ ვთქვა, ხვალ უკანასკნელი დღე დგება, ჩამოვარდება წყალბადის ბომბი და მსოფლიოს გაანადგურებს, თან გამოვაცხადო: **„მოინანიეთ“** — მაშინ მთელი თქვენი არსება ფოკუსში მოექცევა, გახდება ცენტრირებული. თქვენ იქნებით „აქ“ და „ახლა“ და მაშინ თქვენი არსების სიღრმიდან წამოვა გლოვა და საზარელი გოდება, ეს ყველაფერი იქნება უფრო ეკზისტენციალური, ვიდრე უბრალო სიტყვები, ეს გულიდან ამოხეთქილი მონანიება იქნება. იტირებთ არა მარტო თვალებით, არამედ გულით, მთელი თქვენი არსებით, რადგან დაღუპვა გარდუვალი იქნება.

თუ ასე ინანიებთ, ასეთი სიმძაფრით ხდებით ფხიზელნი და შეგნებულნი, მთელი თქვენი წარსული განწმენდილია, აზრი არა აქვს ანაზღაურებას. იგი ხომ არასოდეს ყოფილა რეალობა, ის სიზმარს ჰგავდა. უბრალოდ, გამოიღვიძეთ და სიზმართან ერთად გაქრება ყველა მოჩვენება და კოშმარი.

სინამდვილეში ისინი არც არსებობდნენ, ეს მხოლოდ თქვენი აზრები იყო.

ნუ იზარმაცებთ ამაში. თქვენ ხომ ეს ისეღაც გაღასღეთ მრავალი ცხოვრების განმავლობაში. შეგიძლიაო კიღევ გაღასღოთ. ეს ხომ ასეთი მიმზიღველია ტვინისათვის. ის ყოველთვის ამბობს: „ხვალ". „ხვალ" — თქვენი ცოღვების თავშესაფარია, სათნოება კი მხოლოდ აწმყოში, ახლა იბადება.

ინდოეთში არსებობს მისიონერული ქრისტიანული სკოლა, სადაც რამდენიმე არაქრისტიანი ბიჭუნაც სწავლობს. ისინი ეუცლებიან ბიბლიას, ისტორიას და იმ საგნებს, რასაც სხვები.

ერთხელ სკოლაში ინსპექტორმა ჰკითხა არაქრისტიან მოწაფეს: „ვინ იყვნენ პირველი მამაკაცი და პირველი ქალი?"

„ადამ და ევა", — მიუგო ბიჭმა.

ინსპექტორი კმაყოფილი დარჩა და ჰკითხა: „რა ეროვნებისა იყვნენ ისინი?".

ბიჭმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, ინდოელები!"

ინსპექტორი, ცოტა არ იყოს, შეცბუნდა და შეეკითხა: „მაინც რატომ ფიქრობ, რომ ისინი ინდოელები იყვნენ?".

ბავშვმა აუხსნა: „ეს ძალიან იოლი გასაგებია. ადამს და ევას არც სახლი ჰქონდათ და არც ტანსაცმელი. არც რაიმე საჭმელი გაარსდათ. მხოლოდ ვაშლი ჰქონდათ ორს და მაინც სჯეროდათ, რომ სამოთხეში ცხოვრობდნენ. ისინი ნამდვილად ინდოელები იყვნენ!..."

მართლაც, ინდოელები იმას სჯერდებიან, რაც გააჩნიათ. თავს არ იწუხებენ და არ ჩქარობენ, რადგან ფიქრობენ: „ცხოვრება ისეთი ხანგრძლივი გამოგონებაა, რატომ უნდა შევიწუხო თავი? რატომ ვიჩქარო? აზრი არა აქვს სირბილს."

ქრისტიანობამ წარმოშვა ერთადერთი სიცოცხლის იდეა. ინდუსებისაგან განსხვავებით, აქ ისინი ცდებიან, მაგრამ იესოსათვის თეორია კი არ იყო მთავარი. მთავარია ადამიანის ტვინი და მისი ტრანსფორმაცია. ინდური რელიგიების მაგალითზე ჩანს, რომ ზოგჯერ სინამდვილე მაენებელია, რომ ჭეშმარიტებამ შესაძლოა გაგაზარმაცოთ.

გურჯიევი ამბობდა, რომ ადამიანს არ გააჩნია არანაირი სული. დაიმახსოვრეთ. ის შეგიძლიათ მოიპოვოთ, მაგრამ ეს სული თავისთავად არ გაგაჩნიათ.

შესაძლოა მარცხი განიცადოთ და ვერ მოიპოვოთ იგი, მაშინ უბრალოდ მოკვდებით. თქვენგან აღარაფერი დარჩება. გურჯიევის აზრით, მილიონიდან მხოლოდ ერთ ადამიანს შეუძლია მარადიული სულის მოპოვება, რომელიც არსებობას განაგრძობს. სული ტოვებს სხეულს და განაგრძობს გზას, მაგრამ ეს ყველა მოკვდავის ხვედრი როდია.

თქვენ სული არ გებოძებათ, ის უნდა გამოიმუშაოთ, ეს კრისტალიზაციაა. თუ სული გამომუშავებულია, მაშინ მაჰავირი, ბუდა, იესო, მარადიულნი ხდებიან.

მაგრამ ეს თქვენ არ გეხებათ! გურჯიევი ამბობდა, რომ თქვენ უბრალოდ ბოსტნეული ხართ, რომლის ჭამა და გადამუშავება ხდება. თქვენ არ გაგაჩნიათ ცენტრი. როგორ შეიძლება გადურჩეთ სიკვდილს?

გურჯიევიც იესოს ტაქტიკას იყენებდა. იგი არ იყო მართალი, რამეთუ თქვენ მართლა გაგაჩნიათ უკვდავი სული. მაგრამ ეს თეორია სახიფათოა. როდესაც გაიგონებთ რომ გაქვთ მარადიული სული, რომ ხართ ბრაჰმა (საბოლოო რეალობა), თქვენ დაიძინებთ. ეს ჰიპნოზური შთაგონება იქნება. რისთვის დაგჭირდებათ სადჰანა*?, მედიტაცია? „აჰამ ბრაჰმასი“ — „მე უკვე ღმერთი ვარ“, — ფიქრობთ თქვენ და ღრმად იძინებთ, რამეთუ სხვა არაფერი არ გაქვთ გასაკეთებელი.

თეორიებს შეუძლიათ მოგკლათ; სწორ თეორიებსაც შეუძლიათ თქვენი მოკვლა.

გურჯიევი არ არის მართალი, მაგრამ ეს იმის გამოა, რომ იგი თქვენი გულშემატკივარია. თქვენ კი ისეთი მატყუარები ხართ, რომ მხოლოდ სიცრუე დაგეხმარებათ, მხოლოდ ცბიერი გამოგათრევთ ტყუილების სამყაროდან, ისევე როგორც ეკალს შეუძლია თქვენი სხეულიდან ეკლის ამოღება.

იესომ ყველაფერი კარგად უწყოდა. მან იცოდა გარდასახვის არსებობის შესახებ ყველაზე უკეთ, მაგრამ უბრალოდ განაგდო ეს თეორია, რადგან ინდოეთში მოგზაურობის დროს იხილა, რომ ინდური გონება გარდასახვის თეორიის წყალობით გაზარმაცდა.

გურჯიევსაც მოიარა ტიბეტი და ინდოეთი და ნახა მთელი ის უაზრობა, რაც იქ იმის წყალობით მოხდა, რომ ადამიანში ყველაფერი ღვთაებრივია: არაფრის კეთება არ იყო საჭირო, უკანასკნელი მათხოვრებიც კი ფიქრობდნენ, რომ იმპერატორები იყვნენ. გურჯიევსაც დაიწყო ქადაგება ისევე, როგორც იესომ. იგი ამბობდა, რომ თავისთავად სული არავის გაანძია. თქვენ ძალგიძთ მისი მოპოვება, შესაძლოა ვერ მოასწროთ. ასე რომ ნუ ჩათვლით სულს ბოძებულად — გამოიმუშავეთ იგი!

თუ ყველა ღონეს იხმართ — მხოლოდ მაშინ აღმოაჩენთ ცენტრს. ეს ცენტრი იარსებებს, თქვენ კი არა.

გურჯიევმა ახალი მითი შექმნა: „თქვენ ბოსტნეული ხართ მთვარისათვის, მისი საკვები ხართ". ის ხუმრობდა, მაგრამ ეს საუცხოო ხუმრობაა და მას ღრმა აზრი აქვს.

ის ამბობდა, რომ სამყაროში ყოველივე საზრდოა მეორისათვის. ერთი ცხოველი მეორეს უღებს ბოლოს, მეორეს — მესამე და ა.შ. ყველაფერი საკვებია სხვა დანარჩენისათვის, ადამიანი როგორღა იქნება გამონაკლისი? გურჯიევი ამიტომ ამტკიცებდა, რომ „ადამიანი საზრდოა მთვარისათვის და როცა მთვარეს შია, მაშინ ხდება ომები და სისხლისღვრა". (იგი ხუმრობით ახსენებდა მთვარეს). მიმდევრები ყოველთვის ბრმები არიან და ეს ხუმრობაც ჭეშმარიტად ჩაითვალეს. გურჯიევის მიმდევრები ახლაც ამბობენ, რომ ეს იყო უდიდესი აღმოჩენა — ის რომ დაბრუნდეს, გაეცინებოდა.

ის ხუმრობდა, მაგრამ როცა გურჯიევი ხუმრობს, ამაში აზრია ჩადებული. იგი მიანიშნებდა, რომ თქვენ ხართ ბოსტნეული. იმ სახით, რასაც ახლა წარმოადგენთ, მხოლოდ მთვარისათვის ვარგიხართ. მას შეუძლია თქვენი შთანთქმა. ძნელად

თუ მოიძებნება მთვარესე მეტად გამოუსადეგარი რამ. როდესაც კოსმონავტები მთვარეზე ჩამოსხდნენ, ფიქრობდნენ, რომ ამით მსოფლიო პოეზიასა და ოცნებებს ხორცს შეასხამდნენ, რადგანაც ადამიანი ხომ ყოველთვის მიისწრაფვოდა მთვარისაკენ. აღმოჩნდა, რომ მთვარე — არარაობაა, რქვენ კი საზრდო ხარით ამ არარაობისათვის. მთვარე უბრალოდ მკვდარი პლანეტაა, თქვენ კი — საზრდო მისთვის, რადგან თქვენ თვითონ მკვდრები ხართ.

დაიმახსოვრეთ: ქრისტიანობამ, იესოდან მოყოლებული, კარგად იცის, რომ არსებობს ხელმეორედ დაბადება — გარდასახვა, დაბადება — სიკდილის მარადიული ჯაჭვი, რომ ეს სიკდილი არ იქნება უკანასკნელი, მაგრამ როცა თქვენ ამას იგებთ, მაშინვე დუნდებით.

იესოს მთელი მეთოდი დამოკიდებულია უთანხმოებაზე: თქვენ მოდუნების უფლება არ უნდა მოგცენ, თქვენ უნდა იბრძოლოთ, გამოიწვიოთ შეხლა-შემოხლა, რათა ჩამოყალიბდეთ და გამოკრისტალდეთ.

„...ამჟამად ისინი მთვრალები არიან.

როცა გამოვიხიზლებიან, მაშინ მოინანიებენ...“

იესომ თქვა: **„...უკეთუ სხეული სულისაგან წარმოიშვა, ეს სასწაულია, მაგრამ თუ სული წარმოიშვა სხეულისაგან, ეს სასწაულთა შორის სასწაულია...“**

ვფიქრობ, რომ კარლ მარქსმა ეს ვერ გაიგო.

იესო ამბობს: **„თუ სხეული სულისაგან წარმოიშვა...“** როგორც ყველა რელიგია აცხადებს — ღმერთმა შექმნა სამყარო. ეს ნიშნავს: სხეული წარმოიშვა სულისაგან, მატერია აღმოცენდა გონებიდან; ცნობიერება — წყაროა, სამყარო კი უბრალოდ თანაპროდუქტი. მაშინ, ამბობს იესო: **„...ეს სასწაულია“** — ეს საიდუმლოებაა.

„მაგრამ, თუ სული წარმოიშვა სხეულისაგან...“, ასე ამბობენ ათეისტები, მატერიალისტები, კარლ მარქსი, ჩარვაკი და სხვანი. მარქსი ამბობს: ცნობიერება მატერიის თანაპროდუქტია. ამას ამბობს ყველა ათეისტი, რომ არა სამყარო

შეიქმნა სულისაგან, არაშენ სულია მეორეხარისხოვანი მოვლენა, მატერიის ეპიფენომენი. სულს მატერია წარმოშობს, ის უბრალოდ თანაპროდუქტია... მაშინ, ამბობს იესო: **„თუ სული წარმოიშვა სხეულისაგან, ეს სასწაულთა შორის სასწაულია“**. პირველი, ის რომ ღმერთმა შექმნა სამყარო, — მართლაც სასწაულია. ხოლო მეორე — სასწაულთა შორის სასწაულია: სამყაროს შექმნა ღმერთი. პირველის დაჯერება ძნელია, მაგრამ მეორისა თითქმის შეუძლებელი.

შესაძლოა, რომ უმდაბლესი უმაღლესისაგან იბადება ისევე, როგორც ადანიას შეუძლია რაღაც დახატოს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სურათი წარმოიშვა მხატვრისაგან, ეს საოცრებაა, მაგრამ თუ ვინმე ამბობს, რომ მხატვარი ნახატმა შექმნა, ეს ყველაზე დიდი სასწაული იქნება. როგორ შეიძლება მატერიამ სული წარმოშვას, თუ იგი უკვე არ არის ჩადებული მატერიაში? როგორ შეიძლება აღმოცენდეს ყვავილი, თუ მას თავიდანვე არ შეიცავს თესლი?

იესო ამტკიცებს, რომ ორივე შემთხვევა ასეა თუ ისე, სასწაულია.

მაგრამ არის მესამე, ყველაზე უდიდესი საოცრება.

„...მე მიკვირს, უკეთუ ასეთმა დიდმა განძმა როგორ გაიხადა თავის სახლად ეს სიღარიბე?“

თქვენ ღატაკნი და მათხოვარნი ხართ, რადგან მუდამ ითხოვთ. სურვილი სიღატაკეა და მთხოვნელის ტვინი — ღატაკის და მათხოვრის ტვინია. შესაძლოა, თქვენ ხართ იმპერატორი, მაგრამ თქვენ დიდი მათხოვარი ხართ და სხვა არავინ, რამეთუ მაინც ითხოვთ.

მუსულმანი მისტიკოსი ფარიდი, ქალაქ დელიან ახლოს, ერთ პატარა ღარიბ სოფელში ცხოვრობდა. იმპერატორი აკბარი ფარიდის ერთ-ერთი მიმდევარი გახლდათ და ხშირად ნახულობდა მას. როდესაც სოფელში გაიგეს ეს ამბავი, შეგროვდნენ და სთხოვეს ფარიდს: „შენთან ხშირად აკბარი ჩამოდის თურმე. იქნებ სთხოო, რომ სკოლა და საავადმყოფო აგვიშენოს?“

სოფელი მწირი იყო და მეტად გაუნათლებელი ხალხი ცხოვრობდა იქ. ფარიდმა თქვა: „დაე, ასე იყოს, მე არ მეხერხება რაიმის თხოვნა. დიდი ხანია არაფერი მითხოვნია, მაგრამ იმპერატორს ამას აუცილებლად ვეტყვიო“.

იგი დედაქალაქს გაემგზავრა. სასახლეში მაშინვე შეუშვეს. აკბარი ტაძარში დახვდა, თავის აშენებულ პატარა სამლოცველოში ლოცულობდა. ფარიდი იქვე გაჩერდა, ვიდრე იმპერატორი ლოცვას დაასრულებდა. ამ უკანასკნელმა ვერ შენიშნა ფარიდის შემოსვლა და ლოცვა განაგრძო: „ყოვლისშემძლე ღმერთო, განადიდე ჩემი იმპერია, მომეცი უფრო მეტი სიმდიდრე და ძლიერება“. ფარიდმა ეს მოისმინა და მაშინვე გასასვლელისაკენ გაემართა. აკბარმა მას კიბეებზე ჩასულს მოჰკრა თვალი და ჰკითხა: „როგორ მოხვედი აქ; ან რატომ მიდიხარ?“ ფარიდმა უპასუხა: „მე იმპერატორთან მოვედი, მათხოვარი კი ვიხილე. შენც თუ ღმერთს შესთხოვ, მე რატომ არ უნდა ვთხოვო მას? შუამავალს რისთვის მივმართო? აკბარ! მეგონა, იმპერატორი იყავი, მაგრამ შევცდარვარ!“

ეს ისტორია აკბარმა თავის ავტობიოგრაფიაში მოგვითხრო და დაამატა: „იქ ღუოს მიეხვედი, რაც არ უნდა გაგაჩნდეს, არა აქვს მნიშვნელობა, რადგან შენი გონება ისევ და ისევ მათხოვრობს...“

იესო ამბობს, რომ ეს სასწაულთა შორის უდიდესი სასწაულია, „თუ ასეთმა დიდმა განძმა როგორ გაიხადა ეს სიღარიბე თავის სახლად“.

მთვრალები, მძინარენი, ღატაკნი, მთელი ცხოვრების განმაელობაში სისაძაგლეს რომ იოხოვენ, მტრობენ ერომანეთს, ავადმყოფნი და უძლურნი — ღმერთმა ისინი ტაძრად, საკუთარ სახლად გაიხადა, მისი საგანე — თქვენშია. იესო ამბობს, რომ ეს უდიდესი, შეუცნობელი საიდუმლოა. სასწაული, სასწაულთა შორის!

ამაშია ბუდასა და იესოს სევდა: გხედავენ თქვენ — იმპერატორებს, ღვთის სასუფევლის მფლობელთ მათხოვრებად

ქცეულებს, ფუჭად რომ ფლანგავთ დროს, ენერგიას, შესაძლებლობებსა და სიცოცხლეს.

მოინანიეთ! გადახედეთ თქვენ საქმეებს. ყველაფერი, რაც კი რამ აკეთეთ, სისულელედ მოგეჩვენებათ. ვერც დაიჯერებთ, რომ თურმე ყველაფერი საკუთარი ხელით აკეთეთ. თქვენ დაინახავთ ყოველივე ნამოქმედარის უაზრობას.

შეხედეთ, რა უყავით საკუთარ ცხოვრებას, რა უყავით საკუთარ თავს. თქვენ დანგრეული ხართ, მაგრამ ნგრევა გაგრძელდება მანამ, სანამ მარტო ნანგრევებიღა არ დარჩება. გაიგეთ, რომ თქვენ ღატაკ გულში და მათხოვარ გონებაში ცხოვრობს შეუძე სამყაროსი — აი, ასწავლი.

იესო ძლიერად გრძნობს, ამიტომაც არის ასეთი სევდიანი; იგი ვერ იცინის, იმიტომ კი არა, რომ არ შეუძლია — ვერ იცინის თქვენს გამო. იგი ისე განიცდის და თანაგიგრძნობთ, რომ სულ მუდამ ხერხებს, გასაღებებს იგონებს, რაოა გაგზსნათ და აღმოგაჩენინოთ ის, რაც უკვე ხართ ჭეშმარიტად. გაგაგებინოთ — თუ ვინ ხართ თქვენ!

კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ეს სიტყვები და გახსოვდეთ საკვანძო სიტყვა: მოინანიეთ! და თუ შეიგრძნობთ, რომ მონანიება გასაღებია — განიწმინდებით წარსულისაგან, თქვენ კვლავ ნორჩები და უბიწოები გახდებით.

როცა ნორჩები ხართ თქვენში ღმერთია, რადგან იგი სხვა არაფერია, თუ არა თქვენი სინორჩე, თქვენი უმანკოება!

1974 წლის 23 აგვისტო
პუნა, ინდოეთი

საუბარი მეოთხე

მეოთხე შეგონება

იესომ თქვა:

— ნუ ფიქრობთ ღილიდან ხალამომდე
და ხალამოდან ღილამდე იმაზე,
თუ რითი შეიმოსოთ

(თომა, 11)

მოწაფეებმა კითხეს:

— როდის გამოგეცხადები და
როდის გიხილავთ?

იესომ მიუგო:

— როცა განიძარცვავთ სამოსს
და არ შეგრცხვებათ,
როცა ჰატარა ბავშვებივით ფეხქვეშ ღაიგდებთ
და გათელავთ სამოსს,
მაშინ იხილავთ იმის შვს, ვინც ცოცხალია
და არაფრისა შეგეშინდებათ.

(თომა, 12)

ადამიანი არის არა ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, არამედ, როგორიც თვითონ სურს რომ იყოს. მას ნილაბი აქვს აფარებული და ყალბი სახით თამაშობს. ამაშია მთელი პრობლემა. დაბადებისას თქვენ საკუთარი სახე გაქვთ, რომელიც ჯერ არ გადასხვაფერებულა, მაგრამ ადრე თუ გვიან საზოგადოება იწყებს თქვენ სახეზე მუშაობას. ის

პირველად ორიგინალს, იმ ბუნებრივ სახეს გიმალავთ, რითაც დაიბადეთ. შემდეგ კი სხვადასხვა შემოხვევისათვის, სახეთა მრავალ ვარიანტს გთავაზობთ. ცხოვრებისეული სიტუაციები მრავალფეროვანია და თქვენც მრავალი ნიღაბი გჭირდებათ, რათა ნამდვილი სახე დაიცალოთ.

თქვენ უბრალო ადამიანს ზოგჯერ ვერც კი ამჩნევთ, თანამდებობის პირს ან რომელიმე მდიდარს კი პატივისცემით ეპყრობით, რომც არ გინდოდეთ. თქვენ ყოველ წამს იცვლით ნიღაბს, ყოველ წამს იცვლება თქვენი სახე. თქვენ ყურადღებით უნდა იყოთ, რადგან ეს უკვე იმდენად მექანიკური ხდება, რომ ამას ვეღარ ამჩნევთ. ის იცვლება თავისთავად. ოთახში თუ მოახლე შემოდის, ისე იქცევით თითქოს იგი არ არსებობდეს, მაგრამ თუ თქვენი უფროსი შემოდის ოთახში, მაშინ უმალ ფეხზე წამოხტებით, ისეთ გაღიმებულ, სტუმართმოყვარე სახეს მიიღებთ, თითქოს ოთახში თვით ღმერთი შემოსულიყოს.

თვალი ადევნეთ თქვენს სახეს, რომელიც გამუდმებით იცვლება, ჩაიხედეთ სარკეში და ის გამომეტყველება გამოიძახეთ, რითაც ცოლს ხვდებით. შემდეგ ვითომ შეყვარებულს უახლოვდებით, ისეთი სახე მიიღეთ; მერე ვითომ გწყრიათ ან გაბრაზებული ბრძანდებით; ის გამომეტყველებაც მიიღეთ, სქესობრივი აღტყინების დროს რომ გიჩნდებათ; ჩაიხედეთ სარკეში უკმაყოფილომ და თქვენ აღმოაჩენთ, რომ ერთი ადამიანი კი არა ხართ, თქვენში მთელი ბრბოა ჩასახლებული. ხანდახან გაგიჭირდებათ კიდეც აღიაროთ, რომ ყველა ეს გამომეტყველება თქვენია.

სარკის გამოყენება შესაძლებელია თქვენს სასიკეთოდ. მისი საშუალებით შეიძლება ჩაატაროთ მედიტაციები; შეგიძლიათ ცვალოთ თქვენი სახეები და უცქიროთ მათ. ეს დაგანახებთ, როგორი ყალბია მთელი თქვენი ცხოვრება და თქვენ არა ხართ ამ სახეთაგან არცერთი.

ყველაზე ღრმა მედიტაციად იქცევა ის, რომ იპოვოთ საკუთარი სახე, რომელიც ამქვეყნად მოსვლამდე გქონდათ და რომელიც გექნებათ, როცა აქაურობას დატოვებთ. თქვენ არ

შეგიძლიათ თან ატაროთ ყველა ეს სახე. თითოეული თქვენი გამოშეტყველება ფანდი, აბჯარი და მოტყუების ტექნიკაა. ისინი დროულად უნდა მოიშოროთ, რათა იესოს დანახვა შესძლოთ, ვინაიდან როცა ხედავთ თქვენს თავდაპირველ სახეს, ხედავთ იესოს.

ქრისტე სხვა არაფერია, თუ არა თქვენი თავდაპირველი სახე. არც ბუდა და არც იესო არ არიან თქვენს გარეთ. როდესაც სიყალბეს მოიშორებთ და გაშიშვლდებით, როცა დაიბრუნებთ პირველყოფილ სახეს, ყოველგვარი მოდიფიკაციის გარეშე, თქვენ იხილავთ იესოს მოელი თავისი დიდებით და უეცრად თვითონვე იქცევით ქრისტედ. მხოლოდ მსგავსი შეიცნობენ ერთმანეთს, ყოველთვის გასხვედეო ეს კანონი. მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქვამთ მას, თუ მისი მსგავსი ხართ. სხვაგვარად როგორ შეიცნობთ მას?

როდესაც საკუთარ შინაგან ყოფიერებას შეიგრძნობთ, მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ იგივეს შეცნობა სხვა ადამიანში. სინათლე სინათლეს იცნობს. სინათლე სიბნელეს ვერ ცნობს, სიბნელე როგორღა იცნობს სინათლეს? თუ სიყალბე გაგიჯდათ, ჭეშმარიტ ადამიანს ვერ იცნობთ. იესო კი ყველაზე ჭეშმარიტი ადამიანია, ყველაზე ჭეშმარიტი, ის არ არის მატყუარა, ის არის აუთენტური* და თუ მთელი ცხოვრება ცრუობდით, თუ თქვენი სიტყვები ყალბი იყო, როგორღა იცნობთ იესოს? — ეს შეუძლებელია.

მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიცნობთ შიგნით იესოს თუ ბოლომდე გაშიშვლდებით, მხოლოდ შემდეგ შეიძლება მისი ცნობა გარეთ. პირველ რიგში საჭიროა შეიცნოთ შინაგანი, რადგანაც შეცნობა მხოლოდ თქვენი შინაგანი ყოფიერების წყაროდან გამომდინარეობს. სხვა გზა არ არის.

პირველ რიგში, თქვენი შინაგანი ყოფიერება უნდა შეიცნოთ. ერთი უძველესი ინდური თქმულების თანახმად, ღვთის ძიება იწყება მხოლოდ მას შემდეგ, როცა მას უკვე მიაგნეს. ეს თითქოს პარადოქსული ამბავია, მაგრამ აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. აბა, როგორ დაიწყებთ ღვთის ძებნას სხვაგან, თუ

საკუთარ არსში არ აღმოგიჩენიათ იგი? მხოლოდ ამის შემდეგ იწყება ძიება, მაგრამ სინამდვილეში აღარ არის საჭირო ძებნა. კვლევა-ძიება იწყება და მთავრდება ერთსა და იმავე წერტილში. პირველი ნაბიჯი — საბოლოო ნაბიჯია. მათ შორის არ არის ორი ნაბიჯი, არც გზა არ არის, არის მხოლოდ ერთი ნაბიჯი. მოიშორეთ სიყალბე, რომელსაც თან დაატარებთ, მოიშორეთ ნასესხები ნიღბები.

რისთვისაა ეს სახეები? რა საჭიროა ისინი? რატომ უნდა გეშინოდეთ მათი მოშორების? უნდა გაიგოთ მთლიანი მექანიკა, მხოლოდ მაშინ გახდება გასაგები იესოს სიტყვები თქვენთვის.

პირველი: თქვენ არასოდეს გყვარებიათ საკუთარი თავი, თორემ არ დაგჭირდებოდათ ამდენი ნიღაბი. თქვენ ვერ იტანდით საკუთარ თავს და თუ ეს ასეა, ნამდვილ სახეს ყოველთვის დამალავთ. თუ თავად არ გიყვართ და არ გსურთ საკუთარი სახის დანახვა, სხვებს როგორღა ანვენებთ მას?

რატომ გძულთ საკუთარი თავი? მთელი საზოგადოებრივი წყობა თქვენივე თავისადმი სიძულვილის, ოვითბრალდებისა და დანაშაულის შეგრძნებას გინერგავთ, ამაზეა დამყარებული მისი სიძლიერე. რელიგიები, ქურუმები, საზოგადოება — ექსპლუატაციის ყველა სახეობა ამ საფუძველზეა დამყარებული.

თუ საკუთარ თავს ვერ იტანთ, რატომ უნდა წახვიდეთ ქურუმთან? რა გინდათ მასთან? როცა გძულთ, მაშინ თავს დამნაშავედ გრძნობთ; როცა გძულთ, გრძნობთ, რომ საჭიროა რაღაცის შეცვლა; როცა გძულთ, თქვენ ფიქრობთ, რომ საჭიროა დახმარება — საჭიროა ვინმე, ვინც გაგხდით მოსიყვარულედ და სიყვარულის ღირსად. მშობლები ხშირად გეუბნებიან: „შენ უვარგისი ხარ, ეს ცუდია, ის ცუდია“. მუდამ გვკარნახობენ: „ეს არ გააკეთო, ის არ გააკეთო“.

ერთ პატარა ბიჭს სანაპიროზე ქვიშაში თამაში უნდოდა. დედამ არ მისცა ამის ნება- ქვიშა სველია და ტანსაცმელს დაისვრიო. ბიჭმა წყალთან მისვლა მოინდომა. დედამ

დაუშალა, შემდეგ ბიჭუნამ, ვირბენ ან ვიხტუნაებო, — სთხოვა. ამაზეც უარი განუცხადა — ხალხში დამეკარგებიო. იქვე ახლოს ნაყინს ყიდდნენ. ერთი ცალი მიყიდეო, — სთხოვა ბიჭმა დედას, მან კი — ყელი აგტკივდებაო, ბუზღუნს მოჰყვა და ახლო მდგომი მიმართა — ეს რა მოუსვენარი და ნერვიული ბიჭი მყავსო.

სინამდვილეში ყმაწვილი კი არა, დედაა ნერვიული. ქვეშაში თამაში არ არის ნევროზი, არც წყალთან ახლოს მისვლა ან სირბილი, მაგრამ ნერვიული გონება ყოველთვის „არას“ ამბობს, მას არ შეუძლია „ჰოს“ თქმა. ნევროზული გონება თავის თავს ვერ აძლევს თავისუფლებას და აბა, ოქვენ როგორღა მოგცემთ მას? ბიჭუნას დედაც და თითქმის ყველა შშობელი ასეთია. ისინი თავისუფლებას კლავენ და ბავშვზე ახდენენ ახალ და ახალ ძალდატანებას, რაოა მან იგრძნოს, რომ ის ცუდია. რისი გაკეთებაც არ უნდა მოისურვოს, მას ეუბნებიან „არა“!, რაც იწვევს ბავშვში ნევროზს.

ერთი ყმაწვილი პირველად წავიდა სკოლაში. იქიდან დაბრუნებულს დედამ ჰკითხა, რა გასწავლესო. ბიჭმა უპასუხა: „ღღეს პირველად გავიგე, რომ მე „არა“ არ მქვია. თქვენ ყოველთვის „არას“ მეძახდით: ეს არ გააკეთო, იქ არ წახვიდე, ასეთი არ იყო, არ ითამაშო, არ ირბინო... მეც მეგონა, რომ „არა“ მერქვა, სკოლაში კი სხვა სახელი დამიძახესო“.

თქვენ ნევროზული ხართ, მთელი საზოგადოება ნევროზულია, იმიტომ რომ ეს ჯაჭვი თაობიდან თაობას გადაეცემა. ეს უსასრულოდ გრძელდება და დღეისათვის არცერთ საზოგადოებას არ ძალუძს შექმნას ნევროზისაგან თავისუფალი საზოგადოება და საუკუნე. ზოგიერთი პიროვნება ახერხებს ამ საზოგადოებიდან გაქცევას, მაგრამ ძალიან იშვიათად, რადგან ციხე დიდია და მყარი საფუძველი აქვს.

როდესაც იბადება ბავშვი, შეუძლებელია იმედი იქონიოო, რომ იგი ნევროზით არ დაავადდება. მის ირგვლივ ხომ ყველა შეშლილია. ისინი ჩაკლავენ მის თავისუფლებას და აუიქრებირებენ, რომ ის არის ცუდი. ეს არცნს დანაშაულის კომ-

პლექსს. ამიტომ თქვენ გძულთ საკუთარი თავი. დაიმახსოვრეთ! თუ ვერ იტანთ საკუთარ თავს, თქვენ ვერ შესძლებთ სხვის შეყვარებას. შეუძლებელია ეს! საწყისში თუ არის შხამი, ის იქნება თქვენს ყველა დამოკიდებულებაში. დაიმახსოვრეთ აგრეთვე ის, რაც ზემოთქმულიდან გამომდინარეობს: თუ გძულთ საკუთარი თავი, როგორ იფიქრებთ, რომ სხვას უყვარხართ? თავად ხუ არ შეიყვარებთ საკუთარ თავს, სხვა ვინ შეგიყვარებთ? გულის სიღრმეში თქვენ იცით, რომ არავის უყვარხართ და კიდეც რომ სცადოს ეს ვინმემ, არასოდეს დაუჯერებთ და მისი სიყვარული ტყუილი გეგონებათ.

თქვენ მაშინაც კი არ ძალგიძთ საკუთარი თავის სიყვარული, როცა სხვას უყვარხართ, სკეპტიციზმი გიპყრობთ და გსურთ დაამტკიცოთ, რომ ეს ასე არ არის. ეს სიძულვილია და ყველანაირი ნიღბის საწყისი. თქვენ ცდილობთ დაიმალოთ.

ტანსაცმელი სიცივისაგან კი არ გიცავთ, არამედ სხეულს გიფარავთ. თქვენ მისი საშუალებით საკუთარ სექსუალობას, თქვენში ჩაბუდებულ ცხოველს მალავთ. ყველაფერი კი, რაც ცოცხალია თქვენში, ცხოველის მსგავსია. გამონაკლისია მხოლოდ თავი. ასე, რომ თავის გარდა ყველაფერი დაფარული უნდა გქონდეთ. მხოლოდ მოაზროვნე თავის გამორჩენაა დასაშვები.

საზოგადოება დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ თქვენი თავით, სხეული რომ მოკვეთილი გქონდეთ.

მეცნიერები კიდეც ცდილობდნენ ამის განხორციელებას და ისინი დიდ სიძნელეებს აწყდებოდნენ, ტვინის რომ უსხეულოდ შესძლებოდა აზროვნება. რამდენიმე წლის წინათ მათ ამ საქმეში წარმატებას მიაღწიეს. ეს ექსპერიმენტი საზოგადოებამაც ჩაატარა, სხეული უარყოფილია და დაშორებულია გონებიდან, დაშვებულია მხოლოდ თავი. დარწმუნებული ვარ, უეცრად უთავოდ რომ დარჩეთ, საკუთარ სხეულს ვერ იცნობთ, რამეთუ თქვენ არასოდეს გინახავთ იგი. მომრავლდა ტანსაცმელი, სხეულთან ერთად სულსაც რომ გიფარავთ.

ერთი მაღალი კედლის გასწვრივ მიმავალ ორ ბიჭს დააინტერესა, რა ხდებოდა კედლის მიღმა. მათ ნახვრეტი შეამჩნიეს კედელზე, მაგრამ ვერ შესწვდნენ. შემდეგ ერთი მეორეს შეადგა მხრებზე და ნახვრეტში გაიხედა: „საკვირველია! იქ ბევრი ხალხი თამაშობს, მაგრამ ყველა ტიტველია. ალბათ ნუდისტთა* კლუბია“ — ჩამოსძახა მეგობარს. ქვემოთ მდგომი ბიჭი აღეგზნო და ჰკითხა: „რას აკეთებენ? ქალები არიან თუ კაცები?“

მის მხრებზე მდგარმა ბიჭმა მიუგო: „აბა რა ვიცი, ყველანი შიშვლები არიან და...“

ტანსაცმლით იცნობა ქალიც და კაციც. მართალს ამბობს ის ბიჭი, შიშვლები რომ დაინახა.

ამიტომ არ მოგცემს მეუე ნებას, რომ ისეთი ჩასაცმელი ატარო, როგორსაც ის იცვამს. რაღა გამოვა, თუ ჩვეულებრივი ადამიანი მეფური ტანსაცმლით იქცის? ეს დაუშვებელია, რადგან მეუე ყველასაგან უნდა გამოირჩეოდეს.

ტანსაცმელი ზუსტად შეესატყვება ადამიანს. თანაც იგი ისე დამძიმდა, რომ სიხმარშიც კი ხელს გიშლით საკუთარი თავი შიშველი ნახოთ.

საკუთარი თავი ყოველთვის ჩაცმული გესიზმრებათ. ტანსაცმელი შევიდა თქვენს არაცნობიერშიც, ბოლოს და ბოლოს, სიზმარში ხომ მაინც უნდა იყოთ ბუნებრივნი, მაგრამ იქაც ვერ ახერხებთ ამას — გრძელდება ნიღბებისა და სახეების მონაცვლეობა.

თქვენ გსურთ დაიმალოთ: არავინ არ უნდა იცოდეს თქვენი ჭეშმარიტი „მე“, თორემ, რომ გაიგონ, როგორ აიტანენ მას? თქვენ მსახიობებად იქეცით. ეს არის ქრისტეს გამონათქვამის საფუძველი.

იესომ თქვა: **„...ნუ იფიქრებთ დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე იმაზე, რითი შეიმოსოთ“...**

ნუ იფიქრებთ ჩასაცმელზე, სიყალბეზე. დარჩით თვითმყოფადნი, იგრძენით საკუთარი თავი ისეთი, როგორნიც სინამდვილეში ხართ. თუ თქვენ ასე მოიქცევით, მოუსვენრობა

შეგიპყრობთ. საიდან მოდის ეს მოუსვენრობა? თქვენ გაყავდათ აღშფოთებული, რომლებიც სინამდვილეში სიცოცხლეს გიწამლავდნენ. მათ გასწავლეს, რომ უარგეყოთ ყოველივე ცხოველური. მე კი გეუბნებით, რომ თქვენ ადამიანები ხართ და ეს არ არის ცხოველთა საპირისპირო. ადამიანი ცხოველის გარვითარების უმაღლესი საფეხურია.

თუ თქვენი მასწავლებლების რჩევას მიჰყვებით, თქვენ ამით ცხოვრების საწყისს უარყოფთ. ეს იქნება სიყალბე. წარმოიდგინეთ სქესობრივი აქტი ცხოველური საწყისის გარეშე! რა გამოვა? ალბათ გაოცდებით, როცა გეტყვით, რომ აღმოსავლეთის ქალების უმრავლესობამ არ იცის, რა არის ორგაზმი, არ განიცდის სექსუალურ ექსტაზს, ვინაიდან არ აძლევენ ამის უფლებას. ასე იყო წინათ დასავლეთშიც.

კაცებისათვის ნებადართული იყო ოდნავ მაინც დაისგავსებოდნენ ცხოველებს, ქალებს კი ამის უფლება არ ჰქონდათ. სქესობრივი აქტის დროს ქალს არანაირი ემოცია არ უნდა გამოევლინა გაბატონებული აზრით.

მხოლოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ტკბებიან სექსით, რამეთუ მათ აქვთ ცხოველური საწყისის გამოვლენის უფლება, მაგრამ თუ ცოლს სიამოვნებს სექსი და შეიძის ექსტაზში, ქმარი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს და ცოლს არაწესიერ ქალად თვლის. ის თვლის, რომ ქალი უნდა იწვეს უსიცოცხლოდ, უემოციოდ. დაკვირვებიხართ სიტყვას „ემოცია“? ის და სიტყვა „მოძრაობა“ ერთი ძირიდან წარმოიშვა. როცა ემოცია გიპყრობთ, მთელი თქვენი არსება მოძრაობაშია, ის თრთის, რითმულად ძგერს და ცხოვრობს — ის ველურია. არა, ქალს ეკრძალება, იყოს ველური, იყოს ცოცხალი.

თქვენ თუ უარყოფთ სექსს და მას ცხოველურად თვლით, შეეცდებით მის დამალვას.

აშშ-ში ერთი მეწარმე დიდ გასაჭირში ჩავარდა. მის საქმეს უმაღლეს სასამართლოში იხილავდნენ, რადგან მისი საწარმო უშვებდა თოჯინებს სასქესო ორგანოებით. მეწარმე იძულებული გახდა, თავისი საწარმო დაეხურა, რადგან სა-

ზოგადოებამ არ დაუშვა ამ თოჯინების რეალიზება და სასამართლოში აღძრა სარჩელი. რატომ არ ურდა ჰქონდეთ თოჯინებს სასქესო ორგანოები, თუ სხვა ყველაფერი გააჩნიათ?

რატომ გინდათ, რომ ბავშვმა არაფერი იცოდეს? თქვენ ხომ მას ყოველ ნაბიჯზე აჩყუებთ. ბავშვი მთელ სხეულს ურდა იცნობდეს, რადგან სხეული მთლიანად მშვენიერია. რა საჭიროა რამის დამალვა? ეს ცხოველურისადმი განუზომელი შიშის გამო ხდება, მაგრამ თქვენც ცხოველები ხართ. შეგიძლიათ ამას გადააბიჯოთ, მაგრამ არ შეგიძლიათ ფაქტის განადგურება. პირიქით შემთხვევაში თქვენი ნიღაბი უფრო გაყალბდება. თქვენთვის ღვთისმოსაობაც ნიღაბი იქნება.

მაგრამ თუ გადააბიჯებთ, თქვენი ღვთისმოსაობა აუთენტური იქნება. დაძლევა ნიშნავს მის მიღებას, მის გავლას ფხიზლად და წინსვლას, უარყოფა კი — გვერდის ავლას.ცხოვრებაში შეუძლებელია გვერდი აუარო რაიმეს, და თუ მაინც ასე მოხდება, თქვენ დარჩებით მოუმწიფებელნი. დადგება მომენტი, რომ თქვენ გადააბიჯებთ სექსს, მაგრამ ამას ცოდნა, გამოცდილება, ცნობიერების გაღრმავება და სიყვარული მოგიტანთ და არა უარყოფა და ჩახშობა.

იესო ამბობს: **„...ნუ ფიქრებთ დილიდან საღამომდე და საღამოდან დილამდე იმაზე, რითი შეიმოსოთ“...**

ნუ ჩაიცვამთ ნურაფერს. მე არ გეუბნებით, შიშველი გახვიდეთ ქალაქში, მაგრამ ნუ მიიწებებთ ნურაფერს. უბრალოდ თვითმყოფადნი იყავით. როგორიც არ ურდა იყოს ცხოვრება, მიიღეთ იგი, დატკბით და მიესალმეთ მას! იზეიმეთ იგი!

როგორებიც არ ურდა იყოთ, მაღლიერნი იყავით უფლისა იმისათვის, რაც გაგიკეთათ. ნუ უარყოფთ საკუთარ თავს, რადგან ამით ღმერთსაც უარყოფთ — შემოქმედი ხომ ის არის, ხომ მან შეგქმნათ ამ სახით და რასაკვირველია, მან მეტი იცის, ვიდრე თქვენ.

როდესაც რაიმეს უარყოფთ თქვენში, ამით უარყოფთ სამყაროს შემოქმედს. თქვენ შეცდომებს პოულობთ სამყაროს

თვითმყოფად არსებობაში. ეს სისულელე და უაზრობაა, მაგრამ ასეთი ადამიანები ძალიან პატივსაცემნი შეიქმნენ.

იესო ამბობს: **„ნუ იფიქრებთ იმაზე, თუ რა ჩაიცვათ, უბრალოდ იყავით სპონტანურნი, იყავით მგძნობიარენი ცხოვრებისადმი, ნუ ჩააყენებთ თქვენსა და მას შორის სიყალბეს, იცხოვრეთ გაელვებიდან გაელვებამდე ფიქრის გარეშე, რადგან დაფიქრება ყველაზე დიდი ნიღაბია.“** თუ თქვენ ქალთან მიდიხართ და გონებაში აწყობთ სიტყვებს, რაც უნდა უთხრათ, არ გყვარებიათ იგი, რამეთუ სიყვარული თავად ლაპარაკობს და მდინარესავით თვითონ მოედინება.

ერთხელ მარკ ტვენი ერთ-ერთ სააქციო დარბაზში გამართულ საუბარში მონაწილეობდა. იქიდან გამოსულს მეგობარმა ჰკითხა: „როგორ ჩაიარა საუბარმა, მოგეწონა?“ მარკ ტვენმა მიუგო: „რა საუბარზე მეკითხები? მე სულ სხვა რამისათვის ვემზადებოდი და სრულიად სხვა საუბარში მივიღე მონაწილეობა, არა და სულ სხვა საუბარში მსურდა მონაწილეობა. შენ რომელ მათგანზე მეკითხები?“

ასეევა მთელი თქვენი ცხოვრებაც. ემზადებით ერთი რაღაცისათვის, მონაწილეობთ მეორეში, არა და სულ სხვა რამ გინდოდათ. რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ, თქვენ არა ხართ სპონტანურები. სპონტანურ ადამიანს სიფხიზლე და სრული შეგნება სჭირდება, სხვა არაფერი, მაშინ ის თავისი შემეცნებით მოქმედებს. თქვენ გეშინიათ, რამეთუ არავინ იცის, რა ხდება. თქვენ ასე ფიქრობთ: „მივესადაგები სიტუაციას თუ არა?“ აქედან მოდის შიშიც. მაგრამ იესო გეუბნებათ: **„...ნუ იფიქრებთ იმაზე, რითი შეიმოსებით...“**

მოწაფეებმა ჰკითხეს მას:

„როდის გამოგვეცხადები და როდის გიხილავთ?“

იესომ მიუგო:

„...როცა განიძარცვავთ სამოსს და არ შეგრცხვებათ, როცა პატარა ბავშვებივით ფეხქვეშ დააგდებთ და გათელავთ სამოსს, მაშინ იხილავთ მის ძეს, ვინც ცოცხალია და არაფრისა შეგეშინდებათ“...

ეცადეთ, ქრისტეს ყოველ სიტყვას ჩასწვდეთ. მოწაფეებმა ჰკითხეს, როდის გამოგვეცხადებიო? მაშინ, როცა იესო მთელი თავისი სიდიადით იღება მათ წინაშე, მოწაფეები ფიქრობდნენ, რომ იესო თავის სახეს მალავდა.

ერთხელ ბუდასაც ჰკითხეს იგივე. იგი ტყეში მიდიოდა. გზა საკმე იყო გამხმარი ფოთლებით, ქარი ქროდა. ტყე საოცარ ხმას გამოსცემდა. ანანდა და ბუდა მარტონი აღმოჩნდნენ, რადგან ზოგი მოწაფე წინ წასულიყო და ზოგიც უკან ჩამორჩენილიყო. ანანდამ ჰკითხა ბუდას: „შენ ყველაფერი გაგვომხილე, რაც გაგაჩნია, თუ რაიმეს ფარავ ჩვენგან?“ბუდამ უთხრა: „ჩემი ხელისგული გახსნილია, ბუდას არ გააჩნია მუშტი, შეხედე ამ ტყეს, არაფერია მასში დაფარული. მეც ამ ტყესავით გახსნილი ვარ...“ შემდეგ რამდენიმე გამხმარი ფოთოლი მომუჭა და თქვა: „ეხლა ჩემი მუშტი შეკრულია და შენ ვერ დაინახავ ამ ფოთლებს“.

ძუნწი ადამიანიც, რომელსაც ცოდნა არ სურს სხვას გაუზიაროს, მუშტს ჰგავს. შემდეგ ბუდამ გაშალა ხელისგული, ფოთლები გაფრიალდა და თქვა: „ბუდას ხელი უკვე მომუშტული კი არა, გაშლილია. მე განვაცხადე ცოდნაჩემი და თუ შენ გრძნობ, რომ რაღაც დამალულია, ეს შენგან გამომჩინარეობს და მე არაფერ შუაში ვარ“.

იესო მოწაფეებთან ღგას, ისინი კი ეკითხებიან, როდის გამოგვეცხადებიო. იგი უკვე გამოცხადდა „...და როდის გიხილავთო...“ მოწაფეები ფიქრობენ, რომ იესო იმალება. არა, იესო არ იმალება, მოწაფეები არ არიან გახსნილები, მათი ცნობიერება დაბინდულია და ვერ ხედავენ ქრისტეს.

ჭეშმარიტება არ არის დაფარული, ეს თქვენ ხართ ჩაკეტილნი. ჭეშმარიტება გამოცხადებულია ყველგან და ყოველ წამში.

ჭეშმარიტება არასოდეს არ არის დაფარული, მხოლოდ ტყუილი ესწრაფვის დამალვას. მხოლოდ სიცრუეა საიდუმლო. ჭეშმარიტება გაშლილ ხელისგულს ჰგავს, ეს თქვენ ხართ შეკრული, მუშტივით ჩაკეტილნი.

პრობლემა თქვენშია, ამბობს იესო: „როდესაც გაინიძარცვავთ სამოსს და არ შეგრცხვებათ...“

თქვენ შეგიძლიათ ტანსაც გაიხადოთ, მაგრამ უწინდებურად დაგეუფლებათ სირცხვილი, რამეთუ ამ შეხვედრაში ნამდვილად არ გაშიშვლდებით. ეს სიშიშვლე არ იქნება უმანკო.

სირცხვილი სიყმაწვილეა. ქრისტიანულ რელიგიაში სირცხვილი არის თავდაპირველი შეცოდება. გსმენიათ, ადამსა და ევას რა შეემოხვათ? როდის შესცოდეს? დიდხანს იკვლევდნენ იმას, თუ როდის შესცოდეს პირველად ადამმა და ევამ? ღმერთმა მათ შემეცნების ხიდან ნაყოფის ჭამა აუკრძალა, მაგრამ ისინი აცდუნეს. ეს ბუნებრივია, აკრძალვას ცდუნება მოჰყვება. ასეთია ტვინის მოქმედება, მაგრამ მას სხვა ოინიც გააჩნია: ის თქვენ გაცდუნებთ, მაგრამ პასუხისმგებლობას ყოველთვის სხვას აკისრებს.

ადამმა და ევამ თვითონვე აცდუნეს საკუთარი თავი და ყველაფერი ეშმაკს გადააბრალეს. „ეშმაკიც“ მათი მოგონილია და ცდუნებაც მათი გონებიდან გამომდინარეობს თქვენც ასე აკეთებთ: **როცა შეცდებით, ეშმაკს აბრალებთ ყველაფერს და ვერ ხვდებით, რომ ყველაფერი თქვენი ტვინის ოინებია.**

ადამსა და ევას ღმერთმა უთხრა: „ნუ იხილავთ ამ ხის ნაყოფს“. ისინი ურჩუნონი იყვნენ, თორემ მოერიდებოდნენ ამ ხეს. ადამმა და ევამ დაასკვნეს, რომ ღმერთმა იმიტომ აუკრძალა მათ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფის ჭამა, რომ ღმერთს არ სურდა, ისინი მას დამსგავსებოდნენ, რამეთუ, მათი აზრით, როცა ნაყოფს შეჭამდნენ, ღმერთივით ყველაფერი ეცოდინებოდათ.

მაგრამ ისტორია გვაუწყებს, რომ ისინი ეშმაკმა აცდუნა. ეს იყო ადამისა და ევას გამოცდა — სწამდათ თუ არა ღმერთი. მაგრამ გონებამ დაიყოლია ისინი. სწორედ მათი ტვინია „ეშმაკი“.

ეშმაკი ადამსა და ევას გველის სახით მოევლინა. გველი შხაკვრობის უძველესი სიმბოლოა. ეს არის ტვინი — ყველაზე ცბიერი რამ. ევამ პასუხისმგებლობა ეშმაკს დააკისრა. ადამმა

კი ევას. მამაკაცი მუდამ ამბობს, რომ ქალი არის მაცდური. ისინი ყოველთვის ქალებს ადანაშაულებენ.

მსოფლიოს ყველა სჯულის წერილში ქალი ყოველთვის მაცდურ არსებად არის გამოყვანილი. მას უბედურების მთავარ მიზეზად თვლიან, საკუთარ ცდუნებას ევა აბრალებს „ეშმაკს“, ადამი ევას. მაგრამ თუ სადმე ეშმაკს დაიჭერთ და ჰკითხავთ ამის შესახებ, მისი პასუხი ასეთი იქნება: „ყველაფერი ღვთის ბრალია, რამეთუ მან აკრძალა ნაყოფის შეჭმა და ამან გამოიწვია მსოფლიოს ყველა უბედურება. ედემის ბაღი უზარმაზარი იყო, მასში მილიონობით ხე ხარობდა, ადამი და ევა თვითონ არც მივიდოდნენ ცნობიერების ხესთან, მაგრამ ღმერთმა როცა მისი ნაყოფის შეჭმა აკრძალა, მათთვის მიელი ბაღი უინტერესო შეიქმნა ამ ხის გარდა. ეს იყო ღვთის დანაშაული!“ ასეთია ტვინის ხრიკები, მაგრამ ისტორია თავისთავად მშვენიერია და ათასნაირია მისი ინტერპრეტაცია. მასში მილიონი განზომილებაა.

ადამმა და ევამ შეჭამეს თუ არა აკრძალული ხის ნაყოფი, თავისი სიშიშვლის იმ წამშივე შერცხვათ. რაშია ცოდვა? ღვთისადმი დაუმორჩილებლობაში, — რომის პაპი ასე გიპასუხებთ. იმიტომ, რომ მათ აწყობთ თქვენი მორჩილება. თუ არათეოლოგ ფილოსოფოსებს ჰკითხავთ, ისინი გეტყვიან: „ცოდვა იმაში მდგომარეობს, რომ მათ შეჭამეს ცნობიერების ხის ნაყოფი, რადგან, როდესაც ფიქრობთ, უბედურება მატულობს. ცხოვრება ფიქრის გარეშეა უმწიკვლო, ბავშვები უხინჯონი არიან იმიტომ, რომ ისინი მოზრდილებივით ვერ ფიქრობენ, მოზრდილი ადამიანის გონება კი დაძაბულია და დატვირთულია ათასი აზრითა და საქმით, ოცნებითა და ფიქრით“. ასე რომ, თუ ჰკითხავთ ფილოსოფოსს — ეკზისტენციალისტებს, ისინი გეტყვიან, რომ ცდუნება შემეცნების ხის გამო მოხდა. თუ ჰკითხავთ ფსიქოლოგებს, ისინი გიპასუხებენ, რომ ცდუნება სირცხვილმა გამოიწვია, რამეთუ, როცა გრცხვენიათ, თქვენ საკუთარ თავს უარყოფთ. ბავშვები თავისუფლად

დადიან შიშკლები, რადგანაც არაფრის რცხვენიათ, მაგრამ თქვენ აიძულებთ, რომ მათ შერცხვეთ.

იესომ თქვა: **„...როდესაც განიძარცვავთ სამოსს და არ შეგრცხვებათ...“**

ადამმა და ევამ სასქესო ორგანოები ლეღვის ფოთლებით დაიფარეს — ეს იყო პირველი ტანსაცმელი, რომელიც ადამიანებმა გამოიგონეს და ცხოვრება დაიწყო. როგორ შეძლებთ ედემის ბაღში ხელახლა შესვლას? მოიშორეთ თქვენი ლეღვის ფოთლები!

აი, რის შესახებ ლაპარაკობს იესო. ეს არის გზა სამოთხისაკენ. შესაძლოა, განიძარცვოთ სამოსი, მაგრამ კვლავაც გრცხვენოდეთ. შეიძლება ირბინოთ ტიტველებმა, მაგრამ არ იყოთ გაშიშვლებულნი.

შიშველი გულისხმობს სხეულის აღქმას მთლიანობაში ისეთს, როგორიც სინამდვილეშია. არანაირი ბრალდება ტვინში, არანაირი გაყოფა სხეულში, უბრალოდ მიღება. მაპავირი ტიტველი როდია, იგი არ არის ნუდისტური კლუბის წევრი, მაგრამ იგი ბავშვივით შიშველია. ნუდისტები შიშველები კი არ არიან, არამედ მათი უტანსაცმლობა ანგარებიანი და გამოთვლილი ფანდია. მათი სიტიტველე პროტესტია საზოგადოებისადმი, ეს არის რეაქცია. ისინი არ არიან უმწიკვლონი. იესო ამბობს: **როცა პატარა ბავშვივით ფეხქვეშ დაიგდებთ და გათელავთ სამოსს ...“** მაშინ მიხილავთო.

უპირველესად, უნდა მიიღოთ თქვენი შიშველი და იყოთ ისე, როგორც ღმერთის წინაშე იქნებოდით, როგორც ბავშვი დგას მშობლების წინაშე შიშველი. თუ ღვთაების შეგრცხვებათ, იფარებთ ნიღაბს. შუაში დგება სირცხვილი. თუ გრცხვენიათ, გეშინიათ კიდეც. თუ გაქრება თქვენში სირცხვილი, აღარაფრის შეგეშინდებათ. შიში ქრება სირცხვილთან ერთად. მაშინ კი აგეხილებათ თვალი და ღვთის ძეს დაინახავთ, **„მის ძეს, ვინც ცოცხალია“.**

ჩემთან მოდის ხალხი და მეკითხება: „როგორ დავინახოთ მოძღვარი გასხივოსნებულია თუ არაო?“

ასეთ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა იმყოფებით, როგორ შეიცნობთ გასხივოსნებულ მოძღვარს? ეს იგივეა, ბრმამ რომ იკითხოს, როგორ გავიგო შუქი არის თუ არაო. ჭეშმარიტი მოძღვარის დასანახავად თვალი უნდა გიჭრიდეთ.

თქვენ ვერ გაიგებთ, გასხივოსნდა ადამიანი თუ არა, ქრისტეს შესაცნობად ძალა არ შეგწევთ, თორემ ჯვარს არ აცვამდით მას.

იესო შეშლილად გამოაცხადეს. როცა მას ჯვარი გოლგოთაზე მიჰქონდა, ხალხი ქვებსა და ტალახს ესროდა და უხაროდათ თავიანთი საქციელი: „ეს არის იუდეველთა მეფე!“... „ეს არის ძე ღვთისა...“ დასცინოდნენ იესოს. უკანასკნელად კი მაშინ დასცინეს, როცა ორ ავაზაკთან ერთად გააკრეს ჯვარზე. ბრბოსთან ერთად მას ეს ორი ავაზაკიც მასხარად იგდებდა. ერთ-ერთმა მათგანმა უთხრა: „ახლა ჩვენ ჯვარს გვაცვამენ. ნუ დაგვივიწყებ, იმ შენის „ღვთის სასუფეველში“ ჩვენც გაგვიხსენე! ჩვენც შეგვაწიე სიტყვა, შენ ხომ ყველაფერი ძალგიძს!“...

ხალხმა ვერ შეიცნო ქრისტე, რამეთუ ისინი ბრმები იყვნენ.

იესომ თქვა: **„...როცა პატარა ბავშვებივით ფეხქვეშ დააგდებთ და გათელავთ სამოსს...“**

ბავშვს როცა პირველად აცმევენ, ამით თავისუფლებას უსპობენ და აიძულებენ, მუდამ სამოსი ატაროს. მაგრამ ბავშვი, როგორც კი მოიხელთებს, ფეხქვეშ გაიგდებს ხოლმე თავის ტანსაცმელს და თელავს. იგი თავის სიშიშვლეს ზეიმობს და თუ თქვენც შესძლებთ ბავშვის მსგავსად მოიქცეთ, **„...იხილავთ მის ძეს, ვინც ცოცხალია და არაფრისა შეგეშინდებათ“...**

შიში სირცხვილიდან მოდის. თავდაპირველად თავს დამნაშავედ გრძნობთ, შემდეგ გრცხვენიათ. გიპყრობთ შიში და იმ ადამიანებთან მიდიხართ, რომლებმაც სირცხვილი და შიში ჩაგინერგათ, რათა ახლა მათი დაძლევა გასწაელოთ.

მაგრამ მათ თქვენი დახმარება არ ძალუძთ. ისინი გეტყვიან: „ევედრეთ ღმერთს და ღვთისმოშიში იყავით!“ მათ არ შეუძლიათ თქვენი გაიოყვანა შიშის მდგომარეობიდან. მხოლოდ იესოს ძალუძს შიშის დაძლევაში დაგეხმაროთ. მიიღეთ თქვენი თავი და არაურის არ შეგეშინდებათ. იყავით ბუნებრივები და გულწრფელნი რეალობის. იწამეთ ყველაფერი, რაც რეალურია.

ნუ შექმნით საწინააღმდეგო მხარეს, რადგან მერე ნიღბები დაგჭირდებათ. შინაგანი განრისხებისას, თქვენი მიმტევებლობა ყალბი იქნება. სექსუალური ნდობით აღძრულნი, სახეს ბრაჰმაჩარის* ნიღბით დაიფარავთ, მაგრამ ეს ვერ გიშველით. ისინი თქვენშივე დარჩებიან და ღრმად არაცნობიერში ჩაიძირებიან.

მოგითხრობთ ერთ ამბავს: ერთი მეცნიერი ცდილობდა ალმასის საიდუმლოს ამოხსნას. თითქმის მიზანს მიაღწია, მხოლოდ ერთი საკითხი ვერა და ვერ გაერკვია. თუ ამ საკითხს ამოხსნიდა, იგი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი კაცი შეიქმნებოდა. მაგრამ ყველა ცდა უშედეგო იყო და ვერ პოულობდა პასუხს. მერე ვიღაცამ ურჩია, წასულიყო ტიბეტში, სადაც ერთი ბრძენი ქალი ცხოვრობდა, რომელსაც ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა შეეძლო და მისთვის მიემართა. მეცნიერს ეს რჩევა ჯკუაში დაუჯდა და როგორც იქნა, მიაღწია ტიბეტამდე. დილა იყო, როცა ბრძენ ქალს კარზე მიუკაკუნა, მან კარი გაუღო და უმშვენიერესი არსება აღმოჩნდა. ქალი მთელი არსებით ეპატიჟებოდა კაცს შინ, თვალებში ვარსკვლავები უკრთოდა. მან მეცნიერს მიმართა: „შემობრძანდით, ჩემი ქმარი შინ არ არის. თქვენ მხოლოდ ერთი კითხვა შეგიძლიათ დამისვათ“. მეცნიერმა დაუდევრად წამოისროლა: „როდის დაბრუნდება თქვენი ქმარი?“ სინამდვილეში ალბათ ეს ერთადერთი კითხვა აწვალებდა მას. სადღაც, ღრმად ქვეცნობიერებაში სექსი იყო მისი პრობლემა. ალმასზე მუშაობა, როგორც ჩანს, მისი გატაცება იყო. იგი გულში ალბათ ფიქრობდა: „როცა ყველაზე მდიდარი გავხდები, ყველა უმშვენიერესი ქალი ჩემი იქნებაო“. ამასთანავე,

შესაძლოა არც გაეცნობიერებინა ეს აზრი. შეგიძლიათ იმუშაოთ ხელაპირულად არაცნობიერის გაუცნობიერებლად, მაგრამ საჭირო მომენტში, ის აიოხეოქავს და წარმოსინდება. გაქცევა თქვენ ვერ გიშველით, თქვენი გარდასახვა კი მაშინ მოხდება, საკუთარ არსებას თუ ღრმად ჩასწვდებით და აღიარებთ საკუთარ სინამდვილეს, როცა არ დაიწყებთ განსჯას. ნუ იქნებით მსაჯულები, თქვენი ბურების იწამეთ და მისღიეთ მის დინებას, ნუ ეცდებით დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვას. აი, რას ნიშნავს სიშიშველე.

ცხოვრებას რწმენით მისდიეთ და მიენდეთ, სადაც არ უნდა წაგიყვანოთ მან. ნუ ემორჩილებით საკუთარ მიზნებს. თუ გაქვთ მიზანი, თქვენ ცხოვრების წინააღმდეგ მიდიხართ. ეს არ არის ბიზნესი. ცხოვრება პოეზიაა, იგი გულიდან მოდის და არა თავიდან. ცხოვრება პოემაა, საჭიროა მას ერდოო, ეჭვები ვერაფერს გიშველით. ცხოვრება ირაციონალურია. მას არ სწამს არისტოტელე და ლოგიკა. მას სწამს სიყვარული, პოეზია და მისტიკა. სიცოცხლე დიდი საიდუმლოა. ეს არ არის გამოცანა, რომელიც ურდა ამოხსნა. საიდუმლო გახსნილია. მხოლოდ თქვენა ხართ დახურულნი. საიდუმლო გაცხადებულია ყველგან: ყოველ ხეში, ყოველ ფოთოლში, მზის თითოეულ სხივში, მხოლოდ თქვენა ხართ დახშულნი.

რატომ ხართ ჩაკეტილნი? თქვენ არ ღებულობთ შინაგან ცხოვრებას და როგორ შეძლებთ გარესამყაროს მიღებას? უპირველესად საკუთარი თავი მიიღეთ ისეთი, როგორიც ხართ. მაშინ თქვენ გარდაისახებით, თუ მიიღებთ, აღარასოდეს იქნებით ისეთნი, როგორნიც ახლა ხართ. გარდასახვა ხდება თავისთავად, ის მომდინარეობს საკუთარი შესაბამისობიდან.

ეს არის ის, რაზეც იესო ლაპარაკობს: „იყავით შიშველნი“, მოიშორეთ ყველაფერი, რაც საზოგადოებამ მოგცათ. მას თქვენთვის სიცოცხლე არ მოუცია, მან მხოლოდ „სამოსი“ გიბოძათ. საზოგადოებას არ მოუცია თქვენი ჭეშმარიტი „მე“, მან „ეგო“ მოგცათ, განიძარცვეთ სამოსი და „ეგოც“ გაქრება.

ერთმა კაცმა მეფე იბრაჰიმს ურჩია, მის მოძღვართან მისულიყო. იბრაჰიმი მივიდა მოძღვართან, რომელმაც ჰკითხა:

— მზად ხარ, ყველაფერი მიიღო და აღიარო?“

მეფემ მიუგო: „მე ამისათვის მოვედი შენთან. შენ რასაც მეტყვი, მე შევასრულებ“

მოძღვარმა შეხედა და უთხრა: „კარგი, გაიძრე ტანსაცმელი!“

მოწაფეები შეწუხდნენ, რადგან იბრაჰიმი მეფე გახლდათ. მისი გაშიშვლება არ იყო აუცილებელი. ეს მათთვის არასოდეს უთხოვიათ.

ერთ-ერთმა მოწაფემ ყურშიც კი ჩასჩურჩულა მოძღვარს: „ოსტატო, ეს მეტისმეტია, ნუ იქნები ასეთი დაუნდობელი. ეს ჩვენგანაც არ მოგითხოვია არასოდეს“.

მაგრამ მოძღვარმა ისევ მეფეს მიმართა: „აიღე შენი ფეხსაცმელები, გადი ქუჩაში, თავში წაიშინე და შიშველმა მთელი ქალაქი შემოიარე!“

თანაც ეს უბრალო ქალაქი კი არა, სახელმწიფო დედაქალაქი იყო.

იბრაჰიმმა კი აღასრულა მოძღვარის ბრძანება — შიშველმა მოიარა მთელი დედაქალაქი, თან ფეხსაცმელებს იცემდა თავში. ამბობენ, უკან გასხივოსნებული დაბრუნდაო.

რა მოხდა? იბრაჰიმმა საიმოსი გაიძრო. იგი დიდი შესაძლებლობების ადამიანი იყო. ამიტომ მოითხოვა ოსტატმა მისგან ამდენი. რაც უფრო მეტია თქვენი შესაძლებლობები, უფრო მეტის შესრულებას დაგავალებთ ოსტატი.

იბრაჰიმი შემდეგში თვითონ გახდა დიდებული ოსტატი, რადგან მან ყველაფერი გადაყარა საზოგადოებისაგან ბოძებული.

„ეგო“ ტვირთია, მაგრამ თქვენ საკუთარ შეგნებაში ათავსებთ მას და ზიდავთ. მრავალჯერ შეცდით, მრავალჯერ დამარცხდით, მრავალჯერ დაეცა თქვენი „ეგო“, მაგრამ ნაგვემნი, გულგატეხილნი, დამარცხებულნი და უიღბლონი უწინდებურად იმედიანად ეზიდებით საკუთარ ტვირთს.

გიამბობთ პატარა ამბავს: ერთხელ ლომი ვეფხვთან მივიდა და ჰკითხა: „ვინ არის ტყის პატრონი“?

ვეფხვმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, თქვენა ხარო ერთადერთი ბატონი, ერთადერთი მეფე!“

ლომმა ახლა დათვს მისცა იგივე შეკითხვა.

დათვმაც იგივე უპასუხა, რაც ვეფხვმა.

ახლა სპილოს შეხვდა ლომი და შეეკითხა: „ვინ არის ტყის ბატონ-პატრონიო“

სპილომ ლომი შორს მოისროლა. ლომი ქვას დაენარცხა. გასისხლიანებული და დაბეგვილი ეახლა სპილოს და უთხრა: „თუ არ შეგიძლია სწორი პასუხის გაცემა, ასე მაინც არ უნდა მოიქცეო“.

აი, როგორ იქცევით თქვენ. სიუხეშით სპილოს ჰგავხართ. უბრალოდ თქვით, რიმ პასუხი არ იცით.

თუ თქვენ შეგწევთ ძალა აღიაროთ, რომ წარუმატებლობაში ინგრევა ყოველივე, რაც საზოგადოებამ მოგცათ, მაშინ წარუმატებლობა ყველაზე დიდი წარმატების საწყისად შეიძლება იქცეს. ამიტომ ხდება, რომ მხოლოდ წარუმატებლობა აქცევს ადამიანს რელიგიურად. ისიც იმ შემთხვევაში თუ თავისი შეცდომების აღიარება შეუძლია.

ძნელია გახდეთ მორწმუნენი, თუ უკვე მიაღწიეთ გარკვეულ წარმატებას. ამ დროს სამოსი იმდენად მოგხიბლავთ, რომ აღარ იზრუნებთ სიშიშვლეზე. წარუმატებლობის დროს კი უეცრად შეიგრძნობთ სიშიშვლეს და ვერაფერი დაფარავს მას. თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ საკუთარი თავის მოტყუება და მეტი არაფერი. გამოიყენეთ თქვენი წარუმატებლობანი! და როცა მიგანარცხებენ ქვაზე, დაბეგვილები და დასისხლიანებულები ნუღა გაიმეორებთ ლომის ბრიყვულ სიტყვებს. აღიარეთ, რომ ამქვეყნად არ არსებობს წარმატება. იგი არც შეიძლება არსებობდეს, რამეთუ ყველაფერი ყალბია. ყალბი ნიღბებით ვერაფერს შეძლებთ. თქვენი წარმოსახული ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი და ჩინგიზ-ყაენიც დამარცხდნენ.

იესო ილბლიანია იმიტომ, რომ მთელი თავისი ბუნებითა და არსებით გაშლილია კიდით-კიდემდე. შეეცადეთ, მის ნათქვამს ჩასწვდეთ. მაგრამ მხოლოდ გაგება არ არის საკმარისი. ნელ-ნელა, თანდათან განიხარცვეთ საშოსი, გაშიშველდით და თქვენ განწმინდებით! მაშინ შეხვდებით, ის ვაშლი მოისროლოთ, ადამმა და ევამ რომ შეჭამეს; მაშინ თქვენთვის ხელახლა გაიღება სამოთხის კარი.

ქრისტიანები ამბობენ, რომ ადამსა და ევასთან ერთად სამოთხიდან მთელი კაცობრიობა გაიოცევესო. იესო ქრისტეში სამოთხის კარი ხელახლა გაიღო. თქვენ შეგიძლიათ, შეხვიდეთ სამოთხეში, მაგრამ მარტო იმიტომ კი არა, რომ ქრისტიანები ხართ. თქვენ იესო უნდა აღიაროთ. ამას კი მხოლოდ მაშინ შეძლებთ, როცა საკუთარ არსში აღმოაჩენთ და შეიცნობთ ქრისტეს.

1974 წლის 24 აგვისტო
პუნა, ინდოეთი

საუბარი მეხუთე

მეხუთე შეგონება

იესომ თქვა:

— უკეთუ მარხულობთ, სცოლავთ,
უკეთუ ლოცულობთ, განიკითხებით,
და თუ მოწყალებას გაიღებთ,
საკუთარ ხულს აუნებთ.

* * *

— უკეთუ მიდიხართ უცხო მიწა-წყალზე
და ქვეყნად დაჩეტებით,
თუ ხალხი მიგიღებთ,
ჭამეთ იხ, რასაც წინ დაგიდგამენ
და განკურნეთ მათ შორიხ აუადმყოფნი,

* * *

რამეთუ, იხ რაც თქვენ ჰირში ჩადიხ,
არ წაგბილწავთ,
მაგრამ იხ რაც თქვენ ბაგეთაგან ამოდიხ,
წაგბილწავთ თქვენ—

(თომა, 15)

იესოს ეს სიტყვები უცნაურად ულერს იმიტომ, რომ ადამიანი არ არის გულწრფელი, იგი მთელი ცხოვრება ნილბაფარებული თამაშობს და რაც არ უნდა გააკეთოს, ყველაფერი ყალბი იქნება. თუ თქვენ ლოცულობთ, ლოცულობთ ანგარე-

ბიო. ამავე მიზეზით მარხულობთ კიდეც, რამეთუ თქვენ არა ხართ ჭეშმარიტნი!

ასე რომ, საკითხავი ის კი არ არის, როგორ იმოქმედოთ სწორედ, არამედ ის, როგორ იყოთ ნამდვილნი საკუთარ ყოფიერებაში. თუ თქვენი ყოფა სწორია, თქვენი ყოველი საქციელიც თავისთავად გამართლებული იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ყველაფერი არასწორად წარიმართება.

ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინა ხართ თქვენ და არა იმაზე, თუ რას აკეთებთ. თუ ქურდი ლოცულობს, მისი ლოცვა ყალბია, რადგან შეუძლებელია, ლოცვა ჩაისახოს ისეთი ადამიანის გულში, ვინც ყველას ატყუებს, ქურდობს, ცრუობს ან მავნებელია. ლოცვას შეუძლია გარდაგსახოთ, რამეთუ იგი თქვენიდან მოდის. თუ თქვენ არაჯანსაღი ხართ, თქვენი ლოცვაც ყალბი იქნება.

ერთხელ მოლა ნასრედინი რომელიღაც სამსახურში უნდა მიეღოთ. ანკეტაში მან დაწვრილებით ჩაწერა, რომ თავიდან უნივერსიტეტში ასწავლიდა, შემდეგ ნაციონალური ბანკის ვიცე-პრეზიდენტობა შესთავაზეს, მაგრამ მოლამ უარი განაცხადა, რადგან ფული არ აინტერესებდა. იგი წერდა, რომ პატიოსანი კაცია და ნამდვილი ადამიანი, არ არის ხარბი და არ წუხს ჯამაგირზე. „რამდენსაც გადამიხდიო, იმით დავკმაყოფილდები, კვირაში 65 სამუშაო საათზეც თანახმა ვარო", — ასე დაამთავრა ანკეტის შევსება ნასრედინმა.

როცა მისი ანკეტა მეართველმა წაიკითხა აღფრთოვანებულმა უთხრა: „ღმერთო ჩემო! რაიმე ნაკლი თუ გაგაჩნიათ?"

ნასრედინმა უპასუხა: „მხოლოდ ერთი— მე ცრუპენტელა ვარ".

ეს ერთი ნაკლი უამრავ დადებით თვისებას აღემატება. თქვენც ერთი ნაკლი გაქვთ, მაგრამ იგი წარმოშობს სხვა დანარჩენს. თქვენი სუსტი მხარე საკუთარი ჩრდილივით თან დაგდევთ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ის თავის ელფერს აძლევს თქვენს ნამოქმედარს. ამიტომ რელიგიაში მთავარია არა რა ვაკეთოთ, არამედ რანი ვიყოთ. „ყოფა, აღნიშნავს

თქვენს შუაგულს, „მოქმედება“ კი პერიფერიებში ხელახლა აქტიურობაა.

„მოქმედება“ ნიშნავს თქვენს დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან, სხვებთან, ხოლო „ყოფაში“ თავად თქვენ იგულისხმებით ისეთნი, როგორნიც სინამდვილეში ხართ. „მოქმედება“ მეორეხარისხოვანია, ხოლო ყოფიერება ადამიანის დედაარსია. იესო, ბუდა და კრიშნა ყოფიერებაზე ლაპარაკობენ, ხოლო ტაძრები, ეკლესიები, მეჩეთები, ორგანიზაციები, სექტები, ე.წ. გურუები, მასწავლებლები და ქურუმები მოქმედებისაკენ მოგიწოდებენ. მხოლოდ იესო მოგცემთ თქვენი ყოფის გარდასახვის საშუალებას. თუ რომის პაპს დაეკითხებით, ის გასწავლით, როგორ იმოქმედოთ, გესაუბრებათ მორალზე. მორალი ქმედებას უკავშირდება, რელიგია — ყოფიერებას.

იესოს მსგავსი პიროვნებების შეგონებებს ჩვენ ვერ ვწვდებით. გაუგებრობა კი იმის გამო წარმოიშობა, რომ ერთმანეთისაგან ვერ ვანსხვავებთ ყოფასა და ქმედებას: იესო ყოფიერებაზე გვესაუბრება, ჩვენ კი მოსმენისთანავე ჩვენივე ინტერპრეტაციის შედეგად ვიგებთ, როგორც ქმედებას.

თუ ამას ჩასწვდებით, არც იესოს სიტყვები: **„უკეთუ მარხულობთ თქვენ სცოდავთ; უკეთუ ლოცულობთ, განიკითხებით; და თუ მოწყალებას გაიღებთ, საკუთარ სულს ავნებთ“...** მოგეჩვენებათ ძნელად გასაგებად. ამ სიტყვებმა თქვენ გზა უნდა გაგინათოთ, სხვაგვარად ისინი უფრო უცნაურად აჟღერდება და ანტირელიგიურ სახეს მიიღებს.

იესოს ქადაგება ქურუმებს ანტირელიგიურად მოეჩვენებოდათ, ამიტომაც აცვეს იგი ჯვარს, რამეთუ, მათი აზრით, იესო რელიგიის დაუძინებელი მტერი იყო.

კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ქრისტეს:

„უკეთუ მარხულობთ, თქვენ სცოდავთ...“

რელიგია მარხვისაკენ მოგვიწოდებს და ქადაგებს, რომ მარხვის გზით განიწმინდებიო. ჯვაინების სარწმუნოება მარხვაზეა აგებული. მათ რომ იესოს ეს ნათქვამი მოესმინათ,

მას საშიშად ჩასთვლიდნენ და კმაყოფილნი იქნებოდნენ იუდეველების მოქმედებით.

იესოს მეამბოხური ქადაგების გამო მთელ ებრაულ მორალს გაქრობის საშიშროება შეექმნა.

„...უკეთუ ლოცულობთ, გაინკითხებით; და თუ მოწყალებას გაიღებთ, საკუთარ სულს ავნებთ“... — გსმენიათ ოდესმე ეს სიტყვები? მაშ რა არის რელიგია? მორწმუნემ ხომ ეკლესიაში სალოცავად უნდა იაროს და გულმოწყალე იყოს! იესო კი ამბობს: — არა! უცნაურზე უცნაური გამონაოქვამია, მაგრამ აღსავსეა აზრით. იესო გეუბნებათ, რომ თქვენ ისეთებს, როგორნიც სინამდვილეში ხართ, არც წრფელი ლოცვა შეგიძლიათ და არც ნამდვილად მოწყალების გაღება... მთავარი ის კი არ არის, იმარხულებთ, გაიღებთ მოწყალებას, ილოცებთ თუ არა, მთავარია ის, რომ თქვენ თქვენს ახლანდელ მდგომარეობაში ყველაფერს არასწორად მოიმოქმედებთ.

თქვენ შეგიძლიათ, წახვიდეთ ტაძარში სალოცავად, ლოცვისათვის საჭირო თვისებები კი არ გაგაჩნიათ. შეხედეთ მლოცველებს. ისინი, როგორც თქვენ, საკუთარ თავს ატყუებენ, რამეთუ არც მათ გააჩნიათ ის უნარი, რასაც ლოცვის სრულყოფილება ჰქვია და თუ თქვენ ფლობთ მას, რაღა საჭიროა ტაძარში ან ეკლესიაში წასვლა?

სადაც თქვენ ხართ, თქვენი ლოცვაც იქ არის! ხედავთ, სუნთქავთ და ეს არის ლოცვა! ჭამთ ან გიყვართ, ესეც ლოცვაა! იმიტომ, რომ ლოცვის სრულყოფილება ოვითონ თქვენშია. ეკლესია და ტაძრები კი მათთვის არის განკუთვნილი, ვისაც საკუთარი თავის მოტყუება სურს, ვისაც არ გააჩნია ლოცვის უნარი და ვისაც სურს დაივჯეროს, რომ ნამდვილად ლოცულობს.

ერთი ცოდვილი კაცი კვდებოდა. იგი არასოდეს ყოფილა ტაძარში, არ ულოცნია, არასოდეს მოუსმენია რელიგიის ქურუმებისათვის, მაგრამ სიკვდილის მოახლოებამ შეაშინა და ქურუმის მოყვანა ითხოვა. მოსულ ქურუმს მომაკვდავთან მილეთის

ხალხი დახვდა თავმოყრილი, რადგან იგი მეტად ჩინებული, სახელოვანი და მდიდარი კაცი იყო.

ცოდვილმა კაცმა ქურუმს ახლოს მისვლა სთხოვა და ყურში ჩასჩურჩულა: „კარგად ვიცი, რომ ცოდვილი ვარ, არასოდეს ვყოფილვარ ეკლესიაში, ურწმუნო ვარ და არც მილოცნია... ვიცი, ხალხი არ მაპატიებს, მაგრამ ღამეხმარე და ცოტაოდენი სიმტკიცე შემმატე. ეროი რამ მითხარი ისეთი, რომ ღმერთი შემინდობს!“

„კარგი, — მიუგო ქურუმმა, — შესაძლოა ღმერთმა შეგინდოს კიდეც, რამეთუ იგი ისეთს არ გიცნობდა, როგორსაც ჩვენ გიცნობდით“.

მაგრამ თქვენ თუ ქვეყნის მოტყუება ვერ შესძელით, ღმერთს როგორ მოატყუებთ? თუ ვერ მოატყუეთ ჩვეულებრივი ტვინი, შესძლებთ კი მოატყუოთ ღვთაებრივი გონი? ქურუმის პასუხი მხოლოდ დამშვიდებაა, მოხერხებული პასუხია: „შესაძლებელია“, მაგრამ სიტყვა „შესაძლებელია“ სიცრუეა და ასეთ „შესაძლებელს“ ნუ მოეჯიდებით.

ლოცვა — ეს არის უარი, რომელიც არსს მიეკუთვნება და არა პიროვნებას.

პიროვნებაა ის, ვინც მოქმედებს, ხოლო არსი ღვთისაგან ნაბოძებია. ლოცვა არსს ეკუთვნის — იგი თქვენი არსის უარია.

რა არის მარხვა? როგორ მარხულობენ ადამიანები? ქრისტეს სიტყვები უფრო ღრმაა, ვიდრე მაპავირის ნებისმიერი მტკიცება მარხვის შესახებ. იესო გვამცნობს ღრმა ფსიქოლოგიურ ჭეშმარიტებას — ადამიანის გონება უკიდურესობისაკენ მიემართება. ვინც ძალიან წუხს და ზრუნავს საჭმელზე, მას შეუძლია მარხვა. ეს თითქოს უცნაური პარადოქსია, მაგრამ მხოლოდ ასეთ პიროვნებებს შეუძლიათ ადვილად იმარხულონ, ხოლო ვინც თავისი დიეტა დააბალანსა, მარხვას შეუძლებლად მიიჩნევს. რატომ? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, მარხვის ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიას უნდა გაეცნოთ.

თუ ბევრს ჭამთ, ცხიმის დიდ მარაგს აგროვებთ და თავისუფლად შეგიძლიათ იმარხულოთ. ქალებს უფრო იოლად შეუძლიათ საკვებისაგან თავის შეკავება, ვიდრე მამაკაცებს. ერთ მომარხულე ჯაინზე ხუთი მომარხულე ქალი მოდის. ქალის სხეული უფრო მეტ ცხიმს აგროვებს და ეს ეხმარება მარხვის პერიოდში. რატომ იკლებთ ყოველდღიურად ერთ ან ორ ფუტს, როცა მარხულობთ? თქვენ იკვებებით საკუთარი სხეულის მარაგით, ეს არის ხორცის ჭამის ერთ-ერთი სახეობა.

ქალის სხეული დაგროვილი ბევრი ცხიმის გამოა სიმრგვალისაკენ მიდრეკილი. მსუქანი ადამიანები უფრო იოლად მარხულობენ და იოლად შეუძლიათ დიეტის დაცვაც. თუ თქვენ გამხდარი ხართ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ საჭილის იმ განსაზღვრულ რაოდენობას იღებთ, რაც საჭიროა სხეულის ყოველდღიური აქტიურობისათვის და ზედმეტ ცხიმს არ აგროვებთ. თქვენ არ შეგიძლიათ იმარხულოთ. ამიტომაცაა, რომ ყოველთვის მდიდრები მარხულობენ, ღარიბები კი იშვიათად.

ღარიბი კაცი რელიგიურ დღესასწაულს ზეიმობს, ნადიმს აწყობს და ყველას უმასპინძლდება, მდიდარი კი ამ ზეიმს მარხვაში ატარებს.

ინდოეთში ჯაინები ყველაზე მდიდარი ხალხია. აქედან გამომდინარეობს მათი მარხვაც. ღარიბი მაჰმადიანი ან ინდუსი კი ნადიმობს დღესასწაულზე. იგი მთელი წელი შიმშილობდა, მარხულობდა და დღესასწაულზე იცვამს ახალ ტანსაცმელს, ტკბება და ადიდებს ღმერთს. ასეთია ღარიბის რელიგია.

დღეს ამერიკაში უაროდ ვითარდება მარხვის კულტი. ამერიკა მდიდართა ქვეყანაა და ხალხი იქ იმდენს შეექცევა, რომ საჭიროა იმარხულონ.

ფიზიოლოგიური თვალსაზრისით მარხვის არსი ნაოელია. სხეულს უნდა ჰქონდეს იმაზე მეტი ცხიმი, ვიდრე საჭიროა და მარხვაც გაიოლდება.

ფსიქოლოგიური მხარე კი შემდეგში მდგომარეობს: საჭმლის გამო თქვენ ფსიქოლოგიურად ეწამებით, გამუდმებით

ჭამთ და საკვებზე ფიქრობთ, თუ ბევრს ოცნებობთ რამის შესახებ, ეს ოცნებაც გაპურებთ. ამ შემთხვევაში საწინააღმდეგო მხარე ხდება მიმზიდველი, ხოლო როცა ზომაზე მეტს ჭამთ, თქვენ უნდა იმარხულოთ, რამეთუ ღაგიბრუნდეთ მადა. ეს ეროადერთი გზაა.

ადამიანის გონება ერთ ძირითად კანონს ემორჩილება — ყველაუერი ადვილად გაღაღის საწინააღმდეგო მხარეს, მაგრამ არ შესწევს ძალა შუაში დარჩეს. წონასწორობა ყველაზე რთულია გონებისათვის, უკიდურესობანი კი — ადვილი.

მსუნაგი ადამიანი იოლად იმარხულებს, რადგან მარხვა მისთვის მეორე უკიდურესობაა, მაგრამ იგი მსუნაგობასა და მარხვას შორის ვერ გაინერღება. თქვენ არ შეგიძლიათ სწორი კვება, სწორ დიეტაზე ყოფნა. არა! ან ერთი, ან მეორე მხარე! თქვენი გონება საათის ქანქარას მსგავსად ხან მარჯვენა უკიდურესობისაკენ იხრება, ხან — მარცხენა უკიდურესობისაკენ, მაგრამ შუაში ვერ ჩერდება. თუ ქანქარა შუაში გაინერღება, საათიც აღარ იმუშაებს, რამეთუ მოძრაობის უნარს დაკარგავს.

თქვენც თუ გაწონასწორდებით, ფიქრიც შეინერდება, მაგრამ თუ ქანქარის მსგავსად ერთი უკიდურესობისაკენ მიისწრაფვით, ადრე თუ გვიან მეორე უკიდურესობა მიგიზიდავთ და მისკენ მიდიხართ.

იესოს ეს კარგად ესმის და გეუბნებათ: **„უკეთუ მარხულობთ, თქვენ სცოლავთ“**...

იესოს ტერმინოლოგიაში „ცოლვა“ არის უკიდურესობა, მოძრაობა უკიდურესობისაკენ. შუაში გაინერება უცოდველობას ნიშნავს. რატომ? უკიდურესობისაკენ სელა ცოდვაა, რადგან უკიდურესობაში თქვენ ჭეშმარიტების ერთ ნახევარს ირინევთ, მეორეს უარყოფთ. ჭეშმარიტება კი მთლიანია. თქვენ ამბობთ: ან ბევრს შევჭამ, ან საერთოდ არ შევჭამო. მათ შუაში კი არა გაქვთ არინევანი — თქვენ სხეულს კვებავთ და არც ჭამითა და არც უჭმელობით არ ხართ შეპყრობილნი. სხეული

ღებულობს იმას, რაც მას სჭირდება, თქვენ კი არ გაწუხებთ თქვენი სხეულის გასაჭირი.

ეს წონასწორობა ცოდვის საშღერებს გარეთაა. ასე რომ, თუ არ ხართ გაწონასწორებულნი, თქვენ ცოდვილები ხართ. იესოს იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ამქვეყნიური პიროვნება ცოდვილია, მაგრამ თუ იგი მეორე უკიდურესობისაკენ მიისწრაფვის და ამქვეყნიურს უარყოფს, ამქვეყნიერების მოწინააღმდეგე ხდება და მაინც ცოდვას სჩადის.

პიროვნება, რომელიც ქვეყნიერებას ღებულობს ყოველგვარი არჩევანის გარეშე და უპირატესობას არ ანიჭებს არც თუ იმ გზას, იგი ქვეყნიერებას აღემატება და ტრანსცენდენტალურია.

მიღება (აღიარება) ნიშნავს მასზე აღმატებას, არჩევანი კი იმას, რომ თქვენ ხართ ჩათრეულნი და თქვენი „ეგო“ იბრძვის. რომელ უკიდურესობაშიც არ უნდა ჩაეარდეო, ყველგან ბრძოლაა, რადგან უკიდურესობაში ვერასოდეს ვერ შეძლებთ სიმშვიდეში ცხოვრებას, მხოლოდ უკიდურესობათა შორის არის შესაძლებელი სიმშვიდე.

უკიდურესობაში ყოველთვის დაძაბულნი, შეწუხებულნი და შეუქრიანებულნი იქნებით. მხოლოდ როცა გაწონასწორდებით, აღარ გექნებათ მწუხარებისა და ტკივილის მცირე საბაბიც კი. თქვენ იქნებით შინ და არაფერი შეგაწუხებთ. დაძაბულობა უკიდურესობას ნიშნავს. თქვენ გაიარეთ მრავალი უკიდურესობა და ამიტომ ხართ ასე დაძაბულები.

როცა თქვენ ქალებით ხართ გატაცებულნი, გონებაში გამუდმებით სექსი გიტრიალებთ, ხოლო თუ ვერ იტანთ ქალებს, მაშინაც სექსზე ფიქრობთ. თუ სექსისათვის არსებობთ, მაშინ იგი იქნება თქვენი ფიქრის ერთადეროი საგანი და თქვენი გონების ბურუსი, ხოლო თუ პირიქით იქნება და სექსის მტრები იქნებით, სექსი კვლავაც დააძაბუნებს თქვენს გონებას. ან თუნდაც — ჩვენ ხომ გვახსოვს ჩვენი მეგობრები, მაგრამ უფრო მეტად მტრები გვახსოვს.

ზოგჯერ შესაძლებელია მეგობრის დავიწყება, მტერს კი ვერასოდეს დავიწყებ. ასევე ადამიანები, რომელთაც სექსის სამყარო ამოძრავებთ, სექსით არიან აღსავსენი.

წადით და იხილეთ მონასტრები. იქ შეხვდებით მეორე უკიდურესობაში ჩავარდნილ ადამიანებს, სექსი რომ უარყვეს. მაგრამ ისინიც გამუდმებით სექსზე ფიქრობენ.

ჭაობ ძალიან ბევრი, ჩაუვალეთ, რომ ადამიანი მხოლოდ საჭმელის მისაღებად გაინდა ამქვეყნად, შემდეგ კი იმარხულეთ. საჭმელზე ორივე შემთხვევაში იფიქრებთ.

თუ გამუდმებით ფიქრობთ რაშეზე, ის თქვენი ცხოვრების მიზანი ხდება.

ქალსაც ყოველთვის შეხვდებით და კაცსაც, მხოლოდ სექსია პრობლემა, რომელზეც გამუდმებით ფიქრობთ. არც საჭმელის მოპოვებაა პრობლემა, მაგრამ მასზე ფიქრი იქცევა პრობლემად. თუ თქვენ სხვადასხვა რამეზე ფიქრობთ, თქვენი გონება ხარჯავს გარკვეულ ენერგიას, ჩლუნგდება და იმდენად მძიმდება, რომ ცხოვრება უაზრობად გეჩვენებათ.

როცა თქვენი გონება მსუბუქია და საღი, ცხოვრებასაც ჯანსაღად უყურებთ, გაქვთ ნაღელი შეგნება და თქვენი არსებობა მშვენიერია, რადგან ეს მშვენიერება არის თვით ღმერთი! მთელი არსებობა ცოცხალია და ეს სიცოცხლისუნარიანობაა ღმერთი. მთელი თქვენი არსებობა ეკსტაზურია, თქვენს მიერ გაცდილი ყოველი წუთი ღვთიურია და ეს ნეტარება და ეკსტაზი არის ღმერთი. ღმერთი სადღაც შორს არ არის თქვენს მოლოდინში, არამედ ღმერთი ამ სამყაროში ცხადდება.

როცა ადამიანების გონება მდუმარე და უმანკოა, მაშინ ღმერთი ყველგანაა, თქვენ კი თქვენივე გონება დაანცუნგეთ და მოსპეთ საკუთარი მოქმედების წყალობით.

გიამბობთ ერთი ლოთის ამბავს, რომელიც გრძელ და ფართო ქუჩას მიუყვებოდა. იგი ერთ გამვლელს შეეკითხა: „სად არის ამ ქუჩის მეორე მხარე?“ ბინდბუნდი იდგა, თანაც მთვრალი იყო და ვერაფერს ამჩნევდა.

გამვლელმა თავაზიანობა გამოიჩინა და ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანა ლოთი. ახლა იქ შეეკითხა სხვა გამვლელს: „სად არის ქუჩის მეორე მხარე?“

იმანაც ლოთი საპირისპირო მხარეს გადაიყვანა. ლოთი გაჩერდა და უთხრა: „მოიცა! ეს რა ხალხი ხართ! მე ვიყავი აქ და ვიკითხე, სად არის — მეოქი მეორე მხარე. მათ იქით გადამიყვანეს. ახლა გკითხულობ სად არის მეორე მხარე — მეოქი და შენ ისევ ამ მხარეს გადმოგყავხარ. რა ხალხი ხართ! სად არის ქუჩის მეორე მხარე?“.

არ არსებობს არავითარი განსხვავება, თუ სად იმყოფებით: საპირისპირო უკიდურესობა იქცევა მეორე მხარედ და გიზიდავთ, რადგან მანძილი მიმზიდველობას წარმოშობს. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ იზიდავს სექსი იმას,ვინც უშარკოების დაცვას ცდილობს! ვერ წარმოიდგენთ, როგორ იზიდავს საჭმელი იმას, ვინც მარხულობს! ვერ წარმოიდგენთ, რადგან ეს გამოცდილების ამბავია. სიცოცხლის ბოლომდე თუ ერთ ფიქრს შეუპყრიხართ, მაშინაც კი როცა კვდებით, თქვენში რომელიმე უკიდურესობა თუ დარჩა, იქითკენ წახვალთ დამძიმებულნი.

თუ გსურთ ძალდაუტანებლად და გახსნილად იცხოვროთ, უკიდურესობებს ნუ ესწრაფვით — ასეთია იესოს სიტყვების აზრი, რომელმაც თქვა:

„უკეთუ მარხულობთ, სცოდავთ,

უკეთუ ლოცულობთ, გარიკხებით...“

რა არის ლოცვა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი რაღაცის თხოვნა ან საყვედურია, თქვენ გიჭირთ და ღმერთს შესთხოვთ დახმარებას. უფლის კართან თქვენ მიდიხართ როგორც მდაბიონი. თქვენი ლოცვა მათხოვრობაა, არადა შეუძლებელია, ლოცვა მათხოვრობა იყოს, რამეთუ იგი მხოლოდ მადლიერებაა. როდესაც მათხოვრობთ, თქვენი ლოცვა მიზანი კი არ არის, არამედ საშუალებაა.

ლოცულობთ იმიტომ, რომ მიიღოთ რაღაც, რაც თქვენთვის ლოცვაზე მეტად მნიშვნელოვანია. ბევრჯერ გილოციათ,

მაგრამ თქვენს გასაჭირს საშველი არა და არ დააღგა, ამიტომ ლოცვა უშედეგოდ ჩაოვალეო და ხელიც აიღეო მასზე.

სინამდვილეში ლოცვა ვერასოდეს იქნება საშუალება ისევე, როგორც სიყვარული. სიყვარული თვითონ არის მიზანი — თქვენ ხომ რაღაცისათვის არ გიყვართ ვიღაც. სიყვარულს თავისთავად გააჩნია შინაგანი უპირველობანი. თქვენ უბრალოდ გიყვართ ყოველგვარი არგარების გარეშე! ეს ნეტარებაა! სიყვარული არ არის საშუალება რაიმე მიზნის მისაღწევად, რამეთუ იგი თვითონ მიზანია. ლოცვაც სიყვარულია!

თქვენ უბრალოდ ტკბებით ლოცვით ღვთისადმი შეკითხვისა და თხოვნის გარეშე!

ლოცვა შინაგანად იმდენად მშვენიერია, ისეთი ექსტაზი გეუფლებათ, ისე ბედნიერად გრძნობთ თავს, რომ მადლიერებით ივსებით ღვთის მიმართ იმისათვის, რომ მოგეცათ იყოთ ამქვეყნად; ისუნთქოთ და აღიქვათ სამყაროს მრავალფეროვნება, რომ ისმინოთ და იყოთ შეგნებული! რომ თქვენ ეს არ დაგიმსახურებიათ და ღმერთმა გიბოძათ!

თქვენ ტაძარში მიდიხართ ღრმა მადლიერების გრძნობით მხოლოდ იმისათვის, რომ მადლობა შესწიროთ ღმერთს. დაუჯერდით, თქვენ განა დაიმსახურეთ თუნდაც ნაწილი იმისა, რაც გაგაჩნიათ? ამ სამყაროს რომ არ მოევლინოდით, განა უსამართლობა იქნებოდა თქვენს მიმართ? არა! ყოველივე ღვთიური სიყვარულით ნაბოძებია. თქვენ არ დაგიმსახურებიათ ის! ღმერთი სიყვარულით აღსავსეა. როდესაც ამას გრძნობთ თქვენში ისდება მადლიერების განცდა. მადლიერება — ეს არის ლოცვა და ისეთი მშვენიერია, რომ ვერაფერი შეედრება. ლოცვა თქვენი ბედნიერების უმაღლესი წერტილია, იგი ვერ გამოდგება რომელიმე მიზნის მისაღწევ საშუალებად.

იესო ამბობს: „...უკეთუ ლოცულობთ, გარიკითხებით“, იმიტომ რომ თქვენ ჭეშმარიტად არ ლოცულობთ. იესომ კარგად იცის, რომ როცა არ უნდა მიხვიდეთ ტაძარში, სათხოვნელად მიხვალთ. ლოცვა იქცევა საშუალებად და ეს ცოდვაა.

რაში მდგომარეობს თქვენი სიყვარული? სიყვარულის დახმარებით შეგიძლიათ გაიგოთ რა ხდება ლოცვის დროს. გიყვართ კი ვინმე ნამდვილად? გიყვართ თუ სხვა რამ გამოძრავებთ? ორმხრივი სიამოვნებაა? გრძნობთ, რომ ნამდვილად გიყვართ? მოელი გულით გასცემთ სიყვარულს, თუ მხოლოდ სხვას ძალავთ სიყვარულს? სინამდვილეში თქვენ იყენებთ სხვა პიროვნებას სიყვარულისათვის.

დავუშვათ, პიროვნება, ვინც გიყვართ, არ დაგთანხმდათ გამოყენებაზე. ისევ გეყვარებათ? თუ მშვენიერი ქალი გაუფასებთ, თქვენი „ეგო“ კმაყოფილდება. მასთან ურთიერთობისას გრძნობთ, რომ ნამდვილი მამაკაცი ხართ. მაგრამ თუ ეს ქალი თქვენთან ურთიერთობაზე უარს განაცხადებს და სიყვარულითვე არ გიპასუხებთ, თქვენი მისდამი სიყვარული უკვალოდ ქრება.

თუ ლამაზი და ძლიერი მამაკაცი გაუფასებთ თქვენ, როგორც მომხიბლავ ქალს, თქვენი „ეგო“ დაკმაყოფილებულია. ეს ორმხრივი ექსპლუატაციაა, თქვენ კი ამას სიყვარულს ეძახით. ასეთი ურთიერთობა ჯოჯოხეთია, რადგან ამ დროს სიყვარული მხოლოდ სახელია, რომლის უკან სხვა რამ იმალება. **ნამდვილი სიყვარული სხვისთვის.** თუ ვინმე გიყვართ, თქვენ ბედნიერნი ხართ და თქვენი ბედნიერება ამტკიცებს, რომ თქვენ შეყვარებული ბრძანდებით.

მაგრამ შეყვარებულები არც თუ ისე ბედნიერებად გამოიყურებიან და ეს მცირე სიხარულიც მხოლოდ თავიანთი ურთიერთობის დასაწყისში ეწვევათ ხოლმე, როდესაც ჯერ კიდევ გეგმავენ მომავალ ცხოვრებას, როცა გაუცნობიერებლად ხლართავენ ქსელს, რათა ერომანეთი გააბან. მთელი მათი პოეზია და რომანტიკა ამისკენაა მიმართული. როგორც კი ერთმანეთს უკავშირდებიან, გრძნობენ, რომ ბორკილები დაედოთ — თითოეულის „ეგო“ მეორისათვის იქცა ბორკილად, თითოეული ცდილობს მეორეზე დომინირებას და მის დაუშლებას.

ეს სიყვარული მსუბუქი იქნება. თუ თქვენ ვინმე ჭეშმარიტად გიყვართ, თქვენი ლოცვაც ჭეშმარიტია, რამეთუ ლოცვა მთლიანის სიყვარულია. თუ ჩვეულებრივი ადამიანისადმი სიყვარულში კრახი განიცადეთ, როგორ შეიგრძნობთ ღვთაებრივ სიყვარულს?

სიყვარული ნაბიჯია ლოცვისაკენ. თქვენ ეს უნდა შეიგნოთ. თუ შეიყვარებთ ნამდვილად ვინმეს, თქვენ გაიგებთ საიდუმლოს. იგივე გასაღები გამოიყენება ღვთაებრივისთვისაც, რა თქმა უნდა ბევრად უფრო დიდი ზომის, მაგრამ გასაღები იგივეა.

სიყვარული თავისთავად მიზანია და მასში არ არის „ეგო“. როდესაც არ გაგანრისხათ „ეგო“, სიყვარული მაშინ მოდის თქვენთან, თქვენ, უბრალოდ, გასცემთ საკუთარ გრძნობას და სხვას უკოფთ თქვენს ნაწილს. არ არის გარიგება. სიყვარული მოედინება და თქვენ ლღვებით. მხოლოდ მაშინ შესაძლებელ ლოცვას.

იესომ უთხრა მოწაფეებს: „...უკეთუ თქვენ მარხულობთ“... და აქ მახვილი კეთდება „თქვენზე“,... „...განიკითხებით“... იგი კარგად იცნობს თავის მოწაფეებს... „და თუ მოწყალებას გაიღებთ, საკუთარ სულს ავნებთ...“ დაკვირვებიხართ ოდესმე, რა ხდება თქვენში, როდესაც მდაბიოს აძლევთ რამეს? ეს სიკეთიდან გამომდინარეობს თუ „ეგოდან“? თუ ქუჩაში მარტო მიდიხართ, მათხოვარი გხვდებათ და მოწყალებას გთხოვთ, თქვენ იშორებთ მას, რამეთუ ვერავინ ხედავს, რას აკეთებთ და თქვენი „ეგო“ არ იტანჯება. მაგრამ მათხოვრებიც მშვენივრად იცნობენ თქვენს ფსიქოლოგიას. ისინი არასოდეს გთხოვენ მოწყალებას, როცა მარტო ხართ. მაგრამ თუ მიდიხართ მეგობრებთან და ნაცნობებთან ერთად, ისინი ჩაგაფრინდებიან ძალად და ისე გთხოვენ მოწყალებას, რამეთუ იციან, რომ სხვათა თანდასწრებით თქვენ ვერ ეტყვით უარს, სხვაგვარად იფიქრებთ, რომ ხალხი ძუნწად ჩაგთვლით. ამიტომ თქვენ იძლევით მოწყალებას, რათა გადაარჩინოთ საკუთარი „ეგო“. ეს არ გამომდინარეობს სიკეთიდან. კარგად დაიმახ-

სოვრეთ — რაც არ უნდა უწყალობოთ მათხოვარს, იგი წავა და სხვა მათხოვრებს ეწყინება, რომ გაგასწულელათ. ის გაიცინებს, რამეთუ კარგად იცის, თუ რატომ გაიღეთ მოწყალება. კეთილი აღამიანი სხვა მიზეზების გამო გასცემს საბოძვარს. იგი სხვის უბედურებას ისე მძაფრად გრძნობს, რომ შედის მის მდგომარეობაში. თქვენ იგრძნობთ ამ დროს რაღაც პასუხისმგებლობასაც, რადგან მთელი პასუხისმგებელია ნაწილზე. ხვდებით, რომ თქვენც იმ საზოგადოების ნაწილი ხართ, რომელიც ანენს მათხოვრებს, ხოლო მათხოვარი — მისი მსხვერპლია. როცა გაიღებთ მოწყალებას, თქვენ არ გჭირდებათ მადლობა, პირიქით, თვითონ უნდა იყოთ მათხოვრის მადლობელი, რამეთუ იცით, რომ თქვენს მიერ გაცემული მოწყალება არაფერი არ არის.

თქვენ შეგაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი იმ საზოგადოების განვითარებაში, რომელიც სიღარიბეს ქმნის, იცით, რომ იმ საზოგადოების წევრი ხართ, რომელშიც არსებობენ ღარიბები, რამეთუ მდიდრებს არ ძალუძთ მათ გარეშე არსებობა. იცით, რომ თქვენც შეგიპყროთ გამდიდრების სურვილმა. გრძნობთ მოელ დანაშაულს, გრძნობთ ცოდვას და ამ დროს მოწყალების გაღება სულ სხვა სახისაა, ხოლო თუ ფიქრობთ, რომ დიდი საქმე გააკეთეთ იმით, რომ მათხოვარს მოწყალება მიეცით, მაშინ, ამბობს იესო **„...საკუთარ სულს აკნებთ“...** რადგან არ იცით, რას ჩადიხართ.

მოწყალება გაიღეთ სიყვარულითა და სიკეთით ალსავსეებმა!

ეს უკვე მოწყალება აღარ იქნება, თქვენ უბრალოდ უწილადებთ მეგობარს მისთვის საჭირო რამეს. თქვენ აღარ იგრძნობთ თავს მათხოვარზე მაღლა, აღარ გიჩნდებათ თვითკმაყოფილების გრძნობა. პირიქით, თქვენ ფიქრობთ, რომ არ შეგიძლიათ არაფრის გაკეთება, მხოლოდ ცოტაოდენი ფული აჩუქეთ, რაც არც თუ ისე დიდი დახმარებაა.

ერთხელ ასეთი რამ მოხდა. ქალაქიდან კარგა მოშორებით, მთაში ცხოვრობდა ძენის* ოსტატი. ერთხელ შუაღამისას

მას უეხის ხმა შემოესმა. ვილაც მის გასაქურდაო მისულიყო. ოსტატი საგონებელში ჩავარდა, რადგან ეროი საბნის გარდა არაფერი გააჩნდა მოსაპარი. იგი ისე შეწუხდა, რომ ქურდის შემოსვლამდე საბანი კართან დადო და ოვიოთ დაიმალა.

ქურდმა კარგად მოათვალიერა ოთახი, სიბნელეში საბანი ვერ შენიშნა და წასაღები რომ ვერაფერი იპოვნა, გულგატეხილმა წასვლა დააპირა: „მოიცადე! — დაუძახა ოსტატმა, აიღე ეს საბანი! მე ძალიან მერიდება, რადგან შორიდან მოხვედი, ცივი ღამეა, შინ კი არაფერი მაქვს. მეორედ როცა დააპირებ მოსვლას, წინასწარ მაცნობე. რამეს მოვიფიქრებ. მე ღარიბი კაცი ვარ, მაგრამ ისე მოვახერხებ, რომ შენ რამე დაგახვედრო და შეძლო წაღება. ახლა კი, იყავი გულმოწყალე ჩემს მიმართ, ნუ მეტყევი ამ საბანზე უარს!...“

ქურდი ვერ იჯერებდა იმას, რაც მოხდა. მას ეს კაცი ძალიან უცნაურად მოეჩვენა, რადგან არასდროს მიუმართავთ მისთვის ასე. მან აიღო საბანი და გაიქცა.

იმ ღამით ოსტატმა პოემა დაწერა, ფარჯარასთან იჯდა. გარეთ ციოდა და ბადრი მოვარე ეკიდა ცაზე. პოემა ასეთი სიტყვებით იწყებოდა „რა მშვენიერი მოვარეა! ქურდს გავატანდი ამ მოვარეს!“ ოსტატი ტიროდა და იმეორებდა: „ის საბრალო, ისეთი შორი გზიდან მოვიდა“, გრძელდებოდა პოემა...

არ გასულა ცოტა ხანი და ქურდი შეიპყრეს. მას ბევრი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. თან ოსტატის მოპარული საბანიც აღმოუჩინეს. საბანს ყველა იცნობდა, იცოდნენ, რომ ოსტატს ეკუთვნოდა და ოსტატი სასამართლოში დაიბარეს.

მოსამართლემ უთხრა: „უბრალოდ დაადასტურე, რომ ეს საბანი შენია. ამ კაცმა საბანი ხომ შენ მოგპარა“.

ოსტატმა მიუგო: „ეს კაცი ქურდი არ არის, მე კარგად ვიცნობ მას. იგი ერთხელ მეწვია, მაგრამ არაფერი მოუპარაეს. ეს საბანი მე ვაჩუქე და ეწუხვარ, რომ სხვა არაფერი მქონდა, რათა მეჩუქებინა. საბანი ძველია და თითქმის გამოუსადეგარი.

ეს კაცი კი იმდენად კეთილია, რომ მიიღო იგი ჩემგან და გულში ჩემი მაღლიერიც კი დარჩა.“

იესო ამბობს: „...და თუ მოწყალებას გაიღებთ, საკუთარ სულს ავნებთ“... რადგან არასწორად გასცემთ მოწყალებას. თქვენ შეიძლება სიკეთე ჩაიდინოთ, მაგრამ თუ მასში ანგარებას გარევთ და არ იქნება თქვენი არსიდან გამომდინარე, საკუთარ სულს ავნებთ.

„...უკეთუ მიხდიხართ უცხო მიწა-წყალზე
და ქვეყნად დაეხეტებით,
თუ ხალხი მიგიღებთ,
ჭამეთ ის, რასაც წინ დაგიდგამენ...“

იესომ უთხრა მოწაფეებს, რაც არ უნდა მიეცათ მაოთვის, უყოყმანოდ მიეღოთ, არ წაეყენებინათ პირობები.

ბუდიზმმა თითქმის ნახევარ მსოფლიოში მოიკიდა ფეხი, ჯაინთა ბერები კი ინდოეთის საზღვრებს არ გასცილებიან. ისინი თავიანთ ქვეყანაში რჩებიან. მათი რიცხვი 3 მილიონს თუ აღწევს. მაჰავირი და ბუდა ერთ საუხურზე იდგნენ. აბა, ჯაინების რელიგია რატომ არ ვრცელდება მთელ მსოფლიოში? ისევ და ისევ ჯაინთა ბერების გამო. სხვაგან ვერ გავრცელდებოდა ეს რელიგია იმიტომ, რომ მიმდევრებისათვის საჭმლის განსაკუთრებული სახეობაა საჭირო, რომელიც თავისებური წესით უნდა მოამზადდეს, აგრეთვე მირომევის განსაკუთრებული ფორმა არსებობს. ინდოეთში კი ჯაინიზმი ვრცელდება მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც ჯაინები ცხოვრობენ, რადგან ჯაინი ვერ მიიღებს საჭმელს სხვისგან. ამ საჭმლის ნარკომანიის შედეგად მაჰავირი გამოუყენებელი გახდა სხვა ხალხისათვის, კაცობრიობას არ ძალუძს, გამოიყენოს ეს უდიდესი ადამიანი...

„...ჭამეთ ის, რასაც წინ დაგიდგამენ...“

ნუ წაუყენებთ ნურავითარ პირობას მათ, ვინც დაგაპურებთ, ნუ მოითხოვთ საჭმლის განსაკუთრებულ სახეობას. თქვენ უნდა იმოქმედოთ ყოველგვარი პირობის გარეშე. თუ აყენებთ პირობებს, მძიმდებით. აი, რატომ არ იყვნენ

ქრისტეს მოწაფენი დამძიმებულნი. — ისინი ჭამდნენ იმას, რასაც ხალხი აძლევდა, იცვამდნენ იმას, რასაც შოულობდნენ, ცხოვრობდნენ ნებისმიერ კლიმატურ ზონაში, ნებისმიერი კატეგორიის ადამიანებთან. ამიტომ გაფრცელდა ქრისტიანობა ყველგან როგორც ცეცხლი.

„...და განკურნეთ მათ შორის ავადმყოფნი...“ — აი, ერთადერთი რამ, რაც მოწაფეებს იესომ დაავალა. მას არ უთქვამს, ჭეშმარიტების შეცნობა ასწავლეთ მათ, არა! ეს უშედეგოა. მას არ უთქვამს აიძულეთ ისინი, ნემი მისია ირწმუნონო, ესეც უშედეგოა. უბრალოდ, ავადმყოფნი განკურნეთო! თუ კი ვინმე ავადაა, როგორ შეძლებს ჭეშმარიტების შეცნობას? როდესაც ისინი განიკურნებიან, მაო შეეძლებათ ჭეშმარიტების შეცნობაც და იესოს მისიაში გარკვევაც.

თითოეული ადამიანი უსიქოლოგიურად დაავადებულია. უზიოლოგიურად, თითოეულს შეუძლია ჯანმრთელი რომ იყოს, მაგრამ ყველა ავადაა, რადგანაც მაოი გონება აფორიაქებულია და აუცილებლად საჭიროებს მკურნალობას. იესო მოწაფეებს ეუბნება, რომ მაო ხალხის გონება განკურნონ.

თუ თქვენს გონებაში მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრი და საგანი ირევა, თქვენ ავადა ხართ.

ზოგჯერ დგება წუთი, როცა თქვენი გონება ერთ ფიქრს შეუპყრია და ერთ საგანზე იყინება. ეს წუთი ხანდახან შემთხვევით დგება ხოლმე. ერთ მშვენიერ დილას, როცა მზე ამოდის, რომ გაგელვიძებათ ივიწყებთ, რომ ბაზარში, სამსახურში ან რაიმე სხვა საქმეზე ხართ წასასვლელნი, ივიწყებთ იმას, ინდუსი ხართ, მუსულმანი თუ ქრისტიანი. აღარ გახსოვთ თქვენი ოჯახური მოვალეობა და საერთოდ, ამქვეყნიური სამყარო. ამომავალი მზე და რიურაჟი ისე მშვენიერია, რომ თქვენ ერწყმით მას. თქვენი გონი მაშინ ჯანმრთელია და განიცდით ნეტარებას, რომელიც მთელს არსებას იპყრობს. შესაძლოა ეს მოულოდნელად მოხდეს, მაგრამ თქვენ ამ მოვლენის შეგნებულად გამოწვევაც შეგიძლიათ.

როცა თქვენი გონება ერთიანია, გამოვლინდება უცრო მნიშვნელოვანი თვისება, ხოლო უმნიშვნელო დაუყოვნებლივ იფარება.

სკოლაშიც ხომ ასე ხდება. როცა დირექტორი ადგილზეა, მასწავლებლები ნაყოფიერად მუშაობენ და მოსწავლეებიც ბეჯითად სწავლობენ. სკოლაშიც წესრიგია, როგორც კი დირექტორი მიდის, სკოლაში დისციპლინა ქაოსდება, რადგან მასწავლებლებმა „თავისუფლება“ მიიღეს და ისე აღარ აკონტროლებენ მოსწავლეებს. მიუხედავად ამისა, სანამ მასწავლებლები ადგილზე არიან, მოწაფეები დისციპლინას იცავენ, მაგრამ მასწავლებელი თუ გაეა, კლასში ქაოსი იწყება, მოწაფეები გადარეულ ბრბოდ იქცევიან ხოლმე. მასწავლებელი შედის კლასში და უეცრად ყველაფერი იცვლება.

ქაოსი იმას ადასტურებს, რომ უმაღლესი ძალა ადგილზე არ არის. როცა არ არის ქაოსი, მაშინ ჰარმონია მყარდება. თქვენი გონებაც ქაოსშია. საჭიროა გამოვლინდეს მისი უმაღლესი თვისება, აუცილებელია მისი სრულყოფილი კრისტალიზაცია. თქვენ გადარეულ მოსწავლეებს ჰგავხართ, მასწავლებელი გარეთ რომ დაიგულეს. როდესაც ხდებით კონცენტრირებულნი, დაუყოვნებლივ შეიმოდის უმაღლესი ფუნქცია.

ამიტომ ამბობს იესო: **„განკურნეთ!“** სიტყვა **„განკურნება“** სანსკრიტში იმავე ძირიდან მოდის, რაზეც სიტყვები: **„სიწმინდე“** და **„მთლიანია“** დამყარებული.

განკურნეთ ადამიანი და ის გამრთელდება! ხოლო როცა ადამიანი მთლიანდება, იგი წმინდანად იქცევა. ეს ერთიანი პროცესია. თქვენი გონება დაავადებულია იმიტომ, რომ მასში არ არის ერთიანი ცენტრი. შეგიძლიათ თქვათ: **„ეს ცენტრი ვარ მე“!** მაგრამ თქვენ ხომ გამუდმებით იცვლებით: ზოგჯერ დილით ბრაზობთ, შუადღისას ხდებით მოსიყვარულე, საღამოთი გულგატეხილობა გეუფლებათ. არსებობს კი თქვენში რაიმე ცენტრი? თქვენ ხომ უბრალოდ ბობოქარი ბრბო ხართ და მეტი არაფერი.

ამჟამად თქვენში არ არის ცენტრი, რომლის გარეშე ადამიანი ავადდება. ჯანმრთელი ადამიანი ყოველთვის ცენტრირებულია. იესოს ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ საჭიროა თითოეულ ადამიანს მიეცეს ცენტრი ისე, რომ ქაოსი გარეთ დარჩეს; რომ, 24 საათის განმავლობაში დარჩნენ ცენტრირებულნი, რომ რაღაც რჩებოდეს მუდმივი. ეს მუდმივობა გახდება თქვენი „მე“.

შეხედეთ ამას შემდეგი სახით: არსებობს ყოფიერების სამი ფენა: პირველი ობიექტებისაგან შედგება. ეს არის ობიექტური სამყარო, გარემოცვა. თქვენი გრძნობა გატყობინებთ ამ ობიექტის შესახებ. თვალებით ხედავთ, ყურებით ისმენთ, ხელებით ეხებით. თქვენ თუ გაიგივდებით ობიექტურ სამყაროსთან, თქვენი კმაყოფილება იქნება ზედაპირული.

მეორე ფენა თქვენში არსებობს. ეს გონებაა, აზრები, ემოციები, სიყვარული, სიძულვილი და ყოველგვარი განცდა. პირველი ფენა საერთოა — დავუშვათ, მე ქვა მიჭირავს ხელში, თქვენ შეგიძლიათ ამ ქვის დანახვა. ეს საერთო ობიექტურობაა, მაგრამ არავის არ შესწევს უნარი, დაინახოს რა ხდება ჩემს ან თქვენს გონებაში. როდესაც მიყურებთ, თქვენ ვერ მხედავთ მე. თქვენ ხედავთ მხოლოდ ჩემს სხეულს. მეც თქვენს სხეულებს ვხედავ. სხვამ შეიძლება თქვენი ქცევაც შენიშნოს, დაინახოს თქვენს სახეზე სიბრაზე, სისასტიკე და ძალადობა ამოიკითხოს თქვენს თვალებში, მაგრამ მას არ ძალუძს თქვენს გონებაში დაინახოს სიავე. შეუძლია, შეამჩნიოს სასიყვარულო ჟესტი, რომელიც თქვენი სხეულის მოძრაობიდან გამოიკვეთება, მაგრამ ის ვერ დაინახავს თავად სიყვარულს. თქვენ მხოლოდ ჟესტიკულირება შეგიძლიათ, მაგრამ ამაში არ არის სიყვარული. შესაძლოა, თქვენს სხეულს იცნობდეს ბევრი ადამიანი, მაგრამ გონებას — არავინ. ობიექტური სამყარო საყოველთაოა და მეცნიერება ამტკიცებს, რომ ეს არის ერთადერთი რეალობა, რადგან არავის არ ძალუძს შეიცნოს სხვა ადამიანის აზრები, ექსპერიმენტი ჩაატაროს მასზე, რადგან სხვა ვერ ხედავს მას. თვით ადამი-

ანს შეუძლია გვამცნოს თავისი აზრი, მაგრამ შეიძლება იცრუოს ან თავად მოტყუვდეს. თქვენი აზრები საგნები არ არის, მაგრამ იცით, რომ ისინი არსებობენ. აზრი პირადულია და სუბიექტური, მაგრამ არა საყოველთაო.

გარე ფენა, ზედაპირული რეალობა, წარმოშობს მეცნიერებას. მეორე ფენა, აზრთა და გრძნობათა ფენა, ქმნის ფილოსოფიასა და პოეზიას, მაგრამ სულ ეს ხომ არ არის? მხოლოდ მატერია და გონება? მაშინ თქვენ ვერასოდეს იქნებით ცენტრირებულნი, რადგან გონება ყოველთვის მოქმედებაშია, მას არა აქვს ცენტრი, გუშინ სხვა აზრი გაწუხებდათ, დღეს — სხვა, ხვალ კი აზრი კვლავ შეგეცვლებათ. თქვენი გონება თითქოს მორაკრაკე მდინარეა. თქვენი აზრებიც იცვლება და გრძნობებიც. ასე რომ, შესაძლოა მუდმივ ავადმყოფებად დარჩეთ, იყოთ კმაყოფილნი ავადმყოფობით და ვერასოდეს განიკურნოთ. მაგრამ არსებობს მესამე ფენაც — **რელიგიის სამყარო.** ეს არის მოწმის სამყარო, რომელიც საგნებსა და აზრებს აკვირდება და ეს დამკვირვებელი ერთია. თქვენს საკუთარ ტაძარს გარედან შეხედავთ, თუ დახუჭავთ თვალებს და შიგნით შეიხედავთ, დამკვირვებელი ერთი და იგივე რჩება.

სევდიანი ხართ თუ ბედნიერი, ცხოვრება პოეზიაა თუ კოშმარი, განსხვავება არ არის, დამკვირვებელი და მოწმე იგივეა. დამკვირვებლის ცენტრი მუდმივია და ეს არის რელიგიის სამყარო.

როდესაც იესო ამბობს: წადით და განკურნეთ ადამიანები, იგი გულისხმობს, რომ მისმა მოწაფეებმა ხალხს დაანახონ მათივე ცენტრი. აქციონ ისინი მოწმეებად. მაშინ ადამიანები არ ჩაერთვებიან გარე სამყაროში, არც თავის აზრებთან გაიგივდებიან, მაშინ ისინი ფეხს მოიკიდებენ საკუთარ ყოფიერებაში. და თუ ამას მიაღწევთ, მაშინ ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვლება და თქვენ შეძლებთ ლოცვას. მაშინ თქვენი ლოცვა მადლიერება იქნება და თქვენ ილოცებთ არა როგორც მდაბიო, არამედ როგორც იმპერატორი, რომელსაც

არაფერი არ აკლია. მაშინ გაიღებთ მოწყალებას არა „ეგოს“ პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არამედ თანაგრძნობის გამო. ეს კი თქვენვე მოგანიჭებთ ნეტარებას. მაშინ შეგიძლიათ, იმარხულოთ, მაგრამ ეს მარხვა არ იქნება საჭმელისაგან თავის შეკავება. ეს მარხვა იქნება სულ სხვა რამ (აი, რას ნიშნავს მაჰავირის მარხვა), ხოგვერ იმდენად დაივიწყებთ საკუთარ სხეულს, რომ შიმშილს ვეღარ იგრძნობთ.

სანსკრიტში მარხვის შესატყვისი მშვენიერი სიტყვა არსებობს — „უპავას“ იგი არ არის არც ჭამასთან და არც უჭმელობასთან დაკავშირებული. ის უბრალოდ „საკუთარ არსთან ახლო ყოფნასა და ცხოვრებას“ ნიშნავს. დგება მომენტი, როცა თქვენ იმდენად ცენტრირებული ხდებით, რომ სხეულს მთლიანად ივიწყებთ. შეუძლებელია, ამ დროს იგრძნოთ შიმშილი და სწორედ ამ დროს მოხდება მარხვა, ის თავისთავად შესრულდება.

შეგიძლიათ ამ ცენტრირებულ მდგომარეობაში რამდენიმე დღე დარჩეთ. ასე დაემარხა რამაკრიშნას*. იგი ექსტაზში ვარდებოდა და 6-7 დღე მკვდარივით იყო. მისი სხეული გაწერებული იყო უმოძრაოდ. როდესაც ექსტაზი ეუფლებოდა, თუ ფეხზე იდგა, დგომას განაგრძობდა. მოწაფეები აწვენდნენ მას და წყლითა და რძით ხელოვნურად კვებავდნენ. ამასთან ყველაფერი ისე იყო, თითქოს ის ამქვეყნად აღარ არსებობდა.

ასეთია მარხვა, რადგან თქვენ აღარ იმყოფებით საკუთარ სხეულში. თქვენ ვერ ჩააღარებთ მარხვას, რადგან ყველა მოქმედებას სხეული ასრულებს და მარხვა უსხეულობას გულისხმობს. ეს შეიძლება მხოლოდ თავისით მოხდეს, ისე, როგორც მაჰავირი, ქრისტე და მუჰამედი მარხულობდნენ.

იესო ამბობს: „...ჭამეთ ის, რასაც წინ დაგიდგამენ... რამეთუ ის, რაც თქვენს პირში ჩადის, არ წაგბილწავთ. მაგრამ ის, რაც თქვენ ბაგეთაგან ამოდის, წაგბილწავთ თქვენ“...

აი რას ნიშნავს ეს: ძალიან ნუ იზრუნებთ საკვების სისუფთავეზე. არა აქვს მნიშვნელობა, უმანკო ქალწული შე-

ეხება მას ხელით, თუ ცხოვრების უხეშ ფორმებთან შესებული ქალი წაბილწავს თავისი ჩრდილით. მთავარი ის კი არ არის, რა მიიღეო, არამედ ის, თუ რა გაიღეო, რადგან ეს უკანასკნელი წარმოადგენს თქვენს ღირსებას. როგორ გადაამუშავეთ ის, რაც მიიღეთ, აი რა არის მნიშვნელოვანი!

ლოტოსი სიბინძურეში იბადება, თუ თქვენც ლოტოსი ხართ, არაფერი არ უნდა იყოს ბინძური. თუ გაგაჩნიათ ლოტოსის თვისებები, თუ გაქვთ გარდასახვის უნარი, შინაგანი ალქიმიის ძალა, მაშინ თქვენც შეძლებთ ჭუჭყში დარჩენას და ლოტოსი დაიბადება. თუ არა გაქვთ ეს თვისებები, მაშინ თუნდაც ოქროში ცხოვრობდეთ, თქვენგან მხოლოდ ტალახი წარმოიქმნება. მთავარია ის, რომ თქვენ თუ ცენტრირებულნი ხართ საკუთარ ყოფიერებაში, მაშინ ის, რაც წარმოიშობა, ცვლილებას განიცდის და ტრანსფორმირდება. მთავარია თქვენი ყოფიერების ხარისხი და გამოვლინება.

ერთხელ ბუდა მოიწვიალა საჭმლის გამო, მაგრამ სრულიად შემთხვევით. ერთ ღარიბ კაცს დიდხანს უნდოდა მისი შინ მიწვევა. ბოლოს დილის 4 საათზე მივიდა იმ კართან, რომლის მიღმა ბუდას ეძინა და დაიცადა, რათა ყველასთვის დაესწრო ბუდას მიპატიჟება. ბუდამ გაიღვიძა თუ არა, მაშინვე სთხოვა სწვეოდა ბუდა პურის გასატეხად.

ბუდა ღათანხმდა. სწორედ ამ დროს მას იქაური მეფე ეწვია მეეტლეების, მინისტრებისა და დიდი ამალის თანხლებით და ბუდა სასახლეში მიიპატიჟა.

ბუდამ უთხრა: „იქ ვერ შევძლებ, ჩემი მოწაფეები გესტუმრებიან სასახლეში, მე უკვე მიპატიჟებული ვარ. ეს კაცი აქ პირველი მოვიდა და მან მიმიწვიაო“.

მეფე ბევრს ეცადა, რომ მისთვის სიტყვა გადაეთქმევინებინა, მაგრამ ბუდამ უპასუხა: „არა აქვს მნიშვნელობა, ის ღარიბია თუ არა, მან მიმიპატიჟა და მე წავალ“. ასეც მოიქცა.

ინდოეთის ღარიბ რაიონებში წვიმების სეზონის დროს ხალხი სხვადასხვა სახის მცენარეულობას აგროვებს: „კუკარ

მუტტა“ ასე ჰქვია სოკოს, რომელიც წვიმების დროს იზრდება, მას ახმობენ და მთელი წლის განმავლობაში საკვებად იყენებენ. მაითვის ეს ერთადერთი ბოსტნეულია, მაგრამ ეს სოკო ხშირად შხამიანია. ამ კაცმა ბუდას სწორედ კუკარ მუტტა მიართვა, რომელიც შხამიანი აღმოჩნდა. მას თავიდანვე დაეტყო სიმწარე, მაგრამ ეს იყო ერთადერთი კერძი, რომელიც ღარიბმა ბუდას მიართვა და ბუდას რომ ეთქვა: „მწარეა და ვერ შევჭამო“, მასპინძელი გულნატკენი დარჩებოდა, რამეთუ მეტი არაფერი გააჩნდა. ბუდა ჭამდა და არ ამჟღავნებდა, რომ სოკო შხამიანი იყო. მასპინძელს უხაროდა და ბედნიერად გრძნობდა თავს.

როცა ბუდა დაბრუნდა, შხამმა მოქმედება დაიწყო. მოწვეულმა ექიმმა განაცხადა, რომ შხამი სისხლში იყო გადასული და ბუდა მოკვდებოდა.

ბუდამ კი თავისი მოწაფენი მოიხმო და უთხრა: „ის ღარიბი კაცი არანაკლებრივი ადამიანია. თუ დედამ პირველად დამაბერა, ბოლო ლუკმა იმ კაცმა შემომთავაზა. პატივი მიაგეთ მას! ჩემი არსებობის მანძილზე მხოლოდ ორ ადამიანს მიეცა ასეთი იშვიათი შესაძლებლობა. პირველი — დედაჩემს, რომელმაც ამ ქვეყანას მომაგლინა და მეორე — ამ ღარიბ კაცს, რომელიც დამეხმარა სხვა ცხოვრებაში გადასვლაში. წადით და გაამხნევეთ ხალხს, რომ ამ კაცს პატივი მიაგონ, რამეთუ იგი დიადია!...“

მოწაფეები ძალზედ აღელვებულები იყვნენ და განიზრახეს ღარიბი კაცის მოკვლა. როცა ყველანი გაიკრიბნენ, ანანდამ უთხრა ბუდას: „ეს მეტისმეტია ჩვენთვის, პატივი მივაგო ამ კაცს. ის მკვლელია და ბოლო მოგიღო შენ. ნუღა იტყვი ასეთ რამეს!“

ბუდამ მიუგო: „მე გიცნობ და ვიცი, რომ შეგიძლია, მოკლა იგი. აი, რატომ ვამბობ ამას, მიდი და პატივი ეცი. ეს იშვიათი შესაძლებლობაა — მიაწოდო ბუდას უკანასკნელი ლუკმა.“

როგორც ხედავთ, ბუდას შხამი მისცეს, მისგან კი სიყვარული გამოვიდა. ეს არის ალქიმია!

ბუდა მადლიერებით აღივსო იმათ მიმართ, რომლის მოშხაღებულმა საჭმელმაც მოწამლა. როდესაც შხამის აძლევენ ბუდას, მისგან მაშინაც კი სიყვარული მოედინება.

იესომ თქვა: „რაიმეთუ ის, რაც თქვენს პირში ჩადის,
არ წაგბილწავთ,
მაგრამ ის რაც თქვენს ბაგეთაგან ამოდის
წაგბილწავთ თქვენ“.

ასე რომ, დაიმახსოვრეთ — მთავარია, როგორ გარდასახავთ მოვლენებს. თუ გირჩევიათ ვინმე, ის თქვენ გკვებავთ რტყმევით, მაგრამ ეს ვერ წაგბილწავთ თქვენ.

ამჟამად რა გამოედინება თქვენგან? როგორ გარდასახეთ დარტყმები? სიყვარული გამოდის თქვენგან თუ სიძულვილი? იესოს თქმით, გახსოვდეთ, რომ მთავარია რა გამოდის თქვენგან და ნუ იზრუნებთ განსაკუთრებულად იმაზე, რაც თქვენში შედის. სხვაგვარად თქვენი მოქმედება არასწორი იქნება. თუ გამუდმებით ფიქრობთ იმაზე, რა შემოდის თქვენში, ვერასოდეს განივითარებთ საგანთა გარდასახვის უნარს. მაშინ ყველაფერი ზედაპირული რჩება: იწყება ზრუნვა სუფთა საკვებზე: თქვენში ბატონდება აზრი, რომ თქვენ ხელშეუხებელნი ხართ. ბრაჰმანები* და წმინდა სულები ბრძანდებით. ამ შემთხვევაში ყველაფერი სისულელედ იქცევა! ჭეშმარიტება ის კი არ არის, რაც თქვენში შემოდის, ჭეშმარიტება იმაშია, რომ მუდამ გახსოვდეთ ის, რაც თქვენში შემოდის, ურდა გარდასახოთ!

ერთხელ შანკარანარი იყო ბენარესში. დილით იგი მდინარე განგზე განბანის რიტუალის ჩასატარებლად წავიდა. აზროვნებდა რა ძველბრაჰმანულად, ფიქრობდა, რომ განგი განწმენდდა მას. განბანვის შემდეგ უკან მომავალს ერთი შუდრა* შეეხო ხელით.

შანკარანარი ძალიან განაწყენდა და შუდრას უთხრა: „ეს რა ჰქენი? ახლა უკან ურდა დავბრუნდე და ხელახლა განვიბანო. შენ მე წამბილწე!“.

ამბობენ შუდრამ ასე უპასუხაო: „მაშინ მაგ განგს ჩალის ფასი ჰქონია, თუ განგმა განგწმინდა, სუფთა იყავი და ჩემმა შესხებამ წაგბილწა, მაშინ მე უფრო ღიდი ძალა მქონია, ვიდრე შენს განგს! შენ რა ბრძენი ხარ? მე ვისმენდი შენს საუბარს, სადაც ამბობდი, თითქოს ყოველ ნივნაგში არსებობს მოლიანი. მაშ, ნება მომეცი გკითხო: ჩემი სხეულის შეხებას შეეძლო შენი წაბილწვა? თუ ეს ასეა, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ჩემს სხეულს შეუძლია შენს სულს შეეხოს, მაგრამ შენ ამბობ, რომ სხეული ილუზიაა და სიზმარი. მაშ, როგორ შეეხება სიზმარი რეალობას? როგორ შეიძლება იმან, რაც არ არის, წაბილწოს ის, რაც არსებობს? ანდა შენ ამბობ, თითქოს ჩემმა სხეულმა კი არა, სულმა წაგბილწა, მაშინ რატომ არა ვარ მე ბრაჰმა და რატომ არა ვარ ისეთივე მოლიანი, რის შესახებაც შენ ქადაგებ? ბოლოს და ბოლოს მითხარი, ვინ წაგბილწა?“...

ამბობენ, შანკარანარმა მუხლი მოიყარა შუდრას წინაშე და უთხრა: „აქამდე მე მხოლოდ გეუქრობდი მოლიანზე, მაგრამ ეს იყო ფილოსოფია. ახლა კი შენ მანვენე ჭეშმარიტი გზა. ამიერიდან ვერავინ წამბილწავს. მე ახლა მივხვდი, რომ არსებობს ერთიანი და ის იგივეა ჩემშიც და შენშიც.“

შემდგომში შანკარანარი ბევრს ეცადა, ეპოვნა ეს ადამიანი, მაგრამ უშედეგოდ. შესაძლოა, ის თავად ღმერთი იყო. ის თავად პირველმიზეზი იყო. აშკარაა, რომ შანკარანარი გარდაიქმნა.

ის, რაც შემოდის თქვენში, ვერ წაგბილწავთ, რადგან ყველაფერი სხეულში შედის. თქვენში და თქვენს შინაგან სამყაროში ვერაფერი შემოვა. თქვენი სიწმინდე აბსოლუტურია. მაგრამ რაც არ უნდა გამოვიდეს თქვენგან, ყოველივე თქვენს თვისებებს ატარებს. ეს ყოველთვის რაღაცის მაჩიშნებელია. თუ სიძულვილი მოდის თქვენგან, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ თქვენ შინაგანად ავად ხართ; თუ ღვარძლი მოდის, შინაგანად არ ხართ მთლიანი; თუ თქვენ მოსიყვარულე, თანამგრძნობი და მადლიერი ხართ და ნათელი მოედინება თქვენგან, ეს ნიშნავს, რომ მთლიანობა მიღწეულია.

ვიმედოვნებ, რომ ჩასწვდით იესოს ამ უცნაურ ნათქვამს. ღმერთკაცთა წარმოქმნული ჭეშმარიტება ყოველთვის პარადოქსულია და მხად რომ იყოთ მის ჩასაწვდომად, ცენტრირებულნი უნდა გახდეთ.

თქვენ ყველაფერს გონებით აღიქვამთ, გორება კი ხშირად იტვირთება, იბნევა და ინტერპრეტაციას ახდენს. ასეთ შემთხვევაში ეს გამონათქვამი ხდება საშიში, უნდა გითხრათ, რომ იესოს ეს სიტყვა ბიბლიის ოფიციალურ ვერსიაში არ ჩაწერილა, იგი ამოაგდეს, რამეთუ ის, რის შესახებაც ლაპარაკია, საშიშია!

ეს ნათქვამი ჩაწერილია ბიბლიის არაოფიციალურ ვერსიაში. იესოს საუბრებს ბევრი ადამიანი იწერდა და ზოგიერთი მათგანი გადარჩა. ერთ-ერთი ასეთი ჩანაწერი 20 წლის წინათ იპოვნეს ეგვიპტის რომელიღაც გამოქვაბულში.

ყველა გამონათქვამი, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, ამ ჩანაწერებიდან არის ამოკრებილი. ზოგიერთი მათგანი არ შეუტანიათ ბიბლიის ოფიციალურ ვერსიაში, რამეთუ ოფიციალური ვერსია ვერასოდეს ვერ იქნება სრულყოფილი. ეს შეუძლებელია. ორგანიზებული რელიგია არსს კარგავს. არსებობს ეკლესიის ინტერესები. როგორ გეტყვით რომის პაპი: „შეიძლება მარხულობთ, სცოდავთო...“ მაშინ ხომ არავინ იმარხულებს ან „...შეიძლება ლოცულობთ, განიკითხებითო...“ მაშინ ხომ აღარავინ ილოცებს, და „... თუ მოწყალებას გაიღებთ, საკუთარ სულს ავნებთო...“ მაშინ არავინ იქნება მოწყალე! მაშ, როგორღა იარსებებს ეს დიდი ორგანიზაცია — ეკლესია?

ქრისტიანებს ყველაზე დიდი ორგანიზაცია აქვთ: მარტო კათოლიკე მღვდლების რიცხვი 12 ლაკხს (1,2 მილიონი) შეადგენს. დედამიწაზე ათასობით კათოლიკური ეკლესიაა. კათოლიკური ქრისტიანობა არსებულ ორგანიზაციათა შორის ყველაზე მდიდარია. რომის პაპიც ერთ-ერთი მდიდარი კაცია მსოფლიოში. ყველაზე დიდი ორგანიზაციითა და ერთადერთი საერთაშორისო სახელმწიფოთი, რომელიც თითქმის უჩინარია, მაგრამ მილიონობით ქვეშევრდომი ჰყავს.

ეს ყველაფერი შემოწირულობის ხარჯზე მოხდა და თუ ქრისტიანები გაიგებენ იმას, რასაც იესო ამბობს: „და თუ მოწყალებას გაიღებთ, საკუთარ სულს ავნებთო...“ რა მოხდა? ეკლესიები შექმნილია სალოცავად, მაგრამ თუ ხალხი ჩასწვდება იესოს ნათქვამს: „უკეთუ ილოცებთ, თქვენ სცოდავთ...“ ვინღა ილოცებს ამ ეკლესიებში? და თუ არ იქნება ლოცვები, მარხვა, რიტუალები და შემოწირულობანი, როგორ იარსებებენ ქურუმები? იესო თავს აღწევს მოელი ორგანიზებული რელიგიის თავად საფუძველს. ასეთ შემთხვევაში იქ არის იესო, მაგრამ არ არის ქრისტიანობა.

ეს გამონათქვამი ოფიციალური ვერსიიდან უკუაგდეს. შესაძლოა ვერც თქვენ გაიგოთ იგი, მაგრამ თუ შესძლებთ შეიგრძნოთ ის, რასაც მე გეუბნებით, მიხვდებით, რომ იესო არც ლოცვის, არც მარხვისა და არც მოწყალების გაღების წინააღმდეგი არ არის.

რეალური უნდა გამომდინარეობდეს თქვენი არსებიდან. დასაწყისისათვის თქვენ უნდა შეიცვალოთ და გარდაიქმნათ! და მხოლოდ მაშინ თქვენი ყოველი ქმედება ჭეშმარიტი იქნება!

ერთხელ ვიღაცამ წმინდა ავგუსტინეს* ჰკითხა: „როგორ მოვიქცე? მე არც თუ ისე განათლებული კაცი ვარ, ასე რომ, თუ შეგიძლია მოკლედ და რამდენიმე სიტყვით მითხარი!“ ავგუსტინემ უპასუხა: „მოკლედ მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას „სიყვარული!“ და მაშინ, რაც არ უნდა აკეთოთ, ყველაფერი სწორი იქნება!“

თუ გიყვართ, მაშინ ყველაფერი მართლაც სწორია, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ყოველივე არასწორი ხდება.

გიყვარდეს, ნიშნავს, იყო „ეგოს“ გარეშე! გიყვარდეს, ნიშნავს ცენტრირებული იყო! გიყვარდეს, ნიშნავს მადლიერი იყო!

იცხოვრეთ თქვენი ყოფიერებით და არა თქვენი საქმიანობით, რადგან საქმიანობა ზედაპირზეა, ყოფიერება კი სიღრმეში!

მიეცით მოლიანს საშუალება გამოვიღეს თქვენი ყოფიერებიდან, საკუთარ მოქმედებებს კი ნუ გააკონტროლებთ და ნუ გაუკეთებთ ორგანიზაციას, არამცდ გარდაქმენით თქვენი არსება! ჭეშმარიტება არის არა თქვენს მოქმედებაში, არამედ თქვენს მეობაში!

1974 წლის 25 აგვისტო
პუნა, ინდოეთი

საუბარი მეექვსე

მეექვსი შეგონება

იესომ თქვა: — ცათა სახუმეველი მწყემსსა კაცსა,
რომელსაც ახი ცხვარი ჰყოლდა,
ერთ მათგანს გზა აებნა
და ეს იყო ველაზე დიდი დანაკლისი,
რამეთუ მწყემსმა ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი
მიატოვა და ეძებდა იმ ერთს,
ვიდრე არ იპოვა.
დაქანცულმა ცხვარს უთხრა:
„მე შენ დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტზე
მეტად მიყვარხარ!“

(თომა, 11)

ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი და აბსურდული პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: რა დაემართებათ ცოდვილებს, რომელთაც გზა აებნათ? როგორია ღმერთსა და ცოდვილს შორის დამოკიდებულება? დაისჯება თუ არა ცოდვილი? მოხვდება ჯოჯოხეთში? ყველა ქურუმი ხომ ამტკიცებს, რომ ცოდვილი პირდაპირ ჯოჯოხეთში მოხვდება, მაგრამ განა ღმერთს ძალუძს ვინმეს დასჯა? პატიება აღარ არსებობს? თუ ღმერთს არ შესწევს პატიების უნარი, სხვა ვინ შეძლებს ამას?

ამ კითხვაზე სხვადასხვანაირად შეიძლება პასუხის გაცემა, მაგრამ იესოს პასუხი უმშვენიერესია. სანამ ამ გამონათქვამს განვიხილავდეთ, ვისაუბროთ განხრახვასა და დასაბუთებას შორის განსხვავებაზე.

სხვა ადამიანების განსჯის დროს, როგორი გონივრული დასკვნებიც არ უნდა მოვიშველიოთ, ჩვენი განზრახვა განსხვავდება წინ წამოწეული ან გამოშეურებული ვიითომ მიზეზებისაგან. შესაძლოა იყოთ მაია ან დედა და თქვენმა შვილმა გააკეთოს ის, რაც არ მოგწონთ. არა აქვს მნიშვნელობა, ბავშვმა სწორად გააკეთა ეს თუ არასწორად, რაიეთუ ვინ უწყის რა არის ჭეშმარიტი და რა მცდარი, მაგრამ თქვენ არ მოგწონთ და ის, რაც არ მოგწონთ, თქვენთვის მცდარია. რაც მოგწონთ, თქვენთვის მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი, ყველაფერი თქვენს მიმაროებაზეა დამოკიდებული.

ბავშვს თუ გზა აებნა, თქვენი აზრით, იგი არასწორად მოქმედებდა და თქვენ სჯით მას. ნამდვილი მიზეზი კი ის იქნება, რომ ბავშვი გაუგონარია და არა ის, რომ არასწორად მოიქცა. თქვენი „ეგო“ წუხდება. ბავშვს კონფლიქტი ჰქონდა თქვენთან, მან უარი განგიცხადათ რაღაცაზე, ამიტომაც მას სჯით. მიზეზი ის არის, რომ შეეხნენ თქვენს „ეგოს“, ხოლო დასჯა შურისძიების სახეობაა.

თქვენ ამტკიცებთ, თითქოს სჯით იმის გამო, რომ ის არასწორად მოიქცა და გსურთ ჭკუა ასწავლოთ. თქვენი აზრით, ბავშვი უნდა დაისაჯოს, თუ მცდარი გზით მიდის და უნდა წაახალისოთ, თუ თქვენ მოგყვებათ. თუ თქვენ ნებას დაჰყვება, კარგად მოეწყობა ცხოვრებაში — ასე მსჯელობთ თქვენ, მაგრამ მთავარი მიზეზი გაუცნობიერებელი გრჩებათ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვი თავის ადგილზე უნდა დასვათ, შეახსენოთ, რომ თქვენ ხართ უფროსი და გადაწყვეტილებებსაც თქვენ ღებულობთ. შეახსენოთ, რა არის მცდარი და რა არის ჭეშმარიტი, რომ თქვენ აძლევთ მას მიმაროებულებას, რომ იგი არ არის თავისუფალი, რომ თქვენ ფლობთ მას და თუ არ გაგიგონებთ, დაზარალდება.

კარგ ფსიქოლოგებს თუ ჰკითხავთ, ისინი გეტყვიან, რომ განსხვავება მიზეზსა და გონივრულ დასაბუთებას შორის მეტად ადვილი გასაგებია. გონივრული დასაბუთება კარგი

საუარია, რომელშიც ნამდვილი მიზეზი იმალება, ხოლო ყალბი მიზეზი ერთი შეხედვით აბსოლუტურად ნამდვილად გამოიყურება. და ეს ასე ხდება არა მხოლოდ მშობლებსა და შვილებს შორის, არამედ საზოგადოებასა და გზააბნეულ ადამიანთა შორისაც. აი, რატომ არსებობს კანონი და საპყრობილე. ეს არის საზოგადოების შურისძიება. იგი ვერ იტანს მეამბოხეს, რაიეთუ ეს უკანასკნელი მის სტრუქტურას ანგრევს და ამავე დროს, შესაძლებელია, იგი მართალი იყოს. აოენელები ვერ იტანდნენ სოკრატეს არა იმიტომ, რომ იგი არასწორი იყო, არამედ იმიტომ, რომ თუ მას შეიწყნარებდნენ, იღუპებოდა მაშინ საზოგადოების მთელი სტრუქტურა, ამიტომაც სოკრატე მსხვერპლად შესწირეს საზოგადოებას.

იესო ჯუვარს აცვეს არა იმიტომ, რომ მისი ქადაგება მცდარი იყო. არა, დედამიწაზე არასოდეს არ წარმოთქმულა ასეთი ჭეშმარიტი სიტყვები. იესო საზოგადოებას შესწირეს მსხვერპლად იმის გამო, რომ მისი საუბარი და ქცევა საშიში იყო საზოგადოების მთელი სტრუქტურისათვის. საზოგადოებაც სჯის რა მეამბოხეს, ფიქრობს, რომ ეს სწორი ნაბიჯია. მასაც აქვს გონივრული დასაბუთება. თქვენ გსჯიან თქვენივე კეთილდღეობისათვის.

მაგრამ არავინ დაფიქრებულა იმაზე, შეიძლება თუ არა კეთილდღეობის მიღწევა სასჯელით. ჩვენ ათასწლეულების მანძილზე ვსჯით სისხლის სამართლის დამნაშავეებს, მაგრამ არავინ დაინტერესებულა, გარდაიქმნენ თუ არა მსჯავრდებული დამნაშავენი. დანაშაულებები მატულობს, პატიმართა რიცხვიც იზრდება, საპყრობილეებიც აღარ არის საკმარისი. უფრო მეტი კანონი — უფრო მეტი დამნაშავე, უფრო მეტი სასამართლო — მეტი დანაშაული. რაში მდგომარეობს პრობლემა? — დამნაშავეც ხვდება, რომ დაკისრებული სასჯელი, მხოლოდ საზოგადოების და კანონის გონივრული დასაბუთებაა, თითქოს ის დაისაჯა არასწორი ქცევის გამო. სინამდვილეში კი ხედავს, რომ ის დაისაჯა იმიტომ, რომ დაიჭირეს. ამდენად მასაც აქვს თავის გონივრული მტკიცებანი. შემდგომში იგი უფრო მარ-

ვნებად და წინდახედულად უნდა მოიქცეს. ამჯერად ის დაიჭირეს იმიტომ, რომ უყურადღებოდ მოიქცა. უფრო მოქნილი და ჭკვიანი რომ ყოფილიყო, დანაშაულის კვალს დაფარავდა და ვეღარ დააპატიმრებდნენ. დამნაშავე ყოველთვის ფიქრობს, რომ მას სჯიან არა იმის გამო, რაც ჩაიდინა, არამედ იმიტომ, რომ ის დაიჭირეს. მეორედ აღარ ჩავარდეს — აი, რას ასწავლის მას სასჯელი.

პატიმარი ციხეს რომ ტოვებს, უფრო გაწაფული დამნაშავეა, ვიდრე ადრე იყო. ციხეში გამოცდილ ადამიანებთან, დაწინაურებულ აღმზრდელებთან* ჰქონდა ურთიერთობა, რომლებმაც უფრო მეტი იციან, რომლებსაც უფრო მეტი სასჯელი შეუფარდეს და დანაშაულის სამყაროში დახელოვნებულნი არიან. ცხოვრობს რა მათთან, ესმახურება მათ და მათი მოწაფე ხდება, იგი სწავლობს. მეორედ მას იოლად ვეღარ დაიჭერენ. ახლა ის უფრო გამოცდილი დამნაშავეა.

სასჯელის შიშს ჯერ არავინ შეუსწავლია. საზოგადოება კი კვლავ ფიქრობს, რომ დამნაშავის არასწორი მოქმედება შეიარება სასჯელია. დამნაშავეც და საზოგადოებაც მცდარია: საზოგადოებას თავისი მიზეზი გააჩნია, მას სურს შური იძიოს. დამნაშავესაც კარგად ესმის ეს. ორივეს „ეგოს“ ერთმანეთის ენა გაუცნობიერებლადაც ესმის, დამნაშავეც შესაფერის დროს ელის, რომ თავის მხრივ შური იძიოს. საბოლოოდ, კონფლიქტი მიმდინარეობს დამნაშავისა და საზოგადოების „ეგოებს“ შორის.

და თქვენ ფიქრობთ, რომ ღმერთიც ასეთივეა? როგორც მართლმსაჯულება, როგორც მამა და ბოსი? ღმერთიც სასტიკია, როგორც საზოგადოება? ისიც ისეთივე ეგოისტია, როგორც ჩვენ? თუ გაუგონარი ვიქნებით, იგი შურს იძიებს და დაგვსჯის? მაშინ ის ღვთაება კი აღარ იქნება, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი.

ეს ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა — როგორ მოიქცეა ღმერთი გზააბნეულ ცოდვილებთან? კეთილად მოიქცეა? მაშინ ისღება სხვა პრობლემაც. მას თუ სურს, იყოს სამართლიანი, მაშინ არ შეიძლება ჰქონდეს თანაგრძნობა,

რაღგან სამართლიანობასა და თანაგრძნობას ერთად არსებობა არ შეუძლია. თანაგრძნობა უსიტყვო პატიებას ნიშნავს, ეს კი უსამართლობა იქნება.

წმინდანმა მთელი ცხოვრება ურდა ილოცოს, არასოდეს არ ურდა მოიქცეს ცუდად; ურდა ეშინოდეს ზღვარს გადაცდენის; ურდა შეიზღუდოს საკუთარი თავი; იყოს თვითპატიმრობაში, იყოს სათნო და უმწიკვლო, ძალიან ასკეტური. თავს არასოდეს მისცეს ნება გრძნობიერი სიამოვნებისათვის.

სხვას კი შეუძლია იცხოვროს თავისი სურვილისამებრ, აკეთოს ის, რაც აზრად მოუვა, წავიდეს იქ, სადაც გრძნობა წაიყვანს, დასტკბეს ყოველივე იმით, რასაც ცხოვრება იძლევა, ნაიდინოს ნებისმიერი ცოდვა, ბოლოს კი ორივე მათგანი ღვთაებრივსა და ღვთის სამყაროს მიაღწევს.

რა მოხდება? თუ წმინდანს არ დააჯილდოვებენ და ცოდვილს არ დასჯიან, ეს უსამართლობა იქნება. თუ ორივეს დააჯილდოვებენ, ესეც უსამართლობაა. რაღა აზრი აქვს წმინდანად ყოფნას? მაშინ ყოველივე ამაოა. მაშინ ღმერთი მოწყალეა, მაგრამ არა სამართლიანი.

ის რომ უბრალოდ სამართლიანი ყოფილიყო, მაშინ თქვენთვის ნათელი იქნებოდა, რომ ცოდვილი ურდა დაისაჯოს, ხოლო წმინდანი — დაჯილდოვდეს. მაგრამ მაშინ ღმერთს არ ექნებოდა თანაგრძნობა; სამართლიანობაში სისასტიკეც ურდა ერიოს, სხვაგვარად იგი ვერ განხორციელდება. სამართლიანი ადამიანი გონებით ცხოვრობს და არა გულით.

მსაჯულს „გული“ არ ურდა ჰქონდეს. სხვაგვარად მისი სამართალი შეირყევა. მსაჯული არ ურდა იყოს კეთილი, თორემ სიკეთე სიმართლის წინააღმდეგობად იქცევა. მსაჯული გონებით ურდა მოქმედებდეს, როგორც კომპიუტერი, გულის კარნახს კი არ ურდა აჰყვეს. იგი უგრძნობელ მაყურებლად ურდა დარჩეს. ამ დროს წამოიჭრება მეორე პრობლემაც — ჩვენ ათასწლეულების მანძილზე ვამბობდით, რომ ღმერთი თანამგრძნობი, კეთილი, მოყვარული და სამართლიანია. როგორ გადავწყვიტოთ ეს წინააღმდეგობა და პარადოქსი?

იესო მშვენივრად პასუხობს ამ საკითხზე, რომლის გაგება გაგიძნელდებათ, რადგან იესო ეწინააღმდეგება თქვენს ყველა წინასწარ შექმნილ აზრსა და თქვენს გონებას, მას ხომ არ სჯერა სასჯელის და მას ვერც იწამებს, რამეთუ სასჯელი შურისგებაა. ვერც ბუდა და კრიშნა ირწმუნებენ სასჯელს, პირიქით, მათ შეუძლიათ თვით სამაროლიანობა გამორიცხონ ღვთის თვისებებიდან, მაგრამ სიბრალულს ვერასგზით ვერ გამორიცხავენ, რადგან სამაროლიანობა აღმიანური იდეალია.

სამაროლიანობას შემდეგი პირობა გააჩნია: „გააკეთე და მიაღწევ, არ გააკეთო, თორემ დაკარგავ...“ სიბრალულს კი არავითარი პირობა არა აქვს.

ღმერთი შემწყნარებელია და ამას რომ ჩავწვდეთ, იესოს სიტყვები განვიხილოთ:

„ცათა სასუფეველი მწყემსსა ჰგავს,
რომელსაც ასი ცხვარი ჰყავდა.
ერთ მათგანს გზა აებნა
და ეს იყო ყველაზე დიდი დანაკლისი,
რამეთუ მწყემსმა ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი მიატოვა
და ეძებდა იმ ერთს, ვიდრე არ იპოვა.
დაქანცულმა უთხრა ცხვარს:
მე შენ დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტზე
მეტად მიყვარხარ!...“

ეს ალოგიკურია, მაგრამ ჭეშმარიტია, შეეცადეთ გაიგოთ: ღმერთის სასუფეველი მწყემსს ჰგავს, რომელსაც ასი ცხვარი ჰყავდა. ერთ მათგანს გზა აებნა და ის იყო ყველაზე დიდი დანაკლისი.

ყოველთვის ასე ხდება: ის, ვისაც გზა აებნა, ყველაზე საუკეთესოა. თუ ხართ მამა და გყავთ ხუთი შვილი, მხოლოდ ყველაზე უკეთესი გაგიწევთ წინააღმდეგობას და განგიდგებათ. მხოლოდ საუკეთესო შეეცდება თვითდამკვიდრებას. საშუალო ყოველთვის დაგიჯერებთ, ის კი, ვინც არ არის საშუალო, ყოველთვის აჯანყდება, რადგან მისი გონება მეამბოხეა. ყოველთვის გონიერი აწყობს ამბოხებას. ისინი კი ვინც ყოველ-

თვის კვერს გიკრავთ, მკედარი სულია და მეტი არაფერი. შესაძლოა, მოგწონდეთ ისინი, მაგრამ მაინში სიცოცხლე ჩამკვდარია. ისინი მხარში გიდგანან არა სიყვარულის, არამედ თავიანთი სისუსტის გამო — ეშინიათ და არ შეუძლიათ მარტო დარჩენა. ისინი იმპოტენტები არიან.

მიმოიხედეთ გარშემო. ის ადამიანები, ვისაც კარგ ხალხად თვლით, თითქმის ყოველთვის სუსტები არიან, მათი კარგი თვისებები მათი ძლიერებიდან კი არა, სისუსტიდან გამომდინარეობს. ისინი კარგები არიან, რამეთუ ვერ ბედავენ იყვნენ ცუდები. რა სათნოებას უნდა მოელოდეთ მათი სისუსტისაგან? სათნოება ხომ პირამდე სავსე ძალიდან მოედინება და მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, თუ სიცოცხლისუნარიანია და ნიაღვარს ჰგავს.

ამიტომ, როცა ცოდვილი წმინდანად გარდაისახება, მის სიწმინდეს თავისი ძლიერება ექნება. საშუალო ადამიანი თავისი სისუსტის გამო ხდება წმინდანი. მისი სიწმინდე მკვდარი და უფერულია, მოკლებულია სიცოცხლეს. თქვენ შეგიძლიათ თქვენი სისუსტის გამო იქცეთ წმინდანად, მაგრამ მაშინ კი არ პოულობთ, არამედ კარგავთ ჭეშმარიტებას, ხოლო თუ სიძლიერის გამო ხდებით წმინდანი, მხოლოდ მაშინ აღწევთ ჭეშმარიტებას. თუ ადამიანი იმიტომ არის კარგი, რომ არ შეუძლია იყოს ცუდი, არ არის ჭეშმარიტად კარგი. გახდება თუ არა ძლიერი, იგი ცუდ ადამიანად იქცევა, მიეცით მას ძალაუფლება და ნახავთ, რომ ძალაუფლება დაუყოვნებლივ გააფუჭებს მას.

ინდოეთშიც ასე მოხდა. განდს ბევრი მიმდევარი ჰყავდა, მაგრამ საფიქრებელია, რომ მათი სათნოება სისუსტიდან გამომდინარეობდა. მისი მიმდევრები კარგები იყვნენ იქამდე, ვიდრე არ ფლობდნენ ძალაუფლებას; მაგრამ როგორც კი ქვეყნის მმართველნი შეიქმნენ, მთლიანად გადასხვაფერდნენ.

ძალაუფლებას კი ძლიერი ადამიანის გაფუჭება არ ძალუძს. ძალას თუ შეეძლო ეს, აქამდე გააცუდებდა ამ პიროვნებას.

ლორდმა ეკტონმა თქვა: „ძალაუფლება აფუჭებს და რყვნის ადამიანს და თანაც სრულიად!“ მე ეს პირობითად მივიღებ, რადგან შეუძლებელია ეს ნათქვამი კატეგორიული იყოს. ძალაუფლება აფუჭებს კაცს იმ შემთხვევაში, თუ სათნოება სისუსტიდან მოდის, ხოლო თუ სიძლიერიდან გამომდინარეობს, ძალაუფლებას არ შეუძლია ადამიანზე ზემოქმედება.

როგორ გაგაფუჭებთ ძალა, თუ უკვე ფლობთ მას?

მართლაც, ძალიან ძნელია იმის გაგება, თუ საიდან მოდის თქვენი სათნოება. თუ არ ქურდობთ იმის გამო, რომ დაპატიმრების გეშინიათ, მაშინ დარწმუნდებით თუ არა იმაში, რომ საფრთხე არ გემუქრებათ, იმ დღესვე გახდებით ქურდი. რაღა შეგიშლით ხელს? თქვენ ხომ მხოლოდ დაჭერის გეშინოდათ?

თქვენ არ სპობთ თქვენს მტერს, რამეთუ იცით, რომ არ გაპატიებენ. მაგრამ თუ მოვლენები ისე წარიმართება, რომ თქვენ შეგიძლიათ კაცის მოკვლა და არ დაგატუსაღებენ, დაუყოვნებლივ გაუსწორდებით თქვენს მტერს. ასე რომ, თქვენი სიკარგე სისუსტიდან მოდის. მაგრამ როგორ აღმოცენდება სათნოება სისუსტიდან? მას ხომ ნიაღვრად გაღვიძული ენერგია სჭირდება.

სათნოება — ტკბობაა. გახსოვდეთ ეს! სიწმინდე არის ტკბობა. იგი სიუხვიდან მოდის. როდესაც ენერგია მოგჭარბდებათ ისე, რომ ველარ ეტევა თქვენში, მაშინვე ანაწილებთ მას. თქვენ შეგიძლიათ გულიდან გაიღოთ თქვენი შინაგანი ენერგია, რამეთუ იგი უკვე გამძიმებთ. თქვენ მოგწონთ, სხვაზე რომ იხარჯებით, სიხარულით დატოვებდით ყველაფერს და მთელ თქვენს ცხოვრებას საუკრად გაიღებდით.

თქვენ როცა გაქვთ რამე, სიხარულით გასცემთ მას. გახსოვდეთ — რასაც ებღაუჭებით, სინამდვილეში არ ფლობთ მას და თუ გაგანსიათ რამე, ყოველთვის შეგიძლიათ სხვისთვის გაიღოთ. მფლობელი **მხოლოდ მაშინ ხდებით**, როცა უანგაროდ გასცემთ რამეს. ხოლო თუ კიდევ ებღაუჭებით, გეშინიათ. ამ შემთხვევაში თქვენ არა ხართ მისი პატრონი. გულის სიღრმე-

ში იცით, რომ ეს თქვენ არ გეკუთვნით და ადრე თუ გვიან, წაგართმევენ. აი, რატომ არ შეგიძლიათ, მისცეთ ის სხვას.

ამგვარად, როცა პიროვნება გაიღებს სიყვარულს, მხოლოდ მაშინ გვიჩვენებს, რომ იგი სიყვარულითაა სავსე; როცა გაიღებს მთელ თავის ცხოვრებას, გვიჩვენებს, რომ იგი ცოცხალია. აქის შესაცნობად სხვა გზა არ არსებობს.

ადამიანთა უმრავლესობა სისუსტის გამო ხდება საცოდ. ეს მხოლოდ გარეგანი მხარეა, ყალბი მონეტაა და ქაღალდის ან პლასტიკატის ყვავილს ჰგავს. ხე ჰყვავის მხოლოდ იმიტომ, რომ სასიცოცხლო ენერგიითაა აღსავსე. მას თუ საჭირო რაოდენობა წყალი არ დაესხმება, ნიადაგი არ განაყოფიერდება სასუქით, მაშინ ხე იზრდება, მაგრამ ვერ ყვავის.

არსებობს ერთგვარი იერარქია. უმაღლესს არსებობა შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა უმაღლესისაკენ მოძრაობისათვის არის ენერგია. თუ კარგად არ იკვებებით, პირველ რიგში გიჭირსუნგდებათ გონება. ღარიბ ქვეყნებში ნამდვილი სიღარიბე სხეულში კი არ არის, გონებაშია, რადგან თუ ქვეყანა ძალიან ღარიბია, გონება ვერ იარსებებს, რამეთუ გონება უნდა აყვავდეს. ენერგიას ზევით სვლა შეუძლია მხოლოდ მაშინ, როცა ხორციელი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ენერგია მას აკმაყოფილებს. ხეც ასეა, თუ ფესვი ვერ გაიდგა, ვერც იყვავილებს. გონება უსხეულოდ ვერ იარსებებს. სიბრალული კი უფრო მაღლა დგას, ვიდრე გონება, მედიტაცია კი ორივეზე ამაღლებულია.

ინდოეთს ბუდა და მაჰავირი მაშინ მოევლინენ, როცა ქვეყანა მდიდარი იყო. მათ შემდეგ არსებობდნენ ე.წ. წმინდანები, მაგრამ არა ბუდას მსგავსნი, რამეთუ ეს ძალიან რთულია. ყვავილობა შესაძლებელია, თუ არსებობს თავისუფალი, გამოუყენებელი ენერგია.

თუ ხეს წყალს არ უსხამთ, თავდაპირველად სცვივა ყვავილები და ფოთლები, შემდეგ უხმება ტოტები და მხოლოდ ბოლო მომენტში უხმება ფესვი, რამეთუ ფესვით შესაძლებელია ყოველივე ხელახლა იშვას. ფესვი ყველაზე დაბალი

საფეხურია და ყველაზე უკეთ უნდა იყოს დაცული, რამეთუ იგი ხის საფუძველია. როდესაც მოვა წვიმა და ფესვებამდე ჩააღწევს, ხე ხელახლა იყრის ტანს და ყვავილობს. ასეთივე იერარქია არსებობს თქვენშიც.

გაეცით საკუთარ თავს, მხოლოდ თქვენივე ენერგიის წყალობით! ნურასოდეს იქნებით მოწყალენი სისუსტის გამო. მე არ გეუბნებით, რომ ცუდნი იყოთ, მაგრამ სისუსტით საერთოდ როგორნი იქნებით? ბიწიერება ისევე საჭიროებს ენერგიას, როგორც სათნოება. ენერგიის გარეშე ვერ იქნებით ცუდები და ბოროტები, მაგრამ ენერგიის გარეშე მაღლიანები მით უმეტეს ვერ იქნებით, რადგან მადლიც და ბოროტებაც რეალურია.

უენერგიოდ თქვენ ყალბი სახე გექნებათ, ეს არის და ეს. შეგიძლიათ იყოთ არაფერი, თქვენ იქნებით მხოლოდ ფასადი, თვალთმაქცობა, მორჩენება და ყალბი პიროვნება. თქვენ შექმნით ყალბ სათნოებას, ყალბ სიწმინდეს და იფიქრებთ, რომ წმინდანი გახდით, თქვენ გერქმევათ წმინდანი, მაგრამ არა იმიტომ, რომ მიაღწიეთ ღვთაებრივს, არამედ იმიტომ, რომ თქვენ სისუსტის გამო ვერ ჩადიხართ ცოდვას.

ღვთაებრივის მიღწევა არის დაბოლოება. ადამიანი პოზიტიური ენერგიის მუდმივი ხდება და ემსგავსება ღმერთს. ეს თავისთავად ხდება. თქვენ შეგიძლიათ თქვენივე სიცუდის უკუგდება, მაგრამ იქვე არსებობს სურვილი და თუ გაბრაზების სურვილი გაქვთ, აღარა აქვს მნიშვნელობა, გაბრაზდებით თუ არა. აი, რით განსხვავდება ცოდვა და დანაშაული ერთმანეთისაგან.

დანაშაული მოქმედებას გულისხმობს, თქვენ შეგიძლიათ გონებაში ჩაიდინოთ დანაშაული, მაგრამ ვერავინ დაგსჯით მხოლოდ განზრახვისათვის, რამეთუ არცერთ სასამართლოს არ შეუძლია თქვენი გონების გასაამაროლება. ისჯება მხოლოდ სხეული, ამიტომ დანაშაული უნდა იყოს მოქმედება.

მე შემიძლია ვიფიქრო მთელი კაცობრიობის ამოწყვეტაზე, მაგრამ მხოლოდ ფიქრისათვის ვერავინ დამსჯის, რადგან დანაშაულის განსახორციელებლად ერთი ნაბიჯიც არა მაქვს

გადაღებული. კანონი განსჯის არა ნააზრევს, არამედ ნამოქმედარს. ეს განსხვავება არსებობს დანაშაულსა და ცოდვას შორის.

ცოდვა არ განასხვაებს თქვენს მოქმედებასა და აზრს. თუ ცუდს ფიქრობთ, მარცვალი უკვე ჩაგდებულია ნიადაგში და შემდგომში იმოქმედებთ თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ფიქრი თუ მოქმედებაში გადაიზრდება, ეს უკვე დანაშაულია. თუ ცუდი აზრი დაგებადათ, თქვენ უკვე შესცოდეთ. ღვთის წინაშე თქვენ უკვე დამნაშავე ხართ, თქვენ სწორ გზას ასცდით. ეს არის პუნქტი, რომელიც კარგად უნდა გაიგოთ: ის, ვინც გზას ასცდა, ყოველთვის უფრო ძლიერია, ვიდრე ის, ვინც კვლავ სწორ გზას მიუყვება. გზასაცდენილი ყოველთვის საუკეთესოა.

მიბრძანდით საგიჟეთში და ნახეთ: იქ თქვენ ყველაზე გონიერ ხალხს იხილავთ, რომლებიც ჭკუიდან შეშალნენ. გადახედეთ საუკუნის ბოლო სამოცდაათ წელიწადს და დაინახავთ, რომ მართლაც საუკეთესო ადამიანები გაგიჟდნენ.

ნიცშე*, ერთ-ერთი ყველაზე გონიერი ადამიანი, ჭკუიდან შეიშალა. მას იმდენად ჭარბი ენერგია აქორქა, რომ შეუძლებელი იყო მისი კალაპოტში მოქცევა. ნიცშეს ენერგია წყალდიდობას ჰგავდა. ეს იყო სტიქია. ნიცშე შეიშალა, ნიჟინსკი* შეიშალა... საუკეთესო ადამიანები საგიჟეთში მოხვდნენ, ხოლო საშუალო გონების ადამიანი ღარია ჭკვიანი. ეს კი აბსურდს ჰგავს: გენიოსები ჭკუიდან სცდებიან, საშუალონი კი ნეიულებრივ რჩებიან. რატომ რჩება საშუალო გონების პიროვნება ნორმალური? ყველანაირი ენერგია პოულობს თავის გზას. ბავშვი ხდება „ინელად აღსაზრდელი“ მხოლოდ მაშინ, როცა ენერგიით აღსავსეა. მან რაღაც უნდა მოიმოქმედოს, რათა დახარჯოს თავისი ენერგია.

ცხოვრება არის ენერგია. უსიცოცხლო, ანემიური ადამიანი ვერ შესძლებს გზიდან აცდენას. მას არ გააჩნია ჭარბი ენერგია და ვერ გაიღებს მას. ის ვერ მივა უკიდურესობამდე. ხოლო გზააბნეულნი, თუ მათ იპოვნიან, ხდებიან ბუდები.

ნიცშეს პოტენციის ადამიანი, თუ დაიწყებს მელიტირებას, გახდება ბუდა. მას აქვს ენერგიის უზარმაზარი მარაგი და მიმართულებას თუ შეუცვლის, გასხივოსნდება.

პოტენციური ბუდა თუ ბუდა არ გახდება, ჭკუიდან შეიშლება. აბა, სად წავა მისი ენერგია? თუ არ შეგიძლიათ შემოქმედი გახდეთ, ოქვენივე ენერგია გაგანადგურებთ. საგიჟეთში თქვენ ნახავთ ყველაზე გონიერ ადამიანებს, რომლებიც გაგიჟდნენ იმის გამო, რომ თქვენზე შორსმჭვრეტელნი არიან.

ცხოვრება ისე გიბნევთ თავგზას, რომ თუ შორსმჭვრეტა შეგიძლიათ, ძნელია თქვენი ჯანსაღად დარჩენა. ჯანმრთელნი არიან ისინი, ვინც შორს ვერ ხედავენ. თქვენ ცხოვრების მხოლოდ 2%-ს ხედავთ, 90% კი, როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, დახშულია და თუ დაინახავთ, ეს თქვენთვის წარღვნა იქნება და თქვენ შეიშლებით.

ზოგმა ფსიქოლოგმა, მაგალითად რ.დ. ლეინგმა, რომელმაც კარგად შეისწავლა შეშლილობა, წაიბორძიკა ზოგიერთ საკითხში. აი, ერთ-ერთი მათგანი: ადამიანები, რომლებიც ჭკუიდან გადადიან, საუკეთესონი არიან, დანაშაულს კი ყველაზე მეამბოხენი ჩადიან. მათ ძალუძთ გახდნენ წმინდანნი და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ვალმიკი წმინდანი გახდა. იგი დაკოიტი და მკვლელი იყო. კაცთა კვლა და ძარცვა მის საარსებო წყაროს წარმოადგენდა. მაგრამ მის ცხოვრებაში ისეთი რაღაც მოხდა, რომ იგი გასხივოსნდა.

ერთხელ ვალმიკმა ერთი ოსტატი შეიპყრო, რომელმაც ჰკითხა: „რას მიპირებთ“.

ვალმიკმა უპასუხა: „ისე გაგაძარცვავ, რომ თითზე გადასახვევს არაფერს დაგიტოვებ“.

„მე ბედნიერი ვიქნებოდი, შენ რომ ეს შეგეძლოს, — უთხრა ოსტატმა, — რადაც მაწუხებს სულის სიღრმეში. მომპარე ის, ჰქენი სიკეთე!“

ვალმიკმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ მაინც უპასუხა: „რაში მაინტერესებს, სულს რა გიწრიალებს. მე შენი ნივთები მჭირდება“.

„ნივთები რაში დაგეხმარება? რატომ მძარცვავ?“ — შეეკითხა ოსტატი.

„ჩემი ოჯახის, დედაჩემის, ცოლ-შვილის გულისათვის, — მიუგო ვალმიკმა, — მე რომ არავინ ვძარცვო, ისინი შიმშილით დამეხოცებიან. არადა, ჩემი ხელობა კაცთა კვლა და ძარცვაა“.

მაშინ ოსტატმა უთხრა: „ხეზე მიმაბი, რომ ვერ გავიქცე, შენ კი შინ დაბრუნდი და დედაშენს და ცოლ-შვილს უთხარი, რომ მათი გულისათვის ცოდვას სჩადიხარ, ჰკითხე, მზად არიან თუ არა ისინი, რომ შენთან ერთად გაიყონ სასჯელი ღვთის სამსჯავროზე?“

ვალმიკი პირველად ჩაფიქრდა თავის სიცოცხლეში და ოსტატს უთხრა: „შესაძლოა, შენ მართალი ხარ, წავალ და ვიკითხავ“.

ვალმიკმა ცოლს ჰკითხა ამის შესახებ. ცოლმა კი უპასუხა: „რატომ უნდა გავიყო სასჯელი შენთან ერთად? მე ცუდი არაფერი ჩამიდენია. შენ ნამოქმედარზე შენ უნდა აგო პასუხი“... დედამისმა დაამატა: „მე დედა ვარ შენი და მოვალე ხარ დამაპურო. მე არ ვიცი, როგორ შოულობ პურს, ამაზე პასუხისმგებელი შენა ხარ“...

არავინ იყო – მზად, გაეყო მისი დანაშაული. ვალმიკი ოსტატთან დაბრუნდა, მის წინაშე მუხლებზე დაეცა და უთხრა: **„ახლა მომეცი შესაძლებლობა, სულს რომ გიყორციანებს, ის მოგპარო, რაშეთუ მიეხვდი, რომ მარტო ვარ და რაც არ უნდა ვაკეთო, პასუხი მხოლოდ მე უნდა ვაგო ამაზე. მე ხელს ვიღებ ძველ საქმიანობაზე!“**

მსგავსი ამბავი შეემთხვა ბუდასაც. საზოგადოებაზე განაწყენებულმა ერთმა შეშლილმა მკლელმა აღოქმა დადო, რომ ათას კაცს მოუღებდა ბოლოს. მას სისრულეში მოჰყავდა თავისი სიტყვები. ყოველ მოკლულს ცალ თითს აჭრიდა და თითებისაგან ყელსაბამი გაიკეთა. მას არგულიმანა „კაცი თითების ყელსაბამით“ — უწოდეს.

ანგულიმანამ 999 კაცი იმსხვერპლა. შეშინებული ხალხი ცხვირს აღარ ყოფდა გარეთ და ყველა ცდილობდა, მკვლელს არ გადაპყროდა. ამიტომ ანგულიმანას გაუჭირდა ბოლო მსხვერპლის პოვნა, რომ აღექმა აღესრულებინა.

იმ დროს ბუდა ტყეში წასასვლელად ემზადებოდა. იქაურმა მცხოვრებლებმა გააფრთხილეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ და ურჩიეს, სხვა გზით წასულიყო.

„არა, მე ზუსტად ტყე უნდა გავიარო, თუ მე არ წავედი, სხვა ვინ წავა? ის კი დადარაჯებულია და იმედი აქვს, რომ ვილაც გაივლის ტყეში“.

ანგულიმანასი მეფესაც ეშინოდა და ხალხსაც. კანონმაც ვერაფერი გააწყო მკვლელთან. მაგრამ ბუდამ თქვა: „ისიც ადამიანია, მე მას ვჭირდები და უნდა გავრისკო — ან ის მომკლავს, ან მე მოვკლავ“.

ბუდა წავიდა ტყეში, უახლოესი მოწაფეებიც კი ჩამორჩნენ უკან, რადგან ეს ძალიან საშიში იყო. ბუდა მარტო მივიდა იმ მთამდე, რომლის ქიმზეც ანგულიმანა ჩამომჯდარიყო და მსხვერპლს ელოდებოდა.

ანგულიმანამ ბუდა თანაგრძნობით აათვალიერ-ჩაათვალიერა, რადგან გაიფიქრა: „ვგონებ, ამ უდანაშაულო კაცმა არც კი იცის, რომ აქ ვზივარ. ამ გზით ხომ აღარავინ დადის“. თანაც ბუდას იმდენად უდანაშაულო და მშვენიერი გამომეტყველება ჰქონდა, რომ ანგულიმანამაც კი იფიქრა: „როგორ მოვკლა ეს კაცი? მას შეეშვები და სხვა ვინმეს ვიპოვი...“ „დაბრუნდი უკან! ნაბიჯსაც ნუ გადმოდგამ წინ, — დაუყვირა ბუდას, — მე ანგულიმანას მეძახიან, 999 კაცი მოვკალი და ერთის თითიღა მჭირდება ყელსაბამისათვის. ერთი კაციც უნდა მოვკლა, რომ აღთქმა ავასრულო. თვით დედაჩემიც რომ მოვიდეს, არ დავინდობ, მე არაფერი მწამს, ჩემთვის სულერთია, ვინა ხარ. შესაძლოა, კარგა ბერი ან უდიდესი წმინდანიც კი ბრძანდები, მაგრამ არ მომიახლოვდე, ჩემთვის სულერთია! მე ერთი თითიღა მჭირდება, შენი თითი კი არაფ-

რით ჩამოუვარდება სხვისას. ასე რომ, ნაბიჯიც არ გადმოდგა ჩემსკენ, თორემ მოგკლავ!...“

მაგრამ ბუდა მაინც მკვლელისაკენ მიიწევდა. მაშინ ანგულიმანამ იფიქრა, ეს კაცი ან ყრუა, ან გიჟიო და ისევ დაუყვირა: „გაჩერდი, არ გაინძრე!“

ბუდამ უთხრა: „მე დიდი ხნის წინ გავჩერდი, უკვე არ ვმოძრაობ. ეს შენ მოძრაობ, ანგულიმანა, ჩემი ყველა მოძრაობა შეჩერებულია, რადგან შეჩერებულია ყველა გზნება, მის გარეშე კი როგორ მოხდება მოძრაობა. ეს შენ მოძრაობ და გეუბნები, რომ შესდგე!“

ანგულიმანამ სიცილი დაიწყო და ბუდას უთხრა: „შენ მართლა გაგიჟებულხარ. ვხივარ და მეუბნები, მოძრაობო. თავად კი მოდიხარ და უკვე გაჩერებული ვარო, მეუბნები. შენ ან გიჟი ხარ, ან მე ვერ ვხვდები, რას წარმოადგენ“.

ბუდა მიუახლოვდა და მიუგო: „გაიგე რომ კიდევ ერთი თითი გჭირდება. ამქვეყნად ჩემს მიზანს უკვე მივაღწიე და ახლა ჩემი სხეული გამოუსადეგარია. როცა მოვკვდები, ხალხი ჩემს სხეულს დასწვავს, შენ კი შეგიძლია იგი გამოიყენო. მომაჭერი თავი და თითი. **ეს ჩემი სხეულისათვის ბოლო შესაძლებლობაა, რომ გამოიყენონ რამენაირად, ხალხი ხომ დაწვავს მას**“.

ანგულიმანამ უთხრა: „რას ამბობ? მე ვიფიქრე, რომ შენ გიჟი ხარ. ნუ ცდილობ, იეშმაკო. მე ხომ საშიში კაცი ვარ და მართლა შემიძლია ბოლო მოგიღო“.

„სანამ მომკლავ, — სთხოვა ბუდამ, — ბოლო სურვილი შემისრულე, — მოსჭერი ამ ხეს ტოტი“. ანგულიმანამ ხეს ტოტი ჩამოათალა. „კიდევ ერთს გთხოვ — ახლა ეს ტოტი მიაბი ხეს უკანვე“. — უთხრა ბუდამ.

„ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლა გიჟი ხარ, — მიუგო ანგულიმანამ, შემიძლია ხეს ტოტი მოვაჭრა, მაგრამ უკანვე როგორ მივაბამ?“

მაშინ ბუდამ გაიცინა და უთხრა: **„თუ მხოლოდ დანგრევა შეგიძლია და აშენება არ ძალგიძს, მაშინ**

რატომ ანგრევ? ბავშვებსაც ხომ შეუძლიათ დანგრევა? ამას გამბედაობა არ სჭირდება. ეს ბავშვსაც შეუძლია მოჭრას, მაგრამ ტოტის ხეზე მიბმა მხოლოდ ოსტატს ძალუძს. და თუ შენ ესეც კი არ შეგიძლია, როგორ ფიქრობ, განა შეგიძლია ადამიანს თავი მოკვეთო".

ანგულიმანამ თვალები დახუჭა. დაეცა ბუდას ფეხებთან და უთხრა: „წამიყვანე შენც შენი გზით" და ამ დროს გასხივოსნდა კიდეც.

მეორე დღეს ის უკვე ბჰიკშუ, ბუდას მდაბიო იყო და ქალაქში მათხოვრობდა. შეშინებული ხალხი შინ შეიმალა. „მერე რა, რომ მათხოვარი გახდა. შეიძლება მაგისი ნდობა? ის ხომ ძალიან საშიშია!" — ფიქრობდნენ ისინი. ანგულიმანას არავინ არაფერს სწყალობდა, რამეთუ ვერ გაერისკათ. ხალხი აივნებიდან იყურებოდა და შემდეგ ქვის სროლა დაუწყეს. თითქმის ყველა ოჯახში იყო მისი მსხვერპლი და ხალხს შურისძიება მოსწყურდა.

ანგულიმანა გასისხლიანებული დაეცა ქუჩაში. ნასროლმა ქვებმა მთელი სხეული დაუსერა. მას ბუდა მიუახლოვდა მოწაფეებთან ერთად და ჰკითხა: „როგორ გრძნობ თავს?"

ანგულიმანამ თვალი გაახილა და მიუგო: „მე მადლობელი ვარ შენი! მათ შეუძლიათ მოკლან ჩემი სხეული, მაგრამ არ შესწევთ ძალა შემეხონ მე. ახლა მივხვდი, რას ვაკეთებდი მთელი ცხოვრება და არ მესმოდა იგი".

ბუდამ ანგულიმანა ბრახმანად აღიარა.

„გასხივოსნება შეიძლება ერთ წამში მოხდეს, თუკი ადამიანს ენერგია გააჩნია. უენერგიოდ ძალიან ძნელია. იოგას მთელი სისტემა, ტანტრის მთელი დინამიკა დიდი ენერგიის დაგროვებაში მდგომარეობს. მხოლოდ ჭარბი ენერგიის დროს შეგიძლიათ გახდეთ კარგი ან ცუდი.

იესოს თქმით, მწყემსის „...ერთ ცხვარს გზა აებნა და ეს იყო ყველაზე დიდი დანაკლისი..."

მხოლოდ უდიდესებსა და უკეთესებს ებნევათ გზა. ცოდვილები მსოფლიოში ყველანი მშვენიერი ხალხი არიან, რომ-

ლებიც, რასაკვირველია, არასწორად მოქმედებენ! მათ წმინდანად ქცევა შეუძლიათ ნებისმიერ მომენტში. წმინდანიც და ცოდვილიც ორივე შშვენიერი ადამიანები არიან, ხოლო ის, ვინც მათ შუაში დგას, მახინჯია! იმპოტენცია ერთადერთი სიმახინჯეა, რომლის დროსაც არ გაგანიათ ენერგია და ხდებით უსულო საგანი.

რატომ არ უნდა სთესდეთ სიკეთეს? რატომ უნდა აგებნეთ გზა? აქ შემდეგი საიდუმლოა დაუარული: **ზრდის პროცესი ისეთია, რომ დასაწყისში თქვენ „ეგოს“ უნდა მიაღწიოთ.** თუ არ დაეუფლებით კრისტალურ „ეგოს“, ვერასდროს შეძლებთ უარის თქმას. როგორ აიღებთ ხელს იმაზე, რაც არ გაგანიათ?

მდიდარ ადამიანს სიმდიდრის გაღება შეუძლია, მაგრამ რა უნდა გააკეთოს მდაბიომ? მას დასარიგებელი და გასაცემი არაფერი გაანია. დიდ მეცნიერს შეუძლია, სხვებს თავისი ინტელექტი გაუნაწილოს. თუ განათლებული ხართ, სხვებიც შეგიძლიათ გაანათლოთ, მაგრამ უმეცრების შემთხვევაში ვერაფერს შესძლებთ.

სოკრატეს შეეძლო ეთქვა: „მე არაფერი არ ვიცი!“ მაგრამ ეს საიდუმლოს მეორე ნაწილია, სოკრატემ ბევრი ცოდნა დააგროვა და მაშინ მიხვდა, რომ ყოველნაირი ცოდნა გამოუსადეგარია. ინტელექტი უნდა გაიწვრთნას, საჭიროა ცოდნის მიღება, შემდეგ „ეგოს“ კრისტალიზაცია უნდა მოხდეს. ეს ცხოვრების პირველი ნაწილია. როცა ფლობთ, მაშინ შეგიძლიათ გაიღოთ.

წარმოიდგინეთ მათხოვარი და ბუდა ქუჩაში. ორივე მდაბიოა, მაგრამ ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავდებიან. ბუდა საკუთარი ნებით არის მდაბიო და მისთვის ეს თავისუფლებაა. ბუდა მიხვდა, რომ ცხოვრებისეული გატაცებები უსარგებლოა და ამქვეყნიური მეუობა ილუზიაა.

ბუდამ უკვე დაასრულა სვლის წრე, სხვა მეუეები კი ჯერ კიდევ შუა გზაზე არიან.

მდაბიო მათხოვარი, რომელიც არასოდეს ყოფილა მდიდარი, აგრეთვე გზაზე დგას. იგი უბრალო მდაბიოა, რამეთუ არ იცის სიმდიდრის გემო. როგორ შეუძლია გასცეს სიმდიდრე ან უარი თქვას დასაკმაყოფილებელ სურვილებზე? მას არავითარი გამოცდილება არ გააჩნია. იგი ვერ იტყვის, რომ სასახლე გამოუსადეგარია ან მშვენიერი ქალი არაფრად არ ღირს, რამეთუ მისთვის სასახლეც უცხოა და მშვენიერი ქალიც. მხოლოდ გამოცდილება გაძლევთ განსჯის გასაღებს. მის გარეშე თქვენ შეგიძლიათ, დაიმშვიდოთ თავი და გონებაში ჩაიბეჭდოთ, რომ ყოველივე წარმავალია. სწორედ ასე იქცევა სულიერად ან მატერიალურად ღატაკი ბევრი ადამიანი.

თუ არ გსურთ თვალწარმტაცი ცოლი და ამბობთ, რომ არაფერს ნიშნავს თქვენთვის მოხდენილი ქალი, თუნდაც მისი მშვენიერი სხეული, რომ სილამაზეც საბოლოოდ სიკვდილის ლუკმაა, გულის სიღრმეში მაინც ასეთ ცოლს ნატრობთ. ეს სურვილი გამოცდილების მიღებასთან ერთად გაგიქრებათ. სხვაგვარად კი თქვენი ასეთი ფიქრი მხოლოდ საკუთარი თავის დამშვიდებაა. ღარიბი თავს იმშვიდებს განცხრომით ყოფნის უსარგებლობით, მაგრამ გულში იგი სიმდიდრეს ესწრაფვის, სიზმარში ულობს ძვირფას სასახლეებს და იმპერატორობა ეზმანება, მაგრამ დღისით, როცა ქუჩაში მათხოვრობს, ამბობს, რომ არ წუხს სიღარიბისა და უილაჯობის გამო.

ნამდვილი ადამიანისათვის ცხოვრების პირველი ნაწილი საკუთარი „ეგოს“ ჩამოყალიბებაა, ხოლო მეორე ნაწილი, როცა წრე იკვრება, — ხელი აიღოს მასზე.

ბავშვი იზრდება მხოლოდ მაშინ, როცა ეწინააღმდეგება მშობლებს, როცა ებრძვის და შორდება მათ და აყალიბებს საკუთარ „ეგოს“, ხოლო თუ მშობლებს ებღაუჭება და მათ მიჰყვება, ვერასოდეს გახდება დამოუკიდებელი ინდივიდი. მას გზა უნდა აებნეს, რამეთუ ცხოვრების აზრი სწორედ ეს გახლავთ. იგი დამოუკიდებელი უნდა გახდეს, უტკივილებოდ კი ამას ვერ მიაღწევს.

ცხოვრება ერთგვარი რკალია: თუ გრძნობთ თქვენს რაობას, თქვენ შეგიძლიათ ბრძოლა, თუ იბრძვით, თქვენი პიროვნება იზრდება და როდესაც აღწევთ ზღვარს, შეიგრძნობთ, რომ თქვენ არსებობთ!

ბავშვი მოწიფულობისას ხდება დამოუკიდებელი და ამის გამო ებნევა გზა. ცოდვილი ეძებს დამოუკიდებლობას საზოგადოებაში, ოჯახში. მაგრამ იგი არასწორია ეძებს. წმინდანი კი დამოუკიდებლობას ჭეშმარიტი გზით ეძიებს. არასწორ გზაზე სიარული ყოველთვის უფრო აღვილია. წმინდანი რომ გახდეთ, ცოდვილის გზა უნდა გქონდეთ გავლილი, სხვანაირად თქვენი წმინდანობა უფერული და უსიცოცხლო იქნება. თქვენი სიწმინდე პატარა რუს დაემსგავსება და არა მთის მრქეფარე მდინარეს.

„...ერთ ცხვარს გზა აებნა და ეს იყო ყველაზე დიდი დანაკლისი...“ რამდენადაც ვიცი, სიტყვა „უდიდესი“ მეცხვარეებში „საუკეთესოს“ უტოლდება, რადგან ყველაზე დიდი ცხვარი იძლევა მეტ მატყლსა და ცხიმს, და უფრო ძვირადაც ფასობს. საუკეთესო კი გზააბნეულს ნიშნავს. ეს გარკვეული სიმბოლიკაა.

მწყემსმა ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი იმიტომ მიატოვა, რომ ეს ცხვრები უჩინონი იყვნენ და ჩირის ფასი ჰქონდათ.

იესოს ეს სიმბოლიკა — მწყემსი და ცხვარი — იმაზე მიგვითითებს, რომ საშუალო გონების ადამიანთა ბრბო ცხვრის ფარას ჰგავს.

თურმე ერთი მასწავლებელი მეცხვარის შვილს შეეკითხა: „ღობის შიგნით ათი ცხვარი რომ იყოს და ერთი ღობეზე გადახტეს, რამდენი ცხვარი დარჩება?“

ბიჭმა უპასუხა: „არც ერთი!“

მასწავლებელი გაუბრაზდა: „მე არითმეტიკული ამოცანა მოგეცი, სწორად მიპასუხე“.

ბიჭმა ისევ მიუგო: „თქვენ შესაძლოა, არითმეტიკა იცით, მაგრამ მე ცხვრის ბუნება გაცნობებთ. ამ შემთხვევაში არც ერთი ცხვარი არ დარჩება ღობის მიღმა“.

ეს მართლაც ასე მოხდებოდა, ვინაიდან ცხვრებს კოლექტიური გონება აქვთ, მიდიან როგორც ბრბო, საითაც წავა ერთი, დანარჩენებიც მას მიჰყვებიან.

მწყემსმა დატოვა ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი და ერთი გზააბნეულის მოსაძებნად წავიდა. იესო ყოველთვის ამბობს, რომ ღმერთი მუდამ დაეძებს არა საშუალო გონების ადამიანს, რამეთუ ეს უკანასკნელი ხშირად სწორ გზაზეა, ასე რომ, მისი ძებნის საჭიროება არ არსებობს, მას არ შესწევს იმის ძალა, რომ გზას ასცდეს. აი, რატომ დატოვა მწყემსმა ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი ტყეში ღამით და გზააბნეულის მოსაძებნად წავიდა. იმიტომ, რომ ეს **ერთი გზააბნეული იქცა ინდივიდად** და მხოლოდ მან მიაღწია დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტისაგან განსხვავებით საკუთარ „ეგოს“.

თქვენ ჯერ კიდევ ბრბო ხართ, ნუთუ უკვე მიაღწიეთ საკუთარ „ეგოს“ კრისტალიზაციას? თუ ეს ასეა, მაშინ ღმერთი გეძებთ, რადგან თქვენ ფასეული პიროვნება ხართ და თქვენი მოძებნა საჭიროა. უკვე გაიარეთ ნახევარი გზა და ახლა შესაძლებელია, მეორე ნახევრის დაძლევა ღვთის საშუალებით. თქვენ დამოუკიდებლად შეგიძლიათ მიაღწიოთ პირველ ნახევარს, მეორე ნახევარი კი ღვთაებრივის დახმარებით დასრულდება. როდესაც „ეგო“ გაგაბნიათ, თქვენ უკვე გააკეთეთ თქვენი გასაკეთებელი და ამიტომ ღმერთი გეძებთ. **თქვენ ინდივიდი გახდით და თუ ახლა ინდივიდუალურობას დაკარგავთ, უნივერსალური გახდებით.**

ინდივიდუალურობამდე თქვენ ხარო უბრალოდ ბრბო, შემდეგ აღწევთ ინდივიდუალურობას და ხდებით გზააბნეულნი და სრულყოფილდება თქვენი „ეგო“. ახლა თუ დაკარგავთ „ეგოს“, თქვენ გამთლიანდებით.

მაგრამ თქვენ ამჟამად ვერ გამოლიანდებით. თქვენ ჯერ არ დაგიმსახურებიათ „ეგო“. თქვენ მხოლოდ ბრბოს რიგითი ნომერი გაგაბნიათ. 1,2,... ან სხვა რომელიმე. როდესაც ჯვარისკაცი იღუპება, ამბობენ და წერენ: ამა და ამ ნაწილის ესა და ეს ჯვარისკაცი გამოესალმაო წუთისოფელს... ნომრის

შეესება კი შეიძლება, როდესაც დაიღუპება №1, მას სხვა სიმერი შეცვლის და ახლა ის გახდება №1. არმიაში ცხვრები არიან. არმია ჭიანჭველის ბუდის მსგავსი დასრულებული საზოგადოება და ბრბოა.

თუ გინდათ რაიმე შეიტყოთ ბრბოს გონების შესახებ, შეხედეთ არმიას. იქ იმგვარად ხდება თქვენი სრული დისციპლინირება, რომ მთელ დამოუკიდებლობას ჰკარგავთ. ბრძანება ბრძანებაა და არ არის საჭირო, ამ ბრძანებაზე იფიქროთ. თუ გაბრძანებენ: ბრუნდებით მარჯვნივ... არმიული ბრძანებები და ყოფა ნელ-ნელა გიჯდებათ სისხლსა და ხორცში.

თურმე ეროი პოლკოვნიკის ცოლი ძალიან ბრაზობდა და ვერ აეტანა, რომ მისი მეუღლე მარცხენა მხარეზე წოლის დროს ძილში საშინლად ხვრინავდა. ხოლო მარჯვენა მხარეს წოლისას ყველაფერი ნორმალურად იყო. ქალმა რჩევისათვის ფსიქოანალიტიკოსს მიაკითხა, რომელმაც უთხრა, რომ მარტივი გამოსავალი არსებობს. როცა ხვრინვას დაიწყებს, მარჯვენა მხარეს გადააბრუნეთ მეუღლე ხოლმეო.

ქალმა მიუგო: „იგი მეტად მძიმეა და თანაც ბრაზდება, როცა ვანჯღრევ და ვაღვიძებ. არა და ეს ღამის განმავლობაში იმდენჯერ ხდება, რომ მთელი ღამე გადის“.

ფსიქოანალიტიკოსმა ურჩია: „ნუ წუხარო, შეჯანჯღარება არ არის საჭირო. ყურში ჩასჩურჩულეთ მხოლოდ: „მარჯვნისაკენ!“ და გვერდს მაშინვე იცვლის“.

ამან მართლა იმოქმედა! ბრძანება ბრძანებაა და აღიქმება ღრმა არაცნობიერშიც.

საზოგადოება არსებობს, როგორც ბრბო. თქვენ შეგიძლიათ დაუყოსნებლივ აქციოთ იგი არმიად. აი, რატომ მიაღწია ჰიტლერმა წარმატებას მთელი გერმანიის სამხედრო ბანაკად გადაქცევისას. საზოგადოება სახლვარზე ცხოვრობს, ცოტაოდენი დისციპლინა და იგი სამხედრო ბანაკად იქცევა. აქ აღგილი არა აქვს ინდივიდუალურობას, რადგან ის საჭირო არ არის. თქვენ ვერ შესძლებთ თვითდამკვიდრებას. საზოგადოება ფარას ჰგავს და ცხვარივით აზროვნებს.

გაქვთ თუ არა საკუთარი ცნობიერება? თუ უბრალოდ ცხოვრობთ, როგორც საზოგადოების ნაწილი, რომელშიც დაიბადეთ? თქვენ ხართ ინდუსი, ქრისტიანი, მუსულმანი, ბუდისტი ან ჯაინი, მაგრამ ხართ კი ადამიანი? თქვენ არ შეგიძლიათ ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა იმიტომ, რომ ადამიანს არა აქვს საზოგადოება. სოკრატე, იესო და ბუდა ადამიანია, მაგრამ — არა თქვენ! თქვენ საზოგადოებას ეკუთვნით, ადამიანი კი არასოდეს არ არის ვიღაცის ან რაღაცის კუთვნილება.

აი, რას ამბობს იესო: **„საუკეთესონი გზააბნეულები არიან“.** და ერთხელ საუკეთესოს გზა აებნა. მწყემსმაც იქამდე ძებნა, სანამ არ იპოვნა იგი.

თქვენ ეეძებით ღმერთს, მაგრამ ეს მაშინ ხდება, როცა იგი არ გეძებთ. აი, რატომ კარგავთ მას. **გახდით თვითმყოფადნი და ღმერთი თვითონ მოგეძებნით.** არ არის საჭირო ღვთის ძიება. თქვენ არ იცით მისი ადგილ-სამყოფელი, გაგონილი გაქვთ მხოლოდ უაზრო სიტყვები და თეორიები, მაგრამ ისინი ვერ დაგეხმარებათ.

ერთი მღვდელი უცხო ქალაქში ჩავიდა, ტაქსის მძღოლები გაუიცნულები იყვნენ, მღვდელი კი აუცილებლად ერთ-ერთ ეკლესიაში უნდა მისულიყო საქადაგებლად. ერთმა ყმაწვილმა ასწავლა მას ეკლესიის გზა და გაუძღვა კიდეც იქამდე.

როცა ეკლესია გამოჩნდა, მღვდელმა მადლობა გადაუხადა ბიჭს და უთხრა: „დიდი მადლობა, რომ დამეხმარე. შენ არა მარტო გზა მიჩვენე, აქამდე მომყევი კიდეც. თუ გინდა იცოდე, სად არის ღმერთი, ამ საღამოს მოდი ჩემ ქადაგებაზე. მე ვისაუბრებ ღვთაებრივის მიგნების გზაზე“.

ბიჭმა ჩაიცინა და მიუგო: **„შენ ეკლესიის გზაც კი არ იცი და ღვთისკენ მიმავალი გზისა რა გეცოდინება? მე არ მოვალ!“**

მეც გეუბნებით, რომ ეკლესიის გზის ცოდნა ვერას გიშველით. თქვენ ყველამ იცით ეკლესიის გზა. ეს არაფერს ნიშნავს, რამეთუ ეკლესია არ არის ღვთის ადგილ-სამყოფელი და

არც არასოდეს ყოფილა. თქვენ ვერ იპოვნით ღმერთს, რადგან არ იცნობთ. ის კი გიცნობთ და შეუძლია მოგძებნოთ. იესო გვასწავლის, რომ ნებისმიერ ადამიანს არ ძალუძს ღვთაებრივამდე მიაღწიოს, მაგრამ ღმერთს შეუძლია ნებისმიერ კაცთან მისვლა და მოვა კიდეც თქვენთან, თუ მზად ხართ.

ასე რომ, მთავარია არა ღვთის ძიება, არამედ მომზადება მასთან შესახვედრად. **მზადყოფნის** პირველი პირობა არის ის, რომ პიროვნება შეიქმნათ, **„აგებნეთ გზა“**, ამბობდეთ, რადგან მხოლოდ მაშინ ნასწყლებით თქვენს პირად **„მეს“** — მთავარია გამოეცალოთ ბრბოს, ასცდეთ გზას, რაც საზოგადოების განსაზღვრული შეხედულებების საზღვრებს გარეთ გასვლას გულისხმობს, რამეთუ **ამ საზღვრების მიღმა იწყება შეუცნობელი და თვალუწვდენელი ღვთიური სამყარო.**

საზოგადოება მხოლოდ მინდორია უღრან ტყეში. ის არარეალურია, მთელი მისი კანონები თქვენივე შექმნილია, ადამიანის მოგონილია ყოველივე, რასაც თქვენ ხათრიებას ან ცოდვას უწოდებთ.

სინამდვილეში თქვენ არ იცით, რა არის ხათრიება. ლათინურ ორიგინალში ამ სიტყვას მშვენიერი მნიშვნელობა აქვს, ნიშნავს **„ძლიერს“** და **„ვაჟკაცურს“** და არა **„კარგს“**.

იყავით ძლიერნი, დაიმკვიდრეთ საკუთარი თავი, დაიცავით საკუთარი აზრი, ნუ ემსხვერპლებით ბრბოს! **ისწავლეთ ფიქრი და თვითმყოფადნი გახდით!** მიაყევით თქვენს უკაცრიელ გზას და ცხვარს ნუ ემსგავსებით!

ოთხმოცდაცხრამეტი ცხვრის დატოვება ღამით შეიძლება, რადგან ისინი ისე ეტმასნებიან ერთმანეთს, რომ არ დაიფანტებიან და მათი პოვნა ნებისმიერ მომენტში შეიძლება. ფარა არ არის მთავარი. მთავარია ის საუკეთესო ცხვარი, რომელსაც გზა აებნა. მასში არის ძალა, მას არ ეშინია თავდაჰსხმელებისა.

შეუპოვრობა პირველი ნაბიჯია მზადყოფნისაკენ! **„ეგოც“** ასევე პირველ ნაბიჯად უნდა ჩავთვალოთ. ეს პარადოქსალურად გამოიყურება. ფიქრობთ, რომ მე გიჟი ვარ, რადგან

თქვით, რომ საჭიროა თავმდაბლობა. მე გეუბნებით: არა! თავდაპირველად საჭიროა „ეგო“, სხვაგვარად თქვენი თავმდაბლობა ყალბი და ფარისეველური იქნება. მახვილივით ბასრი „ეგო“ გაგრძობინებთ ყოფის სიცხადეს და მიმართულებას, შემდეგში კი შესაძლებო მის უკუგდებას. როცა „ეგო“ გაგანრიათ, მისი უკუგდებაც შეგიძლიათ! ამის შემდეგ კი მოდის თავმდაბლობა, რომელიც არ არის სუსტი პიროვნების, ლატაკის თავმდაბლობა. ეს თავმდაბლობა ძლიერებას მოაქვს.

„...მან მიატოვა ოთხმოცდაცხრამეტი ცხვარი
და ეძებდა იმ ერთს... სანამ არ იპოვა...“

დაიმახსოვრეთ — ღმერთი თავად მოვა თქვენთან. გახდით ღირსეულნი და იგი გიპოვნით, მან უნდა გაგიხსნათ გზა წინ. იმ დროს, როცა სადღაც ვიღაც იწყებს კრისტალიზებას, მთელი ღვთაებრივი ენერგია მიემართება მისკენ. ღმერთს ძალუძს თქვენამდე გასხივოსნებულ ადამიანად, ოსტატად ან გურუდ მოსვლა. იგი მრავალნაირი გზით მოგაგნებთ. მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა, როგორ მოგიახლოვდებათ. იგი თავად იზრუნებს ამაზე. ჯერ მიაღწიეთ „ეგოს“ კრისტალიზაციას, იყავით მზად, გახდით პიროვნება და მაშინ შესაძლოა, თქვენც გახდეთ უნივერსალური!.

დაქანცულმა ცხვარს უთხრა: „მე შენ დანარჩენ ოთხმოცდაცხრამეტზე მეტად მიყვარხარ...“

ის, ვინც ამბოხი მოაწყო, ღმერთს უყვარს. ქურუმები ამას ვერ იჯერებენ, მაგრამ ეს ჭეშმარიტებაა. იესო, ბუდა, მაჰავირი გზააბნეული ცხვრები არიან. ბრბო მოძრაობს უფერულად, მაშინ როცა იესოს, ბუდასა და მაჰავირისკენ ღმერთი მოისწრაფვის.

ეს მოხდა ბოდხის ხის ქვეშ, სადაც სრულიად მარტო იჯდა ბუდა, რომელმაც საზოგადოებასთან, კულტურასთან, რელიგიასთან და საერთოდ, ამ ქვეყნიერებასთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი გაწყვიტა. ის მარტო იყო; მაშინ ღმერთმა მისკენ მიმართა მთელი ენერგია ყველა მხრიდან, რადგან ის ყველგანაა და ბუდა თავად იქცა ღმერთად. არა და ის უარ-

ყოფდა ღვთის არსებობას, ეს იყო მისი მხრიდან გზიდან გადახვევის გამოვლინება. ბუდა ამბობდა: „არ არსებობს არავითარი ღმერთი, მე ღვთის არა მწამს“. იმასაც უმატებდა, რომ არც სახოგადოება არსებობს და არც რელიგია. ბუდა უარყოფდა ვედებს*, კასტურ დაყოფასა და ინდუისტური აზროვნების მთელ სისტემას. იგი ამბობდა: „მე არა ვარ ინდუისტი, არ ვეკუთვნი არანაირ საზოგადოებას და არანაირი თეორიისა არა მწამს მანამ, სანამ არ ჩავწვდები ჭეშმარიტებას!“

ბუდამ უარყო ყოველივე, ყველასთან გაწყვიტა კავშირი და დადგა წუთი, როცა დარჩა სრულიად მარტო, მარტოსულ კუნძულად.

25 ასეული წლის წინათ ბოდხის ხის ქვეშ მჯდარი ამ მარტოსული ადამიანისაკენ, ამ გზასაცდენილ ცხვრისაკენ ყოველი მხრიდან გაეშართა ღმერთი.

და დაღლილმა უთხრა ცხვარს: **„მე შენ მიყვარხარ მეტად, ვიდრე დანარჩენი!“...**

იგივე უთხრა ღმერთმა იესოსაც. ასე იყო ყოველთვის — ეს ფუნდამენტალური კანონია. **ღმერთი ეძებს ადამიანს და არა ადამიანი — ღმერთს.** ადამიანი კი მის შესახვედრად უნდა ემზადებოდეს — უნდა იამბოხოს, გამოვიდეს საზოგადოებიდან, იყოს უშიშარი, გაწყვიტოს ყველა ურთიერთობა და ყველა ჯაჭვი ამ სამყაროსთან, იყოს მარტოსული და ისე იცხოვროს, თითქოს ის არის სამყაროს ცენტრი, მაშინ ღმერთი გამოეცხადება თქვენსკენ და თქვენი „ეგო“ გაქრება, ვითარცა მცირე კუნძული აქაფებულ ოკეანეში.

დასაწყისში უნდა უარყოთ საზოგადოება და თქვენი „ეგო“ გახდება მარტოსული, რამეთუ იგი მხოლოდ საზოგადოებაში არსებობს. ეს საზოგადოება გეხმარებათ თქვენ, იარსებოთ როგორც „ეგომ“.

თუ უკუაგდებთ საზოგადოებას, უფრო მეტად უკუიგდება საფუძველი. როდესაც არ არის „შენ“, „მეს“ არ ძალუძს არსებობა. ბოლოს და ბოლოს „მეც“ ქრება. თავდაპირველად

უკუღმეო „შენ“ და „მე“ გახდება ცენტრირებული, მშვენიერი, ძლიერი და ის შთაინთქმება. ეს იქნება ღვთაებრივი გაბოვლინება.

იესო ამ შეგონების გამო გააკრეს ჯვარზე. იგი ხალხს ამბოხებდა, ურჩევდა გატკეპნილი გზიდან გადახვევას და ამბობდა, რომ ღმერთს უყვარს გზააცდენილი, მეამბოხე, ცოდვილი ადამიანები. იუდეველებს ამის ატანა არ შეეძლოთ. იესო ღრმულად ურდა გაეწუმებინათ, რამეთუ მისი ქადაგება ძირს უთხრიდა იმდროინდელ საზოგადოებას. იესოს მიერ შექმნილ სიტუაციაში ეკლესია დაეცემოდა და აღარც ქურუმები იქნებოდნენ საჭირონი.

იგი იყო ბრბოს წინააღმდეგი და ბრბო კი ქრისტეს მტრად სთვლიდა. „ცხვრებს“ რომ უბიძგოო გზიდან გადავიდნენ, უცრო მჭიდროდ შეკვუდებიან. თუ თქვენსას მაინც შეეცდებით და გზიდან გადახვევას ასწავლით, შურს იძიებენ, გაგთელავენ, იტყვიან: „გეყოფა! ჩვენ ბრბო ვართ, ჩვენ ყოველთვის სხვებთან ერთად ვარსებობთ, ჩვენთვის სხვისი არსებობა საჭიროა და აუცილებელი“.

თუ არ იქნება მეორე ადამიანი, რა მოხდება? თქვენი იდენტურობა გაქრება.

ამაშია პრობლემა: სწორ გზაზე მიმავალნი ქმნიან ყველა რელიგიას. ჭეშმარიტ რელიგიას კი მხოლოდ ერთი გზააბნეული ესიარება.

იყავით გამბედაები! გასცდით საზოგადოებას, მინდორს, შეაბიჯეთ აუთვისებელ გარემოში! ცხოვრება იქ არის და მხოლოდ იქ გაიზრდებით. იქ შესაძლებელია იტანჯოო, რამეთუ არ არსებობს ზრდა ტანჯვის გარეშე. იქ შეიძლება ჯვარს ეცვათ, მაგრამ არ არსებობს აღდგომა ჯვარცმის გარეშე. საზოგადოებას შეუძლია შურისძიება, შეეგუეო ამას, ეს არის ზღვარი, რომელთან მისვლაც გარდაუვალია, რადგან როცა გზააბნეული ცხვარი უკან ბრუნდება, დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი იტყვის: „იგი ცოდვილია, მისი ადგილი არ არის ჩვენს შორის!“ და მათ არ შესწევთ უნარი, გაიგონ, რომ

მწყემსს ეს ცხვარი თავისი მხრებით მოსდევს, გახარებულს, რამეთუ დაკარგული იპოვნა!

იესო ამბობს, რომ მწყემსი შინ დაბრუნდება და ნაღიმს მოაწყობს, რომ ცხვარს გზა აებნა და ბოლოს იპოვნა. იესო ამბობს, რომ, როდესაც ცოდვილი სამოთხეში შედის, იქ ზეიმობენ, რადგან დაკარგული ცხვარი დაბრუნდა!

1974 წლის 26 აგვისტო
პუნა, ინდოეთი

საუბარი მეშვიდე

მეშვიდე შეგონება

იესომ თქვა: — ღვთის საუკეთო ვაჭარსა გავს,
რომელიც ძალიან მღიდარი იყო
და ერთხელ მარგალიტს წააწყდა.
ვაჭარი კეთილგონიერი იყო,
მან ყველაფერი გაყიდა
და სანაცვლოდ მარგალიტი შეიძინა.
გეკითხებით კი თქვენ უსაღო,
უხრწნელ საუნჯეს,
რომელსაც ყერც ჩრჩილი შეჭამს
და ყერც მატლი დახრაჭს?

(თომა, 80)

თქვენ თუ გარესამყაროს გასცქერით, ვერ ამჩნევთ მის ერთიანობას. ამას მხოლოდ საკუთარ არსში ჩახედვით შეიგნობთ. თუ ისწრაფვით გარესამყაროსაკენ, შეგიძლია ბევრს მიაღწიოთ, მაგრამ ერთიანობას დაკარგავთ. არადა, სწორედ ეს ერთიანობა არის ცენტრი. მისი დაკარგვა ყველაფრის დაკარგვას ნიშნავს. თუ ადამიანი საკუთარ არსს არ ჩაწვდება, ის ვერაფერს მიაღწევს. შინაგანი სამყარო ისეთი უკიდეგანოა, რომ გარე სამყარო ვერ იქნება საკმარისი მის შესაცვლებად, ხოლო თუ არ ულრმავდებით საკუთარი ყოფიერების აზრს, ყველა შენაძენი მხოლოდ გაგაღარიბებთ.

ეს ასეც ხდება: რაც უფრო მეტი სიმდიდრე გაგაჩნიათ, იმდენად ღარიბად გრძნობთ თავს, რადგან მაშინ საკუთარ სიმდიდრეს გარესამყაროს სიმდიდრეს ადარებთ. ამ დროს საკუთარი სიმდიდრე ყოველთვის მწირად მოგეჩვენებათ. აქედან მოდის მდიდარი კაცის პარადოქსი: რაც უფრო მდიდარია, უფრო მეტისკენ მიისწრაფვის, უფრო უმძლავრდება გამდიდრების სურვილი, რამეთუ შინაგანი სიცარიელის შევსება მატერიალური სიმდიდრით შეუძლებელია. შინაგან სიცარიელეს მხოლოდ საკუთარ არსში წვდომითა და მისი შეცნობით შეავსებთ.

თქვენ კარგად ხედავთ, რომ გარესამყარო მრავალფეროვანია, რომ იგი არ არის ერთიანი. არადა, სწორედ ერთიანობა არის მიზანი. ერთიანი თქვენშია, ამიტომაც მას კარგავთ მაშინვე, როგორც კი მის ძებნას იწყებთ თქვენს გარეთ.

გონებაში გიტრიალებთ ასეთი ფიქრი: „მიაღწიე ამა და ამას და ყველაფერი მოწესრიგდება“. როდესაც სასურველს მიაღწევთ, ახლა სხვა ფიქრი გიტაცებთ, რომ სხვა წარმატება მოიპოვოთ. თქვენივე გონება გეუბნებათ, რომ „თუ წარმატებისათვის არ მიგიღწევიათ, გაიოლის, რომ საკმარისად არ გიბეჯითიათ, თუ ვერ მოასწარით ეს იმას ნიშნავს, საკმარისი სისწრაფით არ გარბოდით“. და თქვენც თუ მიაყურადებთ თქვენივე ტვინის ლოგიკას, რომელიც მხოლოდ თქვენთვისაა ლოგიკური, გააგრძელებთ სირბილს. მირბიხართ, მირბიხართ და საბოლოოდ მხოლოდ სიკვდილი გელოდებათ, სხვა არაფერი.

მრავალობითობა სიკვდილის საუკუნოა, ხოლო ერთიანობა — უკვდავების.

გარეგანი ობიექტი კი არ უნდა ეძებოთ, არამედ საკუთარი შინაგანი სამყარო.

თუ საბოლოოდ არ გაწყვეტთ გარე სამყაროსთან კავშირს, ეს არ მოხდება, თუკი დაგრჩათ ამქვეყნიურ ცხოვრებაში თუნდაც უმნიშვნელო წარმატების მოპოვების სურვილი, თქვენ ისევე იწრიალებთ. მხოლოდ საბოლოო წარუმატებლობის შემდეგ დაიწყება მოგზაურობა. რაც უფრო ადრე გეწვევათ

წარუმატებლობა ამქვეყნიურ ცხოვრებაში, მით უკეთესი იქნება, რადგან იგი შინაგანი სამყაროსაკენ გაღაღებულ პირველ ნაბიჯად იქცევა.

სანამ იესოს ნათქვამს განვიხილავდეთ, ზოგიერთ საკითხში უნდა გავერკვეთ. ვინ არის ბრძენი? ის, ვინც მზად არის, მიატოვოს ყველაფერი ერთიანის გულისათვის და ვინ არის სულელი? ვინც საკუთარი თავი მიატოვა და მატერიალურ ღირებულებას დაეუფლა, ვინც გასცა ძვირფასი და სახლი გამოუსადეგარი ხარახურით აავსო.

როდესაც ადამიანი მღიდრდება, მას სურს ძველ მეგობრებთან, მეზობლებთან, ახლობლებთან მივიდეს და აჩვენოს მათ, რას მიაღწია.

მოლა ნასრედინის ერთი გამდიდრებული მეგობარიც დედაქალაქიდან მშობლიურ პატარა სოფელში გაემგზავრა ნათესავ-ახლობლების მოსანახულებლად. საღგურში მოლა ნასრედინს შეხვდა და უთხრა: „უკვე გაიგე? მე ჩემსას მაინც მივაღწიე. ახლა ძალიან მდიდარი ვარ. მაქვს ხუთასოთახიანი მშვენიერი სასახლე“.

მოლა ნასრედინმა მიუგო: „მე რამდენიმე კაცი ვიცი, რომლებიც ხუთასოთახიან სასახლეებს ფლობენ“.

მეგობარმა უთხრა: „მე მაქვს გოლფის ორი საათამაშო მოედანი, სამი საცურაო აუზი და უზარმაზარი ორანჟერეები“.

ნასრედინმა უპასუხა: „მე ვიცი ერთი მშვენიერი ყმაწვილი, რომელიც ქალაქში ცხოვრობს, მას ორი კორტი და სამი აუზი გააჩნია“.

„ვინ?“ — ჰკითხა მდიდარმა.

ნასრედინმა მიუგო: „მომისმინე, შენ შესაძლოა, ბევრი ფული გაქვს, მაგრამ არც მე ვცხოვრობ ცუდად. მყავს ვირები, ცხენები, ღორები, კამეჩები, ძროხები და ქათმები“.

ამ საუბარს მესამე კაციც ესწრებოდა, რომელმაც გაღაიხარხარა და ნასრედინს უთხრა: „სხვებსაც რომ ჰყავთ ვირები და ქათმები...“

ნასრედინმა შეაწყვეტინა და ჰკითხა: „ვინ?“

რასაც არ უნდა ფლობდეთ — გოლფის სათამაშო მოედანს, საცურაო აუზს, ხუთასოთახიან სასახლეს, შინაურ ცხოველებსა თუ ფრინველებს, არაფერი არ გაგამდიდრებთ, რამეთუ მათ მხოლოდ გარეგანი სახე აქვთ, სინამდვილეში კი სახლიც ცარიელდება და თქვენც. ეს ნივთები გარეგან სამყაროს ეკუთვნის, თქვენს შიგნით კი სიღარიბეა.

მატერიალურად ღარიბმა შეიძლება გაიუმჯობესოს მდგომარეობა, მაგრამ **შინაგანი სიღარიბის შეგრძნებისას თქვენ მხოლოდ უაზრობასა და არარაობას განიცდით.** საკუთარ თავს ეკითხებით: „რატომ ვარსებობ?“ „რატომ ვცხოვრობ?“ „სად მიმიყვანს ეს ყველაფერი?“

ყოველ დილით წასასვლელად ემზადებით, მაგრამ მისასვლელი არსადაა. საღამოთი კი ხედავთ, რომ ვერაფერს მიაღწიეთ, შემდეგი დღეებიც ერთმანეთის პგვანან, ეს დროის უაზროდ გაყვანაა, სულის სიღრმეში კი კვლავ სიცარიელეს გრძნობთ.

გარეგანი ნივთების საშუალებით თქვენ შეგიძლიათ სხვათა მოტყუება, მაგრამ არა საკუთარი თავის. ნივთების მოსაპოვებლად კი დიდი ენერგია იხარჯება და ზოგი სიცოცხლის ფასადაც ჯდება.

თქვენ არც თუ ისე დიდი ხნის სიცოცხლე დაგრჩათ, სიკვდილი შორიახლოს დაიარება. აგრეთვებთ ნივთებს და შინაგანად იფიტებით. მაშინ გეუფლებათ შიში, ფიქრობთ: „რისი მიღწევა მინდოდა და რას მივაღწიე? რა დავმარხე ჩემს ცხოვრებას?“

უკან დაბრუნება არ შეგიძლიათ, ვერ დაიბრუნებთ დაკარგულ დროს. უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს. ვერაფერს შეცვლით, მხოლოდ იფიქრებთ: „დამნაშავე ვარ, დავიწყებ თავიდან“. ეს კი შეუძლებელია, ასაკის მომატებასთან ერთად სევდაც გჭაბნით. ამ სევდას სიბერე კი არ იწვევს, არამედ თქვენი სინანული წარსულზე. გვიან ფიქრობთ, რა დამართეთ საკუთარ თავს — გაგაჩნიათ სახლი, მიაღწიეთ წარმატებას, ხართ მდიდარი, ავტორიტეტით სარგებლობთ, მაგრამ რას

ფიქრობთ იქნებ თვითონ საკუთარ თავზე? იქნებ გრძნობთ ტკივილს, ტანჯვას გაფლანგული ცხოვრებისა და დაკარგული დროის გამო. სჯობდილი გიახლოვდებათ და მალე დატოვებთ ცარიელ-ტარიელსა ამ სამყაროს. ეს სიცარიელე არის შინაგანი, რომელსაც ამქვეყნიური მონაპოვრებით ვერ შეავსებთ, **სიცარიელის ამოვსებაში მხოლოდ საკუთარი თავის შეცნობა და მოპოვება დაგეხმარებათ.** აქედან გამომდინარეობს ქრისტეს მტკიცებაც, რომ **აქლემიც კი გაძვრება ნემსის ყუნწში, მაგრამ მდიდარი ადამიანი ვერ გაივლის სამოთხის კარებში.**

რატომ? რა არა აქვს წესრიგში მდიდარს? გარეგნულად ყველაფერი რიგზეა; მაგრამ ვინც ამქვეყნიური სიცოცხლე მატერიალური ნივთების შეგროვებაზე გაფლანგა, ვერ შესძლებს ღვთის საუფლოში შესვლას. **იქ შევა მხოლოდ ის, ვინც თავის თავის შინაგან არსს მოიპოვებს.**

მდიდარი ძალიან გაფლანგული და დანგრეულია. იმით, რასაც მიაღწია ცხოვრებაში, ის ვერ შესძლებს სამოთხეში შესვლას. იგი არასოდეს ფლობდა საკუთარ თავს. ასეა, შეიძლება იყოთ იმპერატორი, მაგრამ მაინც ღარიბი, რადგან ჯერ არ გაიპოვნიათ საკუთარი თავი.

მატერიალური სიმდიდრის დაგროვებას ღრმა ფესვები აქვს. ჭეშმარიტება ასე ნათელია, თქვენ კი თქვენ საქმიანობას განაგრძობთ. არავინ უსმენთ იესოს ან ბუდას, მაგრამ კიდევაც რომ უსმენდეთ, კიდევაც რომ გეყონოთ, რომ გესმით მათი, მაინც არასოდეს არ მიაკვებით მათ გზას.

ამგვარად, იესოს ან ბუდას უარყოფით თქვენ საკუთარ გზას მიაკვებით. ზოგჯერ ამ გზაზე გინდებათ ეჭვი, მაგრამ იგი არაფერს ცვლის. თქვენ საკუთარ გზას უბრუნდებით. არსებობს, ალბათ, რაღაც ძალიან ფესვგადგმული, რისი შერყევა და ამოძირკვა არც ბუდას ძალუს და არც იესოს.

სად არის ამის ფესვები?

ჩვენ სხვათა თვალში ვარსებობთ, სხვათა აზრების იდენტურნი ვართ. მათი თვალები სარკეა. საკუთარ თავს სხვისი თვალით ვუყურებთ. სწორედ აქაა წინააღმდეგობა. **სხვებს არ**

შეუძლიათ ჩვენი შინაგანი არსის დანახვა, რამეთუ იგი არანაირ სარკეში არ აირეკლება. სარკეში მხოლოდ გარეგნული მხარეს შეუძლია არეკვლა. თუნდაც რომ საუკეთესო სარკის წინ დადგეთ, მასში აირეკლება თქვენი არსების მხოლოდ ფიზიკური ნაწილი. არც ერთ თვალში არ ჩანს შინაგანი არსის ანარეკლი.

ასე რომ, სხვათა თვალში აირეკლება თქვენი სიმდიდრე, მიღწევები, ტანსაცმელი. როდესაც ხედავთ, რომ სხვები თქვენზე ფიქრობენ, ღარიბიო, რაც იმას ნიშნავს, რომ არ გაცვიათ მდიდრულად და ლამაზად, არ გაქვთ კარგი სახლი და ავტომობილი, იწყებთ ამ საგნებისაკენ სწრაფვას. ნივთებს მხოლოდ იმიტომ იძენთ, რომ სხვის თვალში მდიდარი გამოჩნდეთ. როცა ამას მიაღწევთ, სხვის თვალში აირეკლება თქვენი სიმდიდრე, ძალაუფლება და პრესტიჟი. თქვენ ამ ანარეკლის იდენტური ბრძანლებით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ სხვამ არ იცის, რა ხდება თქვენს სულში. მედიტაცია საჭიროა, რადგან იგი გულისხმობს თვალების დახუჭვას, რათა საკუთარ ანარეკლს არ უყუროთ სხვის თვალებში და ნახულობთ შინაგან არსს, თორემ მთელი დღე სხვებით ხართ დაკავებული.

ღამით სიზმარშიც კი სხვაზე ფიქრობთ. სხვებთან ერთად მუდმივი ცხოვრება პრობლემაა. იბადებით და კვდებით საზოგადოებაში, მთელი თქვენი ყოფიერება შეღგება საზოგადოებრიობისაგან, საზოგადოება კი თვალებია, რომლებიც ყველგანაა. ეს თვალები, რასაც არ უნდა ირეკლავდნენ, ყოველთვის გხიბლავენ თქვენ. თუ ყველა ამბობს, რომ კარგი ადამიანი ხართ, თქვენც კარგად გრძნობთ თავს. თუ საწინააღმდეგოს ამბობენ, თავს ავად გრძნობთ. თქვენი იდენტურობა სხვაზეა დამოკიდებული. იცხოვრეთ სხვებთან ერთად, მაგრამ მათ თავს ნუ დააუძლურებინებთ! ისწრაფვეთ მარტოობისაკენ!

ყოველდღე ერთი საათით მაინც დახუჭეთ თვალები. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დროს თქვენში საზოგადოება ვერ შემოაღწევს. არსებობთ მხოლოდ თქვენ! შეგიძლიათ უშუალოდ უცქიროთ საკუთარ თავს, პირისპირ დაღგეთ მის წინაშე.

წელიწადში ერთხელ მაინც რამდენიმე დღით გაემგზავრეთ მიაში, უდაბნოში ან სხვა უდაბურ ადგილას და უკურეთ საკუთარ თავს. დაინახეთ საკუთარი თავი ისეთი, როგორიც ხართ, თორემ სხვებთან ერთად გამუდმებითი ცხოვრება ჰიპნოზს წარმოშობს. ეს არის მიზეზი, რომ სხვები გაგლენას ახდენენ და გხიბლავენ იქვენ. სინამდვილეში თქვენთვის მნიშვნელოვანია არა მდიდრული ცხოვრება, არამედ ის, რომ სხვებზე მოახდინოთ მდიდარი კაცის შთაბეჭდილება. ეს ორი სრულიად განსხვავებული მხარეა. სხვაზე შთაბეჭდილებას ახდენს ის, რასაც ფლობთ ამ ცხოვრებაში, თქვენით კი არავინ იხიბლება. თუ შეხვდებით ძონძებში შემოსილ ალექსანდრე დიდს, ქუნა-ქუნა რომ მაითხოვრობს, ვერ იცნობთ, ხოლო მდაბიო რომ ნახოთ ალექსანდრესავით მეუის ტახტზე მჯდომი, მაშინვე დავარდებით მის ფეხებთან.

ერთხელ დიდი ურდუ პოეტი ჰალიბი იმპერატორთან იყო სადილად მიწვეული. მის გარდა სადილზე ხუთასამდე კაცი დაპატიუეს. ჰალიბი ღარიბი იყო. პოეტისათვის ძალზე ძნელია იყოს სხვის თვალში მდიდარი.

მეგობრებმა ურჩიეს: „ჰალიბ, შეგიძლია ისაითხოვრო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და კარგი ქოლგა. შენი ქოლგა დაძველდა, ტანსაცმელი გაგიცვდა, ფეხსაცმელშიც წყალი შეგდის და მაინდამაინც კარგად ვერ გამოიყურები!“.

ჰალიბმა უპასუხა: „მე რომ რაიე ვისათხოვრო, თავს ვეღარ ვიგრძნობ კარგად, — მე ხომ არასოდეს არავისთვის არაფერი მითხოვნია, ვცხოვრობდი საკუთარი სახსრებით, ახლა კი რაღაც სადილის გამო ცხოვრების წესი რომ შევიცვალო, ვერ იქნება სასიამოვნო!“

იგი იმპერატორს თავისი სამოსით ეწვია. მცველს რომ მოსაწვევი ბარათი უჩვენა, მცველმა გაიცინა და უთხრა: „სად მოიპარე ეს? მოუსვი აქედან, სანამ არ დამიპატიმრებიხარ!“.

ჰალიბმა მიუგო მცველს: „მე ხომ მომიწვიეს! წადი და ჰკითხე იმპერატორს!“

მცველმა უპასუხა: „ყველა მაიხიარს ჰგონია, რომ ისიც მიიწვიეს. შენ პირველი არა ხარ. შენამდე ბევრმა დააკაკუნა ამ კარებზე. წადი ახლა აქედან, აქ ნუ დგახარ, მალე სტუმრები მოვლენ!“.

ჰალიბი გაბრუნდა, მისმა მეგობრებმა გაითვალისწინეს, რომ ასე მოხდებოდა და ჰალიბს წინასწარ ნაშოვნი ახალი ტანსაცმელი ჩააცვეს. მცველმა ახლა თავი დაუკრა ჰალიბს და მოხრძანდითო, — მიმართა.

ჰალიბი ცნობილი პოეტი იყო, იმპერატორს უყვარდა მისი ლექსები და სადილზე მის გვერდით დასვეს. ლხინი რომ დაიწყო, ჰალიბმა თავისი ხალათი ჩადო ერთ-ერთ კერძში და ამბობდა: „ჭამე, ხალათო! სინამდვილეში ხომ შენ შემოგიშვეს ამ სასახლეში და არა მე!“. იმპერატორი გაოცდა: „რას აკეთებ, ჰალიბ? ხომ არ გაგიჟდი?“.

ჰალიბმა უპასუხა: „ამ ხალათის გარეშე აქ არ შემომიშვებდნენ. ამ ხალათის დამსახურებაა, მე რომ აქ ვსხედვარ“. ასე ემართება ყველას: სხვები ცნობენ თქვენს ხალათს და არა თავად თქვენ, ამიტომაც მოსავთ საკუთარ თავს.

მედიტაცია გეხმარებათ სხვის თვალისაგან დაისვენოთ. დაივიწყეთ სხვები! ცოტა ხნით ჩაიხედეთ საკუთარ სულში და იგრძნობთ შინაგან ტკივილსა და ტანჯვას. იგრძნობთ სიცარიელეს. მაშინ კი გარდაისახებით: თქვენ დაიწყებთ შინაგანი სიმდიდრის, განძის ძებნას, რომელიც არსებობს თქვენში და არა თქვენს გარეთ.

ბევრი — ეს არის გარეგნული სიმდიდრე, ხოლო ერთი — შინაგანი საგანძურია. ბევრი — ეს არის გარეგანი განსომილებები და მიმართულებები, ერთი წერტილი კი შინაგანი მიზანია.

იესომ თქვა: „ღვთის საუფლო ვაჭარსა ჰგავს,
რომელიც ძალიან მდიდარი იყო
და ერთხელ მარგალიტს წააწყდა.
ვაჭარი კეთილგონიერი იყო,
მან ყველაფერი გაყიდა

და სანაცვლოდ მარგალიტი შეიძინა...“

ერთი კაცი მართლაც გაემგზავრა შორეულ ქვეყანაში ფულის საშოვნელად. მან იქ ღიდძალი სიმდიდრე ღააგროვა, მაგრამ ბოლო ღროს ნახა ერთი მარგალიტი, რომელშიც მთელი შეძენილი სიმდიდრე გადაცვალა. შინ რომ ბრუნდებოდა, მისი გემი ძლიერ ღელვაში მოჰყვა და ჩაიძირა, ხოლო ეს კაცი გადარჩა და თავისი განძით ღაბრუნდა შინ.

ეს ისტორია აქცს მხეღველობაში იესოს: იმ კაცმა ღიდძალი სიმდიდრით ერთი მარგალიტი იყიდა, მაგრამ როღესაც გემი ჩაიძირა, არაუერი დაუკარგავს. ერთის გადარჩენა შეიძლება, ბევრისა — არა. როცა სიკვდილი მოღის და თქვენი გემი იძირება, თუ ერთი მარგალიტი გაქვთ, შეძლებთ მის გადარჩენას, მაგრამ თუ ბევრი განძი გაგაჩნიათ, ყველაუერი წყალში ჩაგეყრებათ.

„...ვაჭარი იყო კეთილგონიერი...“

ის იყო ბრძენი, რადგან სისულელეა, გაყიდო ერთი და იყიდო ბევრი, ხოლო სიბრძნე იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი გაყიდო და ერთი ღირებული შეიძინო. მარგალიტი შინაგანი ერთიანობის სიმბოლოა.

„...ეძიებთ კი თქვენ უხადო,
უხრწნელ საუნჯეს,
რომელსაც ვერც ჩრჩილი შეჭამს
და ვერც მატლი დახრავს?“

მაშ, იყავით იმ ვაჭარივით კეთილგონიერნი და ბრძენნი. ამქვეყნიურს ბოლოს ყველაფერს დაკარგავთ. სინამდვილეში თქვენ არაუერს ულობთ ამქვეყნად. როცა ამ სამყაროში აღარ იქნებით, იმ ნივთებს ხომ სხვა დაეუფლება? თქვენი ქონება სიზმარივით წარმავალია: არის და უკვე აღარ არის.

ერთხელ მეუე იბრაჰიმს ღამით სასახლის სახურავიდან ხმაური შემოესმა. იქ ვილაც დადიოდა.

„ვინ არის?“ — იკითხა იბრაჰიმმა.

ვილაცამ უპასუხა: „ნუ ღელავ, აქლემი დამეკარგა და ვეძებ“.

სასახლის თავზე აქლემი დაიკარგა!

იბრაჰიმმა გაიცინა და ასძახა: „გიჟი ხომ არა ხარ, ჩამოდი მანდედან, აქლემს სახურავზე რა უნდა. შინ წადი!“

მაგრამ მთელი ღამე მეფე ფიქრობდა: „იქნებ ის კაცი სულაც არ იყო გიჟი და რაღაც სიმბოლურს მეუბნებოდა. იქნებ დიდი მისტიკოსი იყო, ისეთი ხმა ჰქონდა, მასში იმდენი თანაგრძნობა და სიბრძნე იგრძნობოდა, ხმა ისეთი მუსიკალური და ჰარმონიული ჰქონდა, რომ შეუძლებელია გიჟი ყოფილიყო. როცა მითხრა: „აქლემს ვეძებო“, თითქოს რაღაცაზე მიმანიშნა. ხვალ დილით უნდა მოვძებნო და ვნახო ვინ არის — ნამდვილი გიჟი იყო თუ „ღვთის გიჟი“. სახურავზე თავისი სიგიჟის გამო ავიდა, თუ ჩემთვის ღვთის დანაბარები უნდოდა გადმოეცაო“.

მთელი ღამე ვერ მოისვენა მეფემ. დილით კარის მსახურებს დაავალა იმ კაცის მოძებნა, რომელსაც მუსიკალური და ჰარმონიული ხმა ჰქონდა. მთელი ქვეყანა გადაიხრიკეს, მაგრამ იგი ვერსად იპოვნეს, ვინაიდან ძნელია კაცის პოვნა ხმის ტემბრის მოხედვით. შუადღით სასახლის კართან ხმაური ატყდა. მოსულიყო ერთი დერვიში* და მცველს ეუბნებოდა: „შემომიშვი, რამდენიმე ღლე მინდა ამ ფუნდუკში გავატარო“.

მცველმა უპასუხა: „ეს არც ფუნდუკია და არც ფარდული. სადა გაქვს თვალები. მეფის სასახლეს ვერ ამჩნევ“.

დერვიშმა მიუგო: „არა! მე კარგად ვიცი, რომ ეს ფუნდუკია. მოგზაურები მოდიან აქ, ცოტა ხნით რჩებიან და მიდიან. აქ არავინ ცხოვრობს. შემომიშვი და თვითონ მოველაპარაკები მეფეს, რომელიც, როგორც ჩანს, ბრიყვია“.

ამ სიტყვებმა მეფის ყურამდე მიაღწია და გაანრისხლა იგი. მან თავისთან დაიბარა დერვიში.

დერვიშმა უთხრა: „მისმინე! მე ერთხელ უკვე ვიყავი აქ, მაგრამ მაშინ ტახტზე სხვა ვილაც იჯდა. ისიც შენსავით ბრიყვი იყო და ეს ფუნდუკი სასახლე ეგონა“.

მეფემ მიუგო: „ვილაც სულელი ხარ. ის მამაძაღლი იყო, რომელიც მოკვდა“.

დერვიშმა უთხრა: „გეუბნები, რომ მე კელავ მოვალ აქ, მაგრამ შენ უკვე აღარ იქნები და შენი ვაჟი იყიდება ტახტსე-ისიც მეტყვის, რომ ეს მისი სასახლეა. რა მეუის რეზიდენციაა ეს? ადამიანები მოდიან და მიდიან. ამას მე ფუნდუკს ვუწო-დებ."

მეუეს ეცინა ეს ხმა. „შენ ის უგნური ხომ არა ხარ, სასახლის სახურავზე აქლემს რომ დაეძებდი?" -ჰკითხა მას.

დერვიშმა მიუგო: „დიახ, მე უგნური ვარ ისევე, როგორც შენ. თუკი შენ აქ ეძებ ჭეშმარიტებას, ესე იგი, აქლემს ეძებ სახურავზე".

მეუე ჩამოვიდა ტახტიდან და დერვიშს მიმართა: „შენ დარჩი ამ ფარდულში, მე კი წავალ. აქამდე მწამდა, რომ ეს იყო ჩემი სასახლე და თუკი ასე არ არის, მაშინ მე მივდივარ. უნდა ვეძიო სახლი, სანამ გვიან არ არის".

იბრაჰიმი თვითონ იქცა მისტიკოსად. იგი ცხოვრობდა თა-ვის სამეფოს დედაქალაქის გალავნის გარეთ. ახლა ეს სასახ-ლე მისთვის ფუნდუკად იქცა. ოუ ვინმე შეეკითხებოდა: „ქალაქში როგორ შევიდეთო," ქალაქის მაგიერ იბრაჰიმი სასაფლაოსკენ უთითებდა.

გულმოსული ხალხი ეუბნებოდა: „ჩვენ ქალაქის შესასვლელს გეკითხებით, სასაფლაოზე რა გვინდა".

იბრაჰიმი კი იცინოდა და ამბობდა: „გამოდის, რომ ჩვენ სხვადასხვაგვარად გვესმის ერთი და იგივე სიტყვა. ღავსახ-ლდებით თუ არა სასაფლაოზე, სამუდამოდ დავრჩებით იქ, იქ არის ნამდვილი ქალაქი, ნამდვილი სასახლე და რეზიდენცია, რომლის მისამართი არასოდეს იცვლება, რადგან ჩვენ იქ სამუდამოდ მივდივართ. თქვენ ნამდვილ ქალაქზე როდი მე-კითხებით, რაც თქვენ გაინტერესებთ. იმ ადგილას მუდამ სიკვდილის რიგში დგანან. ვიღაც დღეს მოკვდა. ვიღაცას ხვალ მოუწევს გარდაცვალება. თითოეული მოკვდავი სიკვდილს ელოდება. და თქვენ ამას უწოდებთ ქალაქს? ნებო-ვის ქალაქი სასაფლაოა, სადაც სიკდილის გარდა არაფერი არსებობს".

სიცოცხლე სიკვდილის მოლოდინია. როგორ შეიძლება სიცოცხლე იყოს წუთიერი და სიზმარს ჰგავდეს? სიცოცხლე მარადიული უნდა იყოს, მაგრამ თუ ეძიებთ მარადიულს, ვაჭრის მსგავსად, კეთილგონიერად უნდა მოიქცეთ, გაყიდეთ ყოველივე, რაც გაგაჩნიათ. გაყიდეთ საკუთარი „ეგო“ და იყიდეთ **თქვენი შინაგანი არსის ერთადერთი მარგალიტი,** რომელიც არ დაიკარგება, არც წაგართმევთ ვინმე, რამეთუ **ეს მარგალიტი ხართ თქვენ.** მხოლოდ საკუთარი თავის დაუფლება შეგიძლიათ, სხვა არაფერი ძალგიძთ, ხოლო თუ ილუზიებში ცხოვრობთ, ეს სხვა საქმეა.

ილუზიაა თქვენი სახლ-კარიც, ოჯახიც და ქონებაც. ადრე თუ გვიან ეს სიზმარი წყალს გაჰყვება. თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ მხოლოდ საკუთარი თავი, რადგან იგი ვერსად წაგივათ, არსი მუდმივია და მარადიული, იგი დროს არ ემორჩილება.

განსხვავება ამქვეყნიურ და რელიგიურ ძიებებს შორის შემდეგშია: რელიგიური ძიება მუდმივის, მარადიულის ძიებაა, ამქვეყნიური კი — დროებითის ძიება. ეს ქვეყანა დროში არსებობს, რელიგია კი — დროის გარეშე. როცა თვალები დახუჭული გაქვთ და აზრები არ გაგაჩნიათ, დრო ქრება, დრო თქვენთვის აღარ არსებობს. როცა აზრი გამოძრავებთ თავში, დროც არსებობს და საგნებიც.

თქვენს გარშემო დრო მეფობს, თქვენში კი მარადისობაა. აი, რატომ ამბობს ყველა რელიგიური ადამიანი, რომ როცა დროზე ამაღლდებით, როცა დროს თავს დააღწევთ, მაშინ შეიცნობთ საკუთარ თავს, მაშინ შეხვალთ სახლში.

ერთი კაცი ფაბრიკაში მუშაობდა. იგი ძალიან ღარიბი იყო და სამსახურში ვირით დადიოდა, მაგრამ ყოველთვის უგვიანდებოდა იქიდან შინ მისვლა. ცოლი ძალიან ბრაზობდა და კაცმა მას ერთხელ უთხრა: „შეეცადე, გაიგო ჩემი გაჭირვება. როცა სამუშაო ცვლა მთავრდება და ზარი ირეკება, ჩემი ვირი ისე მიეჩვია ამ ხმას, რომ 2-3 წუთითაც თუ დამაგვიანდა, შინ უჩემოდ გამორბის, ფაბრიკიდან გამოსული

ველარ ვპოულობ სახედარს. ჰა, დიდი-დიდი, რამდენიმე წუთი მომიცადოს, თუ ამ დროს შევახტი ზურგზე, ხომ კარგი, თუ არა და ფეხით მიწევს შინ დაბრუნება".

კაცმა იფიქრა, რომ ამის თქმა უშველიდა და ჰკითხა ცოლს: „ხომ მიხვდი, რა გითხარი?".

ცოლმა მიუგო: „ყველაფერი ძალიან კარგად გავიგე. ვირმაც კი იცის, როდის არის შინ დაბრუნების დრო!"

თქვენ კი ჯერ ვერ გაგიგიათ, სად არის თქვენი სახლი და როდის უნდა დაბრუნდეთ იქ. დახეტიალობთ და სხვების კარზე აკაკუნებთ. სულ დაგავიწყდათ სად არის თქვენი სახლი. ასე რომ, თუ შეწუხებული ხართ, ამაში არაფერია უცნაური, თუ გრძნობთ ფორიაქს ყველგან და ყოველთვის, ამაში არაფერია გასაკვირი. თქვენ აგრძელებთ ხეტიალს დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში. საიდან მოდის ეს სიგიჟე?

ხალხი შრომობს და ფულს აგროვებს, რომ მსოფლიოს ამა თუ იმ კუთხეში იმოგზაუროს. რატომ? რას ეძებენ?

გამიგონია, ერთხელ ერთი თავგადასავლების მაძიებელი ამერიკელი საბერძნეთში ვულკანს პირდაპირ კრატერში ჩასცქეროდა. მას გიდისათვის უთქვამს: „ღმერთო ჩემო! როგორ ჰგავს ჯოჯოხეთსო!"

გიდს უპასუხია: „ოჰ, ამერიკელებო! თქვენ ყველგან ყოფილხართ! ჯოჯოხეთშიც კი იმოგზაურებთ, ამის საშუალება რომ გქონდეთ!"

მაგრამ რატომ არსებობს ასეთი მოუსვენრობა? რატომ არის ადამიანი შინაგანად მაწანწალა? იმიტომ, რომ ადგილსამყოფელი დაკარგა და ეძებს. ძიების მიმართულება შეიძლება არასწორი იყოს, მაგრამ მოუსვენრობა მაინც ინუნს ხოლმე თავს. სადაც არ უნდა იყოს, ის არ არის თქვენი სახლ-კარი და სწორედ ესაა პრობლემა. სახლ-კარის ძიებაში შეიძლება ჯოჯოხეთშიც კი გაეიმგზავროთ, მაგრამ საკუთარი თავის გარდა ვერსად იპოვნით. იგი ხომ თქვენშია!

სახედარმა კი იცის, როდის არის უკან დაბრუნების დრო. ეს დრო უკვე მოსულია, თქვენ საკმარისად ელოდეთ. ნუ

ეძებთ მას თქვენს გარეთ. იქ თქვენ ბევრი რამ შეგხვდებათ, რასაც ინდუსები მაიას ეძახიან. „მაია“ ნიშნავს ბევრს, მრავალსა და უსასრულოს. თქვენ აგრძელებთ ძებნას. ეძებთ, ეძებთ და ამას ბოლო არ უჩანს. ეს ჯადოსნური სამყაროა!

ჯადოქრობა რჩება, თქვენ ძებნას განაგრძობთ, მაგრამ როგორც კი ახლოს მიდიხართ, ყველაფერი ცისარტყელასავით ქრება, შორიდან იგი მშვენიერი ჩანს და გხიბლავთ, შემოდის თქვენს ოცნებებში, გინდათ, რომ მუჭში მოიქციოთ ცისარტყელა, მაგრამ ის გისხლტებათ ხელიდან. როგორც კი დაიწევით, აღმოჩნდება, რომ იქ არაფერია.ცისარტყელა ოცნება და ილუზიური რეალობა ყოფილა. ინდუსებმა ეს „მაიად“, ჯადოსნურ სამყაროდ მიიჩნიეს. სინამდვილეში კი არაფერი არ არსებობს და ყველაფერი მხოლოდ სურვილებისა და ოცნებების წყალობით გენერებათ. ოქვენვე ხართ შემოქმედი. მაგალითად, ავტომობილი. ღედამიწაზე ადამიანს რომ არ ეარსება, რა იქნებოდა ავტომობილის ფასი? ვის ეცლებოდა მისთვის?

მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ადამიანი, ავტომობილიც ფასეულია. იგი თქვენი სურვილებიდან მოღის: თუ გსურთ რაღაც, იგი ფასეულია. რაც არ გინდათ, ფასს კარგავს. ფასეულობა ნივთში კი არ არის, თქვენს სურვილშია.

ეკონომიკის ძველი კანონი ასეთი იყო: როცა არსებობს მოთხოვნილება, მას მოპყვება წარმოება და მოწოდება. ახლა კი თქვენ სთავაზობთ და ამის შემდეგ ჩნდება მოთხოვნილება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იესოს დროს ვინმე ავტომანქანაზე იოცნებებდა? მაშინ ასეთი პრობლემა არ არსებობდა, რადგან არ არსებობდა თვითონ საგანი. ახლა მთელი საქმიანი სამყარო ახალი წინადადების შემუშავებაზეა დამყარებული. საქმიანი ადამიანები ჯერ შეიმუშავებენ გეგმას, შემდეგ ქმნიან ნივთებს და რეკლამას უკეთებენ. მხოლოდ შემდეგ ჩნდება სურვილი და მოთხოვნილება. მერე თქვენ აქეთ-იქით აწყდებით და ხელავთ მიზანს, რომელიც დაკარგული გქონდათ. ახლა კი არსებობს მიზანი და ფიქრობთ, რომ თუ მას მიაღწევთ, ყოველივე მიღ-

წეული იქნება, მაგრამ ბიზნესმენები განუწყვეტლივ ქმნიან ახალ მოდელებს, ახალ მანქანებს, ახალ სახლებს, ახალ მიზნებს. ისინი მუდმივად გოავაზობენ გზებს, რომ იმოძრაონ შიგნიდან გარეთ, არ გაძლევენ ამოსუნთქვის საშუალებას, რაოა დაფიქრდეთ.

შესაძლოა, ოქვენი ავტომობილი ნორმალურად მუშაობს, მაგრამ ბიზნესმენები რეკლამას უკეთებენ ავტომობილის ახალ მოდელს. ახლა უკვე გრცხვენიათ ძველი ტიპის ავტომანქანის პაროვა. შეიძლება, ახალი მოდელი ძველზე უკეთესი არ არის, მაგრამ ახალი ავტომობილის ყიდვა საჭიროა, რადგან ოქვენმა მეზობლებმა და ნაცნობებმა უკვე შეიძინეს იგი და ყველა ამაზე ლაპარაკობს.

ერთხელ ერთი ქალი მივიდა ქირურგთან და ოპერაციის გაკეთება სთხოვა.

„ხომ არ გაგიყლით, რა ოპერაცია? ოქვენ სრულიად ჯანმრთელი ხართ!“— მიუგო ქირურგმა

ქალმა უთხრა: „ძალიან მეუხერხულება, როცა კლუბში მივდივარ, იქ ზოგი ბრმა ნაწლავის ამოკვეთაზე ჰყვება, ზოგს გლანდები ამოუჭრია; მხოლოდ მე ვგრძნობ თავს არანორმალურად, რადგან არაფერი მაქვს სალაპარაკო, გაიკეთეთ რამის ოპერაცია, რომ მეც ვილაპარაკო ნემს ავადმყოფობაზე კლუბში!“

ხედავთ, ავადმყოფობაშიც კი შეჯიბრია! ყველაფერში წინ უნდა იყოთ. მნიშვნელობა არა აქვს რაში, მაგრამ თქვენ უნდა იყოთ საღოთ!

წვიმდა და მოსაცდელში შეფარებული სამი მგზავრი საუბრობდა. ერთმა თავისი ცოლით დაიტრაბახა: „მე ისეთი ცოლი მყავს, რომ ათი წლის წინათ დავქორწინდით და ძველებურად ყოველ საღამოს ისევ სადგურზე მხედება, შინ რომ ვბრუნდები. ლამის გავგიჟდე!“

მეორემ თქვა: „ძალიან კარგად მესმის შენი, რადგან უკვე ოცი წელია ცოლი მყავს და ისიც ყოველთვის მოდის სადგურზე ჩემს შესახვედრად“.

„ბავშობეთ, — თქვა მესამემ, — ჩემი ცოლი უკვე ოცდაათი წელიწადია, რაც სადგურზე მხვდება, თანაც არც კი დავქორწინებულვარო. ყველას გაუბედეთ!“

ადამიანები სიცრუეში ეჯიბრებიან ერთმანეთს. თქვენ გსურთ პირველობა არავის დაუთმოთ ნებისმიერ საქმეში. თუკი იცვლება მოდა და ახალი ტანსაცმელი სულაც არ არის მიმზიდველი, მაინც გირდათ, აღაროთ. არავინ არ იმალება საკუთარ სახლში, ყოველი თქვენთაგანი ხომ სხვის კარზე აკაკუნებს.

კარგად დაიმახსოვრეთ — თქვენთვის არავინ არ არის მიზანი, საკუთარი „მეს“ გარდა. „თქვენ“ ხართ მიზანი და უნდა შეიცნოთ საკუთარი თავი, არაფერ სხვას ფასი არა აქვს.

ამის შესახებ ამბობს იესო:

„ღვთის საუფლო ვაჭარს ჰგავს,
რომელიც ძალიან მდიდარი იყო
და ერთხელ მარგალიტს წააწყდა.
ვაჭარი კეთილგონიერი იყო,
მან ყველაფერი გაყიდა
და სანაცვლოდ მარგალიტი შეიძინა.
ეძიებთ კი თქვენ უზადო,
უხრწნელ საუნჯეს,
რომელსაც ვერც ჩრჩილი შეჭამს
და ვერც მატლი დახრავს?“

ეძიეთ უკვდავი და ფხიზლად დარჩით, ნუ დაკარგავთ დროს იმაზე, რაც ხრწნადია, ნუ ხარჯავთ საკუთარ სიცოცხლეს სამყაროს ცვალებად ნაწილზე.

თქვენს გარშემო ხილული სამყაროა, რომელშიც ყველაფერი ქრება და იხრწნება. მთაც კი იშლება ნელ-ნელა და ალიგვება პირისაგან მიწისა. კონტინენტებიც კი ქრებიან. ვედების დროს ჰიმალაი არ იყო, რადგან რიგვედა მის შესახებ არაფერს ამბობს.

შეუძლებელია, არ მოიხსენიოთ ჰიმალაი, როცა არსებობს. ვედებში კი უამრავი აღწერილობაა, ოღონდ მაინში ერთხელაც

კი არ არის ნახსენები ჰიმალაი. იმის საჩუქველზე ლოკმანია ტილაკმა დაასკვნა, რომ ვედები შეიქმნა 75 ათასი წლის წინათ. ეს სიმართლეს ჰგავს. ვედები უფრო გვიან დაიწერა, მაგრამ არსებობდა ზეპირსიტყვიერად მრავალი ათასი წლის განმავლობაში. აი, რატომ არ მოიხსენიება მათში ჰიმალაი.

ახლა სწავლულები ამბობენ, რომ ჰიმალაი სამყაროს ყველაზე გვიანდელი დანამატია, ყველაზე მაღალია, მაგრამ ყველაზე ახალგაზრდაა. ჰიმალაი ჯერ კიდევ იზრდება და ყოველ წელს ემატება სიმაღლე. ვინღხია კი უძველესი მთაა ღედამიწაზე. შეიძლება, ამიტომაცაა იგი ბრტყელი და მომაკვდავი მოხუცივით მოღუშული. ინდუსები მშვენიერ ისტორიას ჰყვებიან ვინღხიას შესახებ.

ეროი ბრძენი სამხრეთში წაიდა. მაშინ ძალიან ძნელი იყო ვინღხიას გადალახვა, არ არსებობდა სატრანსპორტო საშუალებები. მშვენიერი ისტორია კი იმას მოგვითხრობს, რომ როდესაც ბრძენკაცი მიუახლოვდა მთას, ვინღხია ძირს განერთხა, რათა მის ფეხებს შეხებოღა. ბრძენმა უთხრა: „მე მალე დავბრუნდები, ასევე დარჩი, რომ აღვილად გადავიარო შენზე“.

მთაც ამიტომ არის გაბრტყელებული, ბრძენი უკან აღარ დაბრუნებულა, სამხრეთში მიიცვალა, მაგრამ მშვენიერი თქმულება დარჩა: ვინღხია, ღედამიწის უძველესი ნაწილი, გალეშულია, როგორც მოხუცი.

გარესამყაროში არაფერია მარადიული. ნახეღეთ თქვენს შინაგან სამყაროს და ნახავთ, რომ თქვენი აზრებიც ღროებითია — თუ ერთი წუთის წინ ვიღაცაზე ბრაზობდით, ახლა აღიებთ და სიბრაზე გიცხრებათ. თქვენი აზრები ღრუბლებს ჰგვანან და გამუღმებით იცვლებიან.

ჩაატარეთ მეღიტაციები ღრუბლებზე და დაინახავთ, რომ ისინი ფორმას იცვლიან და არასოღეს რჩებიან ეროსა და იმავე მდგომარეობაში.

თქვენს გონებაშიც იგივე ხღება: ღრუბელივით თქვენი აზრიც განუწყვეტლივ იცვლება. სწორედ ეს არის იმის

მიზეზი, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ კონცენტრირება, რადგან კონცენტრაცია აზრის უცვლელობას ნიშნავს. თქვენს ერთ აზრს მეორე ცვლის, მეორეს — მესამე და ა.შ.

ამქვეყნად ყველაფერი იცვლება, მხოლოდ ზეცა რჩება უცვლელი. იგი უხრწნელია. თქვენივე ცა, ანუ „მე“ რჩება მარადიული. სწორედ ის არის მარგალიტი, იგი უფორმოა.

თუ შინაგან სამყაროში მიდიხართ ამ უფორმობასთან შესახვედრად, თავდაპირველად იგი ცარიელი მოგეჩვენებათ, რადგან არ იცნობთ უფორმობას. მაგრამ ნუ შეეშინდებათ, ნუ დაფროხებით, შეაბიჯეთ საკუთარ შინაგან სამყაროში. როდესაც იქ დაფუძნდებით, სიცარიელეც გაქრება. იგი უფორმობად გადაიქცევა და თქვენ უკვე გექნებათ მარგალიტი — ერთიანობის სიმბოლო მრავალის ფასად. დღეისათვის კი თქვენ ერთიანის ფასად იძენთ მრავალს.

განუყოფელი — ეს არის მარგალიტი, მრავალი კი — უბრალოდ ყალბი ქვებია. ისინი ერთი შეხედვით ძვირფასი ქვები გეგონებათ, მაგრამ ასეთი არ არიან და იცვლებიან. **უცვლელობა და მარადიულობა ჭეშმარიტების კრიტერიუმებია.** კარგად გახსოვდეთ ეს. რა არის ჭეშმარიტება? ის, რაც უხრწნადი და მარადიულია. რა არის ოცნება? ის, რაც იწყება და სადღაც მთავრდება, ის, რაც მარადიულად ვერ გაგრძელდება. ასე რომ, ეძებეთ ეს მარგალიტი, რომელსაც ვერავინ წაგართმევთ, თვით სიკვდილიც კი. სიკვდილი სხეულს ჰკლავს, აზრები ქრება, მაგრამ თქვენ გაგრძელდებით და გაგრძელდებით დაუსრულებლად.

სიკვდილი მუდამ თქვენს გვერდით ხდება, მაგრამ არასდროს არ მოდის თქვენთან. ის ხდება თქვენ მეზობლად, პერიფერიაში, მაგრამ არასდროს არ ხდება ცენტრში. თქვენ არასოდეს მომკვდარხართ, თქვენ არ შეგიძლიათ სიკვდილი. მთები იშლებიან, ღრუბლები მოდიან და მიდიან, ცა კი კლავინდებურად უცვლელი თრება. თქვენც ზეცა ხართ. „მეს“ ბუნება სიერცეს ჰგავს: ცარიელია, უსასრულოდ ცარიელი და

უფორმო. მასში ყველაფერი ხდება, მაგრამ არაფერი ემართება. აი, რას გულისხმობს იესო:

„...ეძიებთ კი თქვენ უსაღო, უხრწნელ საუნჯეს,

რომელსაც ჟერც ჩრჩილი შეჭამს და ჟერც მატლი დახრავს?“

1974 წლის 27 აგვისტო
პუნა, ინდოეთი

საშბარი მერვე

მერვე შეგონება

იესომ დაინახა ჩვილი ბაშვები
და თავის მოწაფეებს უთხრა:
— ეს ჩვილი ბაშვები შეგლენ ცათა
სახუეველში!
მოწაფეებმა კითხეს:
— თუ გაეხდებით იხეთნი, როგორც ეს
ბაშვები,
შევალთ კი ჩვენ სახუეველში?
იესომ მიუგო:
— როდესაც ორნი გადააქცეთ ერთად
და როცა შინაგანი გადააქცეთ გარეგანად,
ხოლო გარეგანი — შინაგანად,
და ზემოთაი — ქვემოთად.
როდესაც ქალი და კაცი ერთნი გახდებიან
იხე, რომ კაცი აღარ იქნება კაცი,
ხოლო ქალი აღარ იქნება ქალი,
მაშინ თქვენ შეხვალთ ცათა სახუეველში.
(თომა 27)

ეს იესოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეგონებაა, რომელიც ძაძიებელმა უნდა აითვისოს. თუმცა იგი შესაცნობად ურთუ-ლესია, მაგრამ თუ ამ შეგონებას ჩასწვდებით, მეტი არაფერი-

ღა დაგჭირდებათ. თავდაპირველად უნდა მარტივ საკითხებში გაეერკვეთ, შემდეგ კი გაეცნოთ შეგონებას.

ადამიანი, რომელიც გონებით მოქმედებს, ვერ იქნება უცოდველი. მასში ვერც ღვთაებრივი გაღმოვა და ვერც თვითონ ამაღლდება ღმერთამდე. უცოდველობაა კარი ღმერთში შესასვლელად. ადამიანის გონება კი ანგარიშიანი, მოქნილი და მოხერხებულია. სწორედ ამიტომ რნებით ხელმოცარულნი და ხელიდან უშვებთ ცათა სასუფეველს. შეგიძლიათ მეუობას მიაღწიოთ თქვენი გონების საშუალებით ამქვეყნად, რადგან აქ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი მოხერხებულობა და სიშმაკე. თქვენ იღბლიანები, მარჯვენები და ანგარიშიანები უნდა იყოთ ამქვეყნის გზებზე, მაგრამ ღვთის საუფლოს კარი მოპირდაპირე მხარესაა.

იქ შესასვლელად არ გასჭრის თქვენი ანგარიშიანობა და სიშმაკე. ტვინი საერთოდ გამოუსადეგარი ხდება, რაიეოუ ის მხოლოდ გაიძვერობის, მოქნილობისა და ეშმაკობის მექანიზმია. მაშინ გული იქცევა თქვენი არსებობის წყაროდ. გული კი უცოდველია.

ასე რატომ გვინდა, რომ ჭკვიანები ვიყოთ? წარამარა რატომ ვიტყუებით? იმიტომ, რომ ეს ამ ცხოვრებაში ეროვნული გზაა წარმატებისაკენ. ამიტომ ის, ვინც ამქვეყნად წარმატებას აღწევს, ღვთის საუფლოში მარცხდება. თუ მზად ხართ ამქვეყნიური წარუმატებლობისა და გულისტკივილის გადასატანად, მაშინ თქვენ უკვე მზად ხართ ზეციურ სამყაროში შესასვლელად. როგორც კი შეიგნებთ, რომ ამ ცხოვრების წარმატება არაა თქვენთვის, თქვენი გონება მიმართულებას შეიცვლის და წარემართება შინაგანში. დაუყონებლივ მოხდება გარდასახვა.

იესო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა უცოდველობას. ხშირად ლაპარაკობდა ბავშვთა ხიბლზე, ყვავილთა უხადობაზე, ხიტების სიმშვენიერეზე. მაგრამ ასეთი სახის უცოდველობა უსარგებლოა, თქვენ ის უკვე დაკარგეთ, ამიტომ ნუ მოახდენთ მის იმიტირებას, ნუ შეეცდებით, გაიგოთ ის პირდაპირი მნიშვნელობით. ეს მხოლოდ სიმბოლოა.

თქვენთვის შეუძლებელია, რომ კვლავ ბავშვებად იქცეთ. ერთხელ თუ მიიღეთ გარკვეული ცოდნა, თავს ვეღარ დააღწევთ მას. შეგიძლიათ გადალახოთ ის, მაგრამ არა უკან სვლით, თქვენთვის უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს. შეგიძლიათ წახვიდეთ მხოლოდ წინ. როგორ შეიძლება დაკარგოთ ის, რაც იცით?

გახსოვდეთ — თქვენ შეგიძლიათ იოანაშოო ბავშვის როლი და ეს იქნება იმიტაცია, ეშმაკობა და არგარება. იესომ თქვა: „იყავით როგორიც არიან ბავშვები“, — და თქვენ ღაიწყეთ ამის პრაქტიკულად განხორციელება, მაგრამ იცოდეთ, ბავშვის როლს რომ თამაშობთ, ბავშვი არასოდეს თამაშობს. იგი უბრალოდ ბავშვია და არც კი იცის. სწორედ ამაშია მისი უცოდველობა, მაგრამ ის ვერ აცნობიერებს ამას. ხოლო თუ თამაშობთ, აცნობიერებთ კიდეც და მაშინ თქვენი ბავშობა ყალბი და მორვენებითი იქნება. შეგიძლიათ განაგრძოთ თამაში, მაგრამ ხელახლა ვერავინ გაქცევთ ნამდვილ ბავშვებად.

წმინდანი უბრუნდება ბავშობას, მაგრამ ეს სულ სხვანაირად ხდება. წმინდანი ცდილობს გონებისგან განზე განდგომას, რადგან მისი უსარგებლობა ესმის. იგი შესანიშნავად გრძნობს ამ ცხოვრებაში იღბლიანი კაცის ყოუის სრულ უაზრობას და უარს ამბობს წარმატებების მოპოვების მგზნებარე სურვილზე, სხვათა დანაგვრაზე, სხვებთან შედარებით მნიშვნელოვან და დიდებულ პიროვნებად ყოუნის ფიქრზე, თავისი „ეგოს“ რეალიზების სურვილზე და ყოველივე ამას სრულიად უსარგებლოდ თვლის.

მთავარია ჭეშმარიტი წვდომა და დაუყონებლივ გადადიხართ სხვა განზომილებაში. მაშინ ხელახლა მოდის ე.წ. მეორე ბავშვობა. ინდუსები ამ სტადიას „ორჯერ შობილს“, „დვიჯს“ უწოდებენ. თქვენ ხელახლა იბადებით, ოღონდ არა დედის საშოდან, არა ორი სხეულისაგან, ერთმანეთს რომ შეხვდნენ, არა ორობითობიდან, არამედ საკუთარი „მე“-დან.

ამაშია ქრისტეს ქალწულისაგან შობის აზრი. ეს არ უნდა გავიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით. ადამიანი ყველაფერს პირდაპირი მნიშვნელობით იგებს და ამიტომაც მარცხდება. ქალწულისაგან შობა ერთი მთლიანისაგან დაბადების ნიშანია. ქალწულის უმანკოება აბსოლუტურად სუფთაა, ის უხრწნელია, რამეთუ სხვა არ არის მასთან. როცა ოქვენივის არსებობს სხვა, ოქვენ კარგავთ უმანკოებას. სხვისი შეცნობა და სხვისი ნდომა გიბღალავთ სიწმინდეს. მხოლოდ მეორე დაბადება შეიძლება იყოს უმანკო. პირველ დაბადებაში სექსია გარეული, თუმცა სხვანაირად არც შეიძლება.

იესო დაიბადა ისევე, როგორც ნებისმიერი ადამიანი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ნანასახში ქრისტე იგივე მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც თქვენ. ყვავილობის დროს კი ის სულ სხვაა იმიტომ, რომ მოხდა მეორედ დაბადება. დაიბადა ახალი ადამიანი. მარიამისაგან ნაშობი იესო აღარ არსებობს, შემდგომში მან თვითონვე შვა თავისი თავი.

ესენების ძველ სექტაში ამბობენ, რომ როდესაც ადამიანი ტრანსფორმაციას გაივლის, იგი საკუთარი თავის მამა ხდება. ამ ნათქვამის აზრი ასეთია: როდესაც ვამბობთ, რომ იესოს არ ჰყავდა ხორციელი მამა, ეს იმას ნიშნავს, რომ იესო თავად იქცა საკუთარი თავის მამად. ეს აბსურდულად ჟღერს, მაგრამ ასეა, და აი რატომ:

მეორე დაბადება უბიწოა და ოქვენ კვლავ უბიწო ბავშვად იქცევით. ეს უმანკოება ბავშვურ უცოდველობაზე მაღლა დგას, რადგან ბავშვმა უნდა დაკარგოს თავისი სიწმინდე, რაც ბუნებისაგან ბოძებულია და ბავშვის დამსახურება არ არის. ბავშვი იზრდება და თანდათან კარგავს პირველყოფილ უმანკოებას. ბრძენი კი უბიწო რჩება და მისი უცოდველობის შერყვნა შეუძლებელია, რამეთუ ეს არის უმაღლესი წერტილი — ზრდის კრეშენდო*. ამის იქით ზრდა არ არსებობს.

ბავშვმა უნდა დაკარგოს სიწმინდე, უნდა შეიძინოს ცოდნა და გამოცდილება, ისწავლოს ცხოვრება, გახდეს ჭკვიანი და ყაირაოიანი. თუ თქვენ მთლიანად შეგიპყრობთ ანგარიშიანობის

მექანიზმი, მაშინ დარწმუნდით სექსიზმის, დუალიზმის შობილნი! და მაშინ ყოველთვის გექნებათ შინაგანი კონფლიქტი, ვინაიდან თქვენ ხართ ორი.

როდესაც თქვენ დედ-მამამ, ორმა სხეულმა დაგბადათ, თქვენ რწმენით ორი იმიტომ, რომ ორივე თქვენთანაა — კაცი მარტო კაცი არ არის, ის ქალიცაა, ქალი კი ქალთან ერთად კაციც არის, რამეთუ ორივე მათგანი ორი სხეულისაგან იშვა. მამაოქვენი არსებობას განაგრძობს თქვენში, ისევე როგორც დედაოქვენი, ვინაიდან ორივე შეხვდა ერთმანეთს თქვენს სხეულში და მათი ნაკადები შეერთდა. ამიტომ თქვენ ხართ ორი. თქვენშია ერთმანეთთან შეერთებული ორი უთითერთსაწინააღმდეგო პოლუსი, რაც გამბავთ და მუდმივად მიმდინარეობს შინაგანი კონფლიქტი. ვერასოდეს მიაღწევთ ასეთ მდგომარეობაში სიმშვიდესა და ბედნიერებას, თუნდაც რომ ეცადოთ, იპოვოთ ხერხები, ეს შეუძლებელია. თქვენ ხომ ორი ხართ. „რათა მდუმარებდეთ, აუცილებელია ერთიანობა, შესაბამისად თქვენ თავიდან უნდა დაიბადოთ“, — უთხრა იესომ ნიკოდიმს.

ნიკოდიმმა ჰკითხა: „რა უნდა გავაკეთო ამისათვის?“

„უკვე თავიდან უნდა დაიბადოთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება რამე მოხდეს ახლა კი, სანამ ასეთი ხართ, არაფერი მოხდება“, — მიუგო ქრისტემ.

მეც იგივეს გიმეორებთ — თქვენში არაფერი ხდება, სანამ ასეთნი ხართ, როგორებიც ახლა. ვიდრე ხელახლა არ იშობთ თავს, ვიდრე საკუთარი თავის მამად არ იქცევით, ვიდრე თქვენი დუალურობა არ გაქრება და ერთიანი არ გახდებით, არაფრის გაკეთება არ შეიძლება!

თქვენში ერთმანეთს შეხვედრილი ქალისა და მამაკაცის საწყისები შეკრულ წრედ იქცევა. ეს საწყისები ქრება, ერთმანეთს ანეიტრალებს და წარმოიშობა ერთიანობა, რომელიც არის უბიწოება.

აი, რას გულისხმობს იესო, როცა ამბობს: „იყავით, როგორც ბავშვები“. ნუ მიიღებთ ამ სიტყვებს პირდაპირი

მნიშვნელობით. მაგრამ რას გულისხმობს, როცა ამბობს „როგორც ბავშვები“? — ბავშვი ჩასახვიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში უსქესოა. ჰკითხეთ ბიოლოგებს და ისინი გიპასუხებენ. ბავშვის ჩანასახში მამაკაცისა და ქალური საწყისები ჯერ არ გაყოფილა, მაგრამ წონასწორობა მალე ირღვევა, დომინირებული ხდება ან ქალი ან მამაკაცი, განისაზღვრება ბავშვის სქესიც.

სქესის შეცვლა შეიძლება, რადგან სქესი გარეგნული მხარეა და შინაგან არსს არ მიეკუთვნება. იგი სხეულის ჰორმონალური და ფიზიოლოგიური მახასიათებელია. აი, რატომ შესწევს მედიცინას ძალა, რამდენიმე ინექციის საშუალებით ბავშვს სქესი შეუცვალოს, შინაგანი არსი სქესისაგან მთლად იმიჯნება.

დასაწყისში ბავშვი ეროიანია. შემდეგ ის იყოფა, მაგრამ სხეულს არც მამაკაცისა და არც ქალის არავითარი განსაკუთრებული თვისებები არ გააჩნია. ბავშვს ცნობიერების სიღრმეში ჯერ არ ესმის, რა არის სქესი და თვითონ რომელი სქესის წარმომადგენელია. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი შეგნებულ არსებად იქცევა და საკუთარ სქესზე უნდება წარმოდგენა. ბავშვი ეროიანობას კარგავს. ადამიანური არსება ქრება და ხდება იდენტიფიკაცია მამაკაცურ ან ქალურ საწყისთან. ეს გრძელდება მთელი ცხოვრების განმავლობაში და გამოდის, რომ თქვენ ვერასოდეს ვერ დაუბრუნდებით საწყისს, რადგან წრე არ არის შეკრული.

ბრძენი კი უბრუნდება საწყისს. წრე იკვრება. მისი გონებიდან პირველად ქრება სქესობრივი განსხვავება, შემდეგ სხეულიდან უკუაგდებს სქესობრივ ნიშნებს და ვიდრე მოკვდებოდეს, კვლავ ერთიანი ხდება. ბავშვისაგან განსხვავებით აქ ყველაფერი პირიქითაა. ეს მეორე ბავშვობაა. ამ დროს თქვენი უმანკოება ბევრად უფრო ფასეულია. ბავშვის უმანკოება ღარიბია, თითქოს რაღაც აკლია, რამეთუ მასში არ არის გამოცდილება.

ბრძენის უმანკოება კი შეძენაა. მან ცხოვრების ყველა გზა შეიცნო. მან გაივლო და განიცადა ყოველივე, რაც შეიძლება გამოსცადოს ადამიანმა. აღრე იგი სცოდავდა, არ გაანდა ზომიერების გრძნობა, არ იკლებდა სიამოვნებას. ყველანაირ უკიდურესობაში ვარდებოდა, მან ყველაფერი იცის, რისი მოცემაც ამ ცხოვრებას შეეძლო და ახლა გაუდგა მას. მისი უმანკოება ძალიან მდიდარია, იგი გაიოცდილებიაა აღსავსე. ბრძენმა შეიცნო ყველაფერი, რისი შეცნობაც შეიძლება და ვერაფერი შეუბღალავს საკუთარ სიწმინდეს, რამეთუ ყველა ზეგავლენა უკან მოიტოვა. თქვენ თუ მიაღწიეთ ამ სტადიას — თავდაპირველად იყავით ბავშვი, ბოლოს კვლავ ბავშვად იქეცით — თქვენი ცხოვრება ერთ მთლიან წრედ შეიკვრება. სწორედ ეს არის სრულყოფილება. თუ არ დაბრუნებიხართ საწყისს, თქვენი ცხოვრება არ არის დასრულებული. დასრულებლობა ტანჯვაა და სიმწარე, რასაც ბუდამ „დუკხა“ უწოდა. თუ არა ხართ დასრულებულნი, ტანჯვას განიცდით, თუ წრედ შეიკარით, თქვენ სრულყოფილები ბრძანდებით.

ბრძენი სრულყოფილი კვდება. აღარ სჭირდება ხელმეორედ დაბადება, რადგან გამოცდილების საჭყაროში დაბრუნება აღარ არის საჭირო. თქვენ კვდებით დასრულებლები, რის გამოც თქვენ ხელახლა უნდა დაიბადოთ. თქვენი არსება კვლავ ღაჟინებით მიისწრაფვის სრულყოფილებისაკენ და სანამ არ გახდებით ღასრულებულნი, იძულებულნი იქნებით, კიდევ და კიდევ განიცადოთ დაბადება და სიკვდილი. სწორედ ამას უწოდებენ ინდუსები „სანსარას — სიკეღილისა და სიცოცხლის ბორბალს“. ბრძენი კი თვითონ ხდება წრე და აღარ სჭირდება ეს ბორბალი.

მაგრამ რა მოსდის ჩვეულებრივ გონებას? მაშინაც კი, როცა სხეული სუსტდება, სქესი რჩება ბოლომდე. გონება განაგრძობს მოქმედებას და საფუძველში კვლავ დუალიზმია. ამიტომ ვიდრე სქესი არ გაქრება, არ იქნება ერთიანობა, „ბრაჰმა“. გახსოვდეთ — ადვაიტა, ბრაჰმა, ერთიანობა, ჰიპოთეზა, თეორია, დოქტრინა ან ფილოსოფიური მტკიცებანი კი

არ არის, რომელთა შესახებ შეიძლება კამათი, ეს სქესის ტრანსცენდენციაა*. ეს არის ძალიან ღრმა ბიოლოგიური ფენომენი, ეს ალქიმიაა, რადგან მიელ თქვენს სხეულს ტრანსფორმაცია სჭირდება.

ბაღში სკამზე სამი მოხუცი იჯდა. თავიანთ უბედურებაზე საუბრობდნენ, რადგან სხვა არაფერი ჰქონდათ სალაპარაკო.

ერთმა 73 წლის მოხუცმა თქვა: „ყური სულ უფრო და უფრო მაკლდება. ყურშიც რომ ჩამეცინონ, არ მესმის...“

78 წლისამ თქვა: „მე თვალთ დამაკლდა. ქერა და წითურს ველარ ვარჩევ ერთმანეთისაგან“.

ახლა ორივემ მესამე მოხუცს — ნასრედინს ჰკითხეს, შენ რა გჭირსო. 93 წლის ნასრედინმა მიუგო: „მე თქვენზე მეტად ვიტანჯები. გუშინ საღამოს ვისადილეთ და ცოტა დავლიეთ. შემდეგ ტახტზე მივწექი დასასვენებლად და ჩამეძინა. ნახევარ საათში გამელვიძა და ცოლთან შევედი საძინებელში, ისიც დაწოლას აპირებდა და ვუთხარი: „მოდი ერთად დავწვეთ და ცოტა წავიარშიყოთ?“ ცოლმა მიპასუხა: „როგორ! სულ რაღაც 20 წუთის წინ არ გავერთეთ?“ — და სევდამორეულმა ნასრედინმა დაამატა: „ჯენჯელმენებო, ჩემი პრობლემა ისაა, რომ მეხსიერება მღალატობს“.

სქესი თქვენი ცხოვრების ბოლომდე, სიკვდილის საზღვრებამდე გდევთ. შესაძლოა, ვერც კი ამჩნევდეთ და ფიქრობდეთ მასზე, მაგრამ ადამიანის გონება ტრანსცენდენტური თუ არ გახდა, მომაკვდავის უკანასკნელი ფიქრიც სექსს დაუკავშირდება.

საღამოს, როცა იძინებთ, დაიმახსოვრეთ ძილის წინ ის, რაზეც ფიქრობდით. დილით გაგიკვირდებათ, რამეთუ დილით პირველად ის აზრი გაგიელვებთ თავში. ან პირიქით მოიქეცით და იგივე შედეგს მიიღებთ, ვინაიდან ცხოვრება ციკლურია. პირველი იყო სექსი, ის იქნება უკანასკნელიც. თუ არ გადალახავთ მას, თქვენ მხოლოდ მსხვერპლი იქნებით და ვერ უპატრონებთ საკუთარ თავს.

თუ იცით, რა მოხდის მამაკაცს, სახრხობელაზე რომ ჰკიდებენ? მას მაშინვე ელვრება სპერმა. ის კვდება და სიკვდილამდე თესლს გამოჰყოფს. რატომ ხდება ასე?

სიცოცხლე ერთიანი წრეა. ის, რითაც შემოვიდა ადამიანი ამ ცხოვრებაში, იქცევა უკანასკნელად, რითაც ადამიანი ამ ცხოვრებიდან გადის.

ბრძენი არ იხშობს თავის თავში სექსს. ის გადააბიჯებს მას და მამაკაცური და ქალური ენერგია ერთიანდება. (სახშობა არ არის ტრანსცენდენცია, გახსოვდეთ — თუ რომელიმე გრძნობას ეწინააღმდეგებით, ის მაინც თქვენშია). **ბრძენი ახლა არც ქალია და არც კაცი.** სწორედ მათ უწოდა იესომ „ღვთის საჭურისნი“.

ეს აქტი ინდუსებს მხედველობაში, როდესაც შივას* არჰანარიშვარის სახით, ნახევრადკაცად და ნახევრადქალად გამოსახავენ. ინდუსები მას ყველაზე სრულყოფილ და უდიდეს ღმერთად — მაპადევად თვლიან და თქვენ თუ გრძნობთ თავს ნახევარკაც — ნახევარქალად, ეს ორი ნახევარი წარმოქმნის წრეს და ღუალურობა ერთიანობაში გადადის.

იესო ამ ერთიანობაზე, არდჰანარიშვარზე, ნახევრადკაც-ნახევრადქალ'ზე ლაპარაკობდა. როცა თქვენ აღარა ხართ არც ერთი და არც მეორე, მაშინ იწყება ახალი, მეორე ბავშვობა და თქვენ ორჯერ შობილი, დვიჯი ხართ. თქვენისთვის უცოდველობის ახალი სამყარო იხსნება.

ახლა იგავს დავუბრუნდეთ. იესომ ჩვილი ბავშვები დაინახა და თავის მოწაფეებს უთხრა:

„ეს ჩვილი ბავშვები შეესვლენ ცათა სასუფეველში“.

მოწაფეებმა ჰკითხეს:

„თუ გავხდებით ისეთნი, როგორც ეს ბავშვები, შევალთ კი ჩვენ სასუფეველში?“

მოწაფეები ყოველთვის სცდებიან, ვინაიდან ისინი ყველა ნათქვამს პირდაპირ აღიქვამენ, ეჭიდებიან სიტყვებსა და სიმბოლოებს მაშინ, როცა იესოს სიმბოლოები არაკონკრეტული, არამდგრადი და არამკაფიოა. ისინი მიგვანიშნებენ, მაგრამ მათ

არ ძალუძთ გვითხრან საიქმელი. ისინი სანუსხებელ თითს გვანან, რომელიც მიგვითითებს მთავარესე, მაგრამ მის შესახებ არ გვიამბობს არაფერს. მთავარე ჩვენ თვითონ უნდა დავინახოთ.

თუ იესო ამბობს: „ეს ჩვილი ბავშვები შევლენ ცათა სასუფეველში," გვგონია, რომ თუ იმ ბავშვებს დავემსგავსებით, ჩვენ შეგვეძლება ცათა სასუფევლის მიღწევა.

მოწაფეთა შეკითხვაზე იესო პასუხობს, რომ ეს ვერ უშველით.

იესომ უთხრა მათ: „როდესაც ორს გადააქცევთ ერთად
და როცა შინაგანს გადააქცევთ გარეგანად,
ხოლო გარეგანს — შინაგანად,
და ზემოთას — ქვემოთად,
როდესაც ქალი და კაცი ერთნი გახდებიან
ისე, რომ კაცი აღარ იქნება კაცი,
ხოლო ქალი აღარ იქნება ქალი,
მაშინ თქვენ შეხვალთ ცათა სასუფეველში".

შეეცადეთ, მის ყოველ სიტყვას ჩასწვდეთ.

„...როდესაც ორს გადააქცევთ ერთად..."

ეს არის ძირითადი პრობლემა. ოდესმე თუ დაკვირვებიხართ, მზის სხივი როგორ ირეკლება შვიდფერ ლინზაში, მიხვდებით რა არის ცისარტყელა. წვიმიან ამინდში ჰაერი გაჟღენთილია ორთქლით და წვიმის წვეთებით, რომელიც პრიზმის თვისებებით ხასიათდება. მზის სხივი გადის მათში და შვიდ ფერად გარდაიქმნება. მზის შუქი თეთრია, ქაიქათა თეთრი, მაგრამ პრიზმის საშუალებით ხდება მისი გაშვიდება. ჩვენი გონება პრიზმის პრინციპს იყენებს — სამყარო ერთიანია, ყოფიერება აბსოლუტური სითეთრეა, მაგრამ გონებაში გარდატეხა ხდება თუ არა იგი ცისარტყელისებურად მრავალფეროვნდება და იძენს მრავალსახეობას. თუ ყურადღებით იქნებით, დაინახავთ შვიდ იდეას ყოველ აზრობრივ კონცეფციაზე. გონება ყოველ აზრს პრიზმასავით შვიდ ფერში წარმოგვიდგენს. ამიტომ შეიძლება კვირაც 7 დღისაგან.

მაპაჳირი იოვალისწინებს გონების ამ თვისებას და თავის ლოგიკას შვიდ საფეხურად ჰყოფს, რასაც „ლოგიკის შვიდი ასპექტი“ ეწოდება. მაპაჳირი ნებისმიერ შეკითხვაზე შვიდ პასუხს გაძლევთ. ეს თქვენ გაბნევთ. ამ შვიდი პასუხის გამოა იგი გაუგებარი, მაგრამ მაპაჳირი აბსოლუტურად მართალია, რადგან ამბობს: „თქვენ მეკითხებით გონების მეშვეობით, ე.ი. მეც გონებით უნდა გიპასუხოთ, გონება კი ყოველთვის შვიდად ყოფს“. და შვიდივე პასუხი ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ჭეშმარიტება კი ერთია.

როდესაც ამბობთ შვიდ სხვადასხვა რამეს, აუცილებელად ვარღვებით წინააღმდეგობაში. თუ ჰკითხავთ მაპაჳირს, არსებობს თუ არა ღმერთი, ის გიპასუხებთ: „დიახ, ღმერთი არსებობს“. აგრეთვე: „არა, ღმერთი არ არის“, შემდეგ გეტყვით: „დიახ და არ. ღმერთი არსებობს და არც არსებობს“, შემდეგ „არც დიახ და არც არა“... და ა.შ. შვიდ პასუხამდე.

გონება აზრებს ყოფს, როგორც პრიზმა. თუ იყურებით პრიზმაში, ყველაფერი შვიდი ხდება. თუ განსმენვალავად უმზერთ რამეს, შვიდად გეჩვენებათ, ხოლო თუ, არც ისე დაკვირვებიხართ, ორად. ჩვეულებრივი ადამიანი გიპასუხებთ, ღმერთზე რომ ჰკითხავთ, რომ ღმერთი არსებობს ან არ არსებობს. მაგრამ იგი კარგავს ხუთ პასუხს, რადგან საკმაოდ ყურადღებიანი არ არის.

სხვანაირად რომ ვოქვათ, გვაქვს შვიდი შესაძლებლობა და არა ორი; ორი მრავლობითის დასაწყისია, შვიდი კი — მრავლობითის დასასრული.

იესომ თქვა: „როცა ორს გადააქცევთ ერთად...“

იესო უბრალო ხალხს ესაუბრება, მაპაჳირი კი მცირერიცხოვან რჩეულო, დიდ ლოგიკოსებსა და სქოლასტებს მიმართავს. ის ლაპარაკობდა 7-ის შესახებ, იესო — 2-ის შესახებ, მაგრამ იგივეს გულისხმობდა.

როგორ გაქრება ორი? რა უნდა გააკეთოო? გონებით ვერაფერს შესძლებთ, რადგან თუ არის გონება, ორი რჩება. როგორ გაქრება ცისარტყელა? მოაშორეთ წვიმით გაჟღენთილი

პაერი და ცისარტყელაც აღარ გამოჩნდება. ნუ იყურებით გონების პრიზმაში და მრავლობითის სამყარო გაქრება.

ნუ გაიხსენებთ გონებით. ბავშვები სამყაროს გონებრივი გამოცდის გარეშე უყურებენ, რადგან გონების განვითარებას დრო სჭირდება. ჯერ ჩნდება სხეული, შემდეგ ყალიბდება გონება და ამისათვის რეალურად რამდენიმე წელია საჭირო. ახლადდაბადებული ბავშვისათვის სამყარო ერთიანია.

ჟან პიაჟე * იკვლევდა ბავშვის გონებრივ განვითარებას და მრავალი საინტერესო რამ აღმოაჩინა: „ბავშვი თავიდან ვერ განასხვავებს ნივთებსა და საკუთარ სხეულს. ამიტომ მას შეუძლია ფეხი პირში ჩაიდოს და თითი მოწოვოს. ბავშვს ასრად არ მოსდის, რომ ეს საკუთარი თითია და მისი წოვა უსარგებლოა. მას თითი საწოვარა ჰგონია, ბავშვს შეუძლია დაიწყოს განავლის ჭამაც და ვერაფერს იგრძნობს, რამეთუ მისთვის არავითარი განსხვავება არ არსებობს...“

ამის გამო საუკუნეების მარძილზე ინდოეთში უამრავი ადამიანი ცდილობდა ბავშვის იმიტაცია მოეხდინა: ისინი ჭამდნენ საკუთარ განავალს. ბრიყვები კი პარამახანსას, ანუ „ჭეშმარიტების მიღწეულ“ ადამიანებს უწოდებდნენ, ეს ხალხი უბრალოდ თამაშობდა ბავშვობანას, არაფერს ანსხვავებდა ერთმანეთისაგან, მაგრამ ქმნიდნენ საკუთარ „ეგოს“! სხვანაირად შეუძლებელია. ისინი ანსხვავებდნენ, მაგრამ საკუთარ თავს აიძულებდნენ არ განესხვავებინათ.

ამას არ აკეთებდნენ ბუდა, იესო, კრიშნა, მაგრამ ე.წ. პარამახანსებს დღესაც შეიძლება წააწყდეთ.

თუ თქვენ აიძულებთ საკუთარ თავს, არაფერი არ განასხვაოს ერთმანეთისაგან, მაინც ხდება განსხვავება, რამეთუ გონება რჩება ცენტრად და სინამდვილეში არა ხართ უცოდველნი.

ბავშვს აზროვნება თანდათანობით უყალიბდება. საჭიროა გავიდეს რამდენიმე წელი, ვიდრე ბავშვი დაიწყებს გაყოფას. როცა იგი სხვა ბავშვებს ხელიდან სათამაშოს გამოსტაცებს, თქვენ ეუბნებით: „ნუ იქცევი ასე! ეს შენი სათამაშო არ

არის!“ თქვენ ყოფა ნივთებს კუთვნილების მიხედვით, რადგან გწამთ კერძო საკუთრება.

ბავშვისათვის სათამაშო სათამაშოა და სულ ერთია, ვის ეკუთვნის. მასში „შენი“ და „ჩემი“ ჯერ კიდევ არაა მკვეთრად გაყოფილი. იგი სრულიად ვერ განასხვავებს სიზმარსა და ცხადს. ბავშვი შეიძლება დილით აჩივლეს იმის გამო, რომ სიზმარში მას ჰქონდა მშვენიერი სათამაშო: „სად გაქრა იგი?“ ის გულუბრყვილოა, ვინაიდან ჯერ ვერაფერს ანსხვავებს.

ბრძენთან უცოდველობა მოდის მაშინ, როდესაც იგი ალარ ახლენს განსხვავებას. ისე კი არა, რომ ვერ ხედავდეს ამა თუ იმ ფერს, ნივთს, თვისებას თუ სხვა, არა ისე, რომ პურს ქვისაგან ვერ არჩევდეს, არამედ უბრალოდ მისთვის გონება უკვე აღარაფერს ნიშნავს და გვერდით წევს მას. ბრძენი **ახლა ხედვით ცხოვრობს და არა გონებით.** დარშანი ყურებას ნიშნავს და არა ფიქრს. ფილოსოფია მისი არასწორი თარგმანია, რადგან იგი აზროვნებას გულისხმობს, რაც სწორედ დარშანის საწინააღმდეგოა.

დარშანსა და ფილოსოფიას საერთო არაფერი გაანჩიათ. დარშანი ნიშნავს ხედვას, ფილოსოფია კი — აზროვნებას. ამასთან დარშანი ბავშვის თვალებით იყურება, როდესაც არაფრის გაყოფა და განსხვავება არ ხდება.

„...როდესაც შინაგანს გადააქცევთ გარეგანად...“ — რადგან „შინაგანი“ და „გარეგანი“ — ესეც დაყოფაა. როდესაც თქვენ უკუაგდებთ გარეგანს, შინაგანი ავტომატურად იხსნება. თუ არ არსებობს გარეგანი, არც შინაგანი იარსებებს. ეს შედარებითი მცნებებია: შინაგანი არსებობს მხოლოდ გარეგანის საწინააღმდეგოდ და პირიქით. როცა თქვენთვის არც „შინაგანი“ იქნება და არც „გარეგანი“, ერთიანი ხდებით. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი თქვენ გაყოფილი დარჩებით.

აი, რატომ ამბობენ ძენის ბერები, რომ თვით სამყაროა ღმერთი; რომ ჩვეულებრივი ცხოვრებაა რელიგია, რომ ყველაფერი მშვენიერია, როგორც არის, რომ არაფრის შეცვლა არ არის საჭირო, რადგან შეცვლის ნებისმიერი მცდელობა

გაორებას წარმოშობს; ის, რაც არის, თავისთავად შეიცვლება ახლით.

ძენის ბერთა თქმით, ეს სამყარო არის ღმერთი. იგი ვერ იქნება სადღაც, რადგან ეს „სადღაც“ გაორებას წარმოშობს. ღმერთი არ არის შემქმნელი, თქვენ კი — ქმნილებები. თქვენშია თვითონ ღმერთი და ჭეშმარიტი ღვთაება.

გონება ყოველთვის გარისხვაებს ყველაფერს ერთიანეთისაგან, და რაც უფრო მეტია თქვენში ეს დაყოფა, მით უფრო ჭკვიანებად ითვლებით. გონებას მისტიკოსები სულელებად მიაჩნია, რადგან მათ არ გააჩნიათ ზუსტი საზღვრები. აი, რატომ უწოდებენ რელიგიას „მისტიციზმს“, რაშიც გულისხმობენ არა მკაფიო რეალობას, არამედ რაღაც ბუნდოვან სიზმარს.

ლოგიკოსების აზრით, ძენის მისტიკოსი ბერები სულელები არიან, რადგან ისინი არ ყოფენ და არ განასხვაებენ. თქვენი გონება კი ყოველთვის გაყოფითაა დაკავებული, თქვენთვის საჭიროა იცოდეთ, რა რა არის! და ლოგიკოსების აზრით, ასეთი აზროვნებით უახლოვდებით რეალობას. მეცნიერებამ, ყოფდა რა ყველაფერს თანდათანობით, მიაღწია ატომამდე.

რელიგია ერთიანობას გაყოფით კი არა, შეერთებით აღწევს, საზღვრების მოშორებით და არა გავლებით. მეცნიერებამ აღმოაჩინა უმცირესი ნაწილაკი — ატომი, ხოლო რელიგიამ უსაზღვრო ერთიანობა მოიპოვა. მეცნიერება იყენებდა გონებას, რელიგია კი გონების კარნახს გაიორიცხავდა. ამ დროს ქრება ყოველგვარი საზღვარი, ყოველი საგანი რაღაც ერთიანად იქცევა, ხეები ცას შეერწყმიან, ცა — ხეებს, დედამიწა ხვდება ცას, ცა ეშვება დედამიწაზე.

თუ უფრო მეტად ჩაუღრმავდებით ცხოვრებას, აღმოაჩენთ, რომ მისტიკოსები მართალნი არიან, ყველა საზღვარი ადამიანის მიერაა შექმნილი. სინამდვილეში ისინი არ არსებობენ. მართალია, ეს საზღვრები ზოგიერთ შემთხვევაში გვეხმარება, მაგრამ უმეტესად ხელს გვიშლის.

შეეცადეთ, იპოვნოთ გამყოფი საზღვარი — წინა კვირას იყავით უბედური. შეგიძლიათ, ზუსტად აღნიშნოთ დრო, როცა

უბედურება გეწვიათ? არა, თქვენ ამას ვერ შესძლებთ! თუ ჩაეძიებით, აღმოაჩენთ, რომ ყოველივე ბუნდოვანია.

შემდეგ თქვენ გახდით ბედნიერნი. დაიჭირეთ ის ღრო, როცა სიხარული გესტუმრათ. თქვენ შესაძლოა შეცდით, რადგან არა ხართ დარწმუნებულნი წარსულში, რადგან ახლახან იყავით უბედურნი, რამდენიმე ხნის შემდეგ კი ბედნიერად გრძნობთ თავს, რამეთუ გონებას არ ძალუძს ერთ მდგომარეობაში დარჩეს. თქვენ ვერ შეცვლით ამას. რომც მოინდომოთ უბედურად დარჩენა, ვერ შესძლებთ.

რას ნიშნავს ეს? ბედნიერება და უბედურება არ არის სხვადასხვა რამ. აი, რატომ არ შეგიძლიათ მათი გაყოფა. ბედნიერება და უბედურება ერთმანეთს ერწყმიან და მათი საზღვრები იშლება. შეიძლება იყოთ ბედნიერები უბედურების გარეშე?

თუ სცდით ამას, სცდით შეუძლებელს. განაგდეთ ეს აზრი. ეს ძნელია, რადგან ბედნიერება და უბედურება უფრო პოეტური მცნებებია, ჯანსრთელობა და ავადმყოფობა კი — ფიზიოლოგიური. ზუსტად როდის გახდით ავად და როდის გამოჯანსრთელდით? ჯანსრთელობა გადადის ავადმყოფობაში, ავადმყოფობა — ჯანსრთელობაში, სიყვარული იქცევა სიძულვილად, სიძულვილი სიყვარულში გადაიზრდება, განრისხება იქცევა სიბრალულად, სიბრალული — განრისხებად. შესაძლოა, ამის მიხვედრა არ არის სასიამოვნო, მაგრამ მისტიკოსები მართალს ფიქრობენ.

თქვენ იყავით ბავშვი. როდის გახდით ყმაწვილი? თქვენ ხართ ახალგაზრდა. ოდესმე თქვენ მოხუცდებით. თვალყური ადევნეთ და ჩაინიშნეთ, როდის გეწვევათ სიბერე. და თუ ამას ვერ გაიგებთ, შესძლებთ განასხვაოთ, ცოცხალი ხართ თუ უკვე გარდაიცვალეთ? სწავლულებმაც კი არ იციან, როდის გამოაცხადონ ადამიანი გარდაცვლილად. მაშინ, როცა ის აღარ სუნთქავს? მაგრამ არიან იოგები, რომლებმაც სამეცნიერო ლაბორატორიებში მოახდინეს დემონსტრირება, რომ შეუძლიათ არ ისუნთქონ ათი წუთის განმავლობაში. ამგვარად, სიკვდილის

კრიტერიუმად არ გამოდგება სუნთქვის შეწყვეტა. შეიძლება კაცმა საბოლოოდ დაკარგოს სუნთქვის უნარი, მაგრამ ეს არ არის კრიტერიუმი, რადგან უკვე დაამტკიცეს, თუ როგორ შეიძლება არ ისუნთქო 10 წუთის განმავლობაში. ასეთი ადამიანი შეიძლება იყოს იოგი. მას იქნებ აღარ მოუნდეს უკან დაბრუნება, მაგრამ თქვენ არა გაქვთ უფლება გამოაცხადოთ, რომ ის მოკვდა.

ასე რომ, თქვენ შეგიძლიათ სიკვდილის კონსტანტაცია, მაგრამ ამის დასტური მიცვალებულმაც უნდა მოგვცეს. როდის მოკვდა ადამიანი სინამდვილეში? როდის წყდება მისი გულისცემა და ტვინის მოქმედება? ამჟამად ლაბორატორიებში მუშაობენ იმაზე, თუ როგორ იმოქმედოს ტვინმა უსხეულოდ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ასეთ ტვინს აქვს იგივე რიტმი — იღვიძებს, იძინებს, ფხიზლობს, ხანდახან იძლევა სიგრძალს, რომ გაინტისხებულია, აფორიაქებული ან აღგზნებულია, ზოგჯერ კი — წყნარდება. ასეთი ტვინი ვერ იქნება დარწმუნებული, რომ უსხეულოდ არსებობს, მაგრამ განა ის მკვდარია? ასეთი ტვინი ხომ ნორმალურად ფუნქციონირებს!

მეორე მსოფლიო ომის დროს რუსეთში ტარდებოდა ასეთი ექსპერიმენტი და ერთხელ ექვსი ადამიანი გადარჩა. არადა, ისინი უკვე მკვდრებად ჩათვალეს გულის უეცრად გაჩერების გამო, მაგრამ მათ გადაუსხეს სისხლი და გააცოცხლეს. რა მოხდა? უხეშად რომ ვთქვათ, ისინი შეაკეთეს. კი არსებობს რეალურად სიცოცხლისა და სიკვდილის საზღვარი? ისინი განუყოფელნი, ერთიანნი არიან.

მისტიკოსები ამბობენ, რომ გაყოფა კარგია უტილიტარული მიზნებით, მაგრამ რეალურობა განუყოფელია. როგორ უნდა შევიცნოთ ეს განუყოფელი რეალობა? უნდა მოვიშოროთ ის მექანიზმი, რომელიც ყოფს და ანსხვავებს ერთმანეთს. აი, რა არის მედიტაცია. **უყურეთ გონების გარეშე! იყავით შეგნებულნი გონების გარეშე!**

დააკვირდით! მაგრამ აზრებს ნუ მისცემთ ნებას, ღალგან ეკრანი თქვენსა და სამყაროს შორის, მაშინ მზე მთელი ძალით გამოანათებს და სამყაროც ერთიანი გახდება.

„...როდესაც კაცი და ქალი ერთნი გახდებიან,
ისე, რომ კაცი აღარ იქნება კაცი,
ხოლო ქალი აღარ იქნება ქალი,
მაშინ თქვენ შეხვალთ ცათა სასუფეველში“.

მამაკაცსა და ქალს შორის უდიდესი განსხვავებაა. შეიძლება, დაივიწყოთ რომელიმე პიროვნების სახელი, რელიგია, სახე, მაგრამ არასოდეს დაგავიწყდეთ მისი სქესი. ეს არის დიდი იმპულსი, რომელიც რჩება ნეცნს მეხსიერებაში გაყოფის დროს.

თქვენ 20 წლის წინ ვიღაც გაიცანით. არაფერიღა გახსოვთ მის შესახებ, არც სახელი, არც სახე. მაგრამ აუცილებლად გემახსოვრებათ, კაცი იყო თუ ქალი, რადგან ეს იჩენდება თქვენს გონებაში, ეს ტოვებს ღრმა კვალს, რადგან პირველი, რასაც ამჩნევთ და ბოლოს რასაც იგიწყებთ, არის სქესი.

შესაძლოა, თქვენ უყურადღებოდ იყოთ, მაგრამ როდესაც შეხედავთ პიროვნებას, პირველადვე მისი სქესი აღგებეჭდებათ გონებაში. თქვენ იმის მიხედვით იქცევით, ქალი დგას თქვენს წინაშე თუ კაცი.

დღეს ეს კარგად იციან მაღაზიის მფლობელებმა. ამიტომ გამყიდველ მამაკაცებს ქალებით ცვლიან. ეს ასეც უნდა იყოს — თუ მყიდველი კაცია, მაშინ უკეთესია გამყიდველი იყოს ქალი, რადგან მყიდველი უარს ვერ ეტყვის მას საქონლის შესყიდვაზე, როგორც მამაკაცს ეტყოლა. თქვენ ყიდულობთ ქალს და არა რომელიმე საქონელს!

ყველანაირი რეკლამა ასეა. დასაბუთებულად თუ დაუსაბუთებლად, დაკავშირებულია თუ არა რეკლამის საგანთან, რას ყიდულობთ, არა აქვს მნიშვნელობა — ავტომობილს, ქურქს, კოსტუმს თუ სხვა რამეს, თქვენ მათ გვერდით ღებულობთ შიშველ ქალს. თუ არ იყიდება ავტომობილი, იგი ქალის

საშუალებით გაიყოლება. ყოლუსობენ და საფასურს იხდიან სქესში. ღირსებანი ყველაფერი ზედაპირულია.

სულის სიღრმეში ოქვენ ყველაფერს სექსს უღებთ საფუძვლად. იესო ამბობს, რომ ოქვენ ვერ იქნებით უცოდველნი, თუ გექნებათ სექსის მოლოდინი, რადგან მაშინ იყოფით, თუ მამაკაცი ხართ, ქალს ეძებთ, თუ ქალი, მაშინ მამაკაცს. ოქვენი შეფასება გარეგნული ნიშნით ხდება. ის ვერ გახდება შინაგანი. ვერ იმოძრავებთ სიღრმეში, ვერ იქნებით მედიტაციურნი. ქალი შეგაცბუნებთ, თუ წინააღმდეგობას გაუწევთ; თუ დახუჭავთ თვალებს, ის უფრო მშვენიერი გახდება.

როგორ უნდა გადააბიჯოთ ამ დუალურობას? ამისათვის ბევრი მეთოდი არსებობს. მათ შორის უმეტესობა ეშმაკობაა. ამბობენ: „იფიქრე ყოველ ქალზე, როგორც ღედაზე", მაგრამ აქ არ არის დიდი სხვაობა, ეს ფარდია, „იფიქრე ყოველ ქალზე, როგორც დაზე",— აქაც არ არის სხვაობა, რადგან ქალი ქალად რჩება, თქვენ კი — კაცად. სიღრმისეული ძიება გრძელდება და ეს ძიება იმდენად ბიოლოგიურია, რომ თქვენი ცნობიერების მილმა მიმდინარეობს. დააკვირდით!

თქვენ ზიხართ ოთახში და შემოდის ქალი. დააკვირდით, რა გემართებათ. უცბად თქვენ სხვა აღმიანი ხდებით! თუ ის ლამაზია, უფრო მეტად იცვლებით. თქვენ აღარა ხართ, არის მხოლოდ მამაკაცის სასქესო ჰორმონები, ისინი იწყებენ მოქმედებას და თქვენ გაინზე გწევენ. თქვენი შეგრება იკარგება და მთვრალივით იქცევით.

ჩვენ ღღემდე ვერ გვიპოვნია სექსზე ძლიერი ალკოჰოლი, უფრო ძლიერი ნარკოტიკი. რამეთუ ის დაუყოვნებლივ გიცვლით სახეს. თუ ხართ სექსუალურები, ყველაფერს სხვა სახე აქვს და სხვანაირი განათება, თქვენ სხვა განზომილებაში ცხოვრობთ.

როცა თქვენს ცხოვრებაში არ არის სექსი, ზედაპირულ ცხოვრებას უბრუნდებით და ყველაფრის კეთება გეზარებათ. მაგრამ თუ თქვენს ცხოვრებაში კვლავ შემოდის ქალი ან მამაკაცი, მაშინვე რომანტიკა და პოეზია ჩნდება.

რა ხდება? ეს დუალურობა საშუალებას არ გაძლევთ, დაინახოთ რეალური სამყარო, რეალობა კი ღვთიურია. ეს არ არის არც ბედნიერება და არც უბედურება. რეალობა განზეა მათგან. იგი არც აღგზნებაა და არც სიმშვიდე, არც შუქია და არც ჩრდილი, ის ყველაფრის გარეშეა.

როდესაც გაქრება ყოველგვარი გაორება, მაშინ გახდებით ღვთაებრივი. ინდუსები ამას „ანანდას“ უწოდებენ, რაც „გაორების გარეშე ყოფნას“ ნიშნავს. თქვენ ვერ იტყვით, რომ ბრძენი ბედნიერია, ბედნიერებას ხომ უბედურება მოსდევს. ვერც იმას იტყვით, რომ იგი უბედურია. ბრძენი აღსავსეა ნეტარებით, აღემატება დუალურობას. ბრძენი მიწაზე მოძრაობს, მისთვის არც მთაა და არც ღაბლობი, არც აღმაფრთი და არც დაღმაფრთი, რადგან „ზემოთ“ და „ქვემოთ“ არსებობს, როგორც დუალურობა. იესო ამბობს, რომ თუ ზემოთ და ქვემოთ არაფერი არ არის — არც აღმართი და არც დაღმაფრთი, როცა არ არის ორი, მაშინ თქვენ ვერ ამოირჩევთ; მაშინ უბრალოდ იცხოვრებთ და ეს იქნება არსებობა ერთ დონეზე. აქ არ არის ტალღები, ოკეანე აბსოლუტურად შვიდია. არაფერი მოძრაობს ზემოთ და ქვემოთ. ნებისმიერი ღელვა არსებობს დუალურობის გამო, სექსი კი დუალურობის საფუძველია.

თქვენ შეგიძლიათ ადვილად გათავისუფლდეთ ყველაფრისაგან, მაგრამ მთავარია სექსი მოიშოროთ თავიდან, ეს კი ძნელი საქმეა, რადგან იგი თქვენი სხეულის ყოველ უჯრედშია, თქვენი ყოფის ყოველ მომენტში, ვინაიდან თქვენ სექსუალური ქმნილება ხართ. თქვენ ასეთი დაიბადეთ. აი, რატომ ამბობს იესო: „სანამ თავიდან არ დაიბადებით, ვერაფერი ვერ გიშველით!“.

და სანამ ხართ ისეთები, როგორებიც ხართ, თქვენ უბედურები იქნებით.

„...როდესაც ქალი და კაცი ერთი იქნებიან
ისე, რომ კაცი აღარ იქნება კაცი
და ქალი აღარ იქნება ქალი,
მაშინ თქვენ შეხვალთ ცათა სასუფეველში...“

მაშ, როგორ მოვიქცეთ? საჭიროა შინაგანი წრის შეკვრა. იესო არ მიგვითითებს, ზუსტად რა უნდა გავაკეთოთ, რადგან ამ საიდუმლოს თქმა აშკარად არ შეიძლება. ეს მხოლოდ მოწაფეებმა უნდა გაიგონ, რადგან მხოლოდ სიტყვებით — „გახდით ერთიანი!“ ვერავინ მიაღწევს ერთიანობას. მხოლოდ იმის თქმით, რომ კაცი ქალად უნდა იქცეს და პირიქით, ვერავინ გამოლიანდება. იესოს ეს საიდუმლოდ უნდა შეენახა. მას მოწაფეებისათვის უნდა მიეცა ამის გასაღები, რადგან ულიდესი საიდუმლოებები, რომლებსაც თქვენი ეროიანად ქცევის ძალა შესწევთ, ყველაფერთან ერთად საშიშიცაა. თუ შეცდებით, თქვენ ჯკუიდან შეიშლებით. ამაშია მთელი პრობლემა და შიში. ჩვეულებრივ, ახლანდელი სახით, თქვენ გაყოფილი არსება ხართ. თქვენი მამაკაცური ენერგია გარეთ ეძებს ქალურ ენერგიას, ან პირიქით. ეს არის ნორმალური ადამიანური არსებობა. მაგრამ თუ გახდებით ერთიანი, ამის ტრანსფორმაცია ხდება ისე, რომ თქვენი ენერგია საწინააღმდეგო სქესის ენერგიის ძებნას დაიწყებს არა გარეთ, არამედ თქვენს შიგნით. თქვენში კაცი ცდილობს თქვენშივე იპოვნოს ქალი, რაც ძალიან საშიშია, რადგან ბუნება არ არის მზად ასეთი დარტყმისათვის.

ბუნებამ მოგცათ ქალთან ან მამაკაცთან შესახვედრად ბიძგი და იმის ცდა, რომ ეს მოხდეს თქვენს შიგნით, ბუნების საწინააღმდეგოა. გასაღები დელიკატურად უნდა გამოიყენოთ: ეს შეიძლება მხოლოდ იმ ოსტატმა გააკეთოს, რომელმაც უკვე გაიარა გზა. აი, რატომ არ შეიძლება რელიგიის ღრმა საიდუმლეობათა წერილობით გადაცემა. მათი გადაცემა მხოლოდ ზიარებითაა შესაძლებელი.

მე თქვენ მოგცემთ რამდენიმე მინიშნებას, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ კარგად დაიმახსოვრეთ — თუ გსურთ განახორციელოთ ეს საიდუმლოებანი, ფრთხილად იყავით და ნუ დაიბნევით, თორემ შესაძლოა საქმე ცუდად წავიდეს, მაშინ უმჯობესია იყოთ ჩვეულებრივი ადამიანები, რადგან ბევრი რელიგიური ადამიანი გახდა შეშლილი.

აი, რაშია საქმე: თქვენ გაქვთ გასაღები, მაგრამ არ იცით, როგორ გამოიყენოთ. ამიტომ შესაძლოა, არასწორად მოარგოთ იგი კარს და საკეტი გაგიფუჭდეთ. საკეტის შეცვლა კი ძალიან გაგიჭირდებათ.

ამ მეთოდების განხორციელება მხოლოდ ოსტატის ხელმძღვანელობითაა შესაძლებელი. ოსტატი გამოგიმეობთ უნდა აღვნიშნო თვალყურს თქვენს მღვიმარეობას. მე თქვენ რამდენიმე რჩევას მოგცემთ იმიტომ, რომ მე აქა ვარ!

პირველი: როდესაც ქალთან ან მამაკაცთან სქესობრივ აქტს ასრულებთ, ეს არის საჭირო მომენტი, რათა შეხედოთ შინაგან ქალს ან მამაკაცს. ხაზგასმით ეს აქტი თვალდახუჭულმა და აქციეთ ეს მედიტაციად. გარეთ მყოფი ქალი (მამაკაცი) ყოველთვის დაეხმარება შინაგან ქალს (მამაკაცს) გამოღვიძებაში. თანაც ამ პროცესში თქვენი შინაგანი ქალური და მამაკაცური ენერგია პიკს აღწევს. ორგაზმი თქვენსა და შინაგან ქალს (მამაკაცს) შორის ხდება.

გაიცნობიერეთ, რომ თქვენში ენერგიები ხვდებიან ერთიანეთს. ამ დროს ორგაზმი მიეღება მთელ სხეულს და არ შემოიფარგლება მხოლოდ სექსუალური ცენტრით. თუ სექსუალური ცენტრით შეიზღუდება, ის იქნება უბრალო მასტურბაცია და სხვა არაფერი. ორგაზმი ნიშნავს იმას, რომ მთელი სხეული, თქვენი ყოველი უჯრედი განიცდის პულსაციას ახალ ცხოვრებაში, ახალი ენერგიით, რადგან შეხვედრისას გამოიყოფა ძლიერი ენერგია. შეხვედრა ხდება შიგნით, მაგრამ თუ გარეთ იყურებით, თქვენ ყველაფერს დაკარგავთ.

გარეგანი ქალი (მამაკაცი) შინაგანის წარმომადგენელია მხოლოდ. როცა შეგიყვარდებათ ქალი (მამაკაცი), შეგიყვარდებათ მხოლოდ იმიტომ, რომ რალაცნაირად შეესაბამება შინაგანს. აი, რატომ არ შეგიძლიათ აღიაროთ, რატომ გიყვართ ეს ქალი (მამაკაცი).

თქვენ თქვენში ატარებთ ქალს (მამაკაცს). ნებისმიერი ქალი (მამაკაცი), რომელსაც თქვენს შინაგან ქალს (მამაკაცს) შეესატყვისება, შეგიყვარდებათ. ამ სიყვარულს თქვენ როდი

ირნევთ. ეს რაღაც არაცნობიერია. ამ ქალში (მამაკაცში) თქვენ დაინახეთ გამობრწყინება და უეცრად გრძნობთ, რომ ის სწორედ ის არის, ვისაც ეძებდით.

სხვებისათვის ეს ქალი (მამაკაცი) არაფერს წარმოადგენს და არის ხალხი, რომ სძულთ იგი, ვერ ამჩნევენ მას და თქვენც დაგცინებენ, როგორ შეგიყვარდათო. მაგრამ ეს ქალი (მამაკაცი) რაღაცნაირად, შეესაბამება შინაგანს. აი, რატომაა სიყვარული ირაციონალური; იგი მოდის და თქვენ ვერაფერს ვერ მოუხერხებთ.

როდესაც ქალი (მამაკაცი) გიყვართ, შინაგანი ენერგია აღწევს პიკს და იქცევა კრეშენდოდ. ნუ იყურებით ამ დროს გარეთ, თორემ რაღაც მშვენიერსა და იდუმალს დაკარგავთ. თქვენ იქცევით წრედ. თქვენი მამაკაცური და ქალური საწყისები ერთმანეთს ხვდებიან, თქვენი იქცევით არდაბანარიშვარად. იმ წამში მთელი თქვენი სხეული ომის ღეროდან ფეხის ფრჩხილებამდე ვიბრაციას განიცდის. სხეულის ყოველ ნერვს ექნება ცოცხალი ვიბრაცია, რადგან ეს წრე მთელ სხეულზე ვრცელდება.

ეს არ არის სექსუალური, რაღაც უფრო მეტია. დააკვირდით ამას, დააკვირდით პიკის მიღწევას, შინაგანი ენერგიების შეხვედრას, შემდეგ დააკვირდით, როგორ იხევს უკან მოხლვავება და როგორ იწყება ქაოსი, როგორ ხდება კვლავ ენერგიების გაყოფა.

თუ რამდენჯერმე გაიმეორებთ ამ დაკვირვებას, მაშინვე მიხვდებით, რომ გარეგანი ქალი (მამაკაცი) არ არის აუცილებელი, რადგან ეს ხდება გარეგანის გარეშე. თქვენ შეგიძლიათ ეს ყველაფერი საკუთარი არსის სიღრმეში გაღაიტანოთ, გარეგანი მხოლოდ სასხლეტი კაუჭია. ასეთი კაუჭის შექმნა შიგნითაც შეიძლება, მაგრამ ეს უნდა იყოს შინაგანი გამოცდილება.

ორგაზმის დროს გონება არ მუშაობს. არ არის არც ერთი აზრი, არც ერთი პრისმა. თქვენ ხართ, მაგრამ აზრების გარეშე. თქვენ არსებობთ, მაგრამ გონების გარეშე!

ეს ხდება ისეთ უმოკლეს დროში, რომ შესაძლოა, დაკარგოთ იგი. ეს დროის იმდენად მცირე მონაკვეთია, რომ თუ გარეგანით ხართ დაინტერესებულნი, ვერც შეამჩნევთ. თქვენ მას კარგავდით მრავალი ცხოვრების განმავლობაში.

დახუჭეთ თვალები და შეხედეთ, რა ხდება შიგნით. უბრალოდ, უყურეთ! ეს ხდება მუდამ, როგორც იმ შემთხვევაში, როცა შინ ბრუნდებით მსიან ამინდში სეირნობის შემდეგ. შედიხართ ოთახში და რაღაც ბნელა, ვერაფერს ხედავთ, თვალი რომ არა გაქვთ მინვეული სიბნელეს, დაუცადეთ, დახუჭეთ და უსიტყვოდ უყურეთ, ნელ-ნელა გაქრება სიბნელე და თქვენ შეიგრძნობთ იმას, რასაც თვალი ეჩვევა.

გარეგანიდან შინაგანისაკენ სვლა დიდი პრობლემაა მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი თვალები მიეჩვია გარეგანს, შინაგანი კი თქვენთვის სიბნელითაა მოცული. ხოლო მაშინ, როცა მზად ხართ, მომენტი გასულია. ამგვარად, მედიტაციები ჩაატარეთ დახუჭული თვალებით და იცქირეთ შიგნით, რაოა შესძლოთ შეეჩვიოთ შინაგან სიბნელეს, ის არ არის სიბნელე. ის თქვენთვის გამოიყურება სიბნელედ, რადგან თქვენ გარეგან შუქს მიაჩვიეთ თვალი. მოდის და მოდის გაუთავებული შუქი. იწყებთ რაღაცეების გარჩევას და მალე საგნები გახდება იმდენად მკაფიო, რომ როდესაც თვალს გაახელთ, აღმოაჩენთ, რომ ნისლი გარედანაა.

როგორც ამბობენ, არჩინდმა თქვა: „როდესაც პირველად მიეცემი იმ შეგრძნებაზე, რომ შუქი არსებობს შიგნით, მაშინ შუქი, გარეთ რომ იყო, სიბნელედ იქცა“. გარეგანი ცხოვრება სიკვდილს დაემსგავსა, რადგან მოხდა რაღაც უფრო ღიღი, რაღაც თავდაპირველი.

უყურეთ, როგორ ჩნდება შინაგანი წრე. როგორ ეროდება ორი ენერგია. ამ ერთიანობაში არ ურევია გონება და აზრი. კვლავ გიჩნდებათ უნარი, დაინახოთ ის, რაც ხდება და ერთხელაც თქვენ გაიგებთ, რომ გარეგანის უარყოფა არ არის საჭირო, მაგრამ შესაძლებელია.

ქალი შეუძლებელია, მაშინაც შეუძლებელია. სიყვარული საოცრებაა, მასში არ არის არაფერი ცუდი. იგი სილამაზე და მრთელი გრძნობაა. რა საჭიროა სიყვარულის მოშორება, მაგრამ ეს შესაძლებელია და თუ იშორებთ კიდეც, ალარ ხართ მასზე დამოკიდებული.

მაშინ შეგიძლიათ დაუშვათ, რომ ეს შიგნით მოხდეს. დგება მომენტი, როდესაც შინაგანი წრე სამუდამოდ შეკრული რჩება. გარეგანი მისგან გამოყოფილია, შინაგანს კი გაყოფა არ სჭირდება. თუ მოხდა შინაგანი ქორწინება, გაყრა ალარ ხდება.

როდესაც ეს წრე თქვენში მუდმივია, ეს არის არდაბადებული შვარი და ეს აქვს მხედველობაში იესოს, მოწაფეებს რომ ეუბნება

„...და როდესაც ქალი და კაცი გახდებიან ერთი ისე, რომ კაცი ალარ იქნება კაცი, ხოლო ქალი ალარ იქნება ქალი, მაშინ შეხვალთ ცათა სასუფეველში...“

თქვენ მიაღწიეთ ცათა სასუფეველს, გახდით სრულყოფილნი, იქეცით განუყოფლად. ახლა თქვენ საკუთარი **„მე“** გაქრეთ, გაგაბრწყინათ თავისუფლება და დამოუკიდებლობა. არაფერი ალარ გჭირდებათ, **რამეთუ თქვენ ერთიანნი ხართ!**

ვიდრე ეს წრე არ შეიკვრება, მუდამ დაგჭირდებათ რაღაც და სხვას დაექვემდებარებით, რაიმე მოითხოვნილება დაიკმაყოფილოთ. აი, რატომ გამოიყურება სექსი, როგორც ბორკილი, რამეთუ ამ შემთხვევაში სხვა გჭირდებათ. და თუ გრძნობთ, რომ არსებობს თქვენი სხვაზე დამოკიდებულება, ბრალობთ. აქედან მოდის გაუთავებელი უთანხმოება შეყვარებულთა შორის. არა და, არავის არ სურს, სხვაზე იყოს დამოკიდებული, რადგან ეს გარკვეული შეზღუდვაა. თუ თქვენ ვიღაცაზე დამოკიდებული ხართ, მას თქვენზე დომინირების და თქვენი დაუფლების საშუალება უნდა მისცეთ, რადგან გეშინიათ!

ეს ორმხრივი შეთანხმებაა, მაგრამ არავის უყვარს, სხვა დომინირებდეს მასზე. აი, რატომაა სიყვარული ასეთი უბედურება და თუ გიყვარო ვინმე და მისი უკმაყოფილო ხართ, ბედნიერი როგორ იქნებით? ყველაზე მშვენიერი პიროვნებაც კი მახინჯდება.

მოლა ნასრედინი მეგობრებთან ერთად იჯდა ოთახში. როცა მოლას ცოლი შემოვიდა, მეგობარმა ნასრედინს ჰკითხა: „დარწმუნებული ვარ, რომ ეს შენი ყველაზე ლამაზი ცოლია!“.

ნასრედინმა უპასუხა: „ეს ჩემი ერთადერთი ცოლია!“.

ასეთი სევდა ყოველთვის ახლავს შეყვარებულ ადამიანს, რადგან არც ერთ ქალს არ ძალუძს კაცის შინაგანი სიცარიელის შევსება. ყოველთვის გექნებათ უკმარისობის გრძნობა, რამეთუ ვერც ერთი ადამიანი ვერ იქნება ზუსტად ისეთი, თქვენი შინაგანი არსება რომ თხოულობს.

აქ არის აგრეთვე დროის პრობლემა: შეხვედრა ხდება ხანმოკლე გაელვებაში და მას გაყოფა მოსდევს.

შინაგანი ერთიანობის მიღწევის გარეშე თქვენ ერთი უბედურებიდან მეორეზე გაეხვალთ, ამ ტანჯული ცხოვრებიდან — მეორე ცხოვრებაში, ერთი ადამიანიდან — მეორისაკენ და ა.შ. შესაძლოა, ცვლილებამ ნაგინერგოო იმედი, მაგრამ ყველაფერი, რაც ხდება, უიმედოა.

როდესაც წრე შეიკვრება, თქვენ კვლავ გახდებით ერთიანი, უცოდველი, როგორც ბავშვი და უფრო უცოდველიც, ვიდრე ბავშვი, უფრო მეტად უცოდველი, ვიდრე შეიძლება იყოს ნებისმიერი ბავშვი, თქვენ გახდებით ბრძენი!

იესოს ამ სიტყვებზე ჩაატარეთ მედიტაციები და სცადეთ ის, რასაც მე გეუბნებით. მაგრამ მაცნობეთ ყველაფერი, რა მოხდება, რადგან პატარა შეცდომაც რომ დაუშვათ და თუ თქვენში ორი ენერგია არასწორად შეხვდა ერთმანეთის, თქვენ ჯკუიდან შეიშლებით! ამაშია ბრძენად გახდომის საშიშროება: თუ დაეცემით, დაეცემით უფსკრულში. თქვენ გაგიჟდებით. თუ მიაღწევთ, მიაღწევთ მწვერვალს. თქვენ გახდებით ბრძენი. ეს

ყოველთვის ასეა. თუ ვიღაცას სურს, ავიდეს მწვერვალზე, გამბედაობა უნდა ეყოს, რადგან თუ ჩამოვარდება, უუსკრულში ჩაეცემა, მწვერვალებს ხომ ყოველთვის უუსკრულებიც ახლავს.

ამგვარად, გახსოვდეთ — საჭიროა გაწონასწორებული ძალისხმევა და კიდევ ბევრი რამ. თუ გსურთ, იმუშაოთ ამაზე, დაგეხმარებით, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ პირისპირ გაკეთდეს. აი, რატომ საუბრობს იესო მიზანზე, მაგრამ არასდეს არ ახსენებს მეთოდს. მეთოდი პირადად ეძლევა ადამიანს და იგი ზიარებაა.

1974 წლის 28 აგვისტო
პუნა, ინდოეთი

საშბარი მეცხრე

მეცხრე შეგონება

იესომ თქვა: — შენი ძმის თვალში ბეწვს ხედავ,
საკუთარ თვალში კი ღირესაც ვერ ამჩნევ.
როდესაც ღირეს ამოიღებ საკუთარი თვალიდან,
მაშინ ნათლად დაინახავ როგორ ამოიღო ბეწვი
შენი ძმის თვალიდან.

(თომა, 34)

საკუთარი თავის შეცნობა რთულია იმიტომ, რომ თქვენ შიში გეუფლებათ. თითოეული თქვენთაგანი საკუთარი თავიდან გაქცევას ცდილობს. თუ გეშინიათ, მაშინ რაც არ უნდა გააკეთოთ, ვერაფერს მიაღწევთ. შესაძლოა, ფიქრობთ, რომ გინდათ შეიცნოთ საკუთარი თავი, მაგრამ თუ ეს გაუცნობიერებელი შიში არსებობს, მუდამ დამალვას ეცდებით.

ერთი მხრივ, თქვენ ცდილობთ, შეიცნოთ საკუთარი თავი, მეორე მხრივ კი ყოველგვარ წინააღმდეგობას ქმნით, რათა ეს არ მოხდეს.

შეიძლება გონებით გინდათ კიდეც საკუთარი თავის შეცნობა, მაგრამ არაცნობიერად თქვენ თავს არიდებთ ამ პროცესს. საჭიროა, უპირველესად, გამოარკვიოთ, რატომ გეშინიათ საკუთარი თავის და გაიცნობიეროთ შიში.

აი, თქვენი შიშის ერთ-ერთი მიზეზი: თუ თქვენ მართლაც შეაღწევთ საკუთარ არსში, მაშინ ის სახე, რომელიც ამქვეყნად შექმენით, შეიძლება ყალბი აღმოჩნდეს. მაშინ მთელი თქვენი წარსული ცხოვრება მნიშვნელობას კარგავს და

მორჩენებითი აღმოჩნდება. არა და თქვენ ხომ ამისათვის ცოცხლობთ, მას მთელი ენერგია დაახარჯეთ და ახლა იმის აღიარება, რომ წარსულში ყალბად ცხოვრობდით, მეტად მტკივნეული იქნება.

თუ ყოველივე, რითაც ცხოვრობდით, უსენსოცხოერება იყო, თუ არასოდეს გეყვარებიათ და მხოლოდ გინდოდათ, რომ გეყვარებოდათ, როგორ შეძლებთ საკუთარ თავთან შეხვედრას? მაშინ ხომ მიხვდებით, რომ თქვენ არა მარტო სიყვარულზე აცხადებთ პრეტენზიას, არამედ — ბედნიერებაზეც იმით, რომ გიყვართ. თავს იტყუებთ და ახლა, როცა უკან იყურებით, გეშინიათ. ფიქრობდით, თითქოს უნიკალური იყავით, განსაკუთრებული, „რჩეული“. (ასე იქცევა ნებისმიერი ადამიანი) და რა აღმოჩნდა? თქვენ საკუთარი არაფერი გაგაჩნიათ. მაშ, რას ღალატობს თქვენი „ეგო“? იგი ირღვევა. ამიტომ გეშინიათ საკუთარ თავთან შეხვედრისა და არ იხედებით საკუთარ სულში. შეგიძლიათ იოცნებოთ საკუთარ თავზე, შეისხათ ათასგვარი სახე, რაც ძალიან ადვილია, მაგრამ ძნელია და მძიმე ნამდვილად ვინმე იყოთ. **ადამიანები, მათ შორის თქვენც, ყოველთვის აკეთებთ მდარე არჩევანს და გიძნელდებათ საკუთარი თავის შეცნობა.**

ერთ სახლში დილის 4 საათზე ტელეფონმა დარეკა, პატრონი გამოვიყვანე ლოგინიდან და ყურმილში ჩასძახა: „რა გნებავთ?“

უცნობმა უპასუხა: „არაფერი!“

სახლის პატრონი უფრო გაბრაზდა და დაუყვირა: „მაშ რატომ რეკავ ამ შუაღამისას?“

„იმიტომ, რომ ახლა დარეკვა უფრო ადვილია,“ — მიუგო უცნობმა.

თუ იაფად მოგცემენ, თვით „არაფერსაც“ კი იყიდით. ასე იქცევით მთელი ცხოვრება. საკუთარი თავის უნიკალურ და რჩეულ არსებად ჩათვლა ადვილია, მაგრამ ნამდვილი უნიკალურობაა ძალიან ძნელი. მრავალი ადამიანი მთელი ცხოვრება ამისათვის იბრძვის. შეცდომებით სავსე მრავალი

ცხოვრების გაგება გჭირდებათ უნიკალურობის მისაღწევად. იმის დაჯერება, რომ რჩეულთა შორის რჩეული ხართ, აღვილია და ამისათვის ხელის განძრევაც არ არის საჭირო. თქვენ გწამთ იაუფასიანი საგნებისა. აი, საიდან მოდის თქვენი შიში.

გეშინიათ, ჩაიხედოთ საკუთარ არსში, რამეთუ კარგად იცით, რომ ყოველივე ის, რადაც თავი წარმოგიდგენიათ, არ არსებობს. სხვამ ვინ იცის ეს თქვენზე უკეთ? თუ ფიქრობთ, რომ მშვენიერი ბრძანდებით, მაშინ არ შეგიძლიათ სარკეში ჩახედვა, როცა ეს სილამაზე მხოლოდ იღეაა. თქვენ კარგად იცით ეს და სარკეში ჩახედვის მაგიერად, ყველა სარკეს ლეწავთ. როდესაც მახინჯი იცქირება სარკეში, ფიქრობს, რომ ეს სარკე ირეკლავს ცუდად მის გამოსახულებას და ძალიან მტკივნეულია მისთვის იმის დაჯერება, რომ მახინჯია.

საკუთარ თვალში თქვენ რაღაცას წარმოადგენთ. ნებისმიერ ადამიანს კი შეუძლია იფიქროს, რომ თქვენ არაფერს არ წარმოადგენთ. შეშლილიც კი ფიქრობს, რომ მთელი მსოფლიო შეშლილია.

ერთხელ მოლა ნასრედინმა ერთ ფერმაში მიირბინა და ფერმერს ჰკითხა: „აქ შეშლილი ხომ არ მოსულა?“

ფერმერმა უთხრა: „როგორ გამოიყურებოდა ის გიჟი?“

ნასრედინმა აღწერა შეშლილის გარეგნობა: „მისი სიმაღლე 6 ფუტი* და 4 დიუმია*, ძალიან მსუქანია და 45 ფუნტს* იწონის“. დაბნეულმა ფერმერმა ჰკითხა: „თუ მართლა ამ სიმაღლისაა და თანაც ძალიან მსუქანი, როგორ იწონის მხოლოდ 45 ფუნტს?“

ნასრედინმა გაიცინა და უთხრა: „ნუ სულელობ, განა არ გითხარი, რომ ის გიჟი აფრენს?“

სხვა ადამიანი ყოველთვის არასწორია და გიჟი. ამგვარად, თქვენ იცავთ თქვენს ე.წ. ჯანმრთელობას. ეს არის თაეღაცვა. მას კი, ვისაც არ ძალუძს საკუთარ თავს შეხედოს, ბრმაა, რადგან ეშინია არა მხოლოდ იმისა, რომ საკუთარ თავს შეხედოს. მთავარია ის, რომ მას საეროდ ეშინია, ვინმეს შეხე-

დოს. როცა თქვენ სხვას უყურებთ, ამ უკანასკნელს შეუძლია რაღაც დაინახოს თქვენში. სხვის თვალებში საკუთარ ანარეკლს ხედავთ, თქვენ ამისაც გეშინიათ და ქმნით ფიქციას საკუთარი თავის შესახებ, მერე ფიქციას — სხვებზე. გამუდმებით ცხოვრობთ სიზმრების სამყაროში და სულ ეს არის.

შემდეგ კი კითხულობთ, თუ როგორ უნდა გახდეთ ნეტარნი. თქვენი კოშმარი ბუნებრივია — რასაც არ უნდა აკეთებდეთ, მხოლოდ კოშმარი გამოვა იქიდან. თქვენ კი გაინტერესებთ, როგორ უნდა მოიპოვოთ სიმშვიდე. ფიქციით ვერავინ ვერ დამშვიდდება. სიმშვიდე მხოლოდ ფაქტიაა შესაძლებელი. როგორი ძნელიც არ უნდა იყოს ამის გაგება, მხოლოდ ფაქტი მოგიხსნით ღაძაბულობას და მიგიყვანთ ჭეშმარიტებამდე. თუ ფაქტიურობას უარყოფთ, მაშინ თქვენთვის არ იარსებებს ჭეშმარიტება.

ერთხელ ექიმი მივიდა ავადმყოფის სანახავად. ქალი ძალიან მძიმედ იყო. ექიმი შევიდა მასთან და მალევე გამოვიდა მეორე ოთახში, სადაც ავადმყოფის ქმარი უცდიდა. ექიმმა მას ბურღი სთხოვა. ქმარი შეცბუნდა, ბურღი რაო უნდაო. ექიმი ისევ შევიდა ავადმყოფთან და როცა გამოვიდა, ავადმყოფის ქმარს ჩაქუჩი და სატეხი მოსთხოვა. ეს კი მეტისმეტი იყო. აღელვებულმა ქმარმა თავი ველარ შეიკავა და ჰკითხა: „რა ჭირს ჩემს ცოლს?“

ექიმმა უთხრა: „ჯერ ვერ გეტყვით. ჩემოდანი ვერ გამიხსნია და ამისათვის გთხოვეთ ბურღი და ჩაქუჩი“.

და მეც გეუბნებით, რომ თქვენ ჯერ კიდევ ჩემოდანის გაღებაზე წვალობთ. თქვენ არც მისი გახსნა შეგიძლიათ და არც გინდათ, რომ გახსნათ. ბურღები და ჩაქუჩები, რომლებსაც თან დაატარებთ, ყალბი საშუალებებია და ჩემოდანს ვერ გახსნის. თქვენ არც კი გინდათ ჩემოდნის გახსნა, რადგან როდესაც მას გახსნით, მერე რაღას იზამთ?

მაშინ საჭიროა პაციენტს დიაგნოზი დაუსვათ, პაციენტი კი თქვენ თავად ხართ და თქვენთვის საჭირო შეიქნება, საკუთარ თავს შეხედოთ. ამიტომ ყველას ყურადღება ჩემოდანზე აქვს

გადაწყვეტილი. შეიძლება იყოთ პოეტი, მხატვარი ან მუსიკოსი, მაგრამ თქვენი ყოველგვარი საქმიანობა გარეგანით დაკავების მცდელობაა.

აი, რატომ არავინ არ არის მხად, მარტო დარჩეს საკუთარ თავიან თურლაც ერთი წამით. ეს საშიშია, ვინაიდან თუ მარტო ხართ, მაშინ შესაძლოა რამე გაიგოთ საკუთარ თავზე. მარტო რომ დარჩებით, რას იზამთ? ამ დროს იქნებით საკუთარ თავთან და შესაძლოა, რეალობამ აგიხეიქოს.

ამიტომ თითოეული თქვენგანი ცდილობს მთელი დღე-ღამის განმავლობაში რაიმეთი იყოს დაკავებული. თუ რაღაცის საქმიანობთ, ცოტა ბედნიერად გამოიყურებით, წინააღმდეგ შემთხვევაში უბედურები ხართ. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ თუ ადამიანი დიდხანს იქნება უსაქმოდ, გაგიჟდება. რატომ? იმიტომ, რომ თქვენ უკვე შეშლილები ხართ და თქვენი საქმიანობა ამ ფაქტს ნიღბავს.

რადგანაც ძნელია უყუროთ საკუთარ თავს, მიმოიხედეთ ირგვლივ. შეხედეთ ადამიანებს. მაგალითად, როცა ადამიანი გამუდმებით ფულზე ფიქრობს, თავის გონებას ფულთან ათანაბრებს და ამით ცდილობს საკუთარ თავს გაექცეს. როცა იგი მოაგროვებს ფულს, ზარალში ვარდება, რადგან იმ წუთშივე იწყებს უფრო მეტ სიმდიდრეზე ფიქრს. სხვაგვარად იგი დაკმაყოფილდებოდა ქონებით, მაგრამ თვით როკფელერი და ფორდიც უფრო მეტი სიმდიდრის მოხვეჭაზე ფიქრობენ.

როდესაც იღებთ ფულს, მაშინვე უფრო მეტი გინდათ, მთავარი მოტივაცია ფული კი არა, საქმიანობის გაგრძელებაა. თუ არა ხართ დასაქმებულნი, თავს მთლად კარგად ვერ გრძნობთ და მოუსვენრობა გემატებათ. „რა ვაკეთოთ?“ — ფიქრობთ და თუ საქმე ვერ გამოსახეთ, ერთხელ წაკითხულ გაზეთს ან წიგნს რამდენჯერმე გადაიკითხავთ. უსაქმოდ დარჩენილები რაღაც უსარგებლო საქმეს მაინც მოკიდებთ ხელს, რადგანაც არ შეგიძლიათ მშვიდად ყოფნა. სწორედ ამიტომ ამტკიცებს ყველა ოსტატი, რომ თუ შეგიძლიათ, რამდენიმე

საათის განმავლობაში უსაქმოდ ისხდეთ, მაღე გასხივოსნდებით.

გონების თავისუფალ მდგომარეობაში ყოფნა მედიტაციაა, ხოლო დაკავებულ მდგომარეობაში — ამქვეყნიურობა, ანუ სანსარა. არა აქვს მნიშვნელობა, რას საქმიანობთ — კომერციას ეწევით თუ პოლიტიკით ხართ გატაცებულნი. საზოგადოებას ემსახურებით თუ რევოლუციას. არ არსებობს არანაირი განსხვავება. თქვენ რომ მარტო დაბოვოთ ბელადი, ის გაგიჟდება. თუ წაართმევთ მოქმედების საშუალებას, მისთვის შეუძლებელი იქნება არსებობა, მისი ჯანმრთელობა შეირყევა. ის თქვენითაა ჯანმრთელი. მთელ ენერგიას შრომაში ხარჯავთ, იღლებით და მერე ძილი გესაჭიროებათ.

მოხუცები ცოტა ჭკუასუსტებად და ექსცენტრირებულებად გამოიყურებიან, რამეთუ მათ არა აქვთ საქმე. მათი სიბერე არაფერ შუაშია — უბრალოდ, ახლა მათ აღარ იციან, რა გააკეთონ და აღარ არიან საჭიროები.

შეიძლება, ადამიანი ქვეყნის პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი იყოს და დაუღალავად საქმიანობდეს, მაგრამ გაუშვით იგი პენსიაზე და ნახავთ, რაც მოხდება. იგი მაშინვე მოდუნდება, მისი გონება აფორიაქდება, რადგან აღარ ეკითხებიან რჩევას, არ ინტერესდებიან მისი პიროვნებით, ფსიქოლოგები ამბობენ, რომ პენსიონერი ადამიანები ათი წლით იმაზე ადრე კვდებიან, ვიდრე მოკვდებოდნენ, რაიმე საქმით რომ ყოფილიყვნენ დაკავებულნი. რა ხდება? რატომ არის საკუთარ თავთან დარჩენა ასე ძნელი? თქვენ ხომ ყოველთვის ფიქრობთ, რომ სხვები თქვენთან ურთიერთობაში კარგად გრძნობენ თავს, თქვენი მეუღლეც ბედნიერია თქვენთან ცხოვრებით, თვითონ თქვენ კი არასოდეს ყოფილხართ ბედნიერი საკუთარ თავთან ურთიერთობაში. თუ ისეთი მოსაბეზრებელი პიროვნება ხართ, რომ თვითონ მოგბეზრდათ საკუთარი თავი, როგორ შეიძლება, რომ სხვამ აგიტანოთ? ისინი თქვენ სხვადასხვა მიზეზების გამო გიტანენ და არა იმიტომ, რომ თქვენ საყვარელი ადამიანი ხართ!

ისინი თქვენ გიკავშირდებიან იმიტომ, რომ რაღაც საქმე გამოინახონ. ქმარი ცოლისთვის საქმიანობის გარკვეული ობიექტია და პირიქით. ეს ორმხრივი ეშმაკობაა, რამეთუ ატყუებენ და ეხმარებიან ერთმანეთის საქმის გამონახვაში.

თქვენ არ შეგიძლიათ საკუთარი თავის ცქერა. არ შეგიძლიათ თვითრეალიზაციამდე მისვლა. თქვენ არ იცით სამართლე საკუთარი თავის შესახებ, თავი მრწამსელოვან პიროვნებად მოგაქვთ. ამის მიზეზი ყალბი იდენტიფიკაციაა. რა დაემართება სამყაროს, თქვენ თუ არ იქნებით? ქვეყნად მეტი სიშვიდე იქნება, ცოტა ნაკლები უბედურება და მეტი არაფერი, რამეთუ გაქრება კიდევ ერთი მოუსვენარი პიროვნება, რომელიც სხვებშიც მოუსვენრობას ბადებდა. მაგრამ იმისათვის, რომ გასხლტი, საჭიროა ყველა ეს ფიქცია.

ნაპოლეონმა ცხოვრების ბოლო წლები პატიმრობაში გაატარა. ის გამოამწყვდიეს წმინდა ელენეს პატარა კუნძულზე. ნაპოლეონი წინათ თუ უდიდესი ადამიანი იყო, ახლა მისი ბედის ბორბალი უკუღმა დატრიალდა და აღარაფერს წარმოადგენდა, მაგრამ იგი არაფრად აგდებდა თავის პატიმრობას და განაგრძობდა ძველ ფიქცას. მას არ გაუხდია ტანსაცმელი 6 წლის განმავლობაში, რადგან იმპერატორის საკადრის სამოსს არავინ ააცმევდა. ძველი ტანსაცმელი გახუნდა, დაიძარცა და გაჭუჭყიანდა, მაგრამ ნაპოლეონი სამოსს მაინც არ იცვლიდა. ცოხის ექიმმა უთხრა: „იქნებ ტანსაცმელი გამოიცვალოთ? თქვენი სამოსი აღარ ვარგა, ჩვენ უკეთეს და სუფთა ტანსაცმელს მოგცემთ“.

ნაპოლეონმა მიუგო: „ეს იმპერატორის სამოსია. შესაძლოა, იგი ჭუჭყიანია, მაგრამ ჩვეულებრივ სამოსში არ გაიცვლი“! ნაპოლეონი ისე დადიოდა, თითქოს ისევ იმპერატორი იყო, განაგრძობდა ბრძანებების გაცემას, წერდა წერილებს და ყველგან თან დაატარებდა სწერ მოწყობილობას. პატიმრის გონება იმპერატორის გონებად დარჩა.

შემდეგ ნაპოლეონი ავად გახდა. მისი თანმხლები ექიმი თავის დღიურში წერდა: „ეგრძნობ, რომ იგი ნამდვილად არ

არის ავად. ახლა ავადმყოფობა საქმედ ექცა. ხან მუცელს იტკივებს, ხან თავს, ხან კი — ფეხებს...“

ექიმი ფიქრობდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო და სხეულით ჯანმრთელმა ნაპოლეონმა აღარ იცოდა, რა ეკეთებინა. ახლა ერთადერთ საქმედ საკუთარ სხეულზე ზრუნვა გაიხადა.

სხვათა შორის, ბევრი ადამიანი ავადმყოფობას იხლის საქმედ. თუ რაღაცით დაკავებულნი იქნებით, არ დაგავიწყდებათ საკუთარი თავის ყურება. სხვაგვარად რა დაემართებოდა ნაპოლეონს? მას რომ საკუთარი თავი შეეცნო, შეამჩნევდა, რომ გლახაკად იქცა, ეს კი მეტისმეტი იქნებოდა! ნაპოლეონი იმპერატორად მოკვდა. სიკვდილის წინ გასცა ბრძანება, როგორ უნდა მიეგოთ მისთვის საბოლოო პატივი, იზრუნა უმნიშვნელო დეტალებზეც კი. ნაპოლეონს მაშინ იქ ვერავინ მიაგებდა პატივს, რამეთუ ეს არავის აინტერესებდა. მაგრამ მან გასცა ბრძანება და ალბათ იგი მშვიდად გარდაიცვალა იმ იმედით, რომ სიკვდილის შემდეგ პატივს მიაგებდნენ, როგორც იმპერატორს.

ნაპოლეონი იმპერატორი იყო და მას გარკვეულ დროს ხალხი უჭერდა მხარს. ნაპოლეონი დარჩა იგივე, ოღონდ შემდეგ მხარდაჭერა გაქრა. ამის გაგება ძნელია. არის ფაქტები, რომლებშიც საზოგადოება გემხრობათ და არის ფიქციები, რომელშიც არავინ გიჭერთ მხარს. ამაშია ჯანმროელსა და გიუს შორის განსხვავება. ჯანმროელია ის, ვის ფიქციასაც საზოგადოება ეიხრობა, ხოლო გიუის ფიქციას არავინ უჭერს მხარს, იგი მარტოა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში უნდა მოთავსდეს.

მაგრამ სინამდვილეში მხარდაჭერა არაფერს ნიშნავს, თუ ფიქციისათვის გიღგანან მხარში. საკუთარ თავს თუ კარგად შეხედავთ, იგრძნობთ, რომ თქვენ არაფერს წარმოადგენთ, ფეხქვეშ მიწა გეცლებათ და უფსკრულში ინეხებით.

უკეთესია, არ დაინახოთ ეს და ოცნებებში დარჩეთ, რაც დაგეხმარებათ ჯანმროელობის შენარჩუნებაში. თქვენ არ

შეგიძლიათ, შეხვედროთ არა მარტო საკუთარ თავს, არამედ სხვასაც, რადგან ისიც თქვენ გგავთ. თქვენ ქმნით ფიქციებს სხვების შესახებ. სიძულვილის დახმარებით ქმნით ფიქციებს, თითქოს სხვა ადამიანი არის ეშმაკი; სიყვარულის დახმარებით ქმნით ფიქციას, რომ სხვა პიროვნება ანგელოზია ან ღმერთი. თქვენი აღქმა არ არის უშუალო. ცხოვრობთ თქვენსავე მიერ შექმნილ მაიაში, ილუზიებში. ასე რომ, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ყველაფერი გაზვიადებულია; თუ ვინმე გძულთ, მას ეშმაკად თვლით, თუ ვინმე გიყვართ — ანგელოზად.

თქვენ აზვიადებთ. თუ ხედავთ ცუდს, ახდენთ მის ტრანსფორმაციას უკიდურეს ბოროტებაში, თუ კარგს ხედავთ, უკიდურეს სიკეთედ, ღმერთად აქცევთ. მაგრამ ძნელია, მისდიოთ ამ ფიქციებს, ამიტომაც გამუდმებით იცვლებით. თქვენს წარმოდგენაში რატომ აზვიადებთ ყველაფერს? რატომ ვერ ხედავთ ნათლად იმას, რაც არის? იმიტომ, რომ გეშინიათ. თქვენ ღრუბლიანი ამინდი გჭირდებათ, რათა ყველაფერი სისლში მიიჩქმალოს. არ გსურთ, იცნობდეთ საკუთარ თავს. **ისინი კი, ვინც შეიცნო თავი თვისი, დაუინებით მოითხოვენ — შეიცანით თავი თქვენი!** ისევე, როგორც ბუდას, ქრისტესა და სოკრატეს, ასევე ყველა რელიგიის მოთხოვნა საკუთარი თავის შეცნობაა.

თქვენ კი განამტკიცებთ საკუთარი თავის არცოდნას. მე ვხედები მრავალ ადამიანს, რომლებიც თამაშობენ, თითქოს იცნობენ საკუთარ თავს და მათ არ სურთ გაიგონ, რომ ეს თამაშია. ახლა მათ სურთ, შექმნან ახალი რელიგიური ფიქცია და მოდიან, რათა მათ დავეხმარო. მეუბნებიან, რომ შეიცნეს და გაიგეს ესა თუ ის და მაველდრებელი თვალებით მიყურებენ.

მე ვეუბნები: „დიახ, თქვენ ეს განიცადეთ!“ ისინი გრძნობენ მხარდაჭერას და ბედნიერები ბრუნდებიან უკან. თუ უარყოფითად ვპასუხობ, უბედურნი ხდებიან და აღარასოდეს მოდიან ჩემთან. ეძებენ სხვა ავტორიტეტებს. რაში გჭირდებათ მოწმე? თუ შეიცანით რამე, შეიცანით. არ არის საჭირო არანაირი ავტორიტეტი, რადგან გამოცდილება თავისთავად

აშკარაა. თუ შეიცანით საკუთარი თავი, რაში გჭირდებათ, რომ სხვებმა მოგიწონონ და დაგიმოწმონ? მთელი მსოფლიოც რომ ამბობდეს, რომ ეს ტყუილია, არაფერს არ ნიშნავს. არ არის საჭირო არანაირი დადგენილება. თქვენ იცით, რომ ეს მოხდა.

თუ ბრმას თვალი აეხილა, არავის მოუხმობს მოწმედ, რათა აცნობოს, რომ უკვე ხედავს, ის ხედავს და ეს სრულიად საკმარისია. მაგრამ თუ ბრმა ოცნებობს თვალის ახელვაზე, მაშინ სჭირდება მას ვინმე ავტორიტეტი, რათა დაამოწმოს ფაქტი, რომ ეს სიმართლეა.

ადამიანები სულიერადაც თამაშობენ. სანამ არ მოიხსნით ნიღბებს და ფხიზლად არ შეხედავთ იმ ფაქტს, რომ საჭიროა ფიქციების უკუგდება და მძიმე სინამდვილის ისე დანახვა, როგორიც ის არის, არაფრის გაკეთება არ შეიძლება, რადგან ეს კარია. და თუ არავინ არ გიჭერთ მხარს, მაშინ თქვენ თავად ულეგხართ თქვენს თავს მხარში, მაშინ აღარ ელაპარაკებით სხვებს, რადგან ისინი ვერ გაიგებენ.

რამდენიმე თვის წინ ჩემთან ერთი კაცი მოვიდა და მითხრა: „ოქვენ შეგიძლიათ გამიგოთ, არავის არ ესმის ჩემი, მე ღვთისაგან ყოველ ღამე ეპისტოლეს ვღებულობ“.

მან თან მოიყოლა დიდი ტომი — აბსოლუტური სისულელე! მაგრამ ის ფიქრობდა, რომ ღვთისაგან იღებდა ეპისტოლეს. ის ფიქრობდა, რომ ეს არის უკანასკნელი ყურანი; რომ მუპამედის დროიდან აღარავის მიუღია ასეთი ეპისტოლე და ახლა ყურანი მოძველდა. ეს რომ მუსულმანებს გაეგოთ, მოკლავდნენ მას, რადგან მათ სხვა ფიქციისა სწამთ, ეს კაცი კი ამის დანგრევას ცდილობდა. იგი საოცრად ნერვიულობდა და ცახცახებდა, მიყურებდა და ელოდა, რას ვეტყოდი, რადგან ყველა დასცინოდა და გიჟს ეძახდა.

ის ცდილობდა ჩემს მოსყიდვას და მეუბნებოდა: „ვიცი, რომ თქვენ რეალიზებული ადამიანი ხართ“. მთხოვდა, რომ დამედასტურებინა მისი სიმართლე.

მე კი ვუპასუხე: „ღმერთი თუ ეპისტოლეს გიგზავნით, ეს საკმარისია და აღარ გჭირდებათ ჩემთან მოსვლა“.

მაშინ ის ცოტა დაეჭვდა, ღაიბნა და მითხრა: „ვინ იცის, იქნებ ეს ნემი გონების ოინებია“. ეს მან კარგად იცოდა. თუ აწყობთ ოინებს, გულის კუნჭულში თქვენ ეს იცით, მაგრამ ცდილობთ ფაქტს გაექცეთ.

მე მას ვუთხარი, რომ რასაც ის ფიქრობდა, სიგიჟე იყო! მას შემდეგ ის კაცი ნემოან აღარ მოსულა. მე ახლა აღარა ვარ რეალიზებული აღმიანი! მე რომ იმ კაცის ნაოქვამი დამედასტურებინა, წავიდოდა და ნემზე იტყოდა, რეალიზებულიაო.

თუ ეცნობ ფიქციას, მაშინ შეგიძლიათ დაეხმაროთ ნემს ფიქციას, მიმღინარეობს ორმხრივი თამაში და იგი იმღენად გაკმაყოფილებთ, რომ არ გსურთ თამაშის შეწყვეტა. მაგრამ მას ჩრდილივით დაჰყვება დაუკმაყოფილებლობა. ეს ურთიერთდაკავშირებულია, რადგან ყოველიეე ფიქციაა.

მდაბიომ, რომელიც ფიქრობს, რომ იმპერატორია, იცის, რომ მდაბიოა. ეს არის პრობლემა. ის ფიქრობს, რომ იმპერატორია და პრეტენზიას აცხადებს იმპერატორის წოდებაზე, სულის სიღრმეში კი გრძნობს თავის მდაბიურობას.

თქვენ რაღაცას ფიქრობთ საკუთარ თავზე და იცით, რომ ეს არ არის სიმართლე. თქვენ არასოდეს არ გჯერებიათ, პრეტენზია გქონდათ მხოლოდ. მთელი თქვენი ცხოვრება პრეტენზიებს აცხადებდით და ახლა ძნელია, აღიაროთ, რომ მთელი თქვენი ცხოვრება მხოლოდ ფიქცია იყო. თუ ძირფესვიანად არ შეიცვლებით, რომც შეწყვიტოთ ფიქციებით ცხოვრება, ეს არაფერს მოგცემთ. ეს დროის უბრალო ფლანგვაა. ბოლოს ყველა იმედგაცრუება მაინც ამოხეთქავს. აი, რატომაა სიკვდილი ასე ძნელი. სიკვდილში საშიში არაფერია. ეს ერთ-ერთი უმშვენიერესი მოვლენაა სამყაროში. თქვენ უბრალოდ იძინებთ! ოთხოეული თქვენგანი იძინებს. თესლი აღმოცენდება და ხეც იქცევა, შემდეგ კვლევ ნიდება თესლი და ნიადაგში ხვდება, შემდეგ კვლავ აღმოცენდება. ნებისმიერი აქტივობის შემდეგ საჭიროა დასვენება. ეს ასეც უნდა იყოს, რათა წარმოიშვას ახალი სიცოცხლე. სიკდილში

არაფერია ცუდი და საშიში, მაგრამ თითოეულ თქვენგანს რატომ ეშინია ასე ძალიან სიკვდილის?

იმიტომ, რომ სიკვდილის მომენტში თქვენი ყველა ფიქცია გაქრება და დაინახავთ, რომ ცხოვრება გაგიფლანგავთ. რატომ ამბობენ, რომ სიკვდილის მომენტში ადამიანი მიელ თავის ცხოვრებას ხელავსო? მართლაც ასე ხდება. სიკვდილის წინ ადამიანმა უნდა დაინახოს განვლილი ცხოვრება, რადგანაც მომავალი აღარ არსებობს და მას აღარ შეუძლია ფიქციების შექმნა. ფიქციისათვის აუცილებელია მომავალი, რადგან ფიქციები არსებობს იმედებში და ხვალინდელი დღისათვისაა განკუთვნილი.

სიკვდილი ამტკიცებს, რომ ხვალინდელი დღე არ არსებობს, რომ აღარ არის მომავალი. რაღაზე უნდა იოცნებოთ? რაში გამოიყენებთ ფიქციას? წასასვლელი არსად გაქვთ! უცაბედად აღმოჩნდებით ფაქტზე მიჯაჭვულნი. მიელი ცხოვრება ქმნილით სამომავლოდ ფიქციებს. ახლა მომავალი აღარ არის. იძულებული ხდებით, იცქიროთ წარსულში. სიკვდილის მომენტში თქვენ უნდა უყუროთ საკუთარ თავს, სხვა გზა არ არის. მაშინ თქვენ იტანჯებით უუნაზ დაკარგული ცხოვრების გამო.

ამ მტანჯველმა გრძნობამ თუ სიცოცხლეშივე შეგაწუხათ, გახდებით მორწმუნე. რელიგიურია ის ადამიანი, ვინც სიცოცხლეშივე დაინახა თავისი წარსული და გაიგო მისი ფიქტიურობა; ვინც იხედებოდა თავის სულში. თუ იყურებით საკუთარ არსში, ცვლილება აბსოლუტურად გარდაუვალია, რადგან, თუ ფიქცია გააზრებულია, როგორც ფიქცია, ის გაქრება. რათა გასცლოთ, ფიქცია უნდა დაიცვათ ისე, როგორც ფაქტი. ტყუილიც კი ისე უნდა გაიაზროთ, როგორც სიმართლე. იმ წუთში, როდესაც მიხვდებით, რომ ეს არის ტყუილი და ამას შეიგნებთ, იგი გაქრება და მას ველარ მოეჭიდებით.

მეოცნებე ადამიანს უნდა სჯეროდეს, რომ მისი ოცნება მართლა ოცნება კი არ არის, არამედ რეალობაა. როცა

შეიგნებთ, რომ ოცნება მხოლოდ ოცნება არის და არა რეალობა, ის მაშინვე გაქრება, მაგრამ ამის არცოდნაზე იხარჯება მთელი თქვენი ძალა. თქვენ გვერდს უვლით ცოლნას. აი, როცა მარტო ხართ, რატომ არ გეუფლებათ სიმშვიდე. ჰიმალაის მთებშიც კი რაღიომიმღებები მიგაქვთ თან და იქ ყოფნის დროსაც ოჯახი და მეგობრები თქვენს მეხსიერებაში არიან აქტიურად.

თქვენ იღებთ შვებულებას, მაგრამ სინამდვილეში არსად არ მიდიხართ. თქვენ თქვენი აქვიზიტორი მიგაქვთ ზღვის სანაპიროზე თუ მთაში და კვლავ ამ უაზრობით ხართ გარემოცულნი.

ერთხელ ზღვაზე უბედური შემთხვევა მოხდა და გემი ჩაიძირა. მგზავრებიდან მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა და მიადწია უკაცრიელ კუნძულს. იგი ხუთი წელი ცხოვრობდა აქ და ელოდებოდა ამცნელ ან ჩამნელ გემს, რომელიც არსად ჩანდა. აიშენა პატარა ქოხი და გამუღმებით ფიქრობდა იმ სამყაროზე, რომელსაც მოსწყდა. კუნძულის სირუმეს ვერა და ვერ შეეგუა. კუნძულის უკაცრიელობა იყო ამ კაცისათვის ერთადერთი პრობლემა. სხვა ყველაფერი კუნძულზე იდეალური გახლდათ. მშვენიერ ბუნებაში შეეძლო ადამიანის გარეცხრომით დაესვენა და ხის გემრიელი ნაყოფი ეჭამა. ეს კაცი ადრე ყოველთვის ასეთ ადგილზე ოცნებობდა და უეცრად მოხვდა კიდეც, მაგრამ კუნძული მისთვის აუტანელი აღმოჩნდა. კაცმა ბოლოს მაინც მოძებნა გამოსავალი. იგი პროფესიით არქიტექტორი იყო და პატარა მოდელების შენება დაიწყო, რათა უსაქმოდ არ მჯდარიყო. ააშენა პატარა სახლები და ქუჩას სახელიც დაარქვა. ააგო აგრეთვე ორი ეკლესია. მის ქუჩას პატარა მაღაზიებიც ამშვენებდა. ერთი სიტყვით, არქიტექტორმა კუნძულზე მთელი ქალაქი შექმნა.

ხუთი წლის შემდეგ კუნძულს გემი მიუახლოვდა და როცა ღუზა ჩაუშვა, კაცი ბედნიერი იყო. ნაპირთან ნავი მიცურავდა, საითაც არქიტექტორი ფრთაშესხმული გაიქცა, მაგრამ ღაბნეული გაჩერდა ნაპირთან ახლოს. ნავიდან გადმოვიდა კაცი,

რომელსაც გაზეთების დიდი შეკვრა მოექონდა თან. არქიტექტორმა ჰკითხა: „რატომ მოგაქვთ გაზეთები?“

ნაპირზე გადმოსული გემის კაპიტანი აღმოჩნდა, რომელმაც უთხრა: **„ჯერ გადაიკითხე გაზეთები, გაიგე, რა ხდება მსოფლიოში და მერე გეთხარი, გსურთ თუ არა გადაგარჩინოთ?“**

კუნძულის მობინადრემ გაზეთები წყალში გადაყარა და უთხრა: **„ეს რა სისულელეა!... მაგრამ სანამ ნავში ჩავსხდებოდეთ, მწნდა ჩემი ქალაქი გირვენოთ“.**

როდესაც მეორე ეკლესიაც დაინახა, კაპიტანი გაოცდა და ჰკითხა: „გასაგებია, რომ ერთი ეკლესია ააგეთ, მაგრამ რა საჭირო იყო მეორის აგება?“

არქიტექტორმა უპასუხა: **„ეს ჩემი ეკლესიაა, აქ მე დავდივარ, იმ ეკლესიაში კი ფეხს არ ვდგამ“.**

თქვენ გჭირდებათ ორი ეკლესია, ორი რელიგიაც კი, რადგან გორება გაორებულია. თავის აგებულ მეორე ეკლესიაში არქიტექტორი იმიტომ არ დადიოდა, რომ ნამდვილ სალოცავად არ თვლიდა.

ის იყო მარტო, მაგრამ შექმნა მთელი სამყარო. მგზნებარედ სურდა უკანვე, ამ სამყაროში დაბრუნება. ის არ იყო მზად გაზეთების წასაკითხად და სწორედ მოიქცა, რადგან რომ გაეგო საგაზეთო ამბები, უკან დაბრუნების სურვილი გაუქრებოდა.

ნაიხედეთ გაზეთებში! გაიგეთ რა ხდება მსოფლიოში! ღირს კი მასში ცხოვრება? მაგრამ თქვენ ისე კითხულობთ, რომ ვერ ხედავთ. უბრალოდ ძილ-ბურანში იმყოფებით. არ გესმით, რა ხდება დუნიაზე და არც ის იცით, ადამიანი ადამიანს როგორ ექცევა, რომ ასეთი სისასტიკე და სიბრიყვე, ნებისმიერი აზრის, ყოველივე მშვენიერის, ჭეშმარიტების და კარგის მოწამვლა უაზრობამდე მიდის. მოგწონთ აქ ცხოვრება, მაგრამ თუ კარგად დაინახავთ, გაგიჭირდებათ ამ სამყაროში ყოფნა. აი, რატომ გირჩევნიათ, რომ არა ხედავდეთ, არამედ მოძრაობდეთ, როგორც პიპსოზში.

საკუთარ თავს რომ არ უკვირდეთ, გამოიგონეთ იესოს შეგონების საწინააღმდეგო ტექნიკა — როცა სხვაში ცდუნებას დაინახავთ, მაშინ შეიძლება დაასკვნათ, რომ თვითონ თქვენ კარგი ადამიანი ხართ. ორი გზა არსებობს იმისათვის, რომ კარგი იყოს ადამიანი. უბრალოდ, იყოს კარგი. მაგრამ ეს ძნელი გზაა და შეღარებითი სკარგე. საჭიროა დააიმედკიცოთ, რომ სხვა ცუდია. არ არის საჭირო, თქვენ იყოთ კარგი, მხოლოდ დაიმედკიცეთ, რომ სხვა ცუდია.

ასე ადგენთ გამოსლიებით, რომ სხვა ქურდი, მკვლელი და საერთოდ, ბოროტმოქმედია, ხოლო როდესაც დაიმედკიცებთ, რომ ყველა ცუდია, აღმოჩნდება, რომ თქვენ კარგი ხართ. ეს შედარებითი ფენომენია — არ არის საჭირო შეცვალოთ თქვენი თავი, მხოლოდ დაიმედკიცეთ, რომ სხვა არის ცუდი ადამიანი. ამაზე აღვილი კი არაფერია. შეგიძლიათ, გააზვიადოთ სხვისი ცდუნება და ვერავინ დაგიშლით ამას. გაზვიადებული ბოროტების გვერდით თქვენ ხომ უცოდველნი გამოიყურებით. აი, რატომაა, თუ ვინმეზე ამბობენ, რომ ცუდი კაცია, გვჯერათ ამისი და უფრო მეტიც, თქვენ ამბობთ: „მე ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს ასე იყო“.

მაგრამ თუ ერთი ადამიანი თქვენთან მეორეს შეაქებს, თქვენ ეკამათებით და ნათქვამის დასაბუთებას ითხოვთ. მილიონობით ადამიანი იძახის: „ვენ ვიწამებთ ღმერთს, მაგრამ ჯერ დაგვისაბუთეთ, რომ იგი არსებობს“. მაგრამ ჯერ არავის დაუწერია მოთხოვნა დასაბუთებულიყო ეშმაკის არსებობა. თქვენ უკვე იცით, რომ ეშმაკი ყველგანაა, ხოლო ღმერთი დაიკარგა და აქ არ არის. რატომ საჭიროებს დასაბუთებას კარგი, ცუდი კი — არა? დააკვირდით ამ ტენდენციას და ჩასწვდებით ადამიანის გონების ერთ საიდუმლოს. სულის სიღრმეში თითოეული ეძებს გზას, როგორ გახდეს კარგი, მაგრამ ეს ძნელია. მაშ, როგორ უნდა მოიქცეთ? დაიმედკიცეთ, რომ სხვა ცუდია — „თქვენ ჩემზე უარესი ხართ. ასე რომ, საბოლოოდ მე ცოტათი უკეთესი ვარ თქვენზე!“

იესო ამბობს: „შენი ძმის თვალში ბეწვს ხედავ,

საკუთარ თვალში კი დირესაც ვერ ამჩნევ-
როდესაც დირეს ამოიღებ საკუთარი თვალიდან,
მაშინ ნათლად დაინახავ როგორ ამოიღო
შენი ძმის თვალიდან ბეწვი...“

თქვენ სხვას უცქერთ, როგორც სიბნელეს. ამან შეიძლება ილუზია ჩაგინერგოთ, რომ თქვენ ხართ სინათლე, მაგრამ ჭეშმარიტი ნათელი ვერ მოგეცემათ. და თუ თქვენ ცდილობთ სხვის განათებას, რადგან ფიქრობთ რომ იგი სიბნელეშია, ეს კიდევ უფრო აუარესებს ყოველივეს, ვინაიდან უსაშიროლობას შეურაცხყოფა ემატება, ჯერ ეროი, იმიტომ, რომ სიბნელე თქვენს მიერ არის პროვოცირებული, მეორეც, თვითონ თქვენ არა ხართ სინათლე. ასე რომ, სხვის განათებას ვერ შეძლებთ.

ამიტომ ადამიანები, რომლებიც საზოგადოების გარდაქმნას ცდილობენ, მავნებლები არიან. ვინც სხვის შეცვლას ცდილობს, ყოველთვის საშიშია და ფაქიზი ხარისხის მკვლელი. ამ დანაშაულზე მათ ვერ მისცემთ პასუხისგებაში — ისინი პირდაპირ კი არ გკლავენ, არამედ გასახირებენ, გკუწავენ თქვენი „კეთილდღეობისათვის“ და თქვენ კი ვერაფერს უარყოფითს ვერ იტყვით მასზე. ეს ე.წ. წმინდანები ცდილობენ გაფანტონ სიბნელე, რომელიც თქვენში არ არის და არც შეიძლება რომ იყოს. ისინი თქვენში ჯოჯოხეთს ხედავენ, რადგან ეს ერთადერთი გზაა მათთვის, რაოა საკუთარი თავი საშოთხეს ამსგავსონ.

მოლა ნასრედინი გარდაიცვალა. სამოთხის კარი წმინდა პეტრემ გაულო და ჰკითხა: „კი მაგრამ, ღღეს მე არავის არ ველოდები. ჩემს სიაში არავინ არ სწერია. გაოცებული ვარ, როგორ მოხვდი აქ? ხმამაღლა და დაიარცვლით მითხარი შენი სახელი, რომ შევამოწმო“.

მოლამ ხმამაღლა უთხრა თავისი სახელი: „ნასრედინი“. წმინდა პეტრემ შეამოწმა სიები, მაგრამ იმ ღღეს არავინ არ უნდა მისულიყო სამოთხეში და მიმართა მოლას: „შენ ღღეს აქ არ უნდა მოსულიყავი, მხოლოდ 10 წლის შემდეგ გელოდებიან. მითხარი, ვინ იყო შენი ექიმი?“

ექიმებს შეუძლიათ დროზე აღრე გამოგასალმონ სიცოცხლეს, სიკეთის მოსვლებსაც შეუძლიათ იმაზე აღრე მოგკლან, ვიდრე ეს საჭიროა. სიკეთის მოსვლები ყოველთვის საშიშნი არიან, მაგრამ თქვენ ყველა, მეტად თუ ნაკლებად, კეთილი ადამიანები ხართ. თითოეულს სურს სხვისი შეცვლა, რადგან სხვა მათ თვალში ცუდია. თითოეულს სურს მსოფლიოს გადასხვაფერება და ამით განსხვავდებიან პოლიტიკური და რელიგიური გონებები ერთმანეთისაგან.

პოლიტიკური გონების ადამიანი მთელ მსოფლიოს ცუდად მოწყობილად თვლის, საკუთარი თავი კი კარგი ჰგონია. რელიგიური ადამიანი საპირისპიროს აკეთებს. იგი ფიქრობს: „მე რომ ცუდი ვარ, ამიტომ არის მსოფლიო ცუდი, რადგან მე ვთესავ მასში ბოროტებას. მე უნდა შევიცვალო, რომ მსოფლიოც გადასხვაფერდეს“.

პოლიტიკოსი იწყებს მსოფლიოთი და ვერ აღწევს მისანს. მისი წამალი უფრო მეტ ავადმყოფობას ანენს, ვიდრე წინათ იყო. მისი ძალისხმევის შედეგად მეტი უბედურება ნიღება. რელიგიური ადამიანი კი თვითონ იცვლება, რაც ჭეშმარიტად ერთადერთი შესაძლებლობაა.

თქვენ მხოლოდ საკუთარი თავის შეცვლა შეგიძლიათ და როცა გარდაიქმნებით, შეიცვლება მთელი მსოფლიო, რადგან თქვენ მისი ცოცხალი ნაწილი ხართ. ახლა თქვენში უმაღლესი ენერგიაა. ბუდა, უბრალოდ, ზის ბოდხის ხის ქვეშ, სამყარო კი გარდაისახება და იგი არასოდეს იქნება ისეთი, როგორიც ბუდამდე იყო.

იესო ჯვარს აცვეს და იმ ღღიდან ისტორია შეიცვალა. იგი აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც ქრისტემდე იყო. ამიტომაა, წელთაღრიცხვას ქრისტედან რომ ვიწყებთ. იესომდე სულ სხვა კაცობრიობა იყო, მის მერე კი სხვა მოვიდა. ესაა ცოცხალი ფენომენი. როდესაც ქრისტეს ცნობიერება შეიოდის, საერთო ცნობიერებაც იზრდება. მასში გამოკრთება ახალი სხივი. რელიგიური ადამიანი უბრალოდ, გარდაქმნის საკუთარ თავს. ეს მხოლოდ მაშინ ხდება შესაძლებელი, თუ თქვენ

ხედავთ. უნდა მიატოვოთ ფიქციები, რაშიც იმის შეგნება დაგეხმარებათ, რომ ოქვენ არავის და არაფერს არ წარმოადგენთ.

ცოდნა რევოლუციაა, მაგრამ არა ის ცოდნა, რომელსაც ღებულობთ გონების საშუალებით, არამედ ის ცოდნა, რომელიც მოდის მაშინ, როდესაც საკუთარ თავს ეკუთხებით. თვითშეგნება გარდამსახველი ძალაა. როცა იცნებთ, იმავე მომენტში იცვლებით. ცოდნა თავისთავად გარდამქმნელია. იგი მეთოდი არ არის, იგი არ ნიშნავს სწავლას, მნიშვნელობის გაგებას. იგი თავისთავად სასრულია.

მე „ცოდნაში“ თვითშემეცნებას — „თავისთავად ცოდნას“ — ვგულისხმობ. ყველა სხვა დანარჩენი ცოდნა, მხოლოდ მნიშვნელობების შესწავლაა. ამ შემოხვევაში ვერ ცდილობთ შეისწავლოთ როგორ გარდაიქმნათ და შემდეგ იწყებთ მოქმედებას, ხოლო თვითშემეცნების დროს ოქვენ იცით და ეს ცოდნა გცვლით. მოიშორეთ ფიქრები! მოიკრიბეთ გამბედაობა, რათა შეიცნოთ საკუთარი თავი. განაგდეთ შიში და ნუ შეეცდებით საკუთარი თავიდან გაქცევას!

იესო ამბობს: **„...როდესაც ღირეს ამოიღებთ საკუთარი თვალიდან, მაშინ ნათლად დაინახავთ...“**

ღირე ოქვენს თვალში — ოქვენი ფიქციებია. ისინი ნისლად და ღრუბლებად მოძრაობენ თვალებში და ასუსტებენ ოქვენს მხედველობას. მიზანი უნდა გახდეს სინათლე, თვალის ნათელი, რათა პირდაპირ შეგეძლოთ ყურება და ფაქტებში ღრმად შეღწევა, მის გარშემო პროექციების შექმნის გარეშე. მაგრამ ეს ძალიან ძნელია, რამეთუ ოქვენ მექანიკურად, ავტომატურად მოქმედებთ. როდესაც ხედავთ ყვავილს, გონებაში იწყებთ ფიქრს, რომ ასეთი მშვენიერი ყვავილი არასოდეს გინახავთ. ჩნდება ნასესხები პოეზია, ყვავილის სიმკვეთრე კი იკარგება. თქვენ შეგეძლოთ ყვავილი სახელწოდების გარეშე შეგემჩნიათ. აუცილებელია სახელწოდება? თუ ბოტანიკურად შეგიძლიათ ყვავილის დახასიათება, უფრო გალამაზდება? ბოტანიკოსმა იცის ყვავილის შესახებ, პოეტმა იცის ყვავილი.

ბოტანიკოსი უმეცარია, მან ბევრი „ზე“ და „შესახებ“ იცის, პოეტი კი ხედავს.

სასკრიტულად „განმჭვრეტელი“ და „პოეტი“ ერთი და იგივე სიტყვით ითქმის. ამბობენ, რომ თუ კაცი ნამდვილი პოეტია, ის განმსჭვრეტელიცაა და პოეტიცაა, თუ განმსჭვრეტელია.

თუ არის სიცხადე, ცხოვრება პოეზიად იქცევა. რა საჭიროა სიტყვები? სილამაზე სიტყვის გარეშე უნდა შეიგრძნოთ. ყვავილი ისე უნდა დაუკვირდეთ, რომ არ დაასახელოთ — ვარდია თუ ქასმინი. ნუთუ აუცილებელია სიტყვებით გამოხატოთ ყვავილის სიმშვენიერე? არ შეგიძლიათ დაინახოთ და შეიგრძნოთ სილამაზე სიტყვების გარეშე?

თქვენ შეგეძლებათ საკუთარ თავს, რომ ყვავილი მარილა ლამაზია და მის გარშემო შემდეგ ქმნით სილამაზეს. ყვავილი მხოლოდ ეკრანია და მასზე მშვენიერებას აპროექტებთ. სინამდვილეში თქვენ ვერ ხედავთ ყვავილს!

უცქირეთ ყვავილს და ნუ იტყვით ნურაფერს, აქციეთ ცქერა მედიტაციად! მსმენია, რომ უდიდესი ჩინელი მისტიკოსი ლაო ძი ყოველ დილით სეირნობდა. მას თან დაჰყვებოდა მეზობელი, რომელმაც იცოდა, რომ ლაო ძი დუმილში იმყოფებოდა და წლების განმავლობაში, გასეირნებისას მისთვის ერთი სიტყვა არ უთქვამს. ერთხელ მეზობელს სტუმარი ეწვია, რომელმაც მოისურვა ლაო ძისთან ერთად სეირნობა. მასპინძელმა უთხრა: „ჩუმად იყავი, ლაო ძის სურს სამყაროსთან უშუალო ცხოვრება. ნურაფერს ეტყვით“.

ისინი გარეთ გამოვიდნენ და დაახლოებით ერთ საათს ისეირნეს. დილა ხასხასა და მშვენიერი იყო. ბუნება იღვიძებდა. სტუმარს დააგიწყდა გაფრთხილება და ჩვეულებისამებრ თქვა: „რა მშვენიერია!“ ლაო ძიმ მას ისე შეხედა თითქოს ამ უკანასკნელს ცოდვა ჩაედინოს. შინ დაბრუნებისას ლაო ძიმ მეზობელს უთხრა: „ნუღარასდეს ნუ მოხვალ ჩემთან და ნურც სხვას მოიყვან. შენი სტუმარი, როგორც ჩანს, ლაპარაკის

მოკვარულია. დილა მშვიდი და საოცრად მშვენიერი გათენდა, მაგრამ შენი სტუმრის სიტყვებმა ყველაფერი გააფუჭა."

„რა მშვენიერია!" — ისე გაიმეორა, თითქოს ქვა ჩავარდა გუბურაში და წყალი აამღვრია. ჩაატარეთ მელიტაციები ბუნების წიაღში, ხესთან, ვარსკვლავებთან, მდინარის და ზღვის ნაპირას. ჩაატარეთ მელიტაციები ბაზარში, ხალხთა თავყრილობის ადგილებში და ნურაფერს იტყვით. ნუ გაისჯით, ნუ იხარგებლებთ სიტყვებით, მხოლოდ იცქირეთ! თუ შესძლებთ, განწმინდოთ თქვენი აღქმა, თუ მიაღწევთ ხელვის სინათლეს, ყველაფერი მიღწეული იქნება. მაშინ თქვენ დაინახავთ საკუთარ თავს!

საკუთარი თავის შეცნობა ხდება ნაოელი, სუფთა და არა სხეულასხვა ინფორმაციებით დატვირთული გონებით. ეს მხოლოდ უსიტყვო გონებითაა შესაძლებელი, ცნობიერება ყოველთვის აღგილსვა, მაგრამ თქვენ გონების სინათლე გაკლიათ, რათა აღიქვათ. თქვენ გჭირდებათ სარკის მსგავსი გონება და არეკვლა შესაძლებელი გახდება.

მხოლოდ მაშინ შეძლებთ დაეხმაროთ მეზობელს, მაგრამ უფრო — ადრე არასოდეს. ასე რომ, ნუ ურჩევთ ნურაფერს ნურავის! თქვენი რჩევები საშიშია, ვინაიდან არ იცით, რას სჩადიხართ. ნურასოდეს ნუ შეეცდებით საკუთარი შვილის გარდაქმნასაც კი. არავის სჭირდება თქვენი მცდელობანი. ისინი საშიშია.

სანამ თვითონ არ გარდაისახებით, ნუ ჩაერევით სხვის ცხოვრებაში. თუ სავსე ხართ სინათლით, შეგიძლიათ დაეხმაროთ სხვას, მაგრამ მაშინ არ დაგჭირდებათ საკუთარ თავს ძალა დაატანოთ. დახმარება ისე მოდის თქვენგან, როგორც შუქი ლამპარიდან, როგორც სურნელი ყვავილიდან, თქვენ დაემსგავსებით მთვარეს, რომელიც გაბადრულია ღამით — მთვარე ძალდაუტანებლად, უბრალოდ ანათებს.

ვილაცამ ძენის ოსტატ ბასოს სთხოვა: „შენ საუბრობ, მაგრამ ამასთანავე უარყოფ სიტყვებს. განგემარტე ეს".

ბასომ უპასუხა: „ლაპარაკობენ სხვები, მე ვცდილობ".

როცა ძალდატანება არ ხდება, მაშინ თქვენ ყვავილობთ. ბასიო საუბრობს, ბუღაც ძალდაუტანებლად ამბობს საოქმელს. ბუდას ლაპარაკი ბუნებრივი მოვლენაა, ეს თავისთავად ხდება, ხოლო თქვენს საუბარში სხვა ძალები ებმება: გინდათ სხვაზე შთაბეჭდილება მოახდინოთ, მაროოთ სხვები, იბატონოთ მათზე, თავი მცოდნედ მოგაქვთ, აქმაყოფილებთ საკუთარ „ეგოს“ და ეროი სიტყვით, კი არ ყვავილობთ, — თამაშობთ.

თქვენი ლაპარაკი დიდ პოლიტიკურ თამაშს ჰგავს თავისი სტრატეგიითა და ტაქტიკით. მაგრამ ბასიო რომ საუბრობს, იგი ყვავილობს. თუ ვინმე უსმენს მის საუბარს, ისიც სარგებლობს ამ ყვავილობით, მაგრამ ეს არ არის ბასიოს მიზანი. ეს თავისთავად ხდება, როგორც ყვავილის გაფურჩქნა მინდორში. ყვავილი თქვენთვის არ ჰყვავის. ახლოს რომ ჩაუვლიო, სურნელს იგრძნობთ და დატკბებით, მაგრამ თქვენთვის არასოდეს არ ჰყვავის. იგი უბრალოდ ჰყვავის. ბუდა და იესო ყვავილობენ და მთელი შესაძლო ნაბუღობს ამაში სარგებელს. თქვენ კი ცდილობთ, სხვას არგოთ, მაგრამ უშედეგოდ. სამყარო უკეთესი იქნებოდა, უფრო ნაკლები ადამიანი რომ ცდილობდეს მის შეცვლასა და გარდასახვას. ყველა რევოლუცია ბოროტებაა და ყველა რეფორმას დიდ გაუგებრობამდე მივყავართ.

ერთხელ დ.ჰ. ლოურენსმა კაცობრიობას შესთავაზა ასი წლით შეენერებინათ ყველანაირი გარდაქმნა, დაეხურათ ყოველგვარი სასწავლებლები და ეცხოვრათ პრიმიტიულად. ეს მშვენიერი აზრი იყო, მაშინ კაცობრიობა დაიბრუნებდა სიცოცხლესა და ენერგიას, ხოლო ადამიანები — აზრის სინათლეს.

სიტყვები გაბურღოდნენ, დამძიმდნენ და მათ თქვენ ჩიხში შეაყავხარო. იმდენი ცოდნა გაქვთ დაგროვილი, რომ ცაში აფრენა აღარ შეგიძლიათ, ისე დამძიმდით, რომ ფრთებს თავისუფლად ვეღარ შლით. ჩაჭიდებიხართ რაღაც უფასურ საგნებს, რომლებიც საბოლოოდ საპყრობილედ და ბორკილად გექცევათ. ეს ნივთები საშიშია თქვენთვის. ყოველგვარი

სიტყვა, თეორია და მოძღვრება გაუფორიაქებთ. მაო გაიო ვერ აღწევთ ახრის სინაიღეს.

შკუაგდეო ყველა შეცთონება და განსჯა. შეხედეთ ცხოვრებას ბავშვის თვალებით, მხოლოდ შეხედეთ და ეს ახლებური აღქმას შეგაძლებინებთ.

ეს ახლებური აღქმაა ის, რის შესახებაც ამბობს იესო: **„როდესაც დირეს ამოიღებ საკუთარი თვალიდან, მაშინ ნათლად დაინახავ, როგორ ამოიღო ბეწვი შენი ძმის თვალიდან...“**

მხოლოდ ეს გიშველით. თუ შესძლებთ, იქცეთ სინათლედ საკუთარი თავისათვის, სხვასაც გაუნათებთ გზას. ეს ყვავილობაა და ყველას მოუტანს სარგებლობას. თქვენ თავად იქნებით ნეტარება!

1974 წლის 29 აგვისტო
პუნა, ინდოეთი

საშბარი მეათე

მეათე შეგონება

იეხოშ თქვა: — ალმიანს არ მალუშს ერთდროულად
ორი ცხენის მოთოკვა
და ორი მშვილდის მოზიდვა.
ალმიანს არ შეუძლია, ორ ბატონს ემსახუროს,
რაშეთუ თუ ერთს მიაკვებს ხატიუს,
გაანაწყენებს მეორეს.

(თომა, 52)

თითიოულმა უკვე მოითოკა ორი ცხენი, თითიოულმა უკვე მოზიდა ორი და მეტი მშვილდი ერთდროულად — აი, საიდან მოდის ტანჯვა; აი, რატომ შეცთავთ გამუდმებით. თქვენ ორ ცხენზე გინდათ შეჯდომა, რაც შეუძლებელია. ცხენები სხვადასხვა მხარეს მიეჭენებიან და თქვენ არცერთ მხარეს არ შეგიძლიათ წასვლა.

თქვენ შეგიძლიათ ერთი ცხენის ჭენებით მიაღწიოთ რამეს, ორი ცხენის ერთდროულად ჭენება კი ვერ ხერხდება. ისინი ეწინააღმდეგებიან ერთიმანეთს და თქვენ ვერსად ვერ მიდიხართ. სულის სიღრმეში ეწამებით. სიცოცხლე გისხლტებათ ხელიდან, სულ უფრო ცოტა დრო გრჩებათ, სიკვდილი ახლოვდება, თქვენ კი ვერაფერს მიაღწიეთ. თქვენ ჰგავხართ ტბორს, რომელსაც წვიმა აღარ აკვებს და შრება. აღარ გაგაჩნიათ არანაირი მიზანი.

რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ შეუძლებელის შეძლებას ცდილობთ. შეეცადეთ, ჩასწვდეთ თქვენი გონების ფუნქციას და იესოს ნათქვამსაც მიხვდებით. თქვენ გსურთ ღარიბივით

თავისუფალი იყოთ, ვინაიდან მხოლოდ ღარიბი კაცია თავისუფალი, არაფერი აქვს დასაცავი. მას ვერ გაქურდავთ, ვერაფერს წაართმევთ, რამეთუ არაფერი გააჩნია და არც არაფრის ეშინია. ამ უქონლობით იგი სიმშვიდეშია. მას არც მტრები ჰყავს და არც მეტოქეობს ვინმეს, მაგრამ მას ვერაფერში გაეჯიბრებით.

თქვენ გსურთ იყოთ ღარიბივით თავისუფალი, მაგრამ ამავე დროს მდიდარივით, იმპერატორივით უსაფრთხოდ. მდიდარი კაცი თავს საიმედოდ გრძნობს. მან გარეგნულად ყველაფერი მოაწყო და სიკვდილისაგან დაიცვა თავი. მისი მოკვლა არც თუ ისე ადვილია. ამიტომ გსურთ ღარიბის თავისუფლება და მდიდრის უსაფრთხოება. თქვენ ორი ცხენის შეკაზმვა და გაჭენება გსურთ ერთდროულად, ამიტომაც შეუძლებელია რამეს მიაღწიოთ!

თქვენ გიყვართ ვიღაც, მაგრამ გსურთ, რომ მთლიანად ულობდეთ როგორც ნივთს, გავიწყდებათ კი, რომ ნივთის სიყვარული შეუძლებელია — იგი უსულოა და ვერ გიპასუხებთ. ნამდვილ პიროვნებას ვერასოდეს დაეპატრონებით, რადგან იგი ვერცხლის წყალივითაა. რაც უფრო მეტად ცდილობთ ხელის მოჭერას, მით გისხლტებათ. იყო პიროვნება, ნიშნავს იყო თავისუფალი. თუ შეძლებთ მის დაუფლებას, იგი პიროვნება აღარ იქნება და აღარც გეყვარებათ.

თქვენ ორი ცხენის მოთოკვას ცდილობთ. გსურთ, გვერდით გყავდეთ პიროვნება, რომელიც უსულო ნივთივით დაგემორჩილებათ. ეს შეუძლებელია, რამეთუ ადამიანი თავისუფალი და ყოველგვარი გავლენისაგან შეუბოჭავი უნდა იყოს. თუ თქვენს გვერდით ნამდვილი პიროვნება აღმოჩნდება, თქვენ დაიწყებთ მასზე გაბატონებას, გაანადგურებთ მას. თუ არ აუმხედრდება თქვენს ამგვარ ქმედებას, მაშინ ადრე თუ გვიან ის უსულო ნივთად იქცევა. ხშირად ცოლი დეკორატიულ ნივთად გამოიყურება, ქმარი — უბრალო ზედამხედველად, სიყვარული კი ქრება და ასე ხდება თიოქმის ყველანაირ ურთიერთობაში.

ოქვენ ეჭვიანობთ. ეჭვი წინასწარმეტყველურ ძალას გაძლევთ და გიცავთ. ვერავინ შესძლებს აღვილად მოტყუებას. მაგრამ ეჭვი შიშს ბადებს, რომელიც სულის სიღრმეში გაშფოთებთ. ეჭვი ბადებს გაორებას: „ეს თუ ის“. ეჭვი გულისხმობს კითხვას: „ყოფნა თუ არ ყოფნა?“ ამის გადაწყვეტა კი შეუძლებელია. საუკეთესო გადაწყვეტილებას იღებს თქვენი გონების ის ნაწილი, რომელიც უმრავლესობად იქცა, მაგრამ უმცირესობა, რომელიც არც თუ მცირეა და რადგან არასოდეს არ ირჩევთ ამ მცირე ნაწილს, ეს უმცირესობა ეცდება, მოძებნოს სიტუაცია, რომელშიც შესძლებს მიგითითოთ, რომ თქვენი არჩევანი არასწორია. თქვენი გონების უმცირესი ნაწილი მეამბოხეა და ამიტომ გეუფლებათ განუწყვეტელი მღელვარება. ეს არის სულიერი ავადმყოფობა, რაც ეჭვებიდან გაიომდინარეობს.

ეჭვიანი ადამიანი ეშმაკი და ჭკვიანია, მას იოლად ვერ მოატყუებთ. იგი უფრო მორგებულია ამქვეყნიურ ცხოვრებას, მაგრამ იგი ავადაა. ეს არის დანაკლისი. სარგებელიც არის: მას ვერ მოატყუებთ, მაგრამ სარგებლობის საფასური დიდია. ის ყოველთვის აღელვებული და შფოთვარეა. უჭირს გადაწყვეტილების მიღება და თუ ღებულობს, ესაა გადაწყვეტილება უმრავლესობისა უმცირესობის წინააღმდეგ. იგი გაყოფილია და მასში ყოველთვის შინაგანი კონფლიქტია.

თქვენ გსურთ მორწმუნე იყოთ, რადგან რწმენა გაძლევთ ჯანმთრელობას, ჯანმრთელობა კი — ბედნიერებას. აღარ ღელავთ, ხართ უშფოთველი, განუყოფელი და ერთიანი. რწმენა გაძლევთ ჯანმრთელობას, მაგრამ მაშინ ადვილია თქვენი წყენინება, ყველა მოგატყუებთ. მაშინ განსაცდელში ხართ, რადგან თქვენს გარშემო არის ხალხი, რომლებიც ისურვებდნენ თქვენს გამოყენებას. მაგრამ ისინი ამას შეძლებენ მხოლოდ მაშინ, თუ ხართ მორწმუნე. თუ ეჭვი გეპარებათ, ისინი ვერ მოახერხებენ თქვენს ექსპლუატაციას.

და აი, ოქვენც ცდილობთ ორი ცხენის — ეჭვისა და რწმენის მოთოკვას. ეჭიდებით შეუძლებელს, გამუდმებით შფო-

თავთ და ეწამებით. ამ ორი ცხენის მოთოკვაში ალბათ გამოეხალისებით კიდეც სიცოცხლეს. თქვენ კვლებით იქამდე, სანამ მიაღწევდეთ, სანამ ყვავილობა დაიწყება, სანამ გაიგებით, რა არის და რას ნიშნავს ცხოვრება. ყოფიერება გაქრება თქვენივის.

იესომ თქვა: **„შეუძლებელია ორი ცხენის მოთოკვა ერთდროულად..."**

მაგრამ თითოეული ადამიანი შეუძლებლის გაკეთებას ცდილობს. აი, რატომაა ყოველი მათგანი განსაცდელში და მე გეუბნებით, რომ ეს ხდება ნებისმიერი მიმართულებით. ამიტომ არსებობს არა ორი, არამედ მილიონობით ცხენი. თქვენ ყოველ წამს წინააღმდეგობაში ვარდებით, რატომ ხდება ასე? ამის მიზეზი არის ის, რომ ასე ზრდიან ბავშვებს. მთავარია, თუ როგორ შეიძაბიჭებს ბავშვი უგუნური ადამიანებით სავსე სამყაროში. ეს ადამიანები ქმნიან წინააღმდეგობებს, გინერგავენ ურიერთსაწინააღმდეგო აზრებს. მაგალითად, თქვენ გასწავლეს: „გიყვარდეთ მოყვასი, როგორც საკუთარი თავი". და იქვე გზრდიან და გიბიძგებენ სხვასთან სამეტოქეოდ და გულნაითხრობილობისაკენ.

თქვენი მეტოქე თქვენი მტერია და არა მოყვარე. იგი უნდა დაამარცხოთ, დაიპყროთ და გაანადგუროთ. თქვენ ღაუნდობელნი უნდა იყოთ, სხვაგვარად სხვები გაგანადგურებენ. თქვენ ვერ შესძლებთ სიყვარულს, უნდა გძულდეთ, უნდა იყოთ ეჭვიანი, ბოროტი, ბრძოლისა და გამარჯვებისათვის უნდა ეშხადოთ. ეს მძიმე ბრძოლაა და თუ სუსტი გული გაქვთ, ამ ბრძოლას წააგებთ. ამგვარად, ცდილობთ იყოთ ძლიერნი, სასტიკნი და აგრესიულნი. სანამ სხვა დაგესხმებოდეთ თავს, თქვენ მოასწროთ მასზე თავდასხმა და დაამარცხოთ იგი, სხვაგვარად წააგებთ, რადგან მილიონობით ადამიანი ეჯიბრება ერთმანეთს იმავე ნივთებისათვის. მარტო თქვენ არა ხართ. აბა, როგორ შეძლებთ მოყვასი შეიყვაროთ, რომელიც თქვენი მეტოქეა? ეს შეუძლებელია! მაგრამ თქვენ

ორივე მოძღვრებას ხართ ნაზიარები — თქვენ გასწავლეს, რომ „პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა“ და რომ „სიქმე სიქმეა“.

ორივე მოძღვრებას თქვენ ერთად გასწავლიან, ორივე ცხენს ერთად გაძლევენ. ბავშვმა კი არ იცის ამქვეყნიური გზები და ვერ გრძნობს ამ წინააღმდეგობას, რადგან მისი გონება მოუმზადებელია.

იესო და ბუდა საჭიროა არიან, რათა წინააღმდეგობა იგრძნოთ. ბავშვმა არ იცის ამქვეყნიური გზები. მისი მასწავლებლები არიან მამა, დედა, ოჯახის წევრები, ქვეყანა, ვინც მას უყვარს. როგორ შეიძლება ბავშვმა თვითრომ მისი ახლობლები, მასში წინააღმდეგობას ქმნიან. ისინი ხომ მისი კეთილისმყოფელები არიან, მათშია სიცოცხლისა და ენერგიის წყარო და ასე ისწრდება ბავშვი. დედასაც და მამასაც უყვარს შვილი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინიც არასწორად არიან აღზრდილნი და არ იციან, რა ქნან, გამოსავალს მხოლოდ იმაში ხედავენ, რომ გაიმეორონ ის, რაც შობლებისაგან ისწავლეს და შვილებსაც იგივე ასწავლონ. ეს ავადმყოფობა, რასაც ტრადიციაც შეგიძლიათ უწოდოთ, თაობიდან თაობას გადაეცემა.

მთელი სახოგადოება დღითი დღე ნევროზისკენ ხდება. ბავშვი კი ისეთი უცოდველია, რომ მისი დაყენება წინააღმდეგობრივ გზაზე ადვილია. იმ დროისათვის, როცა იგი შეიგრძნობს ამ წინააღმდეგობას, ძალიან გვიან იქნება. გაიხედოს, რომ მთელი თქვენი სიცოცხლე დაკარგულია და ვერასოდეს გაიგებთ, რომ ერთდროულად ორი ცხენის მოთოკვას ცდილობდით. შეეცადეთ, იპოვნოთ ეს წინააღმდეგობები თქვენს ცხოვრებაში. ისინი თქვენში მრავლადაა, რამეთუ თქვენ ქაოსი ხართ!

ხალხი მოხოვს, რომ ისინი ვასიარო იმ სამყაროს, სადაც ჭეშმარიტი მდუმარება და სიჩუმე სუფევს. ვუყურებ მათ და ვხედები, რომ ეს თითქმის შეუძლებელია. სიჩუმე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ყველა წინააღმდეგობა უკუგდებუ-

ლია. ამისათვის საჭიროა დიდი ძალისხმევა, გამჭრიახი გონება, სიმწიფე და გაგება. თქვენ ეს არ გაგაჩნიათ და ფიქრობთ, რომ მხოლოდ მანტრების* განმეორებით გახდებით მდუმარე? ეს რომ ადვილი იყოს, ყველა მდუმარე გახდებოდა. თქვენ ფიქრობთ,რომ საკმარისია რამდენჯერმე თქვათ „რამ, რამ, რამ“ და გახდებით მდუმარე. ეს მანტრა კიდევ ერთ ცხენად იქცევა, ეს არის და ეს. იგი კიდევ უფრო მეტ არევ-დარევას გამოიწვევს. თუ დაუმატებთ კიდევ ერთ ცხენს, უფრო მეტ დომხალს მიიღებთ.

შეხედეთ ე.წ. რელიგიურ ადამიანს — ის უფრო გახლართულია ქსელში, ვიდრე ერისკაცი, რადგან გაჩნდა კიდევ ერთი ცხენი. „ბაზრის“ სამყაროს ადამიანს შეიძლება ბევრი ცხენი ჰყავდეს, მაგრამ ყველა ამქვეყნიურია. ე.წ. რელიგიურ ადამიანს ამქვეყნიური ცხენებიც ჰყავს და ის ცხენებიც, რომლებიც ამ სამყაროს არ ეკუთვნის.

მორწმუნემ მოიგონა სხვა სამყარო, ღმერთი, ღვთის სასუფლო და განაგრძობს ამქვეყნად ყოფნას. ის უფრო მეტად იხლართება. მის არსებაში თანდათან ძლიერდება შინაგანი კონფლიქტი. მორწმუნე არ არის ეროიანი. მისი ყველა ნაწილი კიდევ უფრო იყოფა. აი, ეს არის ნევროზი.

თქვენ არასწორად გაგზარდეს, მაგრამ ახლა არაფრის შეცვლა აღარ შეიძლება, რადგან უკვე აღზრდილნი ხართ. უკან გზა მოჭრილია. ამიტომ უნდა შეიგნოთ ეს და უკუაგდოთ შეგნების გზით. თუ ამაზე უარს იტყვით იმის გამო, რომ მე ვამბობ ასე, მაშინ თქვენ დაამატებთ კიდევ ერთ ცხენს. თუ უკუაგდებთ იმიტომ, რომ ყველაფერი გაიგეთ, თუ გაგების წყალობით იტყვით, მაშინ ძველი ცხენებიც გათავისუფლდებიან, რადგან ისინი შესძლებენ მოძრაობას და მიზნის მიღწევას. იგივეს შესძლებთ თქვენც. მარტო თქვენ ხომ არ გიჭირთ, თქვენი ცხენებიც დიდ გასაჭირში არიან, თქვენს გამო მათ არსად წასვლა არ შეუძლიათ.

შეიბრალეთ საკუთარი თავი და ცხენებიც! ამას თქვენ თვითონ უნდა ჩასწვდეთ და არა ჩემი, ან ბუდას, ან იესოს

სწავლების საშუალებით. მათ შეუძლიათ გზა მიგასწავლონ, მაგრამ თუ ისე გაიჭედებით ამ გზას, რომ ვერაფერი გაიგეთ, ვერასოდეს მიაღწევთ მიზანს.

ახლა შეეცადეთ, ნასწვლეთ იესოს ნაოქვამს:

„ადამიანის არ შეუძლია ერთდროულად
ორი ცხენის მოთოკვა
და ორი შვილდის მოზიდვა.
ადამიანის არ ძალუძს, ორ ბატონს ემსახუროს,
რამეთუ თუ ეროს მიაგებს პატივს,
გააწყენებს მეორეს“

რატომაა ეს შეუძლებელი? და რა არის შეუძლებლობა? შეუძლებლობა არ არის რაღაც ძალიან ძნელი, არა! რაც არ უნდა ძნელი იყოს რაღაც, ის არ არის შეუძლებელი. თქვენ მას შეგიძლიათ მიაღწიოთ. შეუძლებლობა კი ნიშნავს, რომ მიღწევა შეუძლებელია, რაც არ უნდა აკეთოთ; რადგან მისი გაკეთების საშუალება არ არის.

როდესაც იესო ამბობს: „შეუძლებელია“, გულისხმობს სწორედ შეუძლებელს და არა ძალიან ძნელს. თქვენ ცდილობთ, შეუძლებელი გააკეთოთ, რა მოხდება? რა მოგივათ თქვენ, ვინც მთელ ძალას ხარჯავთ, რათა შეუძლებელი მოახდინოთ? თქვენ დაიღუპებით! ამის გაკეთების შესაძლებლობა არ არსებობს, მაგრამ აკეთებთ რა ამას, თქვენ ანგრევთ საკუთარ ცხოვრებას. შეხედეთ ადამიანებს, რომლებიც ყოყმანობენ. გინახავთ ეჭვიანი კაცი, რომელსაც რწმენა არა აქვს? თუ ნახავთ ადამიანს, რომელიც მხოლოდ ეჭვიანობს, დაინახავთ, რომ მას არ შეუძლია სიცოცხლე. საგიუეთში ნახავთ ხალხს, ყველაფერში ეჭვი რომ ეპარებოდათ. მათ ზოგჯერ განძრევაც კი არ შეუძლიათ, რადგან ეჭვი ეპარებათ უბრალო მოქმედებაშიც.

მე ვიცნობდი ერთ კაცს, რომელიც იმდენად იყო ეჭვებით სავსე, რომ მისი სახლიდან რამდენიმე იარდით დაშორებულ ბაზარშიც ვერ მიდიოდა. რამდენჯერაც გამოვიდოდა სახლიდან, იმდენჯერ უკან ბრუნდებოდა, რათა საკეტი შეემოწმებინა.

ბავშვები დავკითხოთ საბრალოს. გაიოვიდოლა თუ არა ქუ-ნაში, ვკითხებოდით: „კარი ღია ხომ არ დაგრჩა?“ ის ბრა-ზობდა და უკანვე ბრუნდებოდა საკეტის შესამოწმებლად. მარ-ტოხელა იყო, არავინ პყავდა და მაინც ასე ეშინოდა. იგი ნამდვილი სკეპტიკოსი იყო.

თუ ყველაფერზე ყოყმანობთ და ეჭვიანობთ, თქვენი ად-გილი საგიუეოშია. თქვენ იქნებით ადამიანის ტიპი, რომელიც ნაწილებადაა დაშლილი. თუ ამას რწმენას ამჯობინებთ, აბსო-ლუტურად დაბრმავდებით. მაშინ ვისაც საღ მოუნდება, იქ წაგიყვანთ, აღარ გექნებათ საკუთარი გონება და სიფხიზლე. ზუსტად ასეთი ხალხი ეხვია ირგვლივ ჰიტლერს. მათ სწამდათ და ამ რწმენის გამო ღაკარგეს საკუთარი თავი.

თქვენ ცდილობთ, თავი დააღწიოთ ორივე უკიდურესობას, მიაღწიოთ შეუძლებელს. ერთ უკიდურესობას თქვენთვის ნევროზი მოაქვს, მეორეს — სიბრმავე. მარტივი გონების ად-ამიანი გაიოვიქრებს, რომ სჯობს კომპრომისზე წასვლა, რომ უკეთესია ნახევრადეჭვები და ნახევრადრწმენა, მაგრამ მაშინ ორ ცხენს ერთდროულად თოკავთ.

შესაძლებელია ცხოვრება ეჭვისა და რწმენის გარეშე? შესაძლებელია! სინამდვილეში ეს ზრდის ერთადერთი გზაა — ეჭვისა და რწმენის გარეშე ცხოვრება, **ცხოვრება უბრალოდ, თვითნებურად და შეგნებით.** ეს კი არის, რასაც სინამდვილეში რწმენა წარმოადგენს. თქვენ გწამთ სიცოცხლე ეჭვების და რწმენის გარეშე, იმის მიუხედავად, თუ საღ წაგიყვანთ ცხოვრების მდინარება. **თქვენ უბრალოდ უცოდველად მოქრაობთ.**

ეჭვებით შეპყრობილი ადამიანი ვერ იმოქმედებს ისე, რამე რომ არ გააფუჭოს. სანამ ნაბიჯს გადადგამდეს, იგი ზოგჯერ იმდენს ფიქრობს, რომ წინააღმდეგობები ქრება. აი, რატომ ვერ აღწევენ ბევრს მოაზროვნეები — მათ არ ძალუძთ იმოქმედონ. ისინი მხოლოდ გონებას ეყრდნობიან, ვინაიდან ვიდრე რაღაცას მოიმოქმედებენ, გადაწყვეტილება უნდა მიიღონ, რაც უჭირთ. აბა, როგორღა იმოქმედებენ? მაშინ უმჯობესია დაიცადონ და

არ იმოქმედონ. მაგრამ ცხოვრება მიდის. მეორე შემთხვევაში, მორწმუნე, ბრმა ხლებით. მაშინ ნებისმიერ პოლიტიკოსს, შეშლილს, პაპს ან ქურუმებს შეუძლია თქვენი მართვა. მაგრამ ისინი თავადაც ბრმები არიან, ხოლო როდესაც ბრმა მიუძღვის ბრმას, ეს კატასტროფით მთავრდება. როგორ მოვიქცეთ? — გონება გვკარნახობს: „წავიდეთ კომპრომისზე“.

სწავლულმა ბ.ფ. სკინერმა საყურადღებო ექსპერიმენტი ჩაატარა: თეთრ თაგვებს 2-3 დღის განმავლობაში არ აჭმევდა. თაგვებს ისე მოშიებდათ, რომ მზად იყვნენ ნებისმიერი რაღაც შეეჭამათ. სკინერმა ისინი ამაღლებულ ადგილზე დასვა, რომლის ძირში ორი ერთნაირი ფერისა და ზომის ყუთი მოათავსა. ოროვე ყუთში იყო საკვები. თაგვები ან ერთ ყუთში უნდა ჩამხტარიყვნენ, ან მეორეში.

თავდაპირველად თეორი თაგვი დაუფიქრებლად ხტებოდა. მარჯვენა ყუთში ჩახტომის შემთხვევაში იგი ელექტროშოკს იღებდა. ამაეე ყუთში მოთავსებული იყო მახე, რომლის საშუალებით თაგვი ცარიელ სივრცეში ხვდებოდა და საკვებამდე ვერ აღწევდა. მარცხენა ყუთში კი თაგვს შეეძლო თავისუფლად მიეღწია საკვებამდე. 2-3 დღის განმავლობაში თაგვი არნევანს აკეთებდა, შემდეგ კი ხტებოდა მარცხენა ყუთში და მარჯვენა ყუთს თავს არიდებდა.

შემდეგ სკინერმა ყუთებს ადგილი შეუცვალა. თაგვი ხტებოდა მარცხენა ყუთში და ღებულობდა ელექტროშოკს. მან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ცახცახებდა და ეჭვებს შეეპარო. თეთრი თაგვების ბედს იზიარებენ ფილოსოფოსებიც. ისინი ეჭვებით შეპარობილნი ფიქრობენ, რომელი მხარე აირჩიონ — მარჯვენა თუ მარცხენა. ვინ იცის? შემდეგ თაგვი კვლავ ენვეოდა. მაშინ სკინერი ისევ ანაცვლებდა ყუთებს. თაგვი ისე იბნეოდა, რომ ხან ერთ ყუთს უყურებდა, ხან მეორეს და არცერთში არ ხტებოდა. შემდეგ კი ისე იქცეოდა, როგორც თქვენ მოიქცეოდით. ხტებოდა ყუთებს შორის, სადაც არ იყო საკვები. რამდენიმე კვირის შემდეგ თაგვს ეშლებოდა ნერვული სისტემა.

სწორედ ასე მოგდით თქვენც. იბრძვით, არ იცით რა გააკეთოთ და ერთადერთი აზრი მოგდით თავში — თუ არსებობის გაკეთება ძნელია, მაშინ უმჯობესია კომპრომისზე წასვლა, ანუ შუაში ხახუნია. მარილია იქ არ არის ელექტროშოკი, მაგრამ იქ არც საკვებია.

ფუჭია ცხოვრება, თუ შუაში ხტებით. თეთრ თაგვს ორივე ყუაში ხახუნის შესაძლებლობა რომ აქორწილა, ასეც მოიქცეოდა.

ანალოგიური არჩევანი დგას თქვენი გონების წინაშე: ორი ცხენის მოთოკვა ერთდროულად, ან ორ ყუას შორის ხახუნია. საჭიროა გაიჭრიახობა და გონების სიმახვილე, რათა პრობლემის არსს ჩასწვდეთ, სხვა არჩევანი არ არსებობს.

მე არ გაძლევთ რჩევას, არც იესო გირჩევთ რამეს, რადგან პრობლემების გაგება თავისთავად ნიშნავს მის გადაწყვეტასაც. ნუთუ არ შეიძლება, იცხოვროთ რწმენისა და ეჭვის გარეშე? ნუთუ შეუძლებელია ცხოვრება უკომპრომისოდ? კომპრომისი ხომ შხამია და მთელ თქვენს ცხოვრებას წინააღმდეგობებით აცსებს. და თუ არის წინააღმდეგობა, თქვენ გაორდებით, დაიწევრდებით და საბოლოოდ შიზოფრენიამდე მიხვალთ.

თუ აირჩევთ ერთს და უარყოფთ მეორეს, მაშინ უარყოფთ იმ სარგებელსაც, რომელიც ამ მეორეს გააჩნია. ყოყმანი გიცავთ ექსპლუატაციისაგან, რწმენა კი თავდავიწყებულობას გმატებთ. თუ ირჩევთ ორივეს, ერთდროულად ორი ცხენის მოთოკვას ცდილობთ. თუ მიდიხართ კომპრომისზე, საკუთარ არსებაში გაორებას იწვევთ და იქცევით ბრბოდ. მაშ, როგორ უნდა მოიქცეთ? ჩასწვდით პრობლემას, მოეშვით ორი ცხენის ღევნას და არც კომპრომისზე წახვიდეთ.

მაშინ დაიწყება სხვაგვარი ცხოვრება, თქვენი აზროვნება სხვა ხარისხში გადავა. მაგრამ რატომ არ აკეთებთ ამას? იმიტომ, რომ ასეთ აზროვნებას ფხიზელი გონება და შეგნება სჭირდება. მაშინ აღარ დაგჭირდებათ სხვაში დაეჭვება. სიფხიზლე დაგიცავთ სხვათა ექსპლუატაციისაგან.

თქვენ ვერ მოატყუებთ ფხიზელ ადამიანს, რადგან მისი მსერა გამხელთ და თუ საშუალებას გაძლევთ, ექსპლუატაცია გაუწიოთ მას, ეს იმიტომ კი არა, რომ აგებთ ან მოატყუეთ იგი, არამედ იმიტომ, რომ ის თავაზიანია და ამის ნება მოგცათ. შეუძლებელია, ფხიზელი ადამიანი მოატყუოთ, ვინაიდან ის თავიდან ფეხებამდე გიცნობთ და მხოლოდ თანაგრძნობის გამო გატყუებინებთ თავს. საბოლოოდ მაინც ვერ მოატყუებთ.

ეს სიფხიზლე ერთი შეხედვით, ძნელი მისაღწევია. აი, რატომ ირწმუნეთ შეუძლებელს. მაგრამ შეუძლებლის მიღწევა წარმოუდგენელია. თქვენ მხოლოდ საკუთარი თავის დარწმუნება შეგიძლიათ, რომ ეს შესაძლებელია, მაგრამ ეს არც მომხდარა და არც მოხდება. თქვენ აირჩიეთ შეუძლებელი იმიტომ, რომ ის გეაღვილებათ.

კომპრომისი ყოველთვის ადვილი ნანს. როგორც კი რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით, კომპრომისზე მიდიხართ, მაგრამ ეს არაფერს გშველით, რადგან ის იმ წინააღმდეგობებს გულისხმობს, რომლებიც თქვენში არსებობს. ეს წინააღმდეგობები გძაბავთ და გაორებთ, გაორებული ადამიანი კი ვერასოდეს ვერ იქნება ბედნიერი.

აი, რას გულისხმობს იესო, მაგრამ ქრისტიანებმა ვერ გაიგეს მისი ნათქვამი. მათ მთლიანად დაკარგეს იესო, რაშეთუ გონება ინტერპრეტაციას ახდენს. მაინც რის ინტერპრეტაციას? **„ამოირჩიეთ ორიდან ერთი ცხენი — ან ეს სამყარო, ან — ის. ნუ შეეცდებით ორი ცხენის მოთოკვას. ეს შეუძლებელია. თქვენ ერთი ცხენი უნდა ამოირჩიოთ“**. აი, იესოს ამ შეგონების როგორი ინტერპრეტაცია მოახდინეს ქრისტიანებმა.

ერთხელ, ღამით მოლა ნასრედინის ცოლს მოშიებლა. საჭმელი უკვე გათავებოდათ და ქალმა მხოლოდ ძაღლის ორცხობილა იპოვნა. გასინჯა და ძალიან ეეემრიელა. ნასრედინს უთხრა, რომ მთელი ყუთი ძაღლის ორცხობილა ეყიდა.

დილით ნასრედინმა შეუკვეთა დიდი რაოდენობით ორცხობილა. გამყიდველმა ჰკითხა: „შენ ხომ პატარა ძაღლი გყავს? ამდენი ორცხობილა რაში გჭირდება?“

ნასრედინმა უპასუხა: „ცოლისთვის მისდა“.

გამყიდველმა უთხრა: „უნდა გაგაფრთხილო, რომ ეს ძაღლის საჭმელი ადამიანისათვის მომწამვლელია და შენი ცოლი თუ შეჭამს, მოკვდება“.

ექვსი თვის შემდეგ ნასრედინის ცოლი მართლაც მოკვდა. ეს რომ გამყიდველმა გაიგო, ნასრედინს უთხრა: „აკი გაგაფრთხილე, რომ ორცხობილა მაყნებელია“.

„ჩემი ცოლი ძაღლის ორცხობილას არ მოუკლავს, იგი მანქანამ გაიტანა“ — უთხრა მოლამ.

თქვენი გონება საკუთარ დასკვნებს ებღაუჭება, რადგან დასკვნებთან ერთად თვითდაჯერებულობასაც კარგავთ. ამიტომ ყოველგვარ სიტუაციაში ეჭიდებით დასკვნებს, რაც თქვენს „ეგოს“ ნიადაგს უქმნის და გონება გინძტიცდებათ.

ერთხელ ნასრედინი სეირნობდა. მას ხელში გრძელი ჯოხი ეჭირა. ნაცნობმა შენიშნა და უთხრა: „რატომ არ წააჭრი ამ ჯოხს ერთ ბოლოს“

„ეს საქმეს არ უშველის. ჯოხს მეორე ბოლო აქვს გრძელი“, — უპასუხა ნასრედინმა.

თქვენმა მსჯელობამ შეიძლება თვითმკვლელობამდე მიგიყვანოთ. თქვენ ფიქრობთ, რომ მსჯელობთ, სინამდვილეში კი თავს იტყუებთ. მაგრამ არ გსურთ საკუთარი „ეგოს“ ნიადაგი დაკარგოთ. გინდათ, იყოთ თვითდაჯერებულნი და დარწმუნებულნი საკუთარ დასკვნებში. გონებიდან წამოსული დაჯერებულობა კი ყალბია, რამეთუ სინამდვილეში გონებას არ შეუძლია თქვენი დარწმუნება, რადგან ის სიცრუეს ეყრდნობა და მისგან ჭეშმარიტებას ვერ მიიღებთ. გონება მხოლოდ აზრები და მოსაზრებებია. მასში სუბსტანციური არაფერი არ არის. თავს კარგად გრძნობთ მხოლოდ იმიტომ, რომ გონება გონიერ დასაბუთებას თამაშობს.

ქრისტიანები ყველაფერს კარგავენ. ისინი ფიქრობენ, თითქოს იესო ამბობდეს: **„აირჩიეთ!“** ქრისტეს კი ეს არასოდეს უთქვამს. **იგი არჩევანს უარყოფს.** თუ ირჩევთ, თქვენი გონება ძლიერია და ურყევი და არჩევანის პროცესში უფრო ძლიერ-

ღება. მაგრამ საკითხი ასე არ დგას. არსებობის შემთხვევაში არ შეიძლება სრულყოფილი იყოთ, ვინაიდან რომელიმე მხარე უნდა უარყოთ. თუ რწმენას ირჩევთ, ეჭვი უნდა უარყოთ. რას უზამთ ეჭვებს? მათ ღრმად აქვთ ფესვები გადგმული. თქვენ მხოლოდ თვალის დახუჭვა შეგიძლიათ და ეჭვების ქვეცნობიერებაში მომწყვდევა, თუმცა ეჭვი მაინც იარსებებს, გაიმოლრლების თქვენს გონებას და აღრე თუ გვიან მაინც ამოქმედდება. როგორ მოიშორებთ ეჭვს? მას თუ აირჩევთ, რწმენას რას უზამთ? ის ხომ თქვენი ნაწილია. ასე რომ, მოხდება კომპრომისი და თქვენში სხვადასხვა მოსაზრებანი აირევა. ეს იქნება არა სინთეზი, არამედ კომპრომისი.

იესო წინააღმდეგობების უკუგდებას გულისხმობს, მას მხედველობაში აქვს: „არ აირჩიო!“

დააკვირდით მის ფრაზას: „...თუ ერთს მიაგებს პატივს, მეორეს გაანაწყენებს...“ თუ ირჩევდით ერთს, პატივიც ერთისათვის უნდა მიგეგოთ, მეორე ნაწილი კი შურს იძიებს და ამბოხდება.

მეცნიერება დაიოკებულია და მთლიანად აგებულია ეჭვებზე. დაკვირვებიხართ მეცნიერებს? ლაბორატორიის გარეთ ისინი მიმნდობნი არიან, ვერ ნახავთ სწავლულზე მეტად მორწმუნე კაცს. მათი მოტყუება ძალზე ადვილია, რამეთუ მათი იჭვნეული ნაწილი ლაბორატორიაში რჩება, მორწმუნე მხარე კი — ლაბორატორიის გარეთ. ისინი ძალიან უბრალო ადამიანები არიან, მაგრამ ლაბორატორიებში ძალიან ფრთხილები და ეჭვიანები არიან. თქვენ ადვილად მოატყუებთ მეცნიერს.

ე.წ. რელიგიური ადამიანის მოტყუება კი არ არის ადვილი. ტაძარში ისინი ღრმად მორწმუნენი არიან, ტაძრის გარეთ კი ძალიან ფრთხილნი. ტაძრის გარეთ მათ ვერ მოატყუებთ, ტაძარში კი შესაძლებელია მათი ექსპლუატირება, რამეთუ იქ ძალიან უბრალონი არიან, მათი ეჭვნეული „მე“ გარე სამყაროში იმყოფება და იმიტომ. ისინი კარგი ბიზნესმენები არიან, აგროვებენ დანაზოგსა და ექსპლუატაციას უწევენ მთელ მსოფლიოს.

მეცნიერი ვერ იქნება კარგი ბიზნესმენი და პოლიტიკოსი. ეს შეუძლებელია, რადგან მათი ენერგია შეპყრობილი „მე“ მოავრდება ლაბორატორიაში, მის გარეთ კი მორწმუნე „მე“ მოქმედებს. შინ მეცნიერი სრულიად განსხვავდება ლაბორატორიაში მყოფი მეცნიერ-მკვლევარისაგან. ოქვენ ალბათ ბევრი გსმენიათ მათი გონების გაუვარჯულობისა და ღაბნეულობის შესახებ. ეს მართალია, რადგან მეცნიერები თავის ყურადღებას ლაბორატორიაში იყენებენ, გარეთ კი უყურადღებოდ იქცევიან, მათ ორმაგი ცხოვრება აქვთ.

ერთხელ ალბერტ აინშტაინი* მეგობარს ესტუმრა. მათ ისადილეს, იბაასეს, მაგრამ ვინაიდან აინშტაინი სიტყვაძუნწი იყო, მეგობარი დაიღალა. ღაბნელდა. მალე ღამის 11 საათი სრულდებოდა. მეგობარს უკვე სურდა, აინშტაინი შინ წასულიყო, მაგრამ უსრდელობა იქნებოდა სახელგანოქმული ადამიანისათვის ამის თქმა. მეგობარმა სიტყვა გადაუკრა: „უკვე 12-ის ნახევარია“. მაგრამ აინშტაინი იჯდა და ამოქნარებდა. მერე მეგობარმა კვლავ გადაუკრა სიტყვა: „მე მგონი, რული მოგეკიდათ, ისე ამთქნარებთ“.

აინშტაინმა მიუგო: „დიახ, ძალიან მეძინება, მაგრამ გელოდები, როდის წახვალთ“.

მეგობარმა უთხრა: „რას ამბობ? შენ ხომ ჩემ სახლში ხარ“.

აინშტაინი წამოდგა და მიუგო: **„მაპატიე! ჩემს სახლში მეგონა თავი და სულ გვიკრობდი, მალე წასულიყავი“.**

მეცნიერი სრულყოფილი პიროვნებაა ლაბორატორიაში, ვინაიდან ყურადღებითაა აღსავსე. ლაბორატორიის გარეთ კი იგი სულ სხვაგვარი, მთლად საწინააღმდეგო ადამიანია.

აი, რატომ ხედავთ წინააღმდეგობებს ე.წ. რელიგიური ადამიანის ცხოვრებაში. ტაძარში ისინი ისეთი უცოდველები ჩანან, რომ თვალში ცრემლი ერევათ და ტირიან. მაგრამ თქვენ ალბათ ვერ წარმოიდგენთ, რა სახე ექნება იგივე ადამიანს მასთან მაღაზიაში ან სამსახურში თუ მიხვალთ. ემოციური და მორწმუნე „მე“ მოავრდება ტაძარში, მერეთსა თუ

ეკლესიაში. იქიდან გამოსული კი სკეპტიკურია და მეცნიერზე მეტად ყოყმანობს ამა თუ იმ საკითხში.

აი, ასე ვცხოვრობთ ორმაგი ცხოვრებით. ეს კომპრომისია. იესო არ გეუბნებათ, რომ ერთი ამოირჩიოთ მეორის სარჯზე. თუ თქვენ ასე იქცევით, მეორე ნაწილი განაწყენდება და შურს იძიებს. ეს ყველაფერი კი ცხოვრებას ართულებს. რაც უფრო მეტად ცდილობთ ერთი ნაწილით ცხოვრებას, მით უფრო მეტად ჩაშლის მეორე ნაწილი თქვენს წამოწყებასა და საქმეებს. ეს ისევ და ისევ მეორდება. მაშ, როგორ უნდა მოიქცეთ?

არსებული არ არის გამოსავალი. მთავარია, თქვენი არსების მთელ წინააღმდეგობრიობას ჩასწვდეთ. ნუ ამოირჩევთ, ნუ უარყოფთ ერთ ნაწილს მეორის ხარჯზე.

მედალს ორი მხარე აქვს. შესაძლოა, თქვენ არ მოგწონთ მედლის რომელიმე მხარე, მაგრამ მედალი უნდა გქონდეთ და გამოიყენოთ. თუ გსურთ ერთი ნაწილი, მეორეც უნდა აიტანოთ. ამ შემთხვევაში გექნებათ მთლიანი მედალი. თქვენ მხოლოდ შეგიძლიათ დამალოთ მედლის ის მხარე, რომელიც არ მოგწონთ, მოსაწონი კი გამოაჩინოთ. სულ ეს არის, რაც შეგიძლიათ მოიმოქმედოთ.

აი, როგორაა მოწყობილი ცნობიერი და ქვეცნობიერი. ცნობიერი არის ის ცხენი, რომელიც მოგწონთ, ქვეცნობიერი კი — ის, რომელიც არ მოგწონთ. ცნობიერია ის, რაც აირჩიეთ, ქვეცნობიერი კი — ის, რაც უარყავით. ეს ორი ეკლესიაა — ერთი, რომელშიც ლოცულობთ და მეორე, რომელშიც არც შეგიხედავთ. სხვაა ბუდას მსგავსი ადამიანი. მასში ცნობიერი და ქვეცნობიერი გამქრალია, ვინაიდან ის არც ერთ ნაწილს ირჩევს, არც მეორეს. მთლიანი მედალია აგდებული. მხოლოდ მთლიანი მედლის აგდებაა შესაძლებელი. ნახევარი მხარის აგდებას ვერ მოახერხებთ!

ეჭვი და რწმენა — ეს ერთი მედლის ორი საპირისპირო მხარეა და განუყოფლად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ისინი ერთი მთლიანი პოლუსებია, როგორც დადებითი და

უარყოფითი მუხტი, როგორც ქალი და მამაკაცი, ცივი და ცხელი. გამოიყურებიან როგორც წინააღმდეგობები, მაგრამ ისინი ერთი მოვლენის პოლუსები არიან.

ვერ მოიშორებთ დადებით ელექტრომუხტს, თუ უარყოფითი ისევ გაგაჩნიათ. არ შეგიძლიათ ერთის დატოვება და მეორის მოცილება და თუ ცდილობთ, მაშინ თქვენი არსება იყოფა — უკუგდებული რეპრესირებული ნაწილი იქცევა ქვეცნობიერად, ხოლო მიღებული ნაწილი ცნობიერად. ახლა მათ შორის გარდუვალია გამუღმებული ბრძოლა.

გამოდის, რომ თქვენ ვერ კიდევ ორი ცხენის ეროდროულად მოთოკვას ცდილობთ. რჩება ერთადერთი გზა — შეგნებით მოიცილოთ საკითხი მთლიანად. აი, რაში მდგომარეობს საიდუმლო. ნუ უკუაგდებთ, რადგან კვლავ არჩევანის შესაძლებლობა რჩება. ეს საკმაოდ რთული საკითხია! თქვენ შეგიძლიათ უკუაგდოთ, ე.ი. აირჩიოთ არაუკუგდების ხარუჩზე, მაგრამ შედეგად ისევ ორი ცხენი შეგრჩებათ ხელო. ეს უნდა გაიგოთ! უკუგდება არ გამოდგება საშუალებად, ის შედეგია. არსი შეგნებაშია!

გაიგეთ! მთელი უმეცრება, იმისა თუ როგორ ექცეოთ საკუთარ თავს, რის ნებას რთავთ, რა წინააღმდეგობებს აგროვებთ. დაინახეთ ეს ყველაფერი მოლიანად. ნუ იქნებით „მომხრე“ ან „მოწინააღმდეგე“. ნუ განსჯით და ნურც გაამართლებთ. შეხედეთ, დააკვირდით საკუთარ თავს ისეთს, როგორიც ხართ. ნუ ცდილობთ, ნუ გაასამართლებთ, ნუ იქნებით შემფასებელი. მხოლოდ მაყურებელი და მიუკერძოებელი მოწმე იყავით!

მთლიანობაში დაინახეთ, ვინ ხართ და რას წარმოადგენთ. დააკვირდით, რა არის თქვენში არეული. მხოლოდ პირდაპირ დაინახეთ, სინამდვილეში როგორც არის და უეცრად შეიგნებთ ყველაფერს, რაც თვითონ იქცევა უკუგდებად. ეს იმას ჰგავს, კედელში გასვლას რომ ცდილობდეთ და უეცრად აღმოაჩინოთ, რომ კედელს კარი არა აქვს. კიდევ დაგჭირდებათ უკუაგდოთ ძალდატანება? თქვენ არც მომხრე იქნებით და არც მოწინააღ-

მღეგე. უბრალოდ გესმით, რომ ძალდატანება აბსოლუტურად უსარგებლოა.

აი, რა აზრია გალმოცემული იესოს ნაიქვაში — უბრალოდ იყავით მაყურებელი, არაფერს ირჩევთ და არც ძალდატანება გჭირდებათ.

სადაც შეგნებაა, იქ არ არის ძალდატანება და რაც ძალდატანებას არ მოითხოვს, ყოველთვის მშვენიერი და მოლიანია. სადაც ძალდატანებაა, იქ არის სიმახინჯეც, რადგან ის ყოველთვის ნაწილია და არაა მოლიანი. ძალდატანების დროს სულის სიღრმეში გრძნობთ, რომ რაღაცას ებრძვით. რატომ იბრძვით? იმიტომ, რომ რასაც ეწინააღმდეგებით, ის თქვენთვის ამაგე დროს მნიშვნელოვანია.

თქვენთვის მტერიც და მოყვარეც, ორიეე მნიშვნელოვანია, მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართებით. გიფიქრიათ ოდესმე, რომ როცა თქვენი მტერი კვდება, თქვენშიც რაღაც წყდება არსებობას? მარტო მეგობრის სიკვდილი კი არა, მტრის აღსასრულიც გაღონებთ. თქვენ აღარ შეგიძლიათ ღარნეთ იგივედ.

ასეც მოხდა ინდოეთში — მუპაიელ ალი ჯინა და მაჰატმა განდი გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ამბობენ, რომ როდესაც განდი მოკლეს, ჯინამ თქვა: „მე ძალიან ავად ვარ. ნემშიც რაღაც მოკვდა“.

ეს ასეც არის. ამიერიდან ვის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა ალი ჯინას? თუ მტერი გაწყდა, „ეგოც“ ქრება. თქვენ მეგობრებისა და მტრების ერთობლიობა და წინააღმდეგობრიობა ხართ.

მხოლოდ ის არის მოლიანი, ვისაც არც მტერი ჰყავს და არც მეგობარი; ვინც არ ირჩევს და უპირატესობას არ ანიჭებს რომელიმეს; ვინც შეგნებულად უბრალოდ ცხოვრობს გაელვებიდან გაელვებამდე; ვინც პირდაპირ ღებულობს ყველაფერს, რასაც ცხოვრება იძლევა. იგი მოგზაურობს და არ არის მებრძოლი. თუ ეს შეიგნეთ, იესოს სიტყვებსაც აღვილად ნაწვდებით.

„ადამიანის არ ძალუძს ორი ცხენის მოთოკვა
და ორი მშვილდის მოზიდვა ერთდროულად.
ადამიანის არ ძალუძს, ორ ბატონს ემსახუროს,
რამეთუ ერთს თუ მიაგებს პატივს,
მეორეს გააწყენებს...“

ჩვეულებრივ, ეს ასე შეიძლება გავიგოთ: „ამოირჩიე ერთი ბატონი, ნუ ამოირჩევ ორს, მაგრამ თუ არჩევანს აკეთებთ, მთლიანობას კარგავთ. მთავარი ის არ არის, რომ ორ ოსტატს შორის ერთ-ერთი ამოირჩიოთ, რაღგან მაინც მორად დარჩებით. **მხოლოდ არჩევანის უპირობა მოგანიჭებთ თავისუფლებას,** ამ დროს ძალდატანება თავისთავად გაშორდებათ და თქვენ თვითონ ხდებით ოსტატი“.

ინდოეთში სანიასინს ეუწოდებთ „სვამის“ რაც ნიშნავს თავისი თავის ოსტატს, რომელმაც უკვე უკუაგდო არჩევანი და აღარ ცნობს ბატონს. ასეთ პიროვნებას ეგოისტური გაგება არ ექნება. თუ ირჩევთ ურთიერთსაწინააღმდეგოდან რომელიმეს, თქვენ ხდებით მსხვერპლი და წინააღმდეგობებში გაორებული რჩებით.

სანიასინი ამ ცხოვრებას არც ეწინააღმდეგება და არც ემხრობა. იგი საერთოდ არ არის არანაირ წინააღმდეგობაში. ის უბრალოდ, არსებობს მეგობრებისა და მტრების გარეშე.

ძენის ერთი ბერი დილით ადრე მარტოდმარტო იდგა მთის წვერზე მდუმარედ. იქვე ახლოს სასეირნოდ გამოსულმა სამმა კაცმა ჩაიარა. მათ ბერი რომ დაინახეს, სამივეს სხვადასხვა აზრმა გაუელვა თავში.

ერთმა თქვა: „მე ვიცნობ ამ ბერს, ოდესღაც მან ძროხა დაკარგა და ამ სიმაღლიდან ეძებს მას“.

მეორემ აღნიშნა: „მისი დგომის ფორმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სულაც არა ჰგავს რაიმის მძებნელ ადამიანს. ვფიქრობ, მეგობარს ელოდება, რომელიც სეირნობისას ჩამორჩა მას“.

მესამემ კი განაცხადა: „მიზეზი არც ეს უნდა იყოს. როცა კაცი ვინმეს ელოდება, ზოგჯერ მაინც იხელება უკან, რათა

ნახოს მოდის თუ არა იგი. ეს ბერი კი საეროდ არ ინძრევა, არც უკან იყურება. ის არაფის არ ელოდება. ჩემი აზრით, იგი ლოცულობს ან მედიტაციაშია...“

მაოი აზრები იმდენად განსხვავებული იყო, რომ აღელვებულებმა გაღაწყვიტეს, თვით ბერისათვის ეკითხათ მისი მოაზე დგომის მიზეზი. მოის წვერზე ასვლა არ იყო იოლი საქმე, მაგრამ შეუყვნენ გზას. როცა მწვერვალამდე მიაღწიეს, პირველმა კაცმა ჰკითხა ბერს: „ვიცი, რომ თქვენ ოდესღაც ძროხა დაკარგეთ. ახლა მას ეძებთ?“

ბერმა თვალი გაახილა და უპასუხა: „მე არაფერი გამაჩნია, ამიტომ ვერაფერს დავკარგავდი. არც ძროხის კვალს ვათვალიერებ აქედან და საერთოდ, არაფერს არ ვეძებ“.

მეორემ უთხრა: „მაშ, ჩემი აზრი ყოფილა მართალი. თქვენ მეგობარს ელოდებით, რომელიც სეირნობისას ჩამოგრჩათ“. ბერმა მიუგო: „მე არც მტერი მყავს და არც მეგობარი. როგორ შეიძლება, ვინმეს ველოდებოდე? მე მარტოდმარტო ვარ და ამიტომ არავინ არ ჩამომრჩენია“.

მაშინ მესამემ თქვა: „მე ვყოფილვარ მართალი. ჩემი აზრით, თქვენ ლოცულობთ ან მედიტაციას ატარებთ“.

ბერმა გაიცინა და უთხრა: „შენ ყველაზე ბრიყვი ყოფილხარ, რადგან მე არავის ვიცნობ. ჰოდა, ვისზე ვილოცებ? ამავე დროს, არ გამაჩნია რაიმე მისაღწევი ობიექტი, როგორ შემიძლია, მედიტაციები ჩავატარო?“

მაშინ სამივემ ერთდროულად ჰკითხა: „მაშ, რას აკეთებთ?“

ბერმა უპასუხა: **„უბრალოდ ვზივარ. არაფერს არ ვაკეთებ“.**

სწორედ ეს არის მედიტაცია: უბრალოდ ყოფნა! თქვენ ხართ თავისუფალი. თავისუფალი მეგობრებისაგან და მტრებისაგან, ამქვეყნიერებისაგან და იქქვეყნიერებისგანაც, მატერიისაგანაც და სულისგანაც. თავისუფალი ხართ ყოველგვარი ღაუზლებისაგან, ყველა არჩევანისა და ყველა გაყოფისაგან.

მაშინ თქვენისვის შეუძლებელი მოცილებულია და თქვენ ხდებით ბუნებრივი, ხდებით დაო. დინებას მიჰყვებით.

როდესაც ყოველგვარი ძალდატანება ქრება, შეითვისაც ელება ბოლო და აღარ იტანჯებით, ხოლო ტანჯვის დამთავრებასთან ერთად გეუფლებათ ნეტარება. თქვენ სიცარიელე უნდა შექმნათ. კარი უნდა გააღოთ. მხის სხივები თავისით შემოვა თქვენში და აგავსებს. ისეთი, როგორიც ამჟამად ხართ, მშფოთვარენი, ორი ცხენის მოთოკვითა და ორი მშვილდის მოზიდვით გაორებულნი და, მოქანცულები, თქვენ ხართ შიზოფრენიულები და ავადმყოფები, თქვენ ორჭოფობთ, ან უკეთეს შემთხვევაში, მიდიხართ კომპრომისზე და ხდებით „ნორმალური“ ნეიროსტენიკები.

ასეთი პიროვნება როგორღაც უმკლავდება საკუთარ სამუშაოს, მისი ნევროზი არ მუღავნდება. იგი ახერხებს მოქალაქეობრიობის დადგენილ ნორმებში ყოფნას, მაგრამ ასეთ პიროვნებას ღირებულება არ გააჩნია! თუნდაც სამაგალითო მოქალაქე იყოთ, თქვენ ვერ განიცდით ვერანაირ ექსტაზს. თქვენ დარდიანები დარჩებით და რასაც არ უნდა მიაღწიოთ ამ ცხოვრებაში, სანაცვლოდ უფრო მეტ სევდას მიიღებთ. შეხედეთ წარჩინებულ ადამიანებს, ნახავთ, რომ ისინი უფრო სევდიანები არიან, რადგან მათი იმედები დაკარგულია, ვიდრე ისინი, ვისაც არც ფული გაანძიათ და არც წარმატებისათვის მიუღწევიათ.

ერთხელ დანაღვლიანებულ მოლა ნასრედინს ბაზარში მეგობარი შეხვდა, რომელმაც ჰკითხა: „რა მოხდა? რაღომ ხარ დაღრეჯილი?“

ნასრედინმა უპასუხა: „ნუ მკითხავ, ისეთი სევდა მაწვალებს და ისე ვარ დათრგუნული, რომ შეიძლება, ავტირდე კიდეც...“ მეგობარი ჩააცივდა: „რაშია საქმე? ბევრი განსაცდელი გადაგიტანია ცხოვრებაში, მაგრამ ასეთი დარდიანი არასოდეს მინახიხარ. რა მოხდა?“

„ორი კვირის წინათ ბიძა გარდამეცვალა და ასი ათასი რუპია დამიტოვა,“ — უპასუხა ნასრედინმა.

მეგობარმა გაიკვირვა: „ნასრედინ, შენ რა, გაგიჟდი? ბიძამ ამდენი ფული რომ დაგიტოვა, უნდა გიხაროდეს“.

ნასრედინმა მიუგო: „კი, ეს ასეა, მაგრამ გასულ კვირას მეორე ბიძაც გარდაიცვალა, რომელმაც ორასი ათასი რუბია დამიტოვა“.

მეგობარმა უთხრა: „მაშინ მართლა მთლად შეშლილხარ ჭკუიდან. შენ უბედნიერესი და უმდიდრესი კაცი ყოფილხარ ამ ქალაქში, ცხვირ-პირი კი ნამოგტირის“.

„კი, ეს ყველაფერი კარგად ვიცი, -- უთხრა ნასრედინმა, — მაგრამ მე აღარა მყვანან ბიძები და ამან დამამწუხრა“.

აი, რა ხდება, როცა ადამიანი წარმატებას აღწევს. როგორც კი აღარ გყავს ბიძები, მაშინვე უეცრად ქრება იმედიც. გასაჭირში მყოფი კაცი იმელს არ კარგავს, რაღგან ჯერ კიდევ არსებობს დახმარების შესაძლებლობა, ჯერ კიდევ არიან ბიძები. მეტი წარმატება მეტი ფორიაქია. წარმატება ოქვენს ნევროზს წარმოანენს და თქვენს შიზოფრენიას გაიოამყლავნებს.

აი, რატომაა ამერიკაში ყველაზე მეტი შიზოფრენიით დაავადებული და გიჟი რომ გვხვდება. შეეროებულმა შტატებმა ხომ უდიდეს წარმატებებს მიაღწია ამა თუ იმ სფეროში.

ღარიბ და ნამორჩენილ ქვეყნებში კი გიჟები ცოტანი არიან. ხალხს კიდევ შეუძლიათ, იქონიონ იმედი. ხოლო, როდესაც ჯერ კიდევ შემორჩენილი გაქვთ იმედი, თქვენ გარბიხართ. როცა მიზანი მიღწეულია, ნერვებით და დგება წუთი, როცა საკუთარ თავს უნდა შეხედოო, უნდა გაიაზროო, რა მომართული მანქანა შექმენით თქვენში და უეცრად იშლებით ჭკუიდან. თქვენ უკვე შეშლილნი ხართ, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ვლინდება, როცა წარმატებას აღწევთ. უკვე აღარაუერი გრჩებათ საოცნებო და თქვენ ეჯახებით საკუთარ თავს.

თქვენთვის, როგორნიც ახლა ხართ, ნეტარება შეუძლებელია. მხოლოდ მისი იმედი შეგიძლიათ იქონიოთ და აიტანოთ ყოველგვარი ტკივილი და ტანჯვა, რომელსაც საკუთარ თავს აყენებთ.

ნეტარება შესაძლებელია. ნეტარნი გახდნენ იესო და ბუდა. თქვენცა გაქვთ ამის შესაძლებლობა, მაგრამ ამისათვის შეუძლებელი უნდა მიატოვოთ. იფიქრეთ ბუნებრივსა და შესაძლებელზე. ნუ იფიქრებთ რიტუალსა და შეუძლებელზე. „ეგო“ ყოველთვის იმის კეთებას გაიძულებთ, რაც შეუძლებელია. ეს ჩავარდნაა და ასეც უნდა იყოს. „ეგოს“ უყვარს შეუძლებელთან შეჯიდება და თქვენ ამ დროს თავს „პიროვნებად“ გრძნობთ. როცა შეუძლებელი მიზნის პირდაპირ დგებით, მებრძოლნი ხდებით. რელიგია კი უბრალოა, მსუბუქი და ბუნებრივი. იგი საერთოდ არ არის ცხენით რბოლა! რელიგია დილის გასეირნებაა, არა რაიმე განსაკუთრებულის კეთება, არა საღმე წასვლა, არამედ უბრალოდ სეირნობა და ტკბობა ამომავალი მზით, ხიტების ჭიკჭიკით და სუფთა ჰაერით. იგი ტკბობაა საკუთარი ყოფიერებით!

1974 წლის 30 აგვისტო
პუნა, ინდოეთი.

საშბარი მეთერთმეტე

მეთერთმეტე შეგონება

იეხომ თქვა: — მალალ მთაზე აშენებული
და გამაგრებული ქალაქი
არ დაცემა და არც დაიმალება.

(თომა, 37)

იეხომ თქვა: — რახაც მოისმენთ ხაკუთარი ყურით,
გულის ყურით იქადაგეთ ხაკუთარი
ხახლის ხახურავიდან, რადგან ანთებულ
ლამპარს არავინ დგამს ჭურჭლის ქვეშ,
არამედ — ხალამპრეზე იხე, რომ
მომხვლელებსაც და წამხვლელებსაც უნათებდეს.

(თომა, 38)

იეხომ თქვა: — ბრმახ თუ ბრმა მიუძღეის,
ორივე ორმოში ჩავარდება.

(თომა, 39)

მთელი კაცობრიობის პრობლემა წარმავალსა და მარადიულს შორის არსებობაში მდგომარეობს. თუ ირსეთი წუთიერს, სახლს ქვიშაზე იშენებთ. თუ მარადიულს ირსეთ, თქვენ რაღაცას უკვე მიაღწიეთ და ის მუდამ გაგრძელდება. მასზე მცირე აღარ დაგაკმაყოფილებთ, პირიქით, იგი უცრო დაგამშვეთ და მოგაწყურებთ.

ეს იმის მსგავსია, ვინმეს ცხიმი რომ შეგდეს ცეცხლში იმ იმედით, რომ უკანვე გამოიღებს. ცხიმი ცეცხლის საწვავად

იქცევა. ცეცხლი ძლიერდება და ცხიმს შთანთქავს. წუთიერი მოთხოვნილებები, როგორც ცხიმი ცეცხლს, ისევე აძლიერებს თქვენში სურვილებს და აღაგზნებს თქვენს გონებას. წუთიერი ვნებები თქვენი ტვინის საკვებია, მაგრამ თქვენი საბოლოო დაკმაყოფილება და ღარწყულება მხოლოდ მარადიულს ძალუძს. სხვა გზა არ არსებობს.

მე გეუბნებით: „თუ ირჩევთ მარადიულს, მხოლოდ მაშინ იშენებთ სახლს კლდოვანი მთის წვერზე, რომელიც სახლის საფუძველს გაამაგრებს და თქვენი ძალისხმევა უქმად არ დაიკარგება“. მარადიულის არჩევა არ ხდება. თუ არჩევანს აკეთებთ, ირჩევთ წუთიერს, რადგან არჩევანი წუთიერია. მაშ, რა მაქვს მხედველობაში, როცა მოგიწოდებთ მარადიულის არჩევას? მე შემდეგს ვგულისხმობ: თუ შეგიძლიათ გაიგოთ წუთიერის უნაყოფობა, რომ მეორე წუთში მოგწყურდებათ და ის ვერ მოგიკლავთ წყურვილს, წუთიერი უსარგებლო ხდება. თქვენ უბრალოდ ხვდებით მის უაზრობას, იგი თავისით უკუიგდება და რჩება მარადიული. მარადიულის არჩევა არასოდეს არ ხდება.

წუთიერის გაქრობის შემთხვევაში თქვენს ცხოვრებაში შემოდის მარადიული, მაგრამ ამისათვის წუთიერი აბსოლუტურად უნაყოფო და უაზრო უნდა გახდეს. თქვენი წარუმატებლობა წუთიერთან ყოვლისმომცველი უნდა იყოს.

„ნეტარ არიან უიღბლონი ამქვეყნიურ ცხოვრებაში“. ეს ნეტარება აუცილებლად უნდა მიემატოს იესოს სხვა ნეტარებათა რიგს.

იყავით უიღბლონი მიწიერ ცხოვრებაში! თქვენ კი პირდაპირ ამის საწინააღმდეგოს აკეთებთ, ცდილობთ წარმატების მიღწევას. ამქვეყნიურ ცხოვრებაში მიღწეული წარმატება იქნება ყველაზე ჭეშმარიტი წარუმატებლობა, რადგან თქვენ დარჩებით წუთიერთან. ამქვეყნიურ ცხოვრებაში ჯერ არავის მოუპოვებია ჭეშმარიტი წარმატება, რამეთუ წუთიერით ვერაფერს შესწვდება კაცი. როგორ შეიძლება წარმატების მოპოვება წუთიერით, რომელიც ქრება? როგორ ააშენებთ სახლს

იმაზე, რაც თვალის დახამხამებაში მიდის, რაც წყვეტს არსებობას? იმ დროს, როცა სახლი მზადაა, წამი გასულია.

აი, რატომ გემსხვრევაო ყოველ წუთში იმელები, მაგრამ ისევ თავიდან იწყებთ. თქვენ ვერც გრძნობთ ამას. არ ირწმუნოთ სიფხიზლეს საკუთარი მოქმედებისადმი და გამოდის, რომ არაფერი გისწავლიათ განვლილი ცხოვრებისაგან, არანაირი გამოცდილება არ მიგიღიათ და ისევ უვიცი რჩებით.

შესაძლოა ძალიან განათლებული ბრძანდებით და იცით, როგორ უნდა ააშენოთ სახლი. შესაძლოა, ხართ ინჟინერი ან არქიტექტორი, მაგრამ არ გაგიზიარებიათ სხვათა გამოცდილება იმის თაობაზე, რომ ქვიშაზე შეუძლებელია სახლის აშენება. ეს არის პირველი, რასაც იესო ამბობს.

მისი თქმით: „მაღალ მთაზე აშენებული და გამაგრებული ქალაქი არ დაეცემა და არც დაიფარება“.

ამ სიტყვებში ბევრი რამ არის ჩაქსოვილი.

პირველი — „მაღალ მთაზე აშენებული ქალაქი...“ თქვენ ყოველთვის ბარში საქმიანობთ. ბარი და მთა სიმბოლოებია და პირველ „ბნელ ღამეს“, მეორე „უფრო გონიერს, უფრო შეგნებულს“ ნიშნავს, რამეთუ რაც უფრო მაღალი შეგნება გაქვთ, მით უფრო ზემოთ ადიხართ.

როდესაც თქვენ სრული შეგნება გაგაჩნიათ, ევერესტზე იმყოფებით. აი, რატომ ამბობენ ინდუსები, რომ შივა ყველაზე მაღალ მთაზე, გაურიშანკარზე ცხოვრობს — შივა უმაღლესი ცნობიერება და სრულყოფილი გონებაა. მხოლოდ სრულყოფილი გონება ცხოვრობს გაურიშანკარზე.

როდესაც უგონოდ ხართ, თქვენ ბნელ ხეობაში იმყოფებით. თქვენი ღამე და ძილი ხეობაა. ეს არსებობის ყველაზე დაბალი წერტილია. როდესაც იწყებთ შეცნობას, ეს მწვერვალისაკენ მოძრაობის დასაწყისია. კიბის ყველაზე ქვედა საფეხურზე მინერალებია, რომელთაც სრულიად არ გააჩნიათ გონი, მაგრამ არ არიან უსულონი. ისინი იბადებიან, იზრდებიან, ბერდებიან და კვდებიან. გადიან ყველა იმ ფაზას, რომელსაც გადის ადამიანი, მაგრამ მათ არ გააჩნიათ შეგნება.

ზოგჯერ თქვენ იმ მინერალებივით და ქვებივით ხართ როდესაც გძინავთ, რა განსხვავებაა თქვენს შორის? ოუ არ გაგაჩნიათ შეგრძნების ნაპერწკალი, რით განსხვავდებით ქვისაგან? თქვენ დაეცით!

ძილის დროს თქვენ იმყოფებით ჯოჯოხეთში. „ცოდვილია“ ის, ვინც საღათას ძილშია. „წმინდანი“ კი ის არის, ვინც ძილშიც ფხიზლადაა. კრიშნა არჯუნას ეუბნება: **„როდესაც ყველას სძინავს, იოგი მაშინაც კი ფხიზლობს. როცა თითოეული ოცნებობს, იოგი მაშინაც ფხიზელია“**. იოგი არასოდეს მიეცემა ძილს მთელი არსებით. მასში ყოველთვის ფხიზლობს მაკონტროლებელი წერტილი. ძილში თქვენ დაბლობში დაბრუნებთ, ხოლო შეგრძნებულნი მოით ბილიკს მიუყვებით.

როცა თქვენი არსების არცერთ წერტილს არ სძინავს და თქვენში არ რჩება არაცნობიერი ნაწილი, მაშინ მთელი თქვენი ცნობიერება განათდება, თქვენ აღივსებით სინათლით და ეს უმაღლესი პიკი იქნება.

ასეთი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს სიტყვებს: **„მაღალ მთაზე აშენებული ქალაქი...“**

თქვენ ქალაქებს და სახლებს ხეობაში აშენებთ. თვით ჩვეულებრივი ძილიც კი არ გაგამაყოფილებთ და ეძებთ ნარკოტიკებს, რათა უფრო ღრმად დაიძინოთ, ეძებთ ჰიპნოზის სხვადასხვა მეთოდებს, რომ საკუთარი ცნობიერება უფრო გათიშოთ, ვინაიდან შეცნობის პროცესი მტკივნეულია და მტანჯველი. ასე რატომ უნდა იყოს? იესო და ბუდა ხომ ამბობენ, რომ ეს უდიდესი ნეტარებაა? თქვენისოვის კი მტკივნეულია. რატომ?

იმიტომ, რომ თქვენი არსების მხოლოდ ერთი პროცენტი გახდა შეგნებული, 99% კი მძინარე რჩება. თქვენი ერთი პროცენტი, ხედავს რა გარშემო ქაოსს, იტანჯება; ხედავს რომ დანარჩენი 99% სიგიჟის მდგომარეობაშია და გაინცდის ტკივილს. იწყებს ალკოჰოლის, ნარკოტიკის, მარიხუანას ან რაღაც მსგავსის, სექსის, მუსიკის, მანტრის ძებნას, რომ მათი საშუალებით ავტოჰიპნოზი გამოიწვიოს. მერე ერთი პროცენტიც

მთლიანის ნაწილი ხდება. მაშინ აღარ წუხართ, რამეთუ თქვენში აღარ არის ფხიზელი და შეგნებული ნაწილი, ვინც იცის და ხედავს. ყოველგვარი პრობლემაც ქრება.

ეს ყველაფერი სირაქლემას ლოგიკას წააგავს. სირაქლემა რაიმე საფრთხის მოახლოებისას თავს ქვიშაში მალავს. ის ფიქრობს, თუ ვერაფერს ვერ დაინახავს, ე.ი. საფრთხე არც არსებობს. სირაქლემასავით აზროვნებენ აოეისტებიც. ისინი ამბობენ: „თუ ჩვენ ვერ ვხედავთ ღმერთს, როგორ შეიძლება ღმერთი არსებობდეს?“. თქვენთვის რაღაც არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგალიო აღიქვამთ.

სირაქლემას ქვიშაში თავის წაყოფისას ყოველგვარი შიში უქრება, მაგრამ მტერი არ ცნობს თქვენს ლოგიკას. როცა თვალები დახუჭული გაქვთ, მტრის ხელში ოქვენ სათამაშოდ იქცევით, რასაც თავიდანვე უწყობთ ხელს. შეგეძლოთ გაქცეულიყავით, მაგრამ ჩერდებით, რადგან ფიქრობთ, რომ მტერი აღარ არსებობს. შეიძლება წუთიერად ბედნიერებიც იყოთ მაშინ, ამას რომ გაიფიქრებთ. ამიტომ იბინდავთ ნარკოტიკებით გონებასა და თქვენთვის აღარც მტერი არსებობს, აღარც იტანჯებით და აღარც პრობლემები გაწუხებთ. წუხილისათვის ხომ ფხიზელი და შეგნებული ყოფნაა საჭირო. როცა თქვენი არსება მთლიანად შეგნებული გახდება, მაშინ მოვა ნეტარება, რადგან შეწყდება შინაგანი კონფლიქტი. ბუდა მართალია. თქვენი მხრივ, თქვენც მართალი ხართ, რამეთუ გამოცდილებამ გასწავლათ, რომ ცხოვრება წინააღმდეგობითაა სავსე. სიფხიზლეს ბევრი პრობლემა მოაქვს. ასე რომ, უკეთესია ხანგრძლივად ბურანში ყოფნა, რაც მთელი სიცოცხლე გრძელდება.

აი, რატომ იშენებთ სახლს არა მთის წვერზე, არამედ ხეობაში. ამისათვის კიდევ ერთი მიზეზი არსებობს. ჩვენ ჩვენს ქალაქებს ვაშენებთ ისე, ისეთ წარმავალ, წუთიერ და დროებით მდგომარეობაზე, რომ ვიღრე შენებას დავასრულებდეთ, უკვე ინგრევა და ბოლოს ხელთ ნანგრევები გვრჩება. რატომ? თქვენ მხოლოდ იმის დანახვა შეგიძლიათ, რაც ყველაზე ახ-

ლოსაა. ხედავთ მხოლოდ წუთიერ გაელვებას და ის ქრება. მას მოჰყვება მეორე და ასე შემდეგ. თქვენ ხედავთ ამ წარმავალ გაელვებას. თქვენ არ შეგიძლიათ მოლიანობის დანახვა. ასეთი ხედვისათვის სრულყოფილი გონებაა საჭირო. მისით შეგიძლიათ მთელი ცხოვრების, მთელი სამყაროს დანახვა.

ჯაინებს ესა აქვთ მხედველობაში, როცა ამბობენ, რომ გასხივოსნებულ მაჰავირს წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთად დანახვა შეეძლო. გასხივოსნებული ადამიანი შეიცნობს ყოფიერების მოლიანობას და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში აშენდება გამაგრებული ქალაქი.

თქვენ არ იცით, რა ხდება მეორე წამში. რასაც არ უნდა აკეთებდეთ, შემდეგ გაელვებას შეუძლია მისი დანგრევა. თქვენი საქმიანობა წუთიერზეა დამოკიდებული და არა მთლიანობაზე. მთლიანობა უარყოფს წუთიერს, რადგან მისი თვალსაწიერიდან ეს უკანასკნელი უაზრობაა.

ერთ ჩინელ ოსტატს ამერიკელი მოწაფე ჰყავდა. როცა მოწაფე საშობლოში ბრუნდებოდა, ოსტატმა მას მოუქსოვა ხის პატარა ზარდახშა ანუკა და უთხრა: „მომეცი აღთქმა, რომ ყოველთვის შეასრულებ ერთ პირობას, იმ შემთხვევაშიც კი, სხვას რომ გადასცე ეს ზარდახშა, პირობა მაინც უნდა სრულდებოდეს.

მეც ვასრულებდი ამ პირობას. ეს უძველესი ნივთია და თაობიდან თაობას გადაეცემა“.

მოწაფე ყოველგვარი პირობის შესრულებაზე დათანხმდა. ოსტატმა უთხრა: „პირობა მარტივია — ზარდახშა პირით ყოველთვის აღმოსავლეთისაკენ უნდა იდგეს. ასე სრულდებოდა ყოველთვის და შენც პატივი ეცი ამ ტრადიციას“.

როცა შინ დაბრუნებულმა მოწაფემ ზარდახშა პირით აღმოსავლეთისაკენ დადგა, მიხვდა, რომ ძნელი პირობა ჰქონდა შესასრულებელი. სასტუმრო ოთახში საერთო მოწყობილობა არ ეხამებოდა აღმოსავლეთისაკენ მიტრიალებულ ზარდახშას, ამიტომ მოწაფეს სასტუმრო ოთახში ყველაფერი უნდა შეეცვალა. ასეც მოიქცა, შემდეგ კი ულამაზო გახდა მთელი სახლი.

მოწაფეს მთელი ბინის გადაკეთება დასჭირდა. ამის შემდეგ შეუსაბამო გაიორსდა ბაღი. მოწაფემ ოსტატს მისწერა: „ეს ზარდახშა საშიშია! მე მთელი სამყაროს გადაკეთება მომიწევს. ახლა თუ ბაღს შევცვლი, შემდეგ საჭირო გახდება მეზობლებთან ყველაფრის შეცვლა და ა.შ....“ მოწაფე მგრძნობიარე ადამიანი იყო და ამიტომ წინასწარ დაინახა შემდეგი სირთულეები.

თუ წუთიერ გრძნობაზე აგებთ ცხოვრებას, მთლიანობაში რთულ მდგომარეობაში აყენებთ საკუთარ თავს, რადგან წუთიერი არასოდეს გამოილევა და არასოდეს იქნება ჰარმონიული. მასში ესა თუ ის მონაკვეთი ყოველთვის არასრულყოფილი იქნება. მთლიანობა ურდა დაინახოთ მანამდე, სანამ ქალაქის შენებას დაიწყებთ. მხოლოდ მთლიანობაში იქნება თქვენი ცხოვრება ჰარმონიული, ის იქცევა მელოდიად. სხვაგვარად ყოველდღის გაუცხოვებული და ექსცენტრული დარჩებით

„ექსცენტრული“ ცენტრის გარეთ მყოფს, ცენტრდაკარგულს ნიშნავს. რატომაა ყოველი ადამიანი ექსცენტრული? ცენტრის გარეთ, ფოკუსის გარეთ, ცხოვრებასთან ნაბიჯშეუწყობელი? იმიტომ, რომ თითოეული ცდილობს ცხოვრება წუთიერის შესატყვისად მოაწყოს, წუთი კი მთელი არ არის. წუთი ფრაგმენტია, მარადისობის პატარა და ტრივიალური ფრაგმენტი. როგორ შეეგუებით მარადისობას, თუ ცხოვრებას წუთიერის შესაბამისად აშენებთ?

აი, რატომ ამბობს იესო: ააშენეთ და მოაწყეთ ცხოვრება მთლიანობის, მარადიულისა და არა წუთიერის შესაბამისად.

> „მაღალ მთაზე აშენებული და გამაგრებული ქალაქი არ დაეცემა და არც დაიმალება“.

თქვენი ქალაქი კი ყოველდღის ნანგრევებში იქნება. ეს ასეა! არ არის საჭირო, ამის შესახებ იესოს ჰკითხოთ. უბრალოდ, შეხედეთ საკუთარ ცხოვრებას. თქვენ მასში მხოლოდ ნანგრევებს აღმოაჩენთ. ეს თვითონ თქვენა ხართ

დანგრეული ქალაქი. აი, რა შედეგი მოაქვს წუთიერის არჩევას. უკურეთ მარადიულს დროის შეგრძნების გარეშე!

როგორ შეიძლება მოიპოვოთ ასეთი ხედვა? რაც უფრო მაღალია თქვენი შეგნება, მით უფრო მეტის დანახვა შეგიძლიათ და პირიქით, რაც უფრო დაბალია შეგნება, უფრო სუსტია ხედვა. გადით ქუჩაში, დადექით რომელიმე ხესთან და გაიხედეთ პირდაპირ. დაინახავთ ქუჩის უახლოეს კუთხეს, შემდეგ მოსახვევს და ხედვა წყდება. ადით ხეზე და იქიდან გახედეთ არემარეს. ხედვის შესაძლებლობა გაიზრდება. გადმოიხედეთ თვითმფრინავიდან, ჩიტის ფრენის სიმაღლეზე მთელი ქალაქი ხელისგულზე გადაგეშლებათ. რაც უფრო ზემოთ ახვალთ, თქვენი ხედვის უნარი უფრო გაძლიერდება.

შემეცნების კიბეს გააჩნია საფეხურები. თუ თქვენ იმყოფებით საკუთარი შემეცნების მწვერვალზე, გადმოიხედეთ იქიდან და თქვენს წინაშე მარადიულობა გადაიშლება. დაკვირვებიხართ ასეთ შემთხვევას? როცა ხის ქვეშ დგახართ, გასცქერით ალმოსავლეთს და ვერაფერს ხედავთ. ვიღაც ხის კენწეროზე ზის და გეუბნებათ: „მე ვხედავ, რომ შორიახლოს ხარებს აბამენ“. თქვენ პასუხობთ: „სად არის ხარები?“ ხარების შებმა თქვენთვის მომავალშია, ხის კენწეროზე მჯდარისათვის კი — აწმყოში.

ნუ იფიქრებთ, რომ აწმყო ყველასათვის ერთია. თქვენი აწმყო თქვენთვის არის შემოფარგლული და იგი ვერ იქნება ჩემი აწმყო. ჩემი აწმყო ჩემთვისაა შემოფარგლული და თქვენთვის ვერ იქნება. ის დამოკიდებულია შემეცნების კიბის საფეხურზე.

იესოსათვის ყოველთვის აწმყოა, რადგან მისთვის არ არსებობს მომავალი. ბუდასათვისაც ყოველთვის აწმყოა, მისთვის არც წარსული არსებობს და არც მომავალი, რამეთუ სრულყოფილი ხედვა გააჩნია. შემეცნების უმაღლესი პიკიდან ყველაფერი მოჩანს. არაფერი არ არის წარსულსა და მომავალში — ყველაფერი აქ არის და ყველაფერი ახლა არის!

მომავალი თქვენი შეხლუდული ხელვის გამო არსებობს. ის, რაც უკვე გამოვიდა თვალთახედვიდან, წარსულად იქცა. ის, რაც ჯერ არ შემოსულა თქვენს თვალთახედვაში, მომავალია, მაგრამ თავისთავად ყველაფერი მარადიულია.

დრო თქვენი გამოგონებაა, რადგან ხეობაში ცხოვრობთ. კაცობრიობის ყველა ტრადიციული მოძღვრება ამტკიცებს, რომ როცა ექსტაზში, ღრმა მედიტაციაში შედიხართ, დროის შეგრძნება ქრება. რა იგულისხმება ამაში? ის, რომ დროის დაყოფა წარსულად, აწმყოდ და მომავალად ქრება. არის არსებობა, მაგრამ გაყოფის გარეშე, დროის გარეშე.

ნუ აგებთ ქალაქს წუოიერზე, თორემ მუდამ დაგენგრევაო, რადგან აწმყო ხელიდან გისხლტებათ და წარსულად იქცევა. რატომ ვამბობ, თითქოს ქალაქი მანამ დაინგრევა, ვიდრე აშენდებოდეს? იმიტომ, რომ შენების დროს გაელვება უკვე წარსულად იქცევა და ხელიდან გისხლტებათ. იგი უკვე დაკარგულია. დედამიწა გამუდმებით მოძრაობს თქვენს უეხქვეშ.

„მაღალ მთაზე აშენებული და გამაგრებული ქალაქი...“

რატომ იყენებს იესო სიტყვა „გამაგრებულს?“ ასეთები, როგორებიც ხეობაში იმყოფებით, მუდამ შიშსა და საფრთხეში ხართ. ხეობა საცხოვრებლით, ანრდილებით, მტრებითა და სიძულვილით.

გიამბობთ ერთ იგავს. ოთახის ბუზმა სუპერმარკეტში გაიფრინა. ერთ-ერთ ვიტრინაში ინსექტიციდები იყო გამოფენილი. ბუზმა დიდი წითელი ასოებით დაწერილი რეკლამა წაიკითხა: „ახალი აეროზოლი. იძლევა ბუზების სწრაფი განადგურების გარანტიას“. ბუზი გაფრინდა და გულში იმეორებდა: „მსოფლიოში ძალიან ბევრი სიძულვილია“.

თქვენ ხეობის სამყაროში ცხოვრობთ. იქ ყველაფერი იმის გარანტიას იძლევა, რომ მალე მოკვდებით. თქვენ სიკვდილის ხეობაში ცხოვრობთ და იქ მხოლოდ სიკვდილია გარანტირებული.

დაკვირვებიხართ, რომ ცხოვრებაში სიკვდილის გარდა არაფერში არ ხართ დარწმუნებულნი?

თქვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ერთადერთი, რისი გარანტიაც გაქვთ, ეს არის სიკვდილი. ყველაზე მეტი, რაც ამ დაბლობში შეიძლება იცოდეთ, არის ის, რომ მოკვდებით. ეს ნაიდვილად ასეა! დანარჩენი რამ შეიძლება მოხდეს, შეიძლება არც მოხდეს. დანარჩენი არაზუსტია.

რა არის ეს ცხოვრება, რომელშიც მხოლოდ სიკვდილია გარანტირებული? მაგრამ ასეა, ვინაიდან ბნელში მხოლოდ სიკვდილს შეუძლია არსებობა. გაუცნობიერებლობა გზაა სიკვდილისაკენ. თუ სურვილი გაქვთ, იყოთ შეუგნებელი, ე.ი. გსურთ სიკვდილი, თქვენში ღრმად გაუდგამს ფესვი სიკვდილისაკენ მისწრაფებას, იორემ სხვა შემთხვევაში დაუყოვნებლივ მწვერვალებისაკენ გაეშურებოდით.

ფროიდი სიცოცხლის ბოლო წლებში წააწყდა ერთ მეტად სიღრმისეულ გამოვლინებას, რომელსაც „ტანატოსი“ (სწრაფვა სიკდილისაკენ) უწოდა. იგი მთელი ცხოვრება ფიქრობდა „ლიბიდოზე“ — თეორიაზე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ადამიანის არსებობა სიცოცხლისაკენ სწრაფვაა. მაგრამ, რაც უფრო მეტად უღრმავდებოდა ამ თეორიას, უფრო მეტად ეუჭლებოდა დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. რაც უფრო მეტად ესმოდა, რა იყო სიცოცხლისაკენ სწრაფვა, უკეთ ხვდებოდა, რომ სულის სიღრმეში ეს სიკვდილისაკენ სწრაფვა იყო. ფროიდს ძალიან უჭირდა, რადგან ის იყო სწორხაზოვანი, ცალმხრივი მოაზროვნე, ლოგიკოსი და არისტოტელეს მიმდევარი. ძალიან წინააღმდეგობრივი ჩანდა ის, რომ „ლიბიდოს“ სიცოცხლის წყურვილის უკან სიკვდილისაკენ სწრაფვა — „ტანატოსი“ იდგა. ფროიდი ამის გამო გულგატეხილი იყო, მაგრამ სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობდნენ იესო და ბუდა, რომ იმდენად უსარგებლოა თქვენი ყოფა, იმდენად ამაოა და იმედგაცრუებით სავსე მოელი თქვენი ცხოვრება, რომ მხოლოდ სიკვდილს ისურვებდით.

როგორც კი შეუგნებლები ხდებით, მაშინვე სიკვდილის სურვილი გაინდებათ, რადგან უგონობა დროებითი სიკვდილია. ძილის გარეშე რამდენიმე დღესაც კი ვერ გაძლებთ, რადგან ძილიც დროებითი სიკვდილის სახეობაა. ძილი ძალიან გჭირდებათ. ყოველდღე 8 საათით თუ არ მოკვდებით, მომდევნო დღის გასავლელად უძლური შეიქმნებით, რადგან მთელი თქვენი ცხოვრება ისეთი გაწამაწიაა, რომ არსებობა სულაც არ არის თქვენთვის ნეტარება, მორჩენებითაც კი არ გესახებათ ნეტარებად. ამიტომ რაშიც იხარჯებით, თავს იქ გრძნობთ ნეტარად. თუ პოლიტიკურ მოძრაობაში მონაწილეობთ, თუ შეძლებთ გახდეთ ნაცისტი და ბრბოში დაიკარგოთ, თავს კარგად იგრძნობთ, ვინაიდან ეს სიკვდილია, თქვენ აღარა ხართ და არსებობს ბრბო.

აი, რატომ მიაღწევენ ხოლმე დიქტატორები ღიდ წარმატებას იმიტომ, რომ თქვენ გაქვთ სურვილი — მოკვდეთ. თვით მე-20 საუკუნეშიც კი დიქტატორები წარმატებას აღწევენ იმის გამო, რომ ადვილი სიკვდილის შანსს გაძლევენ. აი, რატომ მიმდინარეობს ომები. სისხლისღვრა მანამდის იქნება, სანამ არ შეიცვლებით.

ადამიანები არ გარდასახავენ საკუთარ თავს. თქვენი სურვილიდან, რომ მოკვდეთ, გამომდინარეობს ომი. თქვენ გსურთ სხვისი მოკვლა და გინდათ, რომ თქვენც მოგკლან. ცხოვრება ისეთი მძიმე ტვირთია, რომ თქვენს მდგომარეობაში ეროვნული გადაწყვეტილებაა თვითმკვლელობა. თუ აქამდე არ ნაგიდენიათ ეს, არა მგონია იმის გამო, რომ სიცოცხლე ჭეშმარიტად გიყვართ, არა! უბრალოდ გეშინიათ! თქვენ არ გიყვართ სიცოცხლე, ვინაიდან ვისაც სიცოცხლე სწყურია, ის ყოველთვის სიმაღლეებს ესწრაფვის. რაც უფრო მაღალია პიკი, მით უფრო სრულყოფილია სიცოცხლე.

აი, რას გულისხმობს იესო, როცა ამბობს: „მოდით ჩემთან და მე მოგცემთ სიცოცხლის წყაროს. მე თავად ვარ სიცოცხლე, დიადი სიცოცხლე. მოდით ჩემთან!“

მაგრამ იესოსთან მისვლა ძალიან ძნელია, რადგან თქვენ ხომ უამრავი რამ ჩაიდინეთ ხეობაში, ცხოვრების ბნელ გზაში და თქვენ ისე გეშინიათ სიკვდილის, რომ ცდილობთ ძალიან სიცოცხლისუნარიანი არ იყოთ. თქვენ არსებობთ ცხოვრების მინიმუმით, არსებობთ როგორც ავტომატი, ყველაფერს მექანიკურ ნივთებად აქცევთ, რათა არ მოგიწიოთ მათზე ზრუნვა.

ომი და ძალადობა გრძელდება. ხალხი კვლავ ღვრის ერთმანეთის სისხლს. საყოველთაო ძალისხმევა იხარჯება იმ საშუალებების შექმნაზე, რომლებიც საყოველთაო თვითმკვლელობის იარაღად გადაიქცევა და ბოლოს და ბოლოს, ჩვენ მივაგენით ამას კიდეც. ეს არის წყალბადის ბომბი. რატომ მუშაობენ მეცნიერები გამანადგურებელი საშუალებების შექმნაზე?

ადამიანის ყველაზე დიდი სურვილია, რამენაირად მოკვდეს. ეს არ ხდება შეგნებულად, ვინაიდან შეგნებული მხოლოდ მაშინ ხდებით, როცა იწყებთ საკუთარი თავის გარდასახვას. ხშირად გითქვამთ კიდეც: „უკეთესი იქნებოდა, ამ ქვეყანას რომ არ მოვლესნოდით“.

ბერძენი ფილოსოფოსი ფილონი ამბობდა: „პირველი ნეტარებაა — საერთოდ არ დაიბადო, მეორე ნეტარებაა — რაც შეიძლება მალე მოკვდე“ და ამტკიცებდა, რომ არსებობს ეს ორად ორი ნეტარება — პირველი, სულაც არ დაიბადო, მაგრამ ასეთი ბედნიერი არავინ არ არის. თითოეული ჩვენთაგანი უკვე დაიბადა; მხოლოდ მეორე ნეტარებაა ხელმისაწვდომი — რაც შეიძლება მალე მოკვდეს ადამიანი.

თვითონ ფილონმა 97 წელი იცოცხლა. მას ერთხელ ჰკითხეს: „შენ რატომ არ მოიკალი თავი?“ მან მიუგო: „მე ვიტან ცხოვრებას, რათა სხვებს გავაგებინო, რომ ერთადერთი გამოსავალი არის სიკვდილი“.

თვითმკვლელობა ღრმად ფესვგადგმული ინსტიქტია. როგორც კი გრძნობთ, რომ ცუდი რამ ხდება, თვითმკვლელობის ჩადენის სურვილი გებადებათ, გინდათ საკუთარი თავის განად-

გურება. რელიგიურია ის ადამიანი ვინც ფხიზელი გახდა; ვინც ხედავს, რომ სიკვდილის სურვილი ღრმადაა დაფარული. საკუთარ სულში მეტი სინათლე უნდა შეიტანოთ, რათა იმ კუთხეს მიაგნოთ, სადაც სიკვდილი იმალება, რომელიც გამუდმებით გღრღნით. თქვენ უცებ კი არა, ათეული წლების განმავლობაში კვდებით. ის სიკვდილი სიცოცხლის დასასრულს არ მოდის. დაბადებისთანავე იწყება. ყოველი ამოსუნთქვა, ყოველი წამი სხვა არაფერია, თუ არა მუდმივი კვდომა. ის მთავრდება ათეული წლების შემდეგ, ვინაიდან ძალიან ძნელი პროცესია. მაგრამ თქვენ კვდებით და სულის სიღრმეში ელოდებით აღსასრულს — რაც უფრო მალე მოხდება, უკეთესია. თავი თუ არ მოიკალი, ეს იმის გამო, რომ ძალიან გეშინიათ შემდგომ რა მოხდება. ამიტომაც იძულებით იტანთ ცხოვრებას. კი არ ტკბებით სიცოცხლით, როგორც ღვთისაგან ბოძებული სიკეთით, არამედ უბრალოდ, იტანთ მას და უხლებთ „მატარებლის“ მოლოდინში.

ერთხელ თომას ედისონი* მეგობრებთან ერთად სადილზე მიიწვიეს. ედისონი სიტყვაძუნწი იყო და საზოგადოებაში ყოველთვის ღელავდა. თავის ლაბორატორიაში მარტო მუშაობდა, მკვლევარი იყო და ყოველთვის აღიზიანებდა ადამიანთა გარემოცვა. სადილზე ბევრი ხალხი იყო მოწვეული. ყველა ისე გაერთო ჭამითა და კამათით, რომ თომას ედისონმა გაპარვა გადაწყვიტა.

ადგა და წავიდა კარისაკენ. სწორედ აქ შეაჩერა ის ერთერთმა სტუმარმა და ჰკითხა: „მისტერ ედისონ, რაზე მუშაობთ ახლა?“

მან უპასუხა: „გამოსავალზე“.

ყველა გამოსავალს ეძებს და ამაშიც ხიფხიზლე გამოიჩინეთ!

რატომ არ შეგიძლიათ, დატკბეთ ღვთისაგან ნაბოძები სიცოცხლით? თქვენ არ დაგიმსახურებიათ, არაფერი არ გაგიკეთებიათ, რათა იგი მოგეპოვებინათ. სიცოცხლე ღვთის საჩუქარია.

რატომ არ გინდათ იყოთ ნეტარნი, მადლიერნი და დატკბეთ სიცოცხლით? შეგეძლოთ ცხოვრება მაოროზელ ცეკვად გექციათ. აბა რაშია პრობლემა? საქმე იმაშია, რომ ნეტარებით ტკბობა მხოლოდ მაღალი შეგნების ადამიანს ძალუძს. ხოლო ტანჯვისათვის სულაც არ არის საჭირო შეგნება. ტკივილის შესაგრძნებად საჭიროა მეტი სიბნელე, ნაკლები შეგნება; საჭიროა ღამე და არა ღღე. მაგრამ რათა ნეტარება განიცადოთ, საჭიროა მეტი სიფხიზლე. თუ მწუხარე წმინდანს დაინახავთ, იცოდეთ, რომ ის არ არის ნამდვილი წმინდანი, ვინაიდან შეგნება ნეტარებასა და შინაგან ღიმილს ბადებს. შეგნება ამსგავსებს მოზრდილ ადამიანს ბავშვს. ასეთ პიროვნებას შეუძლია პეპლებს სდიოს და ბავშვივით წვრილმანებით გაიხაროს ისე, რომ ყოველივე სანუქრად მიიღოს.

ნეტარი ადამიანისათვის ყველაფერი ღვთის ნაბოძებად იქცევა და იგი ყოველი წამის მადლობელია. მადლობელია იმის, რომ სუნთქავს. თუ წააწყდებით მწუხარე წმინდანს, იცოდეთ, რომ რაღაც არ არის წესრიგში — ის ძველებურად ხეობაში ცხოვრობს და არ ისწრაფვის მწვერვალებისაკენ, სხვაგვარად ის სინათლეს უნდა ასხივებდეს, ბრწყინავდეს და ბავშვურად ტკბებოდეს. უშფოთველი, უშიშარი და მტკიცე შეგნების უნდა იყოს.

რატომ გაძლიერებთ და განმტკიცებთ შეგნება? იმიტომ, რომ რაც უფრო შეგნებულები ხართ, უკეთესად იცით, რომ არ მოკვდებით, რომ სიკვდილი არ არსებობს. სიკვდილი მხოლოდ ბნელ ხეობაშია და თუ მტკიცენი ხართ სიკვდილის წინაშე, მაშინ ჭეშმარიტად ძლიერნი ხართ. რაც უფრო მაღალია თქვენი შეგნება, უფრო ზუსტად იცით, რომ ღვთიური და მარადიულია თქვენი არსებობა. ამჟამად თქვენ არ იცით, ვინა ხართ. ეს არის უმეცრების ხეობა, იქ მხოლოდ სიკვდილია, სხვა არაფერი და შიშით ცახცახებთ.

საკუთარ სულში შიშის მეტს ვერაფერს ნახავთ, ვინაიდან თქვენს გარშემო მხოლოდ სიკვდილია. ეს ბუნებრივია, რომ თქვენს სულში შიშია დაბუდებული. თუ მწვერვალებს ესწრაფ-

ვით, თქვენში სიყვარული გამეუღება. ხოლო გარშემო — მარადისობა. არ იქნება შიში, რადგან შეუძლებელია თქვენი დაგრეგა — თქვენ შეურყეველი ხართ და არასოდეს მოკვდებით. თქვენ მიაღწევთ უკვდავებას. ეს არის ის სიმაგრე, რის შესახებაც იესო ლაპარაკობს. მაგრამ გახსოვდეთ, უმაღლესის მიღწევა საუძვლის გამაგრებით შეიძლება.

პარადოქსია, რომ ხეობაში ყოველოვის ძირს ეცემით, მწვერვალზე კი — არასოდეს. მაგრამ ვხედავთ, რომ ადამიანები ვარდებიან მწვერვალებიდან. ერთნი ბარად სეირნობენ, სხვანი მწვერვალიდან ცვივიან. ასე ხდება ცხოვრებაში! შინაგან სამყაროში კი მწვერვალიდან არავინ ვარდება. შინაგან მწვერვალზე ასულს ვერავინ წაგართმევთ იმას, რაც თქვენში აღზარდეთ. იქიდან აღარასოდეს ჩამოვარდებით. ამის გარეშე კი თქვენი მითი დარღვეულია.

მწვერვალებიდან ცვივიან ადამიანები, მაგრამ თვით ეს მწვერვალები ხეობაშია. ისინი არ არის ნამდვილი მწვერვალები. თუ დიდება გაქვთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ადრე თუ გვიან სახელი გაგიტყდებათ. თუ ტახტზე ზიხართ, ადრე თუ გვიან იქიდან ჩამოგაგდებენ. ყოველივე ამქვეყნიური წარმავალია, მხოლოდ შინაგან სამყაროში მიღწეული იქნება მარადიული. მისი წართმევა შეუძლებელია. ცოდნა ვერსად გაგექცევათ. შეიძენთ რა ამას, ის იქცევა თქვენს ნაწილად. მას თქვენ ვერ დაეუფლებით. ის შემოვიდა თქვენს არსში, გახდა თქვენი ნაწილი. თქვენ უკვე აღარ შეგიძლიათ მისი არცოდნა. როგორც კი მიხვდებით, რომ უკვდავი ხართ, როგორღა შეძლებთ ამის არცოდნას? თქვენ ეს უკვე მთელი თქვენი შეგნებით და არსით იცით. ეს იქნება ჭეშმარიტი ცოდნა, ხოლო ის, რაც შეიძლება გაიბნეს, მეხსიერებაა მხოლოდ. რაც შეიძლება დაგავიწყდეთ, ის მხოლოდ მეხსიერებაა.

ცოდნის დავიწყება არ შეეიძლიათ. იგი თქვენს ნაწილად იქცა, თავად თქვენს არსად და არა გჭირდებათ მისი გახსე-

ნება. თქვენ მხოლოდ ის უნდა დაიმახსოვროთ, რაც თქვენს ნაწილს არ წარმოადგენს.

„მაღალ მთაზე აშენებული და გამაგრებული ქალაქი
არ დაეცემა და არც დაეფარება...“

ეს ქალაქი მარადჟამს ნაოელი იქნება. არ არსებობს მისი დაფარვის საშუალება. როგორ დამალავო ქრისტეს? როგორ შეძლებთ ბუდას დამალვას? ეს შეუძლებელია. ეს ისეთი უცნაური მოვლენაა, მათი არსებობა იმდენად შეღწევადია, რომ მაინც მოხდება ზემოქმედება.

შეგიძლიათ ჯვარს აცვათ იესო, მაგრამ მას ვერ უგულებელყოფთ. ისინი, ვინც ეს ჩაიდინა, კვლავაც იტანჯებიან ამ ჯვარცმის გამო. მოკლეს უბრალო ხუროს შვილი. თანაც კანონის შესაბამისად. ამაში თითქოს არაფერია მნიშვნელოვანი, — ასე უნდა ეფიქრათ იუდეველებს. მაგრამ მათი თაობები ორი ათასი წლის განმავლობაში სჭუხან ამის გამო. ისინი ბევრჯერ დაისაჯნენ ერთი ადამიანის გამო. ეს თითქოს ალოგიკურია და იუდეველებიც თავს იმაროლებენ. თავისებურად ისინი მართლები არიან. ქრისტეს ჯვარზე გამკვრელნი ხომ რახანია გარდაიცვალნენ, მაგრამ იესოსნაირი პიროვნებები არ მოქმედებენ დროში. იესო აქ არის და ჯვარცმაც სამუდამოდ რჩება — ეს არ არის წარსული, ვინაიდან იესო არასოდეს არის წარსულში. ეს ახლა არის ფაქტი. იგი ჯვარს აცვეს.

იუდეველებს შეუძლიათ იფიქრონ: „ეს წარსულში მოხდა და ისინი, ვინც იესო ჯვარს აცვა, აღარ არიან, ჩვენ მათი შთამომავლები ვართ, მაგრამ პირადად ჩვენ არაფერი ცუდი არ გაგვიკეთებია“. და მაინც, იესოს ჯვარცმა მარადიული ფაქტია. მისი გადატანა წარსულში შეუძლებელია. ეს გულში ჭრილობად რჩება.

ამ ოცი ასწლეულის განმავლობაში იესოს გულისათვის მილიონობით იუდეველი გაემასალმეს წუთისოფელს. ერთი ადამიანის გულისათვის მილიონი კაცი? ეს უსამართლოდ მოგეჩვენებათ, მაგრამ თქვენ არ იცნობთ ამ ადამიანს. მისი ფასი მეტია, ვიდრე მილიონობით ადამიანისა. იმ დღეს, როცა

ჯვარს აცვეს ხურის შვილი, მათ საშინელ ცეცხლთან და-იწყეს თამაში. იესოს ჯვარცმის შესახებ არ არსებობს არ-ცერთი იუდეური ჩანაწერი, რამეთუ ცდილობდნენ ყველაფრის მისქმალვას, მაგრამ იესოს ჯვარცმის დაფარვა შეუძლებელია. იუდეველები ცდილობდნენ თვალი მოეხუჭათ მსისათვის და ამიტომ იტანჯებოდნენ. ყველა უბედურება იქიდან მოდის, რომ მათ იესო გაიღეს. იესო იუდეველი იყო და ბოლომდე იუდე-ველად დარჩა. იგი არასოდეს ყოფილა ქრისტიანი.

იუდეაში მას აოასწლეულების მარხილზე ელოდნენ. წინას-წარმეტყველები ამბობდნენ, რომ მოვიდოდა ხალხის მხსნელი. ხალხიც ლოცულობდა და მოუთმენლად ელოდა, მაგრამ როცა იესო გამოჩნდა, მათ უარყვეს იგი! როცა მოკიდა და კარზე დააკაკუნა, ხალხმა უპასუხა, რომ ის არ იყო, ვისაც მათ პირდებოდნენ. რატომ?

გონებისათვის ლოდინი ადვილია, ვინაიდან მას შეუძლია ჰქონდეს იმედი, სურვილები, შეუძლია იოცნებოს, მაგრამ როდესაც კარზე ღმერთი გიკაკუნებთ, გახსოვდეთ, რომ თქვენც ასევე უარყოფთ მას, თუნდაც მასზე ლოცულობდეთ. რატომ უარყოფთ? იმიტომ, რომ სახლში მხოლოდ ერთის არსებობაა შესაძლებელი. თუ ღმერთი შეიჭრა სახლში, თქვენ უნდა გაქრეთ. აი რაშია პრობლემა.

მოლოდინში თქვენი „ეგო“ არსებობს. იუდეველები ძალიან ეგოისტურად ელოდნენ მესიას, რომელიც მათში უნდა დაბადებულიყო. ისინი რიულ უცილობას წარმოადგენდნენ. ღმერთმა აირჩია იუდეა და ძე ღვთისა ებრაულ ოჯახში უნდა დაბადებულიყო. ამით იუდეველთა „ეგო“ დაკმაყოფილდა, მაგრამ როდესაც ქრისტე გამოჩნდა, მიუკაკუნა მათ კარზე და უთხრა: „მოვედი, რომ თქვენი იმედები განვახორციელო“, იუდეველებმა: „არა, შენ არა ხარ ის რიული! და თუ გაბე-დავ ამის თქმას, მოგკლავთ!“ ეს ადამიანური პრობლემაა, თუ არსებობს იესო, მაშინ თქვენ უნდა გაქრეთ, განიხავდეთ მასში და დანებდეთ. „ეგოსათვის“ სასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ რჩეული ერის შვილია და მათთან მოდის მესია. „ეგოს“

ძალუმს ლოდინი, მაგრამ როცა აღთქმული ადამიანი გამოჩნდება, ძნელდება მისი მიღება.

იუდეველებმა მოკლეს იესო და ამის შესახებ ნანაწერებიც კი არ ღატოვეს. სურდათ, ეს დაეივიწყებინათ, რათა კვლავ ჰქონოდათ იმედი და ღღემდე არ კარგავენ იმედს, რომ მესია მოევლინებათ. ის არ მოვა, მაგრამ როცა გამოჩნდება, გეუბნებით, რომ ისევ ჯვარს აცვამენ. მათ მიის წვერზე აშენებული ქალაქის იგნორირება სცალეს და დაზარალდნენ, ცდილობდნენ დაემალათ მზე და ჭეშმარიტება.

იუდეველებმა ჭეშმარიტება აცვეს ჯვარს. მაგრამ ჭეშმარიტების ჯვარზე გაკვრა შეუძლებელია, რამეთუ ჭეშმარიტება მარადიული და უკვდავია. ვინაიდან იუდეველებმა ეს არ შეიგნეს, ძალიან ღაზარალდნენ. სულის სიღრმეში მათ ისევ აწუხებთ ეს დიდი დანაშაული, რომელიც საკუთარი ჩრდილივით დაჰყვება მათ. იუდეველებმა თვითონ კარგად იციან, რომ უდიდესი ცოდვა ჩაიდინეს: მათ უარყვეს ღმერთი, როცა კარზე მიუკაკუნათ. ქრისტე ვერ გააამართლებს თქვენს მოლოდინს, თუ მოვა, ის უცხო იქნება, ვინაიდან თუ გაგიმართლათ, ღმერთი აღარ იქნება.

ღმეროი ყოველთვის უცხოა და უცნობი. იგი ვერ მოვა ნაცნობი ფორმით. ღმეროი მუდამ იდუმალებით მოცული რჩება. იგი არ ექვემდებარება ფორმულებს, რამეთუ სიცოცხლე იდუმალებაში ცხოვრობს!

იესომ თქვა: **„რასაც მოისმენთ საკუთარი ყურით, გულისყურით იქადაგეთ საკუთარი სახლის სახურავიდან, რადგან ანთებულ ლამპარს ჭურჭლის ქვეშ კი არ დგამენ, არამედ — სალამპრეზე ისე, რომ მომსვლელსაც და წამსვლელსაც უნათებდეს...“**

იესომ უთხრა თავის მოწაფეებს: **„რასაც მოისმენთ წადით და იქადაგეთ თქვენი სახურავიდან, რათა სხვებსაც შესძლონ მისი გაგება“...**

ანთებულ ლამპარს არავინ დგამს დაფარულ ადგილას. იესო ამბობს, რომ წადით და აცნობეთ ყველას სასიამოვნო

ამბები. წადით და იქადაგეთ, რომ იდუმალმა თქვენს კარზე დააკაკუნა. წადით და იქადაგეთ ერდოებიდან რათა ხალხმა მოგისმინოთ. მოვიდნენ და სიმშვიდე მოიპოვონ. ნუ შეუშინდებით ამას!

ეს ძალიან რთული საქმეა და არც იესოს მოწაუეებისათვის უნდა ყოფილიყო ადვილი. სჩვეებისათვის იმის თქმა, რომ ძე ღვთისა უკვე მოვიდა, ძალიან ძნელია. ხალხი ხომ სიცილს დააყრის. იტყვიან, გაგიჟებულანო. არ დაიჯერებენ, რომ იესო ქრისტეა. იფიქრებენ, რომ შეიშალეთ ჭკუაზე, თქვენ ფსიქოანალიზი გჭირდებათ, უნდა მიმაროთ ექიმს, სვათ წამლები, დაისვენოთ და მოდუნდეთ! თუ ასე ფიქრობთ, ყველაფერი წესრიგში ვერა გაქვთ!

ადამიანს გაუძნელდება იმის თქმა, რომ ვიღაც რეალიზებული გახდა. რატომ? იმიტომ, რომ თუ ვიღაც ჭეშმარიტებას ეზიარა, ეს მძიმე დაღს გასვამთ და თქვენთვის დიდ ტკივილად იქცევა. თქვენც ხომ შეგეძლოთ ასეთი გამხდარიყავით, მაგრამ ხელიდან გაუშვით შესაძლებლობა. თქვენი „ეგო“ შეურაცხყოფილია — „იესო ღვთის ძე?“

და უფრო ადვილია იმის უარყოფა, ვიდრე საკუთარი თავის შეცვლა და თავადაც ღვთის ძედ გახდომა, რადგან „არას“ თქმა ამქვეყნად ყველაზე ადვილია. ამისათვის არაფრის გაკეთება არ არის საჭირო. ამბობთ „არას“ და მორჩა! თუ ამბობთ „დიახ“, ყველაფერი მხოლოდ იწყება. „არა“ ყოველთვის დასასრულია, „დიახ“ — ყოველთვის დასაწყისი.

თუ ამბობთ: „დიახ, იესო ძე ღვთისაა“, მაშინ უნდა გარდასახოთ საკუთარი თავი, რომ თქვენი პასუხი გაამართლოთ. თუ ამბობთ „არა“, პრობლემა გადაწყვეტილია. მაშინ ვინც არ უნდა იყოთ და სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ — ბნელში, ხეობასა თუ სიკვდილში, მსუბუქად ხართ. იესოს გამოხსენება გაფორიაქებთ. ბუდა შემოდის თქვენში და იწყება ღელვა. და თქვენ მათზე შურს იძიებთ. თუ ერთმა ადამიანმა შესძლო, მიეღწია ასეთი სიმაღლეებისათვის, როგორ მოხდა, რომ თქვენ ეს დაკარგეთ? უკეთესია იმის თქმა, რომ სიმაღლე

არ არსებობს და არავის მიუღწევია მისთვის, მაშინ თქვენ მშვიდად ხართ საკუთარ სიბნელეში.

იესო და ბუდა ძალიან გულაბავთ. ისინი ძირფესვიანად გგლეჯენ თქვენ ხეობებიდან, ძილში მყოფთ გაჯანჯღარებენ და გეუბნებიან: „იმოქმედეთ! არ გაირდეთ!“

იესო ერთ-ერთ შეგონებაში ამბობს: „ეს საშიშარო ხიდია! იმოძრავეთ! აქ არ არის სახლის ასაშენებელი ადგილი, გადაკვეთეთ ის, ნუ დარჩებით აქ! არავინ არ აშენებს სახლს ხიდზე“. ეს ქვეყნიერება ხიდია და თქვენი სახლი მასზე დგას. შეიძლება, ეს არ მოგწონთ. თქვენ ხომ მთელი ცხოვრება აშენებდით ამ სახლს, ახლა კი მოდის ვიღაც მოხეტიალე და გეუბნებათ, რომ ეს ხიდია.

ასე რომ, უკეთესია არ იცქიროთ ქვეშოთ, არ უყუროთ მდინარეს. რატომაა ეს ხიდი? იესო ან მისი მსგავსი ადამიანები არასოდეს არ იყენებენ უბრალოდ სიტყვებს ღრმა აზრის გარეშე. ხიდია იმიტომ, რომ ის მდინარეზეა აგებული, რომელიც მუდამ მიედინება. ჰერაკლიტე* თქვა: „ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში შესვლა შეუძლებელია“. ეს იმიტომ, რომ ერთხელ შესულნი მეორედ თუ შეხვალთ მდინარეში, ის წყალი უკვე წასული იქნება, ადგილზე კი სხვა წყალი დაგხვდებათ, თუმცა, ერთი შეხედვით, მდინარე იგივე მოგეჩვენებათ.

მდინარე ცვლილებას ნიშნავს. იგი მუდმივად მოედინება. რატომ უწოდა იესომ ამ სამყაროს ხიდი? იმიტომ, რომ თქვენი სახლი დროის მდინარეზეა აგებული — ყოველივე მოძრაობს და მიდის ამ ხიდიდან. აქ არ არის სახლის ასაშენებელი ადგილი. მაგრამ თუ ვინმე მოდის და გეუბნებათ ამას მაშინ, როცა 50 წლის განმავლობაში აშენებდით სახლს და ახლა თითქმის მზადაა... გახსოვდეთ, ის თითქმის მზადაა ყოველთვის, მაგრამ არასოდეს არ არის მთლიანად დასრულებული. მისი ბუნებიდან გამომდინარე ეს შეუძლებელია.

როდესაც თქვენი შრომა დასასრულს უახლოვდება, თქვენ ემზადებით დაისვენოთ ყველა საზრუნავისა და დაძაბულობისა-

გან, რომელიც სახლის მშენებლობას ახლავს. მესია კი მოდის და გეუბნებათ: „სახლი მდინარეზეა აშენებული!“ იმის ნაცვლად, რომ დაუჯეროთ ამ კაცს და ქვემოთ ჩაიხედოთ, პასუხობთ: „წადი, შე ბრიყვო!“ თუ იგი დაჟინებით გაგიმეორებთ, რომ ეს სამყარო ხიდია, თქვენ მას ჯვარს აცვამთ.

სოკრატე მოწამლეს, რადგან ათენელები მის გამო თავს უხერხულად გრძნობდნენ. სოკრატე ბევრ წარჩინებულს აჩერებდა და მათი მოხერხებული ტყუილის დამარგრეველ შეკითხვებს სვამდა. იგი მოსაბეზრებელი გახდა! ხეობაში ყოველთვის მოსაბეზრებელია ბუდაც. სოკრატემ უამრავი შიში და ტანჯვა შექმნა, ათენელები ველარ იძინებდნენ, ნორმალურად ვერ მუშაობდნენ იმის გამო, რომ სოკრატე მაოში ეჭვს თესავდა. ის ამბობდა: „რას აკეთებთ ხალხნო, ეს ხომ მდინარეზე გადებული ხიდია. აქ, ამ ბაზრობაზე აშენებთ სახლს? ეხებით მარადიული ჭეშმარიტება“. სოკრატე მაოთვის მომაბეზრებელი გახდა. ამიტომაც მოუსწრაფეს მას სიცოცხლე.

იესო მოწაფეებს ეუბნება: „წადით და საკუთარი სახლის სახურავიდან იქადაგეთ“... რატომ სახურავიდან? იმიტომ, რომ გაიგონ. ადამიანებს მაშინაც კი არ ესმით, როცა ისმენენ. ისინი სადღაც სხვაგან არიან. მაშინაც კი ყვინთავენ, როდესაც თავს გიქნევენ. ისინი უბრალოდ დაიღალნენ. მათ შეუძლიათ ამის მოთმენა, მაგრამ არასოდეს ტკბებიან ჭეშმარიტებით. ჭეშმარიტება ხომ ყოველთვის უხერხულობას გიქმნით. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან თქვენ სიცრუის ხეობაში ცხოვრობთ.

მთელი თქვენი ცხოვრება სიცრუეა. თქვენ ატყუებთ საკუთარ თავს, ცრუობდით სხვასთან და საერთოდ, ყველაფერი ტყუილად აქციეთ. ახლა კი მოდის ვიღაც და სიმართლეს გეუბნებათ. ის ამბობს, რომ თქვენ ავადა ხართ და თავი ჯანმრთელი გგონიათ. თქვენ კი ფიქრობთ, რომ თქვენს გარშემო ყველაფერი წესრიგშია, რომ ეს ადამიანი ავის მომასწავებელია და თუ მოუსმენთ, მართლაც ავადმყოფად იქცევით.

იესოს სურს ფხიზელ ადამიანად გაქციოთ, რომელიც სიმართლეს შეიცნობს. მას სურს დაანგრიოს თქვენი მორჩენებითი სასახლეები, რომლებიც სათამაშო ბარკოოია აგებული.

იესო ამბობს: „რასაც მიოსჩენთ საკუთარი ყურით,
გულისყურით იქადაგებთ საკუთარი სახლის სახურავიდან,
რადგან ანთებულ ლამპარს ჭურჭლის ქვეშ არ დგამენ..."

ნუ იქნებით გაუბედავი, ნუ გეშინიათ! სინათლე აქაა, ნუ დამალავთ მას:

„...არამედ სალამპრეზე ისე, რომ
მოშსულელსაც და წამსულელსაც ურათებდეს".

ეს ყოველთვის პრობლემა იყო.

ბუდა, მაჰავირი, ლაო ძი, იესო, მუჰამედი, ზარატუსტრა* მუდამ დაჟინებით ითხოვდნენ, რომ მოწაფეებს ეცოთ და სხვებისთვის ეცნობებინათ მათი ქადაგება, ვინაიდან ხელსაყრელი შემთხვევა ყოველთვის არ იქნება. იესო არ დარჩება მუდამ აქ, ფიზიკურ სხეულში და თუ თქვენ ფიზიკურად აქ მყოფის არ გესმით, როგორ გაიგებთ მის ნათქვამს, როცა ის არ არის ხორცშესხმული?

თუ მისი ფიზიკურად აქ ყოფნა არ იქცევა თქვენთვის გამოცხადებად, როგორ შეიძლება იქცეს ის გამოცხადებად მაშინ, როცა მარადისობაში გაუჩინარდა?

ძალიან იშვიათად გასხივოსნდება ვინმე. ძალიან იშვიათად ქრება ვიღაცის სიბნელე. ეს იშვიათი მოვლენაა. აი, რატომ ჩქარობს იესო. მან კარგად იცის, რომ დედამიწაზე ცოტა დრო აქვს, სულ 33 წელი. 30 წლის იესო გასხივოსნდა, ხოლო 33 წლის ასაკში მარადისობაში გადავიდა. იგი ძალიან ჩქარობდა, იცოდა, რომ ჯვარს აცვამდნენ და მოწაფეებს ეუბნებოდა: „წადით და იმდენი ადამიანი გახადეთ შეგნებული და ფხიზელი, რამდენიც შესაძლებელი იქნება. ახლა კარი ღიაა, მათ შეუძლიათ ღვთის საუფლოში შემოსვლა". მაგრამ მოწაფეები ყოველთვის ორჭოფობდნენ, მათ ქადაგება მას შემდეგ დაიწყეს, როცა იესო აღარ იყო დედამიწაზე, რადგან იესოს გაქრობის შემდეგ მიხვდნენ, რაც მოხდა მათ ცხოვრე-

ბაში. ეს ყოველთვის ასეა. როცა იესო აქ არის, თქვენ ესვევით სინათლეს, რომელიც თვითონ იესოა; როცა ის ქრება, ბნელდება და მაშინ ხვდებით, რომ სინათლე დაკარგეთ და იწყებთ ქადაგებას სახურავიდან.

ეკლესია მთელს მსოფლიოში ქადაგებს, რომ იესო სინათლეა. მაგრამ ახლა ეს დიდად ვერ გიშველით, რადგან კარს ველარ პოულობთ. ახლა იესო უხილავია. მას შეუძლია დაგეხმაროთ, მაგრამ თუ ხილულ სინათლეს ვერ ხედავთ, უხილავ იესოს როგორ დაინახავთ? ცხვირწინ გაღებულ კარში თუ არ შეგიძლიათ შესვლა, როგორ შეაბიჯებთ უხილავ კარში? ძნელია! მაგრამ მოწაფეები თავად გახდნენ ფხიზელნი. როცა სინათლე გაქრა, დაიწყეს მოთქმა და ტირილი, მხოლოდ მაშინ ჩასწვდნენ ჭეშმარიტებას, რამეთუ ცოდნასთან მისასვლელად კონტრასტია საჭირო. როდესაც სიკვდილის ჟამი დგება, მაშინ იგებთ,რომ ცოცხალი ხართ. უახლოვდებით, აცნობიერებთ, რა იყო თქვენი ცხოვრება და როგორ გაუფლანგეთ იგი. ამბობენ, მხოლოდ სიკვდილის წინ იგებენო ადამიანები იმას, რომ ცხოვრობდნენ, სხვაგვარად კი ისინი სიცოცხლეს ფლანგავენ.

იესომ თქვა: **„ბრმას თუ ბრმა მიუძღვის, ორივე ორმოში ჩავარდება...“**

ასე რომ, ნუ იქნებით გაუბედავნი. წადით და გააგებინეთ ხალხს, რომ აქ არის ადამიანი, რომელიც ხედავს სამყაროს. სხვაგვარად მათ გზა აებნევათ, ვინაიდან წინამძღოლი ესაჭიროებათ. თუ ვერ იპოვნიო ბუდას ან იესოს, მაშინ სხვას გაჰყევებით უკან, ვინაიდან თქვენთვის აუცილებელია რომელიმე მოწინავე. ეს იმიტომ, რომ არ იცით, საით წახვიდეთ და საჭიროა, ვინმეს გაჰყვეთ.

თუ ვერ მიიღებთ ჭეშმარიტ საკვებს, დაიწყებთ მდარე საკვების მიღებას, ვინაიდან შიმშილი მუდამ არსებობს. ძალიან ადვილია უსინათლოს პოვნა, რადგან თვითონ უსინათლონი ხართ. თქვენ გესმით მისი ენა. ადვილია, გაჰყვეთ უსინათლოს, რადგან ორივე სიბნელის ეროსა და იმავე სამყაროს მიეკუთ-

ვნებით. გაცილებით ადვილია, გვქეროდეთ უსინათლო ადამიანის, გვქეროდეთ, რომ ის ოსტატია, ვიდრე იმ ადამიანისა, რომელიც არ არის ბრმა. ის სხვა ენაზე ლაპარაკობს, სხვა სამყაროზე გესაუბრებათ და მას უცხოდ თელით. ადვილია, მიჰყვეთ ცრუ ოსტატს, ვინაიდან თქვენც ასეთივე ხართ. და თქვენსა და ოსტატს შორის არის რაღაც მსგავსება. მაგრამ „თუ ბრმა ბრმას მიუძღვის, ორივე ორმოში ჩავარდება...“ მოლა ნასრედინი მოკვდა. მისმა ორმა მოწაფემ ამის გამო თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. რა უნდა ექნათ მათ ოსტატის გარეშე? მოლა მიუძღოდა მათ, მოწაფეებიც მისდევდნენ მის კვალს და საბოლოოდ ერთად დააკაკუნა იმქვეყნის მშვენიერ კარებს. ნასრედინმა თქვა: „შეხედეთ, ეს არის ის, რასაც შეეპირდით, მე მუდამ ვასრულებ დაპირებას. ჩვენ საბოთხეში მოვხვდით“.

გამცილებელმა ისინი მშვენიერ სასახლეში შეიყვანა და უთხრა: „ამიერიდან აქ იცხოვრებთ, რაც არ უნდა მოგინდეთ, მთხოვეთ და თქვენი სურვილი დაუყოვნებლივ შესრულდება“.

მოლამ მოწაფეებს ისევ გაუმეორა: „ხედავთ, რაც გითხარით, შეგისრულეთ“.

შვიდი დღე ცხოვრობდნენ იქ აღფრთოვანებულები, რადგან მათი ყველა სურვილი დაუყოვნებლივ სრულდებოდა. მეშვიდე დღეს იმედი გაუცრუვდათ. როცა რაღაც ძალიან იოლად გეძლევათ, ვერ ტკბებით ამით, ხოლო როცა რაღაცას ღებულობთ ისე სწრაფად, რომ სურვილსა და შესრულებას შორის შუალედი არ არის, ყველაფერი მოგბეზრდებათ. აი, რატომ ბეზრდებათ მდიდრებს ასე ყველაფერი. ღარიბს შეუძლია, ზოგჯერ იცეკვოს კიდეც, მაგრამ მდიდარს — არასოდეს. შეხედეთ მეფეებს. ისინი უსიცოცხლონი არიან. მათ ყველაფერი ბეზრდებათ იმიტომ, რომ ყველაფერზე ხელი მიუწვდებათ. ეს დიდი პრობლემაა, უფრო დიდი, ვიდრე უქონლობა ან უკმარისობა.

მოლა ნასრედინი და მისი ორი მოწაფე შვიდი დღის განმავლობაში ტკბებოდნენ მშვენიერი ქალებით, ძვირფასი ღვი-

ნოებით, საუკეთესო საჭმელითა და ძვირფასი ტანსაცმლით. ცხოვრობდნენ იმპერატორებივით. მაგრამ მერე? მეშვიდე დღეს მოლამ სთხოვა თავიანთ მეგზურს: „გვინდა ქვემოთ ჩავიხედოთ, მიწაზე. გვინდა ფანჯარა, რომ დავინახოთ, იქ რა ხდება“.

მეგზურმა ჰკითხა: „რაში გჭირდებათ?“

მოლამ უთხრა: „რათა კვლავ გაგვიჩნდეს ინტერესი და სურვილები გაგვიღვიძოს“.

მეგზურმა გააღო ფანჯარა და ისინი ქვემოთ გადაახედა. მათ დაინახეს ხალხი; დაინახეს, როგორ იბრძვიან ისინი მთელი ცხოვრება და რა ცოტას აღწევენ. ამ კონტრასტის გამო ნასრედინსა და მის მოწაფეებს ისევ მოშივდათ. მომდევნო კვირაში კვლავ ნეტარებდნენ, მაგრამ ისევ მობეზრდათ ყველაფერი. ახლა ძველი წამალი აღარ გამოდგებოდა. ისევ მიწიერი სამყაროს დანახვა ვეღარ უშველიდა. ამ ყველაფრის აღქმა მათთვის უკვე ძნელი იყო და ნასრედინმა მეგზურს უთხრა: „ახლა კიდევ ერთი უგუნური სურვილი მაქვს. გვინდა, რომ ჯოჯოხეთის კარი გაგვიღო. ჩავიხედავთ იქ და ისევ დაგვიბრუნდება სურვილი. მაგრამ ერთი საშიშროება არსებობს, ამის შემდეგ რაღას ვიზამთ?“

მეგზურმა გაიცინა და უთხრა: „როგორ ფიქრობთ, აბა, ახლა სადა ხართ?“

ისინი ჯოჯოხეთში იყვნენ!

თუ ყველა სურვილი აგისრულდებათ, ჯოჯოხეთში აღმოჩნდებით, რადგან თქვენთვის უცხოა უშუოთველობის ნეტარება. თქვენ მხოლოდ ბრძოლა იცით, აი, რატომ ამბობენ პოეტები, რომ ნეტარება განშორებაშია და არა შეხვედრაში; ნეტარება დაკარგვაშია და არა აღსრულებაში, და მართალსიც არიან, თუ თქვენზეა ლაპარაკი. როცა ყველაფერი შესრულებულია, რაღას გააკეთებთ? მაშინ მიხვდებით, რომ ჯოჯოხეთში იმყოფებით. თუნდაც სამოთხეს მიაღწიოთ, იგი ჯოჯოხეთად გადაგექცევათ, რადგან სიბრმავე ვერასოდეს მიაღწევს სამოთხეს. სინამდვილეში სამოთხე ის აღგილი კი არ არის, რომელსაც

შეიძლება მიაღწიოთ. ეს არის გონების მღვიმარეობა და არა გეოგრაფიული მცნება. იგი თქვენშია. თქვენშივე არსებობს ჯოჯოხეთიცა და სამოთხეც. მაგრამ თუ ბრმას მიჰყვებით, როგორ აგიყვანთ იგი მწვერვალზე? ის ხეობაში მიგიყვანთ. თქვენ გჭირდებათ წინამძღოლი — აღიარეთ ეს. გინდათ, რომ წინ სხვა მიგიძღოდეთ, რადგან ამ დროს პასუხისმგებლობა მას დაეკისრება. სჯობს გყავდეთ ბრმა ლიდერი, ვიდრე თვითონ იღებდეთ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას. ასეა მოწყობილი თქვენი გონება. ამიტომ ქრისტე ამბობს: **„იარეთ და აცნობეთ ადამიანებს, რომ ოსტატი აქ არის!“**

იესო მოგვეელინა, ეს იშვიათი შანსია და უამრავი შესაძლებლობაა, რომ დაკარგოთ ეს ხელსაყრელი შემთხვევა. გაიქეცით და მაგრად ჩასჭიდეთ ხელი ამ ადამიანს, რადგან სამოთხის კარი იშვიათად არის ღია. ეს მაშინ ხდება, როცა ადამიანს ნათელი ეუნება.

გაბრწყინებული ადამიანი სამოთხის კარია. მისი საშუალებით შეგიძლიათ ჩასწვდეთ ჭეშმარიტებას.

ოსტატი განა ის არის, ვინც გასწავლით, არამედ ის, ვინც გაუხსნელებთ. ოსტატი არ არის ის ადამიანი, ვისაც თქვენთვის ინფორმაცია აქვს. იგი თავად თქვენს არსებაში გამოაკრთობს ნაპერწკალს. სწორედ ეს გახდა პრობლემა — იესო რომ გარშემებულიყო, მას არავინ გააკრავდა ჯვარზე, მაგრამ იგი ჩქარობდა, დაიწყო მთელ ქვეყანაზე სიარული და ქადაგება, მაგრამ ვერავინ გაუგო მას.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ორ განსხვავებულ განზომილებას შორის კავშირი შეუძლებელია. ის ლაპარაკობდა ღვთის საუფლოზე, ხალხი კი ფიქრობდა, რომ ამქვეყნიურ სამეფოზე საუბრობდა. მან თქვა: **„მე ვარ მეუფე!“** ხალხი კი ფიქრობდა, რომ მას ამქვეყნიური მეუობა სურდა. იესო ამბობდა: **„ვინც შშვიდია, დაიმკვიდრებს დედამიწას“**. მას სულ სხვა რაღაც ჰქონდა მხედველობაში, ხალხს კი ეგონა, რომ თითქოს მოწაფეებს ეუბნებოდა: „მიწას მიიღებთ მემკვიდრეობითო.“ პოლიტიკოსები შეშინდნენ, რადგან „მეუე“, „სამეუო“, „მიწის

მეშვიდრეობით მიღება“ პოლიტიკური ტერმინებია. ქურუმებიც შეშინდნენ, ვინაიდან რასაც იესო ლაპარაკობდა, მათ კანონებს არ შეესაბამებოდა. სიყვარული ყოველთვის კანონგარეშეა. იგი არასოდეს ემორჩილება კანონებს, იგი თვითონაა უმაღლესი კანონი. როდესაც გიყვართ, ყველაფერი წესრიგშია, რადგან სიყვარული ვერ მოიმოქმედებს ცუდს. მისთვის არ არსებობს მითითებები და წესები. ისინი არსებობს იმიტომ, რომ თქვენ არ შეგიძლიათ სიყვარული. აი, რატომ არის ამღენი წესი, რათა არ შეგეძლოთ სხვისი გაბრაზება, ან სხვამ ვერ შესძლოს თქვენი გაბრაზება. მაგრამ თუ გიყვართ, რატომ უნდა გააბრაზოთ? — წესები ქრება.

იესო უმაღლეს კანონზე — სიყვარულზე ლაპარაკობს. მაშინ შეშინდნენ ქურუმები, მოსამართლეები, იფიქრეს, რომ ქვეყანაში ქაოსი და ანარქია შეიქმნებოდა. ქრისტე ჯვარს აცვეს, ვინაიდან შფოთს თესავდა. ეს აღარ უნდა განმეორდეს, რადგან უკვე მოხდა წარსულში. ამიტომ ახლა, ათასწლეულების შემდეგ, ბუდას, მაჰავირის, ზარატუსტრას, იესოსა და მუჰამედის გამოცდილებით უფრო ფხიზელნი უნდა გავხდეთ.

მაგრამ არა! ყველაფერი ძველებურადაა! თითქოს ადამიანს არაფერი უსწავლია — კაცთა სიბრიყვე უკიდურესად მეღავნდება. ადამიანი ამტკიცებს თავის უმეცრებასა და თითოეულს, ვინც კი შეეცდება მის აღმოფხვრას, მტრად ღებულობს. მეგობრები მტრად გეჩვენებათ, მტრები — მეგობრებად. ვისაც წინამძღოლობა შეუძლია, შემცდენლებად გეჩვენებათ, ხოლო ბრმები ლიდერები გგონიათ.

თავდაპირველად საჭიროა, გაიგოთ, რომ გამძღოლი გესაჭიროებათ. ეს მშვენიერია, რადგან ძიებისაკენ სწრაფვას გვიჩვენებს. მაგრამ ნუ ანქარდებით და ყველა შემხვედრს ნუ გაპყვებით. როგორ გადაწყვეტთ? რა კრიტერიუმები არსებობს? ის მაძიებლისათვის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა — როგორ გადაწყვიტოს, ვინ არის იესო და ვინ — უსინათ-

ლო. ამ შემთხვევაში თავდავიწერებულობა შეუძლებელი ჩანს, მაგრამ რწმენის გაელვება შესაძლებელია.

სულ თავიდან თქვენ ვერ იქნებით დარწმუნებულნი. საგანთა ბუნება ასეთია — როგორ გადაწყვეტს ბრმა, აქვს თუ არა სხვას თვალები? მან რომ ეს დაიწეროს, თეიორისაც უნდა ხელავდეს, მაშინ კი ამის საჭიროება აღარ იქნება. როდესაც იქცევიო ბუდად, აღარ არის საჭირო, ბუდას სცნობდეო. როდესაც იესოს მსგავსი ხდებით, აღარ იქნება საჭირო იცნობდეთ იესოს და მის კვალზე იაროთ. ეს პარადოქსია.

თქვენ უსინათლონი ხართ და უნდა ამოირჩიოთ, როგორ გადაწყვეტთ? სიტყვის საშუალებით? მაშინ მოგატყუებენ, რადგან სწავლულები, პანდიტები და ქურუმები ძალიან ჭკვიანები არიან, როცა ლაპარაკობენ. მათ ვერავინ აჯობებს ლაპარაკში. ამ საქმიანობას დიდი ხანია ეწევიან. იესო მათთან ღარიბად გამორჩდებოდა თავისი საუბრებით. იუდეველთა მღვდელმთავარი ადვილად მოუგებდა მას სიტყვას. ეს არ იქნებოდა დიდი პრობლემა. კაბირის ან ბუდას დავჯაბნა სიტყვაში ადვილია არგუმენტებისა და ლოგიკის დახმარებით, მაგრამ სიტყვებით ვერ განსჯით, მოგატყუებენ! ნუ ისარგებლებთ ამ კრიტერიუმით.

იესოს განსჯა მხოლოდ მისი ყოფის მიხედვით შეიძლება — იყავით მის გვერდით, ნუ შეეცდებით მის მოსმენას; შეეცადეთ, გაიგოთ, ვინ არის იგი. აი გასაღები: იყავით მის გვერდით! ინდუსები ამას „სატსანგას“ (ჭეშმარიტების გვერდით ყოფნას) უწოდებენ. ნუ გამაროავთ ინტელექტუალურ კამათს, მხოლოდ შინაგანად მოუსმინეთ და იგრძენით, თუ ვინ არის იგი. მთავარია ვიბრირებულნი იყოთ, იყვავილოთ და სურნელება აურქვიოთ.

თუ იესოს გვერდით მდუმარედ დგომას შესძლებთ, ჩასწვდებით მის მოქმედებასაც და ეს მდუმარება გაგხდით ნეტარს, სიყვარულით აგავსებთ და განგმსჭვალავთ თანაგრძნობით. ეს არის კრიტერიუმი. თუ გვერდში პანდიტს ან მეცნიერს ამოუდგებით, მაშინ მხოლოდ სევდით აღივსებით,

რადგან პანდიტიც და მეცნიერიც ისეთივე უბედურები არიან, როგორც თქვენ. თუ მათ სიტყვებს მოუსმენთ, დიდებულად მოგეჩვენებათ. ხოლო თუ მათ ყოფას, ვიბრაციასა და ცხოვრების მაჯისცემას შეიგრძნობთ, მაშინ ისინი ძალიან უბედურად მოგეჩვენებათ. ამიტომაც იქცნენ ისინი მოლაპარაკე ადამიანებად, რათა თავიანთი უბედურება დამალონ. აი, რატომ კამათობენ და საუბრობენ სხვადასხვა თეორიებსა და სისტემებზე. იმიტომ, რომ არ იციან.

ადამიანი, როდესაც იცის, არასოდეს კამათობს. იგი, უბრალოდ გაცნობებთ და უბრალოდ გეუბნებათ რამეს. დააკვირდით იესოს შეგონებებს. იესო არ კამათობს, არც ასაბუთებს, იგი მხოლოდ გაცნობთ:

„ბალახ მთაზე აშენებული და გამაგრებული ქალაქი
არ დაიცემა და არც დაიმალება...“

არგუმენტი არ არის. იგი უბრალოდ მოგითხრობთ:

„რასაც გაიგონებთ საკუთარი ყურით,
გულისყურით იქადაგეთ საკუთარი სახლის სახურავიდან,
რადგან ანთებულ ლამპარს არავინ დგამს ჭურჭლის ქვეშ.
არამედ სალამპრეზე, ისე, რომ
მომსველელსაც და წამსველელსაც უნათებდეს...“

არგუმენტები არ არის! არ არსებობს რაიმის დამტკიცების მცდელობა. იესო უბრალოდ აცხადებს ამას.

იგი ამბობს:

„ბრმას თუ ბრმა მიუძღვის,
ორივე ორმოში ჩავარდება“...

ეს ფაქტის უბრალო განცხადებაა! შესაძლოა, მეცნიერებმა ეს საკითხი უფრო დამაჯერებლად განგიმარტოთ, მაგრამ მაშინ თქვენ მოტყუებით.

თუ შეგხვდათ ოსტატი, მიაყურადეთ მის არსებობას. დაეუფლეთ მისი ყოფიერების სმენის ხელოვნებას; იყავით მის გვერდითა და გულით შეიგრძენით ის. უეცრად იგრძნობთ, რომ რაღაც ხდება თქვენში. თქვენ ძირეულად იცვლებით. თქვენ აღარა ხართ იგივე. თქვენი სიერცე ივსება უხილავი

სინათლით, თითქოს ერთ წამში გადააგდეთ ტვირთი, თითქოს ფრთები გაიოგესხათ და ფრენა შეგიძლიათ. ეს კი გამოცდილებაა, რაც გაჰფენინებთ ჭეშმარიტ პიროვნებას, ადამიანის თვალებით, რომელსაც თქვენი გაძღოლა შეუძლია.

სად მიგიყვანთ იგი? საკუთარ თავთან! მეცნიერი მიგიყვანთ კიდევ რაღაცასთან, სადღაც იქ, ცაში, სადღაც სამომავლო მიზანთან. გაბრწყინებული ადამიანი კი არსად არ გაგიძღვებათ თქვენივე საკუთარი თავის გარდა, რადგან მიზანი თქვენშია, თვითონ თქვენ ხართ ეროადერთი მიზანი!

ბრმა მიგიყვანთ გარეგან მიზანთან და თქვენ ორმოში აღმოჩნდებით. კვლავაც ბრმა ლიდერი, კვლავ ორმო... როცა იესო „ორმოს“ ახსენებს, „საშოს“ გულისხმობს. როდესაც ბრმას ბრმა მიუძღვის, ორივე საშოში ვარდება. ეს არის ორმო. ისინი ხელახლა დაიბადებიან იმავე უბედური ცხოვრებით. ახალი ფორმით და იწყება იგივე ტანჯვა. სუბსტანციონალური არაფერი არ შეიცვლება, ისტორია იგივე რჩება, შეიცვლება მხოლოდ გარეგნული ფორმები. თქვენ კვლავ ჯოჯოხეთსა და უბედურებაში ხართ, საშო ორმოა.

როდესაც ჭეშმარიტებას ნაზიარები ადამიანი მიგიძღვით წინ, არასოდეს ჩაივარდებით ორმოში. მაშინ ახალ განზომილებაში დაიბადებით. ამქვეყნად ხელმეორედ დაბადება არა ღირს. აქედან გაქრებით და გაჩნდებით „სადღაც“. ეს „სადღაც“ არის ღმერთი! ეს „სადღაც“ არის ნირვანა!

1974 წლის 31 აგვისტო
პუნა, ინდოეთი

საშბარი მეთორმეტე

მეთორმეტე შეგონება

იეხომ უთხრა მოწაფეებს: — ჰქმენით მხვაშხი ჩემი და მითხარით, ვის ვკვაშარ მე“.

ხიმონ-ჰეტრემ უპასუხა: — „შენ მართალ ანგელოზს ჰკვაშხარ“.

მათემ თქვა: — „შენ ყოლისმცოდნე ბრძენს ჰკვაშხარ“.

თომამ მიუგო: — „უფალო ბაგენი ჩემი ვერა ჰხმობენ მხვაშებაშ შენსაშ“.

მაშინ თქვა იეხომ: — „მე არა ვარ უფალი შენი, რადგან შენ მთვრალი ხარ მჩქეფარე წყაროთი, მე რომ გაგზომე –“ და მოჰკიდა ხელი მაშ, გაიყვანა და სამი სიტყვა უთხრა, როცა თომა მობრუნდა, მოწაფეები შეეკითხნენ: „რა ეთხრა იეხომ?“

თომამ უპასუხა: — „ერთი სიტყვა რომ ეთქვა მისი ნათქვამიდან, თქვენ ქვებს აიღებთ და ჩამქოლავთ, და ცეცხლი გამოვა ქვებიდან და დაგწვავთ თქვენ – “

(თომა, 14)

თუკი ბუდას ან იესოს მსგავსი ადამიანი გამოჩნდა, თქვენ ყველა ხერხით შეეცდებით მისგან გაქცევას, რადგან ის თქვენთვის სიკვდილის ტოლფასია. რა თქმა უნდა, ამ

გაქცევის გასამართლებლად გონივრულ მოსაზრებებს გამოჩხრეკთ, საკუთარ თავსაც დაუმტკიცებთ, რომ „ეს ადამიანი ქრისტე არ არის, იგი არც გასხივოსნებულია“, მოუძებნით რაიმე ნაკლს, ამით შვებას იგრძნობთ და მოერიდებით ასეთ პიროვნებას.

მასთან შეხვედრა საშიშია, რამეთუ მას თქვენში ყველაფრის დანახვა ძალუძს. თქვენ გამჭვირვალე ხდებით მისთვის, ვერ დაიმალებით, ვერც შეინილბებით. მის წინაშე გადაშლილი წიგნივით იქნებით, თქვენ კი მთელი ცხოვრება იმალებოდით, ცდილობდით, სიყალბესა და სიცრუეში გეცხოვრათ.

ბუდას ან იესოს მსგავსი პიროვნება კი ყველაფერს დაუფარავად ხედავს. მის წინაშე ფოთოლივით თრთით. ის სიმართლესთან მიგიყვანთ, მასთან ვერ აიფარებთ ნიღაბს და ეს კატასტროფა იქნება თქვენოვის. ამიტომაა, რომ იესოსთან მიახლოებას მხოლოდ ის შეძლებს, ვინც მამაცია და გამბედავი. ეს იმას ნიშნავს, რომ მზად ხართ უფსკრულში გადასაშვებად და საკუთარი თავის დასაკარგავად.

გაურკვეველობაში, უცნობლობის საფრთხისას, ოკეანეში, მეორე ნაპირი რომ არა ჩანს, უდიდესი გამბედაობაა საჭირო, ქრისტეს რომ გაჰყვეთ. სწორედ ამაშია პრობლემა — ძალიან ცოტას ძალუძს კვალდაკვალ სდიოს ქრისტეს. ვინც გარბის, მასაც დაკარგავს და საკუთარი ცხოვრების აზრსაც, რადგან სადღაც სიღრმეში, როდესაც ცდილობთ იესოს გაექცეთ, საკუთარ სიმართლეს გაურბიხართ. ის სხვა არაფერია, თუ არა მომავალი. თქვენ თესლი ხართ, ის კი ხეა და ყვავილობს. იგი თქვენი მომავალი და თქვენი შესაძლებლობაა. მას რომ გაურბიხართ, უკანასკნელ შესაძლებლობას კარგავთ.

მაგრამ იმათ შორისაც,ვინც ქრისტესთან ახლოს მივიდა, ყველას როდი მოუწევს მასთან უსათუო შეხვედრა. ვინც გარბოდა, გაიქცა და მორჩა, მაგრამ ვინც მას მიუახლოვდა, ახლოს იცხოვრებს მასთან, სულ მის გვერდით იქნება, მაგრამ მაინც მოერიდება იესოს, რადგან არასწორი მიზეზებით აღმოჩნდება მასთან. ამიტომ ათასებიდან მხოლოდ მცირედნი ამოარ-

ჩვენ ქრისტეს და არც მათ შორის იქნება ყველა ჭეშმარიტ მიზეზთა გამო. ვინც არასწორი მიზეზით აღმოჩნდა, დაკარგავს მას.

თქვენ შეიძლება გასხივოსნებულთან მცდარი მიზეზით მოხვდეთ. რატომ მიდიხართ მოძღვართან? რა არის თქვენი ნამდვილი მიზეზი? ეძებთ თუ არა ჭეშმარიტებას? ადამიანი იშვიათად ეძებს ჭეშმარიტებას! თქვენ შეიძლება ბედნიერებას ეძებდეთ და არა ჭეშმარიტებას. ბედნიერები მაშინ გახდებით, ჭეშმარიტებას თუ მიაღწევთ, მაგრამ თუ თავიდან ბედნიერებას ეძებთ, ვერ მიაღწევთ ჭეშმარიტებას, რადგან ბედნიერება თანამდევია. მისი მიღწევა მხოლოდ ჭეშმარიტების გაელით შეიძლება, სხვა გზა არ არსებობს! ბედნიერება ჩრდილია და ჭეშმარიტებასთან ერთად მოდის! თუ ბედნიერებას ეძებთ, შეუძლებელი იქნება მისი მიღწევა და ჭეშმარიტებასაც დაკარგავთ.

ასი მაძიებლიდან ოთხმოცდაცხრამეტი ბედნიერებას ეძებს. ბედნიერება არ შეიძლება მიზანი იყოს, იგი თავისთავად მოდის. არ არის მასზე ზრუნვა! თქვენ ხეებზე ზრუნავთ, ისინი კი ყვავიან. არ არის საჭირო პირდაპირ ყვავილებს ელტვოდეთ. ასე რომ მოიქცეთ, თქვენ ყვავილებს დაკარგავთ, მაგრამ ხეს თუ უვლით, ყვავილები თავის დროზე გაიშლება.

ოდესლაც თქვენ იყავით ბედნიერი. ძნელია ისეთი ადამიანის მონახვა, რამდენიმე წამის მანძილზე მაინც რომ არ ყოფილიყოს ბედნიერი. რადგან ბედნიერების თუნდაც წამიერ განცდის გარეშე თქვენ არ დაუწყებთ ძებნას.თუ არ გიგრძვნიათ ბედნიერება, როგორ ან რატომ დაუწყებთ ძებნას და რატომ დაისახავთ მას მიზნად? თქვენთვის ბედნიერება წამიერი გაელვება ყოფილა, მერე კი ისევ სიბნელეში აღმოჩენილხართ. გაელვება, შემდეგ კი ისევ ტანჯვა. მხოლოდ ერთი წამით თენდება, მერე ისევ შუაღამეა. თქვენ განიცადეთ ის, მაგრამ არ შესულხართ მასში. შეეცადეთ, შეხვიდეთ მასში. როცა ბედნიერებას განიცდით, აღმოჩნდება, რომ სულაც არ ელტვოდით მას. ესაა პირველი და უმთავრესი რამ ბედნიერების

შესახებ. იგი მაშინ მოდის, როცა სულ სხვა რამეს ეძებთ. თქვენ გაგონილი გექნებათ არქიმედეს ამბავი: ის მეცნიერულ ჭეშმარიტებას ეძებდა, მუშაობდა, დღე და ღამე ექსპერიმენტებს ატარებდა, თავი დაივიწყა, მერე კი სრულიად მოულოდნელად, აბაზანაში რომ ბანაობდა, ჭეშმარიტება უცებ გაცხადდა და წყაროსავით ამოხეთქა, არქიმედე შიშველი იყო, მაგრამ დაივიწყა ეს.

როდესაც ბედნიერი ხართ, თავი გავიწყდებათ. თუ თავდავიწყება არ შეგიძლიათ, ბედნიერი არ იქნებით. ბედნიერება თქვენს აქ არ ყოფნას ნიშნავს. არქიმედეს პრობლემა გადაწყდა და გაქრა დაძაბულობაც. ის ქუჩაში გაიოვარდა: „ევრიკა, ევრიკაო!“-ყვიროდა. ხალხს ეგონა, რომ გაგიჟდა, რისი ეჭვიც მათ ადრეც ჰქონდათ, ახლა კი მათი ეჭვი დადასტურდა.

მაგრამ ეს საბოლოო ჭეშმარიტება არ ყოფილა. ეს ჩვეულებრივი პრობლემა იყო. ერთხელ აღმოჩენილი მეცნიერული ჭეშმარიტება ხომ ჩვეულებრივი და საყოველთაო ხდება. მაგრამ არქიმედე აღმოჩენის ჟამს იმდენად ბედნიერი იყო, რომ თავი დაივიწყა.

თუკი ბედნიერი ხართ, გახსოვდეთ, რომ თქვენ ბედნიერებას კი არა, სხვა რამეს ეძებდით. უშუალოდ თუ ბედნიერებას ეძებდით, იგი სამუდამოდ დაკარგულია თქვენთვის. ის თანამდევი პროდუქტია. თქვენ იმ რაღაც სხვას, რასაც ეძებდით იპოვით და აღმოჩენა იმდენად აგაცსებთ, რომ დაძაბულობა გაგიქრებათ. თქვენ სულიერ წონასწორობას მოიპოვებთ და იგრძნობთ, ბედნიერებით ხართ საკსე.

ბედნიერებას თუ ეძებთ, როგორღა დაკარგავთ საკუთარ თავს? მძებნელის „ეგო“ ყოველთვის რჩება. თქვენ ათვლის წერტილი ხართ კვლავინდებურად. სადაც ბედნიერებაა, იქ თქვენ აღარ ხართ. გაიხსენეთ, როდის ყოფილხართ ბედნიერი — იმ დროს თქვენ ხომ არ არსებობდით! ეს შეიძლება სიყვარულის ჟამს მომხდარიყო. შეიძლება რაიმეს აღმოჩენისას ან თუნდაც ბანქოს თამაშის დროს, მაგრამ თქვენ სრულიად გამ-

ქრალი იქნებოდით, მერე კი უცებ აღმაურენა გიგრძნიაო! ბედნიერების უშუალოდ ძებნა კი საშიშია. რადგან თქვენ მას დაკარგავთ.

თუკი ბედნიერების ძებნაში ოსტატთან მიხვალთ, მის გვერდით არასწორი მიზეზებით აღმოჩნდებით, ოსტატთან ფიზიკურად ახლოს იქნებით, სულიერად კი შორს აღმოჩნდებით. თქვენ დაბრმავდებით და ვერ იცნობთ ბუდას ან იესოს. ეს შეუძლებელი იქნება, რადგან თვალებზე არასწორი მიზანი გექნებათ აფარებული.

შეიძლება არც კი ეძებდით ბედნიერებას და უფრო მდაბალი მიზნები გამოძრავებდათ. შესაძლოა ოსტატთან ძალის, რომელიმე სიდჰის* ან მეტად ეგოისტური მდგომარეობის შესაძენადაც აღმოჩნდეთ. ამ შემთხვევაში მთლიანად დაკარგავთ მას. კიდევ უფრო ულირსი მიზნებიც არსებობს და რამდენადაც მდაბალია მიზანი, მეტია ბედნიერების დაკარგვის შესაძლებლობა, რადგან ამ დროს უფრო მეტად ბრმავდებით, უფრო მეტს კარგავთ და უფრო დაბლა აღმოჩნდებით. იესო კი მწვერვალსეა და მასძილიც იზრდება თქვენს შორის.

ბევრი გაექცევა იესოს, მაგრამ იმათ შორის, ვინც მას მიუახლოვდა, ქრისტეს გვერდით მხოლოდ ის აღმოჩნდება, ვისაც მისვლის ნამდვილი მიზეზი ჰქონდა. ნამდვილი მიზეზი ჭეშმარიტებაა, თქვენ კი არასოდეს ეძებთ მას.

ჭეშმარიტება ისეთი გაშიშვლებული, ისეთი მშრალი ჩანს, რომ შესაძლოა არც ჩათვალოთ საჭიროდ მისი მოძებნა. ბედნიერება უფრო მნიშვნელოვნად მიგანიშნათ და როდესაც გეუბნებით: „ეძიეთ ჭეშმარიტება, ბედნიერება მისი თანამდევი პროდუქტია“, -შესაძლოა დამივიწყოთ და ჭეშმარიტების ძიება დაიწყოთ., რადგან ბედნიერება მიღწეული იქნება. მაგრამ თქვენ ისევ ბედნიერების ძებნაში იქნებით, საძიებელი კი ჭეშმარიტება უნდა იყოს. შეიძლება ჭეშმარიტებას დაუწყოთ ძიება, თქვენს გონებას კი მიზანში ისევ ბედნიერება ექნება ამოღებული, რაც არასწორია.

მხოლოდ მაშინ შესძლებთ იესოსთან, ბუდასთან და ზარატუსტრასთან მიახლოვებას, როცა ჭეშმარიტებას ნამდვილად ეძებთ. სხვაგვარად ვერასდროს მიხვალთ ახლოს. ნებისმიერი სხვა მიზეზით მხოლოდ ფიზიკურად იქნებით ახლოს, სულიერად კი ძალიან შორს აღმოჩნდებით, თქვენს შორის უზარმაზარი სივრცე აღმოჩნდება

იესომ მოწაფეებს უთხრა:

„ჰქმენით მსგავსი ჩემი და

მითხარით, ვის ვგავარ მე...“

რატომ შეეკითხა იესო მოწაფეებს ამას? ნუთუ არ იცის, თვითონ ვინ არის? მას, თავისი მოწაფეების მეშვეობით სურს საკუთარი ვინაობის გაგება? დიახ, რადგან მოწაფეთა ნაიქვამი წარმოაჩენს მასთან მათი ყოფნის ნამდვილ მიზეზს. თქვენ თქვენი სურვილების გათვალისწინებით ქმნით ოსტატის ხატებას. იესოსთან ავადმყოფობის გამო თუ ხართ, მაშინ ის თქვენთვის მკურნალია.

თქვენ საკუთარ სურვილებს გამოხატავთ. ძალას თუ ეძებთ, იესო ყოვლისშემძლე, ყველაზე ძლიერი იქნება. უკვდავებას თუ ეძებთ და სიკვდილის გეშინიათ, თქვენი სურვილები იესოს ხატებაზე აირეკლება.

რატომ ჰკითხა იესომ მოწაფეებს თავისი ვინაობის შესახებ მხოლოდ იმიტომ, რომ გაეგო, რას გამოხატავენ ისინი. თუ გამოხატავთ რაიმეს უთუოდ დაკარგავთ, რადგან იესოს ან ბუდას გასაგებად გამოუხატავი თვალებია საჭირო.თქვენ ფაქტი უნდა დაინახოთ. იესო ფაქტია. ყველაზე ცოცხალი ფაქტი, რომელიც შეიძლება მსოფლიოში არსებობდეს. შეხედეთ მას უშუალოდ, პირდაპირ, ნუ შექმნით იესოსაგან ეკრანს, თორემ რასაც დაინახავთ, მხოლოდ თქვენი სურვილების ანარეკლი იქნება.

იესომ უთხრა მოწაფეებს:

„ჰქმენით მსგავსი ჩემი და მითხარით, ვის ვგავარ მე“...

სიმონ-პეტრემ უპასუხა:

„შენ მართალ ანგელოზს ჰგავხარ“...

სიმონ-პეტრე მორალისტი და პურიტანელი უნდა ყოფილიყო. იგი ალბათ დამნაშავეა, რადგან ის, რასაც სხვებზე ლაპარაკობთ, არაფერს არ ამბობს მათზე. მხოლოდ თქვენს თვისებებზე მიუთითებს. რაზედაც არ უნდა მსჯელობდეთ, სხვაზე კი არა, მხოლოდ საკუთარ თავზე ილაპარაკებთ. იესო ისევ და ისევ იმეორებს: „არა განიკითხოთ“, რადგან ყველა მსჯელობას არასწორი გზით მიჰყავხართ. ილაპარაკეთ ყოველთვის საკუთარ თავზე.

ქურდს თქვენ ცოდვილ ადამიანად თვლით. რატომ? იმიტომ, რომ ასე ძლიერ მივაჭვიხართ კერძო საკუთრებას. თქვენი სიტყვა არაფერს ამბობს ქურდზე, მხოლოდ თქვენს კერძო მესაკუთრულ საწყისზე მიუთითებს.

ერთი ინგლისელი გარდაიცვალა და ჯოჯოხეთში მოხვდა. ეშმაკმა ჰკითხა: „რომელ ჯოჯოხეთს ირჩევდი? აქ ჯოჯოხეთის ყველა ნაირსახეობა გვაქვს: ინგლისური, გერმანული, ჩინური, რუსული, ინდური...“

ინგლისელმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, ინდურს ვირჩევ...“

ეშმაკი გაოგნდა: „თქვენ ინგლისელს ჰგავხართ, რატომ ირჩევთ ინდურს?“

ინგლისელმა უპასუხა: „მე ინგლისელი კი ვარ, მაგრამ ვყოფილვარ ინდოეთში და კარგად ვიცი, რომ ინდურ ჯოჯოხეთში გათბობა არ მუშაობს“.

თქვენი გონება გამოცდილებას აგროვებს. რაც არ უნდა ილაპარაკოთ სამოთხეზე, ჯოჯოხეთზე ან თუნდაც სხვა ადამიანზე, მხოლოდ თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე ისაუბრებთ, თქვენვე აირეკლებით თქვენი ნათქვამის ყველა სიტყვაში.

სიმონ-პეტრემ თქვა: „შენ მართალ ანგელოზს ჰგავხარ...“

ამით მან ორი რამ თქვა — პირველი „მართალი“ — ნიშნავს იმას, რომ მას ყოველთვის ეშინოდა სიცრუის, ცოდვისა და უზნეობისა, ამიტომაც იყო ქრისტესთან ერთად.

დაიმახსოვრეთ ერთი რამ — წინააღმდეგობები ყოველთვის იზიდავს ერთმანეთს. თუ მამაკაცი ხართ, ქალი გიზიდავთ და

ეს უბედურებაა. ქალი ოქსენი წინააღმდეგობაა და სწორედ ამიტომაა მიმზიდველი. მაგრამ მასთან ცხოვრება რთული იქნება, რადგან იგი ოქსენი წინააღმდეგობაა. აი, როგორ მოდის უთანხმოება ქორწინებაში, რადგან ქალი ყველაფერში თქვენ გიპირისპირდებათ. მისი ლოგიკა სრულიად განსხვავდება თქვენი ლოგიკისაგან. მამაკაცი ვერასოდეს ვერ გაუგებს ქალს, რადგან ჰგონია, რომ ქალიც მისი ლოგიკით აზროვნებს. ქალი კი გამჭრიახია და საგნებს უშუალოდ უყურებს.

ერთხელ მოლა ნასრედინი სრულიად კანონიერ ფაქტზე დაიჭირეს. სასამართლო პროცესის მსვლელობისას მან დაინახა, რომ თორმეტივე ნაფიცი მსაჯული ქალი იყო, მაშინ მოლამ მოსამართლეს მიმართა: „მე ვალიარებ ჩემს დანაშაულს! შინ ერთი ქალისთვის ვერ მომიტყუებია, აქ კი თორმეტია. მომისაჯეთ, რაც მკუთვნის.“

ყველა ქმარმა იცის, რა ძნელია ცოლის მოტყუება. რაც არ უნდა დაგეგმოთ, ყველაფერი ჩაგეშლებათ. შინ რომ ბრუნდებით, ცოლმა თქვენი ყველა ნაბიჯი იცის.

ქალი ვერასოდეს ვერ გაუგებს მამაკაცს, ესეც იმის მიზეზია, ასე რომ იზიდავენ ერთმანეთს.რადგან მხოლოდ საიდუმლოს შეუძლია მიიზიდოს. მაგრამ იცხოვროთ იმასთან, ვისაც ვერ გაუგებთ, უბედურების ტოლფასია. ამას კი ბრძოლამდე მიჰყავხართ, სადაც სიყვარულია, მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს.

თქვენ ყოველთვის საპირისპირო გიზიდავთ. შეხედეთ ინდოელ ჯაინებს. ისინი ყველაზე მდიდარი ხალხია მსოფლიოში. სიმდიდრე კი სიხარბის გარეშე არ არსებობს. ჯაინები ხარბები არიან, მაგრამ პატივს სცემენ წმინდანებს, რომელთაც ყველაფერზე უარი თქვეს. ჯაინები თავიანთ წმინდანებს ტანსაცმლის ტარების ნებასაც კი არ აძლევენ. ნამდვილი დაგამბარი — ჯაინების წმინდანი — შიშველი უნდა იყოს. ის მხოლოდ თავის სხეულს ფლობს და მეტს არაფერს. თავისი საკვები მან ხელით უნდა ატაროს. მას დღეში ორჯერ ჭამის ნებაც კი არა აქვს. მას მიწაზე ძინავს და სწორედ ამიტომ ეძახიან დაგამ-

ბარს. ცაა მისი ერთადერთი ჭერიცა და სამოსიც. მაგრამ რატომ ხდება ასე?

მუჰამედი მსოფლიოს შესახებ ლაპარაკობდა. „ისლამი“ მსოფლიოს ნიშნავს. მაგრამ დააკვირდით მაჰმადიანებს, ისინი ყველაზე დაუნდობელი ხალხია მსოფლიოში.

რატომ მიიზიდა ისინი მუჰამედმა და მისმა მსოფლიო რელიგიამ ? საპირისპირო საპირისპიროს ყოველთვის იზიდავს, რადგან ის სექსის ძირითადი მოდელია და ეს ყველგან თან გდევთ, სულერთია, რასაც არ უნდა აკეთებდეთ.

სიმონ-პეტრემ უთხრა იესოს: „შენ მართალ ანგელოზს ჰგავხარ ...“

სიმონ-პეტრე თავის უზნეობაში უნდა ყოფილიყო დამნაშავე. იესო მას თავისი ანგელოზობით იზიდავდა. იგი სუფთა და უდანაშაულო იყო, არასოდეს ჩაუდენია ცოდვა. აი, რატომ ამტკიცებენ ქრისტიანები, რომ იესო უბიწო დედისგან იშვა. ეს კი აბსურდია. რატომ ამბობენ, რომ მარიამი ქალწული იყო? იმიტომ რომ სექსი ამორალურად ენვენებათ.

და თუ თქვენ ამორალური გზით დაიბადეთ, როგორღა შესძლებთ გახდეთ სრულიად მორალურნი? ეს შეუძლებელია! თუკი თვით სათავეა მოწამლული, როგორღა შეიძლება მორალური იყო? თქვენ შეიძლება ეცადოთ,მაგრამ ვერასდროს ვერ მაღწევთ სრულყოფილებას. ამორალურობა საწყისშივე უნდა აღიკვეთოს. ამიტომ ამტკიცებენ, რომ იესო ქალწულმა შვა.

არავინ არ შობილა ქალწულისაგან. ეს აბსოლუტურად მცდარი მტკიცებაა! ასეთი რამ შეუძლებელია! მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქრისტიანები დამოკიდებულები არიან ამ საკითხზე და თუკი ბოლოსდაბოლოს დამტკიცდა, რომ იესოს მამა ჰყავდა, უმალ უარყოფენ მას: „თუ ქრისტე ჩვენნაირი, ამორალური და ცოდვის გზით არის დაბადებული, რაღა განსხვავებაა ჩვენს შორის?“

სიმონ-პეტრეს პასუხში შემდეგი სიტყვა „ანგელოზია.“

ანგელოზი აბსოლუტური სრულყოფილების, სისუფთავისა და უცოდველობის სიმბოლოა. ეს სიმონ-პეტრეს გარკვეულ თვისებებზე მიუთითებს. ის კი საყრდენი ქვაკუთხედი გახდა, რომელზეც მთელი ქრისტიანული ეკლესია დამკვიდრდა. ამგვარად ეკლესია, მუდამ დაკავებულია მორალურისა და ამორალურის განსაზღვრით. მთელი ეკლესია მორალური გახდა და არა რელიგიური, სიმონ-პეტრეა ამის მთავარი მიზეზი. როდესაც თქვენ ზედმეტად ფიქრობთ იმაზე, რა არის კარგი და რა არის ცუდი, უკვე დამნაშავე ხდებით. ცხოვრებამ კი არ იცის ეს, რამეთუ ერთდროულად მოედინება ორივე მიმართულებით. ცხოვრება მდინარეა, თუ იგი ადიდდა, როგორს უწოდებთ მას? მორალურს თუ ამორალურს? ათასობით გლეხი დაიხრჩო, ათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. რას უწოდებთ მდინარეს წყალდიდობის დროს? ცუდს? არა თქვენ არ იხმაროთ ამ სიტყვას, რადგან იცით, რომ მდინარემ არ უწყის, რა არის ცუდი და რა არის კარგი. ღმერთი კი ისევ არსებობს მდინარეში, როგორც თქვენში. ხე იქ დაეცა, სადაც ბერი მედიტაციას ატარებდა, რას უწოდებთ ხეს? — ცოდვილს თუ მკვლელს? აიძულებთ თუ არა სასამართლოს წინაშე წარსდგეს? — არა თქვენ უბრალოდ იტყვით: „ეს ხეა და ჩვენი მორალი, ცოდვა და არ ცოდვა მას არ მიესადაგება“.

მორალი ადამიანმა შექმნა. ღმერთი ამორალურად გვეჩვენება. არსებობაც მთლიანად ამორალურია. ამორალურობა არც ერთს ნიშნავს, არც — მეორეს და არც — ორივეს ერთად. იესოსთან მორალისტური დამოკიდებულებით თუ მიდიხართ, უსათუოდ დაკარგავთ მას. წმინდა სიმონ-პეტრემ მთლიანად დაკარგა იესო — იგი მორალურ ადამიანს ეძებდა, წმინდანს ელტვოდა და არა ბრძენს.

ამით განსხვავდება წმინდანი და ბრძენი ერთმანეთისგან. ბრძენი ცხოვრებასავით ამორალურია. იგი შეერწყა ცხოვრებას და არ აზროვნებს საპირისპირო ტერმინებით. წმინდანი კი მართალს ირჩევს და არასწორს უარყოფს. იგი სანახევროდ ცხოვრობს. წმინდანი არ არის რელიგიური. რელიგიური ადა-

მიანი კი ცხოვრებას ისე ღებულობს, როგორც არის. იგი არაფერს უარყოფს, ვინაიდან რასაც არ უნდა უარყოფდეს, ეს ღვთის უარყოფა იქნება. ასეთ შემოხვევაში ცდილობთ დაამტკიცოთ, რომ ღმერთზე უკეთესი ხართ.

შეხედეთ, სექსი ღმერთმა შექმნა. სხვას ვის შეეძლო ამის გაკეთება? თქვენ კი უარყოფთ მას. თქვენ შეგიძლიათ წმინდანი გახდეთ, მაგრამ თქვენი სიწმინდე მხოლოდ მორალური იქნება და არა რელიგიური. ინდუსები კარგად მიხვდნენ ამას. ვედების ხანაში თუ დავბრუნდებით, დავინახავთ, რომ რიშები ნეულებრივად ცხოვრობდნენ, ცოლ-შვილი ჰყავდათ და საოჯახო მეურნეობას ეწეოდნენ. ისინი ცხოვრებას არ განუდგნენ. ეს მერე ჯაინებმა და ბუდისტებმა მოიმოქმედეს. რიშებს ესმოდათ, რომ ცხოვრება მოლიანობაში უნდა იყოს მიღებული. არაფრის უარყოფა არ შეიძლება. აი, რას ნიშნავს თეიზმი, ვინც ცხოვრებას „დიახ“ ეუბნება, არასდეს არ ამბობს „არას“.

წმინდა პეტრეს შეეძლო კარგი ქურუში ან წმინდანი გამხდარიყო, მაგრამ ვერასდეს ვერ იქნებოდა ბრძენი. მას საკუთარი კონცეფციები ჰქონდა და ამიტომ მოვიდა იესოსთან. რა უნდა ჰქნათ, როცა უამრავი მორალური კონცეფცია გაქვთ? თქვენ ასამართლებთ საკუთარ თავს, რადგანაც არსებობს ისეთი საგნები, რომელთა სიტყვებით უარყოფა შეუძლებელია. მამაკაცი ყოველთვის გატაცებულია ქალით, ქალი მშვენიერია და სურვილიც არსებობს. სურვილი ღვთის საჩუქარია და სხეულის ყველა უჯრედში იმყოფება. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სხეულში 70 მილიონი უჯრედია და ყოველი უჯრედი სექსუალური არსებაა. მთელი თქვენი სხეული სექსუალური მოვლენაა.

სადაც არ უნდა იყოთ და რასაც არ უნდა აკეთებდეთ, სილამაზე ყოველთვის მიიპყრობს თქვენს ყურადღებას — დაკვირვებიხართ რა ლამაზია ყვავილი ან ჩიტი, დილაადრიან რომ გალობს? იცით თუ არა, რომ ეს სექსუალური გამოწვევაა? ხის სექსუალური უჯრედები პეპლებს, ფუტკრებს არ

სხვა მწერებს გადააქვთ სხვა ხეებზე. ყვავილი ამ მწერების მისაზიდი ილეთია.

მაშასადამე, იქ სადაც სილამაზეა, სექსიც არის! მიელი ცხოვრება სექსუალური ფუნქციაა. რა შეგიძლიათ გააკეთოთ? შეგიძლიათ, სექსი გამორიცხოთ. ეს თქვენი ნებაა, მაგრამ შეძლეთ თავს დამნაშავედ იგრძნობთ, რადგან სულის სიღრმეში დაითგრუნებით. თქვენში შინაგანად ყველაფერი წესრიგში არ იქნება.

თქვენ ვერ იქნებით ბედნიერი დანაშაულის შეგრძნებით, სადაც არ უნდა წახვიდეთ, ვერ შეძლებთ სიცილს, ვერ იცეკვებთ, ვერ იმოძრავებთ ექსტაზში, რადგან ყოველივის შეგეშინდებათ დათრგუნული ნაწილის, თქვენი სიფხიზლის მოდუნების შემთხვევაში, ის ყოველივის ეცდება ამოტივტივებას. დათრგუნული თქვენი საკუთარი ცხოვრების გუშაგი ხდებით და არა პატრონი. ველარ ტკბებით ცხოვრებით და თქვენთვის ყველაფერი მახინჯდება, რადგან გამუდმებული კონფლიქტი არსებობს. თქვენი ენერგია შინაგან ბრძოლაზე იხარჯება. ის, ვინც რაიმე სახით თრგუნავს საკუთარ არსებას, სხვას ყოველივის განიცხავს და ეს ასეც უნდა იყოს.

ძალიან ძნელია მორალისტთან ცხოვრება, რადგან მისი მზერაც კი ყოველივის გაიცხავთ. იგი ყველაფერს გმობს, რაც თქვენ სიამოვნებას განიჭებთ.

მაჰატმა განდის აშრამში თქვენ არ გაგასინჯებდნენ საჭმელს. ასვადი — უგემურობა — პრინციპი იყო, რომელსაც არ ღალატობდნენ. ჭაშა შეიძლებოდა, გემოს შეგრძნება კი დაუშვებელი იყო. რატომ? იმიტომ, რომ გემოს შეგრძნება სიამოვნებაა, წმინდანები კი სიამოვნების წინააღმდეგ არიან. თქვენ ვერ ნახავთ მომღიმარ ან გაცინებულ წმინდანს. წმინდანი სევდიანია, ყოველივის ამტყუნებს სხვებსაც და საკუთარ თავსაც. მისი ცხოვრება ავადმყოფობაა. წმინდანი არ შეიძლება ბედნიერი იყოს.

სიმონ-პეტრე სიმბოლურია. იგი ეუბნება ქრისტეს: **„შენ მართალ ანგელოზს ჰგავხარ...“** და ამ სიტყვებში შემდეგს

გულისხმობს: მე იმიტომ მოველ შენთან, რომ სუფთა ხარ, ქალწულისგან დაიბადე, არასდროს გეწოლია ცოლი, არასდროს დამწკბარხარ ცხოვრებით და ანგელოზად მენევნები.

მაიეი უთხრა იესოს: **„შენ ყოველისმცოდნე ბრძენს ჰგავხარ...“**

მაიე არ ეძებს მორალს. მას მეცნიერული ცოდნა უფრო აინტერესებს, იესო კი მცოდნე ადამიანს ჰგავს. ამიტომ მაიე ფიქრობს, მიიღოს მისგან ცხოვრების საიდუმლოების რაღაც გასაღები. მათე ცოდნას ეძიებს.

მაგრამ, როდესაც მიხვალთ იესოსთან ან მის მსგავს ადამიანთან, ნუ მიხვალთ ცოდნის საძიებლად. იესო ბრძენს ჰგავს. რასაც არ უნდა ამბობდეს, მისი ნაოქვამი ყოველთვის ზუსტი იქნება, ჭეშმარიტებად აყალერდება და ღრმა აზრით განმსჭვალება, მაგრამ თქვენ მეტ ყურადღებას მის სიტყვებს მიაპყრობთ და არა მის არსს.

მაიე პანდიტი და სწავლულია. იგი თეორიებს, პრინციპებს, სისტემებსა და ფილოსოფიას ეძებს. ასეთი გონებით ნუ მიხვალთ იესოსთან, თორემ დაკარგავთ მას, რადგან იესო სწავლული არ არის, ის ყოფიერების ადამიანია. ცოდნა ზედაპირული და ნასესხებია. იესო კი ცოცხალია, აბსოლუტურად ცოცხალი! მას არაფერი აქვს სხვისგან ნასესხები. მას შეუძლია გაგიზიაროთ თავისი ყოფიერება, თქვენ კი ბრიყვები იქნებით, მხოლოდ მის სიტყვებს თუ მოისმენთ.

სიტყვების გაგება წიგნებიდანაც შეიძლება. ამის გულისთვის სულაც არ არის აუცილებელი იესოსთან წასვლა. ბიბლიოთეკაში უფრო მეტ ცოდნას მიიღებთ, რომელიც საუკუნეების მანძილზეა დაგროვილი.

თქვენ მიდიხართ იმ ადამიანთან, ვისაც შეუძლია დაგარწყულოთ. თქვენ კი თან მხოლოდ სიტყვები მოგაქვთ. თქვენ იმპერატორთან მიდიხართ და იგი გეუბნებათ: **„მოხოვე და მოგეცემა“**, თქვენ პურის ნატეხს ითხოვთ და ისეთი ბედნიერი გგონიათ თავი, თითქოს მთელი იმპერია თქვენს ფერხთით იყოს გართხმული. საჭიროა მხოლოდ თქმა, თქვენ კი

სიტყვები მოგაქვთ, თეორიებს სწავლობთ და თეოლოგი ხდებით. მაინც ქრისტიანული თეოლოგიის საჭიროებაა.

ეკლესია გამუდმებით ახსენებს პეტრეს, რომელიც ქრისტიანული მორალის, ანტისექსუალურობის საფუძველი გახდა და მათეს — თეორიისა და თეოლოგიის შემქმნელს. ეკლესია დღემდე ატარებს მათ სახელებს. ქრისტიანობა ამ ორ საფუძველშია ჩართული და არა ქრისტეში, მორალში — რა არის ცუდი და რა არა, და თეოლოგიაში — მეცნიერებაში ღვთის შესახებ.

თეოლოგია ღვთის შესახებ თეორიაა, მაგრამ როგორ შეიძლება ღვთის შესახებ თეორია არსებობდეს? ღმერთი არც თეორიაა და არც ჰიპოთეზა. რომლის ან დამტკიცება ან უარყოფა შეიძლებოდეს. შეუძლებელია მის შესახებ კამათი. იესოსთან მათეს შეეძლო ღმერთს შეხვედროდა, მაგრამ ცოდნის ძებნამ წინააღმდეგობა შეუქმნა. არ არის საჭირო იესოსთან ცოდნა ეძიოთ. მას ყოფიერების შეგრძნება უნდა შესთხოვოთ, მაგრამ ცოდნა ადვილი დასაგროვებელია.თქვენ უბრალოდ სიტყვებს ისმენთ და ამით აღწევთ მიზანს. ამ დროს სულ არ არის აუცილებელი გარდასახვა. მაგრამ იესოს თუ ყოფიერებას სთხოვთ, უნდა დადუმდეთ. ღრმა მედიტაციაში უნდა შეხვიდეთ, რომ დამსწრედ უნდა იქცეთ. მხოლოდ მაშინ შესძლებს იესო ოქცენივის თავისი ყოფიერების გახიარებას. მათემ უთხრა იესოს: **„შენ ყოველისმცოდნე ბრძენს ჰგავხარ...“**

იესო ბრძენი არ არის, ის თვით სიბრძნეა.შესაძლებელია, ბრძენი გახდეთ, მაგრამ არ იყოთ გასხივოსნებული. კონფუციც* ბრძენი იყო, მაგრამ გასხივოსნებული არ ყოფილა. მანუც ბრძენი იყო, მაგრამ არც იგი ასხივებდა ნათელს. ბუდა გასხივოსნებულია, ლაო ძიც გასხივოსნებულია. მათი სიბრძნე სხვა წყაროებიდან მოდის. ისინი სიცოცხლის არსს ჩასწვდნენ და შეიცნეს. მათი ცოდნა ინტელექტიდან კი არა, ყოფიერებიდან მოდის. აი, რატომ უწოდებენ იესოს ყოფიერების ადამიანს და არა სწავლულს.

სიბრძნის დაუფლება გამოცდილებითაც შეიძლება. ყველა მოხუცი ბრძენი ხდება. სულელიც ბრძენდება, რადგანაც ამბობენ, რომ საკუთარ სიბრიყვეს თუ გაუცხადებით, სიბრძნეს დაეუფლებითო. მხოლოდ ცხოვრებას ძალუძს სიბრძნე მოგანიჭოთ. მხოლოდ მთელი ცხოვრების გავლით, შეცდომებით, გზის აბნევითა და დაბრუნებით დაბრძენდებით.

აქედან გამომდინარე, იესო ბრძენი არ არის, იგი მოხუცი არ ყოფილა. სინამდვილეში მას არც ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონია. მაგრამ მან ისეთი რამ იცოდა, რაც ცხოვრების საფუძველს შეადგენდა. ის არ მოძრაობს სიცოცხლის ხის ტოტებზე, მან ფესვებს მიაღწია. იესოში სიცოცხლის არსი იდო, ხოლო მათემ დაკარგა ის. მათემ და პეტრემ იესოს სიტყვები ჩაიწერეს და თეორიები შექმნეს. სინამდვილეში სიცოცხლეშივე დაკარგეს იესო.

თომა მოწაფეებს შორის ყველაზე ახლოსაა იესოსთან, მაგრამ მისი გამონათქვამები არ არის ბიბლიაში შეტანილი, რადგან იესო და მისი უახლოესი მოწაფეები გამორიცხული უნდა იყვნენ — ისინი საშიშნი არიან.

თომამ უთხრა იესოს: „უფალო, ბაგენი ჩემნი ვერ ხმობენ მსგავსებას შენსას...“ ე.ი. ამის თქმა შეუძლებელია. ‘შენში ისე ბევრია და შენც ისე ბევრი ხარ, ისეთი აღუსრული და აღუწერელი ხარ, ჩემი ბაგენი უძლურნი არიან ამის გამოსახატავად. არაფრის თქმა არ შეიძლება. სიტყვები არაფერია. შენ არ შეიძლება ვინმეს ჰგავდე. შეუდარებელი ხარ და რაც არ უნდა ვთქვა, არასწორი იქნება, რადგან საკმარისი არ აღმოჩნდება. სიტყვები განსაზღვრულია, შენ კი განუსაზღვრელი...

თომა ქრისტესთან ყველაზე ახლოს მივიდა, მაგრამ მაინც შორს დარჩა, რადგან მათ შორის გარკვეული მანძილი არსებობდა.

მსგავს ამბავს ბოდჰიდჰარმაზეც* ჰყვებიან, რომელმაც ცხრა წელიწადი ჩინეთში დაჰყო. იგი ხალხს ასწავლიდა, ბევრი დაუახლოვდა მას. წასვლის წინ სიხოვა მოწაფეებს, რამე ეთქვათ დჰარმის,‘ ჭეშმარიტების შესახებ. მასაც თითქმის

ისეთივე პასუხი გასცეს, როგორც იესოს უპასუხეს პეტრემ, მაიეი და თომამ. მაგრამ ბოლპიდპარმას იესოზე მეტად გაულიმა ბედმა, ვინაიდან მას მეოთხე მოწაფეც აღმოაჩნდა, რომელმაც განუმეორებლად არჩია. მას ისიც არ უოქვამს: „მე არ შემიძლია თქმა...“ თუკი ამბობთ: მე არ შემიძლია თქმა...„უკვე ამბობთ რაღაცას! მეოთხე მოწაფე საეროდ გამუდმებით გამოჩნდა! იგი ძალიან სევდიანი იყო, მუხლებზე იდგა ოსტატთან. ბოლპიდპარმამ უთხრა მას: „პირველ მოწაფეს ჩემი ძვლები აქვს, მეორეს — ხორცი, მესამეს — სისხლი, შენ კი ჩემი არსი ხარ!“

მეოთხე მოწაფეს ბოლპიდპარმასთვის იმდენიც კი არ უოქვამს, რამდენიც თომამ იესოს უთხრა. იგი მოძღვართან ყველაზე ახლოს მივიდა და მისი არსი გახდა.

იესო არ აღმოჩნდა ბოლპიდპარმასავით იღბლიანი, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა — სხვა კლიმატი იყო და სიტუაციაც სრულიად განსხვავებული. ჩინეთი ლაო ძის იცნობდა. იუდეველები კი არასოდეს იცნობდნენ ლაო ძის მსგავს ადამიანს. ლაო ძიმ ჩინეთში ბუდას თესლს აღმოსაცენებლად ნოყიერი ნიადაგი მოუმზადა. ბოლპიდპარმას ეს ნიადაგი მზად დახვდა,რომელიც ლაო ძის და ჩუანგ ძის* მიერ იყო მოვლილი. ბოლპიდპარმას მოტანილი თესლი მშვენივრად აღმოცენდა ამ ნიადაგში.

იესოს ბედმა არ გაუღიმა. მას ნიადაგი არ დაუხვდა მზად. იუდეველებს ჰყავდათ წინასწარმეტყველნი, მაგრამ ლაო ძისა და ჩუანგ ძის მსგავსნი არ ჰყოლიათ. იუდეაში იყვნენ წმინდანები. მათი რელიგიის საფუძველი ათი მცნება იყო. ასე, რომ არაფერი არ ჩნდება მიზეზის გარეშე, არაფერი არ არსებობს ხანგრძლივი ტრადიციის გარეშე.

სიმონ-პეტრე მარტო როდია შემოხვედა. მას ხანგრძლივი ისტორია უნდა უძღვოდეს წინ. მოსეა ის ყველაზე ღრმა მიზეზი და ფესვი, რომლისგანაც სიმონ-პეტრე აღმოცენდა. ათი მცნება მსოფლიოს ცხოვრების მორალური მიმართულებაა. მაგრამ იუდეაში არ იყო ლაო-ძის მსგავსი პიროვნება. რომელ-

საც შეეძლო ეთქვა: „ყველა გაიხარეთ ქალბია. იმ დროს როდესაც თქვენ ამბობთ: „ეს კარგია!“ და „ეს ცუდია!“ თქვენ ყოფთ ცხოვრებას და კლავთ მას“. ლაო ძი მთლიანობას ღებულობდა და არა გაყოფას.ბოდჰიდჰარმა იღბლიანი იყო და ეს არის მიზეზი, მეოთხე მოწაფეც რომ ჰყავდა.

ყველაზე მეტი, რაც იუდეურ კულტურაში შეიძლება არსებობდეს, ეს თომას სახეა. შეხედეთ თომას ფერომენს, გაიგეთ და ნასწავლით რაზე მეტყველებს ის. ეს არის უმიაერესი პრობლემა. არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ: „ღმერთზე არაფრის თქმა არ შეიძლება“, მაგრამ მათ უკვე თქვეს რაღაც. ზუსტი თუ ხართ, შეცდომას დაუშვებთ. თუ ახუსტებთ, რომ არაფერი არ უნდა ითქვას, მაშინ თვით ესეც არ უნდა იყოს ნათქვამი. თქვენ ურდა დადუმდეთ! წინააღმდეგ შემთხვევაში ღრმას ქვრით. ეროი მხრივ, ამბობთ, რომ არაფრის თქმა არ შეიძლება, მაგრამ ამის თქმა თუ შეიძლება, რატომაა დაუშვებელი კიდევ რამდენიმე სიტყვა დაუმატოთ?

რაშია პრობლემა? ამის მტკიცება თუ შეიძლება, მაშინ უფრო მეტის მტკიცებაც დასაშვებია, აი, რატომ ჩუმდება ბუდა. ის იმასაც არ იტყვის, რომ „ღმერთზე არაფრის თქმა არ შეიძლება...“იგი ამდენსაც არ იტყვის. ღმერთზე თუ შეეკითხებით, სხვა რაიმის შესახებ დაიწყებს საუბარს ან ვერ გაიგებს, თითქოს არც გიკითხავთ. ბუდა იმასაც არ იტყვის, რომ შეუძლებელია რაიმის თქმა, რადგანაც ეს აბსურდია. რატომ ლაპარაკობთ ამის შესახებ?

თქვენ უარყოფითაც მიუთითებთ. მხოლოდ დადებითი პასუხი როდია მტკიცება. საწინააღმდეგო თქმითაც აღასტურებთ თქვენ რაღაცას. როცა ამბობთ: „ღმერთს არა აქვს ფორმა“. რას გულისხმობთ? იცნობთ მას? ან ისე კარგად იცით, რომ ამას ამბობთ? თუ ასე კარგად იცით, მაშინ ღმერთს აქვს ფორმა. მაგალითად, თქვენ ამბობთ, რომ ეს ოკეანე არ შეიძლება გაიზომოს — იგი ისეთი ღრმაა, რომ შეუძლებელია მისი გაზომვა.

ასეთ შემთხვევაში ორი შესაძლებლობა არსებობს. თქვენ არ გახსოვთ, რადგან მხოლოდ მაშინ შეგიძლიათ ამტკიცოთ, რომ შეუძლებელია ოკეანის გახსოვა, ან უბრალოდ არ გიცდიათ ეს. სხვაგვარად როგორ შეგიძლიათ ასე განაცხადოთ? სიღრმე ხომ იზომება. თუ კი ღრმაა, ე.ი. ყოველთვის გაიზომება.

როცა ამბობთ: „ღმერთს ფორმა არა აქვს“, მისულხართ მის საზღვრებამდე და დაგინახავთ ეს უფორმობა? თუკი მისულხართ, ეს უკვე ნიშნავს, რომ ღმერთს აქვს ფორმა. ხოლო თუ არ მისულხართ, მითუმეტეს, ნუ ლაპარაკობთ, რომ უფორმოა, რადგან სავსებით შესაძლებელია, ღმერთს ფორმა ჰქონდეს. მხოლოდ საზღვრამდე მისულს შეგიძლიათ ეს იცოდეთ, ამიტომ ის, ვინც ღმერთს შეუხებია, დაცემულა მის წინაშე. ის არაფერს ამბობს, ამასაც კი, რადგან ეს წინააღმდეგობაა.

ჩვენი საუკუნის ერთ-ერთმა ყველაზე გამჭრიახმა ლოგიკოსმა ვიტგენ-შტეინმა მშვენიერი სენტენცია დაწერა. მას თავის წიგნში „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქტატი“ ბევრი საუკეთესო მტკიცება მოჰყავს. იგი წერს: „არაფერი არ უნდა იოქვას იმის შესახებ, რის შესახებაც არაფერი არ შეიძლება იოქვას. საგანზე არაფრის თქმა თუ არ შეიძლება, მთქმელი უნდა გაჩუმდეს!“

თომა ყველაზე ახლოს მივიდა იესოსთან, მაგრამ მათ შორის მანძილი მაინც დარჩა. თომა მაინც შეეცადა ეთქვა და გამოეხატა გამოუხატავი.

თომამ უთხრა იესოს: „უფალო, ბაგენი ჩემნი ვერა ჰხმობენ მსგავსებას შენსას“.

იესომ მიუგო: „მე არა ვარ შენი უფალი, რადგან შენ მთვრალი ხარ მჩქეფარე წყაროთი მე რომ გავხომე...“

თუკი გესმით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგიძლიათ იყოთ მოწაფე, მხოლოდ ამ დროს შეგიძლიათ ტაძარში შესვლა. როცა გესმით, მაშინ არის შესაძლებელი ოსტატის არსში შესვლა.

იესომ თქვა: „მე არა ვარ შენი უფალი...“

მან ეს სამივეს უთხრა. თომა საუკეთესო მოწაფეა, მაგრამ ისიც არასრულყოფილი რჩება. იგი მხოლოდ სხვებთან შედარებითაა უკეთესი. თომა იესოსთან ყველაზე ახლოს მივიდა, მაგრამ მას ძველებურად სჯერა სიტყვის, რადგან ცდილობს გამოხატოს ის, რისი გამოხატვაც შეუძლებელია.

„...რადგან შენ მთვრალი ხარ მჩქეფარე წყაროთი, მე რომ გავზომე...“

აქ იესო ღრმა ჭეშმარიტებას ამბობს: „თქვენ სამივე გონებიდან, „მოჩუხჩუხე წყაროდან“ გამომდინარე მეტყველებთ. თქვენ კვლავ გონებით ლაპარაკობთ: პირველს — მორალისტური გონება გაანჩია, მეორეს — თეოლოგიური, მესამეს მისტიკური. თუ გონების კარნახით ლაპარაკობთ, მე არა ვარ თქვენი უფალი, რადგან მთელი გულისყური იმაზე უნდა გქონდეთ გამახვილებული, როგორ უარყოთ გონება!“

აი, რას ითხოვს ოსტატი — უარყავით გონება! თქვენ კი ილეთებს ატარებთ, ოსტატის შესახებ იმ გონებიდან გამომდინარე საუბრობთ, რომლის უარყოფასაც იგი ითხოვს. აი, რატომ ვამბობ, რომ ბოდჰიდჰარმა ქრისტეზე უფრო იღბლიანი აღმოჩნდა. მას მოსწავლე ჰყავდა, რომელიც ჭეშმარიტად გაუმდა. იყვნენ სხვა, უფრო იღბლიანი ოსტატებიც. ერთ— ერთი მათგანია რინ ძაი. მან იგივე კითხვა დასვა, რადგან ეს სინამდვილეში ერთი და იგივე ისტორიაა, რომელიც მარადიულად მეორდება. ბუდა და მისი მოწაფეები, იესო და მისი მოწაფეები, ბოდჰიდჰარმა და მისი მოწაფეები — ამბავი ერთია, არ იცვლება, რადგან ურთიერთობაც უცვლელია და მოვლენაც.

რინძაი კიდევ უფრო ბედნიერი აღმოჩნდა, როცა მან მოწაფეს ჭეშმარიტების შესახებ ჰკითხა, როგორ გგონიათ, რა ქნა მოწაფემ? მან ოსტატს დაარტყა, რინძაის კი გაეცინა და თქვა: „მართალი ხარ, შენ კარგად მოიქეცი, რადგან არ შეიძლება არაფრის შეკითხვა. ყველა კითხვა არასწორია!“

და ის ყველაზე ილბლიანი ოსტატი იყო! როგორ შეიძლება, უპასუხო შეკითხვას, როცა თვით შეკითხვა არასწორია. ის მოწაფე, რომელმაც რისძაის გაარტყა, თავისთვის ფიქრობდა: „ოსტატო, ნუ ხარ სულელი, ნუ თამაშობ ჩემთან. შენ ცდილობ ჩისში ჩემს მომწყვდევას. პასუხი რომ გაგცე, არასწორად მოვიქცევი, მაგრამ თავის არიდებაც უმართებულო იქნება. რომ გიპასუხო, მართალი არ ვიქნები, რადგან ჭეშმარიტების სიტყვით გამოხატვა შეუძლებელია. მაგრამ რომ არ გიპასუხო, ესეც უზრდელობა იქნება...“და ამიტომ გაარტყა ოსტატს. რისძაის გაეცინა და უთხრა: „სწორია! როდესაც მოწაფეს შეუძლია ოსტატს ხელი დაარტყას, ის თავად ხდება ოსტატი. ახლა წადი და სხვებს ასწავლე!“

იესომ თქვა: „მე არა ვარ უფალი შენი, შენ მთვრალი ხარ მჩქეფარე წყაროთი, მე რომ გავზომე...“

თქვენ ლოთებად რჩებით და ისევ გონების უგუნურობა გაორობთ! გონება ყოველგვარი უგუნურობის საწყისი და ექვივალენტურია. შესაძლოა, არა ხართ ძალიან უგუნური, არ ღრეხართ, არ ორთქლდებით, ამიტომ არავინ არ დააპირებს თქვენს საგიუეთში მოთავსებას. თქვენი უგუნურობა საშუალო დონისაა. თქვენ შრომისუნარიანი უგუნური ხართ. შეიძლება მუშაობდეთ, მოქმედებდეთ, მაგრამ საკუთარ თავში უგუნურობას ინარჩუნებდეთ. ადამიანი მაშინ იშორებს უგუნურობას, როცა გონებას სტოვებს... აი, რატომ გიწოდებთ იესო მთვრალებს.

ნუ მიიტანთ ოსტატთან გონებას, თორემ ვერ მიუახლოვდებით და სატსანგს* ვერ მიაღწევთ. მთვრალი იქნებით საკუთარი გონებით და ოსტატის გვერდით იფიქრებთ და ილაპარაკებთ. თქვენი გონება ზღუდეს აღმართავს და იესო ველარ გადმოაბიჯებს მას.

...და მოჰკიდა ხელი თომას, გაიყვანა მოშორებით და სამი სიტყვა უთხრა.

როცა თომა მობრუნდა, მოწაფეები შეეკითხნენ:

„რა გითხრა იესომ?“

იესო საუკეთესოს ურდა დაუკავშირდეს, მაგრამ საუკეთესო არ არსებობს. თომა მხოლოდ რჩეული იყო. იესომ გაიცვანა ის და სამი სიტყვა უთხრა, უკან დაბრუნებულს ამხანაგებმა ჰკითხეს: „რა გითხრა იესომ?“ მოწაფეები კვლავ იესოს სიტყვებით არიან დაინტერესებული და არა მისი არსით. ისინი ისევ ცოდნასა და სიტყვებს ეძებენ და ყოფიერებას უარყოფენ.

თომამ უპასუხა: „ერთი სიტყვაც რომ ვთქვა მისი
ნათქვამიდან, თქვენ ქვებს აიღებთ
და ჩამქოლავთ,
და ცეცხლი გამოვა ქვებიდან და
დაგწვავთ თქვენ...“

ყველაფერი ეს იდუმალებითაა მოცული. ის სამი სიტყვა არ ჩაწერილა, არც თომას უთქვამს დანარჩენი მოწაფეებისათვის. მაგრამ მან მითითება მაინც მიიღო, რადგან მზად თუ არ ხართ, მხოლოდ ქარაგმით შეიძლება თქმა. თუ ჭეშმარიტი მკვლევარი ხართ, ქარაგმითაც მიხვდებით საიდუმლოს. არ შეიძლება საიდუმლოს პირდაპირ თქმა. თქვენ მზად უნდა იყოთ მისთვის. რაც უფრო მეტად ხართ მოშზადებული, უფრო ცხადად ჩასწვდებით საიდუმლოს.

იესო გადაკრული სიტყვით გაგებინებთ, ამიტომ თავიდან ქარაგმა ამოხსენით.

იესომ თომას სამი სიტყვა უთხრა. თომა კი ამბობს: „...ერთიც რომ ვთქვა...“ რას გულისხმობს იგი?

ყოველი ადამიანი სიცრუეში ცხოვრობს, ვინაიდან სიცრუე ხელსაყრელი და მოსახერხებელია. ჭეშმარიტება კი — მძიმეა და უსუგეშო. სიცრუე დაღვართის პგავს, თქვენ მსუბუქი ცეკვა-ცეკვით ეშვებით მასზე. ჭეშმარიტება კი რთული და ციცაბო აღმართია. მასზე ასვლის დროს სუსტქვა გეკვრებათ. სიცრუე თავადაც შეგიძლიათ მოიგონოთ და შეთხზათ. თქვენ საკუთარი ტყუილიც გაკმაყოფილებთ, მაგრამ სიმართლეს ვერ შეთხზავთ.

ტყუილის გამოგონება იოლია და ეს სიცრუე დაგაკმაყოფილებთ, ხოლო სიმართლეს იძულებული ხდებით, რომ

შეეგუოთ. სიმართლით რომ დაკმაყოფილდეთ, უნდა შეიცვალოთ. ტყუილი ყოველთვის თქვენთან არის და არ გეწინააღმდეგებათ, სიმართლე კი უცვლელია. მართალი თუ გინდათ იყოთ, თვითონ უნდა გაღასხვაფერდეთ. სიმართლის შეცნობა შეუძლებელია. ის არსებობს. მისი აღმოჩენა შეიძლება მხოლოდ. აი, რატომ არის ადამიანი სიცრუეში ჩაფლული.

ყველა ქვეყანას საკუთარი ტყუილი გააჩნია. ყველა ეროვნებას, ყველა რელიგიას, ეკლესიას, ტაძარს, გურუღვთას საკუთარი სიცრუე აქვს შექმნილი, რაც ძალიან მოსახერხებელია და სიმართლისაგან გიცავთ. ამიტომაა, რომ სიმართლის ღამცველს ქვეს უშენო. ის თუ მართალია, თქვენი ცხოვრებაა ყალბი. ეს კი თქვენთვის მიუღებელია, თქვენ ხომ ამის გამო იცხოვრეთ. ყველაფერი, რაც გაქვთ, თქვენი ოცნებებია, ხოლო რასაც მიაღწევთ — თქვენი ტყუილი. ამ დროს კი ვიღაც მოდის და სიმართლეს გეუბნებათ. ამრიგად, მხოლოდ ორი გამოსავალი გაქვთ — ან მთლიანად უნდა განაგდეთ, ან ქვები უნდა დაუშინოთ სიმართლის მოქადეს. სიმართლის მოქადეს ჩაქოლვით თქვენ უფრო ჩაეულობით სიცრუეში.

ფსიქოლოგები მიუდგენ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანს არ შეუძლია ტყუილის გარეშე ცხოვრება და რამდენადაც საუბარია ადამიანთა უმრავლესობაზე, ისინი მართალნი არიან. ფრიდი, იუნგი და ადლერი, ადამიანის ცნობიერების ეს სამი უდიდესი მკვლევარი, ამ საკითხში აბსოლუტურად ეთანხმებიან ერთმანეთს — ადამიანმა უნდა იცრუოს, ეს მისი უმთავრესი მოთხოვნილებაა. იგი საკვებიცაა და უფრო მნიშვნელოვანიც კი. უსაკვებოდ სამ თვეს გაძლებო, ტყუილის გარეშე კი სამ წამსაც ვერ იცოცხლებო, რამეთუ ტყუილით სუნთქავთ!

ვინმე მხარს თუ უჭერს თქვენს ტყუილს და სიმართლეს ამცვანებს, თქვენ ეთაყვანებით მას. სიკვდილისა გეშინიათ და სულის უკვდავებისა გჯერათ! თქვენთვის ეს სიცრუეა — თქვენ ხომ სულის ანბანსაც კი არ გაცნობიხართ. არ იცით, არსებობს თუ არა ის, მაგრამ მისი უკვდავებისა მაინც გჯერათ. როცა ვინმე ამტკიცებს და ასაბუთებს სულის

უკვდავებას, პატივისცემით ეპყრობით მას და მცოდნე კაცს უწოდებთ.

მაგრამ ამ ადამიანმა ხომ მხოლოდ მხარი დაუჭირა თქვენს ტყუილს. თქვენ კი, როგორიც იყავით, ისეთივე დარჩით. არ იცით, რა არის სული და არც გინდათ იცოდეთ. სიცრუე გესმარებათ ცხოვრებაში, სიკვდილი აღარ შეგაშინებთ, რადგან იგი არ არსებობს. სული უკვდავია.

აქედან წარმოიშვა ძალიან უცნაური მოვლენა — ინდოელები ყველაზე მხდალი ხალხია მსოფლიოში. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ინდოეთის დამორება ამდენი საუკუნის მანძილზე? ამასთან, იგი მცირერიცხოვანმა ინგლისმა დაიმორა, რომლის მთელი მოსახლეობის რაოდენობა ინდოეთის ნებისმიერი პროვინციის მოსახლეობაზე გაცილებით ნაკლებია. ორმოცდაათი კრორი (500 მილიონი) დაიპყრო სამმა კრორმა (30 მილიონი) ეს ალოგიკური ჩანს, მაგრამ ვინც არ უნდა მისულიყო — მონღოლები, თურქები, ინგლისელები თუ სხვა, — ინდოეთი ყველას დანებდებოდა. რით აიხსნება ასეთი სიმხდალე? ეს არის „საკუთარი თავის“ მცოდნე ხალხი? ისინი გაიძახიან, რომ საწყისი ცოდნა აქვთ და იციან, რომ სული უკვდავია?! თუ ეს ასეა, როგორლა შეიძლება მშიშარა იყოთ? სული თუ უკვდავია, თქვენზე მამაცი ვერავინ იქნება, რადგან არავინ არ მოკვდება, თქვენც ხომ უკვდავები იქნებით. მაგრამ სული უკვდავია და მიუხედავად ამისა, ინდოელები ყველაზე მშიშარა ხალხია მსოფლიოში. სინამდვილეში კი თავიანთ შიშს ისინი სულის უკვდავების ფილოსოფიაში მალავენ.

შეიძლება ბუდამ და იაჯნავალკიამ იცოდნენ, მაგრამ ამ ცოდნის გადმოცემა შეუძლებელია. თვითშემეცნება ინდივიდუალურია, ადამიანმა იცის და როდესაც კვდება, მისი ცოდნაც ქრება. ცოდნა თავიდან უნდა იქნეს აღმოჩენილი და ამიტომ მისი საკუთრებად ქცევა შეუძლებელია.

ინდოეთი მხდალი ქვეყანაა, მაგრამ მას მშვენიერი თეორია აქვს. ინდოელებს სიკვდილის ეშინიათ. ევერესტს უცხოელები იპყრობენ, ინდოელები კი თავს არ იწუხებენ ამაზე ფიქრით.

ყოველი მაოგანი იტყვის: „რა სისულელეებს სჩადიხარო? რას მიიღებთ, იქ რომ ახვალთ? რატომ იგდებთ თავს საფრთხეში?“

ინდოელებს ხიფათის ყოველთვის ეშინოდათ. თუ ხიფათია მოსალოდნელი, ისინი ადგილიდანაც კი არ დაიძერებიან, და ამ ხალხს ჰგონია, რომ სულის უკვდავება იცის? არა, ეს სიცრუეა! იმ გაგებით კი არა, რომ სიმაროლეს არ შეესაბამება, უბრალოდ, ეს თქვენი სიცრუეა და მისი საშუალებით იცავთ თქვენს სიმხდალეს!

ინდოეთი მოვლენაა! მიმოიხედეთ და მსოფლიოში ვერ ნახავთ ასეთ ხარბ და ძუნწ ხალხს. ინდოელები სხვებს მატერიალისტებს ეძახიან, თვითონ კი არიან ასეთნი. ინდოელი ფულისთვის ცხოვრობს და მისთვის წარმოუდგენელია, ვინმეს რამე მისცეს. ყველაფერს ებღაუჭება, სხვებს მატერიალისტებს ეძახის, საკუთარ თავს კი „სპირიტუალისტს“ უწოდებს. მაგრამ ეს ცოცხალი ტყუილია, თანაც იმდენჯერ განმეორებული, რომ სიმაროლედ გვესენება.

თითოეული თავის საკუთარ ტყუილს თხზავს. არსებობს საყოველთაოდ აღიარებული ტყუილი. მერე კერძო ტყუილს იგონებთ და მასში ეულობით. იგი ბევრის უულებას გაძლევთ. შეიძლება მხდალი იყოთ და თავი მამაცი გეგონოთ და ისე მოიქცეთ, მამაცს რომ შეეფერება. ეს ნაწილობრივ გეხმარებათ კიდეც, რადგან თუ მხდალი ხართ და ამას აღიარებთ, ცხოვრებაში ველარ იმოქმედებთ.

ამიტომ ამბობენ ფსიქოლოგები, ტყუილის გარეშე ადამიანი ვერ იცხოვრებს. მხდალიც მოძრაობს ცხოვრებაში. ეს თითქმის ყოველთვის ასეა — ვინც არ უნდა იყოთ, საკუთარი არსის საპირისპირო ტყუილს იგონებთ და ამის მერე თამაშობთ საკუთარ როლს, რომ სხვებმაც დაინახონ და თქვენც ირწმუნოთ. ამ დროს გამბედავი ხდებით. შეიძლება ხიფათსაც ეძებდეთ მაშინ, როცა ამის არავითარი აუცილებლობა არ არსებობს, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებსაც და საკუთარ თავსაც დაუმტკიცოთ, რომ მხდალი არ ბრძანდებით. სულის სიღრმეში კი ისევ გეშინიათ საკუთრი სიმხდალის.

ხარბმა თუ დაიმო ყველაფერი, ტანსაცმელზეც უარი თქვა და სახლიც მიატოვა, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონვე ირწმუნოს, რომ ხარბი არ არის. მაგრამ ეს ვერაფერს უშველის, რადგან სიცრუეა. შემოძარცვითა და სახლის მიტოვებით ვერ მოიცილებთ სიხარბეს, რადგან ის თქვენს არსშია და თქვენი ნაწილია. თქვენ შეეცდებით საკუთარი სიხარბე თამაშით დაფაროთ და საპირისპირო უკიდურესობისკენ ლტოლვით შენიღბოთ.

ადამიანი სიხარბისა და გარდგომის გარეშეც გაძლებს, თუ თამაში არ დასჭირდა. იგი შიშის გარეშეც იარსებებს და ეგრეთ წოდებული სიმამაცის გარეშეც. საკუთარ არსს ჩაწედომილი ადამიანი არცერთ უკიდურესობაში არ ჩავარდება. იგი გაწონასწორებულია.

ბუდა რომ მიდიოდეს გზაზე და გველი დაინახოს, როგორ გგონიათ, რას იზამს? ის უბრალოდ გადახტება გზიდან! რას უწოდებთ ამას? სიმამაცეს თუ სიმხდალეს? ბუდა, უბრალოდ, მგრძნობიარე და შეგნებული ადამიანია. თქვენ ის პიროვნება მოგეწონებოდათ, რომელიც გველს მიუახლოვდებოდა და არ იზრუნებდა მოსალოდნელ საფრთხეზე. გველმა შეიძლება უკბინოს მას. თქვენ ასეთი პიროვნება მამაცი გგონიათ, ის კი ბრიყვია და სულის სიღრმეში მხდალი. გზაზე იმიტომ დარჩება, რომ თავისი შიში დამალოს.

ბუდაზე კი იფიქრებთ, რომ მშიშარაა, რაც არა სწორია. გზიდან გადასვლა უბრალოდ კეთილგონიერებაა.

შეგნებული ადამიანი არასდროს არ მოძრაობს საპირისპიროსაკენ. რაც არ უნდა ხდებოდეს, როგორც არ უნდა ეითარდებოდეს მოვლენები, იგი ყოველთვის ფხიზლად იქნება. ის არც გამბედავია და არც მხდალი. თქვენ ან მამაცი ხართ ან მხდალი. გარკვეულ პირობებში მშიშარასაც შეუძლია გმირობა ჩაიდინოს, გამბედავმა კი ილანიროს.

შეხედეთ პრობლემას: ყველაზე გამბედავიც კი მშიშარად გარდაისახება. შინ დაბრუნებისას ნაპოლეონიც კი გაუბედავია

ჟოზეფინას წინაშე. რატომ ხდება, რომ გარეთ მამაც მამაკაცს შინ თავის საცოდავ ცოლისა ეშინია?

მარტო თქვენ კი არა, ყველა ქმარი ცოლის მონაა! ეს შეიძლება გაზვიადებულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ყოველი ქმარი ცოლის მონა უნდა იყოს. სახლის გარეთ იგი მამაცია, შინ კი სურს ამ სიმამაცისგან დასვენება. წარმოიდგინეთ, შინაც რომ არ ისვენებდეს, საღამო მოიხსნას მან ეს დაძაბულობა? სახლის გარეთ ომია, გამუდმებული ომი მშვიდობის დროსაც კი, მთელი ღღე მისთვის შერკინებაა. შინ როცა ბრუნდება, დასვენება უნდა. შეუძლებელია 24 საათი მამაცი იყოო. დაიმახსოვრეთ: არავის შეუძლია 24 საათი ერთი და იგივე როლში ყოფნა. 24 საათი მხოლოდ სიფხიზლეა შესაძლებელი.

რას აკეთებდა თქვენი ცოლი მთელი ღღე? ის არავის ერკინებოდა, იყდა შინ და ისვენებდა. მას ეროხელაც არ ჰქონია შემთხვევა, გამოეელინებინა თავისი გამბედაობა. ისიც გადაიღალა სიმხდალით, მხოლოდ ცოლად ყოფნით. შინ რომ ბრუნდებით, იგი ანენს თავის გამბედაობას.

ლომების ერთ მომთვინიერებელ, საკმაოდ მამაც კაცს ძალიან ეშინოდა თავისი ტანმორჩილი ცოლისა და შინ დაგვიანება უბედურება იყო მისთვის. ერთ საღამოს მან გადაივიწყა ყველაფერი, მეგობრებთან ერთად დალია და მხოლოდ შუაღამისას გაახსენდა სახლი და ცოლი. შინ ველარ დაბრუნდებოდა, სადმე უნდა დამალულიყო, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახა. ქალაქი პატარა აყო და რომელ სასტუმროშიც არ უნდა დაბინავებულიყო, ცოლი ყველგან მიაგნებდა. ბოლოს ზოოპარკში, სადაც მომთვინიერებლად მუშაობდა, ლომის გალიაში შეეიდა. გალიის გასაღები თან პქონდა. ამ გალიაში ექვსი მავინვარე ლომი იყო. მას კი უშფოთველად ეძინა და ბალიშად ლომის ზურგი გამოეყენებინა.

მისმა ცოლმა მთელი ქალაქი შემოიარა. ვერსად რომ ვერ მიაგნო ქმარს, ბოლოს ზოოპარკში შევიდა და ნახა, რომ მისი ქმარი ლომების გალიაში ხვრინავდა. ცოლმა გისოსებიდან

ქოლგა დაჰკრა მძინარეს და დაუყვირა „გამოდი გარეთ, მშიშარავ, მე შენ გიჩვენებ ოინს!“

ეს გარდაუვლად მოხდება — ერთი უკიდურესობას თუ ირჩევთ, მეორეც თან მოჰყვება. ერთ ამბავში შეიძლება გამბედავი იყოთ, მეორეში — მხდალი. მამაკაცისათვის ერთი გზა არსებობს, ცოლის მონობას რომ გაექცეს. მან ქალის ფუნქციებს ის უნდა ასრულებდეს, ხოლო ცოლი მსახურობდეს. მაშინ ის მონა აღარ იქნება, რადგან აღარც ქმარი იქნება. სინამდვილეში ის ცოლია, ცოლი კი — ქმარი.

ყველა უკიდურესობა საკუთარ თავში საპირისპიროს ატარებს და თქვენ ეს საიდუმლო უნდა გამოამჟღავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ძალიან დაგამძიმებთ და ცხოვრება გაგიჭირდებათ. მხოლოდ შეგნებული ყოფნა, რასაც ბუდისტები „პრაჯნას“ უწოდებენ. გაწონასწორებული მდგომარეობიდან გამომდინარე მედიტაცია გადუნებთ. ცნობიერების ეს მდგომარეობა კატის მდგომარეობას ჰგავს. მაშინაც კი, როცა სძინავს, ფხიზლობს. გარეშე მცირე ხმაურიც საკმარისია, რომ დასვენებული წაიხტეს. გაწონასწორებული ადამიანის გონება ძილშიც ფხიზლადაა. მისთვის არ არის საჭირო მოდუნება, რადგანაც არც დაძაბულობა ყოფილა. ის არც მხდალია და არც მამაცი. მან ერთიც გაიგო და მეორეც და გამოვიდა უკიდურესობიდან. ადამიანი სიცრუეშია ჩაფლული. მან ასე უნდა იცხოვროს, რადგან მთლიანად არ ღებულობს საკუთარ არსს. მან მხოლოდ ნაწილი მიიღო. რა უყოს დანარჩენს? მან რაღაც ტყუილი უნდა მოიგონოს, რათა მიჩქმალოს იგი.

თომამ უთხრა მათ: **„ერთი სიტყვაც რომ ვთქვა მისი ნათქვამიდან, თქვენ აიღებთ ქვებს და ჩამქოლავთ...“**

ჭეშმარიტებას ყოველთვის ასე ხვდებიან. ძნელია ჭეშმარიტების დაცვა. ისინი, ვინც გისმენთ, თქვენს მტრებად იქცევიან და ჩაგქოლავენ. ისინი სინამდვილეში თქვენ კი არ გეწინააღმდეგებიან, არამედ თავს იცავენ და საკუთარ ტყუილს ფარავენ.

თომას სიტყვით, მოწაფეები ქვებს ჭეშმარიტებას ესკრიან, ხოლო ქვებიდან ცეცხლი გამოვა და დასწვავთ მათ...

თქვენ ვერ შესძლებთ ჭეშმარიტების ჯვარზე გაკვრას. იუდეველებმა, იესო კი არა, საკუთარი თავი აცვეს ჯვარს. მას შემდეგ გიზგიზებს ცეცხლი და ისინი გაურბიან ამ ცეცხლს, რომელიც თან სდევთ.

მაშინ როცა ჭეშმარიტებას ქვას უშენთ, ბოლოს და ბოლოს თვითონვე მოგხვდებათ ეს ქვა და თვითონვე დაიწვებით. ასეთია იუდეველთა მთელი ისტორია. ოცი საუკუნის მანძილზე ისინი იწვებიან. მე კი არ ვამართლებ მათ, ვინც წვავს, არა! მე არც ჰიტლერის მომხრე ვარ და არც სხვა დიქტატორისა, იუდეველებს რომ დევნიან. ისინი, რა თქმა უნდა, არასწორად იქცევიან. იუდეველები საკუთარ არსში ატარებენ იარას და თვითონვე ჰქმნიან საკუთარ ჰიტლერებს.

ძალიან ძნელია ამ სურვილის გაგება. დამნაშავე იმას ეძებს, ვინც მას დასჯის. როცა მას არ სჯიან, მაშინ უჭირს ცხოვრება, ხოლო დასჯაში შვებას პოულობს. დაჰკვირვებიხართ ბავშვებს? თქვენ თუ არ სჯით მათ, თვითონვე სჯიან საკუთარ თავს და ეს მათ შვებას ანიჭებთ. ბავშვმა ცუდი რამ ჩაიდინა და აინტერესებს, გაიგეს თუ არა ამის შესახებ მშობლებმა. იგი მოლოდინშია. თუკი გაიგეს, მშობლებს შეუძლიათ სცემონ და მაშინ იგი შვებას იგრძნობს. ბავშვი ცუდად მოიქცა, სამაგიეროდ კი დაისაჯა. მაგრამ თუ ვერავინ ვერ გაიგო მისი საქციელი, თვითონ წავა სადმე კუთხეში და საკუთარ თავს გატყეპავს. მხოლოდ ასე მოიპოვებს შვებას.

აი, რა მოსდით ხალხს, რომლებიც სიმკაცრეში ცხოვრობენ. მათ რაღაც ცუდი ჩაიდინეს — მართლა ცუდად მოიქცნენ თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ისინი ასე თვლიან და თავს ისჯიან. თქვენ გგონიათ, რომ ისინი ასკეტიზმში ცხოვრობენ და წმინდანები არიან? ისინი მხოლოდ დამნაშავე ხალხია, თავს რომ ისჯიან. მათ რაღაც ცუდი გააკეთეს და ცდილობენ, წონასწორობა აღადგინონ. მათ შეიძლება იმარხულონ, ლოცვები ჩამოიხოკონ, ცოცხლად დაიწვან თავი, მაგრამ

ისინი მხოლოდ დაბნაშავე ბავშვები არიან, მოუწიფებელნი, რომლებიც თავს ისჯიან. მათ სურთ ღმერთს უთხრან: „მე უკვე დავსაჯე საკუთარი თავი, ახლა შენ აღარ დაგჭირდება ჩემი დასჯა!“

აი, როგორ იქცევიან იუდეველები. ეს ერთ-ერთი ყველაზე ღრმა კომპლექსია ადამიანის სულში. ებრაელები თავიანთ ჰიტლერს ეძებენ ყოველთვის, იმ ადამიანს, ვინც მათ გაანადგურებს და მაშინ იგრძნობენ შვებას. როცა არავინ ფიქრობს მათზე, ისინი განსაცდელში გრძნობენ თავს — მათ დანაშაული სდევთ თან.

როდესაც ჭეშმარიტებას ქოლავო, ასეთი რამ აუცილებლად მოხდება. ამდენი ღვინისა და განსაცდელის მიუხედავად ებრაელებმა მაინც ვერ გააცნობიერეს თავიანთი ცუდი საქციელი. იესო ისევ მიუღებელია მათთვის და ისე იქცევიან, თითქოს მას არც უარსებია არასოდეს, იგი კვლავინდებურად არ არის მათი ნაწილი და მე გეუბნებით, ისინი სანამ არ აღიარებენ იესოს, განსაცდელში დარჩებიან. ამ განსაცდელს კი თვითონვე ქმნიან. ისინი დანაშაულნი არიან და ძალიან მძიმეა მათი დანაშაული.

წარმოგიდგენიათ თუ არა ბუდას, იესოს ან კრიშნას ჯვარცმაზე უფრო მძიმე დანაშაული? იესოს რომელსაც გაპყვნენ და ეთაყვანენ, რომელსაც დღესაც მილიონობით მიმდევარი ჰყავს, იუდეველებმა არ მიიღეს. იესო, რომელიც მათ მფეთქავ გულად უნდა ქცეულიყო, ისევ იუდეველებმა მოკლეს.

ინდუსები შედარებით აღვილად იხსნიან თავს დანაშაულისაგან — მათ ხომ არასოდეს მოუკლავთ ბუდა, რომელიც იესოზე საშინში იყო. მან ძირფესვიანად ამოთხარა მთელი ინდუიზმი. იესო ამბობდა: **„მოვედი არა ტრადიციების დასამსხვრევად, არამედ იმიტომ, რომ ისინი შეესრულო“.** ბუდამ კი პირდაპირ განაცხადა, რომ ყველა ვედა მორანმახია და მათ ძირფესვიანად ამოსაგლეჯად მოვიდა. მაგრამ ინდუსებს ხელიც არ დაუკარებიათ მისთვის. აი, ამიტომ შეეძლოთ მათ

დანაშაულთა შეგრძნების გარეშე ცხოვრება. ინდუსები ჭკვიანი და ფრთხილი ხალხი იყვნენ. მათ ბუდა ავატარადაც* კი აღიარეს, რომელიც ნაწილობრივ ცდებოდა და მეტი არაფერი. მათ ის არსებულ ტრადიციაში შეიყვანეს. ინდუსები ამბობენ: „ის ჩვენი მეათე ავატარაა“-ო და მის შესახებ ისტორია შექმნეს. არ არსებობს ინდოელებზე ფრთხილი და ჭკვიანი ერი, თუმცა ეს კარიკატურიცაა. ისინი ხომ ყველაზე ძველი დაბრძენებული ხალხია. ცხოვრების გამოცდილებამ მათ ბევრი რამ ასწავლა.

მათ ბუდა ჯვარზე რომ გაეკრათ, ვერასოდეს ვერ გათავისუფლებდნენ მისგან. ბუდა ხომ კვალდაკვალ მოგვყებათ. ასე რომ, ნუ აცვამთ მას ჯვარს. ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მაგრამ რომც არ მიაქციოთ ყურადღება, თქვენს შიგნით რაღაც მაინც გარაგრძნობს უკან მიხედვას. ადამიანი აქ არის, ასე რომ, მისი მიღება უკეთესი იქნება და ინდუსებმა ასე ორაზროვნად მიიღეს ბუდა. ეს საფრთხილეა!

მათ ასეთი ისტორია მოიგონეს: ღმერთმა ჯოჯოხეთი და სამოთხე შექმნა, მაგრამ მილიონობით წლების განმავლობაში არავინ არ ხვდებოდა ჯოჯოხეთში, რადგან არავინ არ სცოდავდა. ყველა მორწმუნე და მართალი იყო. ყველასათვის სამოთხის კარი იყო ღია. მაშინ ეშმაკი ღმერთან მივიდა და შესჩივლა: „რისთვის შეექმენ ჯოჯოხეთი? არავინ არ მოდის იქ და მეც დავიღალე ამდენი ლოდინით...“

ღმერთმა მიუგო: „მოითმინე, ქვეყნად მე გამოვგზავნი ერთ ადამიანს — გაუტანს ბუდას, რომელიც შფოთსა და არეულობას შეიტანს ხალხში, რაც უხნეობას გამოიწვევს და ჯოჯოხეთსაც მოაკითხავენ...“

და ამის შემდეგ ჯოჯოხეთი პირამდე აივსო ცოდვილთა სულებით. მაგრამ ინდოელებმა ბუდა მიიღეს, როგორც ღვთის მიერ გამოგზავნილი ავატარა და ძალიან შეუმჩნეველად აარიდეს თავი. მათ არასოდეს არ ჩაუდენიათ დანაშაული.

იუდეველები კი დამნაშავედ დარჩნენ. მათ უბედურება თან სდევთ, მაგრამ ძველებურად არ აღიარებენ იესოს. იესო კი

იუდეველად დაიბადა, იუდეაშივე მოკვდა. იუდეველთა შორის არავინ ყოფილა მისი ტოლი, თუმცა მათ უამრავი სახელგანთქმული ადამიანი ჰყავთ. იუდეველები ღიღი პოტენციის ხალხია. ფროიდი, მარქსი, აინშტაინი და სხვები იუდეველები იყვნენ. მათ იუდეველთა შორის უღიდესი გამორიცხეს. ისინი როგორც კი აღიარებენ იესოს, მაშინვე შეებას იგრძნობენ. მათი იარა გამთელდება. ისინი ჯანსაღი და სრულყოფილნი იქნებიან და ჰიტლერების საჭიროებაც მოისპობა. ღღეს კი ებრაელები თვითონ ქმნიან თავიანთ ჰიტლერს, — ამას რომ გეუბნებით, დაიმახსოვრეთ. მაშინ, როცა დანაშაულის გრძნობა გაწუხებთ, თავადვე იქმნით დამსჯელს. თქვენ სასჯელს ეძებთ, რაც გაგათავისუფლებთ სინდისის ქენჯნისაგან და შეებას მოგიტანთ. ნუ იგრძნობთ თავს დამნაშავედ, თორემ სულ მუდამ სასჯელის ძებნაში იქნებით.

იგემეთ ცხოვრება თავისი მრავალფეროვნებით, მიიღეთ ცხოვრება ისეთი სახით, როგორც არის და იყავით მადლიერი. ალიცსეთ ღრმა მადლიერებით — აი როგორ ცხოვრობს რელიგიური ადამიანი, ხოლო როდესაც მოლიანად მიიღებთ და აღიარებთ ცხოვრებას, თქვენ განმრთელდებით, გაქრება ყოველსაირი დაყოფა, დიღი მდუმარება დასახლდება თქვენში, ალიცსებით უცხო გრძნობით, რაღგან მრთელს, უცნობი მოგიკაკუნებთ კარზე.

1974 წლის 1 სექტემბერი
პუნა, ინდოეთი

საუბარი მეცამეტე

მეცამეტე შეგონება

იეხოვ თქვა: — „თუ მეგზურნი თქვენნი გეტყვიან
კაიხელეთ, სახუფეველი ზეცაშია, მაშინ
ფრთოსანნი ცისა დაგასწრებენ თქვენ;
თუ გეტყვიან: იხ ზღვაშია, თევზნი
წყლისა მოგასწრებენ თქვენ,
მაგრამ სახუფეველი თქვენშია და
იხ თქვენნ გარეთაა“.

(თომა, 2)

იეხოვ თქვა: — „თუ შეიცნობთ საკუთარ თავს,
შეცნობილნი იქნებით,
მაშინ გაიგებთ, რომ თქვენ შვილები ხართ
ზეცური მამისა,
მაგრამ თუ ვერ შეიცანით საკუთარი თავი,
მაშინ ღატაკნი ხართ და თქვენ თვითონ ხართ
ხილატაკე“.

(თომა, 3)

ღვთის სასუფეველი ყოველთვის სადღაც დროსა და სივრცეში არსებობს, მაგრამ ამასთანავე კიდევ სადღაც, თუმცა არა აქ და არა ახლა. რატომ ხდება ასე?

ეს ყველაფერი ადამიანის გონებიდან გამომდინარეობს. ადამიანის გონება აწყმოში ქრება, მომავალში მომავლის მოლოდინითა და იმედით არსებობს. იგი სურვილებით ცოცხ-

ლობს, რადგან სურვილს დრო უნდა და ადამიანის გონება ვერ იარსებებს დროის გარეშე. თუ მოულოდნელად გააცნობიერებთ, რომ დრო გაქრა და ხვალინდელი დღე არ დადგება, როგორ გგონიათ, რა დაემართება თქვენს სურვილს? ისინიც დროსთან ერთად გაქრება.

დრო ფიზიკური კი არა, ფსიქოლოგიური მოვლენაა. დროს გონების ფუნქციონირება ბადებს. იესო დროის გარეშე არსებობს, თქვენ კი დროში ცხოვრობთ. ყველა ბუდა — იესო კი ბუდაა — ამტკიცებდა: **„იყავით სურვილების გარეშე! მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებთ სამოთხეში შესვლას...“** მაგრამ აუღელვებელი რომ იყოთ, **აქ და ახლა** უნდა არსებობდეთ, მაშინ აღარ იქნება მომავალში მოძრაობა, შეწყდება ყველა სხვა მოძრაობაც ნებისმიერი მიმართულებით, რადგან სურვილი ხიდი იყო.

გამიგონია, რომ ერთ-ერთ ეკლესიაში ღვთის სასუფევლის სადიდებელი ჰიმნის შესრულებისას მქადაგებელმა თქვა: „სასუფეველში ოქროს ქუჩებია და ზურმუხტის მდინარე მიედინება...“ მან სხვა ბევრი რამ დაამატა საქებარი და ბოლოს შეეკითხა მრევლს: „ვის სურს იქ მოხვედრა?“

ერთი კაცის გარდა ყველამ ასწია ხელი. მქადაგებელი დაფიქრდა, ეს მოხუცი რატომ არ წევსო ხელს. იგი ხომ სიკვდილს იყო მიახლოებული და მას თითქოს პირველს უნდა გამოეთქვა სამოთხეში მოხვედრის სურვილი. მაშინ მქადაგებელმა შეცვალა ტაქტიკა და ჯოჯოხეთის სურათი დახატა. წვალების, ტკივილის, სიმახინჯის, ცეცხლისა და წამების აღწერით. დასასრულს კი ისევ მოუწოდა მრევლს: „ვის სურს ახლა ცათა სასუფეველში მოხვდეს?“ კელავ იმ მოხუცის გარდა ყველამ ასწია ხელი. მქადაგებელი შეცბა და ჰკითხა მოხუცს: „იქნებ შენ არ გესმის ჩემი? ყურთ ხომ არ გაკლია? არ გინდა სასუფეველში მოხვდე?“

მოხუცმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, მინდა, მაგრამ შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ეს ახლა იყოს საჭირო, საერთოდ მინდა.“ მაგრამ პირდაპირ თუკი გეუბნებიან, რომ ცათა

სასუფეველი აქ არის და ახლა, თქვენ მზად არ აღმოჩნდებით. ბევრი რამ უნდა გააკეთოთ, ვიდრე ცათა სასუფეველში შესვლას იფიქრებდეთ. ამისათვის დროა საჭირო. თქვენ ქურუმი უფრო გაწყობთ, ვიდრე ბუდა ან იესო,რამეთუ ეს უკანასკნელნი დროის გარეშე არსებობენ. იესო არ განებებთ ოცნებებს, დროსა და მომავალს და ამბობს, რომ ხვალინდელი ღღე არ არსებობს.

თქვენ იცით, რომ ახლანდელ პერიოდში არაფერია თქვენი ფასი და როგორიც ახლა ხართ, არ ღებულობთ საკუთარ თავს. მაშ, ღმერთი როგორღა მიგიღებთ? საკუთარ თავს დამნაშავეებად თვლით და როგორ გაიხსნება თქვენთვის ღვთის სასუფევლის კარი?

თუ ეს კარი ახლა ღიაა და მასში შესასვლელად გეპატიჟებიან, თქვენ არ გეყოფათ გამბედაობა, სასუფევლის კარიბჭეში შეაბიჯოთ. გარდასახვისათვის გარკვეული დრო დაგჭირდებათ. თქვენ წმინდანი უნდა გახდეთ. რომ ღმერთმა შეგიყვაროთ.

ასეთია ბევრი სურვილი და თითოეული მათგანის ასრულებას დრო უნდა.

მსოფლიოს მთელი მორალი, რომლის ფორმაა გასისხვავებული, იდუმალი არსი კი საეროთა, გამუდმებით გასამართლებთ — თქვენ ცუდი ხართ, უნდა გამოსწორდეთ. ასე რომ, ვინმემ თუ გითხრათ, რომ სასუფევლის კარი ღიაა, უსათუოდ უხერხულობას იგრძნობთ, იმ წუთას ვერ შესძლებთ მასში შესვლას, მაგრამ თუ გეტყვიან, რომ იგი მომავალშია, მაშინ აღმოჩნდება, რომ დრო გაქვთ და შვებას იგრძნობთ, რადგან მოასწრებთ გარდასახვას — შექმნით ხატებას, იდეალს და მიპბაძავთ მას. ერთ მშვენიერ ღღეს კი წმინდანი გახდებით. ხოლო თუ რაიმეს საამომავლოდ გადაღებთ, გონება უცვლელი რჩება.

ცვლილება კი არა, იდეალია საჭირო, ნახტომი კი არა, დროა აუცილებელი, მაშინ შეგეძლებათ საამომავლოდ რაიმის გადადება, რაც იმის საფუძველია, რომ უცვლელად დარჩეთ.

სახლი თუ იწვის, მაშინვე გარეთ გამოვარღებით. ისე, რომ არაფერს იკითხავთ. არ დაიწყებთ გამყოლის ძებნას.

სადმე კარი აღმოჩნდება!

მოგზაურობა იმ აღგილიდან იწყება, სადაც ამჟამად იმყოფებით და თქვენ არ დაფიქრდებით: „ვარ თუ არა იმდენად ძვირფასი, რომ გადარჩენის ღირსი ვიყო? მაქვს თუ არა რაიმე ღირებულება?“ არა, არცერთი ასეთი შეკითხვა თქვენ არ გაგიჩნდებათ.

ფილოსოფია იმ მშვიდი მდგომარეობისათვის არის გაჩიზრული, როცა კითხვის მიცემისა და პასუხის მიღების, გადაღების შესაძლებლობა გაქვთ. მაგრამ, როცა საფრთხეა მოსალოდნელი, თქვენ ყოველნაირ ფილოსოფიას იცვლით. დაჰკვირვებიხართ თუ არა, რომ საშიშროების ჟამს გონებას უგულებელყოფთ. თქვენ საერთოდ არ ფიქრობთ, არ იცლით განსჯისთვის — სახლს ცეცხლი უკიდია და თქვენ თავს შველით! მერე შეგიძლიათ ხის ქვეშ დაჯდეთ და იფიქროთ მომხდარის შესახებ. მაგრამ საშიშროების ჟამს, როცა სიკვდილი გემუქრებათ, დრო აღარ არსებობს, თქვენ ფიქრისთვის არ იცლით, რამეთუ მხოლოდ მოქმედებას ძალუძს თქვენი გადარჩენა. დრო — გადადებაა, თქვენ კი სხვადასხვა მიზეზის გამო მოგწონთ გადადება.

ერთ-ერთი ასეთი მიზეზი ის არის, რომ კიდევ ბევრი სურვილი გრჩებათ აუსრულებელი. თქვენ არ დაიტკბარხართ ამ ქვეყნით ბოლომდე. ისევ გაწუხებთ შიშმილი და წყურვილი და ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ დრო არ არის საკმარისი. არა, თქვენ აქ მთელი წარსულის განმავლობაში ყოფილხართ, მთელი წარსული კი მარადიულობაა, მას არა აქვს საწყისი. თქვენ აქ მარად იყავით, ყველანაირი ხერხით იმოქმედეთ და ყველანაირი სურვილი გამოიცვალეთ, მაგრამ მაინც მშიერ-მწყურვალი დარჩით.

გგონიათ, რომ მეტი დროა საჭირო? უფრო მეტი, ვიდრე გქონდათ? მეტი დრო კი არა, თქვენისვე სურვილის ბუნება და აუსრულებლობა უნდა შეიცნოთ, რაკეთუ თვით მარადისობაშიც

კი სურვილი აუსრულებელი რჩება. იგი ისევ და ისევ გებადებათ და რაც უფრო მეტად ცდილობთ დააკმაყოფილოთ, მით უფრო იზრდება. თქვენ, უბრალოდ, კვებავთ სურვილს, როდესაც ფიქრობთ, რომ მას აკმაყოფილებთ. გგონიათ, სექსით, აკმაყოფილებთ თქვენს სექსუალურ ჟინს? არა, ამ დროს მხოლოდ ვნებას კვებავთ. ხვალ თქვენი სურვილი უფრო ხარბი, უფრო ავხორცი გახდება და დღითი-დღე უფრო გახელდება.

როცა სურვილს ახორციელებთ, უფრო მეტად გშიათ. თქვენ კვებავთ მას, მაგრამ ვერ კმაყოფილდებით. დააკვირდით ყველაზე ჩვეულებრივ — საკვების მიღების სურვილს. შესაძლებელია თუ არა, სამუდამოდ გაგიქრეთ შიმშილი საჭმლის დახმარებით? ფიქრობთ თუ არა, რომ წყურვილი სამუდამოდ გაგიქრებათ? არა, სურვილის ბუნება სულ სხვაგვარია. იგი მეორდება და თქვენც უფრო მეტად გაჯადოებთ. გუშინ რაღაცას აკეთებდით, დღესაც რაღაცას აკეთებთ, ხვალ ისევ ამ რაღაცის გაკეთება გსურთ. თქვენ იმეორებთ სურვილს და რამდანჯერაც იმეორებთ, იმდენჯერ ეუღლობით მასში.

მრავალი მილიონი ცხოვრების განმავლობაში თქვენ უამრავი სურვილი გქონიათ. დაბადებულიც ისე ხართ, როგორც გინდოდათ. ის, ვისაც სურს სექსუალურ ცხოვრებას ძაღლივით ეწეოდეს, ძაღლად დაიბადება, ღორივით ხარბი — ღორად განდება და თავის სურვილებსაც დააკმაყოფილებს. თქვენ ყოველნაირი სახით დაბადებულხართ, რადგან მარად არსებობდით, როგორც ხე, ფრინველი და ცხოველი.

აი, რას ეძახიან ინდოელები „იონს“. ისინი ამბობენ, რომ მილიონი საშოდან დაბადებულნი ხართ, თქვენს სურვილს უამრავი ფორმა მიუღია და ყველა შესაძლებელი ვარიანტი აქვს გამოყენებული. მეტი აღარაფერი არ მოხდება. არც არაფერი ხდება, რადგან თვით სურვილი დაუკმაყოფილებელია.

ამას თუ მიხვდებით, მომავალი აღარ იქნება საჭირო, თქვენ აქ და ახლა დარჩებით, ხოლო მომავლის უგულველყოფასთან ერთად სურვილიც გაქრება.

თქვენ მრავალი ხერხით გიცდიათ გარდასახვა. წინა ცხოვრებები არ გახსოვთ, მაგრამ ეს ცხოვრება ხომ იცით. ოდნავ მაინც თუ შეიცვალეთ? ან იქნებ, როგორც იყავით, ისეთივე დარჩით? რამე მუტაცია თუ მოხდა თქვენში? ჯერ თუ არ მომხდარა, რის საფუძველზე შეგიძლიათ იფიქროთ, რომ მომავალში მოხდება? ხოლო ძველებურად, წამდაუწუმ გადადებთ თუ განაგრძნობთ ცხოვრებას, მუტაცია არასოდეს არ მოხდება, რადგან გონება არ მოგცემთ გარდასახვის საშუალებას, რამეთუ გადადება მისი შენიღბული ილეთია და ეს ყველამ უნდა გაიგოს.

რატომ დებთ რამეს სამომავლოდ? იმიტომ, რომ ახლა, დაუყოვნებლივ არ გინდათ ამის გაკეთება. ლოგიკურად თამაშობთ და ამბობთ, რომ: „ძნელია ამის დაუყოვნებლად გაკეთება, მაგრამ ხვალ უფრო ადვილი იქნება.“ ყოველი ხვალ დღევანდელი დღედ იქცევა და თქვენ იგივეს გაიმეორებთ.

ასეთი საშუალებით თქვენი გონება შვებას იგრძნობს, ხვალე კი არ დგება. რამის გადადება არ არის გზა გარდასახვისაკენ. ამ წუთამდე ისევ და ისევ ცდებით. ყოველი დაწყების წინ უცვლელი რჩებით. გაიგეთ, რომ გარდასახვა ახლავეა შესაძლებელი, რადგან მისთვის საჭირო არ არის ძალისხმევა. იგი გამოფხიზლებაა. ეს არ არის საკუთარ თავზე შემოქმედების თემა. ისეთი, როგორიც ხართ, უკვე სრულყოფილად გამოიყურებით და მხოლოდ გამოფხიზლებაა საჭირო, რომ დაინახოთ. დატოვეთ თქვენი ოცნებები და სიზმრები, გაახილეთ თვალი და დაუკვირდით ფაქტს, რომელიც გარდაგსახავთ! უეცრად თქვენში წარსული გაქრება!

საკმარისია, მომავალი მოიცილოთ, რომ წარსულიც დაუყოვნებლივ გაქრება. ეს ცხოვრების ერთ-ერთი ფუნდამენტალური კანონია და მდინარეზე ხიდის მშენებლობას ჰგავს. იმისათვის, ხიდმა რომ იარსებოს, ორი ნაპირია საჭირო. ერთი თუ

ჩაიქცა, ველარც მეორე დაიჭერს ხიდს. წარსული და მომავალი — ორი ნაპირია, რომელთა შორის თქვენ სურვილის ხიდს სდებთ და განუწყვეტელ სადღაც მიდიხართ.

ახლოს თუ ხართ მიზანთან, გონება გაკარნახობთ: „სწრაფად იმოძრავე!“ აი, რატომაა ახლა ყველაზე მოდური სიჩქარე და გონებაც სიჩქარისაკენ გიბიძგებთ.

ამ ლოგიკით ჩვენ მთვარეს მივაღწიეთ, მაგრამ, ამასთან ერთად, ვერავითარ მიზანს ვერ შევწვდით. სიჩქარე სულ იზრდება. ადრე თუ გვიან სინათლის სიჩქარით ვიმოძრავებთ. რაც უფრო მეტია სიჩქარე, უფრო ადვილია გზის დაკარგვა და უფრო ძნელია სახლის მიგნება. ამჟამად ვერ შესძლებთ შორს წასვლას, რადგან რამდენად მაღალია სიჩქარე, იმდენად ძნელდება შინ დაბრუნება.

აი, რატომ გახდა თითქმის შეუძლებელი ამ სიჩქარის საუკუნეში თვითშემეცნება. ბუდაც და იესოც თვითრეალიზება ადვილად შესძლეს. ისინი მაშინ ცხოვრობდნენ, როცა უცხო იყო სიჩქარე.ისინი უბრალოდ სეირნობდნენ. გადაადგილების ყველაზე სწრაფი საშუალება მაშინ ურემი იყო, რის გასწრება ფეხით მოსიარულესაც შეეძლო. ისინი მიწაზე სეირნობდნენ, ჩვენ ცაში დავფრინავთ, კოსმოსში შევიჭერით და რაც უფრო სწრაფად ვმოძრაობთ, მით უფრო გვიძნელდება სახლის მიგნება.

ერთხელ ორმა მათხოვარმა ქუჩაში მოტოციკლი იპოვა. მძღოლს გასაღების ამოღება დავიწყებოდა. მოტოციკლი სამთვლიანი იყო. ერთი ეტლში ჩაჯდა მეორემ დაქოქა და მეზობელი ქალაქისაკენ გასწიეს.

თხუთმეტი წუთის შემდეგ საჭესთან მჯდომმა თავის ამხანაგს შეხედა. ამ უკანასკნელს სახე ისე გაფითრებოდა, თითქოს შეშლილი ან მომაკვდავი იყო. „რა მოგივიდა?“ — ჰკითხა მას, „დაამუხრუჭე! ეტლს ფსკერი არ ჰქონია და მთელი გზა ეტლში კი არ ვიჯექი, მოვრბოდი.“

სურვილსაც არა აქვს ფსკერი, თქვენ კედებით, რადგან მთელი გზა მორბოდით. ამიტომ შეუძლებელია სურვილის

მთლიანად დაკმაყოფილება. თუკი ქოთნის წყლით ავსებას ცდილობთ, მას კი ძირი არა აქვს, რას შესძლებთ?

ყველა ქურუმი სწორედ თქვენს სისუსტეს იყენებს, მაგრამ იესო ქურუმი არ არის. თქვენ ვერ მონახავთ ისეთ პიროვნებას, იესოსთანა ანტიქურუმი რომ იყოს. ჭეშმარიტად მორწმუნე არასოდეს არ არის ქურუმი, რადგან ქურუმი ადამიანის სისუსტეს იყენებს, იგი ცბიერია და კარგად იცის ეს სუსტი მხარე. თქვენი სისუსტე კი ისაა, რომ მომავალში იყურებით და გადადებთ ხოლმე — სადღაც, როგორღაც შეხვალთ ცათა სასუფეველში, მაგრამ ეს ახლა არ მოხდება, რადგან ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საქმეა გასაკეთებელი და უამრავი სურვილი — აუსრულებელი. ღმერთს ყოველთვის ბოლო ადგილი უჭირავს თქვენს სიაში, რომელიც უსასრულოა, ღმერთი თქვენთვის ბოლოა.

ესლა იესოს ამ სიტყვებს დაუკვირდით:

„თუ მეგზურნი თქვენნი გეტყვიან: გაიხედეთ, ღვთის სასუფეველი ზეცაშია...“ ღვთის საუფლო მოცილებულია აქაურობას და ძალიან შორსაა. **„...მაშინ ფრთოსანნი ცისა დაგასწრებენ თქვენ...“**

ფრთოსნები თქვენზე ადრე მიაღწევენ სასუფეველს, თქვენ მათ ჩამორჩებით. ქრისტე ხუმრობს: მაშინ ნუ გექნებათ იმედი, რადგან სასუფეველს ფრინველები თქვენზე ადრე მიაღწევენო.

„...თუ გეტყვიან, რომ ის ზღვაშია, თევზნი წყლისანი მოგასწრებენ თქვენ...“

და ისინი თქვენზე ადრე მიაღწევენ, თქვენ კი დაკარგავთ სასუფეველს. ვის გულისხმობს იესო? ქურუმებს, რომლებიც რელიგიის მტრები არიან, მაგრამ განსკარგულებელნი კი გახდნენ. ისინი ყველგან განაგებენ და იესოს მსგავს პიროვნებებს არ აძლევენ ტაძარში შესვლის უფლებას.

დოსტოევსკის რომან „ძმებ კარამაზოვებში“ შესანიშნავი ამბავია მოთხრობილი. ჯვარცმიდან 18 საუკუნის შემდეგ იესოს გაიუქრა: „ახლა კიდევ ერთხელ ურდა ეწვიო დედამიწას, იგი ახლა მზად იქნება ჩემს მისაღებად. ამჯერად აღარ

უარმყოფენ, როგორც წინათ. მაშინ ხომ არცერთი ქრისტიანი არ ყოფილა და მეც უცხო ვიყავი. ახლა დედამიწაზე მილიონობით ეკლესიაა და ქურუმებიც ჩემს სიტყვას ქადაგებენ, ხალხი მიმიღებს და მაღიარებს. ყველა კარი ღია იქნება ჩემთვის. დრო დადგა, არ უნდა მივსულვიყავი ადრე, მაშინ არასწორი დრო იყოო!

და ქრისტე მეორედ მოვიდა, რა თქმა უნდა, კვირა დილით, რადგან სხვა დღეს ძნელია სხვა სარწმუნეობის მიმდევრისაგან განასხვავო ქრისტიანი. ყველა ერთნაირია, მხოლოდ კვირა დღეს შეიძლება ამის დადგენა, რადგან ეს სარწმუნეობის დღეა და სრულებით არ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან. ის მხოლოდ რიტუალი და ფორმალობაა, რომლის შესრულება უგულოდაც შეიძლება. იესო იმ სოფელს ეწვია, სადაც 18 საუკუნის წინ მიდიოდა — ბეთლემს. ბაზრის მოედანზე დადგა წინათგრძნობით აღსავსე. ხალხი უყურებდა მას და ვერავინ ვერ სცნობდა, შედიოდნენ და გამოდიოდნენ ეკლესიიდან. შემდეგ იესოს რამდენიმე კაცი შემოერტყა გარს და უთხრეს: „შენ იესოს ჰგავხარ, კარგად თამაშობ და კარგი მსახიობი ხარ“.

იესომ უპასუხა: „მე მსახიობი კი არა, ნამდვილი იესო ვარ!“

მაშინ ხალხმა სიცილი დაიწყო და უთხრეს: „ნამდვილი იესო თუ ხარ, თავს უშველე, სანამ ქურუმები არ გამოსულან ეკლესიიდან, თორემ უბედურება არ აგცდება“. პატარა ბავშვებმა ქვების სროლა დაუწყეს, ხალხი კი მასხრად იგდებდა: „ნამდვილი იესო, იუდეის მეფე მოსულა. ეს ის არის, ჯვარს რომ აცვეს. ის აღსდგა!“

ხალხი დასცინოდა. იესო კი ნაღვლიანი იდგა, რადგან ის თავის ქვეყანაში იმყოფებოდა. ეს ხალხი იუდეველები კი არა, ქრისტიანები, მისი მიმდევრები იყვნენ, მაგრამ მათ ვერ იცნეს იგი. იესო მაინც არ კარგავდა იმედს და მოთმინებით ელოდა: „ბოლოს და ბოლოს ჩემი ქურუმი მიცნობს, თორემ ეს ხალხი ბრიყვია და უმეცარი“.

მერე ქურუმიც მოვიდა. ხალხმა მხოლოდ მისი პატივისცემით შეწყვიტა დაცინვა და ქურუმს თავი დაუხარეს მოწიწებით, იესომ გულში გაიფიქრა: „ჩემდამი უბრალო პატივისცემაც არ გამოუხატავთ, ქურუმს კი როგორ ხვდებიან. თუმცა ეს კარგი ნიშანია, ის ხომ ჩემს სიტყვას ქადაგებს და მისი დახმარებით მეც შემიცნობენ, რადგან ბრმანი არიან და დანახვა არ ძალუძთ". მაგრამ ქურუმმა შეხედა მას და შესძახა: „დაიხოქე, შე არაშზადავ!" რას სჩადიხართ? ჩვენს ღმერთს შეურაცყოფთ?"

იესომ უთხრა: „როგორ, შენც ვერ მიცანი?"

ქურუმმა ქეჩოში ჩააცლო ხელი და მიუგო: „მშვენივრად გიცანი, წამოდი ჩემთან!" ეკლესიაში წაიყვანა და საკანში ჩაამწყვდია. იესო საოცრად დაიბნა: „რა მოხდა? კიდევ ხომ არ მაცვამს ჯვარს ჩემი ხალხი?"

ღამით სანთლით ხელში ქურუმმა იესოს კარი გაულო და დაიხარა, იესოს ფეხებს შეეხო და უთხრა: „მე ბაზრის მოედანზეც გიცანი, მაგრამ ვერაფერი ვერ ვთქვი, რადგან შენ ძველი სიმშვიდის აღმაშფოთებელი ხარ. როგორც იქნა, ჩვენთან ყველაფერი მოწესრიგდა, ახლა კი შენ ისევ ააჯანყებ ხალხს. ქრისტიანობა დედამიწის ნახევარზე გავრცელდა, მეორე ნახევარსაც დაიკავებს ადრე თუ გვიან. შენ იქ დაგველოდე მხოლოდ, არ გინდა აქ გამოჩენა! უშენოდ ჩვენ ყველაფერს კარგად ვართმევთ თავს. აქ რომ იყავი, ერთი კაციც ვერ მოაქციე რწმენაზე, ჩვენ კი ყველაფერი მოვახერხეთ. შენ მადლიერი უნდა იყო ჩვენი ...ჩვენ მხოლოდ მაშინ შეგვიძლია შეგიცნოთ, როცა მარტო დავრჩებით შენს პირისპირ, სხვების თანდასწრებით ეს ვერ მოხდება, რადგან ქურუმებს და ეკლესიას ეწინააღმდეგები, მაგრამ მაინც თუ მოითხოვ შენსას, თავიდან მოგვიწევს შენი ჯვარცმა. ჩვენ მაშინ გეთაყვანებით, აქ რომ არა ხარ. რისი გაკეთებაც არ უნდა ისურვო, ჩვენ ვიქნებით შენი წარმომადგენლები და ჩვენი მეშვეობით განახორციელებ ყველაფერს. მაგრამ ხალხთან შენი ურთიერთობა დაუშვებელია, რამეთუ ძალიან საშიში ხარ!"

ამ ქურუმმა ერთი უმთავრესი ჭეშმარიტება დაადგინა — შეუძლებელია, ქურუმი რელიგიური იყოს! ის თუ ბუდას ქურუმია, ბუდას მოწინააღმდეგე იქნება. იგი ბუდას სიტყვებს გეტყვით და გაგაცრუებთ, ხოლო თუ ბუდა მოვიდა, ქურუმი თქვენსა და მას შორის ჩადგება და ერთმანეთთან მიახლოებაში ხელს შეგიშლით, რადგან ბუდაცა და იესოც მეამბოხენი არიან, ისინი ვერ იქნებიან კონფორმისტები, მათ რევოლუციის მოხდენა შეუძლიათ და არა ისთებლიშმენტის* შექმნა. როცა იესო გეუბნებათ:

„თუ მეგზურნი თქვენნი გეტყვიან...“ ქურუმებზე მიგითითებთ, რომლებიც თქვენ გიმტკიცებენ, რომ ცათა სასუფეველი კიდევ სადღაც არის.

ინდოეთი ქურუმთა უძველესი ქვეყანაა. სხვაგან არსად არ არის ამდენი ქურუმი. ისინი აქ კასტად ჩამოყალიბდნენ. ბრაჰმინები ქურუმები არიან, ისინი მთლიანად გაემიჯნენ საზოგადოებას, ყველაფერი საიდუმლოდ აქციეს. მათი ენაც კი გაუგებარია სხვებისთვის. მათი მეთოდის მიხედვით ყველა ვერ იღებს განათლებას. ხალხი თუ განათლდა მათი ჩანაწერების წაკითხვა შესძლო, ძნელი იქნება ჭეშმარიტების დამალვა. მხოლოდ ქურუმებს აქვთ ცოდნის იდუმალ საკურთხეველთან მიახლოების უფლება. ათასწლეულების მანძილზე ამ ქვეყანას ბრაჰმინები მართავდნენ. თავიდან ისინი ამბობდნენ, რომ ღმერთი ჰიმალაიშია, რადგან ჰიმალაები მიუწვდომელი იყო. მაგრამ ხალხმა დალაშქრა ჰიმალაი და ღმერთი იქ ვერ აღმოაჩინა. მაშინ ბრაჰმინებმა თქვეს, რომ ის ღმერთის ის ადგილსამყოფელი კი არ იყო, რომელზედაც ლაპარაკობდნენ, არამედ ჰიმალაის ასლი, ზეცაში რომ არსებობს. ღმერთს ანარეკლში ვერ მოძებნით, — ამტკიცებენ ისინი, — ჭეშმარიტი ჰიმალაი სხვა სამყაროში არსებობსო.

შემდეგ მათმა ღმერთებმა პლანეტებზე გადაინაცვლეს — მთვარეზე, მზეზე... როცა ადამიანმა მთვარეზე შედგა ფეხი, ინდუსები და ჯაინები აღელდნენ და ძალიან შეშფოთდნენ.

ამის შესახებ დასავლეთში არ იციან. მათთვის უცნობია, რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ ინდოეთში მთვარეს.

ერთი ძალიან განათლებული ქურუმი შეუდგა იმის მტკიცებას, რომ ადამიანს მთვარეზე ფეხი არ დაუდგამს, რომ მთვარეზე გაფრენა ყალბი იყო. რატომ უარყოფდა იგი ამას? ადამიანმა მთვარეს თუ მაღწია და ღმერთი იქ ვერ აღმოაჩინა, მათ კიდევ უფრო შორს მოუწევდათ ღვთის სამყოფელის გადატანა.

ახლა სადაც არ უნდა დაასახელოთ ღვთის ადგილსამყოფელი, ადამიანი ყოველთვის მიაღწევს ამ ალაგს, წინათ კი ზეცა მიუწვდომელი იყო, ზღვა კი ჩაუღწეველი. არსებობს პრიმიტიული რელიგიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ღმერთი ზღვაში ცხოვრობს ან ცაში ბინადრობს. მაგრამ ყველა ქურუმისათვის ერთი რამ არის უცვლელი — აქ ღმერთი არ არის, აქ რომ იყოს, მაშინ ქურუმები რაღა საჭირო იქნებიან?

ქურუმი შუამავლის როლში გამოდის. ის ღვთის წარმომადგენელია. თუ ღმეროი აქ არსებობს, მაშინ უშუალოდ მას შეეიძლიათ მიმართოთ და ქურუმიც არ იქნება საჭირო, მაგრამ ღმეროი შორსაა, მისი ხმა ვერ მოგწვდებათ და ქურუმიც სწორედ აქ წარმოაჩენს თავის აუცილებლობას, რადგან ღმერთი მას თავის ნებას ამცნობს, ის კი თქვენ გიხსნით. სწორედ ამ ახსნაშია მისი ძალა. ქურუმმა გასაღები იცის, თქვენ კი უმეცარნი ხართ. ის წინ გაგიძღვებათ, თქვენი მასწავლებელი იქნება, თქვენ კი — მისი მიმდევრები.

დედამიწის ზურგზე ყველაზე ეშმაკური პროფესია — ქურუმობაა იმიტომ, რომ ქურუმი კაცის გულს იოლად ეუფლება. იმ ადამიანს, რომელიც ღმერთს, სიწმინდესა და ჭეშმარიტებას ეძებს, თავის მონად ხდის.

თუ ფულის მძებნელი კაცია თქვენი ზემოქმედების არეში მოქცეული, თქვენს შორის დიდი განსხვავება არ იქნება, ისიც ხომ ეძებს. ხოლო თუ ჭეშმარიტების მაძიებელს უწევთ ექსპლუატაციას, ეს უკვე ვერაგობა და ყველაზე დიდი ბოროტებაა! შეიძლება, ქურუმები ფიქრობდნენ, ამბობდნენ და

ამტკიცებდნენ კიდეც, რომ ღვთის წარმომადგენლები არიან, მაგრამ ეს ასე არ არის. ისინი მხოლოდ ეშმაკის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათ მიიღეს თავიანთი თანამდებობა.

იესო ამბობს: **„თუ მეგზურნი თქვენნი გეტყვიან გაიხედეთ, ღვთის სასუფეველი ზეცაშია, ნუ მოუსმენთ მათ, თორემ თქვენ სამუდამოდ დაკარგავთ სასუფეველს...“**

„სასუფეველი თქვენშია...“ ის კიდევ სადღაც კი არა, იქ არის, სადაც ამჟამად იმყოფებით **„...და იგი თქვენს გარეთაა...“** ის თქვენშია და თქვენს გარეთ — თქვენშია, როგორც ცენტრი და თქვენს გარეთ, როგორც პერიფერია.

რაზე ლაპარაკობს იესო? „შიგნით“ და „გარეთ“ — ეს მთელი სამყაროა. ღმერთი — მთელი სამყარო და არსებობაა. ისეთი, როგორიც არის. იგი ღვთიურია. ღმერთი თავის ქმნილებებში განხორციელდა.

ის არ ემსგავსება მხატვარს, რომელიც ხატვისას სურათი-დან განყენებულია. ის იმ მოცეკვავეს ჰგავს, ცეკვასთან რომ შერწყმულია. თქვენ ვერ გაყოფთ ცეკვასა და მოცეკვავეს, ვერც — მხატვარსა და ნახატს, ვერც პოეტსა და პოეზიას გააცალკავებთ ერთმანეთისაგან. აი, რატომ ეძახიან ინდუსები თავიანთ შივა ნატარაჯს დიად მოცეკვავეს. გაყოფა არ არსებობს, ის თვით ცეკვაა.

ცეკვის გაგება თუ შეგიძლიათ, მოცეკვავესაც გაუგებთ. ეს სამყარო თუ გიყვართ, ღმერთიც გიყვართ. ღმერთი დაფარულია, რადგან თქვენ არ ხართ გახსნილი, თორემ ის აღმოჩენილი საიდუმლოა. ის ყველგანაა, ყველაფერში, შიგნით და გარეთ. სასუფეველი თქვენშია და თქვენს გარეთ.

„...თუ შეიცნობთ საკუთარ თავს, შეცნობილნი იქნებით. მაშინ გაიგებთ, რომ თქვენ შვილები ხართ ზეციური მამისა მაგრამ თუ ვერ შეიცანით საკუთარი თავი, მაშინ ღატაკნი ხართ და თქვენ თვითონ ხართ სიღატაკე...“

მისმინეთ! ღვთის სასუფეველი თქვენშია, თუ ამას შეიცნობთ, მაშინ ყველა ტაძარი ზედმეტია, რადგან თვითონ თქვენ ხართ ტაძარი, თქვენ ხართ ეკლესია! მაშინ ვატიკანიც

უსარგებლოა, რომიც ტვირთია, არ არის აუცილებელი არც მექა*, არც მედინა*, არც ქაში* და არც გირნარი*. თქვენ ხართ ტაძარი, ღვთის ცოცხალი ტაძარი! ღმერთი თქვენშია!

მაშ რიღასთვის არის საჭირო ქურუმი, როგორც შუამავალი? ქურუმობა მთლიანად კარგავს აზრს. ის არსებობს თქვენში, ისეთებში, როგორიც ხართ და ყოველთვის არსებობდა თქვენში.

ვიღაცამ ჰკითხა რინძაის: „ბუდა რომ გავხდე, რა გავაკეთოთ ამისათვის?“

რინძაიმ მიუგო: **„თუ ეძებ, დაკარგავ. შენ უკვე ბუდა ხარ!“**

ეს აბსურდია. ბუდა ეძებს, მთელი ძალისხმევით ცდილობს, რომ ბუდა გახდეს. თქვენ ვერ მონახავთ ღმერთს, რადგანაც იგი სადღაც კი არა, თქვენშია. ქურუმები კი გეუბნებიან: „შეხედეთ! იქ, ღრუბლებს მიღმა, ზეცაშია ღმერთი! მასთან მიღწევა ძნელია, ამიტომ ქურუმი გჭირდებათ, რომელიც მოგეხმარებათ!“

იესო ძირს უთხრის ყველა ეკლესიის, ტაძრის, ქურუმის, გადამცემის საფუძველს. ის ამბობს: **„ღმერთი თქვენშია!“** მაგრამ, ამასთან ერთად ძალიან იშვიათ და შესანიშნავ რამეს წარმოსთქვამს: **„და თქვენს გარეთ არის!“**

არსებობს რელიგიის სამი ტიპი: ერთი ამტკიცებს, რომ ღმერთი თქვენს გარეთაა. ინდუსები და მუსულმანები ამას ქადაგებენ. მეორე ტიპის მიხედვით, ღმერთი თქვენშია. ჯაინები და ბუდისტები ამბობენ, რომ თქვენ ხართ ღმერთი, მაგრამ იმ აზრს უარყოფენ, რომ ღმერთი თქვენს გარეთაც არის. **იესო კი ამბობს, რომ ღმერთი თქვენშია და თქვენს გარეთ.** ეს უდიდესი სინთეზია და ის არ ირჩევს უკიდურესობებს.

ერთი უკიდურესობა იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთი თქვენს გარეთაა. აი, რატომ იქნებიან წინააღმდეგნი მუსულმანები, თუკი ეტყვით: „მე ღმერთი ვარ“, ისინი მოგკლავენ, ეს ხომ ერთ-ერთი უბოროტესი განცხადება და მკრეხელობა, წმინდათაწმინდის შეურაცყოფაა. მანსური იმიტომ მოკლეს, რომ

ექსტაზში შესულმა განაცხადა „არაფერ ხავ, არაფერ ბრანასში, მე ღმერთი ვარ“. ეს ღვთის გმობაა, მუსულმანები ვერ იტანენ ამას, რადგან ღმერთი ადამიანის გარეთაა. ყველაზე დიდი, რისი მიღწევაც შეიძლება, ეს მიახლოებაა, მაგრამ ღმერთი ვერასოდეს ვერ გახდებით.

როგორ შეიძლება ქმნილება შემქმნელი გახდეს? ქმნილება ქმნილებად რჩება, შემქმნელი — შემქმნელად. მათი წარმოდგენით, უპატივცემულობაა იმის განცხადება, რომ „მე ღმერთი ვარ“. ეს ღვთის გმობაა და ამდენად არ არის რელიგიური.

საპირისპირო პოლუსზე ჯაინიზმია. ისინი ამბობენ, რომ ღმერთი თქვენშია, თქვენი სული უზენაესი ღმერთია. სხვა ღმერთი არ არსებობს. ისინი მეორე უკიდურესობაში ვარდებიან და არცერთ ღმერთს არ ეთაყვანებიან. თაყვანისცემას მათთვის აზრი აქვს დაკარგული, ისინი ვერ ლოცულობენ. ვის მიმართ უნდა ილოცონ? და ლოცვა, ასეთი შესანიშნავი რამ, უაზრო გახდა.

შეხედეთ მუსულმანის ლოცვის დროს. ის მშვენიერია და ლოცვა ძალუძს, რადგან ღმერთი იქ არის. ვერაფერი ვერ შეედრება მუსულმანურ ლოცვას, რაც უმანკო სიანს და დამთმობი, მაგრამ ამავე დროს საშიში. თუკი განაცხადებთ, რომ ღმერთი ხართ, სწორედ ის ადამიანი მოგკლავთ, ვინც ლოცულობდა.

ჯაინებს არ შეუძლიათ ლოცვა და თაყვანისცემა. მათთვის ეს გაწხომილებები უბრალოდ გამქრალია. მათ მხოლოდ მედიტაცია შეუძლიათ. მედიტაცია დაშვებულია, რადგან ღმერთი თქვენს შიგნითაა. თვალები უნდა დახუჭოთ და მედიტაციას მიეცეთ.

იესო სინთეზის მწვერვალს აღწევს. ის ჭეშმარიტებათა შორის უდიადესს აცხადებს, რომ ღმერთი თქვენშია და თქვენს გარეთ. ლოცვაც დასაშვებია და მედიტაციაც. თქვენ ექსტაზში შესულნი შეიძლება მღეროდეთ იმის შესახებ, რაც თქვენს გარეთაა და დუმდეთ იმაზე, რაც თქვენშია. არ არის საჭირო ლოცვისა და მედიტაციის უარყოფა, მედიტაციის მსგავსი

არაფერი არ არსებობს მუსულმანურ ტრადიციაში. ის ვერც იარსებებს, მხოლოდ ლოცვა შეიძლება. მაგრამ არც ჯაინიზმში არსებობს ლოცვა, მხოლოდ მედიტაციაა მიღებული და ორივენი უკიდურესობას ელტვიან.

იესო გაწონასწორებული რჩება. ის ამბობს, რომ ღმერთი და ცათა სასუფეველი თქვენშია და თქვენს გარეთ.

„...თუ შეიცნობთ საკუთარ თავს, შეცნობილნი იქნებით...“

ეს სინთეზია. საკუთარი თავი თუ შეიცანით, ჯაინების აზრით, ყველაფერი იცით. მეტი წასასვლელი არსად არა გაქვთ. მუსულმანების აზრით, საკუთარ თავს ვერ უგებთ. ისინი ამბობენ, რომ ღმერთს შეგიძლიათ ჩასწვდეთ და მისი სილამაზით აღიესოთ. თვითშემეცნების არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს, რადგან თვითშემეცნება ღმერთად გაგხდით. მხოლოდ ღმერთმა იცის საკუთარი თავი. მისმა ქმნილებამ კი არა, ადამიანმა შეიძლება იცოდეს ღმერთი და მეტი არაფერი.

ადამიანი შეიძლება ღვთის სილამაზემ აღაფროთოვანოს და საკუთარ თავს უფლება მისცეს, რომ იცხოვროს და გარისკვალოს მისი ღვთიური ძალით, მაგრამ თვითშემეცნება შეუძლებელია.

ჯაინები კი ამბობენ, რომ მხოლოდ თვითშემეცნებაა შესაძლებელი. საკუთარი თავი თუ შეიცანით, ყველაფერი იცით, რისი გაგებაც შეიძლება.

მაგრამ იესო ამბობს: „...თუ შეიცნობთ საკუთარ თავს,
შეცნობილნი იქნებით...“

ეს ფრაზა ძალიან შენიღბულია. რას გულისხმობს იგი, როდესაც ამბობს: „...მაშინ თქვენც შეცნობილნი იქნებით?..“ საკუთარი თავი თუ შეიცანით, მთელი არსებობა შეგიცნობთ. მხოლოდ თქვენ კი არ დაინახავთ მთელ არსებობას, არამედ ისიც გიპასუხებთ, რადგან ღმერთი თქვენშიც არის და თქვენს გარეთაც.

როდესაც ვინმე საკუთარ თავს შეიცნობს, ის მხოლოდ თვითშემეცნება კი არ არის, არამედ მთელმა არსებობამ შეგიცნოთ. თქვენს თვითშემეცნებაში შეცნობილი ხართ.

ღმერთი ყოველი ქვავილიდან, ყოველი ფოთლიდან, ყოველი ქვიდან გიყურებთ და თქვენ არ განიცდით მარტოობას თვით-შემეცნებაში. მარტოსული მანამდე ხართ, სანამ საკუთარ თავს შეიცნობთ. თქვენი შემეცნება ერთადერთი აქტი როდია, ეს არ არის მხოლოდ შესრულებული პარტია, ეს სიმფონიაა. თქვენ თუ იცით, ყველაფერმა იცის თქვენს შესახებ. საკუთარ თავს როდესაც შეიცნობთ, ხეც სხვანაირი იქნება, ქვაც, ჩიტიც კი სხვაგვარად მოგეჩვენებათ.

რატომ? იმიტომ, რომ ერთი და იგივე არსებობს თქვენში და თქვენს გარეთ. საკუთარ თავს რომ შეიცნობთ, მთელი არსებობა შეგიცნობთ და იზეიმებს. ეს ასე უნდა იყოს,თქვენ ხომ არსებობის ნაწილი ხართ. მთელმა არსებამ უნდა იდღესასწაულოს თქვენი უკიდურესი ცოდნა, რადგან ნაწილი მცოდნე გახდა, ბუდად იქცა, ქრისტე შეიქმნა. ნაწილის მეშვეობით მთელმა არსებობამ მწვერვალს, კრეშენდოს მიაღწია. მთელი არსებობა ბედნიერი იქნება, სულ სხვაგვარად გაიფურჩქნება და იყვავილებს. თქვენ შეცნობილი იქნებით!

თქვენ არ აღმოჩნდებით მარტო საკუთარ თვითშემეცნებაში — ეს მთლიანობის დღესასწაული იქნება. ეს ყველაზე მშვენიერი რამ არის, რაზედაც იესო ლაპარაკობდა. არსებობა ზეიმობს თქვენს თვითშემეცნებას, მთლიანობა ნეტარებს, რადგან მისი ნაწილი აყვავდა და თავისი აღასრულა.

„...თუ შეიცნობთ საკუთარ თავს, მაშინ შეცნობილნი იქნებით...“

არსებობს დაუოკებელი სწრაფვა იყოთ შეცნობილნი და იგი უფრო დიდია, ვიდრე ლტოლვა თვითშემეცნებისაკენ. თქვენ გინდათ შეცნობილი რომ იყოთ, ღრმად გსურთ, რომ თითოეულმა შეგიცნოთ. ის შეიძლება არასწორად წარიმართოს, მაგრამ ამ სურვილს თავისი თესლი აქვს — ძალიან მნივნელოვანი საწყისი. ის გკარნახობთ, რომ ვერ აღივსებით, სანამ მთელი არსებობა არ შეგიცნობთ და თქვენთან ერთად ბედნიერი არ იქნება.

თქვენ სიყვარულს იძლევით და ამასთანავე, გსურთ საყვარელიც იყოთ. პასუხი აუცილებელია, სხვაგვარად მთელი ქვეყნიერება მდუმარე ღარხება, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მხოლოდ თქვენ გეცოდინებათ, რომ ადამიანი ქრისტე გახდა, ქვეყნიერება კი უყურადღებო და სრულიად დაუინტერესებელი დარჩა.

მთელმა არსებობამ უნდა გაიგოს, რადგან თქვენ უცხო არა ხართ ამ არსებობაში. ის ოჯახია და მასში ყველაფერი ურთიერთთანაა დაკავშირებული. ერთი რომ გასხივოსნებულია, მისი ნათელი ყველას გულს უვსებს, ყველგან მხიარულება და ზეიმი დაისადგურებს.

აი, რატომ ამბობს იესო: **„თუ შეიცნობთ საკუთარ თავს, შეცნობილნი იქნებით...“**

რაზე ლაპარაკობენ ქრისტიანები? სწორედ საპირისპიროს შესახებ. ისინი ამბობენ: „იესო ქრისტე — ღვთისაგან დაბადებული ერთადერთი ძეა“. მთელი მათი დოგმა ამ „ერთადერთის“ გარშემოა თავმოყრილი, ვინაიდან ყველა ღვთის ძე რომ იყოს, ქრისტეში რაღა იქნება განსაკუთრებული? რაშია მისი განუმეორებლობა? რა საჭიროა იესოს თაყვანისცემა? მხოლოდ იმიტომ, რომ განსაკუთრებული გახადონ იესო, მაგრამ ავიწყდებათ, რომ იესოს წინააღმდეგ მიდიან.

იესო ამბობს: **„თუ შეიცნობთ საკუთარ თავს, შეცნობილნი იქნებით, მაშინ გაიგებთ, რომ თქვენ შვილები ხართ ზეციური მამისა...“**

აქ ქრისტე ორი საკითხის შესახებ გვესაუბრება: პირველი — ყველაფერი, რაც ამ სამყაროში არსებობს, ძეა მთელის და ეს ასეც უნდა იყოს. თქვენ მასში და მისი მეშვეობით ხართ შობილი. მთელი არსებობა უფრო დედობრივია თქვენთვის, ვიდრე მამობრივი, მაგრამ ეს რთული გასაგებია, რადგან იუდეველები მამაკაცურ შოვინისტებად დარჩნენ.

არსებობს მამაკაცურად შოვინისტი ქვეყნები, ერებიც კი. გერმანელები თავის ქვეყანას „უათერლანდს“ (მამულს) უწოდებენ. გერმანელები საშიში ხალხია. რატომ

„უათერლანდი?“ და მისი „ეგო“? რატომაა ღმერთი მამა? რატომ არ შეიძლება დედა იყოს? დედა თითქოს უფრო შესაფერისია, რადგან მამა მისნაირ როლს ვერ ითამაშებს. მამა თავისუფალია. მისი სამუშაო შეიძლება უბრალო, შპრიციოთაც შესრულდეს.

მთელი შეიოქმედება დედის მეშვეობით სრულდება — იგი თავისი სხეულით ატარებს შვილს ცხრა თვის მანძილზე, მისი სისხლი და არსი გადაეცემა ბავშვს. თქვენ ისევე არსებობთ სამყაროში, როგორც დედის საშოში. არსებობს ხალხი, რომელიც ღვთის აღსანიშნავად „დედას“ იყენებენ. შეუძლებელია აბსოლუტურად ზუსტი იყო, რადგან ღმერთი დედაცაა და მამაც. იგი ორივე საწყისს აერთიანებს. ღმერთი ქალიც არის და კაციც, როგორც არდაშანარიშვარი.

ამას გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია. იესოსაოვის ძნელი იყო იმის თქმა, რომ ღმერთი დედაა. მას ვერავინ ვერ გაუგებდა. მისი აუდიტორია იუდეველებისგან შედგებოდა, რომელთაც მკაცრი და ძალიან შურისმძიებელი ღმერთი სწამდათ. დედა არასოდეს არ იძიებს შურს, ყველაფერს პატიებს და არასდროს არ ითხოვს მორჩილებას, მამა კი მორჩილებას ითხოვს. ამიტომაც მოდის ათი მცნება მამისაგან და არა დედისაგან.

სიტყვა „მცნება“ (ბრძანება) თავისთავად არასწორია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გენერალი გასცემდეს ამ ბრძანებებს დიდ სამხედრო ბანაკში. ამ შემთხვევაში თქვენი მორჩილება საკუთარ პასუხისმგებლობასა და რისკზე არ იქნება დაფუძნებული.

იესო შესაფერისი ენით სარგებლობს, მაგრამ მე ვიცი, რომ იგი უპირატესობას „დედას“ მიანიჭებდა. დედა უფრო დიდია, ვიდრე მამა. დედა ცენტრშია, მამა- პერიფერიაში,ხოლო ღმერთი ორივეა. დაიმახსოვრეთ, რომ ის მდედრიცაა და მამრიც.

„... მაშინ გაიგებთ, რომ თქვენ შვილები ხართ ზეციური მამისა...“

თითოეული ჩვენთაგანი ღვთის შვილია. ლოგიკოსების, სოციალისტებისა და ფსიქოლოგების აზრის მიუხედავად, ეს ანტროპომორფიზმი* არ არის. მეტწილად ღმერთზე, როგორც დედაზე ან მამაზე ფიქრისას და საკუთარი თავის, როგორც ღვთის ძის, გააზრებისას, თქვენ ადამიანური ურთიერთობები კოსმიურზე გადაგაქვს, ყველა კოსმიურ მოვლენას ოჯახურ საქმედ აქცევთ და ადამიანური ტერმინებით მსჯელობთ.

სოციოლოგები და ფსიქოლოგები, რომლებიც თვლიან რომ ეს ანტროპოცენტრიზმია, რომ ადამიანი საკუთარ თავს, როგორც ცენტრს, ისე აღიქვამს და საკუთარი ტერმინები და გრძნობები ყველაფერზე გადააქვს, ამტკიცებენ რომ ამგვარი ანტროპომორფიზმი არასწორია. ისინი იმას ვერ მიხვდნენ რომ ეს მხოლოდ გვეჩვენება ანტროპომორფიზმად და ესეც უნდა იყოს, რადგან რასაც არ უნდა ამბობდეს ადამიანი, ყველაუერი ადამიანური იქნება. ობიექტური ჭეშმარიტებაც იმ ადამიანის ელფერს ღებულობს, რომელიც მას ამტკიცებს, ობიექტური ვერ იარსებებს სუბიექტურის გარეშე.

თვით მეცნიერული ჭეშმარიტებაც არ არის ობიექტური, რადგან ადამიანი აღმოჩენას რომ შესძლებს, თავად აღმოჩნდება მასში ჩართული. ობიექტურ ჭეშმარიტებასთან მისვლა შეუძლებელია, ვინაიდან მცოდნე ყოველთვის საკუთარ ელფერს შემატებს ამ ჭეშმარიტებას. ყოველსაირი ცოდნა პიროვნულია და თუკი ვინმე ამტკიცებს რამეს, ეს უთუოდ ადამიანური მტკიცება იქნება და თავისთავად არ არის საჭირო ბოდიშის მოხდა, ეს თავისთავად მშვენიერია.

როდესაც იესო ამბობს, რომ ყველა ჩვენთაგანი ღვთის შვილია, აქ მხოლოდ ანალოგია და სიმბოლო უნდა ვეძებოთ. რას გულისხმობს ის ამ სიტყვებში? იგი ამბობს, რომ შემოქმედსა და ქმნილებას შორის მექანიკური კი არა, ორგანული ურთიერთ კავშირია. ეს არა ჰგავს მექანიკოსსა და მის მიერ შექმნილ მანქანას შორის დამოკიდებულებას. ის მამა არ არის და განდგომილი არ რჩება. ამაში მდგომარეობს უმთავრესი საკითხი: შეუძლებელია ღმერთი განდგომილი იყოს, იგი

მამათქვენივითაა, რომელიც თქვენი ეროგულია, ცხოვრობს თქვენით, მუშაობს, ზრუნავს თქვენზე, უყვარხართ, გეძებთ და ყველანაირი ხერხით ნეტარ სამყაროს გიქმნით.

იესო რომ ამბობს, ღმერთი მამაო, ამ ყველაფერს გულისხმობს — სამყარო ზრუნავს თქვენზე, გეხმარებათ. მხოლოდ თქვენ კი არ ეძებთ ღმერთს, ისიც გეძებთ. სამყარო არც მკვდარია, არც — განდგომილი, სამყარო მოსიყვარულე გულით გეპყრობათ. თუ ტირით, ისიც ტირის, თუ გეცინებათ ისიც იცინის, თუ გტკივათ, ყოფიერებასაც სტკივა, ბედნიერი თუ ხართ, ყოფიერებაც იზიარებს თქვენს ბედნიერებას. თქვენსა და ყოფიერებას შორის ღრმა კავშირია და განსაკუთრებული დამოკიდებულება, როგორც მამასა და შვილს შორის. მაშინაც კი, როცა მამა კვდება, იმედი აქვს, რომ შვილში განაგრძნობს არსებობას. ის შვილში რჩება. რომელიც მის ახალ ვარიანტად იქცევა. სწორედ ამით აიხსნება ამ სიტყვების მნიშვნელობა. შვილი მამის აღორძინებაა და ამიტომ იმეორებს იესო ისევ და ისევ, რომ ის და მამამისი ერთიანი არიან. იესო გულისხმობს, რომ შვილი მამას წარმოადგენს. ისინი გაერთიანებული არიან, მაგრამ არც ორნი არიან და არც ერთნი. აქ უბრალოდ ორგანული ურთიერთობაა. თქვენ არ უნდა განიცდიდეთ მარტოობას.

ამჟამად მთელი მსოფლიო მარტოობს. თითოეული უცხოა თავის გარშემო და განსაცდელში გრძნობს თავს. ჩემთან ხალხი მოდის და მეკითხება: „როგორ დავამყაროთ ურთიერთობა?“ რა მოხდა? ეს ძალიან ახალი კითხვაა. სულ რაღაც ორი ასწლეულის წინ არავინ ეძიებდა ამას. ახლა კი ადამიანთა ურთიერთობა პრობლემად იქცა, რაც ლოგიკური შედეგია. თუ მთლიანობას ვერ უკავშირდებით, ვერც ვინმესთან დაამყარებთ ურთიერთობას, თქვენი ნამდვილი ურთიერთობა შესაძლებელია მას შემდეგ, რაც დაამყარებთ ურთიერთობას სამყაროსთან, რადგან აქედან იწყება ყველაფერი, როდესაც ქრება რელიგია, შეწყდება ურთიერთობანიც.

არარელიგიური ადამიანი ყოველთვის განიცდის სიძნელეებს. ახლობლებს შორის დამოკიდებულებაში, ცოლი იქნება ეს, და, ძმა თუ შვილები. წარმოუდგენელია ახლობლებს შორის ურთიერთობა, რადგან მათ შორის საუძველი გაქრა. თქვენ განაცხადეთ: „ღმერთი აღარ არსებობს, ღმერთი მოკვდა“ და მთელი სამყარო უცხო გახდა თქვენთვის, თქვენ განდგომილები და სამყაროსაგან მოკვეთილები აღმოჩნდით, ახლა უფრო მძაფრად გრძნობთ თქვენს სიმარტოვეს. მეცნიერისა და იესოს მსგავსი რელიგიური ადამიანის სამყაროები სრულიად განსხვავებულია.

მეცნიერული სამყარო შემთხვევითია. თქვენსა და სამყაროს შორის კავშირი გაწყვეტილია ამ დროს, თქვენ შემთხვევით ხართ დაბადებულნი და რომც არ არსებობდეთ, სამყარო ვერ იგრძნობს უთქვენობას და რომ გაქრებით, არც მაშინ ინაღვლებს თქვენზე.

მეცნიერის სამყარო მკვდარია, თუ მკვდარ სამყაროში იარსებებთ, როგორ დაამყარებთ ურთიერთობებს? ასეთ შემთხვევაში უსულო საგანთა გარემოცვაში აღმოჩნდებით. თქვენს გარშემო ყველაფერი შემთხვევითი იქნება. მოგიწევთ ნაწილობრივ სრულყოფა, მაგრამ ორგანული კავშირი მაინც არ დამყარდება. მარტო იარსებებთ და ისევ მარტო ზიდავთ თქვენს ტვირთს. ეს ყველაფერი იმ ბავშვის მდგომარეობას ჰგავს, მამას ხელი რომ გაუშვა და გზა აებნა.

მამას ჩაჭიდებული ბავშვი იმპერატორივით სეირნობდა და არაფრის არ ეშინოდა. თანაც მამა ყველაფერზე პასუხობდა. ბავშვს არაფერი არ ჰქონდა საზრუნავი და ცხოვრება მისთვის ნეტარება იყო. მაგრამ როცა ბავშვს გზა აებნა, ყველაფერი ცივი, უცხო და მტრული მოეჩვენა. გაუჩნდა სიკვდილის შიში, არადა, ცოტა ხნის წინ ბავშვსა და მთელ სამყაროს შორის უშუალო კავშირი იყო, რადგან მის გვერდით მამა იყო. ახლა კი ბავშვი ტირის და შველას ითხოვს, შეშფოთებულია და განსაცდელშია. სწორედ ასეთია თანამედროვე ადამიანის მდგომარეობაც — თქვენ სამუდამოდ დაკარგეთ უნარი — აღიქვათ

სამყარო, როგორც დედა ან მამა. სულაც არ არის გასაკვირი, რომ გარშემო ყველა ნევროსტენიკი გახდა.

ის ბავშვიც ნევროსტენიკი გახდება, არანორმალური გაიზრდება და გულში ჭრილობა ექნება, რომელიც შემდგომში მის ურთიერთობებეს დაანგრევს. ის ვერსად ვერ იგრძნობს თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში.

შეხედეთ თქვენ ხელს, არ შეგიძლიათ მასში კოსმიური ხელი შეიგრძნოთ? მაშინ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებით. აი, რას ამბობს იესო: ღმერთი მამაა, მთელი სამყარო ზრუნავს თქვენზე, სხვაგვარად რატომ მოგცემდნენ ცხოვრების საშუალებას? მთელი სამყარო ყველა შესაძლებელი ხერხით გეხმარებათ, სწორედ მან მიგიყვანათ ცნობიერებამდე, ახლა კი ცდილობს, საბოლოო სიმაღლეზე აგიყვანოთ. გასხივოსნების უკანასკნელ მწვერვალს მიგაღწევინოთ, რომც დაიკარგოთ, ის გამოგედევნებათ. იგრძნობთ თქვენს ხელში ხელს და უეცრად მთელი პრესპექტივა შეიცვლება.

იესო ამბობს, რომ ღვთის ძე თითოეული ადამიანია და არა მხოლოდ თვითონ, მაგრამ რომ თითოეული ღვთის ძე იყოს, მაშინ ქრისტიანობა ვერ იარსებებს — იესოში ალარაფერი იქნება ორიგინალური. ეს ყალბი პოზიციაა. ღვთის ძე თითოეული ადამიანია, მაგრამ იესო უნიკალური რჩება, რადგან ის მიხვდა ამას, თქვენ კი ძიებაში ხართ.

უნიკალურობა გაცნობიერების არსიდან მომდინარეობს. ინდუსები ყოველთვის ამბობდნენ, რომ განსხვავება გასხივოსნებულსა და უმეცარს შორის არსში კი არა, ცოდნაში მდგომარეობს. ეს იმას ჰგავს, თქვენს გვერდით ვიღაცას რომ ეძინოს, თქვენ კი ფხიზლობდეთ. არსი ერთი იქნება, მაგრამ ვისაც სძინავს, ის სიზმარშია, თქვენ კი — არა.

შეანჯღრიეთ და გამოაღვიძეთ იგი, რომ თქვენსავით იფხიზლოს და ზმანებები გაუქრეს. იესომ გამოიღვიძა, თქვენ კი ისევ გძინავთ, მხოლოდ ამაშია განსხვავება. ამ მხრივაა იესო უნიკალური და არა თავისი არსით. ის თვითონ ამბობს: **„თქვენ ძენი ხართ ცოცხალი მამისა...“** და მეორე მტკი-

ცება ის არის, რომ მამა „ცოცხალია“, მაშა, ხომ ჩვეულებრივ, სიკვდილისაკენ მოძრაობს. მისი ფიზიკური ნაწილი კვდება, ბიოლოგიური ნაწილი ავადდება, მაგრამ კოსმოსური ერთიანობა ყოველთვის იცოცხლებს. ის მარადიულია.

რამდენიმე ათწლეულის წინ ნიცშემ განაცხადა, რომ ღმერთი მოკვდა. ეს შეუძლებელია, სამყარო არ მოკვდება. ხოლო ღმერთი პიროვნება არ არის. ღმერთს არა აქვს ფორმა და სხეული, ფორმა და სხეული კვდება. ღმერთი ყველაფერია. ღმერთში ვიბადებით და ვკვდებით, ჩვენ ვღებულობთ ფორმას და ფორმა კვდება, მაგრამ ერთიანობა მარადიულია.

ერთიანობა არასოდეს კვდება. ერთიანი თვით ცხოვრებაა, ასე რომ, მკვდარ სამყაროში კი არა, ცოცხალ ღმერთში ცხოვრობთ, რომელიც თქვენი დედაცაა და მამაც. ურთიერთობები ღრმა და ორგანულია. თქვენდამი არ არიან გულგრილნი, ვიღაც ისე გადევნებთ თვალყურს.

ეს გრძნობა თქვენ ფესვებს გადგმევინებთ და თავს უცხოდ აღარ გრძნობთ. აღარ იქნებით გარეშე პირი, თქვენ შინაური ხართ და ეს თქვენი სახლია.

„...მაგრამ თუ ვერ შეიცანით თავი თქვენი,
მაშინ თქვენ ღატაკი ხართ...“

ერთადერთი სიღარიბე საკუთარი თავის არცოდნაა, სხვა სიღარიბე არ არსებობს. შესაძლებელია, არ იყოთ მდიდარი, არ გქონდეთ სასახლე, არ ბრძანებლობდეთ იმპერიას, მაგრამ ეს ყველაფერი სულაც არ არის ჭეშმარიტი სიმდიდრე. ერთადერთი ჭეშმარიტი მონაპოვარი — თვითშეეცნებაა, რადგან შეუძლებელია მისი დაკარგვა.

იესო ამბობს: **„...მაგრამ თუ ვერ შეიცანით თავი თქვენი, მაშინ ღატაკნი ხართ და თქვენ თვითონ ხართ სიღატაკე...“**

თქვენ საკუთარი თავის არცოდნით ხართ ღარიბი. ცოცხალი ღვთის შვილებს, უდიდესი შესაძლებლობა მოგეცათ, მაგრამ არ ხართ ამაში დარწმუნებულნი და მათხოვრობას განაგრძნობთ.

ყველა სურვილი მათხოვრობაა. ამბობენ, რომ სურვილები თუ ცხენებად იქცა, მათხოვრები — მოჯირითეებად იქცევიან. მაგრამ ყველა სურვილი თუ ცხენია და მათხოვრები — მოჯირითეები, მაშინ ყველა თქვენთაგანი მოჯირითეა. შეხედეთ თქვენს ცხენებს! ისინი ხომ თქვენი სურვილებია, რომლებიც თქვენშია, მაგრამ შიგნით არასოდეს არ იყურებით.

ერთხელაც, როდესაც ჩაიხედავთ საკუთარ არსში, სიმდიდრეს აღმოაჩენთ. ეს იქნება მარადიული, ულევი და უხვი სიმდიდრე და ერთხელაც, როცა შიგნით ჩაიხედავთ, მთელი ყოფიერება შეიტყობს იმპერატორობას, მთელი ყოფიერება შეიტყობს, ვინცა ხართ — თქვენ ერთიანის შვილები ხართ. მაშინ ეს მათხოვრობაც შეწყდება და თქვენ პირველად გამდიდრდებით.

ერთხელ ერთი დიადი იმპერატორი თავისი ვაჟის საქციელმა აღაშფოთა. მისმა მხოლოდშობილმა ვაჟმა ისე გაანარისხა იგი, რომ იმპერიიდან გააძევა. იმპერატორის ვაჟმა კი არც არაფერი იცოდა და არც ხელეწიფებოდა რამე, რადგან იგი არც შრომას მიჩვეოდა და არც სხვა ცხოვრებისეულ რამეს.

იმპერატორის ვაჟს მუსიკა უყვარდა და ხშირად სიტარაზე უკრავდა. ეს ერთადერთი რამ იყო, რისი გაკეთებაც შეეძლო.

გაძევებულმა უფლისწულმა მათხოვრობა დაიწყო. სიტარაზე უკრავდა და მოწყალებას ითხოვდა. როცა იმპერატორი იმპერატორობას დაკარგავს, მათხოვრობის გარდა არაფერი ხელეწიფება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სულის სიღრმეში ყველა იმპერატორი მათხოვარია. ამას მხოლოდ მათი იმპერიების გამო ვერ ხედავთ. იმპერიებს თუ ართმევენ მათ, ისინი ღატაკდებიან და მათხოვრობის გარდა არაფერი ძალუძთ.

გაძევებული უფლისწული ათი წლის განმავლობაში მათხოვრობდა და სრულიად დაავიწყდა, რომ დიადი იმპერატორის შვილი იყო. იგი მთლიანად გაღატაკდა და მეხსიერებაც კი გაუქრა. მეხსიერება ხომ ცუდია, რადგან კოშმარსა ჰგავს — თქვენ რაღაცის დავიწყებას ცდილობთ, მეხსიერების

მეშვეობით კი გონებაში შეიძლება უამრავი უბედურება დაგიბრუნდეთ. ავიღოთ ეს შედარება: „მე — იმპერატორის შვილი, ვმათხოვრობ!“ მაშინ მათხოვრობა ძალიან მტკივნეული ხდება, ამიტომ უფლისწულმა მოიშორა ეს აზრი და ყველაფერი დაივიწყა. შემდეგ მის სანახავად ვეზირი გაემგზავრა. შვილს რომ სრულებით დავიწყებოდა, ვისი მემკვიდრე იყო და მთლიანად გაიგივებულიყო მათხოვართან, მასში მაინც დარჩებოდა ისეთი რამ, რაც მისი მათხოვრობის ნაწილს კი არა, არსების ნაწილს შეადგენდა. უფლისწულის სიარულში, წყალობის გაღების თხოვნაში მაინც იგრძნობოდა იმპერატორი. იგი ისე მათხოვრობდა, თითქოს მისი ვალი ჰქონდათ, ისე იყურებოდა, თითქოს მის მათხოვრობაში გარშემო ყველას მიუძღვოდა ბრალი. მისი სიარული მეფური იყო, ტანსაცმელი დაულპა, მაგრამ მაინც პრინცის ტანსაცმელად რჩებოდა.

ის გაუპარსავი და ჭუჭყიანი დაიარებოდა, მაგრამ ჭუჭყის ქვეშ მშვენიერი სახე იმალებოდა და მისი თვალები ისევ მეფის თვალებად რჩებოდა. ცნობიერებაში მან დაივიწყა თავისი უფლისწულობა, მაგრამ არაცნობიერად ისევ იმპერატორის შვილი იყო და დიდი მამის მემკვიდრე.

ვეზირმა იცნო უფლისწული, როცა ქუჩაში გადააწყდა. ხის ქვეშ რამდენიმე კაცი ბანქოს თამაშობდა. შუადღე იდგა და ძალიან ცხელოდა. უფლისწული ფეხშიშველი მათხოვრობდა, მძიმედ სუნთქავდა და გამვლელ — გამომვლელს რამდენიმე პაისს სთხოვდა, ორი დღის მშიერი ვარო. ვეზირმა მათხოვარში უფლისწული შეიცნო და ეტლი გააჩერა. გადმოვიდა და მის ფეხებს ეამბორა. „რაშია საქმე?“ — ჰკითხა მათხოვარმა.

ვეზირმა უთხრა: „იმპერატორი თავისთან გიხმობს, მან ყველაფერი გაპატია“. მისი მათხოვრობა თვალისდახამხამებაში გაქრა. მან ძველებურად ყველაფერი შეიცნო. იგი ჭუჭყიანი იმავე ტანსაცმელში დარჩა, მაგრამ ახლა ბრძანებებს იძლეოდა. ვეზირს უთხრა: „წადი ბაზარში, მიყიდე სამოსი და კარგი აბანო მომიმზადე“. იგი ეტლში ავიდა და თქვა,

ქალაქის საუკეთესო სასტუმროში წაეყვანათ, ვეზირი კი ფეხით გაჰყვა ეტლს.

ეს სუფიური ამბავია. თქვენც ასეთივე მდგომარეობაში ხართ. როცა თქვენი მამა გიცნობთ, თქვენი მათხოვრობაც დამთავრდება. არაფერი მოგივათ, რადგან ყოველთვის ერთი და იგივე იყავით, უბრალოდ, გაიგივება იყო არასწორი და გონების ზედაპირული ფენებში თქვენ ვიღაც სხვა გახდით, საკუთარი არსების სიღრმეში კი ღვთის შვილად რჩებით.

მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუკი საკუთარი თავის შეცნობას შესძლებთ. მაშინ მთელი სამყარო შეგიცნობთ, ხოლო იესო ამბობს: **„...მაგრამ თუ საკუთარი თავი არ შეიცანით, მაშინ ღატაკი ხართ და თქვენ თვითონ ხართ სიღატაკე...“**

1974 წლის 2 სექტემბერი
პუნა, ინდოეთი

საუბარი მეთოთხმეტე

მეთოთხმეტე შეგონება

იეხომ თქვა: — „ნეტარია ადამიანი, რომელიც
იტანჯა, იხ იპოვიხ ცხოვრებახ".
იეხომ თქვა: — „შეხედეთ ცოცხალხ, ხანამ ცოცხალი
ხართ, რომ არ მოკვდეთ და ხამებნელი არ
გაგიხდეთ იხ და დანახვიხ უნარი არ გაგიქრეთ."
იეხომ და მისმა მოწაფეებმა ოცდეიხაკენ
მომაგალი ხამარიტიანელი შენიშნეხ კრაეთ
ხელში.
იეხომ ჰკითხა მოწაფეებხ: — „რიხთვიხ
მიჰგავხ კრაეი?"
მოწაფეებმა მიუგეხ: — „რათა დაგლახ და შეგჰმოხ".
იეხომ უთხრა მათ: — „ხანამ კრაეი ცოცხალია
კერ შეგჰმხ, მაგრამ თუ დაგლაგხ,
თაგადაც კგამი გახდება".
მოწაფეებმა თქვეხ: — „თუ არ დაგლა, როგორ
შეგჰმხ?"
იეხომ მიუგო მათ: — „თქვენ თვითონ ქმიეთ
ადგილი ხიმშვიდეში, რომ არ გახდეთ კგამები
და არ იქნეთ შეგჰრულნი".

(თომა, 61)

იეხომ თქვა: — „ორნი იწვებიან ხწოლში,
ერთი მოკვდება, მეორე იცოცხლებხ".

(თომა, 65)

უძველესი დროიდან მოყოლებული, ადამიანი დაეძებს პასუხს შეკითხვაზე: „რატომ არის ცხოვრებაში ამდენი ტანჯვა? „ღმერთი თუ მამაა, რატომ წვალობს ადამიანი ამდენს? ღმერთი თუ თანაგრძნობა და სიყვარულია, რატომ იტანჯება ადამიანი? ჯერაც არავის უპასუხია დამაკმაყოფილებლად ამ შეკითხვაზე. მაგრამ იესოსი თუ გესმით, პასუხსაც გაიგებთ. ადამიანი იმიტომ იტანჯება, რომ მომწიფებისათვის სხვა გზა არ არსებობს, მხოლოდ ტანჯვის გაელით შეიძლება გახდეს ადამიანი შეგნებული. შეგნება კი გასაღებია. დააკვირდით საკუთარ ცხოვრებას — სიმშვიდეში, კომფორტში თუ ხართ და ბედნიერებას განიცდით, თქვენი შეგნება დაკარგულია. ამ შემთხვევაში, როგორც მოჯადოებული სიზმარში, ისე ცხოვრობთ, მოძრაობთ და აკეთებთ რაღაცას, მაგრამ როგორც მთვარეული.

აი, რატომ ხდება ასე — როცა არ იტანჯებით, თქვენი ცხოვრებიდან რელიგიაც ქრება. თქვენ არასოდეს არ წახვალთ ტაძარში, თქვენთვის ეს აზრს მოკლებული იქნება. შემდეგ ლოცვასაც შეწყვეტთ. რატომ?

როცა იტანჯებით, ტაძარში მიდიხართ. თვალებს ღმერთს მიაპყრობთ, გულს ლოცვით აღივსებთ. ტანჯვაში არის ისეთი რამ, რაც უფრო შეგნებულს გაგხდით, გაგარკვევთ, ვინა ხართ და საიდან მოდიხართ. ტანჯვისას თქვენი ცნობიერება ინტენსიურია.

არაფერი არ შეიძლება ამქვეყნად უაზრო იყოს. ეს კოსმოსია და არა ქაოსი. თქვენ შეიძლება უძლური იყოთ ამის გასაგებად, რადგან მხოლოდ ფრაგმენტები იცით, მოლიანი კი უცნობია თქვენთვის. თქვენი ცხოვრებისეული გამოცდილება რომანიდან ამოხეულ ფურცელს ჰგავს — რომ წაიკითხოთ, აზრს ვერ გამოიტანთ, რადგან ის მხოლოდ მცირე ფრაგმენტია, მთელი ისტორია კი არ იცით.

როდესაც მთლიანად ჩასწვდებით რომანის შინაარს, ამოხეული ფურცელიც გასაგები გახდება თქვენთვის. აზრი რაღაშია? ეს, მთლიანობასთან მიმართებით, ფრაგმენტის და-

მოკიდებულებაა მთელთან. ქუსაში მოლაპე უგუნური უაზროა, რატომ? იმიტომ, რომ მის ლაპობას ვერაფერს დაუკავშირებთ, მისი ლაპარაკი ფრაგმენტია და არ არის დიდი მთლიანობის ნაწილი. იგივე სიტყვები სხვა ადამიანმა შეიძლება გამოიყენოს, ზუსტად იგივე სიტყვები, მაგრამ ვინმეს მიმართ თქვას და ამიტომ ეს სიტყვები აზრიანი აღმოჩნდება. სიტყვებიც და წინადადებებიც ხომ უცვლელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთის შესახებ გაიძახით, რომ იგი უგუნურია, მეორეს კი აზრიანს უწოდებთ. რატომ? იმიტომ, რომ მსმენელი არსებობს. ფრაგმენტი ფრაგმენტული კი არ არის, დიდი მთლიანობის ნაწილია და მის აზრს ატარებს.

მოაჯერით პიკასოს სურათს ნაწილი. მას არ ექნება აზრი, რადგან მხოლოდ ფრაგმენტია. მკვდარი ფრაგმენტი შეაერთეთ სურათან და უცებ აზრიც გაჩნდება, რადგან მთლიანის ნაწილი შეიქმნა. როდესაც ერთიანის ნაწილი ხართ, მაშინ აზრით ხართ სავსე. თანამედროვე ადამიანი გამუდმებით თუ გრძნობს, რომ მისი ცხოვრება უაზროა, მხოლოდ იმიტომ, რომ ან უარყოფს, ან ივიწყებს ღმერთს.

ღვთის გარეშე ადამიანი არასოდეს არ იქნება აზრიანი, რადგან ღმერთი ერთიანს, მთელს ნიშნავს, ადამიანი კი — ფრაგმენტს. თქვენ მხოლოდ ლექსის სტრიქონი ხართ, ცალკე — უბრალოდ სისულელე იქნებით. აზრი მთელ პოემასთან ერთად იბადება, რადგან იგი დანარჩენთან ურთიერთკავშირში მდგომარეობს. დაიმახსოვრეთ ეს!

მე ბერტრან რასელის ერთი სიზმარი გამახსენდა. რასელი ათეისტი იყო და არასოდეს არ უწამია ღმერთი, არასოდეს გაუგონია ის აზრი, რომელიც მთელს შეიცავდა. ერთხელ დაესიზმრა, რომ ღამით კარზე კაკუნი შემოესმა. სიზმარში ადგა და კარი გააღო. მან ზღურბლზე მდგარი მოხუცი ღმერთი დაინახა.

რასელი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, მას ხომ ღმერთის არ სწამდა, ამის შესახებ სიზმარშიც ახსოვდა, მაგრამ მოხუცი ყველასაგან დავიწყებული და მიტოვებული

ჩარდა, დახეული სამოსი ეცვა, სახე და ტანი ჭუჭყით მოსვროდა. ის ისე არათანამედროვედ გამოიყურებოდა, როგორც სიძველისაგან ნამუქებული სურათი, რომელზეც ძნელად თუ გაარჩევთ რამეს.

რასელს მოხუცის სიბრალული აღეძრა. უბრალოდ მიესალმა მას და შემოიპატიჟა ოთახში, მეგობრულად დაარტყა მხარზე ხელი და უთხრა: „ნუ ინაღვლებთ!“ მერე კი გამოიღვიძა და ყველაფერი გაქრა.

ასეთია თანამედროვე ადამიანისა და მისი გონების მდგომარეობა. ღმერთი არათანამედროვეა. თქვენ ან მისი წინააღმდეგი ხართ, ან უფრო მეტი, გებრალებათ. სიბრალულის გამო შეიძლება მისი დამშვიდება სცადოთ, მაგრამ თქვენთვის მას სხვა არაფითარი მნიშვნელობა არა აქვს. უბრალოდ, იგი ძველი სურათი იქნება და უსარგებლო ძველმანი. ღმერთი ან მკვდარია, ან სასიკვდილო სარეცელსაა მიჯაჭვული.

მაგრამ მთელი თუ არ არსებობს, ფრაგმენტს როგორ შეიძლება აზრი ჰქონდეს?

მთელი თუ მოძველდა, ნაწილი როგორ იქნება ახალი? ხე თუ გახმა, მისი ფოთლებიც ხმება.

ღმერთი თუ მკვდარია, ადამიანს არ შეუძლია სიცოცხლე და უკურნებელი სენითაა შეპყრობილი, რადგან მთელის გარეშე აზრს არის მოკლებული. ბედნიერი რომ გგონიათ თავი, ეს ბედნიერების გაელვებაა და არა ნამდვილი ბედნიერება. როცა მშვიდად ხართ და არაფერი არ გაწუხებთ, მაშინ ფიქრობთ, რომ მთლიანი ხართ. ეს შეცდომაა. როდესაც იტანჯებით, უბრალოდ ხვდებით, რომ ის არა ხართ, როგორიც შეგეძლოთ ყოფილიყავით. რაღაც არასწორია, ფეხსაცმელი გიჭერთ, რაღაც ცუდად არის და გარკვეული ცვლილებაა საჭირო. ასეთი ტანჯვის მეოხებით გრძნობთ, რომ საჭიროა, ააღორძინოთ საკუთარი თავი. ისეთები, როგორიც ახლა ხართ, იტანჯებით; მაშასადამე, რაღაც უნდა გაკეთდეს.

იესო ამბობს: **„ნეტარია ადამიანი, რომელიც იტანჯა, ის იპოვის ცხოვრებას...“**

ეს ნაოქვაში, ერთი შეხედვით, აბსურდი და პარადოქსული ჩანს. ჩვენ ყოველთვის იმას ვეძახდით ნეტარს, ვისაც წაება არ განუცდია. მაგრამ ერთი კაცი მაინც თუ გინახავთ, რომელსაც ტანჯვა არ განუცდია? თუ გინახავთ, უსათუოდ აღმოაჩენდით, რომ ის სრულიად მოუმზადებელი და ბავშვურია, ყოველგვარ სიმდიდრეს მოკლებული, ზეღაპირული და შეუგნებელია, ერთი სიტყვით, იგი იდიოტია. თქვენ ვერასოდეს ვერ იტყვით, რომ ეს კაცი ნეტარია.

მხოლოდ ის, ვისაც არასოდეს არ უცდია ცხოვრება, ვინც გაურბოდა მას, შესძლებს ტანჯვის თავიდან აცილებას. აი, რატომ იბადებიან ძალიან მდიდარ ოჯახებში მხოლოდ იდიოტები, — იმიტომ, რომ საკმარისზე მეტად არიან დაცულნი. ხოლო საკმარისზე მეტად თუ იცავთ ვინმეს, ეს სიკვდილისაგან კი არა, ცხოვრებისაგან დაცვა იქნება. ვინმეს სიკვდილისაგან დაცვა თუ გინდათ, ცხოვრებისაგან უნდა დაიცვათ, რამეთუ ცხოვრება სიკვდილისაკენ მიდის.

ასე რომ, ნუ იცხოვრებთ, სიკვდილისა ნუ გეშინიათ. ეს უბრალო ლოგიკაა — ნუ იქნებით ცოცხალნი და სიკვდილისაც ნუ შეგეშინდებათ. განაგდეთ ყველა განზრახვილება, რომელშიც ცხოვრება არსებობს. მაშინ, უბრალოდ, მცენარესავით იარსებებთ.

იესოს არ შეუძლია მცენარესავით არსებობას ნეტარება უწოდოს, პირიქით, ეს ყველაზე დიდი უბედურებაა, რამეთუ ასეთ მდგომარეობაში ადამიანი ვერასოდეს მიაღწევს შეგნებასა და სრულყოფილებას, ვერ ავა ცნობიერების უმაღლეს საფეხურებზე, რომლებიც მხოლოდ მაშინ შემოდის ადამიანის არსებობაში, როცა მათ მიაღწევს.

ტანჯვა გამოწვეულია. როცა იტანჯებით, გამოწვეულა გაქვთ მიღებული და მაშინ პრობლემაც არსებობს. ხოლო პრობლემას რომ შეეჯახებით, მხოლოდ მაშინ იზრდებით. მეტი საშიშროებისას ზრდაც მეტია. გარშემო ყველაფერი თუ უსაფრთხოა, ჩათვალეთ, რომ უკვე საფლავში წევხართ, რომ ცოცხალი აღარა ხართ. ცხოვრება საფრთხეში არსებობს, იგი ყოველთვის

დაკარგვის შესაძლებლობაშია.მაგრამ ის, ვინც დაკარგულია, შესძლებს უკან დაბრუნებას; ვინც წააგო, შეიძლება მიაღწიოს თავისას.

ნაპოლეონი დამარცხდა და მშვენიერი სენტენცია ჩაიწერა ღღიურში: „მხოლოდ ბრძოლა წავაგე, მხოლოდ შეტაკებაში დავმარცხდი და არა ომში“. ომის მოგება თუ გინდათ, ბევრი ბრძოლა უნდა დათმოთ. ბრძოლის წაგების თუ გეშინიათ, არასოდეს არ წამოიწყებთ ომს.

რამეს თუ წააგებთ, ეს საბოლოო დამარცხება როდი იქნება, მისი გადალახვა შესაძლებელია. შემდგომში აღარ დაუშვებთ იგივე შეცდომას, აღარ მოიქცევით ისევე წინდაუხედავად, შემდგომში ამას აღარ გაიმეორებთ და აღარც დაიტანჯებით.

ბრძენი სწორედ იმდენს წვალობს, რამდენსაც არაბრძენი, მაგრამ ყოველთვის სხვადასხვაგვარად. ბრძენი იმდენივე შეცდომას უშვებს, რამდენსაც — სულელი, ზოგჯერ შეიძლება მასზე მეტი შეცდომაც დაუშვას, მაგრამ ის ერთსა და იმავე შეცდომას ორჯერ არ იმეორებს. ეს ერთადერთი განსხვავებაა — რაოდენობა შეიძლება დიდი იყოს, მაგრამ ხარისხია სხვადასხვა. იდიოტს შეიძლება არაფერი შეეშალოს, რადგან არაფერს აკეთებს, თქვენ მხოლოდ მაშინ ცდებით, როცა რამეს აკეთებთ.

თქვენ დაიკარგებით, თუ ეძებთ და იკვლევთ. გზაზე თუ არ მიდიხართ და უბრალოდ შინ ზიხართ, როგორღა დაიკარგებით? არაფერს თუ არ აკეთებთ, შეცდომას როგორღა დაუშვებთ? ადგილიდან თუ არ დაიძვრებით, დალპებით, მცენარესავით დაჭკნებით და მოკვდებით.

შეცდომების ნურასდროს ნუ შეეშინდებათ. დაიმახსოვრეთ მხოლოდ, რომ არ არის აუცილებელი ერთი და იმავე შეცდომის ორჯერ გამეორება. მაშინ იმეორებენ, თუ კი პირველი შეცდომის შემდეგ ჭკუა ვერ ისწავლეს. ხალხი მთელი ცხოვრების მანძილზე ერთსა და იმავე შეცდომას უშვებს, ისინი წრიულად მოძრაობენ.

აი, რატომ დაარქვეს ინდუისტებმა ამ ქვეყანას „სასარა“, რაც „ბორბალს“ ნიშნავს. თქვენ ხომ შეცდომებს თავიდან იმეორებთ. მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ შეცდომები იგივე რჩება. რაზე მიუთითებს ეს? ეს იმის მანიშნებელია, რომ არ ფხიზლობთ, სხვაგვარად არ გაიმეორებდით შეცდომას. არავინ არ სწავლობს შეცდომების გარეშე. როდესაც ცდებით, უნდა ეწამოთ. ტანჯვის გარეშე სწავლა შეუძლებელია. ინდუსები ამბობენ, რომ კიდევ და კიდევ უნდა დაიბადოთ, რადგან ჯერ არ გაზრდილხართ. მხოლოდ გაზრდილი პიროვნება გადის ამ სამყაროს გარეთ. ის, ვინც არ გაიზარდა, ისევ ორმოში უნდა ჩავარდეს. ასეთმა ადამიანებმა უნდა ისწავლონ, სწავლის პროცესი კი მეტად რთულია, რომლის დროს არავითარი შეღავათი არ არსებობს. ეს მძიმე გზა — ტანჯვაა.

არ დაიცვათ თავი ტანჯვისაგან, პირიქით, რამდენადაც შესაძლებელია, იმდენად იტანჯეთ! გამოიწვიეთ, შეეჯახეთ მას და იტანჯეთ! ამ გზით თქვენ გაიზრდებით. შეეცადეთ, აჯობოთ ტკივილს, გახვიდეთ მის საზღვრებს გარეთ, სუ გეშინიათ! შიშის დროს თქვენ კვდებით. აი, რატომ ამბობს იესო: „ნეტარია ადამიანი, რომელიც იტანჯა,

ის იპოვის ცხოვრებას...“

ვინც იტანჯება, უფრო ფრთხილი ხდება, სიფრთხილე კი სიცოცხლის ტაძრის გასაღებია. რაც უფრო ფრთხილი ხართ, უფრო მეტად აცნობიერებთ ყველაფერს.

რით განსხვავდებით თქვენ და ხე? ხე არაცნობიერია. ქვა და კლდე ხეზე უფრო დაბლა საფეხურზეა. თქვენ თუ გაუცნობიერებელი ხართ და იტანჯებით, რით განსხვავდებით იმ უსულო საგნებისაგან?

ყველაზე მნიშვნელოვანი და მთავარი, რაც ადამიანად გხდით, ჯერ არ მომხდარა. ადამიანობას ცნობიერება განიჭებთ. როდესაც რამეს აცნობიერებთ, თქვენ აღარ იტანჯებით, ტანჯვა ცნობიერებასთან ერთად მიდის. მაგრამ უფრო და უფრო ცნობიერი თუ ხდებით, ტანჯვა ქრება. საკუთარ გამოც-

დილებას თქვენი გონება აცნობიერებს. თქვენს სხეულს მაშინ აღიქვამთ, როდესაც რაღაც გტკივათ.

ტანჯვა სასკრიტულად „ვედანად“ გამოითქმის. ამ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს — „ცოდნა“ და „ტანჯვა“. „ვედანასა“ და „ვედას“ ერთი ძირი აქვთ. „ვედა„ცოდნის წყაროს ნიშნავს. ისინი, ვინც „ვედანა“ წარმოთქვეს პირველად, მიხვდნენ, რომ ტანჯვა ცოდნაა და ამიტომ გამოიყენეს ეს სიტყვა ორი მნიშვნელობით.

თუ იტანჯებით, თქვენი ცნობიერება იზრდება. კუჭის არსებობას მაშინ გრძნობთ, როცა გტკივათ. ამიტომ მედიცინა, კერძოდ „ავადმყოფობა“, ჯანმრთელობას „უსხეულობას“ უწოდებს. საკუთარი სხეული თუ არ გახსოვთ, ჯანმრთელი ხართ; თუკი იცით საკუთარი სხეული და გრძნობთ მას, რაღაც გტკივათ; რადგან ცოდნა მაშინ ჩნდება, როცა რაღაც ჩვეული მიმართებით არ მიდის.

მძლოლი თუ ბრძანდებით, მაშინვე გაიგებთ ძრავაში ოდნავ ხმაურს, თუ რამე მოიშალა. როდესაც რაღაც რიგზე არ არის, მხოლოდ მაშინ იწყებთ გაცნობიერებას. ხოლო ჭეშმარიტად ცნობიერი თუ ხდებით, არ ნაყოფრმავდებით არასწორს; პირიქით, თქვენი ცნობიერება გაიზრდება. ამ შემთხვევაში სხვა რაღაც ხდება. თქვენ აცნობიერებთ ტკივილსა და ტანჯვას, მაგრამ გრძნობთ, რომ ეს თქვენში კი არა, თქვენს გარშემოა. თქვენს ცენტრში ცნობიერებაა, პერიფერიაში — ტანჯვა. ის თითქოს სხვას ეკუთვნის და არ გაიგივებით მასთან. მაშინ თავის ტკივილი არ იქნება მტკივნეული. ის სხეულის ტკივილი იქნება და თქვენ უბრალოდ გააცნობიერებთ. სხეული ობიექტი ხდება, თქვენ კი სუბიექტი, თქვენს შორის განსხვავება წარმოიქმნება.

ცნობიერებაში ყველა ხიდი დანგრეულია და განსხვავებაც ცხადია. შეიძლება, შეიგრძნოთ საკუთარი სხეულის ტანჯვა, მაგრამ გაიგივება აღარ მოხდება. ტანჯვას ცნობიერებასთან მივყავართ, ცნობიერება კი გაიგივებას ანადგურებს და სწორედ ეს არის ცხოვრების გასაღები.

„ნეტარია ადამიანი, რომელიც იტანჯა,
ის იპოვის ცხოვრებას...“

ჯვარცმული იესო საბოლოო ტანჯვის სიმბოლოა. იგი აბსოლუტური ტანჯვის მწვერვალის გამოსახულებაა. იესო სიცოცხლის ბოლო მომენტში ჩვეულებრივად კი არ იტანჯებოდა, მძიმედ ეწამებოდა ფსიქოლოგიურად. იესომ უცებ გაიფიქრა: „ღმერთს ხომ არ დავავიწყდი? ცუდი არაფერი გამიკეთებია და ჯვარს უნდა მაცვან? რისთვის არის ეს საჭირო? რატომ მაწამებენ?“ ამ დროს ყველა საფუძველი შეირყა, რწმენაც საეჭვო გახდა. ტკივილი ისე ძლიერი, ისე ყოლისმომცველი იყო! ისინი, ვისთვისაც იღვწოდა, ვისაც ემსახურებოდა და კურნავდა, უღებდნენ მას ბოლოს.

მე ყოველთვის ვამბობ, რომ ამ მომენტამდე ის იესო იყო, ამის შემდეგ კი ქრისტე გახდა. ამ დროს სრული გარდასახვა მოხდა — იესო გაქრა და გაჩნდა ქრისტე!

რა მოხდა? იესომ წამების დამთავრებისთანავე მიმართა ღმერთს: „არა, დაე, იყოს ნება შენი!“ ღმერთმა მიიღო ის. „რატომ?“ — არ მიღებას ნიშნავდა, რადგან იესოს ღაღადი ეჭვზე მიუთითებდა. ეხლა ის მიხვდა ამას და მიმართა ღმერთს: „მე ვღებულობ და მე ვხედავი, იყოს ნება შენი და არა ჩემი, რადგან ჩემი ნება არა სწორი იქნება!“

და მაშინ იესომ შეება იგრძნო, სიკვდილის ჟამს სიკვდილი მიიღო და ამ დროს იგი მარადიულად განათდა — მიაგნო გასაღებს. აი, რატომ ამბობს იესო:

„ნეტარია ადამიანი, რომელიც იტანჯა,
ის იპოვის ცხოვრებას...“

როცა იტანჯებით, ნუ დრტვინავთ. იტანჯეთ და ტანჯვა ყველა შესაძლებელი კუთხიდან შეაფასეთ. აქციეთ ის მედიტაციად და შეხედეთ, რა ხდება — ენერგია, რომელიც ავადმყოფობაზე იხარჯებოდა, რომელიც ტანჯვას ქმნიდა, გარდაისახება და იქცევა თქვენს ცნობიერებად. ესე იგი, თქვენში ორი კი არა, ერთი ენერგიაა. შეგიძლიათ ეს ენერგია სექსად

აქციოთ ან სიყვარულად გარდასახოთ, ხოლო უფრო მაღალ ხარისხში ცნობიერებად აქციოთ. ენერგია უცვლელი რჩება.

ტანჯვის დროს გარკვეულ ენერგიას ხარჯავთ. როდესაც ეწამებით, გამოუხიზლდით, დგხუჯეთ თვალები და ტანჯვას მიაყურადეთ. სულიერი, ფიზიკური თუ ეგზისტენციალური ტანჯვა მედიტაციად აქციეთ და დააკვირდით, როგორც ობიექტს. თქვენ ამ დროს განცალკევდებით და თქვენი ენერგია აღარ დაიხარჯება ტანჯვაზე. ხიდი დანგრეულია. ნებისმიერი გაიგივებისას ენერგია იქეთ მიედინება.

შეიძლება არაფერი იცოდეთ ამის შესახებ, მაგრამ საშუალება გაქვთ, უბრალო ცდა ჩაატაროთ. დაჯექით შეყვარებული ქალის გვერდით და გაიგივდით მასთან, ისე, თითქოს ეს ქალი იყოთ, ხოლო ქალს შესაძლებლობა მიეცით, იგრძნოს, რომ ის თქვენ ხართ. დაელოდეთ და გაიგივდით. უეცრად ორივე ერთად ენერგეტიკულ დარტყმას იგრძნობთ და რაღაც ენერგია ერთიდან მეორეს გადაეცემა. შეყვარებულებმა ის, როგორც ელექტროშოკი, ისე უნდა აღიქვან, თითქოს ენერგია ერთი სხეულიდან მეორეში გადაიღვარა და მიზანს მიაღწია.

როდესაც ვინმესთან გაიგივდებით, ხიდი წარმოიშობა და ამ ხიდით ენერგია მიმოიქცევა. ბიოლოგები ამტკიცებენ, რომ დედა უბრალო საკვებით კი არა, ენერგიით აპურებს ბავშვს, რძე მხოლოდ ფიზიკური საწილია, მათ მრავალი ცდა ჩაატარეს. ბავშვი იზრდება, მას კვებავენ და საუკეთესოდ ინახავენ, მაგრამ არ უყვართ და არ იკრავენ გულში.

რძეს ბავშვი მექანიკური ხელსაწყოდან იღებს, მას ვიტამინებს აძლევენ, ინექციებს უკეთებენ, მაგრამ ბავშვი აღარ იზრდება, მას გადახრები აქვს განვითარებაში.

ომის დროს გერმანიაში მრავალი დაობლებული თოთო ბავშვი მოათავსეს საავადმყოფოებში. ბავშვები იღუპებოდნენ, თუმცა ყველა ზრუნავდნენ მათ გადასარჩენად, ყველა აუცილებელი პირობა სრულდებოდა და მეცნიერული თვალსაზრისით ბავშვები სრულიად ჯანმრთელები იყვნენ. მაშ, რა-

ტომ იღუპებოდნენ? ერთმა ფსიქოანალიტიკოსმა დააასკვნა, რომ მათ დედის მკერდი სჭირდებოდათ და დედის ალერსი.

ყველაფერი ჯერ კიდევ საჭმელი არ არის. იესო ამბობს: „არა მხოლოდ პურით ცოცხლობს ადამიანი...“ აუცილებელია კიდევ რაღაც შინაგანი, უხილავი საკვები და ფსიქოანალიტიკოსის მიითებით, ვინც არ უნდა შესულიყო ოთახში, მოელელი იქნებოდა, ექიმი თუ მსახური, ყველას სულ ცოტა ხუთი წუთი მაინც გაეტარებინა ბავშვებთან და მოუვლებოდა მათ. ბავშვებიც აღარ იხოცებოდნენ.

დედა ბავშვს რომ ეხვევა, ენერგია იღვრება. ეს ენერგია უხილავია, რვენ მას სიყვარულსა და სიობოს ვეძახით. რაღაც გადადის დედიდან შვილზე და პირიქით. აი, რატომ ხდება ქალი ასეთი მშვენიერი, დედობას რომ მიაღწევს. მას სრულყოფილება და კდემამოსილება ემატება. დედა-შვილი ერთმანეთთან ურთიერთობით არიან ბედნიერნი.

არ არსებობს სხვა ამაზე უფრო ახლო ურთიერთობა, ბავშვი ხომ დედის სისხლიდან და ხორციდან მოდის და მისი არსის გაგრძელებაა.

ცხრა თვის განმავლობაში ბავშვი დედის ნაწილი იყო, მასთან ორგანულად შერწყმული და გაერთიანებული. დედის სიცოცხლე მისი სიცოცხლე იყო, დედის სიკვდილი მისი სიკვდილი იქნებოდა. ეს ურთიერთობა არც შემდგომში წყდება. ენერგია გადაეცემა ერთიდან მეორეს.

ტანჯვის დროს თქვენ ცნობიერი ხდებით, ხიდი ინგრევა და ენერგია აღარ გადადის ტანჯვაზე. ტანჯვა ისევ და ისევ გართმევთ ძალ-ღონეს, რადგან იგი თქვენი შვილია. თქვენ თვითონ დაბადეთ ის, თქვენ ხართ მისი მიზეზი, მერე კი კვებავთ და ტანჯვაც იზრდება. წუხდებით, უძლურდებით და მთელი თქვენი ყურადღება ტანჯვისკენაა მიპყრობილი.

ერთხელ ბაზარში ორი ხანშიშესული ქალი შეხვდა ერთმანეთს. ერთმა ჰკითხა მეორეს, თავს როგორ გრძნობდა, რადგან თვითონ ავადმყოფად თვლიდა თავს. არსებობენ ქალები, სულ რომ ავადმყოფობენ, მუდამ რაღაც სტკივათ, მაგრამ ეს

ავადმყოფობაზე გაცილებით ღრმაა, ამას ნევროზი ჰქვია. ავადმყოფობა მათი „ეგოს“ ნაწილია.

ქალი, რომელიც ცუდად გრძნობდა თავს და ავადმყოფობაზე ლაპარაკობდა, დაიწყო: „ძალიან ავად ვარ, არასოდეს ვყოფილვარ ასე ავად. არტრიტი მაწუხებს, თავი მტკივა, კუჭიც გულს მიწუხებს, ფეხებიც დამისივდა...“

მეორემ თქვა: „წადით მაშინ ექიმთან“.

„მაშინვე წავალ, ცოტა უკეთ რომ ვიგრძნობ თავს“, — მიუგო პირველმა.

ეს ყოველთვის ასეა — ექიმთან მაშინ მიდიხართ, თავს უკეთ რომ გრძნობთ. თუმცა კარგად როცა არიან, ექიმთან არ მიდიან, რადგან აღარ არის აუცილებლობა. ექიმს მაშინ უნდა მიაკითხოთ, როცა იტანჯებით. ილოცეთ ტანჯვის დროს, დაიწყეთ მედიტირება. თუ დროულად არ დაიწყებთ მედიტირებას, ნეტარ წამს გაუშვებთ ხელიდან. გახდით ფხიზელი და ყველაფერი გააცნობიერეთ, ნუ გაუშვებთ ხელიდან შემთხვევას. ეს ნეტარებაა!

მთელი თქვენი ტანჯვა გამოიყენეთ მედიტირებისათვის და უმალ მიხვდებით და აღმოაჩენთ; ტანჯვა რომ ქრება, რაღაც ენერგია თქვენს შიგნით იწყებს დინებას. ეს ენერგია უკვე აღარ კვებავს ტანჯვას, რაც შეიძლება ალოგიკურად მოგეჩვენოთ, მაგრამ ამაში მსოფლიოს ყველა მისტიკოსი ეთანხმება ერთმანეთს. თქვენ კვებავთ თქვენს ტანჯვას და ამასთან ერთად, ძალიან დახვეწილი ხერხით ტკბებით. თვითონ არ გინდათ, კარგად რომ იყოთ. ამაშიც არის რაღაც.

ბუდა და ზარატუსტრა სულ ამაოდ ლაპარაკობდნენ, თქვენ არ უსმენდით მათ, ისინი ამბობდნენ, რომ უკიდურესი ნეტარების შესაძლებლობაც არსებობს, თქვენ უსმენთ მათ და ამბობთ, რომ ოდესმე მოკიდებთ ამას ხელს, კარგად რომ შეიგრძნობთთ თავს, მაგრამ ბედნიერი რომ ხართ, მეტი აღარაფერი გინდათ.

აი, რატომ იმეორებს ბუდა ასე დაბეჯითებით: **„მთელი ცხოვრება დუკხა და ტანჯვაა, ნუ დაელოდებით! ახლანდელი**

ცხოვრებით არ შეიძლება ბედნიერები იყოთ. გაიღვიძეთ და გარშემო მიმოიხედეთ. ის, რასაც თქვენ ცხოვრებას ეძახით, ტანჯვაა!“

ხალხი ფიქრობს, რომ ბუდა პესიმისტია. ის კი არ არის ასეთი, მან მხოლოდ ხაზი გაუსვა რაღაცას, თქვენ კი იმდენად ხართ მიჯაჭვულნი საკუთარ ტანჯვას, რომ ამას ვერ ხვდებით. რაშია საქმე? ადრეული ბავშვობიდან რაღაც არასწორად წარიმართა თქვენს ცხოვრებაში. ბავშვი ავად რომ ხდება, უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობიან. ეს არასწორ ასოციაციას ბადებს: მთელი ოჯახი ბავშვს თავს დასტრიალებს და იგი ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებად მიაჩნიათ. არავინ არ ზრუნავს ბავშვზე, როცა ის კარგადაა. ამ ილეთს თუ შეისწავლით, მაშინ ავადმყოფობისას განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვთ — ყველამ ყურადღება უნდა მოგაქციოთ, ხოლო უყურადღებოდ თუ დაგტოვებენ, შეგიძლიათ მათ დანაშაული აგრძნობინოთ და ვერავინ ვერ გისაყვედურებთ, რომ თვითონ ხართ საკუთარ ავადმყოფობაში დამნაშაე.

ავადმყოფ ბავშვს ჭკუაზე ვერ დაარიგებთ, რადგან ავადმყოფობა მის საქციელთან არავითარ კავშირში არ არის. მაგრამ ავადმყოფობის 90% თვით ავადმყოფის შემოქმედებაა, რაც ყურადღების მიპყრობის სურვილითაა გამოწვეული.

ბავშვი იოლად ითვისებს ამ ილეთს, რადგან მისი უმთავრესი პრობლემა უსუსურობაა. მაგრამ ავად რომ ხდება, ბავშვი ძლიერია, დანარჩენები კი უძლურდებიან. ის ადვილად მიდის ამის შეგნებამდე.

ბავშვი ძალიან მგრძნობიარეა იმის მიმართ, რასაც იგებს. ადამიანი როცა უსიამოვნებას განიცდის ცხოვრებაში, ავად ხდება და თვითონვე ქმნის თავის ავადმყოფობას.

ფსიქოლოგები გვთავაზობენ — ბავშვი რომ ავადმყოფობს, იზრუნეთ მასზე, მაგრამ ზედმეტად ნუ გაანებივრებთ ყურადღებით. ის მხოლოდ სამედიცინო მეთვალყურეობას საჭიროებს და არა ფსიქოლოგიურს. ნუ შეუქმნით მას ასოციაციებს, თითქოს ავადმყოფობას ფასი ჰქონდეს, თორემ

მთელი ცხოვრების მანძილზე, როგორც კი ცუდად იგრძნობს თავს, ავად გახდება.

ტანჯვის 90% იმიტომ არსებობს, რომ ის, რაც სასიამოვნოდ გეჩვენებათ, ყოველთვის ტანჯვას და ავადმყოფობას უკავშირებთ.

მოიშორეთ ეს ასოციაციები! თქვენს ნაცვლად ვერავინ გააკეთებს ამას. ტანჯვა მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ენერგიის ხარჯვაა. ნუ შეერწყმით მას, ნუ იფიქრებთ, თითქოს რაიმე ფასი ჰქონდეს. ერთადეროი ხერხი, რომლითაც ტანჯვისთვის საფასურის გადახდა შეიძლება — ეს ცნობიერებაა. დარჩით ცნობიერნი!

ნუ ილაპარაკებთ საკუთარ ტანჯვაზე. იტანჯეთ, მაგრამ არაფერი თქვათ ამის შესახებ. ავადმყოფობასა და ტანჯვაზე თუ ილაპარაკებთ, სხვები, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გაწყენინონ იძულებულნი იქნებიან აგიტანონ, თორემ გაქცევასა და თავის დაღწევაზე იფიქრებენ. არავის არ აინტერესებს თქვენი ლაპარაკი, ყველას თავისი სატანჯველიც საკმარისი აქვს! ვის აწუხებს თქვენი ტანჯვა? ნუ დრტვინავთ, რადგან ამ დროს განცდას, სიბრალულსა და თანაგრძნობას ითხოვთ. ნუ ჰყიდით თქვენს ტანჯვას, უკან წაიღეთ თქვენი შესატანი. საკუთარ ტანჯვას ნუ დაანახვებთ სხვას, მაშინ ის ტაპასხარად იქცევა და ასკეტიზმის დონეს მიაღწევს.

მაგრამ შეხედეთ თქვენს წმინდანებს — ტაპასხარის, ასკეტიზმის წესებით თუ ცხოვრებენ, ამას სახალხოდ აკეთებენ. მე კიღევ ვამბობ — ტანჯვა თქვენს პირად საქმედ აქციეთ, მხოლოდ მაშინ გახდება იგი ასკეტიზმი. წმინდანები გაგიჟებული ბავშვები არიან. ამაში მათ მეტი ჩადეს, ვიდრე თქვენ — ისინი დამოკიდებულები არიან თავიანთ ტანჯვაზე. რამდენ ხანსაც გააგრძელებენ მარხვას, იმდენ ხანს შესძლებენ ქვეყნის ან მთელი მსოფლიოს ყურადღების მიპყრობას.

თქვენი წმინდანები ილეთების დიდი ოსტატები არიან, ტანჯვას ისინი სხვებზე საბატონოდ იყენებენ, მაგრამ ეს ის არის, რასაც ყველა აკეთებს. მათ მხოლოდ უმაღლეს წერტი-

ლამდე აიყვანეს ეს. ნუ გააკეთებთ ამას, ნუ შეეცდებით მსხვერპლად შეწირვას — ეს უსარგებლოა! უკუაგდეთ ტანჯვა და იმდენად პიროვნული გახადეთ, რომ ვერავინ ვერ მიხვდეს მისი არსებობის შესახებ. მერე კი მედიტირება დაიწყეთ ამაზე, ნუ მოიცილებთ, შიგნით დაიგროვეთ, მერე კი დახუჭეთ თვალები და მედიტაცია დაიწყეთ.

მაშინ ხიდი დაინგრევა. ეს ტექნიკაა ტანჯვისათვის, გამოიყენეთ ტანჯვა, როგორც მეთოდი.

აი, რას გულისხმობს იესო, როცა ამბობს:

„ნეტარია ადამიანი, რომელიც იტანჯა,
ის იპოვის ცხოვრებას...“

ტანჯვა სიკვდილს ეკუთვნის, ცნობიერება სიცოცხლეს. დაანგრიეთ ხიდი და მიხვდებით, რომ თქვენში და თქვენს გარშემო რაღაც კვდება. ის სიკვდილის კუთვნილებაა, თქვენში არსებული ცნობიერება კი არ კვდება, ის უკვდავია, ის სიცოცხლეს ეკუთვნის. აი, რატომ გვაძლევს ტანჯვა სიცოცხლის გასაღებს.

იესო ამბობს: **„შეხედეთ ცოცხალს, სანამ ცოცხალი ხართ, რომ არ მოკვდეთ და საძებნელი არ გაგიხდეთ ის და დანახვის უნარი არ გაგიქრეთ“.**

თქვენში ის არის, ვინც ცოცხალია და ისიც, ვინც უკვე მოკვდა. თქვენში ორი სამყარო არსებობს — მორალისა და სულის სამყაროები, თქვენ კი საზღვარზე ხართ. თქვენში ორი სამეფოა — სიკვდილის და სიცოცხლის, რომელთა შორისაც თქვენ იმყოფებით.

მეტ ყურადღებას იმას თუ უთმობთ, რაც სიკვდილის კუთვნილებაა, ყოველთვის ტანჯული და შიშით აღსილი დარჩებით, ხოლო თქვენი ფიქრი თუ სიცოცხლეზეა გადატანილი, შიში გაგიქრებათ.

იესო ამბობს: **„შეხედეთ ცოცხალს, სანამ ცოცხალი ხართ“.** ნუ დაკარგავთ, რადგან სიკვდილის ჟამს ძალიან გაძნელდება ცოცხლის ყურება.

მოელი თქვენი ცხოვრება სიკვდილის სამეფოსაღმი თუ იჩენდით ყურადღებას, მაშინ ძნელი და თითქმის შეუძლებელი იქნება სიცოცხლის სამეფოს შეხედოთ. მაშინ, როცა მკვდარი ხართ ან კვდებით, როგორ შესძლებთ მეორე მხარეს შემობრუნებას?

ამისათვის საჭიროა უკვდავების სამყაროსაკენ გამუდმებული მოძრაობა. სანამ ცოცხლობთ, უყურეთ ცოცხალს. როცა სიწუმის წამი გაქვთ, დახუჭეთ თვალები და შიგნით ჩაიხედეთ. კისერი სიკვდილის ჟამს გაგიშეშდებათ. თქვენ მოინდომებთ მარადიული სიცოცხლის ნახვას, მაგრამ უუნარო აღმოჩნდებით, რამდენადაც ვერ შესძლებთ ამ მხარეს შემობრუნებას.

„...რომ არ მოკვდეთ და საძებნელი არ გაგიჭდეთ ის
და არ გაგიქრეთ დანახვის უნარი...“

ის იქ არის, თქვენს შიგნით, მაგრამ თქვენ გაშეშდით და ვერ გიგრძვნიათ. გარეშესთან ყოველსაირი კავშირი უნდა დაანგრიოთ. სულ არ არის აუცილებელი ტყეში გაქცევა, ეს არ არის გამოსავალი. 24 საათი საკმაო დროა იმისათვის, რომ შიგნით ჩაიხედოთ. ნუ დაკარგავთ უქმად ამ დროს! როცა თავისუფალ დროს გამონახავთ, ერთი წამით მაინც დახუჭეთ თვალები და შიგნით შეხედეთ ცოცხალს! არც თუ ისე დიდი პრაქტიკაა საჭირო, რომ დაინახოთ და შინაგანი წყვდიადისათვის განეწყოთ. ამჟამად იქ სიბნელეა, რადგან თქვენ გარეშე სიბნელეს შეაჩვიეთ თვალი. შინაგანი სინათლისათვის რომ განეწყობით, აღმოაჩენთ, რომ ეს წყვდიადი კი არა, გაუვნებული სინათლეა, ძალიან წყნარი, დამამშვიდებელი და ალერსიანი. ის არ არის ინტენსიური, უფრო ბინდბუნდია.

ეს იმას ჰგავს, შხე რომ არ ამოსულა, ღამე კი თითქოს დალეულია. ეს ის არის, ინდუსები ბრაჰმა მუჰარტას რომ ეძახიან. რატომ უწოდებენ ბრაჰმა მუჰარტას ღმერთის მომენტს? შიგნით რომ მიაპყრობთ შხერას, გარეთ სინათლე ქრება, შინაგანი წყვდიადი კი ჯერ არ გაფანტულა. ადამიანი უნდა განეწყოს, მხოლოდ მაშინ გაიფანტება სიბნელე ბოლომდე. ეს ბინდბუნდია, სანდჰიაკალა, მომენტი, როცა არც

სინათლეა და არც სიბნელე. ამას ჰქვია ბრაჰმა მუჰარტა, ანუ ღვთიური მომენტი.

განეწყვეთ, უყურეთ, ელოდეთ, დააკვირდით. მალე თქვენი თვალები მიეჩვევა და თქვენ დანახვის უნარს შეიძენთ. არ არსებობს ინტენსიური სინათლე, აქ მხოლოდ გაბნეული სინათლეა, რომლის წყარო მზე არ არის. ეს ბუნებრივი თქვენი სინათლეა, შინაგანი აურა, — ის იქ არის. თავისუფალ დროს გამოიყენეთ იგი, მაშინ კიდევ აღმოაჩენთ შესაძლებლობებს. დაძინებისას ჩაიხედეთ შიგნით, დღე ღამთავრდა, სიკვდილის სამყარო აღარ არსებობს, თქვენ ისვენებთ, დილით პირველად რომ გააცნობიერებთ, ძილი რომ წასულია, არ არის საჭირო საწოლიდან ცხოვრებაში გადახტომა.

ეს ძალიან კარგი შესაძლებლობებია. საღამოობით თქვენ იღლებით ამ ქვეყნისაგან, მოგბეზრდებათ იგი და მხად ხართ, სხვა რამეს შეხედოთ. დილით დასვენებული ხართ და დასვენება გეხმარებათ, საკუთარ არსში ჩაიხედოთ. აი, რის შესახებ ამბობს იესო:

„...შეხედეთ ცოცხალს, სანამ ცოცხალი ხართ,
რომ არ მოკვდეთ და სანებელი არ გაგიხდეთ ის
და დანახვის უნარი არ გაგიქრეთ...“

ის თქვენში იქნება, მაგრამ მთელი ცხოვრების განმავლობაში, არასწორი პრაქტიკის გამო, თქვენ ვერ შესძლებთ მის დანახვას.

„...იუდეისკენ მომავალი სამარიტიანელი
შენიშნეს კრავით ხელში.“

იესომ ჰკითხა მოწაფეებს: „რისთვის მიჰყავს კრავი?“

მოწაფეებმა მიუგეს: „რათა დაკლას და შეჭამოს“.

იესომ უთხრა მათ: „სანამ კრავი ცოცხალია, ვერ შეჭამს, მაგრამ თუ დაკლავს, თავადაც გველი გახდება“.

მოწაფეებმა თქვეს: „თუ არ დაკლა, როგორ შეჭამს?“

იესომ მიუგო მათ: „თქვენ თვითონ ეძიეთ ალგილი სიმშვიდეში, რომ არ გახდეთ გველები და არ იქნეთ შეჭმულნი.“

თქვენი სხეული ფრინველების საძიძგნი ხდება. იგი საკვებია და მეტი არაფერი. საჭმელს თუ არ იღებთ, სხეული გაქრობას იწყებს. მარხვისას ყოველღღე ორ-ორ ფუნტს იკლებთ? სხეული საკვების თანაიდეევი პროდუქტია, მაგრამ სიკვდილის შემდეგ რა მოსდის მას? გარე სამყარო სხეულს საკვებად იყენებს. მას ან მიწაში მატლები შეჭამენ, ან მიწის ზემოთ ფრინველები ღაძიძგნიან. სწორედ ეს ბადებს თქვენში შიშს და წინააღმდეგობებით გავსებთ, თქვენ ხომ „შეჭმული იქნებით“. ამის გამო მსოფლიოს ყველა ხალხი ცდილობს ისეთი ხერხი გამონახოს, რომელიც სიკვდილის შემდეგ დაიცავს მაო სხეულს შეჭმისაგან, მაგრამ ისინი ბრიყვები არიან!

ინდუისტები მხოლოდ იმიტომ წვავენ გარდაცვლილთა გვამებს, რომ არ შეჭამონ. მუსულმანები მკვდარ სხეულს კუბოში ათავსებენ და მხოლოდ იმიტომ მარხავენ, რომ დაიცვან განადგურებისაგან. ქრისტიანებიც იგივეს აკეთებენ. მხოლოდ ზოროასტრისტებს აქვთ განსხვავებული წესი. ისინი ტოვებენ გვამებს ცხოველებისა და ფრინველების საკვებად. ამ მხრივ ისინი ყველაზე ბუნებრივნი და მეცნიერულნი არიან. ისინი თელიან, რომ საკვები არ უნდა განადგურდეს მთელი ცხოვრების მანძილზე. თქვენ ცხოველური და მცენარეული საკვებით საზრდოობთ, 200 ფუნტამდე აღწევთ, მერე კი ანადგურებთ და წვავთ თქვენს სხეულს. ეს ცუდია. თქვენ უმადურობას იჩენთ ბუნების მიმართ. თქვენ უნდა დაუბრუნოთ მას საკვები!

რატომ გგონიათ, რომ დაწვა და ცეცხლში გვამის ჩაგდება უკეთესია, ვიდრე ცხოველებისათვის და ფრინველებისათვის საკვებად დატოვება? ცხოველის ან ფრინველის კუჭშიც ხომ ცეცხლი ანთია? ეს ბუნებრივი ცეცხლია და ბოლოს და ბოლოს, თქვენი სხეულით ვინმე შიმშილს დაიოკებს.

ამ საკითხში მხოლოდ ზოროასტრისტები დარჩნენ ტრადიციის მიმდევრებად. მაგრამ ახლა მათაც დაიწყეს წუხილი, რადგან, სხვების აზრით, ისინი გაუგონარ სისასტიკეს სჩადიან. მაგრამ გვამის დაწვა და მიწაში ჩამარხვა განა სისასტიკე არ

არის? ინდუისტები, მაჰმადიანები და ქრისტიანები ნაკლებად ეკოლოგიურნი არიან.

იესო ამბობს, რომ თუ თქვენ შინაგანის, ცოცხალის, ცნობიერის არ გესმით, მაშინ შეჭმულნი იქნებით და მეტი არაფერი. მთელი თქვენი ცხოვრება ამაო იყო. მთელი თქვენი ცხოვრება ჭაშაა, იმიტომ, რომ იმუშაოთ. მუშაობთ იმიტომ, რომ ჭამოთ, ბოლოს კი თქვენც გეჭამენ. სულ ეს არის თავი და ბოლო — იდიოტის მიერ მონათხრობი, მძვინვარებით სავსე, მაგრამ არაფერის მოქმედი ზღაპარი".

მთელი ცხოვრება — საკვებისათვის ბრძოლაა. მერე კი თავად ხდებით ვილაცის საჭმელი. რა აზრია ამაში?

იესო ამბობს: მანამდე, სანამ მოკვდებით და შეგჭამენ, გაიგეთ, რომ თქვენ არა ხართ საჭმელი, რომ საჭმლის მეშვეობით არა ხართ შექმნილი, მაშინ გექნებათ საშუალება კიდევ მეტი გაიგოთ.

ყველა რელიგია მარხვაზე ლაპარაკობს. რატომ? იმიტომ, რომ მარხვისას ცნობიერება უფრო ინტენსიური ხდება და აღარ აიგივებს ადამიანის ცხოვრებას საჭმელთან. სინამდვილეში საჭმელი ანგრევს ცნობიერებას და ჭამაზე უარს რომ ამბობთ, უფრო ცნობიერი ხდებით. საჭმელი გარკვეულ წილად ძილის სახეობაა. იგი შხამია და ზედმეტს თუ ჭამთ, უფრო იწამლებით. საჭმელი ალკოჰოლივითაა, გათრობთ და ძილს გრევთ. თუ მარხულობთ, ნახავთ, რომ გაგიჭირდებათ დაძინება. ნუ გგონიათ, რომ ეს შიმშილის გამო ხდება. არა, ამ დროს ცნობიერება იზრდება.

დიდ მარხვას თუ შეინახავთ, მაშინ მესამე, მეოთხე ან მეხუთე დღეს შიმშილი გაგიქრებათ, რადგან სხეული სულ სამი-ხუთი დღის განმავლობაში ითხოვს საკვებს. სხეულს ორგვარი ორგანიზაცია გააჩნია, რაც უსაფრთხოების მიზნითაა გამოწვეული. ყოველდღე უნდა ჭამოთ, სხეულს ყოველდღიური პორცია უნდა გადასცეთ, ხოლო საკვების მოწოდებას რამდენიმე დღით თუ შეწყეტთ, მაშინ სხეული დაგროვილ ცხიმს გამოიყენებს.

ნებისმიერი ჯანმრთელი ადამიანი ცხიმს სამი თვით მაინც იმარაგებს. ეს რეზერვუარია. როდესაც სხეული ხვდება, რომ საჭმელს აღარ აძლევთ, ის იყენებს საკუთარ რეზერვუარს და ცნობიერება ამაში აღარ ეროვნება. თქვენ აღარ გჭირდებათ საკვების შოვნა და მუშაობა, არ იღლებით. სხეულისათვის საჭმლის მიცემის დროს მთელი ენერგია გესაჭიროებათ და ამიტომაა, ჭამის მერე რომ გეძინებათ. — ენერგია, ცნობიერებაზე რომ მუშაობდა, კუჭზე გადადის, იმისათვის, რომ მომნელებელი ძალის სახით იმუშაოს. ამიტომ ხალხი, ვინც ძალიან ბევრს ჭამს, ვერ მედიტირებს კარგად. ეს შეუძლებელია! მათ შეიძლება ღრმად ეძინოთ, მაგრამ არ იყვნენ ცნობიერნი, ვერ შესძლონ ცხადად გაცნობიერება. ისინი საკვები არიან და ამიტომ შეჭმულნი იქნებიან. მთელი მათი ცხოვრება ხომ კვების ციკლია.

ყველა რელიგიამ აღიარა, რომ მარხვისას ცნობიერება იზრდება, რადგან, როცა არაუერია გამოსაწოვი, ენერგიაც თავისუფლდება! არაუერია მისაღები და მოსაშორებელი, ყველა სამუშაო ჩერდება. სხეულის ფაბრიკაზე სამუშაოები წყდება. მაშინ მთელი ენერგია, რომელიც მიიღეთ, ცნობიერებად იქცევა. აი, რატომ არ გეძინებათ მარხვისას და თუ 20, 30 ან 40 დღე მარხულობთ, თქვენ ძილის ახალი ფორმა გაგიჩნდებათ — სხეული დაიძინებს, თქვენ კი იფხიზლებთ.

ამის შესახებ ეუბნება სწორედ კრიშნა არჯუნას: **„როდესაც სხვებს სძინავთ, იოგები ფხიზლობენ“**. იგივეს შესახებ ამბობს ბუდა: **„მაშინაც კი, როდესაც მძინავს, არ მძინავს, მხოლოდ ჩემი სხეული იძინებს“**. აი, რატომ არ ინძრეოდა მაჰავირი ძილის დროს. იგი არასოდეს არ იცვლიდა გვერდს, რადგან ფხიზლობდა: „გვერდიდან გვერდზე გადაბრუნება ცუდია, ქვეშაგებზე შეიძლება მწერები დაცოცავენ“. მას იატაკზე ან ხის ქვეშ ეძინა — „ხოლო თუკი ეტრიალებ ლოგინში, სიბნელეში შეიძლება რამე ძალადობა მოხდეს, თუნდაც უნებლიე და ამის თავიდან აცილება შეიძლება...“ ამიტომ იგი სულ იმ მდგომარეობაში რჩებოდა,

რომელშიც იძინებდა, ხელსაც კი არ ანძრევდა. ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ძილშიც ფხიზლობთ, სხვაგვარად, მოძრაობთ და არ იცით ამის შესახებ.

ცნობიერი თუ ხდებით, საკუთარ თავში სხვა განზომილებებსაც აღმოაჩენთ. ხილული სიკვდილს ეკუთვნის, უხილავი — უკვდავებას.

იესო ამბობს: **„თქვენ თვითონ ეძიეთ ადგილი სიმშვიდეში...“** ეძიეთ დუმილი, სიმშვიდე, უდრტვინველობა, წონასწორობა, მხოლოდ ასე გააცნობიერებთ ცოცხალს, სხვაგვარად გვამებად იქცევით...

იესომ თქვა: **„...ორნი იწვებიან საწოლში,**
ერთი მოკვდება, მეორე იცოცხლებს“.

იგივე სიტყვები უპანიშადებშიც* არსებობს. იქ მონათხრობი ამბის მიხედვით, ორი ჩიტი ხეზე იჯდა, ერთი — ქვედა ტოტზე, მეორე — ზედაზე. დაბლა მჯდომი ჩიტი ფიქრებშია გართული; ღელავს, დაძაბულია, ხტის აქეთ-იქით; მაღლა მჯდომი ჩიტი კი მშვიდად არის, თითქოს ყველა სურვილი ასრულებული ჰქონდეს, ის უბრალოდ ზის ტოტზე, ტკბება და ქვემოთ მჯდარ ჩიტს უთვალთვალებს.

ეს თქვენში არსებული ორი განზომილებაა. თავად ხე ხართ და ქვედა ტოტზე მჯდომი ჩიტივით შეიოთავთ. ეს თქვენი სხეულია, ხორციელი მოთხოვნილებები და სურვილები. ზედა ტოტზე მჯდარი ჩიტი მხოლოდ მოწმეა და უთვალთვალებს იმ სულელ ჩიტს, რომელიც ტანჯვაში, წუხილში, რისხვასა და სექსშია; ყველაფერში, რაც გადახდენია, ათქვეფილა და ტოტიდან ტოტზე ხტის. თქვენც თუ მთლიანად დამკვირვებლად იქცევით, მაშინ ერთიანი გახდებით. თქვენ იქცევით ხედ!

იგივეს იესო სხვა სიმბოლოს მეშვეობით ლაპარაკობს:

„...ორნი იწვებიან საწოლში...“

თქვენ ხართ საწოლი, რომელზედაც ორნი წვანან:

„ერთი მოკვდება, მეორე იცოცხლებს...“

საქმე იმაშია, რომელს დაეთმობა ყურადღება, საით იმოძრავებო, ვისკენ წარიმართება ენერგია. ვინ გახდება თქვენი მიზანი?

ჩვეულებრივ იმას უთმობთ ყურადღებას, რომელიც კვდება. ის არის თქვენი მიზანი, აი, რატომ სწუხართ ყოველთვის. იმიტომ, რომ სახლს ქვიშაზე აშენებთ, ის კი აშენებამდე ნამოიქცევა. ყოველთვის კანკალებთ იმიტომ, რომ წყალზე წერთ — ნაწერი მანამ გაქრება, სანამ წერას მორჩებით. თქვენი წუხილი სიკვდილის სამეფოსთან ეროგულებითაა გამოწვეული და ამიტომ ვერ ხედავთ სიცოცხლეს.

და ნებისმიერ საწოლზე ორს სძინავს. მეორე, უბრალოდ, მოწმეა.მეტი ყურადღება დაუთმეთ მას, უფრო ხშირად მიმართეთ. აი, რას ნიშნავს მოქცევა, ის სრულებით არ არის ინდუისტის ქრისტიანად ან ქრისტიანის ინდუისტად გარდაქმნის მცდელობა. ეს სისულელეა, რამე თუ ისინი უბრალო ეთიკეტებს იცვლიან. არაფერი არ იცვლება, რადგან შინაგანად ადამიანი იგივე რჩება და მისი ყალიბი უცვლელია.

მოქცევა სიკვდილის სამეფოდან სიცოცხლისაკენ ყურადღების გადატანას ნიშნავს, ეს შემობრუნებაა. გაერთიანდით მოწმესთან, თავი დაკარგეთ მასში და მის შემეცნებაში, და მაშინ გაიგებთ, რომ ის, რაც ურდა მოკვდეს, მოკვდება. ეს უბედურებას არ მოიტანს, არ შექმნის პრობლემას; უბრალოდ გეცოდინებათ, რომ არ კვდებით და შიშიც გაქრება.

იესო ამბობს: **„ორნი იწვებიან საწოლში,**
ერთი მოკვდება, მეორე იცოცხლებს“.

და ეს საკმარისია თქვენთვის — განსაცდელში თუ გინდათ დარჩენა, ცოცხალს ნურასოდეს ნუ დაუთმობთ ყურადღებას. სამუდამოდ თუ გინდათ განსაცდელში ყოფნა, პერიფერიაში დარჩით, ნუ ჩაიხედავთ საკუთარ არსში. მაგრამ სიმშვიდე, უშფოთველი მარადიულობა და ჭეშმარიტება თუ გინდათ, სამოთხის კარიბჭე ღიაა თქვენთვის — ჩაიხედეთ შიგნით. ეს ძალიან ნატიფია. თქვენ შეიძლება მატერია დაი-

ნახოთ, მაგრამ სულს ვერ შესწიშნავთ, მისი დანახვა შეუძლებელია.

თქვენ დაინახავთ, ხილული სად მთავრდება, მაგრამ უხილავს ვერ შესწიშნავთ. მაშ, რა უნდა ქნათ? უბრალოდ, ხილულის საზღვარზე უნდა დარჩეთ და არ შეხედოთ ხილულს. მისი საპირისპირო მიმართულებით უნდა იცქიროთ. უხილავი გამუდმებით შეიგრძნობა. ეს გრძნობაა, შეუძლებელია მისი დანახვა. შეიძლება, მხოლოდ შეიგრძნოთ. ის ნათივით არის, მოქრის. გრძნობთ, მაგრამ ვერ ხედავთ. იგი ცის მსგავსია, იქ არის, მაგრამ ვერავინ ვერ იპყრის, კერძოდ სად. თქვენ ვერ აღნიშნავთ მას და ვერ შეეხებით.

დარჩით ხილულის საზღვარზე და იყურეთ საპირისპირო მიმართულებით. აი, რაში მდგომარეობს მთელი მედიტაცია. დახუჭეთ თვალები, დატოვეთ სხეული. დაიწყეთ ყველა ხორციელი საქმე და სიკვდილის ქვეყანა, ყველაფრისაგან გათავისუფლდით. თავიდან შიგნით ვერაფერს ვერ შეიგრძნობთ, ქაოსის, აქა-იქ მიმოფანტული აზრების, ენებებისა და ოცნებების მეტს და იმ დასკვნამდე თუ მიხვალთ, რომ ამაში არაფერი ღირებული არ არის, უსათუოდ დაკარგავთ. თავიდან თქვენს თვალებს მხოლოდ ამის დანახვა შეუძლიათ, მათ აწყობა სჭირდებათ. უბრალოდ, დარჩით იქ და მცურავ ოცნებებს უყურეთ. თქვენი ოცნებები ღრუბლებს პგვანან, მაგრამ ორ ღრუბელს შორის სილურჯეს ხედავთ. ორ ოცნებას, ორ აზრს შორის ზოგჯერ ცაც გამოკრთება, ოღონდ ნუ იჩქარებთ.

აი, რატომ ამბობენ, რომ რთცა ჩქარობთ, კარგავთ. ძველში არსებობს ასეთი გამონათქვამი: „ნელა იჩქარე!“ ეს მართალია! იჩქარეთ, რადგან ყოველ წამს კვდომას განაგრძობთ. მაგრამ შიგნით ზედმეტად თუ აჩქარდებით, დაკარგავთ; რადგან ნაადრევ დასკვნებს გააკეთებთ ჯერ, კიდევ მანამდე, სანამ თქვენი თვალები საგნების გარჩევას შესძლებს. ნელა იჩქარეთ!

უბრალოდ დაიცადეთ! დასხედით და დაიცადეთ! უხილავის ახალი სამყარო კიდევ და კიდევ მოვა და უფრო ცხადი გახდება. თქვენ მიეჩვევით მას და შესძლებთ პარმონიის,

მელოდიისა და სიჩუმის გაგებას. ის მუდამ იქ არის, მაგრამ ისეთი ჩუმია, რომ მის მოსასმენად გავარჯიშებული სმენაა საჭირო. ის არა ჰგავს ხმაურს, იგი დუმილივითაა.

შიგნით არ არსებობს დრო და სივრცე. ხოლო ის, რაც ცნობილია თქვენთვის, ან დროში იმყოფება, ან სივრცეში. საგნები სივრცეშია, მოვლენები — დროში. ახლა ფიზიკოსები ამტკიცებენ, რომ დრო სივრცის მხოლოდ და მხოლოდ მეოთხე განზომილებაა.

თქვენ მხოლოდ დრო და სივრცე იცით და მოვლენებისა და საგნების სამყარო. თქვენ არ იცნობთ „მეს“ სამყაროს, რომელიც სივრცითაა და დროით არ განისაზღვრება. ეს სრულიად სხვა სამყაროა, დროისა და სივრცის გარეშე. ნუ იქნებით მოუთმენელნი. მოუთმენლობა ყველაზე დიდი ბარიერია. მხოლოდ შემდეგი ნაბიჯით შესძლებთ უკვდავების სამყაროში შესვლას.

მოუთმენელი თუ ხართ, ეს შეიძლება უამრავი სიცოცხლის მანძილზეც არ მოხდეს, რადგან მოუთმენლობა არ მოგცემთ იმის საშუალებას, რომ აღივსოთ იმით, რაზედაც იესო ლაპარაკობდა — სიმშვიდით. კიდეც რომ გქონდეთ რაიმეს იმედი, ეს უკვე აღელვება იქნება. თუ იფიქრებთ, რომ რაღაც არაჩვეულებრივი ხდება, არაფერი არ მოხდება. თუკი გასხივოსნებას ელოდებით, დაკარგავთ მას. ნუ გექნებათ იმედი! ყველა მოლოდინი სიკვდილის სამეფოს, დროისა და სივრცის კუთვნილებაა.

არავითარი მიზანი არ ეკუთვნის შინაგანს. არ არსებობს იქით მიმავალი გზა, უსაზღვრო მოთმინების გარდა. იესომ თქვა: **დააკვირდით და იყავით მოთმენილი და ერთხელაც გასხივოსნდებით.** ერთხელ, როცა მზად იქნებით, მართლა გასხივოსნდებით. **წუხდიადი გაუარტება, აღივსებით სიცოცხლით,** რომელიც არასდროს არ კვდება.

1974 წლის 3 სექტემბერი
პუნა, ინდოეთი

საშბარი მეთხუთმეტე

მეთხუთმეტე შეგონება

იესომ თქვა: — „მე ვარ ნათელი ყოველთა ზედა,
მე ვარ ყოველი და ყოველი გამოვიდა ჩემგან,
და ყოველი მოვიდა ჩემამდე,
გაჩეხეთ ხის ნაფოტი და მახში ვიქნები,
ასწიეთ ქვა და ქვის ქვეშ მიპოვით—"
(თომა, 81)

იესო ესეების უძველეს სკოლაში იყო განსწავლული. ესეების სწავლა კი ნამდვილი ვედანტაა. აი, რატომ არ გააჩნიათ ქრისტიანებს არავითარი ჩანაწერი იმის შესახებ, თუ რას საქმიანობდა იესო 30 წლის ასაკამდე. მათ რამდენიმე ჩანაწერი აქვთ მის ბავშვობისა და 30-დან 33 წლამდე მოღვაწეობის შესახებ. ზოგიერთი რამ ქრისტიანებმა უდავოდ იციან. იესოს მოვლენა შემთხვევითობა რომია, ეს ხანგრძლივი მომზადებაა.

ამ ოცდაათი წლის განმავლობაში იესოს განუწყვეტლივ ამზადებდნენ, ჯერ ეგვიპტეში გაგზავნეს, შემდეგ კი — ინდოეთში. ეგვიპტეში მან საიდუმლო მეთოდებით ერთ-ერთი უძველესი ტრადიცია შეისწავლა. ინდოეთში ჩასწვდა ბუდას, ვედების, უპანიშადების მოძღვრებას. ეს უცნობი მოვლენაა. რადგან ამ სკოლებში იესო უცნობი მოსწავლე იყო და ქრისტიანებმაც შეგნებულად უნდა უკუაგდონ ეს ჩანაწერები. მათ არ მოეწონებოდათ, რომ ღვთის შვილი ვინმეს მოწაფე ყოფილიყო, არც ის იდეა მოეწონებოდათ, რომ იესო მომზადე-

ბული, ნასწავლი, ნავარჯიშები იყო. ისინი ამ იდეას მკრეხელობად ნასთვლიდნენ.

ქრისტიანები ფიქრობდნენ, რომ ღვთის შვილი სრულიად მოშსადებული მოვიდა, მაგრამ არავინ არ მოდის სრულიად მოშზადებული. ვინმე თუ ასეთია, მას მოსვლა არ შეუძლია. ამქვეყნად ყოველთვის არასრულყოფილები ვხდებით. სრულყოფილება, უბრალოდ, ქრება ამ ქვეყნიდან. სრულყოფილება ამ ქვეყნის არ არის.

თუკი ვინმე სრულყოფილია, მთელი მისი ცხოვრება ვერტიკალურ განზომილებაში გადადის. თქვენ ჰორიზონტალური მიმართულებით გაივლით პროგრესს „ა“-დან „ბ“-მდე, „ბ“-დან „გ“-მდე და ა.შ. „ჰ“-მდე, ჰორიზონტალურად, სწორხაზოვნად, წარსულიდან — აწყმოში, აწყმოდან — მომავალში. ეს არასრულყოფილი გზაა. მდინარის მსგავსად, იგი მთიდან ბარში ჰორიზონტალურად მოედინება და ყოველთვის ერთ დონეზე რჩება.

სრულყოფილება ვერტიკალურად მოძრაობს. ის „ა“-დან „ბ“-კენ კი არა, „ა“-დან ზემოთ და ზემოთ ადის. მათთვის, ვინც ჰორიზონტალურ ხაზზე ცხოვრობს, სრულყოფილება უბრალოდ ქრება, ის არ არის იქ, რადგან ისინი მას ან წარსულში ან მომავალში ეძებენ. მათ შეიძლება წინ იყურონ, მაგრამ ვერც იქ აღმოაჩენენ მას, ვისაც ეძებენ. ის აწყმოშიც არ არის, რადგან ვერტიკალური პროგრესიის ახალი ხაზი უკვე დაწყებულია. ის სულ მაღლა და მაღლა ადის, მარადიულობაში მოძრაობს და არა დროში.

მარადიულობა ვერტიკალურია, მას არა აქვს მომავალი. ხაზზე თუ მოძრაობთ, მაშინ მომავალი იარსებებს. „ა“-დან „ბ“-კენ თუ მოძრაობთ, მაშინ „ბ“მომავალში იქნება. „ბ“ რომ აწყმო ხდება, „ა“ წარსულში გადადის, „გ“ კი მომავლად იქცევა. თქვენ ყოველთვის წარსულსა და მომავალს შორის იმყოფებით. თქვენი აწმყო მხოლოდ გარდამავალი ფაზაა, „ბ“-დან „გ“-ში გადადის, „გ“-დან „დ“-ში ყველაფერი წარსულში რჩება.

და თქვენი აწმყო ამ ხაზის მონაკვეთი და მცირე ფრაგმენტია. იმ დროისათვის, როცა ამას გააცნობიერებთ, ის წარსულის კუთვნილება გახდება. სული, რომელიც სრულყოფილი ხდება, სხვა განზომილებებში მოძრაობს. „ა“-დან „ა“-კენ, „ა“-დან „ა“-კენ და ეს მარადიულობაა. ამიტომ ის მარადიულობაში სუფევს. აი, რატომ ქრება ამ ქვეყნიდან.

ამ ქვეყანაში შესასვლელად არასრულყოფილი უნდა იყოთ. ძველ ნაწერებში ნათქვამია, რომ როდესაც ადამიანი სრულყოფილებას უახლოვდება, ხოლო ეს საკმაოდ ხშირად ხდება, მან რაღაც არასრულყოფილი უნდა დატოვოს. ამბობენ, რომ რამაკრიშნა ზედმეტად ეტრფოდა საჭმელს, მთელი ღღე საჭმელზე ფიქრობდა. მას შეეძლო თავის მოწაფესთან ესაუბრა, მაგრამ როგორც კი შემთხვევა მიეცემოდა, სამზარეულოსაკენ გარბოდა და ცოლს ეკითხებოდა: „რა მოამზადე ღღეს?“ მისი ცოლი უხერხულად პასუხობდა: „პარახაისა დევა, შენ არ შეგფერის ეს!“ ის კი იცინოდა.

ერთხელ ცოლმა უთხრა: „შენი მოწაფეებიც კი დაგცინიან გაუმაძღრობის გამო...“

რამაკრიშნა იმდენად ეტრფოდა საჭმელს, რომ როცა ცოლი ლანგარს შემოიტანდა, უმალ დახედავდა, რათა გაეგო, რა ეწყო ზედ.

მას ყველაფრის დავიწყება შეეძლო — ვედანტის, ბრაჰმის და ეს ყველას უხერხულობის გრძნობას უქმნიდა. იქ ისეთი ხალხი იყო, რომელთაც ვერ წარმოედგინათ, რომ გათავისუფლებულ ადამიანს შეეძლო ასეთი ტრფიალი გამოეჩენებინა საჭმლისადმი. ერთხელ ცოლმა ჰკითხა, თუ რატომ იყო ასეთი ჭამის მოყვარული. რამაკრიშნამ უთხრა: „იმ ღღიდან, როცა მე აღარ შევჭამ, გადათვალე სამი ღღე და იცოდე, რომ იმ ღღეს გარდავიცვლები. მაშინ, როცა გაიერდები ნიშანი იქნება იმისა, რომ აქ მხოლოდ სამი ღღე დავრჩები...“

მისმა ცოლმა და მოწაფეებმა გაიცინეს და ვერ მიხვდნენ რამაკრიშნას სიტყვების აზრს, მაგრამ ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც მან განსაზღვრა. ერთხელ, როდესაც ის ლო-

გინში იწვა და ისვენებდა, ცოლი შემოვიდა. რამაკრიშნა შებრუნდა. თუმცა, როგორც წესი, წამოიწეოდა ხოლმე იმის დასანახად, თუ რა მოიტანეს. მის ცოლს კი ახსოვდა ქრისტეს ნათქვამი, იმის შესახებ, რომ მხოლოდ სამ ღღეს იცოცხლებდა იმის შემდეგ, რაც საჭმელისადმი გულგრილობას გამოამჟღავნებდა. მან ვეღარ დაიჭირა ლანგარი, ხელიდან გაუვარდა და ტირილი დაიწყო.

რამაკრიშნამ უთხრა: „თქვენ თვითონ გინდოდათ, ასე რომ მომხდარიყო, ახლა თავს ნუღარ შეიწუხებთ ამის გამო. კიდევ სამი ღღე ვიქნები აქ“ და მესამე ღღეს მართლაც გარდაიცვალა.

სიკვდილის წინ მან თქვა: „საჭმელს ისე ვებღაუჭებოდი, როგორც საკუთარი თავის არასრულყოფილ ნაწილს იმისათვის, რომ აქ დარჩენა და თქვენი სამსახური შემძლებოდა“.

ასე ბევრი ოსტატი მოქცეულა. იმ წამს, მთლიან სრულყოფილებას რომ აღწევენ, რომელიმე არასრულყოფილებას ებღაუჭებიან, აქ რომ შეძლონ დარჩენა. სხვაგვარად ეს ნაპირი მათი აღარ იქნება. ყველა ბაგირი თუ გაწყდა, მათი ნავი მოპირდაპირე მხარეს გაცურავს. აქ აღარ დარჩება. ამიტომ მათ ერთი ბაგირი უნდა დატოვონ, რაღაც ურთიერთობა რომ შეინარჩუნონ, ამოირჩიონ საკუთარ თავში რომელიმე სისუსტე და არ მისცენ მას გაქრობის საშუალება.

წრე არ შეიკვრება, გაწყვეტილს დატოვებენ და მათ სწორედ ამის გამო შეუძლიათ, აქ დარჩნენ. აი, რატომაა, რომ ღრმად მცოდნე ინდუისტებმა, ბუდისტებმა და ჯაინებმა მშვენიერად იციან, რომ ამ ქვეყნის სრულყოფილება არ არსებობს. მაშინ, როცა წრე იკვრება, სრულყოფილება ქრება ამ ქვეყნიდან. შეუძლებელია მისი დანახვა, რამეთუ ის აღარ არის თქვენს სიბრტყეში. იგი ზემოთ ადის, საღაც თქვენ ვერ აღწევთ.

მაგრამ იმისათვის, რომ თქვან — იესო დაბადების ჟამს უკვე სრულყოფილი იყოო, ქრისტიანები ყველა ჩანაწერს უარყოფენ. იესო კი ისეთივე მაძიებელი იყო, როგორც თქვენ;

იგი ისეთივე მდოგვის მარცვალი იყო, როგორც თქვენ. ის ხედ იქცა, უდიდეს ხედ და მილიონობით სულიერი ფრინველი იბუდებს მასზე. ის, უპირველესად, თქვენსაირი მდოგვის მარცვალი იყო. გახსოვდეთ, რომ მაჰავირიც, ბუდაც და კრიშნაც არასრულყოფილნი დაიბადნენ. სრულყოფილება არ იბადება, სრულყოფილი თუ ხარო, მაშინ წარმოუდგენელია სულთა გადასახლება.

იესოს მოგზაურობამ ეგვიპტესა და ინდოეთში, ეგვიპტის საიდუმლო საზოგადოებებში სწავლამ, შემდეგ ბუდისტურმა სკოლებმა და ინდურმა ვედანტამ სრულიად უცხო გახადა იგი იუდეველთათვის. რატომ არ აღიარეს იუდეველებმა იესო?

მან რაღაც უცხო, არა ამქვეყნიური მოიტანა, ისეთი საიდუმლო აღმოაჩინა, ერს რომ არ ეკუთვნოდა. ამიტომ აცვეს იგი ჯვარს.

ინდუისტებმა მიიღეს ბუდა, რადგან მას რაც არ უნდა ეთქვა, არაფერი იქნებოდა მათთვის უცხო. ბუდას შეეძლო შეწინააღმდეგებოდა ინდუიზმს, მაგრამ მხოლოდ ზედაპირულად. თავის წინააღმდეგობებშიც იგი ინდუიზმის ღრმა ჭეშმარიტებებს ამტკიცებდა. მას შეეძლო ეთქვა, რომ ისთბლიშმენტი სწორი არ იყო, იმის თქმაც შეეძლო, რომ ორგანიზაციაა არასწორი და რომ ყველა მიმდევარი ცდება; მაგრამ ის ვერ ეტყოდა ინდუისტებს, რომ ისინი მთავარში ცდებიან; მას რაც არ უნდა ეთქვა, ინდუისტები გაუგებდნენ ბუდას. ის არ ყოფილა მათთვის უცხო.

მაჰავირიც რევოლუციონერი იყო, მაგრამ ინდუსად რჩებოდა. ბუდაც ყოველთვის ინდუსი იყო. ის შეიძლება მეამბოხე ყოფილიყო, მაგრამ ინდოეთს ეკუთვნოდა და სერიოზულად არავის აღელვებდა.

მაგრამ იესო უცხო იყო. როგორ მოხდა, რომ იგი იუდეას არ ეკუთვნოდა? ქრისტიანები ვერ პასუხობენ ამ შეკითხვას. საიდან მოიტანა იესომ თავისი ქადაგება? ეგვიპტიდან და ინდოეთიდან. ინდოეთი ყველა რელიგიის საოავე იყო, თვით იმ

რელიგიების სათავეც, რომლებიც ინდუიზმს უპირისპირდებოდნენ. რატომ მოხდა ასე?

ინდოეთი უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა. ინდოელებისთვის არ არსებობს უცნობი საიდუმლოებები, მათ ყველაფერი იციან, ყველაფერი აღმოაჩინეს, დაასრულეს მოგზაურობა. ამიტომ რელიგიაში თუ რაიმე მშვენიერი არსებობს, დარწმუნებული შეგიძლიათ იყოთ, რომ ეს ინდური სათავედან გამოვიდა ისევე, როგორც ბერძნული გონებიდან მოდის მეცნიერება. მეცნიერება ზუსტად ბერძნული ლოგიკური აზროვნებიდან განვითარდა, მისტიციზმი კი ინდოეთიდან მოდის.

მსოფლიოში მხოლოდ ორნაირი გონება არსებობს — ბერძნული და ინდური. ბერძნული გონება თუ გაქვთ საფუძვლად, ინდურის გაგებას ვერ შესძლებთთ. ინდური გონება აბსურდად მოგეჩვენებათ, რაც არ უნდა თქვან, ყველაფერს დაუმტკიცებლად ჩათვლით. არისტოტელე ინდოეთისათვის სრულიად უცხო იქნებოდა, რადგან მხოლოდ ლოგიკურობის, კონკრეტულად დაყოფისა და განსხვავებისა სჯერა. ის წინააღმდეგობების კანონს აღიარებს და შეუძლებლად თვლის, რომ ურთიერთსაწინააღმდეგო საგნები ერთში თანაარსებობდნენ — არ შეიძლება, რომ „ა“ იმავე დროს არა „ა“-ც იყოს. ეს დაუშვებელია! ადამიანს არ შეუძლია, ერთდროულად ცოცხალიც იყოს და მკვდარიც. როგორც ჩანს, ეს მართალია.

ინდუისტებს წინააღმდეგობების სჯერათ, ისინი თვლიან, რომ ადამიანი ერთდროულად ცოცხალიც არის და მკვდარიც; რომ სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთს არ გამორიცხავს და მათი განცალკავება შეუძლებელია. ბერძნული გონება მათემატიკურია, ინდური — მისტიკური, ისევე, როგორც შხე ამოდის აღმოსავლეთით, ხოლო ინდოეთი მთელი აღმოსავლეთის გულია. მისტიციზმიც ინდოეთიდან გავრცელდა მსოფლიოში. ამ გამონათქვამის გასაგებად უპანიშადებს უნდა მიმართოთ იქ იმალება მისი ძირი.

ამას თქვენ ვერც ძველ აღთქმაში ნახავთ და ვერც სხვა სასულიერო ნაწარმოებებში. აი, რატომ არ სჯერათ იუდეველებს, რომ იესოს შეეძლო ამის თქმა.

იესო ისევ და ისევ იმეორებს: **„მე მოვედი არა იმიტომ, რომ ძველი წერილების მოთხოვნები დავარღვიოთ, არამედ შევასრულოთ ისინი“.**

მაგრამ რომელ ან რა წერილებს გულისხმობს? ამის შესახებ ის არაფერს ამბობდა. იესო ძველი აღთქმის შესასრულებლად თუ მოვიდა, მაშინ მისი მტკიცება არასწორია, რადგან თითქმის ყოველთვის ეწინააღმდეგება ძველ აღთქმას, რაც შურისძიებაზეა აგებული. ძველ აღთქმაში მამაღმერთი შურისმაძიებლადაა გამოყვანილი. მასში ჩადებულია შიში. თქვენ ღვთის მოშიში უნდა იყოთ, იესო კი ამბობს, რომ **„ღმერთი თვითონ სიყვარულია!“**

შეუძლებელია სიყვარულის გეშინოდეთ, როცა **„ღმერთი თვითონ სიყვარულია!“** ხოლო თუ გეშინიათ, როგორღა გეყვარებათ? შიში წაშლავს და კლავს სიყვარულს. როგორ შეიძლება, გიყვარდეთ ის, ვინც შიშს ბადებს თქვენში? შიშმა შეიძლება სიძულვილი დაბადოს, მაგრამ ვერასოდეს ვერ შექმნის სიყვარულს.

მაშასადამე, ძველი აღთქმის მიხედვით მორწმუნე ღვთის მოშიშია, ხოლო ახალი აღთქმის მიხედვით — ღვთის მოყვარული. სიყვარული და შიში სრულიად განსხვავებული განზომილებებია. იესო ამბობს: **„ნათქვამია „თვალი თვალისა წილ“, მე კი გეუბნებით — ვინმემ თუ დაგარტყათ ერთ ლოყაზე, მეორეც მიუშვირეთ“.** ეს მთლიანად ეწინააღმდეგება იუდეურ წარმოდგენას. ასეთ რამეს ვერ წააწყდებით მათ წმინდა წერილებში. ასე რომ, როდესაც ქრისტე ამბობს: „მე მოვედი, რომ აღვასრულო წერილები“, საკითხავია, რა წერილებს გულისხმობს.

იესო ინდოეთში რომ ყოფილიყო და იგივე ეთქვა, მას გაუგებდნენ, რადგან უპანიშადები, დჰამაპადა, ბუდას გამონათქვამები სიყვარულსა და თანაგრძნობაზეა აგებული და იესო

სწორედ ამას აღასრულებდა. იუდეური წერილები კი შიშსა და დანაშაულზეა დაფუძნებული. აი, რატომაა, რომ რაც არ უნდა ეთქვა იესოს, იუდეველებს კარგად ესმოდათ, რომ ის მათი წერილების მოთხოვნების შესასრულებლად არ მოვიდოდა. თქვენ ვერ ნახავთ ძველ აღთქმაში ამის მსგავს გამონათქვამს.

„მე ვარ ნათელი ყოველთა ზედა,
მე ვარ ყოველი და ყოველი გამოვიდა ჩემგან,
და ყოველი მოვიდა ჩემამდე,
გაჩეხეთ ხის ნაფოტი და მასში ვიქნები,
ასწიეთ ქვა და ქვის ქვეშ მიპოვით...“

ამის მსგავსი ათასობით გამონათქვამის ნახვა შეიძლება უპანიშადებში, გიტაში, ბუდას ქადაგებაში, მაგრამ ვერავითარ პარალელს ვერ გააკეთებთ ძველ აღთქმასთან. მაშ, რა წერილების შესასრულებლად მოვიდა იესო? ის რაღაც სხვა წერილებს, სხვა ტრადიციებს მიელტვოდა. მისი გამონათქვამი მილიანად ემსხვევა ვედანტას. შეეცადეთ, გაიგოთ ვედანტის უმთავრესი აზრი და იესოს გამონათქვამსაც ჩასწვდებით.

იესო იუდეაში დაიბადა, ცხოვრობდა როგორც იუდეველი, მოკვდა იუდეველად, მაგრამ ეს ყველაფერი იყო ფიზიკურად. სხვა მხრივ, იესო ნამდვილი ინდუსი იყო და თქვენ ვერ ნახავთ იესოზე უფრო ჭეშმარიტ ინდუსს, რადგან უპანიშადების რელიგიის საფუძველი მისი საფუძველია. მან მთელი თავისი სტრუქტურა ამ ნიადაგზე ჩამოაყალიბა.

იუდეველები ამბობენ: „ღმერთი შემოქმედია, სამყარო ქმნილებაა, ხოლო ქმნილება არასოდეს არ იქნება შემოქმედი. როგორ შეიძლება სურათი მხატვარი გახდეს? როგორ შეიძლება პოემა პოეტად იქცეს? ეს შეუძლებელია! ადამიანი ქმნილებაა, ღმერთი — შემოქმედი და ეს დისტანცია არასდროს არ იქნება დაძლეული. ყოველთვის დარჩება შუალედი. თქვენ შეიძლება მიუახლოვდეთ ღმერთს, მაგრამ ვერასოდეს ვერ გახდებით ღმერთი“.

ეს იუდეური აზრის საფუძველია და მაჰმადიანებმაც ეს აზრი მათგან გადაიღეს. თავიანთი გონებითა და აზროვნების

კულტურით მუსულმანები იესოზე მეტად არიან იუდეველები. მუჰამედი უფრო ახლოა მოსესთან, ვიდრე — იესო. მუჰამედს ბევრი არაფერი უსწავლია ინდუსებისაგან. ვედანტა ამბობს: „ღმერთი ქმნილებაა, ღმერთი და ქმნილებები ერთმანეთისაგან არაფრით არ განსხვავდება. ღმერთი სამყაროს არ ჰქმნის პოეტის მსგავსად, რომელიც იგონებს და ოხზავს პოემას. იგი მოცეკვავეს ჰგავს, რომელთანაც ცეკვაა გაეროვიანებელი — მოცეკვავე თუ გაქრება, ცეკვაც გაქრება, ხოლო ცეკვა თუ შეწყდა, ის მოცეკვავე აღარ იქნება. სამყარო არ არის ღვთისაგან გამოყოფილი. ისინი შერწყმულია ერთმანეთთან. სამყარო გარკვეული დროის განმავლობაში არ წარმოშობილა, ის ყოველ წამს იქმნება, რადგან ის ღვთის არსებობაა. ისევე, როგორც დადიხართ, გიყვართ და მღერით, ღმერთიც ყოველ წამს ქმნის და თითოეული ქმნილება მისი ცეკვა და მისი მოძრაობაა“.

აი, რატომ შეუძლიათ უპანიშადებს თქვან: „ათმა ბრაჰმანმა“. მათ, ვინც ეს საიდუმლო შეიცნო, შეუძლია თქვას: „მე ღმერთი ვარ!“ და არავინ არ ჩათვლის ამას მკრეხელობად. ეს ჭეშმარიტებაა!

იუდეველები ვერასოდეს ვერ იტყვიან: „მე ღმერთი ვარ!“ რადგან ეს ღვთისგმობაა. წარმოუდგენელია ამ განცხადებაზე უმსგავსესი რამ. თქვენ ცდილობთ ღმერთი გახდეთ? ქმნილება ცდილობს ღმერთად გახდომას? მონა ამტკიცებს, რომ ის ბატონია? ეს ეგოიზმია! ის, რაც ვედანტისთვის წმინდა რელიგიაა, იუდეველებისა და მუსულმანებისათვის ეგოიზმია. ვედანტა ამბობს, რომ ეს „ეგო“ არ არის, რადგან ის გრძნობა, რასაც „მე ღმერთი ვარ!“ ჰქვია, მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, როცა პირადი „მე“ სრულიად გამქრალია. როდესაც თქვენ აღარა ხართ, მაშინ სახლი თაეისუფალია ღა ნაეი — ცარიელი, მაშინ თქვენ უეცრად ყველაფერს შეიცნობთ და ყველაფერი გახდებით. თუკი დაუშვებთ, რომ „თქვენ“ არსებობთ, როგორღა იფიქრებთ, რომ თქვენ ყველაფერი ხართ? თუკი „თქვენ“ არსებობთ, მაშინ თქვენში საზღვარიც იარსე-

ბებს, პიროვნებაც და ეს მტკიცება ყალბი აღმოჩნდება. როდესაც „მე“ ქრება, როცა „ეგო“ აღარ არსებობს, მხოლოდ მაშინ იგრძნობთ, რომ ყველაფერი ხართ. იესოს გამოსათქვამები უპანიშადებიდან მომდინარეობს.

პირველი, რაც უნდა დაიმახსოვროთ: შემქმნელი და ქმნილება განუყოფელია და ერთიანი. მეორე — ჩვეულებრივი მათემატიკა ამტკიცებს, რომ ნაწილი ვერასოდეს ვერ გაუტოლდება მთელს. მექანიზმებში ეს ასეა, ხელი რომ მოიჭრათ, თქვენი ხელი და თქვენ ერთიანი აღარ იქნებით. ნაწილი არ შეიძლება მთელი გახდეს, ეს ჩვეულებრივი ლოგიკაა. და თუკი სამყარო მექანიკურია, მაშინ ეს სიმაროლეა.

მაგრამ ვედანტა ამბობს, რომ ყოფიერება ორგანულია და არა მექანიკური. ორგანულ ერთიანობაში სხვა მათემატიკა მოქმედებს. ნაწილი მთელია. სწორედ ამის საფუძველზე შეიძლება ადამიანმა განაცხადოს: „მე ღმერთი ვარ, რადგან მხოლოდ ნაწილი ვარ. ღმერთი კი ყველაფერია!“ მაგრამ როგორ შეიძლება ნაწილი მთელი იყოს? ეს ხომ უდიდესი სისულელეა! ჩემსა და ყოფიერებას შორის თუ მექანიკური დამოკიდებულებაა, მაშინ ეს შეუძლებელია, მაგრამ ორგანული ერთიანობა თუა, მაშინ დასაშვებია.

თქვენ არ არსებობთ, როგორც საკუთარ თავში არსებული ცალკეული წარმონაქმნი, არა! არ არსებობთ, როგორც კუნძული. თქვენ ტალღა ხართ ოკეანეში და ორგანულად უკავშირდებით ამავე ოკეანეს. ოკეანე მოძრაობს და „ღელავს“ თქვენით. წარმოუდგენელია თქვენი არსებობა მის გარეთ, ხოლო ღრმად თუ ჩასწვდებით, მიხვდებით, რომ ვერც ოკეანე იარსებებს თქვენს გარეშე, — თქვენ ურთიერთდაკავშირებული ხართ.შეიძლება თქვათ, რომ ოკეანე ყველა ტალღაში არსებობს და ის სხვა არაფერია, თუ არა ყველა ტალღის ერთობლიობა. შეუძლებელია ტალღა მოაცილოთ ოკეანეს. შეუძლებელია ოკეანის დანახვა. მხოლოდ ტალღას თუ დაინახავთ. ასე რომ, ისინიც ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული.

ვედანტა ამბობს, რომ ქმნილება ორგანულადაა გაერთიანებული შემქმნელთან, სამყარო ვერ იარსებებს ღვთის გარეშე. ამის გაგება იუდეველებსა და მუსულმანებსაც ძალუძთ, მაგრამ ინდუისტები, კიდევ ამატებენ მეორე ნაწილს: ღმერთსაც არ შეუძლია სამყაროს გარეშე არსებობა, რაც იუდეველთათვის ღვთის გმობაა.

დიახ, ღმერთი სამყაროს გარეშე ვერ იარსებებს. ის თუ შემქმნელია და მისი თვისება შემოქმედება თუ არის, მაშ, როგორ იარსებებს სამყაროს გარეშე? არაფერი თუ არ გაქვთ შექმნილი, როგორ იქნებით შემოქმედი? სამყარო ღმერთზეა დამოკიდებული, ღმერთი კი — სამყაროზე. არსებობს ღრმა სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობა — ისინი დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე, ავსებენ ერთმანეთს, ისინი ერთიანი სხეულია. მათ ერთმანეთს ვერ დააცილებთ. ესე იგი, ჭეშმარიტი ნათლის მხილველი ის არის, ვინც შემეცნების იმ დონემდე ავიდა, რომ შეუძლია განაცხადოს: „აჰამ ბრაჰმასმი ანალ ჰაკ, მე ღმერთი ვარ!“ ის იმასაც ამბობს: „ოქვენ ყველგან მიპოვით, სადაც არ უნდა წახედეთ, ყველგან მე მსახეო. შეიძლება ფორმა იყოს სხვაგვარი, მაგრამ მე იქ ვიქნები!“

აი, რის შესახებ ლაპარაკობს იესო: „...გაისეხეთ ხის ნაფოტი და მე მასში ვიქნები...“

როგორ შეიძლება იქ იესო იყოს? თქვენ ვერ ნახავთ ფორმას, ვერ ნახავთ იოსებისა და მარიამის ძეს, ვერც დურგლის შვილს, თუკი ხის ნაფოტს გახლეჩთ. მაშ, რას იპოვით იქ? იქ ყოფიერება იქნება, ხოლო იესო ამბობს: მე ყოფიერება ვარ, შეიძლება, მხოლოდ ჩემი ფორმა შეიცვალოს, მაგრამ მე — არასოდესო.

„...ასწიეთ ქვა და ქვის ქვეშ მიპოვით...“

ეს სუფთა ვედანტა და ორგანული ერთიანობაა. აი, რატომ არიან ინდუსები ერთადერთნი მთელ მსოფლიოში, ვინც ტაძრებზე არ ზრუნავს. ტაძრის დაარსება მათ ნებისმიერ ადგილას შეუძლიათ — მოათავსებენ ხის ქვეშ ქვას, სულ ერთია, რანაირიც არ უნდა იყოს ის, თუნდაც დაუმუშავებელი, წით-

ლად შეღებილი და ღმერთიც იქ იქნება. ამის შემდეგ ღმერთს სცემენ თაყვანს. ნებისმიერი ხე, მდინარე და მთა გამოდგება ამისათვის, რაიმეთუ

„ვანიცხეთ ხის ნაჭერი და მასში ვიქნები,
ასწიეთ ქვა და ქვის ქვეშ მიპოვით...“

მაშ, რაღა საჭიროა წუხილი?

მხოლოდ ინდუსები ითავისუფლებენ თავს თავიანთი ღმერთებისაგან. ისინი ღმერთს ორი-სამი კვირით ქმნიან, ეთაყვანებიან, მერე ოკეანესთან მიდიან და თავიდან იცილებენ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რომ მაომარიანი ან იუდეველი ღმერთს თავიდან იშორებდეს. რას აკეთებთ? ღმერთს ოკეანეში ისვრით? ერეტიკოსი ხართ? გაგიჟდით?

მხოლოდ ინდუსებს შეუძლიათ ამის გაკეთება. მათი წარმოდგენით, ოკეანეც ღმერთია, და როცა ამოიწურება ღვთის დანიშნულება, უნდა გათავისუფლდეთ მისგან, ის ხომ ყველგან და ყველაფერშია. ეს არის „ყოფიერება“. უნდა გავიგოთ, რომ „ყოფიერება“ ღმერთია.

როდესაც ხე ყვავილობს, ღმერთი ყვავილობს; თესლი რომ აღმოცენდება, ღმერთი აღმოცენდება; მდინარე რომ მოედინება, ეს ღმერთი მოედინება. ღმერთი პიროვნება არ არის, ეს რომ ასე იყოს, მაშინ პრობლემა წარმოიშობოდა. იუდეველთა წარმოდგენის მიხედვით ღმერთი ხომ პიროვნებაა, ღმერთი კი სუფთა ყოფიერებაა და თავისთავად არსებული არსებობა. ის ყველაფერშია, მაგრამ შეუძლებელია მისი ნახვა რომელიმე კერძო საგანში. მას არ გააჩნია საცხოვრებელი, თქვენ ვერ მიხვალთ და ვერ დაუკაკუნებთ კარზე. მას არა აქვს მისამართი, ბარათი რომ მისწეროთ. ის არსად არ არის, რადგან ყველგანაა. თქვენ ვერ მიუთითებთ ისეთ ადგილს, სადაც ღმერთი შეიძლება იმყოფებოდეს, ვერ იტყვით, რომ ღმერთი აქ არის, რადგან ეს არასწორი იქნება.

მხოლოდ იმის ჩვენება შეიძლება, რასაც ფორმა აქვს და სხვა საგნებისაგან განსხვავებული ნიშნები გააჩნია. რასაც ფორმა არა აქვს და ყველაფერშია გავრცელებული, როგორ

ამოიცნობა? იუდეველებს კი ძალიან პიროვნული ღვთის კონცეფცია აქვთ. ხოლო იქ, სადაც პიროვნებაა, „ეგოც“ არის. იუდეველთა ღმერთი ძალიან ეგოისტურია, მას თუ არ გაუგონებთ, ჯოჯოხეთში მარადიული ტანჯვა გელით.

ეს ძალიან სერიოზული ამბავია. ღმერთი დიქტატორის ძალაუფლებას იძენს, მთელი ყოფიერება კი მორჩილად იქცევა. ასეთ შემთხვევაში თავისუფალი აღარ იქნება ხვედრი, ის მხოლოდ ღვთის თვისებად რჩება, ხოლო თქვენი დისციპლინა მონობა იქნება.

იესო სრულიად საპირისპიროს ამბობს: ღმერთი კი არა, ენერგიაა თვით სიცოცხლის ძალა, რასაც ბერგსონი „ცხოვრებისეულ სწრაფვას“ უწოდებს. ღმერთი ყოფიერებაა, ხოლო როდესაც ღმერთი არსებობს, სხვა ვერაფერი ვერ იქნება. ამაშია მთელი ის სირთულე, რისთვისაც იესო ჯვარს აცვეს. მას მხოლოდ რომ ეთქვა: „მე ღვთის ძე ვარ!“ იუდეველებს კიდევ შეეძლოთ მისი პატივება, მაგრამ იესო უფრო მეტს აცხადებდა.

ამ გამოსათქვამში იგი ამბობს:

„მე ვარ ნათელი ყოველთა ზედა...“

ის არ ამბობს, რომ ძეა, იგი აცხადებს, რომ მამაა — **„მე ღმერთი ვარ და არა ძე მისი...“**

„...და ყოველი გაიოვიდა ჩემგან,
და ყოველი მოვიდა ჩემამდე,
გაჩეხეთ ხის ნაფოტი და მასში ჟოქრები,
ასწიეთ ქვა და ქვის ქვეშ მიპოვით...“

შვილსაც კი შეიძლება ეპატიოს, მაგრამ განსხვავება მაინც რჩება. მამა საწყისია, შვილი — პროდუქტი. შეიძლება მათ შორის სიახლოვე არსებობდეს, მაგრამ შვილი — შვილად დარჩება, მამა — მამად. ამიტომ შვილი მამას უნდა ეპორჩილებოდეს. ეს არ არის მონისა და პატრონის ურთიერთობა. ეს მამისა და შვილის დამოკიდებულებაა, უფრო ახლობლური, მაგრამ მაინც ურთიერთდამოკიდებულება. ისინი მაინც ორნი არიან.

ეს გამონაკლისი არ წერია ბიბლიაში, არც შეიძლება, რომ ეწეროს. ამის გაცხადება იესოს მხოლოდ თავისი მოწაფეებისათვის შეეძლო — ამის გაგების უნარი მხოლოდ მათ ჰქონდათ, ვინც ახლოს იყვნენ მასთან. ბაზრის მოედანზე იესო ამბობს: **„მე ღვთის ძე ვარ!“** ხოლო მოწაფეებს ეუბნება: **„მე თვით ვარ ღმერთი!“** მე ვარ ყველაფრის საწყისი, ალფა და ომეგა, ყველაფერი ჩემიდან გამოდის და ყველაფერი ჩემამდე აღწევს.

სუფთა ვედანტაა და მის უკეთ გასაგებად გიტასა და უპანიშადებს უნდა მიმართოთ. ეს ის არის, რასაც კრიშნა ეუბნება არჯუნას: **„მე ყველაფერი ვარ, ყველაფრის საწყისი, ყველაფერი ჩემგან მოდის და ჩემშივე იკარგება. მოიცილე შენი „ეგო“ და დაემხე ჩემს ფერხთით“.** იესოს სიტყვები კრიშნას სიტყვებივით ჟღერს.

არსებობს ერთი მშვენიერი ტრადიცია. მე არ ვიცი, რამდენად შეიძლება მისი მტკიცება, მაგრამ ტრადიცია მშვენიერია და ამდენად დამტკიცებას არ საჭიროებს. სიტყვა „ქრისტე“, უბრალოდ, ფორმაა სიტყვა „კრიშნასი“. ეს შესაძლებელია. ბენგალიაში „კრიშნას“ კლავინდებურად „კრისტოს“ უწოდებენ, რადგან „კრიშნა“ პიროვნების სახელი კი არა, სრულყოფილების მიღწევის აღნიშვნაა. ასეცაა ბუდაც. ეს არ არის სახელი, ეს გასხივოსნებულის სრულყოფილების მიღწევის აღმნიშვნელი სიტყვაა. სიტყვა „ბუდას“ გამოღვიძებულს უწოდებენ. რას ნიშნავს „კრიშნა“? ეს მისი წოდებაა, ვინც მსოფლიო ცენტრი გახდა — „კრიშნა“ მაგნიტურ ცენტრს ნიშნავს, რომელიც იზიდავს და მთელი ყოფიერების ცენტრია. ასეთივე მნიშვნელობა აქვს „ქრისტეს“.

მარიამმა თავის ვაჟს იესო დაარქვა. „ქრისტე“ მაშინ დაემატა, როცა იგი მსოფლიო ცენტრი გახდა, ამ გამონათქვამში იგი ამბობს: **„მე ცენტრი ვარ, ყველაფერი ჩემგან გამომდინარეობს და ყველაფერი ჩემთან ბრუნდება. თუ მშორდებით, მაშინ უნდა მოაღწიოთ ჩემამდე“.** სრულიად დასაშვებია, „ქრისტე“ რომ, უბრალოდ, „კრიშნას“ ფორმა

იყოს. ეს ფრიად მრავალმნიშვნელოვანია, რადგან კრიშნას განცხადება „გიტაში“ და იესოს გამონათქვამი ზუსტად ერთნაირია.

მესამე, რაც ვედანტიდან უნდა გაიგოთ, იმაში მდგომარეობს, რომ ისეთად გღებულობთ, როგორიც ხართ, რადგან უარყოფა, თვით ღმერთის უარყოფა იქნება. უარყოფა იმის მანიშნებელია, რომ რაღაცა გასაკეთებელია, რომ ისეთები, როგორიც ხართ, უვარგისები ხართ და რაღაც უნდა მოიკვეთოთ. ისეთები, როგორიც ხართ, მიუღებელნი და არასასურველები ხართ. უნდა გამოიცვალოთ, მხოლოდ მაშინ იქნებით მისაღები.

ვედანტა ამბობს, რომ ისეთი სახით ხართ მისაღები, როგორიც ხართ.

არაფრის ქმედება არ არის საჭირო, რადგან თვით ქმედების იდეა იყო თქვენი უბედურების მიზეზი. ქმედების იდეა ყოველთვის თქვენი უბედურების მიზეზია, რადგან რასაც არ უნდა აკეთებდეთ, მაინც ქვეცნობიერად მოგიყვანთ. აი, რას ეძახიან ინდუისტები „კარმას“. „კარმა“ ცუდის ქმედებას როდი ნიშნავს, იგი უბრალოდ ქმედებას შეესატყვისება. ამქვეყნად იმის გამო იმყოფებით, რომ ძალიან დიდ ყურადღებას უთმობთ ამა თუ იმ ქმედებას. ნუ დაუთმობთ ქმედებას ამდენ ყურადღებას, ყოფიერებას მიაქციეთ მეტი ყურადღება, ნუ იფიქრებთ, რომ უნდა იმოქმედოთ, იფიქრეთ, უბრალოდ, ვინა ხართ. ვედანტა ამორალურია, ის არ ზრუნავს მორალსა და ამორალურზე. მისთვის უცხოა ათი მცნება. ვედანტა არაეითარ მითითებებს არ გაძლევთ და არ ლაპარაკობს აუცილებლობის ტერმინოლოგიით. ის ამბობს, რომ თქვენნაირები არსებობენ, რომ კარგები, მშვენიერები და ჭეშმარიტები ხართ. პრობლემა იმაში კი არ არის, რომ სხვები უარგყოფენ, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ თვითონვე უარყოფთ საკუთარ თავს.

ხოლო საკუთარ თავს თუ უარყოფთ, მანკიერ წრეში აღმოჩნდებით. მაშინ შეეცდებით, უკეთესი გახდეთ, მაგრამ არაფერი გაუმჯობესდება, რადგან თქვენ თავად ღმერთი ხართ.

მაშინ თქვენ უბედური იქნებით, რადგან შეუძლებელია იმაზე უკეთესის გახდომა, ვიდრე ხართ. თქვენ უკვე ღვთიური ხართ და როგორ შეიძლება ღვთიურის სრულყოფა? და თუ თქვენ ღვთიურის გაუმჯობესებას ცდილობთ, ეროი ცხოვრებიდან მეორეში გადახვალთ, გამუდმებული გაუმჯობესების მცდელობით, სინამდვილეში კი არავითარი გაუმჯობესება არ ხდება, თქვენ უცვლელი რჩებით.

ეს ადგილზე სირბილს ჰგავს — თქვენ იხრჩობით, სული გეხუთებათ, ასეთ დიდ საქმეს აკეთებთ, გგონიათ, რომ უფრო სწრაფად მირბიხართ, რაღაცას აღწევთ, ამ დროს კი ადგილზე მირბიხართ. მთელი თქვენი ცხოვრება ადგილზე სირბილია. არსად არ აღმოჩნდებით, რადგან წასასვლელი არსად არ გაქვთ. ვერ გაუმჯობესდებით, რადგან ეს შეუძლებელია. ვერ გააუმჯობესებთ იმ ზღვრულს, რომელიც თქვენშია. ამის „იქით“ არ არსებობს, ამაზე „უკეთესი“ არ მოიპოვება.

ვედანტა ამბობს, რომ თქვენ ღვთიური ხართ. ამის გაგებაა საჭირო და არა ქმედება. თქვენ საკუთარ არსში უნდა ჩაიხედოთ და გაიგოთ, ვინა ხართ. პრობლემა ის კი არ არის, რომ ცუდი ხართ, არამედ ის, რომ საკუთარ თავს არ უყურებთ. პრობლემა გაგებაშია და არა ქმედებაში. პრობლემა სწორ პერსპექტივაშია, საიდანაც თავს დაინახავთ.

ერთხელ ფსიქიატრის კაბინეტში ერთი მაშაკაცი შემოვარდა და თქვა: „ექიმო, დამეხმარეთ, მეტი აღარ შემიძლია. მეხსიერება მღალატობს. იმასაც ველარ ვიხსენებ, გუშინ რას ვაკეთებდი, დღეს დილით რას ვლაპარაკობდი. მომეხმარეთ! ჭკუიდან ხომ არ შევიშალე?“

ფსიქიატრმა ჰკითხა: „როდის დაიწყო ეს ყველაფერი?“

მამაკაცი დაიბნა: „რას მეკითხებით?“ მას უკვე დავიწყებოდა ყველაფერი.

პრობლემა ის არის, რომ საკუთარი თავი დაივიწყეთ.

რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ამით კარმას ქმნით, კარმა კი წრე და ბორბალია. ერთ კარმას მეორისკენ მივყავართ, „ა“-ს „ბ“-კენ, „ბ“-ს კი „გ“-კენ. თქვენ ბორბლის ერთი ნაწილიდან

მეორეს ესწრაფვით. კარმა არასოდეს მიგიყვანთ გათავისუფლებამდე, რამეთუ უკვე თავისუფალი ხართ. ჩემთან ხალხი მოდის და მე იძულებული ვარ, ისინი დავსაქმო, რადგან სხვაგვარად ვერ მიხვდებიან, რომ უკვე გათავისუფლებულები არიან. მათ ვეუბნები, რომ სხვადასხვანაირად იმოქმედონ, იმიტომ, რომ დავღალო; რათა ერთხელაც ისე დაიქარცონ, რომ მოვიდნენ ჩემთან და მითხრან, რომ აღარაფრის გაკეთება აღარ სურთ.

მხოლოდ მაშინ შემიძლია მათ ვუთხრა, რომ არაფრის გაკეთება არ არის საჭირო. მაგრამ თქვენ, ახალმოსულებს, ბევრი გაქვთ გასაკეთებელი. რომ გითხრათ არაფრის გაკეთება არ არის — მეთქი საჭირო, წახვალთ და ვინმე სხვასთან აღმოჩნდებით, რომელიც გეტყვით, რა უნდა აკეთოო. არაფრის გაკეთება არ არის საჭირო! ისეთები, როგორიც ხართ, უკვე ღვთიურებად ითვლებით. ეს ვედანტაა. ეს არ არის ზნეობა, ეს სუფთა რელიგიაა. აი, რატომაა მსოფლიოში ასე ცოტა ვედანტისტი, შეუძლებელია ისინი ბევრნი იყვნენ. აი, რატომ არ გახდა ვედანტა მსოფლიო რელიგია ქრისტიანობისა და ისლამის მსგავსად.

ეს შეუძლებელია, რადგან თქვენ ღრმა მოთხოვნილება გაქვთ, რამე აკეთოთ და თუკი ვინმე ამბობს: „არაფრის გაკეთება არ არის საჭირო. თქვენ უკვე ბრაჰმა ხართ, უკვე ღვთიურები ხართ“, არ მოუსმენთ მას. ის სისულელეებს როშავს — თქვენ ხომ არ ღებულობთ საკუთარ თავს და უარყოფთ მას. თქვენ მიზანს გინდათ მიაღწიოთ. რატომ ხდება ასე ადამიანის გონებაში?

ეს ჯერ კიდევ ბავშვობისას ხდება. ყველა ჩვენთაგანს ერთნაირი ბავშვობა ჰქონდა. მხოლოდ ტრივიალურ ამბებშია განსხვავება. სინამდვილეში ბავშვობას ერთი უმთავრესი ელემენტი აქვს, რომელიც მთელ ამ პრობლემას ქმნის. საქმე იმაშია, რომ არც ერთი ბავშვი ისეთი არ აღიქმება, როგორიც არის. როგორც კი იგი იბადება, მაშინვე მთელი საზოგადოება, მშობლები, დედა, მამა, ახლობლები, ყველა მის გადასხვაფერებას ცდილობს; უფრო მშვენიერს, უფრო ზნეობ-

რივს ხდის, და ყოველისხრივ აუმჯობესებს მას. ისეთნი, როგორიც ხართ, ცუდები ხართ. ამიტომ რაღაც უნდა გაკეთდეს, რომ მიგიღონ და გაღიარონ.

და ბავშვიც ისევ და ისევ გრძნობს, რომ მიუღებელია. კარგს თუ აკეთებს, მაშინ აღიარებენ; რომელიმე წესს თუ ეწინააღმდეგება — კიცხავენ და სჯიან. თუკი ის მოგყვებათ და გემორჩილებათ, აღიარებთ ბავშვს; მაგრამ თუ გაუგონარია, უბრაზდებით და ძალადობას ამჟღავნებთ მის მიმართ. ბავშვი ერთ რამეს სწავლობს. საკითხი ქმედებაშია და არა ყოფიერებაში. მოიქეცი წესიერად და ყველა შეგიყვარებს; სხვანაირად კი უარგყოფენ და შეგიძულებენ.

თქვენ არა ხართ მთავარი. გააკეთეთ რამე სწორად და ქვეყანა მოგესალმებათ. გააკეთებთ არასწორად და ყველანი კარს მოგიხურავენ.

ბავშვი ხვდება, რომ ამქვეყნად არსებობისათვის ყოველთვის წესიერად უნდა მოიქცეს. ეს კი საკუთარი თავის ღრმა უარყოფას ბადებს, რადგან არასწორი საქმეები მაინც ხდება, ხოლო ცარიელი ლაპარაკით მათ ვერ უკუაგდებთ. ისინი იარსებებენ და ბავშვს დამნაშავის გრძნობა უჩნდება. იგი საკუთარ თავს უარყოფს. ის ამბობს: „მე ცუდი ბავშვი ვარ“. მაგრამ საგნები, რომლებსაც არასწორს ვუწოდებთ, ბუნებრივნი არიან. ასე რომ, ბავშვს არ შეუძლია მათი მოშორება.

ყველა ბიჭი და გოგონა ეთამაშება თავის სასქესო ორგანოს. ეს მათთვის სასიამოვნოა, აკმაყოფილებთ და მათი სხეული ნეტარებასაც განიცდის, მაგრამ ამას ბავშვს უშლიან და ისიც იბნევა. რა გააკეთოს მან? ბავშვს მოსწონს სასქესო ორგანოს ხელით შეხება, მაგრამ ამას რომ აკეთებს, იგი ცუდი ბავშვია. ბავშვს ჰგონია, რომ მარტო თვითონ აკეთებს ამას და დამნაშავედ გრძნობს თავს.

ეს ღრმა პრობლემაა. ბავშვს არ უნდა ჭამა, რადგან თვითონ უკეთ იცის, შია თუ არა, მაგრამ თქვენ სამედიცინო რუტინას მიჰყვებით, — ექიმმა ხომ გითხრათ, რომ ბავშვი ყოველ სამ საათში ერთხელ უნდა დააპუროთ.

შეხელეთ იმ ბავშვებს, ძალიან რომ აჭმევენ. ისინი უარზე არიან, პირს არ აღებენ, ლუკმას არ ყლაპავენ, რადგან კარგად იციან თავიანთი მოთხოვნილება. მათ არ შიათ და მორჩა, თქვენ კი ჭამას აძალებთ, ხოლო როცა შიათ და ტირიან, საჭმელს არ აძლევთ, რადგან ამის დრო არ არის. ვინ იღებს გადაწყვეტილებას? ბავშვი თუ თქვენ?

გადაწყვეტილებას თუ თქვენ იღებთ, მაშინ ბავშვს დამნაშავის გრძნობა უჩნდება, რადგან ფიქრობს, რომ რაღაცას არასწორად აკეთებს.

წმინდა ავგუსტინეს უთქვამს: „ღმერთო, შემიწყალე, რადგან არასდროს არ ვაკეთებდი იმას, რაც კარგია, ხოლო ყოველთვის ვაკეთებდი იმას, რაც ცუდია“. ეს ჩვენისმიერი ბავშვის ლოცვაა. თქვენ იღებთ გადაწყვეტილებას და ამით დანაშაულს ნადირთან — ბავშვი არ გრძნობს შიმშილს, თქვენ კი საჭმელს აძალებთ.

ბავშვმა არ იცის, როგორ მოიქცეს, რადგან მის სხეულს ნებისყოფა არა აქვს, მით უმეტეს, რომ ამ ფენომენის წინაშე იგი უძლურია. ბავშვს არ ეძინება, ბაღში უნდა თამაში, თქვენ კი ძილს აძალებთ. რას მოიმოქმედებთ, დაძინება რომ გიბრძანონ მაშინ, როცა არ გეძინებათ? ოვალების დახუჭვა შეიძლება, მაგრამ დედ-მამა რომ გავა ოთახიდან, ბავშვი საკუთარ თავთან მარტო რჩება. როგორ შეასრულოს ბრძანება? როგორ გახდეს კარგი?

ცოდვა ისევ და ისევ მეორდება და ბავშვიც იწამლება. როცა ის თამაშობს, ცუდად იქცევა, რადგან ხმაურობს და გაწუხებთ. როცა ჩუმად ზის კუთხეში, ისევ რაღაც არასწორია. ავად ხომ არა ხართ, ეკითხებით. ბავშვი ყოველთვის იმიტომ იქცევა არასწორად, რომ ის უძლურია, თქვენ კი ძლიერი ხართ. ბავშვი დათრგუნულია, ყველაფერ ცუდს უარეყოფს და ძალისძალად ეჩვევა იმას, რაზედაც ფიქრობენ, რომ კარგია. ის ნიღაბს იკეთებს და მთელი ცხოვრების მანძილზე ღრმა ქვეცნობიერებაში ჭრილობებს ატარებს. ამიტომ არ გკვერათ ჩემი, როცა გეუბნებით: „ისეთი, როგორიც ხართ, ღმერთი ხართ“.

თქვენ კარგიც არა ხართ, როგორ შეიძლება, ღმერთი რომ იყო? ღმერთი უკიდურეს სიკეთეს ნიშნავს, თქვენ კი ყოველდღიურ ყოფაშიც არა ხართ კეთილი და როგორ იქნებით ღმერთი? თქვენ რომელიმე სხვა მასწავლებელთან წახვალთ, რომელიც დაგადანაშაულებთ და გეტყვით, რომ დამნაშავე და ცოდვილი ხართ.

მაშინ კი დამშვიდდებით. ის მართალი იქნება, რადგან იმას გეტყვით, რასაც მანამდე თავად გრძნობდით. აი, რატომ ეთაყვანებით იმ ხალხს, ვინც გადანაშაულებთ და ისე გიყურებთ, როგორც ბინძურ და მახინჯ მატლებს. ხოლო ე.წ. წმინდანის გარშემო უამრავ მიმდევარს თუ ხედავთ, ყოველთვის მოუნახავთ ამას მიზეზს. ის ყველას ადანაშაულებს და ეუბნება: „თქვენ ცოდვილები ხართ და თუ არ დამიჯერებთ, ჯოჯოხეთში მოხვდებით“. ამ წმინდანს აბსოლუტურად მართალი ჰგონია თავი და გეთანხმებათ თქვენი დანაშაულის შეგრძნობაში. ასე რომ, როდესაც გადანაშაულებენ, თავს კარგად გრძნობთ, რაც სისულელეა და აბსურდი!

თქვენ შეშფოთდებით, ვინმემ რომ გითხრათ. „თქვენ კარგი ხართ, მე გაღიარებთ, ვინც არ უნდა იყოთ ისეთს, როგორიც ხართ. თქვენში ღვთიურმა ეს გზა აირჩია. ის ასეთი სახის არსებობს თქვენში, მე ვაღიარებ თქვენს სექსს, რისხვას, სიძულვილს, ეჭვიანობას; გაღიარებთ მთლიანობაში, რადგან მხოლოდ ამ მთლიანობის მიღებით შეიძლება ერთიანის მიღწევა და ეს ერთიანი სჯობნის ეჭვიანობას, რისხვას, სექსსა და სიხარბეს“. არავის არ ძალუძს სიხარბის გარდასახვა — ის ერთიანი უნდა გახდეს, მხოლოდ მაშინ მოხდება გარდასახვა.

აი, რატომ იყო შეუძლებელი იესოს პატიება — იუდეველები ხომ დანაშაულის უდიდესი შემქმნელები არიან. მთელი კაცობრიობაც ამ გზით მიდის, მაგრამ იუდეველებს ვერავინ შეედრება. მათი წარმოდგენით, ადამიანთა მოდგმა იმიტომ არსებობს, რომ ადამმა და ევამ პირველი ცოდვა ჩაიდინეს და თქვენც ამ ცოდვის საშუალებით დაიბადეთ. ადა-

მიანი ცოდვის გზით იბადება და ცოდვა რჩება რჩება ფუძემდებელ კონცეფციად.

როგორ აღიარონ, რომ ღმერთი ხართ? ღმერთთან ახლოს ყოფნა მხოლოდ მონანიებასა და თვითგარდასახვაში შეგიძლიათ; მაშინ, როდესაც ცდილობთ უკეთესად გახდომას, ამ ერთადერთი პირობით მიგიღებთ მამაღმერთი. მაგრამ ისეთებს, როგორიც ხართ, არ გაღიარებენ და ღმერთსაც დაშორდებით.

რაში მდგომარეობს ადამისა და ევას ცოდვა? ურჩობაში. მაგრამ რატომაა ღმერთი ასე შეპყრობილი დამორჩილებით? იმიტომ, რომ ეს ყველა მამის თვისებაა. ღმერთი კი სხვა არაფერია, თუ არა კოსმიური მამა. ნუთუ არ შეუძლია ღმერთს თავის ბავშვებთან ითამაშოს, რომლებიც ასე ტკბებიან საკუთარი თავით? რა გააკეთეს მათ ასეთი ცუდი? უბრალოდ, ხიდან ერთი ვაშლი შეჭამეს, რაც აკრძალული ჰქონდათ.

ღმერთი ეგოისტად გამოიყურება. „ეგო“ ხომ ყოველთვის დამორჩილებითაა შეპყრობილი, მაგრამ ღმერთს არავითარი „ეგო“ არ გააჩნია. ის ვერ მოითხოვს მორჩილებას! როგორც ჩანს, ეს ამბავი ქურუმთა შეთხზულია.

და აი, თქვენ დანაშაულს გრძნობთ — ცოდვის გზით იშვით, დაბადებიდანვე ცოდვილნი ხართ. ერთადერთი, რაც დაგრჩენიათ, საკუთარი თავის გაუმჯობესება და წინადაცვეთაა, რომ როგორმე გაღიარონ. ვედანტა კი ამბობს, რომ თქვენ ცოდვილი არა ხართ. შეიძლება უმეცარი იყოთ, მაგრამ ცოდვილი — არასოდეს. ეს სრულიად სხვა პოზიციაა. ღმერთი კი არ არის თქვენს წინააღმდეგ, ეს თქვენ შეგიძლიათ, მის წინააღმდეგ რომ იყოთ; მაგრამ მიუხედავად ამისა, ის არ იძიებს თქვენზე შურს. ინდუისტები გეტყვიან, რომ თქვენი უბედურების მიზეზი ცნობიერების კი არა, უმეცრების ხის ნაყოფის ჭამაა. ადამიანი შეიძლება უმეცარი იყოს, ის არის კიდეც ასეთი, რადგან საკუთარ არსს ვერ აცნობიერებს. ამ შემთხვევაში ყველაფერი არასწორად წავა, მაგრამ ეს სულაც არ არის ცოდვა.

მაშასადამე, რელიგია მეტი სინათლის, მეტი ცოდნისა და შეცნების მოტანას ნიშნავს, მაგრამ არა მორალისა და სათნოების მეშვეობით, სათნოება მხოლოდ თანამდევი პროდუქტია. როცა ცნობიერნი ხართ, სათნოებაც მოდის, ის ჩრდილივითაა. როცა უმეცარნი ხართ, ცოდვა მოგყვებათ, რადგან უმეცრება სხვაგან ვერსად ვერ მიგიყვანთ. მისი მეშვეობით ოქვენ შეცდომებს უშვებთ, რაც ცოდვის ტოლფასია.

ეს იმას ნიშნავს, რომ ორს მივუმატოთ ორი ხუთს ულრიდეს, მაგრამ ეს ხომ ცოდვა არ არის! ვინმეს თუ ჰგონია, რომ 2+2=5, ამის გულისთვის მარადიული ტანჯვა ხომ არ უნდა ირგუნოს ჯოჯოხეთში? ეს უბრალოდ შეცდომაა და არა ცოდვა. ამ ადამიანის განსწავლაა საჭირო, მან უბრალო მათემატიკა არ იცის და მეტი არაფერი.

ველანტა ამბობს, რომ თქვენ არაცნობიერნი და საკუთარი თავის უცოდინარნი ხართ. ცნობიერნი თუ გახდებით, უკვე ღმერთი ხართ. არ არსებობს ღმერთი თქვენს მეტი, მაგრამ ეს ეგოისტური მტკიცება როდია, რადგან ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა „მე“, როგორც ცენტრი, გაქრება და თქვენ „ყველაფერი“ გახდებით.

იესო ამბობს: „მე ვარ სათელი ყოველთა ზედა,

მე ვარ ყოველიდა ყოველი გამოვიდა ჩემგან,

და ყოველი მოვიდა ჩემამდე.

გაჩეხეთ ხის ნაფოტიდა მასში ვიქნები,

ასწიეთ ქვა და ქვის ქვეშ მიპოვით...“

ეს ერთ-ერთი ყველაზე პოეტური გამონათქვამია. მე იმის თქმა მინდა, რომ იესოსნაირი ადამიანი პოეტს ჰგავს, ვიდრე ფილოსოფოსს, თეოლოგს ან მათემატიკოსს. ის პოეტს უფრო ჰგავს და მის პოეზიას თუ დაჰკარგავთ, მთლიანად დაპკარგავთ მის გამონათქვამს. როდესაც პოეტი ლაპარაკობს, თქვენ შეიძლება აპატიოთ რაიმე და თქვათ, რომ ეს პოეზიაა, მაგრამ წმინდანი თუ ამტკიცებს რაიმეს, უფრო სერიოზულად აღიქვამთ, რადგან მეტია დადებული სასწორზე.

იესო პოეტია. ვინც ზღვარს მიაღწევს, ყველა პოეტია. მათემატიკის ენა უფრო ღარიბია, მას არ ძალუძს ბევრის გამოხატვა. ის უკიდურესად ზუსტია და ამის გამო — ღარიბი. პოეზია კი არ არის ზუსტი და არც განსაზღვრულია. აი, რატომ შეიძლება მისი მეშვეობით მეტის თქმა. მაგრამ პოეტიან ურთიერთობისას ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ ის იდუმალზე ლაპარაკობს.

ინდუისტებს არასოდეს არ მოუკლავთ არც ერთი გასხივოსნებული. რატომ? იმიტომ, რომ მათ ყველა გამოსათქვამს პოეზიასავით ღებულობდნენ, რომელიც ანალიზს არ საჭიროებს. იესოსთან რომ მისხვედით და უთხრათ: „შენ ამბობ, რომ მთელი ხარ, დაგვიმტკიცე, რომ მართლს ამბობ. უბრძანე მზეს, ჩავიდეს და მთვარე ამოვიდეს. მხოლოდ მაშინ დაგიჯერებთო“,- ამით თქვენ საკუთარ სისულელეს გამოამეღავნებთ. არ შეიძლება პოეტური გამონათქვამის პირდაპირ გაგება, რამეთუ ის მეცნიერულ მტკიცებას არა ჰგავს.

ამის გამო ქრისტიანები გამუდმებით ცდილობენ დაამტკიცონ, რომ იესო სასწაულებს ახდენდა — ქვა პურად აქციაო, მკვდარი გააცოცხლა, ბრმას თვალის სინათლე დაუბრუნა, კეთროვანი განკურნა და ა.შ. რა საჭიროა საოცრებებზე ყურადღების ასეთი გამახვილება? ჩვენ ხომ არასოდეს არ დავინტერესებულვართ ბუდათი, როგორც სასწაულმოქმედით.

თუკი დაამტკიცებენ, რომ იესო სასწაულებს არ ახდენდა, მაშინ ათვლის წერტილიც გაქრება და მასთან ერთად — ქრისტიანობაც, რაც იესოზე კი არა, მის სასწაულებზეა დამოკიდებული. სწორედ სასწაულები ამტკიცებენ, რომ იესო ღვთის შვილია.

არც ერთ სასწაულს არ შეუძლია არაფრის დამტკიცება. სინამდვილეში ეს სასწაული მხოლოდ იმათ უმეცრებაზე მიუთითებს, ვისზედაც შთაბეჭდილებას ახდენს. რამდენადაც ვიცი, იესოს ამის მსგავსი არასოდეს არაფერი არ ჩაუდენია. თქვენს დასარწმუნებლად სასწაული რომ მოეხდინა, ეს მისი მხრიდან სისულელე იქნებოდა. ის სასწაულები, მის გარშემო რომ ხდე-

ბოდა, უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე თქვენ წარმოგიდგენიათ. დიახ, ბრმებს თვალის სინათლე უბრუნდებათ, მაგრამ ეს სულაც არ იყო დაკავშირებული მხედველობით ორგანოებთან. ამას უფრო ღრმა, სულიერ სიბრმავესთან აქვს კავშირი. დიახ იესომ მკვდრები გააცოცხლა, მაგრამ სხეულზე კი არ არის აქ ლაპარაკი, არამედ თქვენზე — თქვენ ფიქრობთ, რომ ცოცხლობთ, მაგრამ ეს ასე არ არის. ხრწნადი არსებობიდან იესომ მკვდრები სიცოცხლეში დააბრუნა და ეს ჭეშმარიტად უდიდესი სასწაულია, ხოლო გვამის გაცოცხლება მედიცინის დახმარებითაც შეიძლება მოხდეს. ცნობილია ასეთი ფაქტებიც.

საბჭოთა რუსეთში მეორე მსოფლიო ომის დროს ექვსი კაცი გაუცოცხლებიათ. სამი ახლაც ჯანმრთელად გრძნობს თავს. ხოლო მედიცინას ეს თუ ძალუძს, რისთვისაა თქვენი ქრისტე სასწაულმოქმედი? მაშასადამე, მას შეუძლია იყოს კარგი ექიმი, მეცნიერი, მაგრამ არა გასხივოსნებული.

თვალის მკურნალობა შესაძლებელია. ადრე თუ გვიან ბრმას დაუბრუნებენ თვალის სინათლეს. მთავარი სხეული არ არის. იესო ახდენდა სასწაულებს, მაგრამ ეს სასწაულები სულიერი იყო და შინაგან არსს სწვდებოდა. თქვენ ბრმა ხართ, რადგან საკუთარი თავის დანახვა არ შეგიძლიათ. თქვენივე თვალებით საკუთარ თავს ვერ ხედავთ!

იესო ხალხს თვალს უხელდა, ის შინაგან სამყაროში იყურებოდა და ჭეშმარიტ მხედველობას ანიჭებდა ადამიანებს. მას არასოდეს არ გადაუქცევია ქვა პურად, ეს სისულელეა, მაგრამ მიმდევრები სასწაულებს ეძებდნენ, რადგან გასხივოსნებას თუ ვერ დაინახავდნენ, ვერ შენიშნავდნენ „ქრისტესაც“. ის მათთვის უჩინარი იყო, მათ მხოლოდ ქვის პურად გადაქცევის დანახვა შეეძლოთ.

ქრისტეს მიმდევრებს მხოლოდ ამქვეყნიური სწამთ და მატერიაზე უხილავი ზემოქმედება მათთვის უტყუარი მტკიცებაა. აი, რატომ არის, გასხივოსნებულზე უფრო მეტად ჯადოქრებს რომ ელტვიან, მათ, ვისაც ილეთების გაკეთება შეუძლიათ, ხოლო ყველა ილეთი უსარგებლოა და ჯადოქრები თავიანთი

უმეცრების გარდა არაფერს არ ამტკიცებენ. უფრო სწორად, ისინი ამტკიცებენ, რომ სხვა გაიძვერაა და ექსპლუატაციას გიწევთ.

იესო გაიძვერა არ არის, შეუძლებელია ასეთი უმანკო ადამიანი ფლიდი და ჯადოქარი იყოს. იგი არც სასწაულმოქმედია. მას არ აინტერესებდა უმეცრების ექსპლუატაცია და გარდა ამისა, წარმოიდგინეთ, მაროლა რომ გაეკეთებინა ეს ყველაფერი.

ერთ ქალს საზღვარგარეთ ვისკი გადაჰქონდა. როდესაც საბაჟოზე ჰკითხეს, რა ჰქონდა ჩანთაში, ქალმა უპასუხა, რომ წმინდა წყალი მიჰქონდა. მორიგე მებაჟე დაეჭვდა და თქვა: „მე ვნახავ, რადგან ისინი, ვისაც წმინდა წყალი გადააქვთ, ყოველთთვის ეჭვს იწვევენ“. „წყლის“ თქმაც ხომ საკმარისი იყო, რაღა საჭიროა „წმინდა?“ მებაჟემ გასინჯა და ნახა, რომ ვისკი იყო. ქალმა უთხრა: „ღმერთო! კიდევ ერთხელ გვანახე შენი სასწაული“.

იესო ვისკს წყალად აქცევდა? მკვდრებს აცოცხლებდა? ლაზარე წამოდგა კუბოდან? ხეიბარ ხალხს ანიჭებდა სიარულის უნარს, ბრმებს — თვალის სინათლეს, კეთროვანებს — ჯანმრთელობას? ეს სასწაულები მართლა რომ მომხდარიყო, იუდეველები უეჭველად ირწმუნებდნენ, რომ იესო ღვთის ძე იყო, რადგან მატერიალისტები იყვნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ყურადღების ღირსადაც არ გახადეს იგი. შეუძლებელია კვალში არ გაჰყვე ასეთ ადამიანს, რომელიც სასწაულებს ახდენს — გარშემო ხომ ყველა ავადაა და განსაცდელშია, ეს ადამიანი კი აუცილებლად განკურნავს ავადმყოფს, ქვას პურად აქცევს — მას ყველაფერი შეუძლია.

ასეთ კაცს მთელი იუდეა გაჰყვებოდა, მაგრამ იუდეველთა შორის არავინ აღმოჩნდა მისი მიმდევარი — იგი ჯვარს აცვეს. რაშია საქმე? იმაში, რომ სასწაულები ხდებოდა, მაგრამ ისინი უხილავი რჩებოდა. მათი აღქმა მხოლოდ ახლობლებს შეეძლოთ. სასწაულები კი ნამდვილად ხდებოდა. ლაზარე ისეთივე მკვდარი იყო, როგორც თქვენ. მე რომ

გაგაცოცხლოთ, ამ მოვლენას მარტო ჩვენ შევიტყობთ. სხვა ვერავინ ვერ შეიმჩნევს, ამას არც რადიოთი და არც ტელევიზიით არ გამოაცხადებენ.

ოქვენს არსში თუ გაგაცოცხლებთ, ამას მხოლოდ ოქვენთვის და ჩემთვის ექნება მნიშვნელობა და სხვა არავისთვის. სხვას ვერც დაუმტკიცებთ ამას. რაიეთუ ეს მოვლენა უხილავია. ამიტომ იყო ასე, სასწაულები ხდებოდა, მაგრამ იესოს მოწაფეები ვერ ამტკიცებდნენ ამას, რადგან უხილავ ფენომენთან ჰქონდათ საქმე. და მოწაფეებმაც ხალხში დაიწყეს სიარული, ისინი ჰყვებოდნენ, რომ სასწაულები ნახეს, რომ „მათ, ვინც ბრმა იყო ოვალი აეხილათ; ვინც მკვდარი იყო გაცოცხლდა“. სწორედ ამან მოიტანა უბედურება, რადგან იუდეველებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნა: „ჩვენც დაგვანახეთ! ეს კაცი თუ ნამდვილად ღვთის ძეა, გავიგოთ, მართლა ახდენს სასწაულებს თუ არა, დაგვანებეთ მისი ჯვარცმა და ერთად ვნახოთ, რა მოხდება. სხვისი გაცოცხლება თუ შეუძლია, თვითონაც აღდგება მკვდრეთით. უკვდავების საიდუმლო თუ იცის და ასეთი მკურნალი თუ არის, ჯვარს ვაცვათ და საკუთარ თავს უმკურნალოს“.

სწორედ მოწაფეების ამ სისუსტეზე დაიწყეს ლაპარაკი, რომლებიც შინაგან ფენომენს წარმოადგენდა, იესო მთელი ქვეცნობიერის დაკვირვების ობიექტად იქცა. ის ყალბ, არაჭეშმარიტ მესიად გამოიყურებოდა. ხალხი სასწაულს ელოდა, მაგრამ არაფერი არ მოხდარა. იესო ისევე მოკვდა, როგორც ორი ბოროტმოქმედი; ისევე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი. არც ნაოელი გადმოსულა ციდან და არც მიწისძვრა არ მომხდარა. ღვთის ძე ჯვარს აცვეს, ღმერთი კი დუმდა.

ამიტომ იუდეურ ხანაწერებში არაფერი მოიპოვება იესოს შესახებ. მათთვის იგი ყალბი იყო, რადგან ჯვარცმისას არაფერი არ დაუმტკიცებია. ჯვარცმა კი გამოცდა იყო, იმის გაცხადება, იყო თუ არა იესო ღვთის შვილი. მაგრამ მათ, ვისაც დანახვა შეეძლოთ, უდიდესი საოცრების მოწმეები

შეიქმნენ. ქრისტიანებს ეს გამოეპარათ, ხოლო იუდეველებმა პირველი სასწაული ვერ შენიშნეს, ისინი რაღაც გარეგან ეფექტს მოელოდნენ, რაც არ მომხდარა და ამიტომაც დაივიწყეს იესო. იგი თვითმარქვიად დარჩა.

ქრისტიანებს ის შინაგანი გამოეპარათ, რომელიც ჯვარცმისას მოხდა, ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილმა შესძლო ამის დანახვა. მათ, ვინც საკუთარ თავს ხედავდა, დაინახეს, რაც ჯვარცმისას მოხდა — იესო ეწამა და მაინც სიყვარულით აღსავსე დარჩა. სწორედ ის იყო სასწაული, რომ იესო მათთვის ლოცულობდა, ვინც ის ჯვარს აცვა. ეს უდიდესი სასწაულია, რომელიც დედამიწაზე შეიძლება მოხდეს.

„მამაო, შეუნდე მათ, რადგან არ უწყიან, რას სჩადიან...“ — ეს იყო იესოს უკანასკნელი სიტყვები. ეს ჯვარცმისას მოქმედი უდიდესი სასწაულია. მთელი სხეული იტანჯება, კვდება და მაინც სიყვარულით არის აღსავსე. ამ შემთხვევაში იესოს რისხვა სრულიად გასაგები იქნებოდა, მაგრამ მან დაამტკიცა, რომ ღვთის ძე იყო, რადგან მისი თანაგრძნობა კელავინდებურად სუფთა და უმწიკვლო დარჩა.

თქვენ არ შეგიძლიათ მოგეწამლათ ეს თანაგრძნობა, ვერ შეწუვეტდით ამ ლოცვას, ვერ გატეხდით იესოს გულს. ის ტანჯვასა და განსაცდელის ჟამსაც არ უარგყოფდათ.

სასწაულები მოხდა, მაგრამ ეს ის სასწაულები არ ყოფილა, რომელთა დანახვა თვალით შეიძლება, მაო მხოლოდ გულით თუ იგრძნობთ. იესო არ ყოფილა ჯადოქარი. მართლა ჯადოქარი რომ ყოფილიყო და ქვის პურად გადაქცევა ეცადა, ან კეთროვანი განეკურნა, მისი პიროვნება არ ელირებოდა და არც მე ვიზრუნებდი მასზე. მაგრამ შეეცადეთ, გაიგოთ — შინაგანი სიბრმავე თუ არსებობს, შინაგანი კეთრიც იარსებებს.

თქვენ მახინჯები ხართ და ეს სიმახინჯე თვითონვე შექმენით, რადგან დაიტანჯეთ დანაშაულით, აღიქსეთ შიშით, ეჭვითა და შფოთვით... ეს კეთრია. ის მატლივით ხრავს თქვენ შინაგან სამყაროს. შიგნით ჭრილობა გაქვთ. იესო კურნავდა, მაგრამ ეს შინაგანი სამუშაოა. ეს მასწავლებელსა და მოწაფეს

შორის ხდებოდა. სხვამ არაფერი არ იცის ამის შესახებ და მოწაფეც გვიან იგებს ხოლმე ამას. მასწავლებელი თავიდანვე აცნობიერებს, რომ ჭრილობა იკურნება, მოწაფეს კი ამისთვის დრო სჭირდება. ჩვეულებრივ, ის დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობს, რომ ჭრილობა ისევ არსებობს, მაგრამ სხვას არ შეუძლია ამის დანახვა.

იესო ამბობს: „მე ყველაფერი ვარ“. თქვენც ყველაფერი ხართ, ყველაფრის საწყისი და დასარული. იესო, უბრალოდ, თქვენი წარმომადგენელია. ის არაფერს ამბობს საკუთარ თავზე, მხოლოდ თქვენზე ლაპარაკობს, ისიც ნაწილობრივ. იგი ამბობს: „მე ყველაფერი ვარ!“

რას გულისხმობს? იმას, რომ თქვენც შეგიძლიათ გახდეთ ყველაფერი, რომ უკვე ხართ ყველაფერი, მაგრამ ვერ შეგიცნიათ ეს.

თქვენი უბედურება იმაშია, რომ არ შეგიძლიათ გაიხსენოთ, ვინა ხართ. თვითგახსენებაა საჭირო, მეტი არაფერი. უფრო შეგნებული უნდა გახდეთ, თქვენი ცნობიერება მწვერვალზე უნდა აიყვანოთ, რომლიდანაც დანახვას შესძლებთ. ამ მომენტში გასხივოსნდებით — არც ერთი კუთხე არ დარჩება ბნელი, თქვენი არსი მთლიანად განათდება. მაშინ შეიცნობთ იესოს, შეიცნობთ ბუდას, კრიშნას და მაშინ მეც მიმიხვდებით, რადგან მთელი მონაპოვარი ის არის, რომ შეგაძლებინოთ შეცნობა — ვინ ხართ.

დაიმახსოვრეთ ეს სიტყვები და ააყღერეთ. თქვენს გულებში, რადგან ამ სიტყვების მეშვეობით თქვენი თესლი გაღვივდება.

1974 წლის 4 სექტემბერი
პუნა, ინდოეთი

საუბარი მეთექვსმეტე

მეთექვსმეტე შეგონება

იესომ თქვა: „იხ, ვინც ახლოა ჩემთან, ახლოა ცეცხლთან
და იხ ვინც დაშორდა, შორსაა სახუეველისაგან“.

(თომა, 86)

იესომ თქვა: „მოდით ჩემთან, რამეთუ მსუბუქია უღელი ჩემი
და შეუფება ჩემი — იოლი.

(თომა, 91)

იესომ თქვა: „იხ, ვინც დარწეულდება ჩემს ბაგეთაგან,
გახდება ჩემნაირი, და მე შეეიქმნები მსგავსი მისი,
და დაფარულნი გაცხადდება მისთეის“.

(თომა, 112)

ადამიანი მონად იბადება და მთელს ცხოვრებას მონობაში ატარებს. ის სურვილის, ენების, გონების ან სხეულის მონაა. ადამიანი მონობას დაბადებიდან სიკვდილამდე ებრძვის, რელიგიის არსი კი თავისუფლებაში მდგომარეობს. რელიგია თავისუფლებაა, გათავისუფლება ნებისმიერი სახის მონობიდან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ადამიანი მაინც განაგრძობს თამაშს საკუთარ თავთან და თავს იტყუებს, რადგან ეს იოლია.

იყო მთლიანად თავისუფალი, ძალიან ძნელია. ამისათვის შინაგანი კრისტალიზაციაა საჭირო და აუცილებელია შინაგანი ცენტრი. ახლა კი თქვენში არც ცენტრია და არც კრისტალიზირებული არსება. თქვენ, უბრალოდ, ქაოსი ხართ, ნაკრები და არა პიროვნება. თქვენში ზოგჯერ რაღაც სურვილი იმარ-

ვებს და ის ხდება ამ ნაკრების ხელმძღვანელი, მაგრამ, სულ მალე ახალი სურვილი გეუულებათ და ძველი ტოვებს ასპარეზს.

იქვენ ნებისმიერ სურვილთან აიგივებთ თავს და ამბობთ: „მე ის ვარ“. როდესაც ტახტზე სექსია, სექსი ხდებით; რისხვა როცაა, რისხვასთან იგივდებით, სიყვარული თუ არის, სიყვარულად გარდაისახებით და ამავე დროს არ გახსოვთ ის ვითარება, რომ არასოდეს არ იქნებით სექსი, არც მრისხანება და არც სიყვარული. თქვენ ამით ცხოვრობთ, მაგრამ თქვენი სურვილები იცვლებიან და ყველა სურვილთან აიგივებთ საკუთარ თავს.

ეს გაიგივება მონობის ძირეული მიზეზია და სანამ ის იარსებებს, თქვენ ვერ გათავისუფლდებით. თავისუფლება სხეულთან, გონებასთან და გულთან გაიგივების გაქრობას ნიშნავს. მონა ის ადამიანია, რომელიც გამუდმებით ტირის და მოთქვამს დაუკმაყოფილებელ ვნებებზე. ახლად დაბადებული ბავშვი მაშინვე ტირის და ეს ნეეულება ცხოვრების ბოლომდე მიპყვება.

ბავშვს რძე უნდა და ტირის, თქვენ შეიძლება იტიროთ სახლის, ავტომობილის ან სხვა რამის გამო, მაგრამ ტირილი გრძელდება და როცა კვდებით, მაშინ წყდება. მთელი თქვენი ცხოვრება ხანგრძლივი ტირილია. აი, რატომ არსებობს ამდენი წამება. რელიგია გათავისუფლების გასაღებს გაძლევთ, მაგრამ თქვენ მონა ხართ, მონობაში კი სიცოცხლე მოსახერხებელი და კომფორტულია. ამიტომაა ცრუ რელიგიას რომ ქმნით, რომელიც თავისუფლებას კი არ განიჭებთ, არამედ მონობის ახალ უღელს გაღგამთ. ქრისტიანობა, ბუდიზმი, ინდუიზმი და ისლამი სხვა არაფერია, თუ არა პატიმრობის სხვადასხვა სახეები.

იესო, მუჰამედი, კრიშნა, ბუდა თავისუფლებაა, ხოლო ქრისტიანობა, ინდუიზმი, ისლამი, ბუდიზმი ყოველთვის ტყუიან. და აი, ახალი სახე მონობისა: თქვენ არა მხოლოდ საკუთარი ვნებების, აზრების, გრძნობების და ინსტიქტების მონა ხართ,

არამედ ქურუმების მონაც ხდებით. ცრუ რელიგიიდან უფრო ძლიერი მონობა იბადება, თქვენში კი არაუერი არ იცვლება.

მოლა ნასრედინი მევალეებმა გააწამეს. მან სხვადასხვა კაცისაგან დიდძალი ფული ისესხა, მაგრამ ვალი ველარ გაისტუმრა. მოლამ რჩევისათვის თავის ექიმს მიმართა, რომელმაც, როგორც ყველა ადვოკატს სჩვევია, ასეთი დარიგება მისცა: „თავი მოიმკვდარუნე და კუბოში ჩაწექი. დაე, ყველამ გაიგოს შენი სიკვდილი, მერე კი გაიქეცი ამ ქალაქიდან. მევალეებს ეცოდინებათ, რომ შენ მოკვდი და აღარ მოგძებნიან".

მართლაც, ნასრედინმა ყალბი დაკრძალვა მოაწყო, კუბოში ჩაწვა. მთელი ქალაქი მოვიდა მასთან გამოსამშვიდობებლად. პირველი კრედიტორი ნაღვლიანი ხმით დაეშვიდობა, ასევე მეორე, მესამე... მაგრამ მაგრამ მეცხრემ პისტოლეტი დააძრო და იყვირა: „ნასრედინ, ხომ მკვდარი ხარ, მაგრამ ვალის საყრელად მაინც გესვრი".

ნასრედინი კუბოდან წამოხტა: „მოიცადე, შენს ვალს ვაბრუნებ".

თქვენ ვერ ითამაშებთ სიკვდილთან, ვერ მოატყუებთ და ვერ გააბრიყვებთ მას. როგორ შეიძლება ყალბად იცხოვროთ, როცა სიკვდილიც არ შეგიძლიათ ყალბი? საკუთარ თავს უფრო და უფრო მეტ პრობლემას უქმნით და ყველაუერი უფრო გაურკვეველი ხდება.

რაც უფრო ცდილობთ პრობლემის გადაწყვეტას, უფრო ავადდებით, რადგან გულში იცით, რომ ეს სიყალბეა. თქვენ ტაძარში დადიხართ, ერთხელ მაინც თუ ყოფილხართ ტაძარში? ეს ცრუ რელიგიაა, რომელიც მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ სხვებს დაანახოს თქვენი რელიგიურობა, მაგრამ ეს ხომ არ გშველით! ტაძარშიც მონობა დაგხვდებათ. რიტუალიც მონობაა, ქურუმიც ექსპლუატაციას გიწევთ, რადგან იცის თქვენი სისუსტე.

ჩვენ რელიგიასთან ვთამაშობთ და თვითონვე ვიბოჭავთ საკუთარ თავს. აი, რატომაა იესოსა და კრიშნას მსგავსი ადა-

მიანი საშიში. ის არ განებებთ ცრუ ცხოვრებით ცხოვრებას, ის ჭეშმარიტებას გაძლევთ. აი, რატომ ამბობს იესო;

„ის, ვინც ახლოა ჩემთან, ახლოა ცეცხლთან...“

რას ნიშნავს ცეცხლი? ცეცხლში თქვენგან აღარაფერი დარჩება. ბრბო, თქვენში რომ არის, თქვენი უბედურებისა და განცდის მიზეზი, კრისტალიზირებულ ცენტრში უნდა გაქრეს.

ცეცხლი ალქიმიური ტერმინია. ყველაფერმა, რაც კრისტალიზაციას საჭიროებს, ცეცხლში უნდა გაიაროს. ოქროსაგან თუ გინდათ რამის გაკეთება, ცეცხლში უნდა გამოადნოთ. იგი თავიდან თხევადი უნდა გახდეს, მერე გაიწმინდება და სუფთა ოქრო გამოვა, შემდეგ კი ჩამოასხამთ საჭირო ფორმას.

მოწაფემაც იგივე უნდა გაიაროს — ოსტატი ხომ ცეცხლია და თქვენ თხევადი უნდა გახდეთ, რომ ყველაფერი ცუდი დაიწვას, რის შემდეგაც გაკრისტალდებით.

ოსტატი თავიდან ცეცხლია, შემდეგ კი მისგან უსასრულო სიგრილე მოდის; მაგრამ თავდაპირველად მწველია და გაფრთხობთ. ადვილია, ქურუმთან მიხვიდეთ, რადგან ის ისეთივე ყალბია, როგორც თქვენ. არავითარი საშიშროება არ არსებობს და თქვენ ეს მოგეხსნებათ. ადვილია რიტუალის შესრულება, რადგან იცით, რომ ის სიცრუეა. მაგრამ იესოსთან მისვლაა ძნელი. თქვენ ცეცხლს უახლოვდებით და რაც უფრო ახლოს ხართ, უფრო მეტად გრძნობთ, რომ იწვით.

მოწაფე მართლა ახლოს მიდის, გამბედაობას იკრებს და ოსტატს უფრო და უფრო უახლოვდება. ის გაიელის ცეცხლში, მაგრამ ცეცხლში გაელის შემდეგ იგი უკვე სხვანაირია. უბრალო ლითონი კეთილშობილი გახდა. რკინა ოქროდ იქცა და ეს ტრანსფორმაცია იყო.

როცა მე ტრანსფორმაციაზე ვსაუბრობ, ეგულისხმობ, რომ მას წარსული არა აქვს. წარსულში ხანგრძლივობა თუ არსებობს, მაშინ გარდასახვა არ იქნება. თქვენ, ჩვეულებრივ, სწორედ ამას აკეთებთ ხოლმე. საკუთარ თავს ნაწილობრივ ცვლით, ეს ჭრელი საბანია და არა რევოლუცია. ამიტომ

თქვენ არ გარდაისახებით. სადღაც ნაწილობრივ შეიცვლებით, მაგრამ ძირითადი კვლავინდებურად რჩება, რაც ისეთი ძლევამოსილია, რომ ახალი, რასაც გააკეთებთ, დიდხანს ვერ დარჩება. ადრე თუ გვიან ძირითადი შთანთქავს მას და ის ისევ ძველ სახეს დაიბრუნებს.

თქვენ აუმჯობესებთ საკუთარ თავს, მაგრამ ეს ვერ მიგიყვანთ რელიგიამდე, რამეთუ რელიგია გაუმჯობესება არ არის. თქვენ ავადმყოფობა, სნეულება ხართ და ამ სნეულებას აუმჯობესებთ? თქვენ სიმახინჯეს ალამაზებთ, მაგრამ ავადმყოფობა მაინც რჩება.

გარდასახვას წარსულში არა აქვს ხანგრძლივობა. თქვენ მთლიანად იკარგებით და რაღაც ახალი იბადება, სწორედ ახალ დაბადებასა და აღორძინებაზე გესაუბრებათ იესო. ძველი მიდის, ახალი მოდის. ეს ახალი ძველიდან როდი მომდინარეობს. ის სრულიად განსხვავებულია. აი, რატომაა ეს ახლად დაბადება და არა ძველი, რაც სახეშეცვლილი განაგრძობს არსებობას. ძველი არარაობაში გაქრა. გაჩნდა ახალი, რაც უწინ არ იყო. ეს საბოლოო გათიშვაა, ძველი განშორებულია, მოდის ახალი და მათ შორის მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს.

ამის გაგება გაგიძნელდებათ, რადგან მეცნიერული განათლება თქვენს გონებას მიზეზობრიობით ძაბავს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. ბუდაც და იესოც განპირობებულნი არიან თავიანთი წარსულით. არა! თუ ასე ფიქრობთ, ყველაფერს დაკარგავთ. წარსული უკვე აღარ არის. ბუდა სულ სხვაა, იგი უწინ არ არსებობდა. იყო გაუტამა სიდჰარტჰა, მაგრამ არა ბუდა. ძველი არარაობაში გაქრა, ახალი არაფრიდან მოვიდა.

ახალი ძველიდან არ ჩნდება, ის ძველის ადგილს იკავებს. ძველი უნდა გაქრეს, ახალი კი იპოვის ცარიელ ადგილს გულში და დაივანებს იქ. ეს ჰგავს ჩაბნელებულ, დაგმანულ ოთახს, დარაბების გახსნისას ნათლით რომ აივსება. ამ დროს ხომ ვერ ვიტყვით, რომ ნათელი ბნელისაგან იშვა? განა

შეიძლება სიბნელემ სინათლით იცვალოს სახე? არა, უბრალოდ ბნელი წავიდა და ნათელი შემოცვლა.

და ამ ნათელს არაფერი აქვს საერთო სიბნელესთან. ის არ შობილა მისგან და სულ სხვაა. ის კართან იცლიდა, კარი გაიღო და ნათელიც შემოიჭრა, საჭიროა მხოლოდ კარის გაღება. როცა მედიტირებთ და ლოცულობთ, თქვენ კარებს ხსნით. ძველი — სიბნელე ქრება და ნათელი იკავებს მის ადგილს და ამ ნათელს არაფერი აკავშირებს წარსულ სიბნელესთან. ისინი სხვადასხვა განზომილებებია.

შეეცადეთ, გასწვდეთ ამას, რამეთუ ეს ის სასწაულია, რომელსაც ყოველოვის იძლევა რელიგია. მეცნიერება ვერ იგებს ამას, რადგან იგი ცვალებადობისა და დროის ტერმინებით სარგებლობს, რელიგია კი დისკრეტულობის, ტრანსფორმაციისა და მუტაციის ცნებებით. არ შეიძლება თანდათან გახდე იესო ან ბუდა, რადგან თქვენი „მე“ ბარიერია, რომელიც მთლიანად უნდა დაიწვას. თქვენ უნდა მოკვდეთ და როცა ქრისტე შემოვა თქვენში, თქვენ იქ აღარ იქნებით და იგრძნობთ, რომ წარსული სიზმარი იყო, რომ თქვენ არ იყავით და მაშინ სურვილებთან გაიგივება გაქრება.

იესო ცეცხლს ჰგავს. თუ მას უახლოვდებით, სიკვდილისათვისაც უნდა იყოთ მზად, რადგან იესო თქვენს სიკვდილს ნიშნავს. აღორძინება და განახლება შესაძლებელია მხოლოდ თქვენი სიკვდილის შემთხვევაში. თუ სიკვდილის გეშინიათ, გაექცევით იესოს, არ მიუახლოვდებით მას, ეს საშიშია. იგი უფსკრულს ჰგავს, თქვენ აცახცახდებით და გადაეშვებით.

იესომ თქვა: „ის, ვინც ჩემთან ახლოა, ახლოა ცეცხლთან...“

სიკვდილის გვერდით ძველი ქრება, უბრალო მეტალი დნება და იქვე იესო ნიშანდობლივ სიტყვას ამბობს. თუ გაუძლებთ იესოს ცეცხლის მხურვალებას, მაშინ შესაძლებელი გახდება განახლება.

„ის, ვინც ახლოა ჩემთან, ახლოა ცეცხლთან
და ის, ვინც დამშორდა, შორსაა სასუფეველისაგან...“

თუ მოწაფე გაიელის ოსტატის ცეცხლში, მის წინაშე ახალი სამყარო გადაიშლება, ეს იქნება ღვთის სასუფეველი, უკვდავების საუფლო და ჭეშმარიტი სიცოცხლე.

თუ იესოსაგან გარბიხართ, ქვეყნ გაურბიხართ ცათა სასუფეველს. პრობლემა ის არის, რომ ხან შორდებით და ხან უახლოვდებით ოსტატს. როცა სასუფეველი გიზიდავთ, ახლო მიდიხართ მასთან, მაგრამ მაშინ ცეცხლის მხურვალებას გრძნობთ და გაქცევას ცდილობთ. ერთხელაც თუ აღმოჩნდებით გასხივოსნებული ადამიანის გვერდით, ეს მთელი ცხოვრების პრობლემად გექცევათ, რადგან არ გეცოდინებათ, გაექცეთ, თუ მის გვერდით დარჩეთ. როცა შორსა ხართ, იმაზე ფიქრობთ, როგორ მიუახლოვდეთ მას, შორს ხომ მცხუნვარებას ვერ გრძნობთ.

თქვენ ცდილობთ მიაღწიოთ აღთქმულ მხარეს, რადგან ეს თქვენი შესაძლებლობის სრულ რეალიზებას ნიშნავს, ამის გარეშე კი ვერ შობთ და დასაბამსაც ვერ მისცემთ ვერაფერს. უამისოდ უსარგებლოდ, უაზრობად და კოშმარად გექცევათ სიცოცხლე. თქვენი გზა არსაით იქნება. თქვენ ერთ ადგილზე მორბენალს დაემსგავსებით. ტყუილად რომ ირჯება. მხოლოდ აღთქმულ მხარეში გაიფურჩქნებით და იყვავილებთ.

ეს კი მხოლოდ იმ ადამიანის გვერდით არის შესაძლებელი, ვინც უკვე ყვავის. სწორედ მაშინ გაღვივდება თესლი, როცა ცეცხლში საწრთობად მზად იქნებით. მოწაფის პრობლემა სწორედ ეს არის. იგი ოსტატთან მიახლოებისას მთელი სხეულით და გონებით გაქცევაზე ფიქრობს, ცდილობს გამონახოს ამისათვის ყოველგვარი შესაძლო ხერხი, გაქცევისას კი უკან დაბრუნების სურვილი იპყრობს. ამ დროს არის საჭირო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, რათა უკან გასაქცევი ყველა გზა ჩაიკეტოს. მაშინ შუაგულ ცეცხლში აღმოჩნდება და ვერსად გაიქცევა. ამ დროს მართლაც ახლოს ხართ იესოსთან, უკანდასახევი გზაც არ ჩანს. დგება წამი, რომლის შემდეგაც უკან მობრუნება აღარ შეიძლება. როცა ცეცხლში შეხვალთ, შეგიძლიათ სასუფევლის ნათება იხილოთ, ამ დროს ცეცხლი

აღარ წვავს და თქვენ ბედნიერი და ნეტარი ხართ. სასუფეველი ახლოს არის და მისი სათელი გისათებთ გზას. მერე ცეცხლის აღარ შეგეშინდებათ და შვებას იგრძნობთ, რაც ცხოვრებაში ჯერ არ განგიცდიათ. მაგრამ, თუ ცეცხლში შესვლისას გაიქცევით, უბედური იქნებით. თქვენ კი ახლა, სწორედაც რომ, უბედურები ხართ!

თქვენ ახლა ხომ არ მოეღინეთ ქვეყნიერებას. თქვენ დედამიწასავით ხანდაზმულნი ხართ, უფრო მეტიც, სამყაროს ასაკისა ხართ. თქვენ უკვე არსებობდით, რადგანაც, რაც ყოფიერებაშია, მასშივე რჩება და არ არსებობს ყოფიერებიდან გასასვლელი გზა. თქვენ ინტეგრალური ნაწილი ხართ ყოფიერებისა და ყოველთვის აქ იყავით. თქვენ იდექით ბუდასა და იესოს გვერდით, მაგრამ თქვენი უბედურება ყოველთვის თან გდევდათ.

იცოდეთ, ერთხელ მაინც თუ აღმოჩნდით ცეცხლთან ახლოს, ამას ვერ დაივიწყებთ. თქვენზე ის მაგნიტივით იმოქმედებს. მიახლოებას დაიწყებთ და რაც უფრო ახლოს იქნებით, უფრო შეგეშინდებათ, რადგან ცეცხლის მხურვალებას იგრძნობთ და კვლავ გაქცევას დააპირებთ. აი, რატომ დაეხეტებით აქამდე. თქვენ ყალბ ოსტატს ეძებთ, რომელიც არ არის ცეცხლი; მიდიხართ ქურუმთან; ტაძარში ასრულებთ ცრუ რიტუალებს და ყველანაირ ტყუილ საქმეს, ოღონდ გაექცეთ იესოს და კრიშნას, რამეთუ ჭეშმარიტება მხოლოდ მათთანაა, რასაც ცეცხლში გავლით უნდა მიაღწიოთ. ამიტომ თქვენგან მამაცები ერთხელაც გადაწყვეტენ ცეცხლში გავლას.

უნდა განიწმინდოთ და ბოლომდე გაიხსნათ, გახდეთ სიცარიელე, სხვა გზა არ არსებობს და მაშინ აღივსებით ღვთიური შემოქმედების სინათლით, გაქრება წუხილი, უბედურება და ტანჯვა, და მაშინ მარად ნეტარნი გახდებით. ექსტაზი თქვენს ბუნებაში და თქვენს ყოფიერებაშია. თუ ექსტაზი რაღაცის გამო ხდება, ის არ შეიძლება მარადიული იყოს, რადგან შესაძლებელია დაიკარგოს, ის მხოლოდ წამიერი იქნება. ნეტარება და ექსტაზი მაშინ იქნება მარადიული, როცა

იგრძნობთ, რომ თქვენს არსშია და მაშინ მათ ვერავინ ვერ წაგართმევთ. მაგრამ არსი კრისტალიზაციას, განწმენდასა და ალქიმიურ ტრანსფორმაციას საჭიროებს. ძველი უნდა მოკვდეს, ახალი რომ იშვას და ეს მოწაფემ უნდა გადაწყვიტოს:

„ის, ვინც ახლოა ჩემთან, ახლოა ცეცხლთან
და ვინც დამშორდა, შორსაა სასუფევლისაგან...“

როცა ცეცხლის მხურვალებას იგრძნობთ, გადაეშვით მასში. თუ ვინმე ნუგეშს გცემთ, გაექეცით მას და გახსოვდეთ, რომ იქ შეიძლება ქურუმი იყოს და არა ოსტატი. ქურუმები ყოველთვის გამშვიდებენ და სწორედ ამიტომ მიდიხართ მათთან, ქურუმი ფსიქოთერაპევტია. იგი გირჩევთ, რომ ილოცოთ და ღმერთი დაგეხმარებათ. თუ სიკვდილის გეშინიათ, სულის უკვდავებას გპირდებათ, გასწავლით, როგორ გათავისუფლდეთ დანაშაულისაგან; გეუბნებათ, რომ გაიღოთ ფული ტაძრისათვის, ააშენოთ საავადმყოფო, სკოლა, ემსახუროთ ღატაკებს, დავრდომილებსა და ავადმყოფებს. ეს დამშვიდების გზაა, აქ არ არის ფერისცვალება, შეგიძლიათ დატოვოთ თქვენი სამსახური და ღვთის სახელით სხვას დაუდგეთ ქვეშევრდომებად, მაგრამ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება.

ადრე ძუნწი იყავით და ფულს აგროვებდით, ახლა გასცემთ, მაგრამ მაინც უწინდელი სახე გაგაჩნიათ. უწინ სხვებს ართმევდით, ახლა გაიღებთ, მაგრამ თქვენი შინაგანი არსი არ გარდაქმნილა. გგონიათ, სიკეთეს სჩადიხართ, მაგრამ ეს მორჩენებითია.

იმის გამო, ცუდი რომ ხართ, ცდილობთ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ თქვენი გონება ისევ გაქნილი და ცბიერი, მათემატიკისა და ბიზნესის ტერმინებითაა სავსე. რა შეიცვალა? აქამდე თქვენთვის ფული იყო მნიშვნელოვანი, რასაც ახლაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ის ხომ სხვებისთვის გასაცემად გჭირდებათ. ადრე ფულით იყავით შეპყრობილნი, ასევე ხართ ახლაც, მაგრამ რადგან გასცემთ, გგონიათ, რომ ხალხს ემსახურებით. თქვენი სიხარბე არ გამქრალა. სექსით ცხოვრობდით, ახლა ბრაჰმაჩარიაში ხართ. მოგ-

წყინდათ მამაკაცები და ქალები, მაგრამ განა დამთავრდა თქვენი ვნება? ყოველთვის გახსოვდეთ — როდესაც დადებითი უარყოფითად იქცევა, იბადება მცდარი შეგრძნება, რომ გამოიცვალეთ. ეს ყველაფერი თავდაყირა მდგარ ადამიანს მოჰგავს. უწინ იგი ნორმალურად დადიოდა. ახლა კი თავზე დგას, სირშასანს* ასრულებს და ფიქრობს, რომ გამოიცვალა. მაგრამ როგორ შეიძლება თავზე დგომამ კაცი შეცვალოს? ასევეა სექსშიც — შეიძლება აღარ იცხოვროთ ქალთან, მაგრამ უწინდელი ვნება გაგაჩნდეთ.

მოლა ნასრედინის ერთი მოხუცი მეგობარი — აბდულა, ხავჯის დროს სალოცავად მექაში გაემგზავრა, მას ახლადშერთული ახალგაზრდა და მომხიბვლელი ცოლი ჰყავდა. გამგზავრებისას მოხუცი წუხდა, რომ ცოლს შეეძლო მისთვის ელალატა. დააშზადებინა ერთგულების ქამარი და ქალს გაუკეთა, მაგრამ არ იცოდა, სად შეენახა გასაღები, თან თუ გაიყოლებდა, მის განწყობას ტვირთად დააწვებოდა უსდობლობა. გასაღები ხომ ყოველთვის გაახსერებდა ცოლსა და მის შესაძლო ღალატს. ამიტომ მან ნასრედინს მიაკითხა, რომელიც გვარიანად მოხუცებული იყო. მისთვის ქალებთან დროსტარების მომენტი გადავიდა. ამ ასაკში ყველა ბრაჰმაჩარიაზე ლაპარაკობს. ნასრედინიც კიცხავდა ახალგაზრდებს და მოუწოდებდა, სიჭაბუკე ფუჭად არ დაეხარჯათ.

ნასრედინს აბდულამ დახმარებისათვის მიმართა და სთხოვა, ერთგულების ქამრის გასაღები შეენახა მისთვის.

ნასრედინმა მიუგო: „მადლობელი ვარ, გაჭირვებულს რომ გაგახსენდი, ჩემზე სანდო კაცს სად ნახავდი“.

დაიმედებული აბდულა გზას გაუდგა, მაგრამ ერთ საათში მას ჯორზე შემჯდარი გაქაფული ნასრედინი დაეწია ყვირილით: „მოიცა, აბდულა, შენ გასაღები შეგეშალა“.

უარყოფით გონებას ყოველთვის ასე ემართება. თუ შესაძლებელია ცვლილება დადებითიდან უარყოფითისკენ, შეიძლება პირუკუც მოხდეს. ეს ერთი და იგივე გონების ორი პოლუსია. ალბათ გაოცდებით, თუ გეტყვით რომ ბრაჰ-

მაჩარიები და მონაზვნები გამუდმებით ფიქრობენ სექსზე, თუმცა ყოველთვის აგინებენ მას. შესაძლებელია წავიდეს ერთიც და მეორეც, მაგრამ შეუძლებელს ვერ შესძლებთ — ამოირჩიოთ ერთი და უკუაგდოთ მეორე. უკუგდებული განმტკიცდება, ჩახშობილი აღმოცენდება, შესაძლებელია მოცილება ორივესი, მაშინ თქვენ არც ქალი იქნებით და არც მამაკაცი. სწორედ ესა აქვს იესოს მხედველობაში, ღვთის საჭურისებზე რომ ლაპარაკობს. ამ დროს ორივე პოლუსი გამქრალია. სიხარბიდან თქვენ ქველმოქმედებისაკენ გადაინაცვლებთ, მაგრამ ძუნწი მაინც დარჩებით. მე მრავალნაირი ძუნწი ადამიანი შემხვედრია, მაგრამ მათგან ძირითადად ორ ტიპს გამოვყოფ — არსებობენ ნეგატიური და პოზიტიური სიძუნწის ადამიანები. პოზიტიური ძუნწი ფულს აგროვებს. საზოგადოება მისი წინააღმდეგია. ნეგატიური კი გასცემს, საზოგადოება მას მხარს უჭერს, მაგრამ ორივე ძუნწია.

მოლა ნასრედინი მოკვდა. ნ თვის შემდეგ მის ცოლსაც მოუახლოვდა აღსასრული. ისინი მთელ სოფელში ყველაზე ძუნწები იყვნენ. სიკვდილის წინ მოლას ცოლმა მეზობლის ქალს დაუძახა და უთხრა: „შენ უნდა დამმარხო, უნდა გამომაწყო ჩემს შავ აბრეშუმის კაბაში, მაგრამ კაბა უხმარია და მეტად ძვირფასი, ამიტომ გთხოვ, ერთი საქმე უნდა გააკეთო — რადგან კუბოში პირაღმა ვიწვები, მოაჭერი კაბას უკანა ნაწილი, ამას მაინც ვერავინ შენიშნავს და შენთვის რამე შეიკერე“. თავიდან მეზობლებმა ვერ დაიჯერეს ნასრედინის ცოლის ასეთი გულუხვობა. მომაკვდავი კი ისევ უმტკიცებდა: „მომაჭერი, ძალიან ძვირფასი ნაჭერია და გამოგადგება“.

მეზობელი გაჯიუტდა: „აქ შეიძლება მართლაც ვერავინ შენიშნოს, მაგრამ საიქიოში, ოქროს კიბეზე, შენ და ნასრედინი რომ აივლით, ანგელოზები დაგცინებენ“.

ნასრედინის ცოლს გაეღიმა და მიუგო: „ანგელოზები მე არც კი შემომხედავენ, ნასრედინიც უშარვლოდ გავასვენე“.

ძუნწი ისევე, როგორც მრისხანე და სექსის მოყვარული ადამიანი, იგივე რჩება, სააწინაღმდეგო პოლუსისაკენ სწრაფვა

როდი ცელის მას. თქვენ ადვილად შეიძლება ესიაროთ ცრუ რელიგიას, რომელიც გიმტკიცებთ: „გიყვარდეს მოყვასი, ვითარცა თავი შენი და თქვენ დაჯილდოვდებით. თუ აქ ერთ რუპიას გაიღებთ, საიქიოს მილიონს მოგცემენ“. ცრუ რელიგია უბრალოდ გეხმარებათ საწინააღმდეგო პოლუსისაკენ მოძრაობაში, რაღა თქმა უნდა, ეს ხომ ადვილია.

თქვენი გონებაც ყოველთვის მიისწრაფვის საწინააღმდეგო პოლუსისაკენ. მსუნაგი ადამიანი, საჭმელი რომ მობეზრდება, გემოს ვეღარ ატანს ვერაფერს და ფიქრობს მარხვაზე. რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი შეიცვალა. მარხვა, უბრალოდ, კვლავ დაუბრუნებს მადას, სხეული კვლავ დაემშევა. მარხვა ყოველთვის კარგია ღორმუცელებისათვის. იშიმშილეთ ორი დღე და ნახავთ, როგორ მადიანად შეექცევით საჭმელს. როცა სექსით ცხოვრობთ, სხეული დაკმაყოფილებულია. სექსიც შეიძლება მოგბეზრდეთ, მხოლოდ ერთი დღით. სექსუალური აქტის შემდეგ მამაკაცი ან ქალი ფიქრობს, როგორ მოიშოროს ეს ამაო საქმე. ის ხომ ასე აბსურდული ჩანს. მწვერვალი უკან დარჩა. ახლა მდელოზე დგახართ და გადაწყვეტილებას იღებთ, არადა სწორედ იქცევით. 24 საათში სხეული კვლავ დააგროვებს ენერგიას, მადა დაგიბრუნდებათ და მარხვას დაარღვევთ.

სექსისთვის საჭიროა ერთი დღე-ღამის მარხვა. როგორც კი ენერგიას დააგროვებთ, მაშინვე იმძლავრებს თქვენი სექსუალური ვნება.

მიაქციეთ ყურადღება პოლარობას. ცრუ და ნამდვილი რელიგია არსობრივად ამით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ცრუ რელიგია გეხმარებათ საწინააღმდეგო პოლუსისაკენ მოძრაობაში. ეს ფერიცვალება არ არის. ჭეშმარიტი რელიგიის დახმარებით ორივე პოლუსის დაშლა და დაწვა შეგიძლიათ. აი, რატომ არის ჭეშმარიტი რელიგია ცეცხლი. იესო ამბობს:

„ის, ვინც ახლოა ჩემთან, ახლოა ცეცხლთან
და ვინც დაშორდა, შორსაა სასუფევლისაგან...“

მაშინ, ყოველსაირი სურვილი — დადებითი თუ უარყოფითი — გაქრება, მოდის სასუფეველი. იგი ყოველთვის თქვენშია. მხოლოდ სურვილების გამო ვერ ხედავთ მას — თქვენ ხომ ენებებით ხართ შეპყრობილნი.

როცა თვალებს ენების ლიბრი გადაეცლება, როცა აღარ იცხოვრებთ, სექსით ან ბრაჰმაჩარიათი, არ დაიცავთ მარხვას და ღორმუცელაც არ იქნებით, როცა სურვილები გაქრება, მაშინ თვალებს დანახვა ძალუძთ; მაშინ გამოჩნდება ნათელი და ამ ნათელში სასუფეველი ყოველთვის არსებობს. ის თქვენშია, მაგრამ თვალები სურვილებმა დაგიკეთ. სურვილებს კი გულის გატეხვა და ცრემლი მოაქვთ. ენებები ქმნიან ოცნებებსა და იმედებს.

თვალები დაბინდული რომ გაქვთ, ამიტომ ვერ ხედავთ ვერაფერს.

გასხივოსნებულ იესოს გვერდით ცეცხლში უნდა გაიაროთ. ეს ცეცხლი დაფერფლავს თქვენს ენებებს, ორივე პოლუსს, ყველა ოცნებას. ენებები ხომ იმედებით ცოცხლობს. ეს ცეცხლი რეალურად დასწვავს მთელ თქვენს წარსულსა და მომავალს. ის მიგიყვანთ მდგომარეობამდე, რომელსაც ჰქვია „აქ“ და „ამ წუთში“. უკვე აღარ იარსებებს წარსული და მომავალი. ჩნდება კითხვა: „ახლა საითკენ?“ უნდა იმოძრაოთ საკუთარ არსში, როცა ენერგია ვერ ნახავს გარეთ გამოსავალს, სიღრმისკენ მიიქცევა, იქ, სადაც ღვთის საუფლოა.

იესომ თქვა: **„მოდით ჩემთან, რამეთუ მსუბუქია უღელი ჩემი და მეუფება ჩემი იოლი...“**

ეს სიტყვები ღრმად უნდა გაიაზროთ და დაიმახსოვროთ, რადგან ეს გამოგადგებათ და დაგეხმარებათ.

როცა იესოს მსგავს ადამიანთან მიდიხართ, გჩნდებათ პრობლემა: „რატომ დავემორჩილოთ ამ ადამიანს?“ ეს ხომ მონობას ჰგავს. აქ, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობაა, რადგან იესო ამბობს: **„მე მოვედი, რათა მოგანიჭოთ სრული თავისუფლება“.** შემდეგ კი მოითხოვს მორჩილებას. ეს წინააღმდეგობრივი ჩანს. იესო ამბობს: **„მე მოვედი, რათა გაგანთავი-**

სუფლოთ“. თქვენ კი ფიქრობთ: „ეს თუ ასეა, ახლავე მომცემდა თავისუფლებას, ვინც არ უნდა იყოს ის, რატომ დავემორჩილო? რატომ გავიხადო ბატონად. რატომ უნდა იყოს მოძღვარი ჩემი სულის და არსების გამგებელი? რისთვის დავემორჩილო? იესო ამბობს: „მოდით ჩემთან, რადგან მსუბუქია უღელი ჩემი და მეუფება ჩემი იოლი“. ის იძახის: „დიახ, მე ვიცი თქვენ იგრძნობთ, რომ ჩემთან ურთიერთობა მონობის სახეობაა.“ მაგრამ თუ იესომ არ გაგათავისუფლათ როგორ მიხვდებით რომ ეს ჭეშმარიტი თავისუფლებაა? თქვენ მხოლოდ მონობას იცნობთ, ყველგან, სადაც კი იყავით, მონობას ეცნობოდით, სიყვარულის სახელით ისწავლეთ მონობა, სიყვარული თავისუფლებას გპირდებათ, მაგრამ შეხედეთ ნებისმიერ ცოლქმარს, ორივე მონები არიან და ეს უღელი მეტად მძიმეა. დადიხართ ამ ქვეყანაზე, თავისუფლების საძიებლად და რასაც არ უნდა აკეთებდეთ, სატუსაღოებს ქმნით. მონობის ყველა სახეობა თავისუფლების სახელით არსებობს. ერი — მონობაა, რასა, რელიგია, სიყვარული — მონობის უღელია და ყველას ტვირთად აწევს. მონობის სხვადასხვა სახეობა, შემდეგ კი იესო მოდის და ისიც მორჩილებას გთხოვთ.

იესო თვითონაც არ უარყოფს, რომ ეს მონობაა, რადგან ამ მომენტში, გონების ამ მდგომარეობაში, არ შეგიძლიათ გაიგოთ, თუ რა არის გათავისუფლება. ამიტომ ამბობს იგი: „მოდით ჩემთან, მსუბუქია უღელი ჩემი და მეუფება ჩემი იოლი...“ ეს არის ყველაფერი, რასაც გპირდებათ. იესო არ გეუბნებათ, რომ თავისუფლებას ახლავე გაძლევთ. ეს შეიძლება მოხდეს.

ცხოვრებაში თქვენი უღელი მძიმეა, — ბატონებიც გავიწროვებენ და მბრძანებლობენ. ისინი საშიში და ულმობელნი არიან მძვინვარე ლომებივით. იესო კი გეუბნებათ, რომ იმას, რისი გაგებაც ამ მომენტში შეგიძლიათ, არის ის, რომ მისი უღელი არც მძიმეა და არც ძნელი და როცა ფიქრობთ, რისთვის დავემორჩილო, მაშინ თქვენ არ ირჩევთ თავისუფლებას. თქვენ რჩებით ძველ მდგომარეობაში — მონობაში,

თავისუფლების სახელით, რამეთუ თქვენი გონება და ენებები მონობის უღელია და მათგან თავი ვერ დაგიღწევიათ გარკვეული დახმარების გარეშე, რომელიც გარედან მოდის.

თქვენ ისე დიდი ხანი იყავით საპატიმროში, რომ იგი საკუთარი სახლი გგონიათ. სატუსაღო კი ისე მკვიდრადაა აგებული, რომ გარეთ ვინმეს დაუხმარებლად ვერ გამოაღწევთ. თქვენ დაგეხმარებათ სატუსაღოდან უკვე გამოსული ადამიანი. ოსტატს მხოლოდ ესა აქვს მხედველობაში. ისიც პატიმარი იყო იმავე სატუსაღოში, რომელშიც თქვენ იმყოფებით, მაგრამ რაღაცნაირად გამოიქცა, გამოსასვლელი კარი იპოვა, მოძებნა გასაღები, ახლა კი შეუძლია თქვენ დაგეხმაროთ.

თუ ძილს აგრძელებთ, ვერ გამოუხსნელებით. საჭიროა გარედან დახმარება — მაღვიძარაც კი გამოდგება ამისათვის, რადგან მისი ხმა გარედან მოგესმებათ, მაგრამ მაღვიძარათი შეიძლება თავი მოიტყუოთ, მოგეჩვენოთ, რომ ეს ციხე კი არა, ტაძარია და ტაძრის ზარები რეკავენ. თქვენ შეიძლება იოცნებოთ და ძილი გააგრძელოთ. საჭიროა არა მექანიკური საშუალება, არამედ ცოცხალი ოსტატი, რომელიც ძილს დაგიშლით და ახალი ოცნებების შექმნის უფლებას არ მოგცემთ. იგი იქამდე გაგაღვიძებთ, სანამ არ გაიღვიძებთ.

იესო ამბობს: ბოლოს და ბოლოს გათავისუფლდებით, მაგრამ ამ წუთს მე შემიძლია დაგპირდეთ მხოლოდ ერთს, რომ უღელი ჩემი მსუბუქია, თქვენ კი მაინცდამაინც მძიმე უღელს ირჩევთ!

ერთხელ ოფისში ერთი ძალიან გამხდარი და ავადმყოფური იერის კაცი შევიდა და გამგებელს უთხრა: „გავიგე, რომ ღამის დარაჯი გესაჭიროებათ“.

გამგებელმა ეჭვით შეხედა და უთხრა: „დიახ, მაგრამ ჩვენ უფრო სხვანაირი კაცი გვინდა — მოუსვენარი, ურწმუნო, ეჭვიანი, ყოველთვის ხიფათს რომ ელის, რომელსაც უდროოდ თუ გააღვიძებ, ხორცშესხმული ეშმაკი ხდება“.

ეს კაცი ჩუმად ადგა და თქვა: „კარგი, მაშინ ჩემს ცოლს გამოგიგზავნით“.

აი, სწორედ ასე ფიქრობენ ცოლ-ქმარი ერთმანეთზე. ცოლ-ქმრობა მართლაც მძიმე უღელია. ასეთივე არის დანარჩენი სურვილები და სტიმულები, რომელთაც მუდამ ფუჭ და ამაო მიზნებისაკენ მიჰყავხართ. და თუ ვერ მიდიხართ მიზანთან, ეს უბედურებაა, მიდიხართ და იმედი გიცრუვდებათ. ყოველი ვნება აქ თქვენი ბატონია. ვნება კი მილიონია და თქვენ მილიონობით ბატონს ემონებით. თვითოეული ვნება თავისი მიზნებისაკენ გიბიძგებთ ისე, რომ თქვენზე არც კი დარდობს და თუ თქვენ არ დაჰყვებით მის სურვილს, ეს უბედურებაა, რადგან ვნება ასე იოლად არ დაგტოვებთ, რამეთუ ბატონის ღირსებას ეხებით, ხოლო თუ მის სურვილს დაჰყვებით, მაშინ იმედი გაგიცრუვდებათ, რადგან ეს მიზანი ვნების მიზანია და არა თქვენი. საკუთარი მიზანი საიდან გეცოდინებათ, როცა თავად ვინ ხართ, არ იცით.

მორჩილება ნიშნავს მილიონი პატრონის მაგივრად ერთი ოსტატის ბატონად არჩევას. მისი ბატონობა იოლია ბევრი რამის გამო, უმთავრესი კი ის არის, რომ მოძღვარი ეროვა. ორ ბატონს რომ ემსახუროთ, უბედურებას გადაეყრებით. უფრო მეტი ბატონის არსებობისას — უფრო მეტი გაუგებრობა იქნება. ისინი სხვადასხვა მიმართულებით გიბიძგებენ და მათი მოძრაობების შესრულებისას ქაოსად იქცევით.

ამის გამო გიუდება ხალხი, რადგან მათ არ უწყიან, რა ქნან, ვის გაჰყვნენ ან ვინ უარყონ.

თუ მთელ დროს სექსს უთმობთ, ფულს ვერ მოაგროვებთ. ძუნწები ყოველთვის ანტისექსუალურები არიან, ეს ასეც უნდა იყოს. მათი მთელი ენერგია ფულის მოხვეჭას ხმარდება. ძუნწები საყვარლადაც არ ივარგებენ, ხოლო ის, ვინც სექსით ცხოვრობს, ვერასოდეს ვერ მოიხვეჭს სიმდიდრეს, რაც აქვს, იმასაც გაანიავებს.

თქვენში ვნებების ზემოქმედებით უამრავი აზრი ირევა — სიმდიდრის მოხვეჭისა, დროის გატარებისა, მიზნის მიღწევისა და ა.შ.

ვნებებს შორის ყოველთვის კონფლიქტია. შიში კონფლიქტშია მრისხანებასთან. რა უნდა ქნათ? ასეა ბევრი ბატონი და ერთი ყმა. კარგია, როცა ერთ ოსტატს ირჩევთ. ბოლოს და ბოლოს გაქრება მილიონობით ხმა და ბრძანება. მხოლოდ იესოს უნდა გაჰყვეთ. შეგიძლიათ მხოლოდ მას გადააბრალოთ მთელი პასუხისმგებლობა და ის ამბობს, რომ მისი უღელი მსუბუქია. რატომ? იმიტომ, რომ ის გთხოვთ დაემორჩილოთ ისე, რომ გათავისუფლდეთ სხვა ბატონებისაგან. მაშინ იესო მაშინვე მოგაშორებთ თავის უღელსაც. ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა და გადასასვლელი ხიდია. როგორც კი ვნებებს მოიშორებთ, მორჩილება აღარ იქნება საჭირო. ოსტატი თვითონ გეტყვით, რომ მორჩილება განაგდოთ, რადგან ახლა თვითონ ხართ საკუთარი ნათელით გასხივოსნებული.

იესო ამბობს: „...ის, ვინც დარწყულდება ჩემს ბაგეთაგან,
გახდება ჩემნაირი და მე შევიქმნები მისი მსგავსი
და დაფარული გაცხადდება მისთვის...“

მორჩილება მოწაფის ოსტატობისკენ გადასასვლელი ხიდია, რადგან როცა მორჩილება სრულია, იმავ წამს იგივდებით ოსტატთან, მაშინ აღარ არის კონფლიქტი. აღარ არის „ეგო“. მორჩილება ნიშნავს, რომ თქვენ ამბობთ: „მე აღარ ვარ, ხარ შენ. წამიყვანე, საითაც გინდა! მე მოგდევ ჩრდილივით. დაბრმავებული ვარ და არაფერზე ვიტყვი „არას“. ჩემი „დიახ“ საბოლოო და აბსოლუტურია“.

აბსოლუტური „დიახ“ მორჩილებაა. რას ნიშნავს ეს? თქვენში აღარ არის „ეგო“, თქვენში ახლა იესო შემოდის და მისი ნათელით იესებით.

რატომ გეშინიათ მორჩილების? იმიტომ, რომ თუ თქვენში კარი ღიაა, თქვენ ადვილად გადასალახი გახდებით. თქვენ გარე სამყაროსი გეშინიათ. ისე დიდხანს ცხოვრობდით ჩარაზულ და ბნელ ოთახში, ისე შეეჩვიეთ მას, რომ თვითონ გახდით სიბნელე. თქვენ გეშინიათ სინათლის. იგი ისე დაგაბრმავებთ, რომ თვალებს დახუჭავთ. გეშინიათ, რომ თუ დამორჩილდით, უცნობ გზას გაუდგებით. გონებაში ყოველთვის

გეშინიათ გაუცნობიერებლისა, მაგრამ ღმერთი შეუცნობია. შეუცნობია იესოც, იგი შეუცნობლის სხივია. მზე შეიძლება შორს იყოს, მაგრამ მისი სხივი გადატყდეს თქვენს კართან. მორჩილება ამ სხივისთვის კარის გაღებას ნიშნავს.

„... ის, ვინც დარწყულდება ჩემს ბაგეთაგან, გახდება ჩემი და მე შევიქმნები მისი მსგავსი და დაფარული გაცხადდება მისთვის...“

ეს აზრით სავსე და სიმბოლური სიტყვებია. შეცვარებული ერთმანეთის ბაგეთაგან რწყულდებიან. კოცნა სწორედ დარწყულებას ნიშნავს. კოცნა ბაგეების, ერთიმეორის სხეულის ხმაა და ყველაზე ძლიერმოქმედი საშუალება-ვერანაირი ალკოჰოლი ვერ შეედრება მას... მაგრამ იგივე მოვლენა ხდება გულის სიღრმეშიც, სადაც მოწაფე ოსტატის არსს შეხვდება, სადაც ისინი ეალერსებიან ერთმანეთს. ზუსტად ამას გულისხმობს იესო თავის სიტყვებში.

იგი ხშირად სარგებლობს ჭამა-სმის სიმბოლური ტერმინებით და ამბობს: „დაპურდით ჩემით, შემსვით მე, გაიჟღინთეთ ჩემით მთლიანად“. ამაშია ჭამა-სმის აზრი: „მომეცით უფლება, თქვენში ვიყო; ისე გამომწურეთ, რომ თქვენი არსებობის ნაწილი გავხდე“. მაშინ აღარ იქნება ოსტატი და მოწაფე, მათ შორის განსხვავება გაქრება. უკვე აღარ იქნება არც ბატონი და არც ყმა. მოწაფე თვითონ გახდება ოსტატი. მაშინ მე — თქვენ ხართ. მაშინ იესო — თქვენ ხართ. მაშინ ის ხდება თქვენ, თქვენ — ის. განსხვავება არ არის.

მორჩილება ნიშნავს, რომ თქვენ გაანადგურეთ არსებული განსხვავება; რომ თქვენ მზად ხართ შეხვედრისათვის. ეს შეცვარებულების მსგავსად ხდება. ჩვეულებრივ ფიზიკურ სიყვარულშიც კი თქვენი „ეგო“ მორჩილი უნდა გახდეს — შეიძლება ერთი წამით, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა გააკეთოთ. ერთი წამით მაინც უნდა გაერთიანდეთ შეყვარებულთან, ერთი წამით მაინც უნდა შეერთდეს თქვენი სხეულები. წამის შემდეგ განცალკევდებით და ისევ ორ სხვადასხვა არსებად

იქცევით. სხეულები მარადიულად ვერ გაერთიანდებიან, ეს მხოლოდ სულებს ძალუძთ.

სხეული. მყარია. სხეულები უახლოვდებიან ერთმანეთს, მაგრამ ჭეშმარიტად როდი შეერწყმიან ერთმანეთს, სული კი სინათლეს ჰგავს. როცა სანთელს აანთებთ ბნელ ოთახში, ოთახი ნათდება, მეორე სანთელს აანთებთ და სინათლე მატულობს. განასხვავებთ პირველ სანთელს მეორისაგან? მაინი სინათლეები ერთმანეთს ერწყმება. როცა მოწაფე ოსტატს საკუთარ არსში შეღწევის უფლებას აძლევს, ეს სექსუალურ ურთიერთობას ჰგავს, მაღალ საფეხურზე. მოწაფე ქალური ნაწილი ხდება, ამიტომ არის საჭირო მორჩილება.

ქალი ხომ მაშინ აღწევს მწვერვალებს, როცა მორჩილი და მოყვარულია. ქალი არ არის აგრესიული, მას პასიური როლი აქვს მამაკაცისაგან განსხვავებით. მოწაფე ქალს უნდა ემსგავსოს, პასიური, დამთმობი უნდა იყოს, ხოლო ოსტატი — მამაკაცური ფენომენის მსგავსი.

გასაგებია, რომ ამის გამო ქალები ნაკლებად იყვნენ ოსტატები, ეს თითქმის შეუძლებელია და ძალიან იშვიათად ხდება.

ერთხელ კაშმირში ერთი ქალი ცხოვრობდა, სახელად ლალი. დღესაც იქ ანდაზასავით იტყვიან ხოლმე: „კაშმირმა ორი სახელი იცის: ალაჰი და ლალიო“. ლალი წარმოუდგენლად იშვიათი ქალი იყო და ქალური არაფერი ჰქონდა. მთელი ცხოვრება შიშველი დადიოდა, იყო ძალიან აგრესიული და მამაკაცის გონება გაანდა. მას მოწაფეებიც ჰყავდა.

ქალი — ოსტატი იშვიათია, სამაგიეროდ, მოწაფე ქალი ოთხჯერ მეტი, ვიდრე მამაკაცი. შეფარდება ასეთია 4:1. მაჰავირის 50 ათასი მოწაფიდან 40 ათასი ქალი იყო. მამაკაცი — მოწაფე ქალს ვერ შეედრება, რადგან ვერ გახდება ქალივით მორჩილი და დამთმობი. მამაკაცის გონების ტიპი აგრესიულია. მოწაფეს უკეთესია ჰქონდეს ქალური გონება, ხოლო ოსტატს — მამაკაცური. ქალი ინიციატივას თითქმის არასდროს არ იჩენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის აღარ არის

ქალური და მამაკაცი მას არ შეიყვარებს. თუ ქალი მოდის და გთავაზობთ თავს, თქვენ განზე იწევით. ქალი ელოდება, ნატრობს და ოცნებობს, მაგრამ იგი იცდის. შეთავაზება მამაკაცის საქმეა. მამაკაცმა უნდა აიღოს ინიციატივა, ქალი კი პატარა ბავშვივით უნდა იქცეოდეს, ვითომ არ ესმის მამაკაცის სიტყვები, სინამდვილეში კი გეგმავს, ნატრობს და ელის მასთან შეხვედრას.

მოლა ნასრედინი ცოლთან ერთად ბაღში, პალმების ჩრდილში, სკამზე ისვენებდა. მეორე მხრიდან მათ ახალგაზრდა წყვილი მოადგა. ვაჟმა იქვე რომანტიკულად დაუწყო ქალს სიყვარულის ახსნა. მოლას ცოლი აღელდა და ყურში ჩასჩურჩულა ნასრედინს: „მე მგონი, აქ რომ ვართ, ვერ გვამჩნევენ. დაუსტვინე და მიახვედრე რომ აქ ვართ, რამე უკადრისი არ ჩაიდინონო“.

ნასრედინმა უპასუხა: „რატომ უნდა დავუსტვინო? მე ხომ არავის გაუფრთხილებივარ სტვენით, როცა ბაღში სიყვარულს გიხსნიდი და გკოცნიდი“.

ქალი ელის, მასშია საშვილოსნო. მისი არსი, მისი სხეული მოლოდინია. მოწაფეც ქალს უნდა ემსგავსოს. მან ოსტატი თავდავიწყებით უნდა შეიყვაროს, მაშინ მოხდება შეხვედრა, უმაღლესი სულიერი არსის შერწყმა, რაც სექსუალურ შეღწევას ჰგავს, მაგრამ უფრო ეგზისტენციალურს, სხეულის გარეშე, ამ შეხვედრიდან, მოწაფე ხელმეორედ იბადება, იგი ორსულდება, რათა საკუთარი თავი ხელმეორედ შვას და საკუთარ ახალ არსს ატარებს საშვილოსნოში.

მთელი დრო მოწაფეობისა, ოსტატთან ყოფნისა, ნაყოფის მუცლით ტარების პერიოდია, რაც მხოლოდ დიდმა რწმენამ შეიძლება შეგაძლებინოთ. თუ ეჭვობთ, ეს შეუძლებელია, რადგან მაშინ თავს იცავთ, აბჯარს ისხამთ და ფარს იფარებთ.

იესომ თქვა: **„ის, ვინც დარწყულდება ჩემს ბაგეთაგან, გახდება ჩემნაირი და მე შევიქმნები მსგავსი მისი და დაფარული გაცხადდება მისთვის.“**

როგორც კი მორჩილნი გახდებით, ოსტატი თქვენთვის კარად იქცევა, რითაც ხსნით სინათლის, ცხოვრებისა და ნეტარების სამყაროს.. ინდუსები ამას „სატჩიტანანდას“ უწოდებენ, რაც ჭეშმარიტ ყოფას, ცნობიერებასა და ნეტარებას ნიშნავს. როცა თქვენ სატჩიტანანდას მიაღწევთ, გასხივოსნდებით და შეგიძლიათ სხვებსაც დაეხმაროთ ცეცხლში გასვლაში, აბსოლუტური გამობრწყინების დანახვაში, უკანასკნელი ზღვარის მიღწევასა და მასში შერწყმაში.

მაგრამ სანამ ოსტატი გახდებით, თქვენ მოწაფე უნდა იყოთ. სანამ სწავლა შეგიძლიათ, უნდა ისწავლოთ და სანამ სხვების დახმარებას შესძლებთ, იქამდე თვითონ ხართ დასახმარებელი. თქვენ ნება უნდა დართოთ ვინმეს, სერიოზულად რომ დაგეხმაროთ, ხოლო ასეთი დახმარება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა თქვენ აღარ არსებობთ, რადგან თქვენ ახლა დაბრკოლება ხართ. გაუცნობიერებლობისაგან გაჩენილი შიშის გამო, სულიერი ზრდის გზაზე მუდამ ბარიერებს ქმნით — ეჭიდებით რა ნაცნობს, ამით ხელს უშლით შეხვედრას, რადგან ოსტატი უცნობია. რჩებით წარსულში, ნაცნობ სამყაროში. შეხვედრა კი მაშინაა შესაძლებელი, როცა უცნობი ნაცნობს ხვდება. ნაცნობი დაიწვება, გაქრება, მას ველარ იპოვით. ეს მზის სინათლის ბნელში შესვლას ჰგავს, სიბნელე რომ ქრება.

იყავით სიბნელე ოსტატის წინაშე, იყავით თაემდაბალი და კარგად შეიცანით საკუთარი უვიცობა. მაშინ იესო შეგიცვლით ფერს. ის კატალიზატორია, მორჩილება გცვლით და გასხივოსნებთ. თუ შეგიძლიათ მორჩილებდეთ კოსმოსს, მაშინაც იგივე ხდება, მაგრამ ძალიან გიძნელდებათ იმიტომ, რომ არ გეყოლებათ მორჩილების ობიექტი. ეს ძალიან ძნელი იქნება. ამიტომ არის ქრისტე საჭირო. ის ამ შემთხვევაში სწორედ ასეთი ობიექტია. კიდევ მინდა გიამბოთ ერთ უცნაურ მოვლენაზე, ხანდახან რომ ხდება. შეიძლება მორჩილებდეთ ცრუ ოსტატს და გახდეთ გასხივოსნებული, თუმცა თვითონ „ოსტატი“ ასეთი არ არის. ასე მოხდება იმიტომ, რომ მთავარი

მორჩილებაა. გარდასახვა მორჩილების გზით ხდება. ოსტატი მხოლოდ ობიექტია და ჭეშმარიტია თუ ცრუ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს. როცა მორჩილი ხართ, თქვენს წინ კარები ღიაა. დიდად ნუ იწუხებთ თავს იმაზე ფიქრით, თუ ვის დამორჩილდეთ — უბრალოდ იფიქრეთ სრულ მორჩილებაზე. ამიტომ ეს შეიძლება მოხდეს ქვის ქანდაკების ან ხის წინ. ასეთი რამ ბოდჰის ხის ძირას მოხდა და ამიტომ სცემენ პატივს ბუდისტები ამ ხეს. საკმარისია იმის შეგრძნება, რომ ბუდამ თავის მდგომარეობას ამ ხესთან მიაღწია და თქვენ ხეს ემორჩილებით.

მორჩილებაა მთავარი, ყველა დანარჩენი მხოლოდ გეხმარებათ ამაში. თუ იპოვით ჭეშმარიტ ოსტატს, ხომ კარგი. თუკი ვერ შესძლებთ ამას, ძალიან ნუ აღელდებით, დაემორჩილეთ იმას, ვინც თქვენ მოგწონთ, მაგრამ ეს მორჩილება ყოვლისმომცველი უნდა იყოს. თუ მორჩილება ნაწილობრივია, მაშინ იესო და ბუდა ვერ დაგეხმარებიან და თუკი მთლიანია, ისინიც რომ არ იყვნენ, უბრალო ადამიანიც დაგეხმარებათ.

შეიძლება ეჭვი შეგეპაროთ ამ უბრალო ადამიანის ჭეშმარიტ ოსტატობაში. ჯერ ერთი, სანამ არ დამორჩილდებით, ამას ვერც გაიგებთ. დასარწმუნებლად სხვა მეთოდი არ არსებობს. პუდინგის გემო თუ გაინტერესებთ, უნდა გასინჯოთ.

თქვენ უნდა დაპურდეთ და დარწყულდეთ იესოთი — ეს არის ერთადერთი გზა. თქვენ გარდაისახებით, თუ დაუჯერებთ და დაემორჩილებით მას. მაშინ მრავალი დაფარული განზომილება გაიხსნება თქვენს წინაშე, ცხოვრება, რომელსაც უყურებთ, ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია, მთელის ატომური ნაწილი. სიამოვნებები, რომლებსაც ეზიარეთ, უბრალოდ უაზრობაა. მათში ნეტარების ერთი სხივიც კი არ გამოკრთის, რომელიც დაბადებიდან გეკუთვნით. თუ ჭეშმარიტ, თქვენთაგან დაფარულ საუნჯეს იხილავთ, სხვა ყველაფერი ხარახურად მოგეჩვენებათ. მთელ ცხოვრებას სიღატაკეში ატარებთ, იმპერატორი კი თქვენს გულშია და გელოდებათ. აი, რას ეძახის იესო სასუფეველს!

ნუ იქნებით ღარიბები, როცა შეგიძლიათ მეფე იყოთ! ამისათვის კი გამბედაობაა საჭირო. სიდუხჭირეს გამბედაობა არ სჭირდება, სამაგიეროდ, მეფობა თუ გსურთ, უნდა გარდაისახოთ. და მე კიდევ გავიმეორებ იესოს სიტყვებს:

„ის, ვინც ახლოა ჩემთან, ახლოა ცეცხლთან,
და ის, ვინც დამშორდა, შორსაა სასუფევლისაგან...“

„მოდით ჩემთან, რადგან მსუბუქია უღელი ჩემი და მეუფება ჩემი — იოლი...“

„... ის, ვინც დარწყულდება ჩემს ბაგეთაგან, გახდება ჩემნაირი და მე შევიქმნები მისი მსგავსი, და დაფარულნი გაცხადდება მისთვის...“

1974 წლის 5 სექტემბერი
პუნა, ინდოეთი

საუბარი მეჩვიდმეტე

მეჩვიდმეტე შეგონება

იესომ თქვა: „— ნეტარ არიან მარტოხულნი
და რჩეულნი, რამეთუ
ჰპოვებენ სახუფეველს ცათა შინა,
რამეთუ იქიდან მოდიან და კვლავაც იქ
შეელენ“.

(თომა, 51)

იესომ თქვა: „— თუ გკითხებიან: „სადან
მოხვედით“, უთხარით, რომ ნინათლიდან
მოხვედით, იქიდან, სადაც ნინათლემ თავისი
თავი შვა.
თუ გკითხავენ: „რა ნიშნით ჰგვეხართ მაშას?“
უპასუხეთ, რომ მოძრაობითა და ნიშნავიდით“.

(თომა, 55)

ადამიანის ყველაზე ღრმად დაფარული მოთხოვნილება თავისუფლებაა. თავისუფლება, ანუ მოკშა არის მიზანი. იესო მას ღვთის სასუფეველს უწოდებს. თქვენ არსებობთ, როგორც უსასრულობა, არავითარი გზები და საზღვრები არ გაკავებთ, არავის უპირისპირდებით, ხართ ისე, როგორც იქნებოდით მარტოდ მყოფნი.

თავისუფლება და მარტოობა ერთი და იმავე მდგომარეობის სხვადასხვა ასპექტია. აი, რატომ უწოდებს მაჰავირი თავის

კონცეფციას კაივალაის მოკშას. კაივალია ნიშნავს სრულიად მარტო ყოფნას,თითქოს სხვა არავინ არსებობდეს. ვინ იქცევა ამ მდგომარეობაში თქვენთვის ბორკილად? აი, რატომაა, რომ ვინც თავისუფლებას ეძებს, მან უნდა მიაგნოს თავის მარტოობას. მაძიებელმა ადამიანებმა უნდა მიაგნონ მარტოობისაკენ სავალ გზას, აზრსა და მეთოდს. ადამიანი დაბადებულია, როგორც სამყაროს ნაწილი. ის აღზრდილია არა როგორც მარტოსული, არამედ როგორც საზოგადოებრივი არსება.

ყოველგვარი განათლებისა და კულტურის მიზანი ის არის, თუ როგორ აქციონ ბავშვი საზოგადოების ნაწილად, როგორ მიუსადაგონ იგი სხვებს. აი, რას უწოდებენ ფსიქოლოგები შეგუებას, ხოლო როდესაც მარტოსულია ვინმე, ის შეუგუებლად არ გამოიყურება.

საზოგადოება ბევრი პიროვნებებისათვის არსებობს, როგორც რაღაც ქსელი, როგორც მოდელი და ბრბო. აქ შეგიძლიათ ძალიან ძვირად მოიპოვოთ ცოტაოდენი თავისუფლება. თუ საზოგადოებას მიჰყვებით, ის მოგცემთ თავისუფლების ციცქნა სამყაროს. თუ მონა ხდებით, გეძლევათ თავისუფლება, მაგრამ ის ნებისმიერ წამს შეიძლება წაგართვან. ასეთ თავისუფლებას დიდი ფასი აქვს — შეგუება სხვებთან. ასე რომ, საზღვრები შეკრულია.

საზოგადოებაში ვერავინ ვერ იქნება აბსოლუტურად თავისუფალი. სხვების არსებობა თავისთავად წარმოქმნის უბედურებას. სარტრი ამბობს: „სხვა — ეს არის ჯოჯოხეთი“, და ის მთლიანად მართალია — სწორედ სხვა ქმნის თქვენში დაძაბულობას, სხვების გამო ღელავთ თქვენ ასე. უსასრულო შეჯახებები გრძელდება — სხვაც ხომ, თქვენს მსგავსად, აბსოლუტურ თავისუფლებას ეძიებს. თითოეული საჭიროებს სრულყოფილ თავისუფლებას, რაც მხოლოდ ერთისთვის არსებობს.

თქვენი ე.წ. მეუებიც კი არ არიან და ვერც იქმნებიან მთლად თავისუფალნი: ისინი შესაძლოა ტოვებდნენ შთაბეჭდილებას, ვითომ თავისუფალნი არიან, მაგრამ სინამ-

დვილეში ეს სიყალბეა. ისინი დამოკიდებულნი არიან სხვებზე, მათი თავისუფლება მხოლოდ ფასადია.- მაგრამ იმ განზრახვით, რომ მოიპოვონ აბსოლუტური თავისუფლება, ადამიანებს სურთ მეუობა და იმპერატორობა. იმპერატორი კი ყალბად შეიგრძნობს თავისუფლებას.

ღარიბს თავისი გასაჭირი ბორკილად ექცევა, ის ვერ უმკლავდება გაჭირვებას. საითაც არ უნდა წავიდეს, ყველგან კედელია, რომლის გადალახვაც მას არ ძალუძს. ამიტომ არსებობს სიმდიდრისაკენ მისწრაფება. სინამდვილეში ეს არის აბსოლუტური თავისუფლებისაკენ შინაგანი მისწრაფება. ყველანაირი ვნება და აღგზნება აქედან წარმოიშობა. მაგრამ თუ ყალბი მიმართულებით მოძრაობთ, ვერასოდეს მიაღწევთ მიზანს. თუ თავიდანვე არასწორი მიმართულებით მოძრაობთ, ყველაფერი პირველივე ნაბიჯიდანვე იკარგება.

ძველ ებრაულ ენაში სიტყვა „ცოდვას“ მშვენიერი მნიშვნელობა აქვს და „მიზანდაკარგულს“ ნიშნავს. ცოდვილი ის არის, ვისაც გზა აებნა, ვინც დაკარგა მიზანი. რელიგია კი — მხოლოდ საშუალებაა სწორ გზაზე დასაბრუნებლად. ამიტომ რელიგია ანტისოციალური ძალაა. თვით მისი ბუნებაა ანტისოციალური, რადგანაც საზოგადოებაში სრული თავისუფლება შეუძლებელია.

ფსიქოლოგია საზოგადოების სამსახურშია. ფსიქიატრი ცდილობს ნებისმიერი საშუალებით კვლავ შეგაგუოთ საზოგადოებას. ის თქვენ გაძლევთ ცოტაოდენ თავისუფლებას ისე, რომ ხელს არ შეუშლის თქვენს დამონებას. ეს თავისუფლება მხოლოდ მოწყალებაა. ფსიქიატრს ნებისმიერ მომენტში შეუძლია წაგართვათ იგი. თუ ფიქრობთ, რომ ნამდვილად თავისუფალი ხართ, მალე შეიძლება ციხეში აღმოჩნდეთ. პოლიტიკა, ფსიქოლოგია, კულტურა და განათლება საზოგადოებას ემსახურება. მხოლოდ რელიგიაა მეამბოხე. საზოგადოებამ მოგატყუათ და შექმნა საკუთარი რელიგიები: ქრისტიანობა, ბუდიზმი, ისლამი და სხვ. ყველაფერი ეს სოციალური ილეთებია.

იესო ანტისოციალური პიროვნებაა! იგი დაკავშირებულია ანტისოციალურ ელემანტებთან. იესო მოხეტიალე და საზოგადოებისაგან გარიყული იყო. იგი არ ემორჩილებოდა და ვერ ეგუებოდა საზოგადოებას. მან შექმნა სხვა საზოგადოება — მიმდევართა პატარა ჯგუფი.

აშრამებიც* ანტისოციალური ძალაა, ოღონდ, რასაკვირველია, არა ყველა აშრამი, რადგან საზოგადოება ყოველთვის ცდილობს, ყალბი მონეტა მოგაჩეჩოთ. ას აშრამში ერთია ნამდვილი, ესეც უკვე ბევრია და ეს ერთი აშრამი არსებობს, როგორც ალტერნატიული საზოგადოება. ის უპირისპირდება საზოგადოებას, რომელსაც იესო უწოდებდა „ისინი“ — უსახელო ბრბოს.

არსებობდა სპეციალური სკოლები, მაგალითად, ბუდას ბიხარის მონასტერი; რომლებშიც ქმნიდნენ. ადამიანთა თანაარსობრივ ჯგუფებს. ამ სკოლებში შეიმუშავეს სხვადასხვა ხერხები და საშუალებები, რათა ადამიანი ჰეშმარიტ და სრულიად თავისუფალი არსება გამხდარიყო, ამ სკოლებში ადამიანი უსაზღვრო და ყოვლისმომცველი უნდა ყოფილიყო.

ბუდაც ანტისოციალური ელემენტია, მაგრამ ქრისტიანობა და ბუდიზმი არ არის ანტისოციალური რელიგიები. საზოგადოება დაუყოვნებლივ შთანთქავს ყველაფერს. სოციალური მოვლენა ქმნის ფასადს, გაძლევთ ყალბ მონეტას და მაშინ ბედნიერი ხართ იმ პატარა ბავშვივით, მატყუარა საწოვარით რომ გააჩუმეს.

ბუდიზმი, ქრისტიანობა, იუდაიზმი და ყველა სხვა „იზმი“ უბრალოდ მატყუარა საწოვრებია, ისინი დამაწყნარებელი საშუალებებით ცდილობენ გამოგიმუშავონ მტანჯველ, მონურ გარემოცვასთან შეგუების უნარი. თქვენ გრძნობთ, თითქოს ყველაფერი წესრიგშია. ეს რელიგიები ტრანკვილიზატორები და ნარკოტიკული საშუალებებია.

დიახ, ქრისტიანობაც ნარკოტიკია, იგი უფრო ძლიერად გაბრმავებთ — თქვენ არ შეგიძლიათ დაინახოთ, რა ხდება თქვენს გარშემო, ვერ იგრძნობთ, როგორ იხარჯება თქვენი

სიცოცხლე. თქვენ ვულკანზე იმყოფებით. ქურუმები კი გიმტკიცებენ, რომ ყველაფერი რიგზეა და ისინი იზრუნებენ თქვენთვის ამ ცხოვრებაშიც და საიქიოსაც. თქვენც მათ ყველაფერს ანდობთ. ამიტომ ხართ ასე უბედურნი.

საზოგადოება ვერ გაქცევთ სრულიად თავისუფალ ადამიანებად. სადაც არ უნდა წახვიდეთ, ყველგან საზოგადოებას წააწყდებით. ბუნებაშიც კი საუბარს დაიწყებთ ხეებთან, ფრინველებთან და ცხოველებთან, რამეოდენ ძალიან ძნელია მარტო ყოფნა. მეგობრებად გაიხდით ფრინველებს, ცხოველებს. ყოველ დილით დაელოდებით ჩიტს, რომელიც დილაობით მოფრინდება და გიგალობებთ. თქვენ კვლავ გახდებით ვიღაცაზე დამოკიდებული, ვინაიდან სხვა ჩაერთობა თქვენში. შეიგნეთ, რომ საზოგადოება არ არის თქვენს გარეთ, ის თქვენშია და სანამ ძირეულ მიზეზებს არ აღმოუხვრით, სადაც არ უნდა წახვიდეთ, საზოგადოება თქვენთან იქნება.

ჰიპების კომუნაში რომ შეხვიდეთ, თქვენთან ეროად საზოგადოებაც შემოვა და სოციალურ ძალად იქცევა. აშრამშიც ასევე მოხდება, მაგრამ ეს საზოგადოება კი არ არის, რომელიც თქვენ მოგყვებათ, ეს თქვენ თვითონ ხართ, თვითონვე ქმნით თქვენს გარშემო საზოგადოებას და თქვენშია დაფარული მისი თესლი. ამიტომ სანამ მთლიანად არ გარდაისახებით, ვერასოდეს გამოეყოფით საზოგადოებას, თუმცა მრავალჯერ შეიცვალა საზოგადოების ფორმები, მაგრამ მისი ძირითადი სახე იგივე დარჩა.

საზოგადოება დაბრკოლებაა, ჰიმალაის მთებშიც კი ვიღაცას დაელოდებით, სულერთია ვის — მგზავრს, გზად მომავალ მონადირეს თუ სხვას. ადამიანის გამოჩენა მოგანიჭებთ ცოტაოდენ ბედნიერებას, რადგან მარტოობაში სევდიანი ხართ და შეხვედრისაგან რაიმეს გაიგებთ. ყოველ შემთხვევაში, მისი ორიოდე სიტყვაც თქვენი მარტოობის წამალი იქნება. რატომ? ფესვი უნდა დაინახოთ ამის, რათა გასაგები გახდეს.

თქვენ გსურთ, რომ იყოთ საჭირო ვინმესთვის და შინაგანად მოითხოვთ ამას, როცა არავის არ სჭირდებით, თავს

უსარგებლოდ გრძნობთ. თუ ვინმეს სჭირდებით, თქვენი ცხოვრებაც შინაარსიანი ხდება და გგონიათ, რომ დიდი პასუხისმგებლობით ასრულებთ მოვალეობას, მაგრამ ეს ხომ ტყუილია!

უბრალოდ წარმოიდგინეთ, რომ არა გყავთ ახლობლები, არც ცოლი და არც შვილი, მაშინ თქვენი ცხოვრება უაზრო გახდება, რადგან აღარ იქნებით საჭირო და თქვენ ყოფნა-არყოფნას დიდი მნიშვნელობა არ ექნება.

ერთი ავადმყოფი ფსიქოანალიზის სეანსებზე დადიოდა სამკურნალოდ. ფსიქოანალიტიკოსი ძალიან ექსცენტრული ადამიანი იყო. ორი-სამი წლის სეანსების შემდეგ ავადმყოფმა თავის მეგობარს უთხრა: „ჩემი ექიმი ჩემზე უარეს მდგომარეობაშია. მე გამუდმებით ვლაპარაკობ, ის კი არასოდეს მპასუხობს, არც „არას“ მეუბნება და არც „ჰოს“. უბრალოდ, ზის ჩემთან, მე გაუთავებლად ვლაპარაკობ, ის კი მისმენს და ასე გრძელდება უკვე სამი წელი. როგორ მოვიქცე?!“

მეგობარმა მიუგო: „იქნებ თავი დაგენებებინა?“ მაგრამ ავადმყოფმა ეს ვერ შესძლო. ამას მეორე უბედურებაც დაერთო — ფსიქიატრი მოკვდა. მისმა პაციენტმა ისევ მეგობარს მიმართა: „მე კვლავ პრობლემა გამიჩნდა — ადრე, როდესაც ეს კაცი არაფერს მეუბნებოდა, არც „ჰოს“ მპასუხობდა და არც „არას“, არ ვიცოდი, უარმყოფდა თუ მაღიარებდა, მართალი ვიყავი თუ მტყუანი. უბრალოდ, ვუამბობდი და მისმენდა. ახლა კი მოკვდა და რა ვქნა?“

მეგობარმა უპასუხა: „თუ არ გელაპარაკებოდა, რა განსხვავებაა? შენს თავს ელაპარაკე!“

ავადმყოფმა კი უპასუხა: „არა, ის ხომ მე მისმენდა!“

მთელი ფსიქოანალიზი და მისი პრაქტიკა მოსმენაზეა დამოკიდებული. სინამდვილეში მასში სხვა არაფერია. აბა რატომ მიდიხართ ფსიქოანალიტიკოსთან? — საქმე იმაშია, რომ ცნობილი ფსიქიატრი და მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი თქვენ ყურადღებას გაქცევთ და თქვენს საუბარს ისმენს. თქვენ თავს კარგად გრძნობთ, რამეთუ მის გარდა სხვა

არავინ, თვით ცოლიც კი არ მოგისმენთ. ამ ქვეყნად ცხოვრობთ, როგორც არარაობა და მოსმენისათვის ფსიქიატრს უხდით გასამრჯელოს. ეს ფუფუნებაა და მხოლოდ მდიდარ ადამიანებს ძალუძთ ამის გაკეთება.

ფსიქიატრის კაბინეტიდან თქვენ ფრთაშესხმული გამოდიხართ, მაგრამ ეს სიხარული და შვება არ არის მუდმივი. თქვენ ისევ მიაკითხავთ ფსიქიატრს, რამეოდ გჭირდებათ, რომ ვინმე გისმენდეთ. მან შეიძლება არც არაფერი გითხრათ, მაგრამ მოსმენაც საკმარისია თქვენთვის.

როგორც ჩანს, თქვენთვის აუცილებელია, ვინმესთვის საჭირო იყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფეხქვეშ ნიადაგი გეცლებათ. თქვენ გჭირდებათ საზოგადოება. მარტოსულობას ბრძოლას არჩევთ ვიღაცასთან. ბოლოს და ბოლოს მეტოქე ყურადღებას გითმობთ, როგორც მტერს და თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ მასზე.

დაუკვირდით სიყვარულის საჭიროებას. თუ ვინმე გიყვართ, თქვენ უგონოდ ხართ და არ ეკუთვნით საკუთარ თავს, მაგრამ როცა შეყვარებულების საუბარს მოისმენთ, ხედავთ, რომ მათ გულის სიღრმეში სურთ, რომ ერთი იყოს მეორეზე შეყვარებული, თქვენც გსურთ, სხვას უყვარდეთ და არა თქვენ გიყვარდეთ ვიღაც. მუდამ ასეა, შეყვარებულები შესტრფიან ერთმანეთს იმის გამო, რომ თვითონ იყვნენ სიყვარულის ობიექტები. ძირითადია არა ის, რომ გიყვარდეთ, არამედ ის, რომ უყვარდეთ.

აი, რატომ ხდება, შეყვარებულები რომ ერთმანეთს ადანაშაულებენ ორგულობაში. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და უსასრულო მოთხოვნილებაა და აქედან გამომდინარე, სიყვარულის სურვილის დაკმაყოფილება შეუძლებელია. რაც არ უნდა აკეთოს თქვენმა სატრფომ, თქვენ ყოველთვის მეტის იმედი გაქვთ და გრძნობთ, რომ მეტია შესაძლებელი.შემდეგ არ გყოფნით ეს და იმედი გიცრუვდებათ. თითოეული შეყვარებული ფიქრობს: „მე მიყვარს, მას კი — არც თუ ისე ძალიან. ორივე ასე ფიქრობს და რაშია საქმე?“.

არავის არავინ არ უყვარს. სანამ არ მიაღწევთ იესოს ან ბუდას მდგომარეობას, ვერ შესძლებთ სიყვარულს, რამეთუ სიყვარული შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც აღარ გააჩნია საჭიროების მოთხოვნილება.

ხალილა გიბრანმა თავის შესანიშნავ წიგნში — „იესო, ძე ადამიანისა“ — გამოიგონა შესანიშნავი ისტორია, (ზოგჯერ გამონაგონი უფრო ნამდვილია, ვიდრე ფაქტი). მარიამ მაგდალინელმა გამოიხედა და დაინახა ბაღში ხის ძირას მჯდომი იესო, რომელიც მშვენიერი იყო. მაგდალინელი ცნობილი მეძავი გახლდათ და ბევრ მამაკაცთან ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა. მას მეუბნებიან კი აკითხავდნენ, მაგრამ მარიამს არასოდეს უსახავს იესოს მსგავსი სილამაზე, ვინაიდან გასხივოსნებულ პიროვნებას აქვს უხილავი სინათლე, რომელიც იმქვეყნიური მშვენიერების ელფერს ანიჭებს. იესო იჯდა, როგორც ღარიბულ სამოსში გამოწყობილი იმპერატორი და მარიამ მაგდალინელი ისე დაატყვევა თავისი მომხიბლავობით, რომ ქალმა მსახურები გაუგზავნა და მოიპატიჟა, მაგრამ იესომ „უარი განაცხადა“, აქ ხის ქვეშაც, მშვენივრად ეგრძნობ თავსო. მარიამმა კი ვერ დაიჯერა ეს და თვითონ მივიდა იესოსთან. „შემოდი ჩემს სახლში და იყავი ჩემი სტუმარი!“ — უთხრა მან.

იესომ უპასუხა: „მე უკვე შემოვედი შენს სახლში და უკვე სტუმარი ვარ. რაღა საჭიროა მიპატიჟება?“

მარიამმა კი ვერ გაიგო იესოს სიტყვების აზრი და ხელმეორედ სთხოვა სახლში შესვლა.

იესომ უპასუხა: „მე უკვე მივიღე მოწვევა და დაიმახსოვრე — ისინი, ვინც ამბობენ, რომ გლებულობენ, არასოდეს მიგიღებენ და ვინც სიყვარულს გიმტკიცებს, არ უყვარხარ და მე გეუბნები, რომ მიყვარხარ და მხოლოდ მე ძალმიძს შენი სიყვარული!“ იესო მაინც არ შევიდა სახლში. ხის ჩრდილში დაისვენა და წავიდა.

იესოს სიტყვებიდან გამომდინარე, თქვენ არ შეგიძლიათ სიყვარული, სიყვარული თქვენთვის სიცრუეა. თქვენ,

უბრალოდ, იღებთ შეყვარებულის სახეს, რათა სხვას შეუყვარდეთ. აი, რატომ იტანჯებიან მუდამ შეყვარებულები — ისინი ერთმანეთს ატყუებენ და ორივენი მოტყუებულად გრძნობენ თავს.

გყვარებიათ ვინმე ნამდვილად როდისმე? შეგიძლიათ თქვათ, რომ მთელი სულითა და გულით გიყვარდათ? არა! არასოდეს გიზრუნიათ ამაზე. თქვენი ინტერესი ის იყო, რომ დარწმუნებულიყავით სხვის სიყვარულში. პრობლემას ყოველთვის სხვაში ეძებთ და არასოდეს უყურებთ საკუთარ თავს.

მოლა ნასრედინს 99 წელი შეუსრულდა. იგი ყველაზე ხანდაზმული კაცი იყო მთელს ოლქში. ადგილობრივი გაზეთის კორესპოდენტმა მისგან ინტერვიუ აიღო და გამომშვიდობებისას უთხრა: „იმედი მაქვს, ასი წელიწადი რომ შეგისრულდებათ, მაშინაც გინახულებთ“.

მოლა ნასრედინმა გაკვირვებულმა შეხედა და მიუგო: „რატომაც არა, ახალგაზრდავ, თქვენ ჩემზე ახალგაზრდად გამოიყურებით!“

არავინ უყურებს საკუთარ თავს,თქვენც სხვას უცქერით, სხვას უსმენთ და სხვისკენ იწევთ. სიყვარული მაშინ მოდის, როცა სული კრისტალდება და სრულყოფილ „მეს“ აღწევს. თქვენი „ეგო“ სიყვარულს ვერასოდეს ვერ განიცდის. მას სურს, რომ სხვას უყვარდეს, რადგან სიყვარული მისთვის საზრდოა.

თქვენ გიყვართ რაღაც საჭიროებისათვის; ზრდით შვილებს არა იმიტომ, რომ ბავშვები გიყვართ, არამედ იმიტომ, რომ სხვებს დაანახოთ, როგორი მშობლები ბრძანდებით, რაც თქვენს „ეგოს“ აკმაყოფილებს.

სანამ საჭიროების მოთხოვნილებას არ მოიშორებთ, ვერ იქნებით მარტო და როცა გაგიქრებათ ეს გრძნობა, ხალხმრავალ ბრბოშიც კი სრულიად მარტოსულად იგრძნობთ თავს.

ახლა შეეცადეთ გაიგოთ იესოს ნათქვამი:

„ნეტარ არიან მარტოსულნი და რჩეულნი,

რამეთუ ჰპოვებენ სასუფეველს ცათა შინა,

რაშეთუ იქიდან მოდიან და კვლავაც იქ შეელენ..“

ვინ არის მარტოსული? ის, ვინც მოიშორა საჭიროების მოთხოვნილება; ის, ვინც საკუთარი თავის კმაყოფილია, ისეთის, როგორიც არის; ის, ვინც არ საჭიროებს სხვას და მისი აზროვნება და ცოდნა თავად მასშია. ის ცხოვრობს საკუთარ თავთან მარტო, რაც თქვენ არ შეგიძლიათ. მარტოობაში თქვენ სწუხართ და ღელავთ. რა ურდა ჰქნათ? მიდიხართ ეკლესიაში, თეატრში ან მაღაზიაში, სად, სულერთია, მხოლოდ კი წახვიდეთ და მარტოობას დააღწიოთ თავი.

მარტოობა ძალიან ძნელი, უსიამოვნო და ექსტრაორდინალურია. რატომ გსურთ ვინმეს გვერდით ყოფნა ასე მძაფრად? იმიტომ, რომ, როცა მარტო ხართ, თქვენი მნიშვნელობა ქრება. შედით მაღაზიაში და რამე იყიდეთ. გამყიდველი — შეგძენთ მნიშვნელობას და არა ის ნივთი, რაც თქვენ იყიდეთ. ყიდულობთ მხოლოდ იმიტომ, რომ იყიდოთ, მაგრამ ზოგჯერ გამყიდველი ისე გიყურებთ, თითქოს თქვენზე ბევრი რამ იყოს დამოკიდებული. ამასთან, თქვენ იცით, რომ ეს ნიღაბია. გამყიდველისთვის სულ ერთია, ვინ ბრძანდებით. ის გესალმებათ და გღებულობთ, როგორც სასურველ სტუმარს. თავს კარგად გრძნობთ, რომ თქვენ ვიღაც ხართ და თქვენზე ვიღაც არის დამოკიდებული.

თქვენ მუდამ ეძებთ ვიღაცის გამოხედვას. ქალის ყურებაც მნიშვნელობას გძენთ. ფსიქოლოგებმა დაადგინეს ასეთი რამ — როდესაც შედიხართ აეროპორტის, ვაგზლის ან სასტუმროს მოსაცდელში, თუ ორჯერ შემოგხედავთ რომელიმე ქალი და გაგიღიმებთ, იგი იოლად დაჰყვება თქვენს ცდუნებას, მაგრამ თუ მხოლოდ ერთხელ შემოგხედათ, ნუღარ შეაწუხებთ და დაივიწყეთ იგი. ფსიქოლოგებმა გადაიღეს ფილმები ფარული კამერით და დაადგინეს, თუ ქალი მამაკაცს ორჯერ შეხედავს და გაუღიმებს, სურს ამ მამაკაცის გულის მონადირება. ქალის მუსუსებმა ეს კარგად იციან. თუ ქალმა ერთხელ შემოგხედათ, ეს არაფერს არ ნიშნავს ჯერ, ხოლო თუ ხელახლა

შეეოგხედათ, ე.ი. ინტერესი გაუჩნდა, იგი განიშნებთ, რომ ზედ არის გააბას თქვენთან სასიყვარულო კავშირი.

როდესაც ქალი გიყურებთ, თქვენ მნიშვნელობას იძენთ და უნიკალური ხდებით. აი, რატომ მოსდევს სიყვარულს ამდენი სირთულე. იგი ხომ სიცოცხლეს გმატებთ, მაგრამ ყოველდღე ერთი და იმავე ქალის ცქერა ვერაუერს გიშველით, ამიტომ ბეზრდება ქმარს ცოლი და ცოლს კი — ქმარი. თქვენ შეეჩვიეთ თქვენს მეუღლეს და აღარაფერი დაგრჩათ მოსაპოვებელი. ამიტომ გინდებათ ბაირონად, დონ-ჟუანად ყოფნის და ერთი ქალიდან მეორესთან წასვლის სურვილი. ეს არ არის სექსუალური მოთხოვნილება, რადგან სექსთან არავითარი კავშირი არა აქვს. სექსი უფრო ღრმაა ერთ ქალთან ინტიმურ ურთიერთობაში, ეს კი არც სექსია და არც სიყვარული. ეს „ეგოს“ საჭიროებაა. თუ ყოველდღე ახალი ქალის გულს იპყრობთ, თავი მნიშვნელოვან პიროვნებად მოგაქვთ, ერთ ქალთან ურთიერთობით კი თავს წყალწაღებულად გრძნობთ. ამიტომაა ცოლქმრული ურთიერთობა ხშირად უსიცოცხლო და გზნებადამრცხრალი.

ნასრედინს და მის მეუღლეს ქორწინების 25 წლისთავი შეუსრულდათ. ნასრედინი ამ დღეს სადღაც წასასვლელად მოემზადა. ცოლს კი იმედი ჰქონდა, რომ იგი რაიმეთი აღნიშნავდა ამ დღეს. ამიტომ შეეკითხა: „ხომ არ დაგავიწყდა, დღეს რა დღეა?

ნასრედინმა უპასუხა: „ვიცი!“

მაშინ ცოლმა მიუგო: „თუკი იცი, მოიმოქმედე რაღაც უჩვეულო“.

ნასრედინი დაფიქრდა და უთხრა: „რას იტყვი ორწუთიან დუმილზე?“

როცა თქვენი ცხოვრება რაღაცას მიეჯაჭვა, ფიქრობთ, რომ ეს სიყვარულია. მაგრამ ეს „ეგოს“ საჭიროებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველდღე ახალ ქალს ან ახალ მამაკაცს სჭირდებოდეთ. თუ ეს ასეა, ცოტა ხნით ბედნიერი ხართ. ეს

ყველაფერი პოლიტიკოსის გატაცებას ბგავს. ჰიტლერი ცდილობდა მთელი მსოფლიოსათვის ყოფილიყო საჭირო.

ეს საჭიროება არ მოგცემთ მარტოობის ნებას. პოლიტიკოსი ვერ გახდება მორწმუნე, რამეთუ საწინააღმდეგო მიმართულებით მიემართება. იესოს თქმისა არ იყოს, მდიდარი ძნელად თუ შევა ცის სასუფეველში. აქლემი უფრო ადრე გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე იგი სასუფევლის კარს შეხსნის. ცათა სასუფეველში მხოლოდ ის მოხვდება, ვინც თავის არარაობას მიხვდა, ვისი ნავიც დაცარიელდა, ვინც უკუაგდო „ეგოს“ საჭიროებები. ვინ არის მარტოსული? ის, ვისაც გაუქრა საჭიროდ ყოფნის მოთხოვნილება; ვინც არ გთხოვთ, რომ მიანიჭოთ რაღაც მნიშვნელობა, ვინც არ არის დამოკიდებული თქვენს გამოხედვაზე. რასაკვირველია, თუ შეიყვარებთ, იგი მადლობელი დარჩება, მაგრამ თუ არ შეიყვარებთ, მაინც არაფერი შეიცვლება, რამეთუ იგი დარჩება ისეთივე მშვენიერი, როგორიც ყოველთვის. თუ ესტუმრებით, გაიხარებს, თუ არ ესტუმრებით, ისეთივე ბედნიერი იქნება, როგორც ყოველთვის. თუ ბრბოში იცხოვრებს, მხიარული იქნება, მაგრამ ისეთივე სიხარული ეწვევა განდეგილობაშიც.

მარტოსულმა ადამიანმა უკვე ისწავლა თავისთავთან ცხოვრება და ბედნიერებასაც გაუგო გემო. მარტოობაში იგი საკუთარი თავით კმაყოფილდება. ამიტომ არ მოსწონთ ახლობლებს რელიგიურობა — თუ ქმარი მედიტაციებს ატარებს, ცოლი ადგილს ვერ პოულობს, მას ურჩევნია, არ გააცნობიეროს, რა ხდება. რატომ? მის გონებას გაუცნობიერებელი შიში იპყრობს იმისა, რომ მისი მეორე ნახევარი ცდილობს საკუთარი თავით დაკმაყოფილებას. ცოლს რომ არჩევანი შესთავაზონ — ქმრის მედიტაციები თუ მისი გალოთება, იგი ამ უკანასკნელს არჩევს. ასევე ქმარსაც ურჩევნია, ცოლი მეძავი იყოს, ვიდრე სანიასინი გახდეს.

სანიასინი ის ადამიანია, ვინც საკუთარი თავით კმაყოფილდება და არავის არ საჭიროებს, ვინც არ არის სხვაზე დამოკიდებული და არც თავისი უსარგებლობის შიში გააჩნია.

მთელი თქვენი არსებობა ემყარებოდა იმას, რომ თქვენ მისთვის საჭირო იყავით, უოქვეროდ ის არაფერს არ წარმოადგენდა და მისი ცხოვრება უაზრო იყო, მხოლოდ თქვენთან ყოფნისას შეეძლო მას გაფურჩქვნა, მაგრამ როცა იგებთ, რომ იგი მარტოობაშიც ყვავილობს, თქვენ ფორიაქდებით და თქვენი „ეგო“ ილახება.

იესო ამბობს: „ნეტარ არიან მარტოსულნი...“ ე.ი. ადამიანები, რომელთაც შეუძლია იცხოვრონ საკუთარ თავთან ისევე ადვილად, როგორც მთელ კაცობრიობასთან, რომლებიც ტკბებიან პატარა ბავშვებივით საკუთარი თავით. დიახ, პატარებს შეუძლიათ, დატკბნენ საკუთარი თავით. ფროიდს მაოვის განსაკუთრებული ტერმინი გააჩნია — „პოლიმორფული“.

ბავშვი თამაშობს საკუთარი სხეულით, წოვს საკუთარ თითს, ეს მისი სხეულის მოთხოვნილებაა. თქვენ მას კვებავთ, საფენებს უცვლით და მის ფიზიკურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებთ. ბავშვს ჯერ არ გააჩნია ფსიქოლოგიური საჭიროება. ბავშვი არ იბადება მახინჯი, მაგრამ დროთა განმავლობაში მახინჯდება.

ძალიან ძნელია მახინჯი ბავშვისა და მშვენიერი მოხუცებულის პოვნა, რამეთუ ყველა ბავშვი მშვენიერია და ყველა მოხუცი — მახინჯი. ბავშვი მშვენიერ არსებად დაიბადა და ასეთივე მშვენიერი უნდა გარდაიცვალოს, მაგრამ ცხოვრებას თავისი მოაქვს.

ყველა ბავშვი საკუთარი თავით კმაყოფილდება და ამაშია მთელი სილამაზე. იგი არსებობს საკუთარი თავისათვის ისე, როგორც სინათლე. ყველა მოხუცი უსარგებლოა, რადგან მიხვდნენ, რომ აღარ არიან საჭირონი და რაც უფრო ემატებათ ასაკი, მით უფრო გრძნობენ ამას. შესაძლოა. ისინი იყვნენ დიდებული მოღვაწენი, მაგალითად, დაწესებულებების ბოსები ან ბანკების პრეზიდენტები, მაგრამ მათ ველარ ამჩნევენ, ისინი ელიან სიკვდილს, რომლითაც არაინ შეწუხდება და მათი სიკვდილიც კი სიმახინჯედ იქცევა.

ერთხელ ამერიკაში ერთმა კაცმა ისეთი რამ ჩაიდინა, რაც არასოდეს აზრად არ მოსვლია არავის. მან გადაწყვიტა გაეგო, როგორ შეხვდებოდა ხალხი მის სიკვდილს. ეს ასე მოხდა — ექიმებმა 24 საათით ადრე აცნობეს მას, რომ მოკვდებოდა. ეს კაცი იყო ცირკებისა და გამოფენების სარეკლამო სააგენტოს მეპატრონე და მშვენივრად მოახერხა თავისი სიკვდილის რეკლამირება. დილით მისმა აგენტმა პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში გამოაცხადა მისი გარდაცვალების ამბავი. დაიწერა ნეკროლოგები, გაისმა ტელეფონის ზარის ხმა, ბევრი მოვიდა სამძიმარზე, კაცი კი ამით ტკბებოდა.

როცა ვინმე კვდება, მას ყოველთვის კარგად მოიხსენიებენ და ანგელოზად გადააქცევენ ხოლმე. არავინ ფიქრობს, უარყოფითი რამ თქვას თქვენზე, სიკვდილის შემდეგ. სანამ ცოცხალი ხართ, არავინ იტყვის თქვენს სასარგებლოდ კარგს, როცა მოკვდებით, ყველა ბედნიერი იქნება, რამეთუ ბოლოს და ბოლოს მოიმოქმედეთ რაღაც კარგი — მოკვდით.

ამ კაცსაც სწორედ ასე დაემართა. იგი სრულიად მშვიდად გამოესალმა სიცოცხლეს და დარწმუნდა, რომ ყველაფერი მშვენიერია.

სხვები გჭირდებათ არა მარტო სიცოცხლეში, არამედ სიკვდილის დროსაც. იფიქრეთ საკუთარ სიკვდილზე — ორიოდე ახლობელი, მსახურები და ძაღლი გაგაცილებთ ბოლო გზაზე და სხვა არავინ. არც რეპორტიორები იქნებიან იქ და არც ფოტოგრაფები. თქვენი მეგობრებიც შეიძლება არ მოვიდნენ და ყველა იფიქრებს, რომ ეს სიმძიმე თავიდან მოიშორეს.

სიკვდილის დროსაც კი იმის მოთხოვნილება გრჩებათ, რომ საჭირო იყოთ. რატომ ანიჭებთ მხოლოდ სხვის შეხედულებას მნიშვნელობას. თქვენი არსებობა არაფერს ნიშნავს?

იესო, როდესაც ამბობს: „ნეტარ არიან მარტოსულნი...“ იმ ადამიანს გულისხმობს, რომელიც სრულიად ბედნიერია საკუთარ თავთან, რომელსაც შეუძლია მთელ დუნიაზე მარტო ყოფნა და არ ეცვლება განწყობილება არასოდეს. მარტოსული კაცი ხის ქვეშ ზის და ბუდად იქცევა.

მარტოსულები რჩეული ადამიანები არიან, ვინაიდან ისინი, ვისაც ბრბო სჭირდება, კვლავაც ბრბოში აღმოჩნდებიან და ეს მათ მოთხოვნილებად იქცევა. ღმერთი ყველაფერს გისრულებთ, რასაც სთხოვთ და რასაც ახლა წარმოადგენთ, თქვენი წარსული სურვილების ასრულებაა. სხვას ნურავის დაადანაშაულებთ ამაში, ვინაიდან ეს ის არის, რაზეც ლოცულობდით. დაიმახსოვრეთ — რასაც ისურვებთ, ის აგისრულდებათ. ვიდრე რამეს ისურვებდეთ, დაფიქრდით, რადგან არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ იგი ასრულდეს, მერე კი დაიტანჯებით. მდიდარი ადრე ღარიბი იყო, შემდეგ სიმდიდრე ინატრა და ოცნება აუსრულდა. ახლა იგი უბედურია, ტირის და ამბობს: „მთელი ჩემი ცხოვრება ამ უსარგებლო ხარახურას შევწირე". მაგრამ ასეთი იყო მისი სურვილი. თუ ცოდნას ნატრობთ, ეს ოცნებაც აგისრულდებათ. თქვენი თავი იქცევა უზარმაზარ ბიბლიოთეკად, მაგრამ მომავალში დაიტანჯებით და იყვირებთ: „მხოლოდ სიტყვები, ყველაფერში სიტყვები და არაფერი არსებითი, ამაზე გავფლანგე მთელი ჩემი ცხოვრება".

ისურვეთ მთელი შეგნებით, ვინაიდან ოდესმე ყველა სურვილი შეგისრულდებათ, რასაც შეიძლება სულ ცოტა დრო დასჭირდეს.თქვენ უკვე დგახართ რიგში. თქვენამდე სხვაც ბევრი ნატრობდა და მოცდაა საჭირო. ზოგჯერ ის, რასაც ამ ცხოვრებაში ნატრობთ, შეიძლება სხვა ცხოვრებაში აგისრულდეთ, ამიტომ ვიდრე ინატრებდეთ, დაფიქრდით! დაფიქრდით კარგად, ნატვრა როდისმე აგისრულდებათ და დაიტანჯებით.

მარტოსული ღვთის რჩეულია, რამეთუ ამქვეყნიურს არაფერს ნატრობს. მან ყველაფერი ისწავლა ცხოვრებიდან, რაც საჭირო იყო და დაემსგავსა ცაში ახიდულ მწვერვალს. ის იქცა რჩეულად — გური-შანკარად და ევერესტად. ბუდა და იესო მაღალი მწვერვალები და ეული პიკებია. მათი სილამაზე მარტოობაშია.

მარტოსული რჩეულია. მან აირჩია საკუთარი არსი, ხოლო როცა საკუთარ არსს ირჩევთ, ეს მთელი სამყაროს არსის არჩევასაც ნიშნავს, რამეთუ თქვენი და სამყაროს არსი ერთი და

იგივეა. თქვენ ირჩევთ საკუთარ არსს, თქვენ ირჩევთ ღმერთს. როცა მას ირჩევთ, ღმერთი გირჩევთ თქვენ და თქვენ ხდებით რჩეული.

„ნეტარ არიან მარტოსულნი და რჩეულნი, რამეთუ
ჰპოვებენ სასუფეველს ცათა შინა,
რამეთუ იქიდან მოდიან და კვლავაც იქ შეევლენ...“

სანიასინი მარტოსული, მოხეტიალე, სრულიად ბედნიერი არსებაა. იგი არასოდეს ელოდება ვინმეს და არასოდეს იცქირება უკან, რამეთუ მარტო იგი ერთიანია. ზუსტად ეს „არსებითობა“ და მთლიანობა გაქცევთ წრედ, რომელშიც დასაწყისი და დასასრული ხვდება ერთმანეთს. ზუსტად ასეთი წრეა მარტოსული. თქვენი დასაწყისი და დასასრული კი არასოდეს ხვდება ერთმანეთს.

„...რამეთუ იქიდან მოდიან და კვლავაც იქ შეევლენ...“ — თქვენ ერწყმით სათავეს.

არსებობს იესოს სხვა შეგონებაც: „როცა დასაწყისი და დასასრული გაერთიანდებიან, თქვენ ღმერთად ურდა იქცეთ“.

შესაძლოა, გინახავთ ეგვიპტის საიდუმლო საზოგადოების ერთ-ერთი უძველესი ბეჭდის ასლი, რომელზეც გველია გამოსახული. იგი ყლაპავს თავის კუდს. ეს დასაწყისისა და დასასრულის შეხვედრაა, ეს ალორძინებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ უნდა გახდეთ ისეთნი, როგორც ბავშვები, უნდა იმოძრაოთ წრეში, დაბრუნდეთ საწყისთან და იმას მიაღწიოთ, საიდანაც მოხვედით.

იესომ თქვა: „თუ გეკითხებიან...“ აქ მას საზოგადოება, ბრბო, ის ხალხი ჰყავს მხედველობაში, რომლებიც გამუდმებით თხოულობენ, გახდნენ საჭირონი. ისინი არავის არ აძლევენ მარტოობის უფლებას. შეიძლება თქვენც დაგიწყონ დევნა, ჩაგითრიონ კვლავ საზოგადოებაში, უკანვე დაგაბრუნონ ციხეში. მათ არ ძალუძთ გაიაზრო როგორ მოახერხეთ გაქცევა. თუ მარტოსული გახდებით, თქვენთან თავს მყუდროდ ვერ იგრძნობენ. რატომ? იმიტომ, რომ თვითონ თქვენი ყოფნა აიძულებთ მათ დაეჭვდნენ საკუთარ ყოფიერებაში. როცა იესო

შეიძლება თქვენში, თქვენ თავს უხერხულად გრძნობთ, ვინაიდან თუ ის მართალია, თქვენ არა ხართ მართალი, არადა ის ისე იქცევა, რომ მართალს ჰგავს. თუ იესო მართალია, მაშ, ვინ ხართ თქვენ? იესო შუაზე ხლეჩს საზოგადოებას. იგი ბედნიერად გამოიყურება. მას არავინ სჭირდება და არც თვითონ სჭირდება არავის. იესო მარტოსულია და ნეტარი. თქვენ კი ნევროზულ და თითქმის შეშლილ მდგომარეობაში იმყოფებით. ამიტომ ცდილობთ, ნებისმიერი საშუალებით დაამტკიცოთ, რომ იესო არასწორია.

შემორჩენილია იესოს წინააღმდეგ დაწერილი წიგნები, რომლებშიც ამტკიცებენ, რომ იესო სულით ავადმყოფი იყო. ვინ დაწერა ეს? ზუსტად ბრბო წერდა ამ წიგნებს. ისინი დამშვიდდებიან მხოლოდ მაშინ, როცა ნაღდად დაამტკიცებენ, რომ იესო შეშლილი იყო. რატომ არის ამის მტკიცება საჭირო? თუ იესო შეშლილია, რაღა დამტკიცება უნდა?

ეს იმიტომ, რომ იესო გაიძულებთ, საკუთარ თავში დაეჭვდეთ. აი, რატომ უარყოფთ ასეთ პიროვნებებს სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ აღმეროებთ. მაშინ თქვენ შეგიძლიათ მისი სახის თქვენებურად წარმოდგენა.

შეხედეთ ქრისტიანულ იესოს სახეს! ეს კარიკატურაც კი არ არის, რამეთუ სრულიად ყალბი სახეა. ქრისტიანები ამბობენ, თითქოს იესო არასოდეს იცინოდა. მე არასოდეს მინახავს მოცინარი იესოს გამოსახულება, მაგრამ იესო მოცინარი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, მას უნდა ჰყვარებოდა სიცილი და ყოფილიყო ყვავილობის მჩქეფარე სათავე.

მაგრამ ქრისტიანები იესოს იმდენად დამწუხრებულს ხატავენ, რამდენადაც შესაძლებელია. იესო იმდენად მწუხარედ გამოიყურება, რომ მასთან ერთად ყოფნა მეტად მძიმეა. შედით ნებისმიერ ქრისტიანულ ეკლესიაში და შეხედეთ იესოს გამოსახულებას. იქნებით იესოსთან მთელი დღე? თქვენ ამას ვერ შესძლებთ, რადგან იგი ძალიან მწუხარე და სევდიანია! თქვენ თქვენი დარდიც გეყოფათ.

ქრისტიანებმა თავის სიმბოლოდ ჯვარი აირჩიეს და ამით ყველაფერი დაკარგეს. იესო ლაპარაკობდა ჯვარზე და იგი ჯვარს აცვეს, მაგრამ მისი სიტყვების აზრი სულ სხვა იყო. ქრისტიანებმა ჯვარი აირჩიეს, რადგან იგი ტანჯვას ნიშნავდა მათთვის. ჩვენ კი იმდენი ტანჯვა გადავიტანეთ, რომ არ შეგვიძლია ვიწამოთ გაცინებული ქრისტე. შეგიძლიათ იწამოთ ტანჯული ქრისტე, რადგან იგი ჩვენსავით მწუხარეა და უფრო მეტად ტანჯულია, ვიდრე ჩვენ. ჩვენ გვესმის ტანჯვის, მწუხარებისა და სიკვდილის რაობა, მაგრამ სიცოცხლის ვერაფერი ვერ გაგვიგია. აი, რატომ არსებობს ქრისტიანობა, კრიშნას გარშემო ვერ იარსებებს ვერცერთი სარწმუნეობა. ინდუსები ეთაყვანებიან კრიშნას, მაგრამ სურვილის გარეშე. კრიშნა თქვენს არსებობას ეწინააღმდეგება, უკრავს ფლეიტაზე და ცეკვავს ქალწულებთან, ყოველთვის ბედნიერია და მუდამ იცინის. თქვენ ამიტომ ვერ უგებთ კრიშნას. თქვენ შეიძლება ჩასწვდეთ სიკვდილის რაობას, მაგრამ ფლეიტის დაკვრას და სიმღერას ვერ აღიქვამთ.

ქრისტიანობა ხანძარივით მოედო მთელ მსოფლიოს, კრიშნას კი არავინ ეთაყვანება. ის, ვინც ფიქრობს, რომ კრიშნას თაყვანისმცემელია, სინამდვილეში ასეთი არ არის. მათ კრიშნას არსი უნდა ახსნან მრავალგვარად. ისინი ვერ იჯერებენ, რომ მას თექვსმეტი ათასი საყვარელი ცოლი ჰყავდა და ყველასთან ცეკვავდა. ეს ხომ შეუძლებელია, ამაში რაღაც სხვა აზრია ჩადებული.

ამიტომ ისინი ახდენენ კრიშნას თავისებურ ინტერპრეტაციას — თითქოს კრიშნას თექვსმეტი ათასი საყვარელი ცოლი სინამდვილეში თექვსმეტი ათასი ნერვია, ადამიანის ნერვული სისტემა. მაგრამ გეუბნებით, რომ კრიშნას ზუსტად ამდენი საყვარელი ცოლი ჰყავდა, რომ იგი იცინოდა, მღეროდა და ცეკვავდა, და თვითონ ექსტაზი იყო. იესოც ასეთი იყო. აი, რატომ გეუბნებით, რომ მისი სახელი „ქრისტე“ შესაძლოა „კრიშნადან“ წარმოიშვა. იესო იყო მხიარული და არა მწუხარე ადამიანი.

მაგრამ თქვენ არ შეგწევთ ძალა, მოიცინარე ადამიანის ენას ჩასწვდეთ. მოცეკვავე ღმერთისთვის თქვენ ჯერ არ ხართ მზად, ეს სამყაროც არ გამოდგება მის სახლად. კრიშნასთან თქვენი ურთიერთობა შეუძლებლად გეჩვენებათ, იესოსთან კი შეთანხმებულად.

ჯვარცმა სიმბოლოდ იქცა, მაგრამ იესოსათვის ჯვარი სრულიად სხვა რამეს ნიშნავდა. ჯვარს ორი ჩვეულებრივი ხაზი აქვს, ერთი — ჰორიზონტალური, მეორე — ვერტიკალური. ჰორიზონტალური ხაზი დროა — წარსული, აწყმო და მომავალი, ეს არის სწორ ხაზზე მოძრავი „ა“, „ბ“ და „გ“. თქვენ ამ ხაზზე ცხოვრობთ. ვერტიკალური ხაზი კი მარადისობაა. ის ყოველთვის აქ არის, მისთვის არ არსებობს წარსული და მომავალი. უფრო მაღლა და მაღლა მიიწევს და არა წინ. დრო და მარადისობა ერთმანეთს ხვდება იესოს ჯვარცმის ადგილზე, ეს არის წამი, როდესაც იესო კვდება, ეს ხდება **ახლა!**

თუ ახლა კვდებით, აღდგებით და თავიდან დაიბადებით. მაშინ თქვენთვის არ არსებობს სიკვდილი, რადგან დრო ქრება და თქვენ მუდმივი ხდებით. ჯვარი დროისა და მარადისობის შეხვედრის სიმბოლოა და ეს წერტილი უნდა იყოს თქვენი სიკვდილი. ის სხვა ვერაფერი იქნება, რადგან, როცა დროის სამყაროდან გაქრებით, მარადიულობის ნაწილად იქცევით. დრო და მარადისობა ერთმანეთს გადაკვეთს სწორედ **აქ** და **ახლა**, ამ წამს.

ახლა — ეს არის წამი, რომელშიც არსებობს ჯვარი, მაგრამ თუ მოძრაობთ ჰორიზონტალურ ხაზზე, მომავალში დაკარგავთ ჯვარს. თუ ამ მომენტიდან პირდაპირ ვერტიკალურად იწყებთ მოძრაობას, თქვენ ჯვარზე ხართ — მოკვდებით ისეთი, როგორიც ხართ და დაიბადებით ხელახლა, სულმთლად თავიდან. სიკვდილი არ არსებობს, ეს დაბადება კი მარადიულ სიცოცხლეს გაძლევთ.

იესოსათვის ჯვარის სიმბოლო დროისა და მარადისობის გადაჯვარედინება იყო, მაგრამ ქრისტიანებისათვის იგი მწუხა-

რებისა და ტანჯვის სიმბოლოდ იქცა. იესო ინდოეთში რომ დარჩენილიყო და იუდეაში არ წასულიყო, ინდოეთში რომ დაეხატათ ჯვარი მას ისეთივე ფორმა ექნებოდა, მაგრამ იესოს გამოსახულება იქნებოდა განსხვავებული, იგი დაემსგავსებოდა სახემომღიმარ, ექსტაზურ კრიშნას.

როცა დრო ქრება, თქვენ კვდებით დროის სამყაროში და აღდგებით მარადიულობაში. ამას ინდუსები „სამადჰის“* უწოდებენ, მაგრამ ქრისტიანობაში ეს მომენტი დაკარგულია.

ასე ხდება ყოველთვის. იესოს უხერხულობა მოაქვს, რომელიც გულს გიღრღნით, ხოლო როდესაც ის აღარ არის, მაშინ შეგიძლიათ დახატოთ მისი სახე ისეროგორც თქვენ შეგესიტყვებათ, მაგრამ მაშინ ის თქვენი წარმომადგენელია და სხვა არაფერი.

იესომ თქვა: **„...თუ გეკითხებიან: „საიდან მოხვედით“, უთხარით, რომ სინათლიდან მოდიხართ, იქიდან, სადაც სინათლემ თავისი თავი შვა...“**

ჩვენ ღმერთისგან მოვდივართ და მისი შვილები ვართ. ჩვენ მოვედით მთელი ყოფიერების სათავიდან. ყოფიერების სათავეს კი არ გააჩნია არანაირი სათავე. ის თავისთავადია და საკუთარი თავის შემქმნელი, მას არა ჰყავს მშობელი. შემოქმედს არა ჰყავს სხვა შემოქმედი. ის თვითწარმომქმნელი ძალაა.

„ჩვენ სინათლიდან მოვდივართ, იქიდან, სადაც სინათლე წარმოიშვა საკუთარი თავიდან“. თუ ისინი გკითხავენ: **„რა ნიშნით ჰგავხართ მამას?...“** ხალხი გკითხავთ, გასხივოსნებული თუ ხართ, იცანით თუ არა მამა? მოგთხოვენ აჩვენოთ ნიშნები, მათ არ ძალუძთ უშუალოდ ყურება, ისინი ყოველთვის აღწერას მოითხოვენ, მათ უშუალოდ თქვენში შემოღწევა არ შეუძლიათ. როდესაც აქ არის ბუდა, მაშინაც კი გაინტერესებთ მისი არსებობის დამადასტურებელი რაღაც ნიშანი. იესო აქ არის. ნუთუ ეს არაა საკმარისი? თქვენ არ შეგიძლიათ იმის დაჯერება, რომ ის თქვენზე აღმატებულია.

ხალხი მიდიოდა იესოსთან და ეკითხებოდა: „მართლა ის ხარ, ვინც აღგვიოქვეს? მართლა ის რჩეული ხარ?“ მათ მეტწილად მისი მოწაფეებისათვის უნდა ეკითხათ ეს, ვინაიდან „ისინი“ ყოველთვის მოწაფეებს ეწინააღმდეგებიან, ოსტატსაც უწევენ წინააღმდეგობას, მაგრამ მოწაფეები მათ შორის ცხოვრობენ. ისინი ცდილობენ იესოს მოწაფეები თავსატეხი კითხვებით რომელიმე საკითხში გამოიჭირონ: „როგორ გავიგოთ, რომ მამათქვენი ღმერთია? აქციეთ წყალი ღვინოდ, გააცოცხლეთ მკვდარი და დავიჯერებთ!“ — ამბობენ ისინი. მათი აზრით, ბუნების საწინააღმდეგო რამ უნდა ჩაიდინოთ! იესოს კი არასოდეს არ უთქვამს მოწაფეებისათვის, სასწაულები მოახდინეთ და ნიშნები აჩვენეთო. მან უმშვენიერესი რამ თქვა:

„თუ გკითხავენ: „რა ნიშნით ჰგავხართ მამას?“
უპასუხეთ, რომ მოძრაობითა და სიმშვიდით...“

ძნელია ამის გაგება. რა აქვს იესოს მხედველობაში? ის ამბობს: „ჩვენ ვმოძრაობთ და მაინც სიმშვიდეში ვართ.წინააღმდეგობა გაქრა. ახლა ჩვენ ყველა წინააღმდეგობის სინთეზი ვართ. ვლაპარაკობთ და თან არ ვლაპარაკობთ; ვლაპარაკობთ და ამავე დროს, ვდუმვართ; გვიყვარს და არც გვიყვარს, ვინაიდან საყვარელ ადამიანად ყოფნის საჭიროება გაქრა. მარტოსულნი ვართ და მაინც თქვენს შორის ვიმყოფებით. ჩვენ ბრბოში ვართ, მაგრამ არა ვართ ბრბოდან. ბრბო ვერ აღწევს ჩვენში. ვცხოვრობთ და ვმოძრაობთ ამქვეყნად, მაგრამ ამ სამყაროს არ ვეკუთვნით. შეგვიძლია მასში ყოფნა, მაგრამ ეს სამყარო არ არის ჩვენში“.

იესო ამბობს: მოძრაობა და სიმშვიდე. შეხედეთ — ვმოძრაობთ მაგრამ მოძრაობა არ არის დაძაბული, დავდივართ, მაგრამ ჩვენი არსებობის ცენტრში არ არის არანაირი მოძრაობა, ვინაიდან არ არსებობს სადმე მოხვედრის გადაწყვეტილება. შეშოგეხედეთ — ჩვენ არ გაგვაჩნია არანაირი სურვილი, მაგრამ მაინც გამუდმებით ვშრომობთ, მაგრამ მაინც ვსუნთქავთ და ვცოცხლობთ. შეშოგეხედეთ — ჩვენ

ვცხოვრობთ და არცა ვცხოვრობთ. თქვენ გხედავთ დროში, დრო კი გაქრა ჩვენთვის, ჩვენ მარადისობაში შევაბიჯეთ. ეს არის ჭეშმარიტი ოსტატის ნიშანი,სწორედ მოძრაობა და სიმშვიდე.

თქვენთვის იოლი იქნება გაიგოთ, ოსტატის, რომელიც მოძრაობს, ემსახურება ხალხს, ცელის საზოგადოებას, ქვნის უდიდეს მოძრაობას. თქვენ იოლად ჩასწვდებით ასევე განდის მუდმივ მოძრაობას, პოლიტიკურ, სოციალურ, სარწმუნეობრივ აქტიურობასა და ხალხისადმი ერთგულებას. განდი ხომ მაჰატმა, „დიდებული სული“ იყო. ეს არის მოძრაობა, მხოლოდ მოძრაობა, სხვებისთვის მიძღვნილი. ეს სხვებისთვის ცხოვრებაა და არა საკუთარი თავისათვის.

თქვენ ადვილად გაუგებთ ადამიანს, რომელიც გაგეშორდა და სიმშვიდეში წავიდა, რომელიც განუდგა ცხოვრებას და ჰიმალაებში დაიმალა, რომელიც არ ლაპარაკობს, არ მოძრაობს და არაფერს არ აკეთებს. იგი, უბრალოდ, ზის იქ მდუმარედ, სიმშვიდეში. ორივე მათგანმა მხოლოდ ერთი პოლუსი აირჩია. ისინი ძალიან კარგი ადამიანები არიან, მაგრამ სრულყოფილება აკლიათ, რამეთუ არ გააჩნიათ მამის ნიშანი. ასეთი ადამიანები უნდა გახდნენ, როგორც იესოა — მოძრავი, მაგრამ მაინც მდუმარე.

მოძრაობა და სიმშვიდე ნიშნავს ცხოვრებას ამ სამყაროში ისე, რომ არ უარყოთ იგი და მაინც მთლიანად განეშოროთ. გადაკვეთის წერტილია იქ, სადაც ხვდებიან უკიდურესობები. თუ აირჩიეთ ერთი უკიდურესობა, თქვენ შესცდით და მიზანი დაკარგეთ. ნუ ამოირჩევთ. აი, რატომ გირჩევენ ლაო-ძი, იესო და სხვები: „ნუ აირჩევთ!“ ამორჩევის დროს თქვენ კარგავთ მიზანს. ნუ აირჩევთ! ორივე უკიდურესობას მოძრაობასაც და სიმშვიდესაც მიეცით ერთად ყოფნის საშუალება. იქეცით სიმფონიად და არა ერთ ნოტად, ერთი ნოტი ძალიან უბრალოა.

მოლა ნასრედინი ვიოლინოზე მუდამ ერთსა და იმავე ნოტს იღებდა. მისი ოჯახი წუხდა, მეზობლებიც ბრაზობდნენ. და ეუბნებოდნენ: „ეს რა მუსიკაა? თუ სწავლობ, სწორედ

ისწავლე, შენ სულ ეროსა და იმავე ნოტს უკრავ. ეს ისეთი დამქანცველია, რომ ღვისითაც კი ყველა იძინებს".

ნასრედინმა მათ ასეთი პასუხი გასცა: „სხვები ცდილობენ, იპოვონ თავიანთი ნოტი, ისინი ჯერ კიდევ გზაში არიან, მე კი უკვე ვიპოვე და მივაღწიე მიზანს!"

ერთი ნოტი უბრალოა და მისი ხანგრძლივად სწავლა არ არის საჭირო. მაგრამ უბრალო ნოტი კარგავს მთელ მშვენიერებას, ვინაიდან რაც უფრო მეტია სირთულე, უფრო ლამაზია მიღწეული. ღმერთი ყველაზე რთულია. ის მთელი ქვეყნიერებაა, მთელი სამყარო იყრის მასში თავს.

რით ჰგავხართ მამას? მხოლოდ სინთეზით, მხოლოდ სიმფონიით, რომელშიც ყველა ნოტი ერთმანეთთანაა შერწყმული. მამათქვენს თქვენი მოძრაობითა და სიმშვიდით ჰგავხართ!

შეეცადეთ გაიგოთ ეს და თქვენს ცხოვრებად აქციოთ. უკიდურესობას იოლად აირჩევთ — ან აქტიური გახდებით, ან მშვიდი. პირველ შემთხვევაში დაიხარჯებით, მეორე შემთხვევაში ყველაფერს დაკარგავთ. ერთიცა და მეორეც არჩევანი იქნება. ოქვენ დაშორდებით ღმერთს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, რამეთუ ღმერთი არაფერს უარყოფს და არაფერზე არ ამბობს უარს. ღმერთი ყველაფერშია და თვითონ არის ყველაფერი.

თუ თქვენც ყოველივედ იქცევით უარყოფის, უკუგდებისა და არჩევანის გარეშე, მაშინ გექნებათ სრულყოფილების ღვთიური ნიშანი!

ერიდეთ უკიდურესობებს! ისინი სახიფათო გზებია, რომლებზეც უკუ იხევენ. დაე, შეხვდეს ორი უკიდურესობა ერთმანეთს! მაშინ აღმოცენდება ახალი გამოვლინება, უფრო მნიშვნელოვანი, უფრო რთული, უფრო სათუთი და უფრო მშვენიერი!

1974 წლის 6 სექტემბერი
პუნა, ინდოეთი

საუბარი მეთვრამეტე

მეთვრამეტე შეგონება

სიმონ-პეტრემ უთხრა იესოს: — „გაეცალენ მარიამი,
რადგან ქალები არ არიან ცხოვრების ღირსნი“.
იესომ უთხრა: — „უფერეთ, მე წაიყვან მას,
მამაკაცად რომ ვაქციო, რათა იხიც კაცეს
უკვდავი სული, რომელიც იქნება თქვენი
მსგავსი, რამეთუ ნებისმიერი ქალი, რომელმაც
საკუთარი თავი მამაკაცად აქცია, შევა ცათა
სახუმეველში“.

(თომა, 118)

დღეს ჩვენ მღვრიე წყალში გავცურავთ და ამიტომ ბევრ საკითხში უნდა გავერკვეთ. ნუ აიკვიატებთ ნურაფერს, რადგან წინასწარ აკვიატებული აზრით ვერაფერს ჩასწვდებით.

პირველი — მამაკაცი და ქალი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ისინი, ამავე დროს, ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსები არიან. ისინი იზიდავენ ერთმანეთს, რამეთუ მიზიდულობა მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს ან საგნებს შეიძლება ახასიათებდეთ. მსგავსი არც თუ ისე მიმზიდველია. ვინც არ უნდა იყოს იგი, თქვენთვის ნაცნობია. მამაკაცისათვის ქალია უცნობი, რომელიც იზიდავს და მასში ცნობისმოყვარეობას იწვევს.

ქალისათვის მამაკაცია უცნობი. მამაკაცისათვის ღმერთი ამ სამყაროში ქალის სახით აღწევს, ვინაიდან ღმერთიც უცნობია, ქალისათვის კი მამაკაცია ღვთაებრივი.

ამრიგად, საწინაღმდეგო ძალიან მიმზიდველია. მამაკაცი და ქალი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, მაგრამ, ამავე დროს, თანასწორნი არიან. ორი საწინააღმდეგო პოლუსი ყოველთვის თანასწორია, სხვაგვარად ისინი ვერ დაუპირისპირდებან ერთმანეთს.

მეორე მნიშვნელოვანი ნიშანი ის არის, რომ ქალის სხეული სულ სხვა მიზნების გამო არსებობს. მამაკაცის სხეულთან შედარებით, მას სულ სხვა ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ქიმიური ფუნქციები გააჩნია.

ქალი და მამაკაცი არსებობენ, როგორც ორი განსხვავებული სამყარო. ქალს საშვილოსნო გააჩნია. „ადამიანი საშვილოსნოთი“ — აი, აქედან მოდის სიტყვა „ქალი“. საშვილოსნოზე მნიშვნელოვანი არაფერია, მთელი ცხოვრება მისი საშუალებით იწყება, იგი სამყაროს კარიბჭეა. ამიტომ ქალი ძალიან მგრძნობიარე უნდა იყოს. საშვილოსნო თავშესაფარია, მამაკაცი კი — სტუმარი. იმის გამო, რომ საშო ქალის სხეულის ცენტრალური მოვლენაა, ქალის მთელი ფიზიოლოგია შესანიშნავადაა მოწყობილი. ქალი არც აგრესიულია და არც ცნობისმოყვარე, არ იძლევა შეკითხვებს, არ ეჭვიანობს, ვინაიდან ეს ყველაფერი აგრესიის შემადგენელი ნაწილებია. თქვენ ეჭვობთ, ეკითხებით, იკვლევთ, ქალი იცდის, როდის მოვა მასთან მამაკაცი, რათა იგი გამოიკვლიოს. ქალი არ იღებს ინიციატივას, იგი უბრალოდ ელის და შეუძლია უსასრულოდ ლოდინი.

სწორედ ლოდინი განასხვავებს ქალს მამაკაცისაგან. როდესაც ქალი შედის რელიგიის სამყაროში, მან სხვა გზას უნდა მისდიოს, ვიდრე მამაკაცმა. მამაკაცი აგრესიულია, ეჭვიანობს, ეძიებს, ცდილობს ყველაფრის დაპყრობას და ასეც უნდა მოიქცეს, რადგან მას აგრესიული სპერმა გააჩნია. მთელი მისი სხეული სექსს უკავშირდება, რომელიც ეძიებს, რომელმაც უნდა შეაღწიოს.

ყველა იარაღი, რომელიც კი შეუქმნია კაცობრიობას, თვით წყალბადის ბომბიც კი, მამაკაცის ორგანოს — პენისის პროექციას წარმოადგენს. ისარიც, ტყვიაც და ყუმბარაც

გადალახავს სივრცეს და მიზანს აღწევს. ქალი მოვარეზე გაურენის თაობაზეც კი გაიცინებს და იტყვის, რომ ეს სისულელეა.

მამაკაცი რისკავს სიცოცხლეს, ვინაიდან ეს მისთვის ცხოვრების საიდუმლოებებში შეღწევის ნიშნავს. რაც უფრო შორს არის მიზანი, უფრო მიმზიდველია. მამაკაცი იპყრობს ევერესტს, აბიჯებს მთვარეზე, წინ მიიწევს და მისი შენერება შეუძლებელია. მას ხელს ვერაფრით ვერ შეუშლით.

ის, რაც ცნობილი ხდება, უსარგებლოდ იქცევა, უკვე აღარ არის საინტერესო და საჭირო ხდება უფრო ღრმა საიდუმლეობებში შეღწევა. თითქოს მთელი ბუნება ქალი იყოს, ხოლო მამაკაცმა მასში უნდა შეაღწიოს და საიდუმლეობას ჩასწვდეს.

მამაკაცმა შექმნა მეცნიერება. ქალს არ შეუძლია მეცნიერული საქმიანობა, ვინაიდან მას არ გააჩნია დამფუძნებელი აგრესიულობა. ქალებს შეუძლიათ იოცნებონ, რამეთუ ოცნება მოლოდინია, ეს საშოს ნაწილია. მაგრამ ისინი ვერ იქნებიან მეცნიერები და ლოგიკოსები, ვინაიდან ლოგიკაც აგრესიაა. ქალი ვერ იქნება სკეპტიკოსი და ეჭვიანი. მას შეუძლია, სჯეროდეს. მისი რწმენა ყოველთვის ბუნებრივია, ეს საშოს ნაწილია, ხოლო მთელი სხეული ისე არსებობს, რომ საშომ შესძლოს მასში არსებობა.

მთელი სხეული საშოს დამხმარე ბუნებრივი წარმონაქმნია, რამეთუ საშოთი მოდის სიცოცხლე ყოფიერებაში. სწორედ ეს აძლევს ქალს სრულიად განსხვავებულ ორიენტაციას. ქალისათვის რელიგია შეიძლება სიყვარულის სახეობა იყოს, მაგრამ ვერ იქნება ჭეშმარიტის ძიება. თავისთავად „ჭეშმარიტების ძიების“ ფაზა მამაკაცზეა ორიენტირებული. სარწმუნეობა ქალისთვის საყვარელი ადამიანის მოლოდინია. ღმერთი მისთვის შეიძლება იყოს მეუღლე ან შვილი, მაგრამ არა ჭეშმარიტება, ეს უკანასკნელი ისეთი შიშველი, უფხო, მშრალი და მკვდარი ჩანს, თითქოს მასში არ იყოს სიცოცხლე. მაგრამ მამაკაცისათვის ჭეშმარიტება გაცილებით მნიშვნელოვანია, რამეთუ მან

იცის, რომ ჭეშმარიტება ღმერთია, რომ თუ იცით ჭეშმარიტება, ყველაფერი იცით. საშუალება კი, რომელსაც მამაკაცი იყენებს, არის დაპყრობა.

მამაკაცი ყოველთვის იპყრობს ბუნებას. ქალთან, მისი ამ განსხვავების გამო ყოველთვის არსებობდა პრობლემა, რაც ბუდამდე წარმოიშვა. ბუდას მეთოდი მამაკაცზეა ორიენტირებული. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან მეთოდის შექმნა ისევ აგრესიაა. მეცნიერება აგრესიაა, იოგაც — ასევე, რადგან ისინი მასზე დაყრდნობით შეიცნობენ და ანადგურებენ სამყაროს საიდუმლოებებს. აი, რა არის ცოდნის აზრი. ჩვენ ვგებულობთ და ის, რასაც ვგებულობთ, იდუმალებას კარგავს.

სანამ საიდუმლოს არ გაანადგურებს, მამაკაცი ვერ მოისვენებს. მას სურს სამყაროს დემისტიფიცირება, მისთვის არცერთი საიდუმლო არ უნდა იყოს შეუცნობი. ამიტომ არის, ყველა მეთოდი მამაკაცის შექმნილი. ბუდა, კრიშნა, იესო, ზარატუსტრა, მაჰავირი და ლაო-ძი მამაკაცები არიან. მათი სადარი მეთოდების შემქმნელი ქალი არ არსებობს. არსებობენ გასხივოსნებული ქალები, მაგრამ მათ არ შეუქმნიათ არავითარი მეთოდები, ისინი მაშინაც კი მიმდევრებად დარჩნენ. იმისათვის, რომ რომელიმე მეთოდი შეიქმნას, აგრესიული გონებაა საჭირო.

ქალს ძალუძს უსასრულო ლოდინი, მისი მოთმინება უსაზღვროა. ეს ასეც უნდა იყოს, რამეთუ ბავშვი 9 თვის განმავლობაში უნდა ატაროს მუცლით. ნაყოფი ყოველდღე მძიმდება, ქალს კი მოთმინების და თავისი ტვირთის ტარების უნარი უნდა ჰქონდეს. მას უნდა უყვარდეს თავისი ტვირთი, ელოდოს და იოცნებოს ბავშვის დაბადებაზე. შეხედეთ ქალს, დედა რომ უნდა გახდეს — იგი უფრო მშვენიერდება და იფურჩქნება, აღწევს სილამაზის ახალ პიკს, მას ნათელი აურა მოსავს, რადგან თავისი შესაძლებლობების მწვერვალზეა. იგი დედა ხდება, მისი სხეულის მთავარი ფუნქცია — დედობა — თვითონ ბუნებას დაუწესებია.

აღიქვით ფეხმძიმე ქალის ოცნებები. იგი ვერ იჯერებს, რომ მისი პირმშო ჩვეულებრივი იქნება, მის ოცნებაში ბავშვი ყოველთვის უნიკალურია. ინდოეთში არის გასხივოსნებული დედის სიზმრის ჩანაწერის ტრადიცია. ჩაწერილია ბუდასა და მაჰაჟირის დედის სიზმრები, მაგრამ მე ვამბობ, რომ იგივე ესიზმრება ყოველ დედას. ისინი სიზმარში ხედავენ, რომ ღმერთს შობენ.

როცა ბავშვი მოელინება ქვეყანას, მასთან ერთად დედამისიც იბადება. მანამდე ის ჩვეულებრივი ქალი იყო, ბავშვის დაბადებამ კი დედად აქცია. ერთი მხრივ, იბადება ბავშვი, მეორე მხრივ — დედა, რომელიც სრულიად განსხვავდება უწინდელი ქალისაგან. არსებობს წყვეტილი.ახლა დედის ყოფიერება ხალისიანი ხდება. აქამდე იგი უბრალო ქალი, შეყვარებული ან ცოლი იყო, მაგრამ ეს აღარ არის მნიშვნელოვანი. დაიბადა ბავშვი და სამყაროში შემოვიდა ახალი სიცოცხლე, ქალი დედა გახდა. აი, რატომ ეშინიათ ზოგჯერ შვილების ყოლისა ქმრებს. მათ ხანდახან არ მოსწონთ ბავშვები,რადგან ცოლთან ურთიერთობაში მესამე პირი შემოდის, რომელიც ცენტრი ხდება.ამის შემდეგ ქალი აღარ იქნება ისეთი ცოლი, უწინ რომ იყო. ქმარს ნამდვილად თუ სურს სიყვარული, ის შვილივით უნდა გახდეს, რადგან ქალი, რომელიც უკვე დედაა, აღარასოდეს იქნება ჩვეულებრივი მდედრი. იგი დედაა და ერთადეროი გამოსავალი გრჩებათ, რომ თქვენ შვილი გახდეთ. მაშინ თქვენ ხელახლა მიიღებთ მის სიყვარულს, თუ არა და სიყვარული მთლიანად ბავშვზე გადავა.

დედამ მიაღწია მწვერვალს. გამოდის, რომ მისიის ქმრის ან საყვარლის ყოლა მხოლოდ დედად გახდომის საშუალება იყო. ქალისათვის ძიება დედად გახდომის საშუალება და დედობის მოლოდინია, ქმრისათვის კი შვილი არ არის მიზანი. მამაკაცი ქალს ეძებს, რათა უყვარდეს იგი და თუ ბავშვი ჩნდება, ეს უბრალო შემთხვევითობაა. მამაკაცმა უნდა აიტანოს

თავისი შვილი, რომელიც გზის ნაპირზეა და არ არის მიზანი და გზის დასასრული.

ეს განსხვავება ღვთისკენ მიმავალ გზაზეც წარმოიშობა. ათასობით ქალი ინტერესდებოდა ბუდაით და მის გზაზე სურდა დადგომა და ზიარება. ბუდა კი ეწინააღმდეგებოდა ამას, რამეთუ მისი მეთოდი ძირითადად მამაკაცებზეა მხოლოდ ორიენტირებული. ბუდას ქალებისათვის ნება რომ დაერთო, მთელი სქემა ფუჭდებოდა. მაგრამ მას მოუხდა ქალების დაშვება ზიარებაზე, იგი ხომ ყველას თანაუგრძნობდა, უამრავი ქალი მივიდა ბუდასთან ზიარების მისაღებად. ბუდა იღებდა მათ, მაგრამ სევდიანად ეუბნებოდა: „ჩემი რელიგია ხუთი ათასი წლის განმავლობაში იარსებებდა, ახლა კი იგი მხოლოდ 500 წლამდე გასტანს“.

იმის გამო, რომ წინააღმდეგობები ერთმანეთს შეხვდნენ, ქაოსი დაიწყო და მართლაც 500 წლის შემდეგ ბუდიზმი მოისპო ინდოეთში, ვინაიდან ქალებმა უამრავი პრობლემა შემოიტანეს, ბუდას მეთოდი კი თავის საწყისში მამაკაცებისათვის არის გამიზნული.

თუ ბუდას მიზანს გაიგებთ, მაშინ ქრისტე უფრო თანამგრძნობლად მოგეჩვენებათ. მასზე ვერ იფიქრებთ, როგორც — მამაკაცურ შოვინისტზე. იგი არ იყო ასეთი — არც მამაკაცების მომხრე და არც ქალთა მოწინააღმდეგე. მისი მეთოდი, რომელიც ეკლესიამ დაკარგა, შეუძლიათ გამოიყენონ მამაკაცებმაც და ქალებმაც.

სიმონ-პეტრემ უთხრა იესოს: „გაგვშორდეს მარიამი, რადგან ქალები არ არიან ცხოვრების ღირსნი...“

ეკლესია ანტიფემინისტური გახდა: არსებობდა მონასტრები, რომლებშიც მამაკაცები ქალებს შესვლის ნებას არ რთავდნენ, ქალი ბოროტების მთავარ მიზეზად ითვლებოდა: უცხო ყოველთვის ბოროტად გეჩვენებათ, ვინაიდან ვერ უგებთ მას.

ქალი იდუმალებით მოცული რჩება და როცა ის თქვენს ცხოვრებაში შემოდის, დომინირებას იწყებს, მაგრამ ის ამას

ისეთი სინატიფით აკეთებს, რომ მის წინააღმდეგ ავკარგება არ შეგიძლიათ.

მამაკაცს ყოველთვის ეშინოდა მისი, ამიტომ ისინი, ვინც ჭეშმარიტებას ან ღმერთს ეძებს, ყოველთვის გაურბის ქალს. როცა ქალი მოდის, ის დომინირებს ყველაფერზე. ქალს სურს მთლიანად დაიპყროს თქვენი ყურადღება. მას არ სურს, მოწინააღმდეგედ ღმერთი ან ჭეშმარიტება ჰყავდეს. ქალი ვერ იტანს მოწინააღმდეგეს, იგი ეჭვიანია. მაშასადამე, მაძიებელი უნდა ერიდოს ქალებს.

ერთმა ახალგაზრდა კაცმა სოკრატეს ჰკითხა: „რას მირჩევთ, ცოლი შევირთო თუ არა?“ და სწორედ იმას ჰკითხა, ვისთვისაც უნდა ეკითხა, სოკრატე ხომ დააზარალა ქორწინებამ. მას ჰყავდა ცოლი, სახელად ქსანტიპა, რომელიც ერთერთი ყველაზე საშიში ქალი იყო კაცობრიობის ისტორიაში. იგი გამუდმებით ედავებოდა სოკრატეს, აძლევდა მითითებებს; ხელში რაც მოხვდებოდა, ზოგჯერ ესროდა ხოლმე კიდეც. ერთხელ ცხელი ჩაიც კი შეასხა ქმარს და ნახევარი სახე დაუწვა.

ამრიგად, ახალგაზრდა კაცმა იცოდა, ვის მიმაროავდა. სოკრატემ უპასუხა: „ქორწინება საჭიროა. თუ კარგი ცოლი შეგხვდებათ, ბედნიერი იქნებით, ხოლო თუ ჩემი ცოლისნაირ ქალს გადაეყრებით, მაშინ ფილოსოფოსი გახდებით და ორივე შემთხვევაში არაფერს წააგებთ“.

სიმონ-პეტრემ უთხრა იესოს: „გაგეშორდეს მარიამი, რადგან ქალები არ არიან ცხოვრების ღირსნი...“

რასაკვირველია, სახიფათოა, ქალები თქვენს გეერდით იყვნენ, რაშეთუ მაშინ აღარ გეცოდინებათ, სად მიდიხართ და რა ხდება. მოედანი დაბინძურებულია. ქალი მამაკაცისთვის იდუმალებისა და შეუცნობელის სიმბოლოა.ის წარმოგვიდგება ზმანების, პოეტურობის, არალოგიკურობის, ირაციონალურობის და არაცნობიერების სიმბოლოდ.

მოლა ნასრედინი და მისი ცოლი წაეიდნენ ერთმანეთს. მათი კინკლაობა კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოს ნასრედინმა

იფიქრა, დანებება სჯობიაო. ძნელია ქალთან ბრძოლა. ქალმა ურდა გაიმარჯვოს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ისეთ უბედურებას გადაგცრით, თქვენს გამარჯვებას ფასი არ ექნება. ნასრედინმაც ეს გაიფიქრა და ცოლს უთხრა: „კარგი, გეთანხმები“. ხოლო ცოლმა მიუგო: „ახლა ეს ველარ გიშველის, მე აზრი შემეცვალა უკვე“.

მას, ვინც ღმერთს ეძიებდა, ყოველთვის ეშინოდა ქალის, რადგან მათთან ურთიერთობაში არასოდეს არაფერში არ ხართ დარწმუნებული. გამოსავალს ვერ ხედავთ იმაში, რომ მისცეთ ქალს უფლება, იყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი და მეგობარი, რადგან გეშინიათ მან გამოუსწორებელი უბედურება არ დაგატეხოთ თავს. ქალების ქცევა არალოგიკურია, მათი გონება — ამოუცნობი და ამასთან, ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ შეიყვაროთ ქალი და მასთან სექსუალური კავშირი დაამყაროთ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გზა გებნევათ და სულ სხვა მიმართულებით მოძრაობთ. ბერებსა და მაძიებელს ქალის ყოველთვის ეშინოდათ და მათი შიში გასაგებია.

სიმონ-პეტრე გულისხმობდა რა იმას, რომ რელიგიის სწორმინდე შეილახებოდა თუ ქალს დარჩენის ნება მიეცემოდა, მიმართულებას აძლევდა მომავალ ასწლეულებს. მან თქვა: „გაგვშორდეს მარიამი, რადგან ქალები არ არიან ცხოვრების ღირსნი...“ რომელი ცხოვრების? რომელსაც ქრისტეს მოწაფეები ეძიებდნენ — საუკუნო ცხოვრებისა. ახლა შეეცადეთ გაიგოთ, რატომ ფიქრობდა პეტრე, რომ ქალები არ არიან საუკუნო ცხოვრების ღირსნი.

ინდოეთში ჩვენ მას ვუწოდებთ პროკრიტს, თავად ბუნებას, დედამიწას და მთელი ბუნების საფუძველს. ქალი ბუნებრივია და ასეთივეა მისი მიზნები და ტენდენციები. იგი არასოდეს გეკითხებათ ისეთ რამეს, რაზეც პასუხის გაცემა შეუძლებელია. ის ყოველთვის იქითკენ მიისწრაფვის, რაც შესაძლებელია, ხოლო მამაკაცი ყოველთვის შეუძლებელს ეძებს და არასოდეს კმაყოფილდება შესაძლებლობით. ქალს ჰყოფნის ბედ-

ნიერი ღელობა და ცოლობა. მაშინ მისი ცხოვრება არ არის ცარიელი. ბიოლოგები ამბობენ, რომ ამას თავისი მიზეზი აქვს. მამაკაცში არსებობს ფიზიოლოგიური და ჰორმონალური უწონასწორობა, ქალი კი უფრო წრეს წააგავს და გაწონასწორებულია. ბიოლოგები ამტკიცებენ, რომ სპერმატოზოიდებისა და კვერცხუჯრედების კომბინაცია, რისგანაც ადამიანი წარმოიშობა, მაშინვე განსაზღვრავს ბიჭი დაიბადება თუ გოგო. 23 ქრომოსომას ღელა იძლევა, 23 ქრომოსომას — მამა. თუ დედის 23 და მამის 23 ქრომოსომა იძლევა 23 სიმეტრიულ წყვილს, მაშინ ღრმა წონასწორობაა და გოგონა დაიბადება, ვინაიდან ქრომოსომები სიმეტრიულია. მამას აქვს ქრომოსომების უწონასწორო XY წყვილი, ხოლო დედის ქრომოსომების წყვილებში წონასწორობაა — XX. მაშასადამე, სპერმის ნახევარი შეიცავს X ქრომოსომას, ხოლო მეორე ნახევარი — Y-ს. თუ Y ქრომოსომის შემცველი სპერმატოზოიდი შეხვდა დედის კვერცხუჯრედს, დაიბადება ბიჭი და ეს იქნება ასიმეტრია, ანუ უწონასწორობა, რაც ბიჭის დაბადების პირველსავე ღღეს შეგიძლიათ დაინახოთ. ახლად დაბადებული გოგონა თუ მშვიდია, ბიჭი მოუსვენრობს. დედებმა იციან, რომ ბიჭი საშოშიც კი მოუსვენარია და მათ წინასწარ შეუძლიათ განსაზღვრონ, ბიჭი დაიბადება თუ გოგონა.

მამაკაცი შინაგანად ღელავს, გამუდმებით მოძრაობს და შორეულისკენ მიისწრაფვის, ხოლო ქალი უფრო სახლით, ოჯახური გარემოცვითა და მეზობლის ამბებით ინტერესდება. იგი არ წუხს იმის თაობაზე, თუ რა ხდება ვიეტნამში ანდა კვიპროსზე, ეს მისთვის არ არის არსებითი.

ქმარი კი ფიქრობს, რომ ცოლი მაღალი მატერიებით არ ინტერესდება. საქმე ამაში როდი მდგომარეობს. ქალი ამქვეყნად საკუთარ თავთანაა დარწმუნილი და მხოლოდ თავისი უახლოესი გარემოცვა აინტერესებს. ცხოვრებისეული უბრალო წვრილმანი და ჭორებია მხოლოდ მისთვის საინტერესო. ეს ახალი ამბები უფრო პირადულია და შინაური, ქალს კი მეზობელი საკმაოდ ჰყავს.

მაგრამ უფრო მეტად დაკმაყოფილებული ცოლი არ ღედა მეზობლებზეც არ იღელვებს, მისთვის საკუთარი სახლიც საკმარისია. იგი თავს სრულყოფილად გრძნობს და ამას ბიოლოგიური მიზეზი აქვს, რამეთუ მისი ჰორმონები და უჯრედები ბალანსირებულია. მამაკაცი კი მოუსვენარია და არ შეუძლია დაკმაყოფილდეს, ვიდრე საზღვარს არ იპოვის და მაშინაც არ ხდება ცნობილი, დაკმაყოფილდა თუ არა იგი მიღწეულით. ასეთია განსხვავება ქალსა და მამაკაცს შორის და ყველა სარწმუნეობა შორეულის ძიებაა.

მაგრამ ქალი ღვთის საძიებლად არ მიდის იესოსთან. არა, მისთვის არ შეიძლება ამ შორეულ რაღაცას მნიშვნელობა ჰქონდეს. შესაძლოა, მას შეუყვარდეს იესო, ასევე ბუდა. მეც ასეთივე შეგრძნება მაქვს. ყოველთვის, როცა მამაკაცი მოდის ჩემთან, იგი მეუბნება: „რასაც თქვენ ამბობთ, სარწმუნოდ გამოიყურება და ამიტომ შეგიყვარეთ“. ქალი ასე არ იტყვის. იგი ამბობს: „მე თქვენ შეგიყვარეთ, რასაც თქვენ ამბობთ, დამაჯერებლად მიმაჩნია“.

პეტრე სწორი იყო, როცა ეშინოდა, მარიამი უბედურებას დაატეხდა მათ თავზე. თქვენ უცნობ ტერიტორიაზე მოძრაობას გირჩევნიათ დარჩეთ რაღაც განსაზღვრულ სივრცეში და არ დართოთ ქალებს თქვენთან დარჩენის ნება. მამაკაცი ფუნქციონირებს ცნობიერში, ქალი კი — პირიქით, ქვეცნობიერში. ამიტომ მამაკაცს ძალუძს დეტალების დაგროვება, მაგრამ არ არის ღრმად მგრძნობიარე, ქალი კი დეტალებს ვერ აგროვებს, მაგრამ ღრმად განიცდის უბრალო ამბავსაც.

მამაკაცს შეუძლია მიიღოს რაც შეიძლება მეტი ცოდნა, მაგრამ არ ძალუძს ღრმა სიყვარული. ქალს შეუძლია ინტენსიური სიყვარული, მაგრამ არა აქვს უფრო მეტი ცოდნა, ვინაიდან ცოდნა ცნობიერი ფენომენია, სიყვარული კი ქვეცნობიერი.

ყველა სარწმუნეობა ქალების წინააღმდეგია, რამეთუ იგი მამაკაცებმა შექმნეს, ამასთან, საქმე ქალების შეფასება კი არ არის, უბრალოდ, სარწმუნეობა მამაკაცებიდან იღებს სათავეს,

რომლებსაც ეშინიათ ქალებისა და არ სურთ ისინი მათ სივრცეში დარჩნენ.

ასე რომ, ყველა სარწმუნოება ძირითადად ჰომოსექსუალურია და არა ჰეტეროსექსუალური. ყველა რელიგიური წესჩვეულებაც ჰომოსექსუალურია და ბერებიც ასეთ საზოგადოებაში ცხოვრობენ. ქალები რომც დაუშვან, მათ მეორეხარისხოვან როლს აძლევენ. ისინი უნდა მიჰყვნენ მამაკაცების დაკანონებულ წესებს, რაითა უბედურება არ დაატრიალონ. ქალებს შეუძლიათ იცხოვრონ მონაზვნური წესით მონასტერში, მაგრამ ამის იქით მათი უფლებები შეზღუდულია.

იმისი წარმოდგენაც კი არ შეიძლება, რომ ქალი ეკურთხება რომის პაპად, რამეთუ იგი დაშლის ეკლესიის მთელ სტრუქტურასა და ორგანიზაციას. სიმონ-პეტრე ფიქრობს ორგანიზაციის, დიდებული ეკლესიის შექმნაზე და ამიტომაც სურს ქალების გაძევება. იგი თვლის, რომ ეს საქმე მარიამით უნდა დაიწყოს, რამეთუ თუკი მას დაუშვებენ თავისთან და პატივს მიაგებენ, მაშინ სხვა ქალებიც მოვლენ და ქაოსი დაიწყება.

იესომ უთხრა მოწაფეებს: **„უცურეთ, მე წავიყვან მას, მამაკაცად რომ ვაქციო, რათა ისიც გახდეს უკვდავი სული, რომელიც იქნება თქვენი მსგავსი, რამეთუ ნებისმიერი ქალი, რომელმაც საკუთარი თავი მამაკაცად აქცია, შევა ცათა სასუფეველში...“**

რა აქვს მას მხედველობაში? ქალის მამაკაცად გადაქცევა გულისხმობს მისი ქვეცნობიერის ცნობიერად შეცვლას, შინაგანი სიბნელის ცნობიერ გონებაში გამოშუქურებას. ქვეცნობიერი ქრება და ცნობიერად იქცევა მთლიანად ისე, რომ მისი იდუმალება არა საცდურის ლოდი ხდება, არამედ ქვა, რომელიც მდინარის გადალახვისას საყრდენად გამოდგება. მაშინ ყოველგვარი პრობლემა გაქრება.

ამის შესრულება შეიძლება, მაგრამ საჭიროა, გვერდით უდიდესი ოსტატი გყავდეთ, რომელიც ერთდროულად, ქალიც იქნება და მამაკაციც, რომელმაც ისეთ შინაგან სრულყოფილე-

ბას მიაღწია, რომ მისი საკუთარი შინაგანი სქესი გაქრა, აღარ არის გაყოფილი და სექსუალური, არც მამაკაცია და არც ქალი. მხოლოდ ის გიშველით, რაიეთუ ის მამაკაცსაც უგებს და ქალსაც. და აი, იესო ამბობს: „მე ვაყენებ მას, რომ მამაკაცად გაქციო...“ ნუთუ ის ქალს სხეულს შეუცვლის? არა, სხეული არ არის მთავარი. მამაკაცური გონება ქალის სხეულშიც არის და მამაკაცისაშიც. მაგალითად, ქალბატონ კიურის სხეული ქალის ჰქონდა, მაგრამ გონება — მამაკაცური და რაციონალური. იყვნენ ქალების მსგავსი აბსურდული მამაკაცებიც. ჩაიტანია მაჰაპრაბჰუ* იყო სრულყოფილი ადამიანი, უდიდესი ლოგიკოსი და ფილოსოფოსი. ის ისტორიაში შევიდოდა, როგორც დიადი მოაზროვნე, რომ გაეგრძელებინა საქმიანობა და ბოლომდე ყოფილიყო ამით გატაცებული. მაგრამ მან უარყო ლოგიკა. შეიშალა, დაიწყო ცეკვა და კირტანის (ღვთის სადიდებელი სიმღერები და ცეკვები) ქუჩაში შესრულება. ის გახდა ქალური, სახე გაულამაზდა. სხეული შეეცვალა და დაუმრგვალდა და მას ღმეროი შეუყვარდა ისე, თითქოს მისი შეყვარებული ქალი ყოფილიყო.

რას ამბობს იესო? მისი აზრით, ქალის არაცნობიერება შეიძლება ცნობიერებით შეიცვალოს და ამ შემთხვევაში ქალი სრულად გაღასხვაურდება.

რას გულისხმობს იესო მამაკაცად გადაქცევაში? მამაკაცებმა არ უნდა იფიქრონ, რომ ისინი ქალებზე მაღლა დგანან. ის მხოლოდ შინაგან სიბნელეს გულისხმობს, რომელშიც ცხოვრობს და უნდა ცხოვრობდეს ქალი, რადგან ის უფრო სხეულზეა ორიენტირებული. ბუნებას ქალი უფრო სჭირდება, ვიდრე მამაკაცი. აი, რატომაა, რომ ბუნებაში ვერ იპოვნით მამებს, ცხოველთა სამყაროში ვერ შეხვდებით მათ, მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში ნახავთ მამებს, ვინაიდან მამა ფორმალობა, საზოგადოებრივი მოლაპარაკება და არაბუნებრივი მოვლენაა. ლინგვისტები ამტკიცებენ, რომ „ბიძა“ უფრო ძველი სიტყვაა, ვიდრე „მამა“. როცა ჩამოყალიბდა ურთიერთობა — „ერთი მამაკაცი — ერთი ქალი“, მაშინ გაჩნდა სწორედ

სიტყვა „მაია“. ამ დროისთვის „ბიძა“ უკვე იყო. ბავშვისთვის ყველა კაცი ბიძა იყო და არავინ იცოდა, ვინ იყო მაია, ისე, როგორც ცხოველებშია, სადაც შეიძლება ყველა მამრი მამა იყოს.

და კვლავაც შეიძლება არსებობდეს სამყარო უმამოდ, ვინაიდან მაია კერძო საკუთრებასთან ერთად მოვიდა ყოფიერებაში. ის მარტო თავის საკუთრებას კი არ ფლობდა, იცავდა საკუთარ ქალსაც. ერთ მშვენიერ დღეს გაქრება საკუთრება და მასთან ერთად — მამობაც.

დასავლეთში ეს პროცესი უკვე დაიწყო. ბევრ მარტოხელა ქალს ჰყავს ბავშვი, რომელიც მამამ მიატოვა. მარტოხელა ქალების რიცხვი დღითიდღე იზრდება. დედა ვერ მოიშორებს ბავშვს, რამეთუ ბუნებას დედა უფრო მეტად სჭირდება. აი, რატომაა დედა უფრო ხორციელი მოვლენა — ქალების ყურადღება სხეულზე უფროა მიპყრობილი, ვიდრე მამაკაცებისა. ეს არის მიზეზი, რომ ქალებს ჩაცმისთვის დიდი დრო სჭირდებათ.

ერთხელ ავტომანქანაში ვიჯექი. გვერდით მდგარ მანქანაში ვიღაც საყვირს აძლევდა. ფანჯრიდან ცოლმა გამოიხედა და დაუძახა: „უკვე რამდენჯერ გითხარი, რომ ორ წუთში მზად ვიქნები“. ის მართალი იყო — ერთი საათის განმავლობაში იცვამდა და ქმარს ეუბნებოდა, ორ წუთში მზად ვიქნებიო.

რატომ სჭირდებათ ქალებს ჩაცმისათვის ამდენი დრო? მათი გულისყური სხეულზეა მიპყრობილი, მამაკაცებისა კი — გონებაზე.

ერთხელ ერთმა გამორჩენილმა მსახიობმა ქალმა თქვა: „ვიცი, რომ არა ვარ ძალიან ლამაზი, მაგრამ რა ფასი აქვს ჩემს აზრს, როცა სარკეს სხვა აზრი აქვს? ვიცი, რომ არც თუ ისე ლამაზი ვარ, მაგრამ სარკე მეუბნება, ყველაზე ლამაზი ხარო“. მსახიობისგან ამ სიტყვებს არავინ არ მოელოდა.

ქალები დგანან საათობით სარკის წინ და უყურებენ საკუთარ თავს. კაცი ვერ გაიგებს ამას. ერთხელ მოლა ნას-

რელინი ბუსებს ხოცავდა და ცოლს უთხრა: „ორი ღელალი ბუზი მოკვალი და ორი მამალი“. ცოლს გაუკვირდა და ჰკითხა: „საიდან გაიგე, რომელი იყო მამალი და რომელი ღელალი?“ მოლამ მიუგო: „სარკეზე ორი ბუზი რომ იჯდა, ისინი ღელლები იყვნენ“.

ქალები უფრო მეტად ხორციელნი და მიწიერნი არიან და ამიტომ ცოცხლობენ მამაკაცებზე დიდხანს. ამიტომ გვხვდება ასე ბევრი ქვრივი ქალი. 100 გოგონაზე 120 ბიჭი იბადება, მაგრამ თოთხმეტი წლის ასაკში უფრო მეტი ბიჭი კვდება. ხდება წონასწორობის აღდგენა და ბუნება წონასწორობის შესანარჩუნებლად 100 გოგონაზე ისევ 120 ბიჭს ბადებს.

როცა მოუსვენარი ხარო, ენერგია გეხარჯებაო. თუ ზუსტ ციფრებში ვიანგარიშებთ, მაშინ ქალების სქესი უფრო ძლიერია მამაკაცების სქესზე. ქალები უფრო დიდხანს ცხოვრობენ და ნაკლებად ავადმყოფობენ, ისინი უფრო ჯანმრთელები არიან, უკეთ უმკლავდებიან ავადმყოფობას და მასში სიცოცხლე უფრო ძლიერია, ვიდრე მამაკაცებში. დააკვირდით — ზამთარში ქალები უფრო თხლად იცვამენ, ვიდრე მამაკაცები და არ ცივდებიან. მათი გამძლეობა უფრო ძლიერია და უკეთესად არიან დაცულნი, ვინაიდან უფრო ღრმად აქვთ სხეულში ფესვები გადგმული.

მამაკაცი თავით ცხოვრობს. იგი უფრო მენტალურია. ამიტომ არის, რომ რიცხობრივად უფრო მეტი მამაკაცი იშლება ჭკუიდან და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს, ვიდრე ქალი. ქალი ძლიერია, მამაკაცი კი — სუსტი. გონება ვერ იქნება ისეთი ძლიერი, როგორც სხეული, რამეთუ იგი სხეულზე გვიან გაჩნდა, ამ უკანასკნელს კი დიდი ხნის გამოცდილება გააჩნია.

მაგრამ სხეულში ეს ფესვგადგმულობა პრობლემად იქცევა ხოლმე ღვთისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვეულებრივ, ცხოვრებაში ქალები იმარჯვებენ, მაგრამ სულიერი ცხოვრება ბუნების საწინააღმდეგოდ და მის საზღვრებს გარეთაა.

მამაკაცი ჩიტს პგავს და დაფრინავს, ქალი კი ხეს მოგვაგონებს, რომელსაც ფესვები აქვს გადადგმული. როცა ჩიტს — მამაკაცს, სურს შეისვენოს, ეუარება ხის ჩრდილს, ისვენებს ხის — ქალის, ტოტებზე. ეს კარგია, რამდენადაც დაკავშირებულია ბუნებრივ ცხოვრებასთან, მაგრამ თუ ადამიანი ბუნების საზღვრებს იქით იწყებს სვლას, მაშინ თვით სვლაც წინააღმდეგობად ექცევა.

იესომ თქვა: **„უცურეთ, მე წავიყვან მას, მამაკაცად რომ ვაქციო, რათა ისიც გახდეს უკვდავი სული...“**

ქალი ცოცხალი სხეულია, ამიტომ მისთვის უფრო გრძელია გზა. წარმოიდგინეთ სამი რამ: ცოცხალი სხეული, ცოცხალი გონება და ცოცხალი სული. ეს სამი დონეა. ქალი ცოცხალი სხეულია, მამაკაცი — ცოცხალი გონება, მის მიღმა კი არსებობს ცოცხალი სული, ატმანი. გონებიდან სულამდე მოკლე მანძილია, ვიდრე სხეულიდან — სულამდე, მაგრამ ეს ნუ შეგაშინებთ — ბუნებაში ყველაფერი გაწონასწორებულია. დიდი მანძილის გადალახვა უფრო ძნელია, მაგრამ არის შეღავათი იმაში, რომ ქალი მარტივი არსებაა.

მამაკაცი კი რთული არსებაა და ეს სირთულე ბევრი უსიამოვნების წყაროა. გონებიდან სულამდე მოკლე გზაა, მაგრამ გონებიდან ნახტომის გაკეთება ძნელია, ვინაიდან ეჭვები წარმოიშობა. ქალს იოლად შეუძლია ნახტომის გაკეთება, მას სხეულში აქვს ფესვი გადგმული, სჯერა და არ ეჭვიანობს. ქალს თუ მამაკაცი შეუყვარდა, ყოველთვის ჩაჰყვება. თუ არის რწმენა, ქალი მიჰყვება მამაკაცს. აი, რატომ ვერ წარმოიდგენს ქალი ვერასოდეს, რატომ შეუძლია მამაკაცს ასე ადვილად ტყუილის თქმა და ორგულობა, ქალი ხომ თვითონ არ არის ასეთი. მას ყოველთვის სწამს და ამ რწმენით ცხოვრობს.

ამრიგად, ქალს გააჩნია სირთულეები იმის გამო, რომ სხეული ასე შორსაა სულისაგან, მაგრამ აქვს უპირატესობაც. როცა მას უყვარს და სწამს, იოლად შეუძლია ნახტომის გაკეთება, ამიტომ მსოფლიოში არ ყოფილა ბევრი ოსტატი

ქალი, მაგრამ იყო ბევრი ულიღესი მოწაფე მღელრობითი სქესისა და ვერც ერთი კაცი ვერ შეელრება ქალს ამაში, რამეთუ ქალს თუ სწამს, მართლა სწამს.

ინდოეთში ჯაინების ბევრ ბერსა და მონაზონს შეხვდებით. ჯაინი ბერები მეტად ნეულებრივ გამოიყურებიან და სხვებისაგან მხოლოდ სამოსით განსხვავდებიან. გამოუცვალეთ მათ სამოსი და საქმიან საზოგადოებაში დასვით, მაშინ მათ სხვებისგან ვერ გაარჩევთ. სულ სხვაა ჯაინი მონაზვნები — მათ თუ სწამთ, მათში არის სიწმინდე. შეადარეთ კათოლიკე ბერები და მონაზვნები. ბერები ეშმაკები არიან, მათ არ დაეჯერებათ, რომ ცელიბატს* ინახავენ. თუ მთლად ბრიყვია რომელიმე, ეს კიდევ შესაძლებელია, მაგრამ თუ ცოტაოდენი ჭკუა მაინც აქვს, მაინც იპოვის გამოსავალს. მონაზვნები? ისინი მართლა წმინდანი ქალწულები არიან და შეგიძლიათ ენდოთ. მათ თუ ნაბიჯი გადადგეს, უკან აღარ დაიხევენ. ამიტომ, მართალია, არის სიძნელეები, ვინაიდან მარხილი დიდია, მაგრამ არის შესაძლებლობები, რომლებიც ხელს უწყობს ქალს დამაჯერებელი ნახტომის გაკეთებაში. სხეულს არ სჭირდება ყოყმანი, გონება კი ხშირად ორჭოფობს.

იესომ უთხრა მოწაფეებს: **„ჭეშმარიტად, მე ვაცხადებ თქვენ, მამაკაცად რომ გაქცეთ, რათა ისიც გახდეს უკვდავი სული, რომელიც იქნება თქვენი შიგნით, რომელიც ნებისმიერი ქალი, რომელმაც საკუთარი თავი მამაკაცად აქცია, შევა ცათა სასუფეველში...“**

ეს იესოს სწავლების ერთი ნაწილია, ხოლო მეორე ნაწილი არ არის ჩაწერილი. შეიძლება, არ იყვნენ ქალები, რომლებიც ამას ჩაიწერდნენ. ეს ყველაფერი ხომ მამაკაცების ხელნაწერით მოვიდა ჩვენამდე. მაგრამ მე ვიცი, რომ არსებობს მეორე ნაწილიც და რომ არის ჩანაწერი ამის შესახებ.

განსაზღვრული კულმინაციის, ყოფიერების კრეშჩენდოს დროს მამაკაცი ქალად იქცევა ისევე, როგორც ქალი — მამაკაცად. ეს არ არის ცალმხრივი პროცესი, რამეთუ თქვენ ორივე უკიდურესობა ხართ.

ქალმა უნდა გარდასახოს თავისი ქვეცნობიერი ცნობიერებად, ირაციონალური — მიზეზობრივად, რწმენა — დაჯერებად და მოლოდინი — მოძრაობად. მამაკაცმა კი საწინააღმდეგოდ უნდა იმოქმედოს — გადააქციოს თავისი მოძრაობა სიმშვიდედ, მოუსვენრობა — მოსვენებად და დაჯერება — რწმენად. მაშინ ზეცნობიერი არსება დაიბადება.

ქალი და მამაკაცი ორი მხრიდან უნდა მოძრაობდნენ — მამაკაცი — კაცურობიდან, ქალი — ქალურობიდან, რადგან გონება, მამაკაცი, ეს არის ნახევარი, რაც ვერასოდეს ვერ გახდება მთლიანი. ორივე უნდა დაიძრას თავისი სტატიკური მდგომარეობიდან, შეერწყან ერთმანეთს და გახდნენ ასექსუალურები. ინდუისტებისათვის ეს სრულიად გასაგებია — მაოი ტერმინი — „ბრაჰმო“ არც ერთი სქესს არ მიეკუთვნება.

ინგლისურ ენაში ორი სქესია, სანსკრიტში — სამი: მამრობითი, მდედრობითი და კიდევ ერთი, ორივეზე აღმატებული — „ბრაჰმო“. მესამე ნეიტრალური სქესია. ის, ვინც ბრაჰმოს აღწევს, ბრაჰმას ემსგავსება, მამაკაცისა და ქალის უროიერთსაწინააღმდეგო მხარეები ქრება. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შინაგანი არსი თავისუფალი.

იესოს თავისი სწავლების მეორე ნაწილიც უნდა ეთქვა, რაც არ ჩაიწერეს. როცა რამეს ვიწერთ, ამას საკუთარი თავის შესაბამისად ვაკეთებთ. რასაც მე გეუბნებით, აქედან თქვენი გონება იწერს, იმას, რასაც ეთანხმება. თქვენ ბევრ რამეს უარყოფთ და არც აცნობიერებთ, ისე უკუაგდებთ. ეს გაუცნობიერებელი მოქმედებაა. უბრალოდ, თქვენი მეხსიერება არ იწერს მას. თქვენ ბევრ რამეს ტოვებთ, ვინაიდან იმახსოვრებთ საკუთარი თავის შესაბამისად.

იესოს შეეძლო ელაპარაკა, მოწაფეებს — მოესმინათ ეს, მაგრამ შეგონებებს იქვე არავინ იწერდა. გადიოდა ასწლეულები და ეს შეგონებები თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ერთი პატარა ცდა ჩაატარეთ და მაშინვე გაიგებთ ამას — ოციოდე მეგობარი შეკრიბეთ, წრიულად შემოისხით გარშემო, ყველას ფურცლები და საწერ-კალმები დაურიგეთ,

შემდეგ დაწერეთ რომელიმე წინადადება. პირველი მათგანი გადაიწერს წინადადებას და მოიდევნოს ყურში ეტყვის, რომელიც წინადადებას წერს თავის ფურცელზე და შემდეგ მეგობარს ჩასჩურჩულებს. როცა ეს წინადადება მთელ წრეს შემოივლის და თქვენთან დაბრუნდება, იგი აღარ იქნება იგივე. ბევრი სიტყვა დაიკარგება მასში და ბევრიც დაემატება. თუ მცირე დროის ინტერვალში ასე ხდება, წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა იესოს გამონათქვამებს.

იესო ამტკიცებს, რომ საჭიროა კუთვნილი ნახევრის დატოვება და მთლიანის მიღწევა. მაშასადამე, ნუ იფიქრებთ, თითქოს არაფერი არ უნდა გააკეთოთ ან უკვე ბევრი რამ მოიმოქმედეთ იმით, რომ მამაკაცი ხართ. არა, თქვენ ისევე უნდა იქცეო, ქალად, როგორც ქალი უნდა იქცეს მამაკაცად. ორივე მხარე უნდა ამოძრავდეს, გახდეს დინამიური და შეერწყას ერთმანეთს, ორივე თქვენგანი უნდა გამოვიდეს ნაწილის საზღვრებიდან და მთლიანი გახდეს.

ამიტომ მსურს, გითხრათ, რომ მე მივიყვან მამაკაცებს იქამდე, რათა ისინი ქალებად გარდაისახონ. მე მივიყვან ქალებს მამაკაცებად გარდასახვამდე, მივაღწევთ მთლიანობას და სქესი გაქრება, რამეთუ იგი მხოლოდ გაყოფის დროს არსებობს. იცით, რას ნიშნავს სიტყვა „სქესი?“ საწყისი ფუძე ლათინურში ნიშნავს „გაყოფას“. ამრიგად, როცა მიაღწევთ ღმერთს, არც მამაკაცი იქნებით, არც ქალი. ნუ გადააქცევთ ამ შეგონებას მამაკაცური „ეგოს მოგზაურობად“. ასე არ არის.

შეეცადეთ გაიგოთ, რომ ნაწილი შევსებულ უნდა იქნას, რათა მთლიანი გახდეთ. არ უნდა გაიგივდეთ არც ერთ განაყოფთან, რათა განუყოფელმა შესძლოს თქვენში შემოსვლა.

სიმონ-პეტრემ უთხრა იესოს: **„გაგვშორდეს მარიამი, რადგან ქალები არ არიან ცხოვრების ღირსნი...“**

ეს სიმონ-პეტრეს გონებაა და არა იესოსი, ასეც უნდა მსჯელობდეს მოწაფე, რომელიც ჯერ არ არის გასხივოსნებული და არ ძალუძს განუყოფელის დანახვა. იგი ნახევრად ბრმაა, რადგან ჯერ ახლა აეხილა თვალი და უმეცრების

სამყაროშია. ზემოთ ხსენებული სიტყვები სიმონ-პეტრეს გონებიდან მოდის, ხოლო როდესაც იესომ ამქვეყნიური ცხოვრება დატოვა, სიმონ-პეტრე უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა, ვიდრე იესო იყო და მისი აზრები, უფრო გასაგები შეიქმნა ხალხისათვის, რადგან სიმონ-პეტრე იმავე სამყაროს ეკუთვნის, რომელსაც — თქვენ.

პეტრემ შექმნა ეკლესია, ის იქცა ქვაკუთხედად. სიტყვა „პეტრე“ „ქვას“ ნიშნავს და მასზე დგას მთელი ეკლესია. მაპაპირისა და ბუდას მოწაფეები ვერ დაემსგავსნენ პეტრეს. კათოლიკური ეკლესია, ხომ დედამიწაზე არსებულ ეკლესიათა შორის უსწორესია, მაგრამ ამაიც დროს ყველაზე სახიფათოც და აი, რატომ — ძალა არასაიმედო ხელშია. როცა ოსტატი აღარ არის დედამიწაზე, მოწაფეები იქცევიან ოსტატებად და ყველაფერს ისინი წყვეტენ. რასაკვირველია, მათი გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს მხოლოდ წინასწარ აკვიატებული, ნახევრად მართალი, ნახევრადგამოცხვარი ჭეშმარიტება და კარგად გახსოვდეთ, რომ სიცრუე სჯობია ნახევარსიმართლეს, ვინაიდან ტყუილის უარყოფა შეიძლება, ნახევარსიმართლეს კი ვერ უარყოფთ, რამეთუ იგი სიმართლის ელემენტებს შეიცავს.

ეს შეგონებაც ნახევრადსიმართლეა — მასში არის ერთი ელემენტი, რომ ქალი უნდა იქცეს მამაკაცად, მაგრამ ეს ნახევრადსიმართლეა და თუ მთლიან სიმართლედ მიიღებთ მას, ეს საშიში იქნება. საჭიროა მეორე ნახევარიც დავუმატოთ! აი, რატომ გითხარით, მღვრიე წყალში გავცურაოთ-მეთქი.

მე მსურს ამ შეგონებას მეორე ნახევარიც დავუმატო, რომ თითოეული მამაკაცი ქალს უნდა ემსგავსოს, თითოეულმა მამაკაცმა უნდა ისწავლოს ლოდინი, გრძნობიერება, ლმობიერება, პასიურობა, თანაგრძნობა, სიყვარული და მსახურება, ერთი სიტყვით, ქალის გონების ყველა თვისება. მხოლოდ მაშინ შეხსნით ცათა სასუფეველის კარს, როცა არც მამაკაცი ხართ და არც ქალი. მაშინ თქვენ თვითონ ხართ ღმერთი, რამეთუ ღმერთი არც მამაკაცია და არც ქალი. ორივეა ან არცერთი.

გახსოვდეთ ჭეშმარიტების მეორე ნაწილიც, თორემ დაკარგავთ მთელ ჭეშმარიტებას. მთლიანობაში ყველას თანასწორად გააჩნია ცათა სასუფეველში შესვლის უნარი. არიან ბრიყვებიც, საკუთარი უარყოფითი თვისებებით, რომ სარგებლობენ. ისინი ვერ მისწვდებიან ცათა სასუფეველს. არიან ბრძენი ადამიანები თავიანთ დადებით თვისებებს რომ იყენებენ, რომელთათვისაც სასუფევლის კარები ღიაა.

მაგალითად, ქალის გონება ორ თვისებიანია: უარყოფითი და დადებითი. დადებითია: სიყვარული, თანაგძნობა, ლოდინი, ხოლო უარყოფითია: ეჭვიანობა, მესაკუთრეობა და ლეთარგია. იგივე ხდება მამაკაცის გონებაშიც. მას გააჩნია, დადებითი თვისებები, როდესაც გამუდმებით სვამს კითხვებს, იკვლევს და ეძიებს და ნეგატიური — როცა ყოყმანობს. შეგიძლიათ ეჭვიანობის გარეშე დასვათ შეკითხვა?

მაშინ ეჭვების არსებანი დადებითია, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ იეჭვიანოთ ისე, რომ არ სვამდეთ შეკითხვებს, იკვლდეთ და ყოყმანობდეთ.

ერთი ფილოსოფოსი მეორე მსოფლიო ომში მოხვდა. მან თავისი მეგობარი ქალისაგან წერილი და ფოტოსურათი მიიღო, რასაც დიდი ხანია ელოდა. ფოტოსურათზე მეგობარი ქალი პლიაჟზე იყო გადაღებული, მის უკან შეყვარებული წყვილი ჩანდა. ქალი კი იკვლდა მარტო, დაჩაგრული და სევდიანი. წამით ფილოსოფოსს ბედნიერება ეწვია, გოგონას სახეზე სევდა რომ შენიშნა, მაგრამ მეორე წამში იგი ეჭვმა შეიპყრო: „ვინ არის ის ყმაწვილი, ვისც სურათი გადაუღო?“ აფორიაქდა და მთელი ღამე ვეღარ დაიძინა.

აი, როგორ უარყოფითად მოქმედებს ეჭვი. მამაკაცის დადებითი თვისება ის არის, რომ ეძიებს და უარყოფითი ის, რომ მოუსვენარია. მაგრამ იგი არ უნდა გაიგივდეს მოუსვენრობასთან. მოუსვენრობა მან ტრამპლინად უნდა გამოიყენოს, რათა სიმშვიდეს მიაღწიოს.

თქვენში არის ენერგია და რაღაცის გაკეთების გულითადი წადილი. მაშ, გამოიყენეთ ეს გულის წადილი იმისათვის, რომ

გახდეთ „არამოლვაწე“ და მედიტატორი, ჩააყენეთ უარყოფითი დადებითის სამსახურში, თქვენ ხომ ორივე მათგანი გაგაჩნიათ. თუ დადებითი ივისება გაქვთ, გექნებათ უარყოფითიც. ძალიან ბევრ დროს უარყოფითს ნუ დაუთმობთ, თორემ დაკარგავთ. დაუთმეთ ბევრი დრო დადებითს და მიაღწევთ.

მამაკაცი იქნება თუ ქალი, ყველამ ეს უნდა მოიმოქმედოს, მაშინ ამქვეყნად უმშვენიერესი მოვლენა ხდება — ისმის სიმფონია, რომელშიც ყველა ნოტი ერთმანეთს ეხმარება, ქმნის ერთიანს და მრქეშარე მუსიკად იღერება. ზუსტად ეს არის ის, რასაც გურჯიევი „შინაგან კრისტალიზაციას“ უწოდებს, ინდუსები — „მეს“ მიღწევას, ხოლო იესო — „ცათა სასუფეველში შესვლას...“

1974 წლის 7 სექტემბერი
პუნა, ინდოეთი

საუბარი მეცხრამეტე

მეცხრამეტე შებრძოლება

იესომ თქვა: — „ერთმა კაცმა ხალხი დაპატიჟა ხალილად და მსახური გაუშვა მათ მოსაწვევად. მსახური მივიდა პირველთან და უთხრა: „ჩემი ბატონი გიწვევს“. მან კი საქმეები მოიმიზეზა, ვაჭართან მოხარიკებელი ვარო და ბოდიში მოუხადა მიუხელელობისთვის. მსახურმა ახლა მეორე დაპატიჟა, რომელმაც მიუგო, ხახლის ვიღვახ ვაპირებ და არ მცალიაო. როცა მსახურმა მესამე კაცი დაპატიჟა, ახეთი პახუხი მიიღო: ჩემი მეგობარი ცოლს ირთავს და მის გვერდით უნდა ვიღვე, არ მცალია და ბოდიშს ვიხდიო, ხოლო მეოთხე დაპატიჟებულმა მსახურს უპასუხა: ფერმა ვიყიდე და ახლა რენტა უნდა შევაკროვო, მოუხელელობისათვის ბოდიშს ვიხდიო“.

მსახური დაბრუნდა ბატონთან და მოახსენა: „ვინც კი ხალილად მოვიპატიჟე, ყველამ რაღაც მოიმიზეზა და მოუხელელობისათვის ბოდიში მოვიხადათ“.

ბატონმა უბრძანა მსახურს: „გადი გზაზე და ვინც შეგხვდება, ყველა აქ მოიყვანე, რათა ხუფრას მიუსხდნენ და ისაღილონ. მეიღველები

და ვაჭრები ვერ შეველენ მამაჩემის სამ-
ეოველში“.

(თომა, 68)

იესო მარტივი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი იგავებით ლაპარაკობს, რაც უნდა გავიგოთ არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ სიმბოლურად. ეს შეგონებები დაკავშირებულია ადამიანთა განსაკუთრებულ კატეგორიასთან. აქ არ არის აუცილებელი ისინი მეიდველები ან ბიზნესმენები იყვნენ. გახსოვდეთ, ადამიანთა 99% განსაკუთრებული კატეგორიაა, ბიზნესმენები და მეიდველები შესაძლოა, სულ სხვა საქმიანობას ეწევიან, მაგრამ მათი გონება მაინც ვაჭრობასთანაა დაკავშირებული.

ამიტომ უნდა გავესაზღვროთ, ვინ არის ბიზნესმენი, ვინ არის მეიდველი. ბიზნესმენი არის ის, ვინც ზრუნავს უმნიშვნელო ნივთებზე, ქონების დაგროვებაზე და არა საკუთარ თავზე. მან სრულიად დაივიწყა საკუთარი თავი და გარე სამყაროში ჩაიკარგა. იგი ოცნებობს ფულზე, მატერიალურ შენაძენზე, მაგრამ შემეცნებაზე არ ფიქრობს, რადგან შემეცნება არ არის მატერიალური, მას ვერც იყიდით და ვერც გაყიდით, იგი უსარგებლოა.

ბიზნესმენი უტილიტალური პიროვნებაა. მისთვის პოეზია, სარწმუნეობა და ღმერთი უაზრობაა, ვინაიდან მათი გადაქცევა ყიდვა-გაყიდვის ობიექტად შეუძლებელია. ამ ტიპის ადამიანისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ფული. მას შეუძლია გაყიდოს, დაკარგოს საკუთარი თავი, დაანგრიოს და მოისპოს თავისი ცხოვრება, ოღონდ კი ფული დააგროვოს. ეს პირველი დამახასიათებელი თვისებაა ასეთი ტიპის ადამიანისა.

ერთხელ ორი ბიზნესმენი ბაზარში ერთმანეთს შეხვდა, სადაც გაცხარებული ვაჭრობა მიმდინარეობდა. ერთმა მეორეს უთხრა: „გაიგე, ვაჭარი შეიხი ფანკრუდინი ამ დილით მომ-

კვდარა?“ მეორემ მიუგო: „როგორ, ეაჭრობის ამ გახურებული სეზონის დროს?“ ბიზნესმენისათვის არაფერს არა აქვს ახრი, არც სიცოცხლეს, არც სიკვდილს, ფულის გარდა. იგი გაუგებთ იმით, თუ რამდენი შეიოსავალი გაქვთ და არა იმით, თუ ვინ ბრძანდებით. თუ ბევრი ფული გაგაჩნიათ, გაიოსენებთ პიროვნება ხართ მის თვალში და თუ პირიქითაა, მაშინ — არარაობა.

ბიზნესმენი თუ პატივს გცემთ, ეს არის თქვენი ქონების პატივისცემა და არა — პირადად თქვენი, ხოლო ქონება რომ დაკარგოთ, მაშინ ზედაც აღარ შეიოგხელავთ.

ერთხელ ერთი მდიდარი გაკოტრდა და დამწუხრებულმა ცოლს უთხრა: „მჯეროდა, რომ ბევრი მეგობარი მყავდა, მაგრამ ნახევარმა უკვე მიმატოვა და ნახევარმა კი ვერ არ იცის, რომ გავკოტრდი“.

თქვენ ვერ იმეგობრებთ ბიზნესმენთან, რაიეთუ ის ფულის გამო ამყარებს თქვენთან ურთიერთობას, ხოლო როცა კოტრდებით, თქვენი მეგობრობაც ქრება. ბიზნესმენისათვის ვერ იქნებით ახლობელი — ცოლი ან ქმარი, შვილი ან მამა, ვინაიდან იგი მხოლოდ ფულს ეთაყვანება და სხვა დანარჩენს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს. თქვენი შვილი თუ ფულს იშოვის, უფრო დაფასდება თქვენს თვალში. არ გსიამოვნებთ ღარიბი მშობლები. ხალხი მდიდრებს დიდ პატივს სცემს და არ გინდათ ხალხმა შეიტყოს, რომ ღარიბ ოჯახში ალიზარდეთ.

ეს ყოველდღიური ცხოვრებისეული ჭეშმარიტებაა — საკუთარ მამასაც კი ადამიანად მაშინ მიიჩნევთ, თუ ის მდიდარია, რამეთუ მხოლოდ ფულის დანახვა შეგიძლიათ.

ბიზნესმენს არ შეუძლია სიყვარული, ვინაიდან ეს გრძნობა ყველაზე ანტიმატერიალურია ამქვეყნად. სიყვარული არსს უკავშირდება, იგი თანაგრძნობაა. სიყვარული გაცემაა იმისა, რაც გაგაჩნიათ და საკუთარი თავის მიძღვნაა.

ბიზნესმენი ყოველთვის ფიქრობს, რომ შეყვარებულები ცოტა შეშლილები არიან, რომ მათ საღი აზრი დაკარგეს და

სისულელეებს სჩადიან. „რატომ კარგავთ დროს, დრო ხომ ფულია?“ აი, რას ამბობს ბიზნესმენი.

თურმე ერთმა ბიზნესმენმა ასობით საათი შეიძინა და მთელი სახლი საათებით გაავსო. ვიღაცამ ჰკითხა, რას აკეთებთო. მან მიუგო: „გამიგონია, რომ დრო ფულია, რაც უფრო მეტი დრო მექნება, მით უკეთესია“.

ბიზნესმენი ინტერესდება ნივთებით და არა პიროვნებებით და მისი გონება ორიენტირებულია ფულზე. იგი არასოდეს არ ისვენებს და არც აძლევს საკუთარ თავს დასვენების უფლებას, მგრძნობიარე ადამიანისაგან განსხვავებით. ბიზნესმენი არასოდეს არ კმაყოფილდება, ფული ვერ. ავსებს მის სულს და იგი ცარიელი რჩება. თქვენ განუწყვეტლივ იძენთ საგნებს და ფულს აგროვებთ, მაგრამ შინაგანად ცარიელი ხართ. ფული თქვენთანაა, საკუთარი თავი კი დაკარგეთ და მთელი თქვენი ძალისხმევა ხმარდება ამ ფაქტის მიჩქმალვას, რამეთუ მისი დანახვა ძალიან მტკივნეულია.

ბიზნესმენს სურს ფულმა დაავიწყოს საკუთარი თავი მთლიანად და ფული მისთვის საწამლავია. საბოლოოდ კი აღმოჩნდება, რომ ყველაფერი არარაობა და წყალზე შესრულებული წარწერაა. მოდის სიკვდილი და გრძნობთ, რომ მთელი ძალისხმევა ტყუილად დაკარგეთ. სიკვდილი უარყოფს ბიზნესმენს.

უნდა გითხრათ რომ კვდებიან მხოლოდ ბიზნესმენები, მაგრამ ისინი ადამიანთა 99%-ს შეადგენენ. თუ სიკვდილი ბიზნესმენს არაფერს დაგროვილ სიმდიდრეს, იგი თქვენს სიყვარულს, ლოცვას, მედიტაციასა და ღვთისადმი რწმენას ვერ გააქრობს. ბიზნესმენი ღვთის სახელით მხოლოდ მაშინ ინტერესდება, თუ ამით ბიზნესის გაკეთება შეიძლება.

ერთხელ საშინელ ქარიშხალში თვითმფრინავმა სწორი მიმართულება დაკარგა, რადგან ძლიერი ნისლი იყო. მგზავრები ძალიან შეშინდნენ და აღელდნენ, ერთი მგზავრის გამოკლებით, რომელიც მქადაგებელი იყო. პილოტიც ნერვიულობდა, რადგან ყოველ წამს სიკვდილი იყო მოსალოდნელი.

მქადაგებელმა ყველას სთხოვა, დაესოქაო და ელოცათ, რაც ყველამ შეასრულა, ერთი მგზავრის გარდა. მქადაგებელმა მას ჰკითხა, შენ რატომ არ ლოცულობო? მგზავრმა უპასუხა: „მაპატიეთ, მამაო, არ ვიცი, როგორ ვილოცო. მე არასოდეს არ მილოცნია, მე ბიზნესმენი ვარ“, იმისი დრო არ იყო, მისთვის ლოცვა ესწავლებინათ და მქადაგებელმა უთხრა: „კარგი, ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. ისე მოიქეციო, როგორც ჩვეულებრივ იქცევიო ხოლმე ეკლესიაში“.

ბიზნესმენმა ჩაიცუარა მგზავრებს და ფული შეკრიბა.

ამ კატეგორიის ადამიანმა საკვდილის მოახლოების დროსაც კი ეკლესიაში ქცევის მხოლოდ ეროი წესი იცის — ფულის მოგროვება. ფული ბოლო მომენტამდე ფოკუსში რჩება.

მეორე, რაც ურდა დაიმახსოვროო, ის არის, რომ ამ იგავში იესო ამბობს, რომ ღვთის მოწვევა ყოველთვის შესაძლებელია. ღმერთი ბევრჯერ მოდის და გიკაკუნებთ კარზე, ან მისი მოციქული გეპატიჟებათ სადილზეც, მაგრამ თქვენ ყოველთვის ბევრი საქმე გაქვთ, ვერ იცლით და მისვლა არ შეგიძლიათ. თქვენ ბოდიშს იხდით.

დაფიქრდით, თქვენთან რომ მოვიდეს მოციქული და ღმერთთან მიგიწვიოთ, წახვალთ? ბევრი საქმე დაგრჩებათ დასამთავრებელი, რადგან თქვენ საქმეებს ბოლო არა აქვს. თქვენ იტყვით: „მე მოვდიოდი, მე მინდოდა მოსვლა...“ მაგრამ არა ხართ გულწრფელნი.

რატომ არ ღებულობთ მიწვევას? იმიტომ, რომ უფრო მნიშვნელოვანი საქმეები გაქვთ მოსაგვარებელი: საქმიანი ურთიერთობები, ქორწილი, მიწის ნაკვეთის შეძენა და ა.შ. ღმერთი ყოველთვის ბოლო აღგილზეა ბიზნესმენის სიაში და სანამ ბიზნესმენი ღმერთისთვის მოიცლის, სიკვდილიც მოდის.

საქმიანი ადამიანისათვის ღმერთი ყველაზე უსარგებლო მოვლენაა. ჩემთან მოდიან და მეკითხებიან: „რა საჭიროა მედიტაციები? რას მივაღწევთ ამით?“ თუ ეპასუხობ, რომ არაფერს, ხალხი უბრალოდ ვერ იგებს, რატომ მოდიან ადამიანები ჩემთან. არაფრის სასწავლად? არაფრის მისაღწევად?

ბიზნესმენს რაღაც ხილული და ხელშესახები სჭირდება. იგი თუ მედიტაციებს ატარებს და სხეულს ავიდმყოფობისაგან განკურნავს, ესეც კარგია, მაგრამ თუ ეუბნებით, რომ შეღეგი „არაფერია“ ან შედეგი „ღმერთია“, რაც მისთვის ერთი და იგივეა, იგი გაურბის მედიტაციებს. „ღმერთი არაფერია“-ეს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ იმავე საზომით სარგებლობთ, რითაც ყველა ამქვეყნიური.

რა არის ღმერთი? მას ადამიანთა რომელიმე კატეგორიას ვერ მიაკუთვნებთ. რომელ ეტიკეტს მიაკრავთ? რა ფასს დაადებთ? ის არაფერია, არ ეკუთვნის ამ სამყაროს. ღმერთი არ არის სარგებელი, იგი ექსტაზია.

ექსტაზის გამოყენება არ შეიძლება, მხოლოდ შეგიძლიათ დატკბეთ? რა განსხვავებაა ტკბობასა და გამოყენებას შორის? უყურებთ ბუნებას, მზის ჩასვლას და ტკბებით, მაგრამ ამ ყველაფერს ფასს ვერ დაადებთ და ვერ გაყიდით. როცა ლამაზ ყვავილებს უყურებთ, ისინიც გატკბობთ,მაგრამ ბიზნესმენი დაკრეფს ამ ყვავილებს და გაყიდის.

ღმერთს ვერ მოწყვიტავთ ყვავილივით და ბაზარზე ვერ გაიტანთ. თქვენ კი ცდილობთ ასე მოიქცეთ. აი, რატომ არსებობს ამდენი ტაძარი და მეჩეთი, გურუდვარა და ეკლესია. ბიზნესმენს სურს ღვთის გაყიდვა და მოგების მოპოვება. ეს დიდი ბიზნესია, ქურუში კი ბიზნესმენია, რომელიც მორწმუნე კაცის სახეს ატარებს, სინამდვილეში კი არ არის მორწმუნე. აი, რატომ ეწინააღმდეგება იგი ყოველთვის იესოს, ბუდას, ნანაკის და კაბირს იმიტომ, რომ ისინი ბიზნესს ანადგურებენ.

ბიზნესმენს არ აინტერესებს არც ღმერთი, არც პოეზია, არც ლოცვა, არც სიყვარული, არც სილამაზე და არც სიკეთე, მისთვის უცხოა ექსტაზი. უბრალო ტკბობა მისთვის არაფერს ნიშნავს, რადგან ყველაფერში სარგებელს ეძებს.

ერთხელ ერთი მილიონერი გელურთა რომელიღაც ტომს ეწვია. მატარებლიდან რომ გამოვიდა, მაშინვე ბაქანზე მწოლი გელურები შენიშნა. იგი ერთ-ერთს მიუახლოვდა, რომელიც

სუფთა ჰაერზე ისვენებდა მწოლიარე და ჰკითხა „ეი, ბელადო, აქ რას აკეთებ? დროა, წახვიდე და რამე იშოვო!“

ველურთა ბელადმა ზანტად გაახილა თვალი და ჰკითხა: „რატომ?“ შეუძლებელია ბიზნესმენმა ეს „რატომ“ გაიგოს. მან უთხრა: „რატომ? რომ იშოვო ფული!“

ველურმა გაიცინა და ისე ჰკითხა„რატომ?“

ამან უკვე გააღიზიანა მილიონერი: „რატომ?! რათა გქონდეს შენი საბანკო ანგარიში, რათა კარგად დაისვენო მუშაობის შემდეგ“.

ველურთა ბელადმა თვალები დახუჭა და უთხრა: „მე ახლაც მშვენივრად ვისვენებ“.

ახლა დასვენება შეუძლებელია. ბიზნესმენი დასვენებას სამომავლოდ გადასდებს: „აქ იმუშავე, ახლა იმუშავე, გახსენი ბანკის ანგარიში, შემდეგ კი განისვენე. დასვენება და ტკბობა შემდეგ“. მაგრამ ეს დრო არასოდეს არ დგება და ვერც დადგება. ბიზნესმენმა შეიძლება დაისვენოს ერთი საქმისაგან, მაგრამ მაშინვე ან მანამდეც კი სხვა საქმეს აკვარახჭინებს, რადგან არ შეუძლია დასვენება. იგი ყოველთვის მომავალზე ფიქრობს.

გახსოვდეთ — მორწმუნე აქ და ახლა განიცდის ტკბობას. ზეცა რელიგიური ადამიანისათვის სადღაც იქ, ცაში, მომავალში კი არ არის, არა! ასე ბიზნესმენი უყურებს ზეცას. მორწმუნესათვის ზეცა აქ არის და ახლა, პირდაპირ ამ წუთში. იგი ტკბება ამით, მისთვის მხოლოდ აწყმო არსებობს და მომავალი გზას აცდენს.

ერთხელ ოთხი ჯენტლმენი სამოთხეში მოხვდა. არ ვიცი, როგორ მოახერხეს ეს, ალბათ კონტრაბანდის საშუალებით. სწორედ მაშინ გარდაიცვალა ერთი წმინდანი, რომელიც ამ ბიზნესმენებს იცნობდა. როცა იგი სამოთხეში შეეიდა და ისინი იქ დაინახა, ძალიან გაუკვირდა, ვინაიდან ბიზნესმენებს ბორკილები ედოთ. წმინდანი თვალებს არ უჯერებდა. მან მეკარეს ჰკითხა: „რაშია საქმე? მსმენია, თითქოს სამოთხეში

სრული თავისუფლებაა, ეს ადამიანები კი რატომ აქციეთ პატიმრებად და ბორკილი რატომ დაადეთ?“

მეკარემ გაიცინა და მიუგო: „ამ ოთხ ბიზნესმენს უკან სურს დაბრუნება. ეს კი არ არის კარგი. ისინი როგორღაც მოხვდნენ აქ. ახლა თუ უკან დაბრუნების საშუალებას მივცემთ, სამოთხის პრესტიჟი დაეცემა. მაო იმიტომ სურთ აქედან წასვლა, რომ აქ ბიზნესს ვერ დაატრიალებენ...“

ბიზნესმენი ბიზნესმენად რჩება, რადგან ადამიანთა ესა თუ ის ტიპი ადვილად ვერ იცვლება. იქამდე, სანამ არ შეიგნებთ გადავადების, მომავლის, ფულისა და დაგროვების მთელ უაზრობას, ვიდრე არ გახდებით ისეთი შეგნებულნი, რომ თავად ამ შეგნებამ დაწვას თქვენი ტიპი, არაფერი შეიცვლება. ხოლო თუ ბიზნესმენი არა ხართ, მაშინ რელიგიური ყოფილხართ.

ღმერთი ყოველდღე გეპატიჟებათ თავისთან, იგი ყოველ წუთს გიკაკუნებთ კარზე, მაგრამ თქვენ ეუბნებით: „მაპატიეთ, ბევრი საქმე მაქვს. როცა ყველა საქმეს მოვრჩები, მაშინ მოვალ.“ ტკბობა, ბედნიერება, ნეტარება, სიმშვიდე — ეს ყველაფერი უცხოა ბიზნესმენისათვის. მან ბევრი რამ უნდა გააკეთოს, ვიდრე დაისვენებს. ამიტომ ამბობს იგი უარს მიპატიჟებაზე. ახლა შეეცადეთ ჩასწვდეთ ამ მშვენიერი იგავის აზრს.

იესომ თქვა: „ერთმა კაცმა ხალხი დაპატიჟა სადილად და მსახური გაგზავნა მათ მოსაწვევად. მსახური მივიდა პირველთან და უთხრა: „ჩემი ბატონი გიწვევს“. მან კი საქმეები მოიმიზეზა: „ვაჭართან მოსარიგებელი ვარო და ბოდიში მოუხადა მიუსვლელობისათვის...“

სადილი ცხოვრებით ტკბობის სიმბოლოა, ქრისტესთვის კი სადილი მედიტაციური ფენომენია. მას ყოველთვის უყვარდა, როცა მოწაფეებთან და მეგობრებთან სადილობდა.

იმ ბოლო საღამოსაც კი, როცა მეორე დღეს სიკვდილით უნდა დაესაჯათ, მოაწყო გამოსამშვიდობებელი ვახშამი (საიდუმლო სერობა). ის ტკბებოდა ერთობლივი ტრაპეზით.

ქრისტიანობამ მოელი ეს მოვლენა რელიგიურ სიმაღლეზე აიყვანა. ინდუისტები ამ საკითხში სრულიად დაუდევარნი არიან. შეეცადეთ ამის გაგებას.

ძაღლი პურის ნატეხს თუ მოიგდებს, დაუყოვნებლივ გარბის სადმე კუთხეში და მარტო ჭამს, რადგან ეშინია, სხვა ძაღლმა არ წაართვას პურის ნატეხი. არც ერთი ცხოველი არ უყოფს ლუკმას მეორე ცხოველს. ულუფის სხვისთვის განაწილება ადამიანური თვისებაა. ხოლო თუ შეეცდებით ქვეცნობიერში შეღწევას, იქ ყოველოვის იპოვით მიძინებულ ცხოველს. თქვენც არ გიყვართ სხვებთან ერთად ჭამა. თქვენც მარტოს მოგწონთ სადილობა. შეხედეთ ბრაჰმინს, რომელიც მატარებლით მგზავრობს. როცა საჭმელს შეექცევა, ყოველოვის ზურგს აქცევს ყველას. მაჰმადიანი და ქრისტიანი სხვას გაუყოფენ ულუფას, მაგრამ ეს არ ითქმის ინდუისტზე. ინდუისტებმა დიდებული რამ დაკარგეს: ერთიანობის გრძნობა და განაწილების უნარი. სხვას თქვენს ლუკმას რომ მიაწვდით, თქვენ დაძმობილდებით. როგორ იქცეით ვიღაცისთვის ძმად? თქვენ ერთ ძუძუს ინაწილებთ, ერთი დედისგან ხართ, რადგან დედა პირველი საკვებია. როდესაც ვინმეს ლუკმას უნაწილებთ, თქვენს შორის წარმოიშობა ერთიანობის გრძნობა.

ინდუისტებს აქვთ საზოგადოება, მაგრამ არ გააჩნიათ ერთიანობის გრძნობა. მაჰმადიანები და ქრისტიანები უფრო მეტად კეთილგანწყობილნი არიან, მათ შეუძლიათ თავისი ლუკმა სხვას გაუნაწილონ. საკვები კი უმთავრესია ცხოვრებაში, მის გარეშე დაიღუპებით. უწილადო სხვას საკვები — ეს იმას ნიშნავს, რომ სიცოცხლე უწილადო, იესომ ეს ლოცვის სტატუსამდე აიყვანა. თქვენ უნდა სადილობდეთ არა მარტონი, არამედ სადილზეც ერთად უნდა იყოთ. ამით ხდება ცხოველურის გადალახვა თქვენში.

ბოლო საღამოს, როცა იესოს უნდა დაეტოვებინა მოწაფეები და მეგობრები, მან ისინი ვახშამზე შეკრიბა, რამეთუ სიკვდილის წინ სურდა სხვებისთვის თავისი ლუკმა გაეყო.

ამას გარდა, საკვები სიყვარულის სიმბოლოა. დაკვირვებიხარო, რატომ გიყვართ დედათქვენი? რატომაა დედა-შვილს შორის ამხელა სიყვარული? იმიტომ, რომ დედა პირველი საკვებია ბავშვისათვის. ბავშვი შეიცნობს დედას, არა როგორც სიყვარულის, არამედ როგორც საკვების წყაროს. მოგვიანებით, როცა მისი შეგნება იზრდება, ის უფრო და უფრო იგრძნობს დედისადმი სიყვარულს.

ვერ საკვებია, შემდეგ — სიყვარული და საჭმელიც სიყვარულთან ასოცირდება, ვინაიდან ისინი ერთი საათიდან მოდიან. აი, რატომაა, თუ რომელიმე ოჯახში მიხვედით და იქ არ შემოგთავაზებენ საჭმელს, თავს უხერხულად იგრძნობთ. ისინი განზე გწევენ თქვენ, არ გაძლევენ თავის სიყვარულს, არ გმასპინძლობენ. თუ გთავაზობენ საჭმელს, შესაძლოა, ისინი ღარიბები იყვნენ, მცირედის მქონენი, მაგრამ თუ იმას გთავაზობენ, რაც გააჩნიათ, გრძნობთ რომ ყველაფერი რიგზეა, რამეთუ კარგად მიგიღეს, გიწილადეს საჭმელი, საჭმელი კი სიყვარულია.

ქალს როცა მამაკაცი უყვარს, სიამოვნებს მისთვის სადილის მოშზადება; მოსწონს, როცა ხედავს, თუ როგორ შეექცევა საჭმელს ეს მამაკაცი, და თუ ქალს არ აძლევენ ამის საშუალებას, იგი მოუსვენრად გრძნობს თავს. საჭმელს, რომელიც შეყვარებულმა ქალმა მოამზადა, სხვა თვისებები გააჩნია, რის ანალიზსაც ქიმიკოსები ვერ გააკეთებენ.

ქალი თუ გაბრაზებულია თქვენზე, თუ ვერ გიტანთ და სადილს გიმზადებთ, საჭმელი თითქმის მოწამლული იქნება, რადგან მრისხანებას, სიძულვილს, ეჭვიანობას სისხლში შხამი აქვს. მათ გააჩნიათ გამოსხივება და ხელების საშუალებით საჭმელში ხვდება, ქალმა შეიძლება, მოგკლათ კიდეც ისე, რომ თვითონაც არ უწყოდეს — და ვერანაირი სასამართლო ვერ დაადანაშაულებს მას. მაგრამ თუ უყვარხართ ქალს, იგი საჭმლის საშუალებით გადმოგცემთ სიყვარულს და გიახლოვდებათ.

საკეები ყველაზე მთავარია. იგი სხვას უნდა გაუნაწილოთ და ასე გასცდებით ცხოველურ საფეხურს, ადამიანად რომ იქცეთ. ინდუისტების საზოგადოება, ერთ-ერთი უძველესია, მაგრამ ერთ-ერთი არაჰუმანურია იმის გამო, რომ ისინი არასოდეს სცნობდნენ ლუკმა-პურის გაყოფის წესს. პირიქით, მათ შექმნეს უამრავი წინააღმდეგობა, რათა არაფერი არ გაყონ: ბრამინს არ შეუძლია შუდრასთან, ვაიშნავთან და საერთოდ, უფრო დაბალი კასტის წარმომადგენელთან სადილობა, ხოლო თუ არ შეგიძლიათ სხვებთან ერთად ჭამა, უარყოფთ იმ სხვას, როგორც ადამიანს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ საკუთარ თავზე ერთობ დიდი წარმოდგენა გაქვთ და სხვას ულირსად თვლით. აქაც არის გაყოფა, მაგრამ ეს ყველაზე არაჰუმანური გაყოფაა.

იესომ თავისი რელიგია დააფუძნა სხვისთვის გაყოფის უნარსა და აუცილებლობაზე. იგი ხშირად ლაპარაკობს ღმერთზე, რომელიც სადილად გეპატიჟებათ. სადილი ტკბობაა, პირდაპირი ტკბობა, ტკბობა ყოფიერებითა და სხეულით, საჭმლით ნეტარება და ყველაფრის დავიწყება — ეს არის ღვთისადმი მადლიერება.

„ერთმა კაცმა ხალხი დაპატიჟა სადილად და მსახური გაგზავნა მათ მოსაწვევად. მსახური მივიდა პირველთან და უთხრა: „ჩემი ბატონი გიწვევს.“ მან კი საქმეები მოიმიზეზა: ვაჭართან მოსარიგებელი ვარო და ბოდიში მოუხადა მიუსვლელობისათვის. მსახურმა ახლა მეორე დაპატიჟა, რომელმაც მიუგო სახლს ვყიდულობ და არ მცალიაო...“ ბიზნესმენს, საქმიან ადამიანს არა აქვს დრო იმისათვის, რომ დასტკბეს, მედიტაციები ჩაატაროს, ვინმე შეიყვაროს. იგი ყოველთვის ჩქარობს. ამბიციებით შეპყრობილს ისეთი ციებცხელება აქვს, რომ აღარაფრისთვის არ რჩება დრო. თუ ამბიციურნი ხართ, არ გექნებათ დრო, თუ ამბიციებისაგან შორს დგახართ, თქვენს განკარგულებაშია მარადისობა. ასეთ ადამიანს აქვს უამრავი დრო, რათა დასტკბეს, იცეკვოს და იმღეროს. თქვენ ვერ ჩასწვდებით ამას. ამბიციურ პიროვნებას სიყ-

ვარულისთვისაც კი არა აქვს დრო, რადგან ყოველთვის არსებობს მომავალი, საბანკო ანგარიში, ფული, რომლის მიღებაც შეუძლია, თუკი ამ დროს გამოიყენებს. ბიზნესმენი სიზმარშიც კი ალებ-მიცემაზე ოცნებობს.

„...მსახურმა ახლა მეორე დაპატიჟა, რომელმაც მიუგო: სახლის ყიდვას ვაპირებ და არ მცალიაო. როცა მსახურმა მესამე კაცი დაპატიჟა, ასეთი პასუხი მიიღო: ჩემი მეგობარი ცოლს ირთავს და მის გვერდით უნდა ვიდგე, არა მცალია და ბოდიშს ვიხდიო, ხოლო მეოთხე მსახურმა უპასუხა: ფერმა ვიყიდე და ახლა რენტა უნდა მოვაგროვო, მოუსვლელობისთვის ბოდიშს გიხდით...“

ყველა მათგანი დაკავებულია და დრო არა აქვთ. თუ თქვენ არა გაქვთ მოცლა, თქვენც ბიზნესმენი ყოფილხართ. იქნებ შეძლოთ ცოტაოდენი დრო დახარჯოთ მედიტაციებზე, უბრალოდ იყოთ **აქ და ახლა**, იმღეროთ და იცეკვოთ, ან არაფერი გააკეთოთ, უბრალოდ იწვეთ ხის ქვეშ და დასტკბეთ ყოფიერებით ...ეს სისულელეა? მაშინ თქვენ ბიზნესმენები ხართ და არა რელიგიურნი. მაგრამ თუ გრძნობთ, რომ უფრო მნიშვნელოვანია, უბრალოდ, ყოველნაირი საქმის გარეშე ყოფნა, როცა არაფერს არ აკეთებთ და ამაში ყველაზე დიდი აზრია ჩადებული, მაშინ თქვენ რელიგიური ხართ.

გახსოვდეთ — გონებას საქმე სჭირდება, სხვაგვარად იგი ვერ იარსებებს. ერთმა კაცმა გენიოსის ანრდილი გააცოცხლა. გენიოსმა უთხრა: „სიცოცხლეზე ერთი პირობით ვარ თანახმა: მჭირდება მუდმივი სამუშაო. თუ ამას შემომთავაზებ, მე შენი მსახური ვიქნები, მაგრამ თუ ასეთ სამუშაოს ვერ გამიჩენ, მაშინვე მოგკლავ“.

ეს კაცი ბიზნესმენი იყო. მან მიუგო: „ეს ის არის, რაც მე მინდა. ასობით მსახური მყავს და ყველა ზარმაცია, არავის არა სურს მუშაობა. იმდენ საქმეს მოგცემ, რომ თავგზა აგებნას“.

მან არ იცოდა, რას ამბობდა. ბედნიერმა უამბო გენიოსს წლების განმავლობაში დაგროვილ უამრავ დაუმაყოფილებელ

სურვილზე, რაც გენიოსმა ერთ წუთში შეასრულა, შემდეგ კი სხვა საქმე მოსთხოვა.

ახალ საქმეს სხვა ახალი საქმე მოჰყვა და დილისთვის ბიზნესმენი უკვე სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. იგი სუფიელ ბერთან მივიდა და ჰკითხა: „რა ვქნა? ეს გენიოსი მომკლავს. მან ყველაფერი უკვე გააკეთა, რისი გაფიქრებაც კი შეეძელი".

სუფიელი მათემატიკოსი იყო. მან ურჩია: „წადი და ამოცანა მიეცი წრის კვადრატურის შესახებ..."

...ბიზნესმენი გარდაიცვალა დიდი ხნის წინ, გენიოსი კი ჯერ კიდევ იმ ამოცანას ხსნის...

ბიზნესმენს შიგნით ასეთი გენიოსი ჰყავს და არ შეუძლია არა მარტო წრის კვადრატურის ამოხსნა, არამედ სურვილის კვადრატურისაც. ასეთია ტვინის პირობა: „მომეცი სამუშაო, ნუ დამტოვებ ცარიელს". ის თქვენ არ მოგკლავთ, მაგრამ თუ სამუშაოს არ მისცემთ, მოკლავს თქვენს ეგოს. ტვინის მუშაობის დროს თავს კარგად გრძნობთ, თქვენი „ეგო" კმაყოფილია, რაღაცას წარმოადგენთ, თუ არაფერს აკეთებთ არარაობის შეგრძნება გეუფლებათ.

რამდენიმე ხნის წინათ წავიკითხე „ჰარი კრიშნას „საიყარო". ამ წიგნის ავტორი წერს დოქტორ ს.რადჰარკრიშნაზე, ინდოეთის ყოფილ პრეზიდენტზე, როგორც მიცვალებულზე, რადგან როცა პოლიტიკოსი თამაშიდან გამოდის, იგი უკვე „მიცვალებულია".

ავტორმა, შეიძლება, არც კი იცოდა, რომ ყოფილი პრეზიდენტი ცოცხალია, რადგან გაზეთები უცებ ივიწყებენ ადამიანს, რომელიც აღარ არის დაწესებულებაში. სად არის ნიქსონი? გისი? დავიწყებულები არიან!

მხოლოდ მაშინ, როცა კვდებიან, გაზეთებში გამოჩნდება ხოლმე რამდენიმე სტრიქონიანი ნეკროლოგი. აი, რატომ ებღაუჭება თითოეული თავის სამუშაოს, არავის არ სურს პენსიაზე გასვლა, ვინაიდან სად არის პენსიონერის იდენტურობა? თქვენ იყავით ვიღაც, ახლა არარაობა გახდით. ტვინი გიდებთ პირობას: „თუ მომცემ სამუშაოს, შეგიქმნი „ეგოს", შენ იქნები

„ვინმე“. თუ შეწყვეტ სამუშაოს მოწოდებას, შენ გახდები „არავინ“. გახსოვდეს: თუ მე ცარიელი ვარ, შენც ცარიელი იქნები, შენ ჩემთან ერთად არსებობ“.

ბიზნესმენი გონების მიმდევარია. იგი ასაქმებს თავის გონებას. მისი „ეგო“ ძლიერდება, მაგრამ იკარგება შინაგანი სული. ეს თვითმკვლელობაა, მაგრამ ძალიან ფაქიზი.

თუ შეგიძლიათ სამუშაოს გარეშე არსებობა და მაინც ღმერთს მადლობას სწირავთ; თუ შეგიძლიათ, არავინ არ იყოთ და მაინც ყოფიერების მადლიერები ხართ, თქვენ რელიგიურნი ბრძანდებით.

თქვენი ღირებულება ის კი არ არის, რას აკეთებთ; თქვენი საქმიანობიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ თქვენივე ყოფიერებიდან მოდის. მაშინ თქვენი შენაძენი, ბანკში კი არ ინახება, თვითონ თქვენშია და მაროლაც ფასეული ხართ.

კაცობრიობა ვერ ამჩნევს ასეთ ადამიანებს, მისი ყურადღება ბიზნესმენებისკენ არის მიპყრობილი. შეიძლება ქუსაში გაიაროთ და არავინ მოგესალმოთ, არავინ შემოგხედოთ — ასეთი რამ შესაძლებელია. ამქვეყნად მნიშვნელოვანია სამუშაო, რომელსაც ასრულებთ. თუ არა გაქვთ სამუშაო, აქაურობისთვის აღარ არსებობთ. თქვენ იქეცით არარაობად, მაგრამ თუ შეგიძლიათ ამ შემოხვევაში ბედნიერად იგრძნოთ თავი, თქვენ შეხვალთ ღვთის სამყაროში, შესძლებთ მთელი სილამაზით დატკბობასა და ექსტაზის განცდას! ყველაფერი გაღებულია და გიწვევთ თქვენ!

თქვენ ყოველთვის გიწვევენ, მაგრამ არასოდეს დრო არა გაქვთ, ყოველთვის ღაკავებულები ხართ და პატიებას ითხოვთ. მრავალი ცხოვრების განმავლობაში იძახდით: „გთხოვთ, მაპატიოთ, რომ ვერ მოვალ, მეგობრის ქორწილში მელოდებიან ან ვაჭარს უნდა მოვურიგდე“. რაზე ლაპარაკობთ? ცხოვრება გიწვევთ, რათა ექსტაზური იყოთ, თქვენ კი უარს ამბობთ მიწვევაზე, მერე კი ამბობთ, რომ იტანჯებით ან უარყოფილი ხართ.

არ კითხულობთ, რატომ არის ცხოვრებაში ამდენი ტკივილი. თქვენ უკუაგდებთ ყველა მიწვევას რომ იყოთ ბედნიერნი.

„...მსახური დაბრუნდა ბატონთან და მოახსენა: „ვინც კი მოიპატიჟე სადილად, ყველამ რაღაც მოიმიზეზა და მოუსვლელობისათვის ბოდიში მოგიხადათ“.

ბატონმა უბრძანა მსახურს: „გადი გზაზე და ვინც შეგხვდება, ყველა აქ მოიყვანე, რათა სუფრას მიუსხდნენ და ისადილონ...“ საჭიროა გაიგოთ და ჩასწვდეთ ამას: ჯერ პატივცემული პიროვნებები მოიწვიეს, ის ხალხი, „რაღაცას“ რომ წარმოადგენენ, ის პიროვნებები, „ეგოსთან“ იდენტურობას რომ მიაღწიეს. ამ „განსაკუთრებულად პატივცემულმა“ პიროვნებებმა მოსვლაზე მოიბოდიშეს, რადგან ძალიან დაკავებულნი იყვნენ. მაშინ მოწვევა დაეგზავნათ მდაბიოებს, ჰიპებს, იმათ, ვინც, უბრალოდ გზაზეა.

ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ძალიან რესპექტაბელურნი არიან, კარგავენ ღვთაებრივს. მდაბიონი მოიპოვებენ, იმპერატორები კი კარგავენ. მდაბიონი ხომ ყოველთვის გზაზე არიან. მათ ღმერთი იწვევთ და ისინიც მზად არიან. არასოდეს გეტყვიან: „მაპატიეთ“. მათ არა აქვთ საქმე საბოდიშოდ, ისინი, უბრალოდ, გელოდებიან. ეძახით და მოდიან. ისინი პირდაპირ გზაზე არიან. ამიტომაც ამბობს ბატონი:

„... გადი გზაზე და ვინც შეგხვდება, ყველა აქ მოიყვანე...“

გზაზე ვერ იპოვით რესპექტაბელურ ადამიანებს, პრეზიდენტს ან მილიონერს. იქ შეგხვდებათ გზააბნეული მოხეტიალეები, საქმე რომ არა აქვთ. ამ ნათქვამში ღრმა აზრია ჩადებული.

ბუდამ დატოვა თავისი სასახლე და მდაბიო გახდა. მაჰავირმა დატოვა სამეფო და შიშველ დერვიშად იქცა.

ისინი, ვინც რაღაცას წარმოადგენენ „ეგოს“ სამყაროში, ყოველთვის თავს არიდებენ მოწვევას. „ეგოსთვის“ მუდმივი სამუშაოა საჭირო. იგი ჭრილობას ჰგავს. ამიტომ მისთვის მხოლოდ ტკივილია ნაცნობი და არა ნეტარება, იგი არ არის

ყვავილი. ისინი კი, ვინც ყვავილებს ჰგვანან და ტკბობას განიცდიან, თუნდაც რომ არ მიიღონ მოწვევა, აუცილებლად მოხვდებიან სადილზე. ისინი უკვე შეეიდნენ ყოფიერებაში და ტკბებიან ამ ყოფიერებით. მათ არა აქვთ საზრუნავი და არ ზიდავენ ტვირთს — ეს ადამიანები ყოველოვის „ვახახე“არიან.

თუ გამორჩენილი პიროვნებები არ მოდიან, მაშინ ის მოვა, ვინც არაფერს არ წარმოადგენს, მათ ღმერთმა უნდა უწილადოს და მდაბიონი უფრო მეტად დასტკბებიან ღმერთით, ვიდრე იმპერატორები, რადგან ისინი არაფერს საქმიანობენ, ცხოვრობენ მოცემულ მომენტში და მიწვევას სამომავლოდ არ გადადებენ.

ბიზნესმენმა ერთ მათხოვარს ჩაუარა გვერდით, რომელმაც ორი თუ სამი ანი სთხოვა ჭიქა ჩაისათვის. ბიზნესმენი ჩქარობდა, როგორც ყოველთვის. „მერე რომ გამოვიღი, მაშინ მოგცემ, ახლა მეჩქარება“,- უთხრა მან.

მდაბიომ მიუგო: „მე ხომ ბიზნესმენი არა ვარ. მე არ შემიძლია დაპირებებით ვიცხოვრო. ან ახლა მაძლევ ფულს, ან — არა, ან „ჰოს“ მეუბნები ან — „არას“. დაპირებებით ვერ ვიცხოვრებ, რადგან ჩემთვის მომავალი არ არსებობს“.

ბიზნესმენი დაპირებებით ცხოვრობს. მან თავისი აწყმო მომავალ ოცნებაზე გაყიდა.

იესო ამბობს: „... მყიდველები და ვაჭრები ვერ შეელენ მამაჩემის სამყოფელში...“

თუ ამბობთ: „მომავალში, ოდესმე მომავალშიო...“ დაკარგავთ. თუ ამბობთ: „მე მზად ვარ, არაფერი მაკავებს და თქვენს მოწვევას ველიო“, მხოლოდ მაშინ შეგწევთ უნარი, შეხვიდეთ სასუფეველში ცათა შინა.

ხშირად ფიქრობენ, რომ სანიასინები უარყოფენ ცხოვრებას, მაგრამ ეს არასწორია. მხოლოდ ბიზნესმენი უარყოფს ცხოვრებას, სანიასინი კი ტკბება ცხოვრებით.

ეს უარყოფითად გამოიყურება მყიდველისა და ვაჭრის თვალში, მაგრამ სანიასინები არ უარყოფენ არაფერს, ისინი ცხოვრებით ტკბებიან ინტენსიურად, ეს არის და ეს. სანიასინი

ისე ტოტალურად ტკბება, იმ წუთში რომც მოკვდეს, ვერ იგრძნობს. ის თუ კვდება, ბედნიერია. ბიზნესმენი კი მილიონი ცხოვრების განმავლობაშიც ვერ დაასრულებს თავის საქმეს. საქმეა თვითონ ისეთი, რომ ვერ დასრულდება. უპანიშადების ერთ-ერთი ისტორია მოგვითხრობს, რომ ასი წლის მეუღე იაიატი კვდებოდა. მოვიდა სიკვდილი და იაიატმა მას მიმართა: „იქნებ ჩემი ერთ-ერთი ვაჟიშვილი წაიყვანო ჩემს მაგივრად? მე ჯერ კიდევ არ მიცხოვრია ნამღვილი ცხოვრებით, სამეფოს საქმეებით ვიყავი დაკავებული. სრულიად დამავიწყდა, რომ ეს სხეული უნდა დავტოვო. მე არ მიცხოვრია! სისასტიკეა ჩემი აქეღან წაყვანა, რადგან ხალხსა და სამეფოს ვემსახურებოდი და ერთი დღე არ მიცხოვრია ჩემი ცხოვრებით. იყავი მოწყალე...!“

სიკვდილმა მიუგო: „კარგი, ჰკითხე შენს შვილებს, იქნებ რომელიმე შეგენაცვლოს?“

მეუღეს ასი შვილი ჰყავდა, უფროს ვაჟებს უკვე ჰქონდათ გარკვეული გამოცდილება, ეშმაკნი და ანგარიშიანები იყვნენ და მხოლოდ ყველაზე უმცროსი 16 წლის ვაჟიშვილი დაეთანხმა იაიატის წინადადებას.

მაგრამ სიკვდილსაც კი შეებრალა იგი, რადგან თუ ასი წლის მოხუცმა ჯერ კიდევ ვერ იცხოვრა, რას მოასწრებდა 16 წლის ყმაწვილი?

სიკვდილმა მას უთხრა: „შენ უცოდველი ხარ და არაფერი არ იცი, მაგრამ შენი ოთხმოცდაცხრამეტი ძმა არაფერს ამბობს. ზოგიერთი მათგანი 70-75 წლისაა, სიკვდილი ხომ მალე უნდა მიუახლოვდეთ მათ, მაგრამ რატომ შენ?“

ყმაწვილმა მიუგო: „თუ მამაჩემი ასი წლის სიცოცხლით ვერ დატკბა, მაშ, მე როგორ ვიქონიო ამის იმედი? ამას რა აზრი აქვს! ჩემთვის საკმარისია იმის გაგება, რომ თუ მამაჩემმა ასი წლის განმავლობაში ცხოვრება ვერ მოახერხა, მეც ვერ მოვახერხებ ას წელიწადს ცხოვრებას. ცხოვრების რაღაც სხვა საშუალება უნდა იყოს. სიცოცხლის საშუალებით,

როგორც ჩანს, არ ხერხდება ცხოვრება და მინდა ახლა სიკვდილის საშუალებით ვცადო იგი...“

სანიასინიც ამას ამბობს: „თუ არ შემიძლია ვიცხოვრო „ეგოს“ სიცოცხლის დახმარებით, ვიცოცხლებ „ეგოს“ სიკვდილით!...“

სიკვდილმა წაიყვანა მეუფის ვაჟიშვილი და მეუფემ კვლავ ასი წელიწადი იცხოვრა. მერე ისევ მოუვიდა სიკვდილი, მეუფემ ისევ ვერ მოვახერხე სიცოცხლით დატკბობა და ახლა ჩემი სხვა შვილი წაიყვანეო.

ასე მეორდებოდა ყოველ ას წელიწადში ერთხელ, სანამ იაიატს ათასი წელი არ შეუსრულდა. მაშინ სიკვდილი კიდევ ესტუმრა და უთხრა: „რას ფიქრობ? კიდევ შენი ერთ-ერთი ვაჟიშვილი უნდა წავიყვანო?...“

იაიატმა უპასუხა: „არა! ახლა ნამდვილად ვიცი, რომ ათასი წელიც გამოუსადეგარია. ეს არის ჩემი გონების და არა დროის საკითხი. შევეჩვიე ყოფისა და არსებობის უაზრო გაუსაძლისობას. ასე რომ, ეს ველარ მიშველის“.

უნდა გახსოვდეთ, რა უანდერძა მოძავალ თაობას იაიატმა. თუ არა ხარ აქ და ახლა, ვერ მოხვდებით სადილზე. ყოველთვის გიწვევდნენ, მაგრამ არასდროს არ იყავით სახლში, არასდროს არ იყავით იქ, რამეთუ სხვა ადგილას იმყოფებოდით.

მერე კი ამბობთ, რომ იტანჯებით და ყველა უბედურად გეჩვენებათ. ისიც უბედური გგონიათ, ვინც ხანგრძლივად იცხოვრა და ისიც, ვინც ვერ იცხოვრა დიდხანს.

ერთხელ ერთი რესტორნის ფანჯარაზე ასეთი წარწერა წავიკითხე: „ნუ დადგებით გარეთ და ნუ იქნებით ასეთი უბედური, შემოდით და ჭამეთ“. ე.ი. თუ დგახართ გარეთ, უბედურნი ხართ, მაგრამ თუ შეხვალ რესტორანში და შეჭამო, მაშინაც უბედურნი იქნებით. გონება უბედურებაა. „შიგნით“ თუ „გარეთ“ ვერ გიშველით, ვერც ასი წელიწადი გიშველით და ვერც ათასი, ვერც ერთი ცხოვრება შეგმატებთ ვერაუერს და ვერც უამრავი, სანამ არ შეიგნებთ, რომ ბარიერი თვით

ბიზნესმენის გონებაა და როგორც კი უკუაგდებთ მას, მოდის სანიასა.

იესო ამბობს: **„...მყიდველები და ვაჭრები ვერ შევლენ მამაჩემის სამყოფელში...“**

სასუფევლის კარი ყოველთვის ღიაა! ვაჭრებმა და მყიდველებმა თვითონ დაკარგეს იქ შესვლის შესაძლებლობა. მოციქული ყოველთვის მოდის თქვენს მისაპატიჟებლად. იესო მოციქული იყო, მაგრამ იუდეველებმა უარყვეს იგი.

ბუდა ხშირად დადიოდა ერთ სოფელზე, თითქმის ოცდაათჯერ მოუწია იქ გავლამ. ამ სოფლის ერთი მცხოვრები ყოველთვის ოცნებობდა, ბუდასთვის მოესმინა, მაგრამ ან ცოლშვილი ჰყავდა ხოლმე ავად, ან სტუმრები, ან კიდევ მოუცლელი იყო და ვერ ახერხებდა ბუდასთან შეხვედრას. ერთხელ დილით, როცა თავისი სავაჭრო ფარდული გახსნა, გაიგონა, რომ ბუდა ამ დღეს მოკვდებოდა. მაშინ მიხვდა, რას ჰკარგავდა იგი და საღამო ხანს ბუდასკენ გაეშურა.

ბუდა განსასვენებლად ემზადებოდა. „რამე ხომ არ გინდათ, ბოლოს მკითხოთ?“ — მიმართა მან თავის მოწაფეებს. მათ ქვითინით უთხრეს: „შენ საკმაოდ ბევრი რამ გვითხარი და იმასაც კი ვერ მიგიხვდით, ახლა არაფერი გვაქვს შესაკითხავი“.

ბუდამ სამჯერ გაიმეორა თავისი შეკითხვა, რადგან ჩვევად ჰქონდა ნათქვამის რამდენჯერმე წარმოთქმა. მერე თქვა: „თქვენ ისეთი სმენადახშულნი ხართ, რომ ყოველთვის ყურს იქით უშვებთ“. შემდეგ დაჯდა მშვიდად ხის ქვეშ, თვალები დახუჭა და დაიწყო სამყაროსთან შერწყმა.

ამ დროს იმ კაცმა მოირბინა, ბუდას ნახვა რომ უნდოდა და ბუდა იკითხა.

მოწაფეებმა უთხრეს: „დაიგვიანე, როდესაც ბუდა დადიოდა შენს სოფელზე, იოლად შეგეძლო მისი ნახვა. ის ყოველთვის გკითხულობდა, მაგრამ შენ არასოდეს არ მისულხარ მასთან. ზოგჯერ გეპატიჟებოდით, მაგრამ შენ ხან ცოლ-შვილი გყავდა ავად, ხან ძალიან დასაქმებული იყავი, ხან სტუმრებს ელოდებოდი. ახლა კი დაიგვიანე“.

ეს ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი ისტორიაა თანაგრძნობის შესახებ. ბუდა გამოვიდა მედიტაციიდან და თქვა: „შესაძლოა, ეს კაცი შეცდა, მაგრამ ჩემს მოწვევას ძალა არ დაუკარგავს. მართალია, დაიგვიანა, მაგრამ მე ხომ ცოცხალი ვარ. მე ველოდი მას და სულ ვაგვიანებდი გაუჩინარებას, ვიმედოვნებდი, რომ მოვიდოდა, როგორც კი გაიგებდა, რომ ვკვდები...“

უკუაგდეთ ბიზნესმენის გონება, თორემ, როგორც ადრე კარგავდით ბუდას, ასევე დაკარგავთ ახლაც. თქვენ ერევით დაკარგვას. იესო მართალია, ღვთის სასუფეველში არ არის ადგილი გამქიდველებისა და ვაჭრებისათვის. ისინი საერთოდ არ ინტერესდებიან სასუფევლით, მათ აინტერესებთ ამქვეყნიური სამეფო, ისინი ხილულს უყურებენ, მათთვის მიპატიჟება სუსტად ჟღერს, ესპით, მაგრამ ბოდიშს იხდიან.

თქვენ აირჩიეთ არაარსებითი და უარყავით არსებითი. თქვენ აირჩიეთ ის, რაც არაფასეულია, ის რაც კვდება და უკვდავი უარყავით. თქვენ აირჩიეთ სხეული და უარყავით შინაგანი არსი.

მთლიანად შეიგნეთ ეს: უყურეთ სიტუაციას და ნუ იფიქრებთ სხვაზე. უყურეთ საკუთარ თავს! ასი კაციდან 99 ხომ ბიზნესმენია. უფრო დასავცერებელია, რომ თქვენც ბიზნესმენი ხართ. ნუ იფიქრებთ, რომ გამონაკლისის ბრძანდებით, რადგან სულაც არ სჩანხართ ასეთი. ეს გამონაკლისი უკვე შეიდა სასუფეველში ცათა შინა და ღმერთთან სადილობს.

1974 წლის 8 სექტემბერი
პუნა, ინდოეთი

ს ა შ ბ ა რ ი მ ე ო ც ე

მეოცე შეგონება

მოწაფეებმა ჰკითხეს იესოს: — „როდის დაღვება ხიკედილისაგან გათავისუფლების ღღე და როდის მოვა ახალი ცხოვრება?“

(თომა, 56)

იესომ მიუგო: — „ის, რასაც ელოდებოდით, უკვე მოვიდა, მაგრამ თქვენ ვერ შეიცანით“.

მოწაფეებმა უთხრეს იესოს: — „ისრაელში ოცდაოთხი წინასწამეტეველი ქადაგებდა და ყველა მათგანი შენ გახსენებდა“.

იესომ მიუგო: — „თქვენ გვერდით გახწიეთ ცოცხალი, რომელიც თქვენს წინაშეა და ლაპარაკობთ მკვდარზე“.

(თომა, 57)

იესომ თქვა: — „მე ამქვეყნად მოვიტანე ცეცხლი და ხელათ, კიცავ ქვეყანას, ხანამ ცეცხლი არ აგიზგიზდება“.

(თომა, 10)

ეს მუდამ ასე ხდება. იესო მოდის, მაგრამ ვერ ცნობთ მას. ბუდაც ასევე ვერ გიცვნიათ. რატომ ხდება ასე? შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში, ფიქრობთ იესოსა და ბუდაზე. იქ-

მნება რელიგიები იმათ შესახებ, ვინც ვერ იცანით, სანამ აქ იყვნენ. რატომ კარგავთ ცოცხალ ქრისტეს? ეს არ არის ინდივიდუალური შეცდომა ან ამა თუ იმ ადამიანის წინდაუხედაობა. ამას ადამიანის გონება ათასწლეულების განმავლობაში სწადიოდა საერთოდ. მიზეზი ღრმად ფესვგადგმულია ადამიანში.

გონებას არ გააჩნია აწყმო, მას მხოლოდ წარსული და მომავალი აქვს. აწყმო იმდენად მცირეა, რომ გონებაში მისთვის ადგილი არ რჩება. გონებას შეუძლია წარსულის გახსენება, მომავალზე ოცნება, მაგრამ აწყმოს ვერ ხედავს. წარსული და მომავალი დაკარგულია. აწყმო იმდენად მცირეა, რომ როდესაც შეიცნობთ, იგი უკვე ჩავლილია, თქვენ კი მთვრალები ხართ წარსულით ან მომავლით.

ერთხელ მოლა ნასრედინი ჩემს სანახავად მოეშურებოდა. მან დაიქირავა ტაქსი და უთხრა: „მიმიყვანეთ შრი რაჯნეშის აშრამთან“.

მძღოლი გაბრაზებული გამოვიდა ტაქსიდან. რადგან მაქანა კორეგაონ პარკის №17 სახლის წინ იდგა. მან გააღო კარი და უთხრა ნასრედინს: „მეგობარო, უკვე მოვედით აშრამთან, გადმოდით!“

ნასრედინმა მიუგო: „ძალიან კარგი, მაგრამ შემდეგში ასე სწრაფად ნუ იქნებით...“

თქვენი გონება მთვრალია, არც აწყმოს დანახვა შეუძლია და არც იმის შემჩნევა, რაც თქვენს წინაა. გონება სავსეა ოცნებებითა და სურვილებით. თქვენ არა გაქვთ სულის მხნეობა და ამიტომ კარგავთ იესოს, ბუდას და კრიშნას, შემდეგ კი საუკუნეების განმავლობაში მოსთქვამთ და გაწუხებთ დანაშაულის გრძნობა. საუკუნეების განმავლობაში ფიქრობთ, ლოცულობთ, ხოლო როცა აქ არის იესო, მაშინ კარგავთ მას. იესოსთან შეხვედრა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგიძლიათ, თუ ცნობიერების ისეთ საფეხურს მიაღწევთ თქვენში, რომელშიც არც წარსული იარსებებს და არც მომავალი. მხოლოდ მაშინ დაინახავთ აწყმოს და აწყმო იქნება

მარადიული, მაგრამ მარადისობა სილრმეშია, იგი ჰორიზონტალური კი არ არის, ვერტიკალურია.

შეგიძლიათ გაიგოთ წარსული, რადგან იმისთვის, რომ რაღაც გაიგოთ, დრო გჭირდებათ, რათა იფიქროთ, იფილოსოფოსოთ, იკამათოთ. მაშინ შეგიძლიათ ინტელექტუალურად დაახასიათოთ მოვლენები, მაგრამ როცა იესო აქ არის, თქვენ არ შეგიძლიათ ფიქრი, ამისთვის დრო არა გაქვთ.

თქვენი ტვინი წყვდიადში დაუათურობს. ზოგჯერ ეს იმის ილუზიას ქმნის, თითქოს გაიგეთ რამე, მაგრამ ეს ასე არ არის. თუ გესმით, მაშინ პირდაპირ ხედავთ ფაქტის ჭეშმარიტებას. თუ არ გესმით, მაშინ უნდა დაფიქრდეთ.

გახსოვდეთ — ადამიანი, რომელსაც ესმის, არასდროს ფიქრობს. იგი, უბრალოდ, ხედავს ფაქტს, ხოლო ვისაც არ ესმის, იგი ფიქრობს და ბრძას ჰგავს, რომელსაც სახლიდან გამოსვლა უნდა. იგი უნდა დაფიქრდეს, სად არის კარი. თუ ხედავს, დაფიქრება აღარ არის საჭირო. ფიქრი მაშინ არის მხოლოდ საჭირო, როცა უსინათლო ხართ. ფიქრი ხედვის სანაცვლოა. იგი თქვენს სიბრმავეს მალავს. ადამიანი, რომელსაც უშუალოდ შეუძლია ხედვა, არასოდეს ფიქრობს. იესო და ბუდა არ არიან მოაზროვნეები, მოაზროვნეები არიან არისტოტელე და ჰეგელი*.

გასხივოსნებული ადამიანი არასოდეს ფიქრობს. იგი, უბრალოდ, ხედავს. მას აქვს თვალები, რათა დაინახოს და თაავად ხედვა უჩვენებს, სად არის ჭიშკარი, სად არის გზა და ის მიდის.

როდესაც აქ არის იესო, ჭიშკარი ღიაა, მაგრამ თქვენ ბრმები ხართ. შესაძლებლობა გაქვთ, თვით იესოს ჰკითხოთ: „სადაა კარი? საით წავიდე?“

არსებობს უილიამ ჰანტის ცნობილი სურათი. როცა ეს სურათი პირველად ლონდონში გამოფინეს, კრიტიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა. ეს არის იესოს ერთ-ერთი უმშვენიერესი გამოსახულება. იესო დგას დაგმანულ კართან, რომელსაც ხავსი ისე მოსდებია, თითქოს საუკუნეების მანძილ-

ზე არავის გაუღიარო. იესო დგას კართან. სურათის სახელწოდებაა — „შეხედეთ, მე ვდგავარ კართან“. კარზე ჩაქუჩია, რასაც იესო ხელით ეხება. სურათი მშვენიერია. მაგრამ კრიტიკოსები ყოველთვის მოსახავენ ხოლმე შეცდომას მათ აღმოაჩინეს, რომ სურათზე კარს არა ჰქონდა სახელური. და ამის შესახებ ჰანტს უთხრეს. ჰანტმა გაიცინა და უთხრა მათ: „ეს კარი შიგნით იღება“.

იესო ადამიანის გულის კარებთან დგას. ეს კარი გარეთ არ იღება. ამიტომ არ არის საჭირო სახელური. კარს მხოლოდ ჩაქუჩი აქვს. გულის კარი შიგნით იღება.

იესო მოდის და აკაკუნებს თქვენს კარზე, მაგრამ თქვენ ფიქრობთ და არ აღებთ კარს. მოსალოდნელია, რომ შეშინდეთ და კარს უფრო მაგრად გაუყაროთ ურდული.

თუ კარი გააღეთ, უკვე საფრთხეში ხართ. იესო აბსოლუტურად უცხოდ გეჩვენებათ და არა გწამთ მისი. აი, რატომ კარგავთ იესოს, როცა ის თქვენთან მოდის.

ჯერ ერთი, თქვენ ბრმა ხართ და მხოლოდ ფიქრი შეგიძლიათ. მეორეც, თქვენ გეშინიათ უცნობისა, წარსულთან კი მშვიდად ხართ. დრო უკვე გასულია. ბევრმა შექმნა თეორიები, მოახდინა ყველაფრის ორგანიზება რაც საჭიროა, ყველაფერი წესრიგში მოიყვანეს. ახლა თქვენ შეგიძლიათ უბრალოდ ჩაიხედოთ წიგნებში. წიგნი კი უსიცოცხლოა. შეგიძლიათ, იფიქროთ იესოზე და რაღაც დაამტკიცოთ. მაშინ აღარ არსებობს საშიშროება, რადგან თქვენი გული წიგნს რომც გაულოთ, აღარაფერი აღარ მოხდება.

მილიონობით ქრისტიანი ყოველდღე კითხულობს ბიბლიას, ინდუსი — ბჰაგავატგიტას, ბუდისტი — დჰამაპადას. ისინი ყოველდღე ერთსა და იმავეს იმეორებენ მექანიკურად. საშიშროება არ არსებობს. წიგნი არ არის ცეცხლი, იესო კი ცეცხლია, როგორც კი გულის კარს გაუღებთ, მაშინვე მთლიანად დაიწვებით. შემოვა თუ არა ეს უცხო ადამიანი თქვენს გულში, ცნობილში უცნობი შემოაღწევს.

ახლა თქვენი გონება ველარ იარსებებს იმ სახით, როგორიც მანამდე იყო. თქვენ ველარ იქნებით იგივე. მოხდა განხეთქილება, წარსული მოკვდა. სიხარულიც კი აღარ გამოჩნდება იგი, ყოველივე, რაც დააგროვეთ, წავიდა. იესო მოდის, რაოა მთლიანად დაგწვათ, რომ მოკვდეთ, მაგრამ თქვენ გეშინიათ, რადგან არ იცით, რომ ნებისმიერ სიკვდილს დაბადება მოსდევს, რაც უფრო სრულია სიკვდილი, მით უფრო სრულია დაბადება. იესოს თქვენთვის საყოველთაო სიკვდილი მოაქვს.

თქვენ გეშინიათ. ვინ არის ის, ვისაც ეშინია? ის, ვისაც ეშინია, თქვენშია. ეს არა ხართ თქვენ. ეს თქვენი „ეგოა“, თქვენი დაგროვილი წარსული და თქვენი პიროვნება. თქვენ პატივცემული პიროვნება ბრძანდებით, იესო კი მთლიანად ამსხვრევს თქვენს „ეგოს“. სწორედ „ეგო“ გეუბნებათ: „იფხიზლეთ! ნუ გააღებთ კარს ტყუილ-უბრალოდ, გაურკვეველია, ვინ არის ის, ჯერ დარწმუნდით!

მაშინ კი, როცა დარწმუნდებით, იესო მიდის. მას არ შეუძლია მუდამ თქვენს კართან ლოდინი. იშვიათი მოვლენაა უცნობის ნაცნობში შეღწევა, მარადიულის შეღწევა დროში, იესოს შეხვედრა თქვენთან. ეს ისეთი იშვიათი მოვლენაა, რომ იგი მხოლოდ განსაზღვრულ მომენტში არსებობს, შემდეგ კი მიდის. თქვენ კარგავთ, რადგან არ გაგაჩნიათ სულის მხნეობა.

ერთი მდაბიო სარკინიგზო კატასტროფაში მოჰყვა და დაშავდა. ამის გამო მან ხელისუფლებისაგან 50 ათასი რუპია მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ მრავალნაირი მოტეხილობა ჰქონდა, კაცი მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს, ასეთი ფინანსური დახმარების გამო. იგი მთელ ქალაქს უვლიდა და ჰყვებოდა: „მე 50 ათასი რუპია გადამიხადეს, ჩემს ცოლს — 25 ათასი“. ერთმა ნაცნობმა ჰკითხა: „შენი ცოლიც დაშავდა კატასტროფის დროს?“ კაცმა უპასუხა: „არა! მაგრამ იმ აურზაურში გამბედაობა მეყო, მისთვის კბილები ჩამეტვრია. სხვანაირად იგი არ დაშავდებოდა, ასე კი, დახმარებად გვარიანი თანხა მიიღო“.

ამქვეყნად ზოგჯერ გაბედულ ნაბიჯს დგამთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არასწორი მიზეზით, ხოლო როდესაც მოდის იესო ან ბუდა, არასოდეს გეუუულებათ სულის სიმხნევე, რადგან ეს საშიშია და თქვენ არაფერს გაძლევთ. უფრო მეტიც, იგი ყველაფერს გართმევთ, რაც კი გაგაჩნიათ. თქვენ ვერ მიიღებთ 25 ათას რუპიას, როგორც დახმარებას ხელისუფლებისაგან. პირიქით, თქვენ დაგროვილი თანხა სულ წაგერთმევათ.

ამიტომ, როცა იესო აქ არის, თქვენ არასოდეს არ უყურებთ მას პირდაპირ თვალებში, არიდებთ მას თვალს და ან მარცხნივ იყურებით, ან — მარჯვნივ. გონება ან წარსულისაკენ ან მომავლისაკენ მიემართება და თქვენ აუცილებლად მიმართავთ ეშმაკობას. ეს გამუდმებით ასე იქნება. თქვენ კარგავთ მას, რადგან სულის სიღრმეში გსურთ თავის არიდება.

იესო — ეს არის უხერხულობა, მასთან შეხვედრა არახელსაყრელია, რადგან ის ნამსხვრევებად აქცევს მთელ თქვენს შემეცნებლობას. იგი გაიძულებთ შეიგნოთ, რომ აბსოლუტურად არასწორნი იყავით და თქვენ მიხვდებით, რომ შესცოდეთ, რომ დაკარგეთ მიზანი, რომ მთელი თქვენი ცხოვრება ფუჭი იყო, რომ არაფრისთვის არ მიგიღწევიათ და ერთსა და იმავე ადგილზე იდექით მილიონი ცხოვრების განმავლობაში.

რასაკვირველია, იესოს გაემო თქვენ თავს მოუსვენრად გრძნობთ. ერთადერთი გზა თავის გარიდებაა და თქვენ ძალიან დახვეწილად და დიდი ოსტატობით აკეთებთ ამას, ისე რომ, ვერც კი აცნობიერებთ მომხდარ ფაქტს.

ახლა შეეცადეთ გაიგოთ ამ სიტყვების აზრი.

მოწაფეებმა ჰკითხეს იესოს: „როდის დადგება სიკვდილისაგან გათავისუფლების დღე და როდის მოვა ახალი ცხოვრება?“.

იუდეველები საუკუნეთა განმავლობაში ელოდებოდნენ მიცვალებულთა მკვდრეთით აღდგომის დღეს, როცა დაიბადებოდა ახალი ცხოვრება — კურთხეული, ღვთაებრივი წესრიგის

ერა. მსოფლიო ასეთი, როგორც ახლაა — მახინჯია და კოშმარს ჰგავს. მისი ატანის ერთადერთი საშუალება არის იმედი, რომ ოდესმე ეს ასე აღარ იქნება, რომ კოშმარი დასრულდება, რომ ოდესმე გაქრება ეს მახინჯი სამყარო და დაიბადება ახალი ცხოვრება ჭეშმარიტებისა და ღვთაებრიულისა.

ეს გონების ილეთია, რაც მომწამვლელია და იმედს გაძლევთ. იმედი კი ყველაზე დიდი ალკოჰოლია, რაც კი ამქვეყნად არსებობს. თუ შეგიძლიათ იქონიოთ იმედი, მაშინ შეგიძლიათ სამუდამოდ მთვრალი დარჩეთ. ეს გაძლევთ მოლოდინის საშუალებას: „ეს ცხოვრება არ არის საბოლოო. ეს სიმახინჯე არ არის სამუდამო. ეს ცხოვრება არ არის ჭეშმარიტი. ჭეშმარიტი ცხოვრება მოვა“.

აი, რას ფიქრობს არარელიგიური ადამიანი. მორწმუნე ყველაფერს ისე ღებულობს, როგორც არის. ის არ ელოდება იმას, რომ კიდევ რაღაც მოხდება. ის იმითაც კმაყოფილია, რაც არის; არ ჩივის, რომ რაღაც ცუდი და კოშმარულია. იგი ყველაფერს იღებს და აღიარებს და ამ მიღებით იბადება ახალ ადამიანად. მისთვის ახალი ცხოვრება აქ არის. ეს არის ახალ ცხოვრებაში მოსახვედრი გზა. თქვენ თუ ოდესმე ამ სამყაროს შეცელას ელოდებით, ეს არასოდეს არ მოხდება. სამყარო ყოველთვის ისეთი იქნება, როგორც მაშინ, ადამმა და ევამ რომ დატოვეს ედემი, ასეთივე დარჩება.

ერთი ჩინური გამოთქმა ამბობს: „პროგრესი ყველაზე ძველი სიტყვაა“. ადამიანის გონება ყოველთვის ფიქრობდა, რომ პროგრესს განიცდიდა. ჩვენ არსად არ მივდივართ, სამყარო იგივე რჩება. შეიძლება იცვლება დეტალები, მაგრამ არსი იგივეა. ეს არის ბორბალი, რომელიც ერთსა და იმავე წრეზე ბრუნავს.

რელიგიური ის არის, ვინც უშუალოდ ამ მომენტს ღებულობს, იმისდა მიუხედავად, თუ რა ხდება და ამ მიღების საშუალებით თავიდან იბადება. სიკვდილი დაძლეულია. ეს აღორძინებაა. ხოლო როდესაც თქვენი ხედვა სხვაგვარია, მაშინ სხვანაირია მთელი სამყარო, რადგან ყოველივეს მიზეზი

არის ის, თუ თქვენ როგორ ხედავთ მას, როგორ აღიქვამთ, როგორ მიესადაგებით, თქვენი პოზიცია თქვენი სამყაროა.

ეს სამყარო ნეიტრალურია. ბუდასათვის ის არის მოკშა, უსაზღვრო სილამაზე და ექსტაზი. თქვენთვის ის ჯოჯოხეთს ჰგავს, ბოლო, მეშვიდე ფენას, რომლის იქითაც უარესი აღარაფერი არ არსებობს.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ შეხედავთ. როდესაც თქვენ აღორძინდებით, თქვენთან ერთად აღორძინდება ყველაფერი. თქვენ ახლებურად დაინახავთ ყველაფერს, რადგან თქვენ შეიცვალეთ, გახდით სამყაროს ცენტრი, ხოლო როდესაც ცენტრი იცვლება, პერიფერიებიც მას მიჰყვება, რადგან სამყარო მხოლოდ ჩრდილია თქვენს გარშემო. თუ თქვენ იცვლებით, ჩრდილიც იცვლება. ისინი კი, ვინც ელიან და ფიქრობენ, რომ ჩრდილი ოდესღაც შეიცვლება, ბრიყვები არიან.

იუდეველები ელოდნენ, ელოდნენ ისე, როგორც თითოეული ელოდება იმ დღეს, როდესაც სამყარო აღორძინდება და სიკვდილი დამარცხდება, მაშინ იქნება მარადიული სამყარო და მარადიული ცხოვრება. იუდეველები ეკითხებოდნენ იესოს: „როდის დადგება სიკვდილისაგან განთავისუფლების დღე და როდის მოვა ახალი ცხოვრება?“

ნუ ეკითხებით იესოს მომავალზე, რადგან მისთვის არ არსებობს მომავალი. მის წინაშე მთლიანად მარადისობაა. იესოსათვის არ არსებობს არანაირი იმედი. იმედი ოცნებაა, იესოსათვის კი მხოლოდ ჭეშმარიტება არსებობს. იმედი მოტყუება და მოწამვლაა. ის ისე გათრობი, რომ მთელი სამყარო მახინჯდება თქვენს თვალში. იესოსათვის არსებობს მხოლოდ ჭეშმარიტება, მისი „ფაქტიურობა“, გაშიშვლებული ყოფიერება. მას ამის თაობაზე არანაირი იმედი არ გააჩნია. ამასთან, ის არ არის სასოწარკვეთილი. გახსოვდეთ — სასოწარკვეთა იმედის ნაწილია. თუ მომავლის იმედი გაქვთ, ამას ფეხდაფეხ სასოწარკვეთა მოჰყვება. ეს იმედის ჩრდილია. თუ იმედოვნებთ, გაგიცრუვდებათ ეს იმედი. რაც უფრო მეტი

იმედი გაქვთ, მით უფრო მეტი იქნება იმედგაცრუება, რადგან იმედი ბადებს ოცნებას, შემდეგ კი ოცნება არ სრულდება.

იესო არ არის სასოწარკვეთილი და იმედგაცრუებული. ის არასოდეს არ ელოდება. ასე რომ, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. იესო არასოდეს არ ოცნებობდა და მაშასადამე, აღგილი არა აქვს წარუმატებლობას. თუ არ ეიებით წარმატებას, ვერავინ გაგაბრიყვებთ. თუ არ იცქირებით მომავლისაკენ, ვერაფერი გაგიტეხავთ გულს. არა! არ არსებობს არანაირი უბედურება, თუ არ არსებობს არანაირი ოცნება.

ოცნებას უბედურება მოაქვს, ყოფიერება კი ნამდვილი ექსტაზია. იესო ახლა ცხოვრობს. იესო აქ ცხოვრობს. ეს მისთვის ერთადერთი ყოფაა. აი, რატომ გეუბნებით, რომ იესოსათვის ძალიან ძნელია თქვენთან შეხვედრა. თქვენ ყოველთვის მომავალში ხართ. ის ყოველთვის აქ არის. როგორ შეხვდებით? თქვენს შორის უზარმაზარი მანძილია.

არსებობს ორი გზა. პირველი — იესომ თქვენსავით ოცნება დაიწყოს. ეს შეუძლებელია, რადგან როცა იცით, ვერ იოცნებებთ. ოცნება ყოველთვის მაშინ მოდის, როცა მცოდნეს სძინავს. ამიტომ იესო ვერ ჩაფოვა თქვენს დონეზე. ეს შეუძლებელია. როგორც არ უნდა ეცადოს, ეს არ მოხერხდება. იესოს და ბუდას სურდათ თქვენთან მოსვლა, მაგრამ ეს შეუძლებელია. მათ არ შეუძლიათ ძილი და იმედი.

მაშ, სად შეიძლება თქვენი შეხვედრა? თუ იესოც სიზმრად იცხოვრებს და მომავალში იმოძრავებს, მაშინ შესაძლებელია შეხვედრა, მაგრამ ეს არ მოხდება. ერთადერთი შესაძლებლობა ის არის, რომ შეგანჯღრიონ და გაგაღვიძონ. ამიტომაც ეუბნება იესო მოწაფეებს: **„გამოიღვიძეთ, იყავით ფხიზელნი, თვალყური ადევნეთ, უყურეთ, დაინახეთ! შეიგნეთ, იქონიეთ სულის სიმხნევე აქ და ახლა!“**

მაგრამ თვით მოწაფეებიც კი არ უყურებენ მას. ისინი მომავალზე ფიქრობენ, რადგან წარსულში იტანჯებოდნენ. წონასწორობა ასეთია — ისინი იტანჯებოდნენ წარსულში, ნე-

ტარნი იქნებიან მომავალში. სხვაგვარად ისინი ჭკუიდან შეიშლებიან.

ძველად ყველა იმპერატორს ჰყავდა სასახლის კარზე ბრძენიცა და სულელიც. ეს აბსურდს ჰგავს: ბრძენი გასაგებია, მაგრამ რა საჭიროა სულელი? რაოა იყოს წონასწორობა. სხვაგვარად სასახლის კარზე დაირღვევა ბალანსი და ეს სწორია.

ერთ დიდებულ მეფეს ბრძენი ჰყავდა, მაგრამ არ გაანდა სასახლის კარზე სულელი. საქმე ცუდად მიდიოდა. ამიტომ დაუწყეს ძებნა და მიაგნეს კიდეც სრულიად სულელს. სრულყოფილება მშვენიერია, რაშიც არ უნდა გამოვლინდეს იგი. სრულიად სულელ ადამიანსაც გააჩნია თვისება, რომელსაც ვერ უარყოფთ. ეს არის სრულყოფილება.

სრულყოფილებას გააჩნია საკუთარი ხიბლი. თუ გსურთ, დაინახოთ, რას წარმოადგენს სრულიად სულელი ადამიანი, წაიკითხეთ დოსტოევსკის რომანი „იდიოტი“.

ამგვარად, იპოვეს სრულიად სულელი ადამიანი. მეფეს მისი გამოცდა სურდა, რათა ენახა, რისი მაქნისი იყო იგი სინამდვილეში. მან უთხრა სულელს: „შეადგინე ჩემი სამეფო კარის სულელების სია“. სამეფო კარი ასი კაცისაგან შედგებოდა. მეფემ ითხოვა: „შეადგინე ათკაციანი სია. ამათგან ყველაზე სულელი რიგით პირველი უნდა იყოს სიაში, შემდეგი მეორე და ა.შ.“ ამისათვის სულელს შვიდი დღის ვადა მისცა. მეშვიდე დღეს მოჰკითხა სია. სულელმა უთხრა, რომ სია მზად ჰქონდა.

„ვინ არის სიაში რიგით პირველი?“ — ჰკითხა მეფემ. „შენ“, — უპასუხა სულელმა.

მეფე განაწყენდა: „რატომ? განმიმარტე!“

სულელმა უთხრა: „ჯერ კიდევ გუშინ პირველი ადგილი არ მქონდა შევსებული, მაგრამ გუშინ შენ ერთ-ერთ მინისტრს მილიონი რუპია მიეცი და შორეულ ქვეყანაში გაგზავნე ალმასის, მარგალიტისა და სხვა ძვირფასეულობის შესაძენად და მე გეუბნები, რომ ის კაცი აღარასოდეს დაბრუნდება უკან.

შენ მას ენდე, ე.ი. სულელი ხარ, რადგან მხოლოდ სულელებს სჯერათ".

„კარგი, მაგრამ უკან თუ დაბრუნდება, მაშინ? — მიუგო მეუღემ სულელმა უპასუხა: „მაშინ შენს სახელს ამოვშლი სიიდან და მისას ჩავწერ".

ძველად სასახლის კარზე ეს აუცილებლობა იყო, რადგან ამით ხდებოდა წონასწორობის შენარჩუნება. თქვენი ცხოვრება წონასწორობის შენარჩუნების განუწყვეტელი მცდელობაა. თუ ძლიერად მოძრაობთ ერთი მიმართულებით, იკარგება წონასწორობა და ჩნდება ავადმყოფობა, რაც უწონასწორობას ნიშნავს.

თუ თქვენი წარსული მახინჯია, თუ ის იყო ხანგრძლივი ტანჯვა, მოწყენა და დაღლა, როგორ მოახდენთ მის ბალანსირებას? თუ არ გააწონასწორებთ, თქვენ ჭკუაზე შეიშლებით. ამიტომ აწონასწორებთ მას მშვენიერ მომავალზე ოცნებით. ქმნით მომავლის რომანტიკულ სურათს და ეს გინარჩუნებთ წონასწორობას.

მაგრამ იესოს არ სჭირდება გაწონასწორება. იგი თვითონ არის სრულყოფილება. იესოს არ სჭირდება არც ბრძენი და არც სულელი. თქვენი წარსული ჰგავს ბრძენს. თქვენ მიიღეთ გამოცდილება, ხოლო გამოცდილებით — სიბრძნე. მომავალი კი სისულელეა. ეს არის ოცნება თუ არა გაქვთ მომავალი, ჭკუაზე შეიშლებით.

ამერიკის შეერთებული შტატები ჰიპების და ბიტნიკების ქვეყანად იქცა. იგი უფრო ფხიზელი გახდა. იქ აღარ არის მომავალი წყალბადის ბომბისა და ატომური ენერგიის გამო, წარსული კი მხოლოდ ხანგრძლივი სიმახინჯე და კოშმარია. იქ არ არის მომავალი, რომ იოცნებონ, რომ ჩაიდინონ სისულელეები და დაამყარონ წონასწორობა. ამიტომ გაჩნდნენ ჰიპები. ისინი შეშლილები და გაუწონასწორებლები არიან.

ბუდაც მსგავსი სახით გამოჩნდა, მაგრამ მას სხვა მეთოდი ჰქონდა. იესომაც, უბრალოდ, განაგდო წარსული და შეწყვიტა მომავალზე ფიქრი. იგი თვითონ იქცა წონასწორობად. თქვენ

ვერ შეარყევო იესოს ბალანსს. წონასწორობიდან შეიძლება გამოიყვანოთ სხვა ვინმე, ვინც უბრალოდ მოერგო და შეეგუა ცხოვრებას.

შეგუებული პიროვნების ბალანსის დარღვევა ნებისმიერ შემოხვევითობას შეუძლია, მაგრამ იესო ვერ შეიშლება ჭკუიდან, რადგან შეცვლილია საფუძველი. ის არც წარსულში ცხოვრობს და არც მომავალში.

მოწაფეები მომავალზე ეკითხებიან იესოს. როგორ მოხდება შეხვედრა? და ამ კითხვას სვამენ მოწაფეები.

იესომ მიუგო: „...ის, რასაც ელოდებოდით, უკვე მოვიდა, მაგრამ თქვენ ვერ შეიცანით...“

ის, ვისაც ელოდით, მოვიდა. მიცვალებულები აღდგნენ. მათ მიაღწიეს სიმშვიდეს. ახალი სამყარო მოვიდა. ის აქ არის უკვე, მაგრამ თქვენ არ იცით ეს. იესო საკუთარ თავზე ლაპარაკობს: „მე ვარ ახალი სამყარო, მე აღდგომა მკვდრეთით, მე ვარ ცხოვრება, თვით ცხოვრების ცენტრი და მე აქ ვარ, თქვენს წინაშე, თქვენ კი არ იცით ეს. მეკითხებით მომავალზე, მომავალი კი აქ არის“.

მარადისობაში არ არის მომავალი, ის აწყმოს ნაწილია. ჩვენ ჩვენივე სუსტი შეგნების გამო არ ძალგვიძს მთლიანის დანახვა. ჩვენ ოთახში გამოკეტილ ადამიანს ვგავართ, რომელიც საკეტის ღრიჭოდან იცქირება. იგი ვერ ხედავს მთლიანს. გამონაკლისია ის შემთხვევა, ჰაშიშით თუ ხართ გაბრუებულები.

სამი კაცი იმ დროს მივიდა ქალაქთან, როცა მზე ჩადიოდა. ისინი მზის ჩასვლამდე უნდა შესულიყვნენ ქალაქში. ამიტომ მირბოდნენ, რადგან ქალაქის კარიბჭე ზუსტად მზის ჩასვლის მომენტში იკეტებოდა. თუ დაიგვიანებდნენ, გალავნის გარეთ რჩებოდნენ, რაც საშიში იყო მტაცებელი ცხოველების, მკვლელებისა თუ სხვა ხიფათის გამო. მათ მაინც დააგვიანდათ და კარიბჭე დაკეტილი დახვდათ. მზე უკვე ჩასულიყო.

ერთმა მათგანმა გულზე მკერდის ცემა და ხმამაღლა ღრიალი დაიწყო, რომ გალავნის იქით კარისმცველებს გაეგოთ. ის ხმამაღლა ყვიროდა და ისე აბრახუნებდა ჭიშკარზე, რომ

ხელები დაუსისხლიანდა. მან გონება დაკარგა. მეორემ კედლის დათვალიერება დაიწყო იმ იმედით, იქნება რამე კარს წავაწყდეო. მესამე ჰაშიშის მწეველი იყო. ახლაც გაბრუებდა ჰაშიშით, შემდეგ შეიჭვრიტა საკეტის ღრიჭოში და თქვა „შეხედეთ! არსად წასვლა არ არის საჭირო, საკეტის ღრიჭოდან შეგიძლია შესვლა“.

აი, რა ხდება, როცა ნარკოტიკებით გაბრუებული მოგზაურობთ. საკეტის ღრიჭო იმდენად დიდი გეჩვენებათ, რომ გგონიათ, შესძლებთ მასში გასვლას და თვით სასუფეველში შესვლასაც კი. ვერავინ შეძა ღვთის სასუფეველში საკეტის ღრიჭოდან. დარჩებით გარეთ და როცა გონს მოხვალთ, ყველაფერ ამაზე გაიცინებთ.

იფიქრეთ ოთახში ჩაკეტილ ადამიანზე, რომელსაც მხოლოდ საკეტის ღრიჭოდან შეუძლია ყურება. მას არ ძალუძს მთლიანად იმისი დანახვა, რაც გარეთაა. ის მხოლოდ ნაწილს ხედავს. ისიც წარმოიდგინეთ, რომ მისი თვალი გადაადგილდება ღრიჭოს შესაბამისად. ის ხედავს ერთ ხეს, შემდეგ მეორე ხე ხვდება მხედველობის არეში, პირველი კი ქრება და წარსულად იქცევა. მეორე ხე იქცევა აწყოდ, მესამე კი, რომელიც ჯერ არ გამოჩენილა, მომავალშია. თვალი განაგრძნობს მოძრაობას: მეორე მიდის და ჩნდება მესამე. ის ადამიანი ფიქრობს ლოგიკურად: „ის, რასაც ველარ ვხედავ, აღარ არსებობს.ის კი, რისი დანახვაც არ შეიძლია, ვერ არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ის, რასაც ვხედავ“.

აი, რას ვაკეთებთ ჩვენ. და ის კაცი ვერ იგებს, რომ მისი თვალი მოძრაობს საკეტის ღრიჭოს ირგვლივ. ის იფიქრებს, რომ ხეები მოძრაობენ ყოფიერებაში, მოდიან და შემდეგ მიდიან. ჩვენ თითქოს ვამბობთ, რომ დრო მოძრაობს. გახსოვდეთ — დრო არ მოძრაობს. მოძრაობს მხოლოდ თქვენი გონება. დრო როგორ იმოძრავებს, როცა მოძრაობისთვის ისეც დროა საჭირო? თუ თქვენი დრო მოძრაობს, მაშინ საჭიროა სხვა დრო, რომელშიც იგი იმოძრავებს.

თქვენი სახლიდან ამ სახლში მოხვედით. ამისთვის ნახევარი საათი დაგჭირდათ. ერთი წერტილიდან მეორეში მოძრაობთ და ამას დრო სჭირდება, დრო თუ მოძრაობს, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, მდინარესაით თუ მომავლიდან წარსულში მიედინება, მაშინ საჭიროა სხვა დრო, რომელშიც მოძრაობს ჩვენი დრო. მაშინ უსასრულო მოძრაობაში ხვდებით — მეორე დრო იმოძრავებს კიდევ სხვა დროში. არა, ეს შეუძლებელია. დრო არ მოძრაობს, პირიქით, თქვენი გონებაა მოძრაობაში, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ამის დანახვა. ეს იმას ჰგავს, თითქოს მიმავალ მატარებელში სხედხართ და თქვენს თვალწინ სწრაფად გაიელვებენ ხეები. ისეთი შეგრძნება გაქვთ, თითქოს სააწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობთ. დაკვირვების საშუალება რომ არ მოეცათ თქვენთვის, შესაძლოა, გაგრძნობდათ ეს გრძნობა და ხშირად ასეც ხდება, რომ ისინი მოძრაობენ და არა თქვენ, მიმავალ მატარებელში მსხდარნი. მაგალითად, როდესაც თქვენი მატარებელი მოძრაობს, მეორე კი ბაქანთან დგას, ფიქრობთ, რომ ის მეორე მატარებელი მოძრაობს.

მილიონობით წელია, რაც ადამიანი დედამიწაზე არსებობს. დედამიწა ოდითგანვე მოძრაობს, მაგრამ ვერავინ აცნობიერებს ამას. ფიქრობენ, რომ მზე მოძრაობს. მეცნიერები უკვე დიდი ხანია ამბობენ, რომ დედამიწა მოძრაობს, მაგრამ ენა არ შეცვლილა. ჩვენ ვამბობთ: „მზე ამოვიდა“, „მზე ჩავიდა“... ეს ასე არ არის, მაგრამ ჩვენ კვლავაც ვფიქრობთ, რომ მზე ამოდის და ჩადის. მეცნიერებიც კი ამგვარად ფიქრობენ. მათ იციან ფაქტი, მაგრამ აზრი ფესვგადგმულია.

ენაში არ არსებობს ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „დედამიწა ჩავიდა“ და „დედამიწა ამოვიდა“. ჩვენთვის კვლავაც მზე მოძრაობს დედამიწის გარშემო. ასევე მცდარი აზრი არსებობს დროსთან დაკავშირებით. დრო არ მოძრაობს, ის მარადიულია. მხოლოდ ჩვენი გონება მოძრაობს, ხოლო ამ დროს თქვენ ხედვის ვიწრო ჭრილი გაგაჩნიათ. ის, რაც ხდება, აწყმოა. ის, რაც მოხდა, წარსულია. ის, რაც არ მომხდარა,

მომავალია. მაგრამ საით მიდის აწყმო? ოუ დავფიქრდებით, ეს ყველაფერი აბსურდია. როგორ შეიძლება აწყმო არარაობაში მოძრაობდეს? როგორ იქცევა ყოფა არარაობად? წარსული არ არსებობს და როგორ შეიძლება მომავალი, რომელიც არარაობაა, მოვიდეს ყოფაში? ეს აბსურდია. მხოლოდ თქვენი გონება მოძრაობს და თქვენ არ შეგიძლიათ მთლიანის დანახვა. აი, რატომ ჩნდება გაყოფა.

იესო მთლიანში ცხოვრობს. ამიტომ ამბობს იგი: **„ის, რასაც ელოდით, მოვიდა, მაგრამ თქვენ არ იცით“.** და ის მოვიდა არა ახლა. ის, რასაც ელოდით, ყოველთვის აქ იყო. აი, რატომ ამბობს იესო სხვა შეგონებაში: **„მე აბრაამზე უწინ ვიყავი. მე ყოველთვის აქ ვიყავი“.**

თქვენი გონება ამბობს, რომ იესო მომავალში მოვა და ამავე დროს უარყოფს იესოს, იმის გამო, რომ იგი აწყმოს არ ეხება. ამიტომაც ამბობდნენ იუდეველები: „ეს არ არის ადამიანი, რომელსაც ველოდით“. და ვერასოდეს ვერ იქნება ის ადამიანი. ვინც არ უნდა მოვიდეს, არ იქნება ის, რადგან მნიშვნელობა არა აქვს იმ ადამიანის ჭეშმარიტებას ან სიცრუეს. ყველაფერი თქვენი გონების გამოა, რომელიც მომავლით არსებობს და ყველაფერს მომავლისთვის სდებს. ხოლო როცა იესო მოდის, მომავალი აღარ არის და ყველა ოცნება იფანტება. იესო ანგრევს თქვენს ოცნებებს, თქვენ კი იმდენი რამ ჩადეთ თქვენს ოცნებებში, რომ ეს ძალიან მძიმეა.

ერთი ექიმი ლოთს ეუბნებოდა: „მეტი აღარ დალიოთ, თორემ სმენას დაკარგავთ და ვერაფერს გაიგონებთ“.

ლოთმა მიუგო: „არ ვაპირებ, სმას თავი დავანებო, რადგან ის, რაც მესმის, იმაზე უარესია, რასაც ვსვამ. სმენა რომ დავკარგო, ამით არაფერს არ დავკარგავ — ის რაც მესმის, უინტერესოა.“

თქვენ იმდენი რამ ჩადეთ მომავალში, რომ ის, რაზეც ოცნებობთ, ძალიან ფასეული გახდა. ეს წარსულთან მიმართებაში წონასწორობას გინარჩუნებთ, გაძლევთ მოძრაობისა და მოქმედების სტიმულს, გეხმარებათ გაქცევაში, გეხმარებათ

თქვენ და თქვენი „ეგოს“, საერთოდ, არსებობაში. ამის მოშორება ძნელია, რადგან როცა მოვა და გეტყვით: „მე აქა ვარო“, თქვენ იფიქრებთ, რომ ეს ის არ არის, ვისაც ელოდით.

ის ადამიანი არასოდეს არ მოდის და არა იმიტომ, რომ ის არ მოდის, არამედ იმიტომ, რომ თქვენ არ შეგიძლიათ მას არსებობის ნება დართოთ.

თუ ერთხელ მისცემთ იესოს ქრისტედ ყოფნის ნებას, მაშინ დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოთ. ვერ გაპყვებით ძველ ნიმუშს, ცხოვრების ძველი სტილი უნდა განაგდოთ, თქვენ უნდა მოკვდეთ და ხელახლა დაიბადოთ.

იესომ უთხრა მოწაფეებს: **„...ის, რასაც ელოდით, მოვიდა, მაგრამ თქვენ არ იცით ეს...“**

მოწაფეებმა უთხრეს იესოს: “...ისრაელში ოცდაოთხი წინასწარმეტყველი ქადაგებდა და ყველა შენ გახსენებდა...“

ციფრ 24-ს დიდი მნიშვნელობა აქვს — ინდუისტები ფიქრობენ, რომ არის 24 ავატარა. ჯაინები თელიან, რომ არსებობს 24 ტირტჰან კარა (დინების იქით გადამყვანი). ბუდისტები ფიქრობენ, რომ არის 24 ბუდა, ხოლო იუდეველები ფიქრობენ რომ არსებობს 24 წინასწარმეტყველი.

რატომ 24? ამქვეყნად ყველაფერი განსაზღვრული რაოდენობით არსებობს, სიბრძნეც კი და როცა ერთი პიროვნება გასხივოსნდება, სხვებისთვის უკვე ძნელია იმავე დროს გასხივოსნება, რადგან მოელ სინათლეს ის ერთი პიროვნება შთანთქავს. თქვენ შეგიძლიათ მის ჩრდილში იცოცხლოთ. ის შეეცდება, დაგეხმაროთ ნებისმიერი საშუალებით. აქედან მოდის ეს მოვლენაც: ბუდა კვდება და მისი ბევრი მოწაფე გასხივოსნდება,

მოწაფეებმა უთხრეს იესოს: „ისრაელში ოცდაოთხი წინასწარმეტყველი ქადაგებდა და ყველა მათთგანი შენ გახსენებდა“.

იესომ მიუგო: „თქვენ გეურდით გასწიეთ ცოცხალი, რომელიც თქვენს წინაშეა და ლაპარაკობთ მკვდარზე“.

რა საჭიროა ამ 24 წინასწარმეტყველის ხსენება? თქვენ მე არ მიყურებთ. თქვენ ჯერ კიდევ იმ 24 წინასწარმეტყველზე ლაპარაკობთ, რომლებიც უკვე მოკვდნენ. ისინი ჩემს შესახებ ლაპარაკობდნენ, თქვენ მათ შესახებ ლაპარაკობთ, მე კი აქა ვარ! მათ დამკარგეს მე იმიტომ, რომ მომავალში იყურებოდნენ, თქვენ მკარგავთ იმის გამო, რომ წარსულში იხედებით, მე კი აქა ვარ!

საჭიროა ღრმად ჩაწვდეთ ამას და გაიაზროთ. ძალიან ადვილია სიკვდილზე ლაპარაკი, რადგან თვითონ მკვდრები ხართ. თქვენში იგივე თვისებებია, თქვენშიც არის სიკვდილთან მსგავსება.

ძალიან ძნელია იესოს დანახვა, რადგან თქვენც ცოცხლები უნდა იყოთ. მხოლოდ მსგავს შეუძლია იგრძნოს მსგავსი. როგორ იცნობთ სინათლეს, თუ თვითონ სიბნელე ხართ? როგორ გეცოდინებათ სიყვარული და სიცოცხლე, თუკი თვითონ არა ხართ ის? თქვენ ცხოვრობთ მკვდარი ცხოვრებით. თქვენი ცხოვრება მინიმუმზეა დაყვანილი, იესო კი — მის მაქსიმუმშია. თქვენ არსებობთ, როგორც ალფა, ის კი როგორც — ომეგა.

თქვენ ხართ მხოლოდ „ალფა“, ის — კი — „ომეგა“. ის ბოლო კულმინაციაა. თქვენ განაგრძნობთ ლაპარაკს. უკეთესი იქნებოდა, რომ მოწაფეებიც გაჩუმებულიყვნენ. უკეთესი იქნებოდა, უბრალოდ დარჩენილიყვნენ იესოს გვერდით, მაგრამ ისინი სულელურ შეკითხვებს იძლევიან. ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლიათ სწავლულებს. ამისთვის არ არის საჭირო ქრისტესთან მისვლა. თანაც, სწავლულები ბევრნი არიან და იაფად ფასობენ. იესო იშვიათად გვევლინება. კაცობრიობის ზრდის კულმინაციური წერტილი მაშინ მოდის, როდესაც წრე უახლოვდება თავის მწვერვალს. ის იშვიათობაა, თქვენ კი სულელურ შეკითხვებს უსვამთ, ბავშვური თამაშობებით ერთობით.

იესო, უბრალოდ, ყველაფერს უარყოფს. ის ამბობს: „სისულელეა! თქვენ იძლევით სულელურ შეკითხვებს, თქვენ

განეშორეთ ცოცხალს, შეკითხებით და საკუთარ თავს აშორებთ ცოცხალს“.

როგორ შეიძლება იესოსათვის შეკითხვების მიცემა? შეიძლება მისი ყურება, დალევა, ჭამა; შეიძლება, დაუშვათ, რომ მან შემოაღწიოს შუაგულში, თქვენი არსების იდუმალ არსში. შეიძლება შეერწყათ მას, ან დართოთ ნება ის შეგერწყათ თქვენ. თქვენ კი შეკითხვებს აძლევთ და ეკითხებით წინასწარმეტყველთა შესახებ. იესოსაგან გჭირდებათ იმის დადასტურება, რომ გითხრათ: „დიახ, ისინი ჩემზე ლაპარაკობენ“.

არ შეგიძლიათ უშუალოდ იესოს დანახვა? ცნობა გჭირდებათ? თუ იესო ის არ არის, რას მოგცემთ ცნობა? იესომაც რომ დაგიდასტუროთ თქვენ კვლავ მისცემთ სულელურ შეკითხვებს. სადღაც, სულის სიღრმეში, არსებობს ეჭვი, რომელიც შეკითხვად აღმოცენდება. მოწაფე, რომელიც ეკითხება, უნდა უყურებდეს იესოს, რათა ხედავდეს, როგორ პასუხობს.

თუ იესო ამბობს, რომ იგი ის არის, ვისზეც წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ, მაშინ გახსენდებათ, რომ იგივე წინასწარმეტყველნი ამბობდნენ, რომ ის, ვინც არის ჭეშმარიტი, არ განაცხადებს ამას, ის არ იტყვის: „ეს მე ვარ“ და იესო იტყვის: „არა, მე არა ვარ ის პიროვნება“, მაშინ გაწუხრდებით მას და გაიფიქრებთ: „ის თვითონ ამბობს, რომ მე ის არა ვარ“.

დააკვირდით ტვინის ოინს, რომლის დახმარებითაც გსურთ სინათლისაგან გაქცევა. ადამიანები კითხულობენ: „ჭეშმარიტებას ნახიარები ხართ?“ თუ პასუხობთ: „დიახ“, ისინი ამბობენ: „უპანიშადებში ნათქვამია, რომ თუ ვინმე ამბობს „მე გასხივოსნებული ვარ“, ის არ არის გასხივოსნებული. თუ პასუხობთ „არა“, მათთვის ყველაფერი წესრიგშია და ჩქარობენ წასვლას, რათა მოძებნონ გასხივოსნებული ადამიანი.

გონება იმას ცდილობს, როგორმე გადაიხაროს, შეკითხვაც კი სულელურია. აი, რატომ არ პასუხობს იესო ამ შეკითხვას.

იგი კიდევ რაღაცას ამბობს ძალიან მოხერხებულად. მოწაფეები კი კიდევ რაღაცას ეკითხებიან. ის არ პასუხობს პირდაპირ, რადგან თუ პირდაპირ გიპასუხებთ, მაშინ რაც არ უნდა თქვას, დატოვებთ მას. თქვენ შხამდა ხართ, ნებისმიერ მომენტში მიატოვოთ იგი.

გასაკვირია, თუ ვერ კიდევ არ მიგიტოვებიათ. შესაძლოა, ეს მისი გაურკვეველი პასუხების გამოა, იმის გამო, რომ არც „ჰოს“ ამბობს და არც „არას“; შესაძლოა იმის გამო, რომ თქვენ არ გესმით მისი ნათქვამი და ვერ გადაგიწყვეტიათ, რა ქნათ.

იესო ეუბნება მოწაფეებს: თქვენ განაგდეთ თქვენგან ცოცხალი, მე აქა ვარ, თქვენ კი ლაპარაკობთ წინასწარმეტყველებაზე, გარდაცვალებაზე. თქვენ განაგდეთ ცოცხალი, რომელიც თქვენს წინაშეა და ლაპარაკობთ წინასწარმეტყველთა შესახებ.

ეს ხდება გამუდმებით. როცა მე ვამბობ რამეს, თქვენ ინდუისტები ხართ და თუ ეს თქვენს „გიტაში“ სწერია, თქვენ თავს მიქნევთ: „დიახ, სწორიაო“. თქვენ მე კი არ მიქნევთ თავს, თავს უქნევთ თქვენს ინდუიზმსა და „გიტას“, თუ „გიტას“ სააწინააღმდეგო რამეს ვიტყვი, თქვენ იტყვით: „ის ალბათ არასწორია, „გიტაში“ სხვანაირად სწერიაო“.

თქვენ თუ მიყურებთ ცოცხალს და „გიტას“ საწინააღმდეგო რამეს ვამბობ, „გიტა“ ცდება და არა მე. თუ მეც იმას ვამბობ, რასაც „გიტა“, ეს უკანასკნელი მართალია, რადგან მე ვამბობ ამას. მაგრამ საქმე ამაში არაა. თუ იუდეველებს ვეუბნები რამეს, მათი იუდეური გონება შფოთავს იწყებს. ისინი მწერდნენ 30 გვერდიან წერილებს იმის შესახებ, რომ ეს ასე არ არის.

იუდეველებს არ გესმით, თუკი რამეს ვამბობ თქვენი იუდეური გონების საწინააღმდეგოს, დაუყოვნებლივ უარმყოფთ მე და არა თქვენს იუდეურ გონებას. თუ რამეს შესაფერისს ვამბობ, მაშინ მღებულობთ, მაგრამ ეს არ არის აღიარება. თქვენ უბრალოდ თავს იტყუებთ. თუ ვადასტურებ თქვენი

გონების დასკვნებს, მალიარებთ. თქვენი გონება ცდურში რჩება.

აი, რას ამბობს იესო: თქვენ უარყავით ცოცხალი. შემოიხედეთ, მე აქა ვარ! მზე ამოვიდა, თქვენ კი ღამეზე ლაპარაკობთ. თქვენ ამბობთ: „მალე გათენდება. ამოვა მზე და სიბნელე გაქრება“. თქვენ განაგრძობთ ლაპარაკს, თქვენ ლაპარაკობთ ჩემს შესახებ, მე კი აქა ვარ, მაგრამ თქვენ ვერ მხედავთ!

ძალიან ძნელია ფხიზლად ყოფნა! როცა ინდუსები, იუდეველები და ქრისტიანები ბრაზდებიან, გახსოვდეთ, რომ ეს თქვენ არა ხართ, ეს პირობითობებია. ჩამოიტოვეთ პირობითობები უკან.

შეხედეთ, როგორ გვანან ერთმანეთს მოწაფეები და მტრები. ისინი ძალიან არ განსხვავდებიან, ძირითადი განსხვავება არ არსებობს. იუდეველები ეუბნებიან იესოს: „შენ ის არა ხარ, ვისაც მუდამ გვპირდებოდნენ. ოცდაოთხმა წინასწარმეტყველმა აღგვიწერა ნიშნები, რომლითაც შეგვიძლია განვსაზღვროთ. შენ არა ხარ ის, ჩვენ მიცვალებულთაგან მოცემული გვაქვს კრიტერიუმები, რომლითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ცოცხალის შესახებ“. ისინი ეუბნებოდნენ: „არა გვჯერა შენი. დაგვიმტკიცე, გააცოცხლე მიცვალებული, აღადგინე იგი მკვდრეთით!“ — ჯვარცმულ იესოს საკუთარი თავის შეცლაც არ შეეძლო. სხვებს როგორ აღადგენდა მკვდრეთით? „ჯვარცმისას დადასტურდა, რომ იესო არ იყო ის, ვისაც გვპირდებოდნენ“, — თავს იმშვიდებდნენ იუდეველები.

რას აკეთებენ მოწაფეები? მათ სჯერათ, რომ იესო ავადმყოფებს კურნავდა, რომ ის მკვდრეთით აღადგენდა მიცვალებულებს; მათ სჯერათ, რომ ის არ მომკვდარა ჯვარზე. სიკვდილისაგან სამი დღის მერე ის ნახეს ზოგიერთებმა.

მაგრამ ერთიცა და მეორეც დამოკიდებულები არიან გარდაცვლილებზე. კრიტერიუმებს მკვდრები ადგენენ, თითქოს იესოც უნდა გაჰყოლოდა ოცდაოთხ მკვდარ წინასწარმეტყველს და არ უნდა ემოქმედა სპონტანურად. თუ იტყვით, რომ მას

არასოდეს მოუხდენია სასწაულები, იუდეველები ბედნიერები იქნებიან. ისინი იტყვიან: „დიახ, ეს ის არის, რასაც ჩვენ ვამბობდით“, ხოლო ქრისტიანები უბედურები იქნებიან, ვინაიდან იესო თუ არ ახდენდა სასწაულებს, ის აღარ იქნება ქრისტე.

ნუთუ ქრისტე არ არის საკმარისი? ისეთი, როგორიც არის, ნუთუ არაა სინათლე? არ არის ჭეშმარიტება? ისეთმა, როგორიცაა, არ მოიტანა უხილავი სილამაზე ამქვეყნად? არა, თქვენ გაქვთ კრიტერიუმები და იესო მათ უნდა შეესიტყვებოდეს. თუ ასეა, მაშინ ყველაფერი რიგზეა. თუ ეს ასე არ არის, მაშინ იესო არ არის, ის ადამიანი. ეს ყველაფერი ერთი და იგივეა. ერთნიც და მეორენიც, მტრებიც და მოწაფეებიც, მკვდრებთან ცხოვრობენ. უშუალოდ არცეროი მათგანი არ უყურებს მოვლენას, რომელიც არის იესო.

იესომ უთხრა მოწაფეებს: „...თქვენ გეერდით გასწიეთ ცოცხალი, რომელიც თქვენს წინაშეა და ლაპარაკობთ მკვდარზე...“

იესომ თქვა: „ამქვეყნად მე მოვიტანე ცეცხლი...“ რატომ ამბობს ის ამას? ძველი წინასწარმეტყველები ამბობდნენ, რომ მას უნდა მოეტანა მშვიდობა, სამარადისო მშვიდობა.

ის ამბობს: არა! „ამქვეყნად მე მოვიტანე ცეცხლი და ხედავთ, ვიცავ ქვეყანას, სანამ ცეცხლი არ აგიზგიზდება...“

ის ამბობს საწინააღმდეგოს, რათა ნახოს, როგორ რეაგირებენ მოწაფეები, რას იტყვიან ისინი სინამდვილეში. ის არ ეწინააღმდეგება წინასწარმეტყველთა ნათქვამს, რადგან მშვიდობა მხოლოდ ცეცხლის შემდეგ შეიძლება მოვიდეს.

როცა კაცობრიობა ცეცხლს გაივლის, როდესაც ძველი დაიწვება და მოკვდება, მხოლოდ მაშინ შეიძლება აღმოცენდეს ახალი. ახალი ჩნდება ძველის სიკვდილის შემდეგ. ძველმა უნდა შეწყვიტოს არსებობა, რათა ახალმა იარსებოს. მკვდარი უნდა გაქრეს, რათა გაჩნდეს ცოცხალი. იესო არ ეწინააღმდეგება წინასწარმეტყველებს, რადგან ისინი მართლა მის შესახებ ლაპარაკობდნენ, ის ეწინააღმდეგება მოწაფეებს.

ბევრს უნდა მიეტოვებინა იესო მაშინ, ვინაიდან ძველები ამბობდნენ, რომ ის მოიტანდა მშვიდობას, იესო კი ამბობს, რომ ცეცხლი მოიტანა. ე.ი. ის სწორედ რომ იმის საწინააღმდეგოა. „ჩვენ ისედაც ცეცხლში ვართ, რაღა საჭიროა კვლავ ცეცხლი? ჩვენ უკვე ვიწვით, ქვეყანა უკვე ცეცხლშია, ცეცხლსა და უბედურებაში, გასაჭირსა და ტანჯვაში. რაღა საჭიროა ცეცხლი? ჩვენ მშვიდობა გვჭირდება“.

გახსოვდეთ — მშვიდობა არაა თქვენთვის. საქმე ეხება არა მშვიდობას, არამედ თქვენ. თქვენ ყველაფერი შეგაწუხებთ. ასეთები, როგორიც ახლა ხართ, თქვენი საკუთარი თავის გარშემო წარმოშობთ ტანჯვას. ტანჯვა არ არის შემთხვევითობა, რომელიც შეგემთხვევათ, ეს არის ზრდა. როგორც ხეს გაემოსდის ფოთლები, ასევე მოდის თქვენთან მღელვარება. ის თქვენი ნაწილია.

შეგიძლიათ ჩამოიცილოთ ფოთლები, მაგრამ ეს ვერ გიშველით. ერთი ფოთლის ადგილზე ოთხი ახალი ფოთოლი ამოვა. მღელვარება უფრო იმატებს, ვიდრე მთლიანად არ დაიწვებით, ვიდრე არ გაქრებით.

ინდუისტები, კერძოდ პატანჯალი ტრანსფორმაციისათვის ორ სიტყვას იყენებდა. ერთს ეძახდნენ საბიჯ სამადჰს (ტრანსფორმაცია თესლით), მეორეს კი — ნირბიჯ სამადჰს (ტრანსფორმაცია უთესლოდ), პირველი არაფერი არ არის, რადგან თესლი რჩება. თქვენს თავში ატარებთ თესლს, ხე ჯერ არ გაზრდილა, მაგრამ ის აღმოცენდება, რადგან არსებობს თესლი. შეგიძლიათ მთლიანად დათრგუნოთ საკუთარი თავი. მაშინ ხე გაქრება და თქვენ თესლად იქცევით.

თესლი ხეა ჩანასახში. თუ კარგ პირობებს შეუქმნით გაღვივებისათვის, მისგან ხე აღმოცენდება. თესლში მოთავსებულია ხის დეტალური ნახაზი, როგორია ფოთლები, ყვავილები და ა.შ. თუ შესძლებთ თესლის გაშიფვრას, ხის რაობასაც იწინასწარმეტყველებთ.

მთავარი ის კი არ არის, ვინ ხართ, არამედ ის, თუ როგორი სახის მარცვალს ატარებთ თქვენში. ვინც არ უნდა

იყოო, ეს არის, უბრალოდ, თესლის აღმოცენება. შეგიძლიათ გამუდმებით სჭრიდეთ ტოტებს, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ მოდიფიკაცია. შეგიძლიათ შეილამაზოთ თავი, მაგრამ ამით ვერ შეიცვლებით. შეგიძლიათ თქვენს ჯოჯოხეთში დადგათ დეკორაციები, მაგრამ ამ გზით მას სამოთხედ ვერ გადააქცევთ.

პატარძალი სხვა გამოთქმასაც იყენებს: „ნირბივრ სამადში“. იგი ამბობს, რომ ვიდრე არ მიიღწევა „უთესლო“ სამადში, ანუ ვიდრე თესლი მთლიანად არ დაიწვება ისე, რომ ყველა უბედურება, ტანჯვა და შფოთვა გაქრეს, რომ მთლიანად ნახაზი წაიშალოს, არაფერი არ მიიღწევა. აი, რა აქვს მხედველობაში იესოს. ის ამბობს, რომ ამქვეყნად ცეცხლი მოიტანა, რათა დაგწვათ. ის იმისთვის კი არ არის აქ, რომ დაგიცვათ, რომ დაგამშვიდოთ. იგი იმიტომ არის აქ, რომ დაგანგრიოთ, რადგან თქვენი თესლი ცუდია. თესლი როცა გაქრება, მაშინ თქვენც დაცარიელდებით, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი„ ღვთაებრივი თესლი თქვენს საშოში მოხვდეს. მაშინ მოვა ახალი ყვავილობა...“

„... მე ამქვეყნად მოვიტანე ცეცხლი და ხედავთ,

ვიცავ ქვეყანას, სანამ ცეცხლი არ აგიზგიზდება...“

ეს კი დაპირებაა! ის ამბობს: **„მე, დავიცავ შხოულიოს. დავრჩები აქ, ვიდრე ცეცხლშია იგი და ვიდრე ცეცხლი ბოლომდე არ აგიზგიზდება.“** როცა ადამიანი ქრისტე ან ბუდა გახდება, ის აღარასოდეს გაქრება. მხოლოდ თქვენ გაქრებით, რადგან თქვენ სინამდვილეში არა ხართ, მოდიხართ და მიდიხართ, როგორც ფორმა. თქვენ ზღვის ტალღას ჰგავხართ. თქვენში არ არის სუბსტანცია, თქვენ არა ხართ კრისტალიზირებული. მოდიხართ და მიდიხართ, როგორც სიზმარი. ყოველ ღამე მოდიხართ და ყოველ დილით ქრებით.

მილიონჯერ მოსულხართ და მილიონჯერ გამქრალხართ. მაგრამ როცა ქრისტე მოდის... რას ნიშნავს ქრისტე? ქრისტე ის არის, ვინც სუბსტანციონალურს მიაღწია, ვინც აღარ წარ-

მოადგენს ფორმას, ვინც უფორმოა და აღარ გაქრება, ვინც იყო ტალღა და ოკეანედ იქცა.

ბუდა და ქრისტე ყოფიერებაში რჩებიან. აი, რას ნიშნავს „მე ვრჩები, მე ვიცავ ქვეყნიერებას, ჯერ ცეცხლი არ აგიზგიზდება, მე ვიქნები აქ!“ მაგრამ თქვენ მას ვერ დაინახავთ. როცა იესო ხორცშესხმული იყო, მაშინ ვერ დაინახეთ და ახლა უსხეულოს შეიშნაეთ? ყურადღება მიაქციეთ ერთ უცნაურ მოვლენას — ბევრი ქრისტიანი მას თვალდახუჭული ხედავს, როდესაც ლოცულობს, უახლოესმა მოწაფეებმაც კი ვერ შესძლეს დაენახათ იგი, როცა აქ იყო. რა მოხდა?

ეს ქრისტეები, რომლებიც ლოცვის დროს გეზმანებათ, თქვენი ჰალუცინაციები, პროექციები და წარმოდგენებია. თქვენ გონებაში ქმნით ქრისტეს სახეს. აი, რატომ ხედავენ ქრისტეს ქრისტიანები, იუდეველები კი ვერ ხედავენ. ინდუისტებისთვის ამის წარმოდგენაც კი არ შეიძლება! ეს უკანასკნელნი კრიშნას ხედავენ და წარმოსახვის საკუთარი ობიექტი აქვთ. ჯაინი ვერასოდეს ვერ დაინახავს კრიშნას, რადგან მის წარმოდგენაში მხოლოდ მაჰავირი არსებობს. რა ხდება? თქვენი გონება ქმნის წარმოდგენებს და ეს ავტოჰიპნოზია.

თავს ბედნიერად გრძნობთ, მაგრამ ეს ბედნიერება კარგი სიზმრის ტოლფასია, ეს მხოლოდ ოცნებაა და მეტი არაფერი.

რატომ დაკარგეს ქრისტე? როცა ის აქ არის, თვითონ ამბობს: „თქვენ არ უყურებთ ცოცხალს“, მერე კი, როცა აქ აღარაა, მილიონობით ადამიანი ხუჭავს თვალს და მისი წარმოდგენებით ტკბება. ამას ის აკეთებს, ვინც ჯვარს აცვა იესო, როცა ის ხორცშესხმული იყო. იგიეე პიროვნებები ფიქრობენ მასზე და წარმოსახვაში ქმნიან მის სახეს, რაც არ არის ცეცხლი. ეს მხარდაჭერაა და თქვენ გიცავთ. ჩემთან მოდის ხალხი და მეუბნებიან, რომ ქრისტე იხილეს. თანაც, ისე მიყურებენ, თითქოს მეც უნდა დავადასტურო მათი ნათქვამი. თუ ასე გავაკეთებ, ისინი ბედნიერები წავლენ ჩემგან. ისინი პატარა ბავშვებს ჰგვანან, საოცარი რომ ერთობიან. თუ ვპასუხობ, რომ ეს სისულელეა და მხოლოდ მათი წარმოსახვის

ნაყოფი, თავს უბედურად გრძნობენ და აღარასოდეს აღარ მაკითხავენ. რატომ უნდა მიხვიდეთ კაცთან, თქვენს მშვენიერ ოცნებებს რომ გაგიფუანტავთ?

ვიდრე ცოცხალია ქრისტე, თქვენ მას ჰკარგავთ. როგორ შეხვდებით მას, უსხეულოს? ახლა ქრისტიანები განიხილავენ იესოს ისე, როგორც მისი მოწაფეები ლაპარაკობდნენ 24 წინასწარმეტყველის შესახებ იესოს თანდასწრებით, ახლა ის აღარ არის თქვენთან, თქვენ ლაპარაკობთ წარსულზე და ცოცხალს ჰკარგავთ.

ერთხელ ქრისტიანი ძენის ოსტატთან მივიდა. მან ბიბლია მიიტანა და უთხრა: „მსურს ქრისტეს რამდენიმე შეგონება წაგიკითხო“. არა და ძენის ბერი თვითონ იყო გასხივოსნებული. მას გაეცინა და დათანხმდა.

ქრისტიანმა წაუკითხა მას რამდენიმე შეგონება მთაზე ქადაგებიდან. ოსტატმა ორი თუ სამი შეგონების მოსმენისთანავე თქვა: „ადამიანი, რომელმაც ეს სიტყვები წარმოსთქვა, მართლაც გასხივოსნებული იყო“.

ქრისტიანს ძალიან გაუხარდა, რადგან ქრისტე აღიარეს და სურდა, კითხვა გაეგრძელებინა. განაგრძო კიდეც. ოსტატმა უთხრა: „ჰო, ძალიან კარგია. ის, ვინც ეს სიტყვები თქვა, გასხივოსნებული იყო“. ქრისტიანმა მადლობა გადაუხადა ოსტატს და წავიდა ბედნიერებით აღსავსე იმის გამო, რომ იესო ბუდისტმა აღიარა, მაგრამ მან დაკარგა ყველაზე მთავარი. ოსტატი ხომ თვითონ იყო ქრისტე და ცდილობდა ეს მისთვის ეგრძნობინებია.

მან ორჯერ თქვა: „ძალიან კარგი!“ ის ეუბნებოდა: დახურე შენი წიგნი, საკმარისია. მე შევეცადე, მეთქვა, რომ იესო გასხივოსნებული იყოო.

ის ქრისტიანი სინამდვილეში რომ ყოფილიყო დაინტერესებული ჭეშმარიტებით, უნდა შეეხედა ოსტატისათვის და გაეგო — ვინ იყო თვითონ ეს ბერი, რომელიც ამბობდა, რომ ამ სიტყვების წარმომთქმელი გასხივოსნებულია. მას უნდა გადაეგდო წიგნი, უნდა ეფიქრა, რომ არ არის საჭირო

მიცვალებულზე ზრუნვა. შეეხედა ამ ადამიანისთვის, მაგრამ ის წავიდა წიგნით ხელში თავის მეგობრებთან, რათა მათთვის ეუწყებინა, რომ იესო მართლა გასხივოსნებული იყო. რომ ეთქვა: „ის ვიყავი ბუდისტთან, მისთვის ძნელია ქრისტეს აღიარება, მაგრამ იგი დიდებული ადამიანია, იესო რომ სცნო“.

თქვენ ეძიებთ მკვდრის აღიარებას ცოცხლისთვის. კარგად გახსოვდეთ ეს, რადგან შესაძლებელია იგივე გაიმეოროთ.

1974 წლის 9 სექტემბერი
პუნა, ინდოეთი

საუბარი ოცდამეერთე

ოცდაპირველთა შეგონება

იესომ უთხრა მოწაფეებს: — „თუ ხააშკარაოზე
გამოგაქვთ, რაც თქვენშია,
იმ, რაც გაგაჩნიათ, გაღაგარჩენთ.
თუ იმ არ არიხ თქვენში, იმ, რაც არ
არიხ თქვენში, მოგაკლინებთ“.

(თომა, 71)

იესომ უთხრა მოწაფეებს: — „მიეცით მას, ვინც
ეძიებს, იგი ნუ შეწყვეტს ძიებას, ვიდრე არ
ჰპოვებს და როცა ჰპოვებს, იმ აღელდება,
გაკვირდება და გამეფდება ყოველივეზე“.

(თომა, 1)

და უთხრა იესომ მოწაფეებს: — „იმ, ვინც
იპოვიმ ამ სიტყვების ახსნას, არ იგემებს
სიკვდილს.“

(თომა, შესავალი)

მაძიებელი ეძიებს. რასაც არ უნდა ეძიებდეთ, თუ ჩაუღრმავდებით, ნახავთ, რომ საკუთარ თავს ეძებთ. აი, რატომაა გარეგანი ძიება ყოველთვის ამაო რომ აღმოჩნდება ხოლმე. გგონიათ, ეძებთ კეთილდღეობას, მაგრამ სინამდვილეში საკუთარ თავს ეძებთ. როდესაც შეძლებული შეიქმნებით, მიხვდებით მის ამაოებას — კეთილდღეობა მიღწეულია, თქვენ

კი ვერ დაკმაყოფილდით. ის, რასაც ეძიებდით, არ იყო, კეთილდღეობა. უბრალოდ, მიმართულება იყო არასწორი: თქვენ მოძრაობდით არა თქვენსკენ, არამედ თქვენგან, არა და საკუთარი თავის პოვნა გსურდათ.

სინამდვილეში რას ეძებს ადამიანი კეთილდღეობის საშუალებით? ამით მას უფრო ღიდი, უფრო უხილავი ცხოვრების მოპოვება სურს. კეთილდღეობა სიკვდილისაგან თავდაცვა და სიცოცხლის ძიებაა. მაგრამ, როდესაც კეთილდღეობას აღწევთ, აშკარა ხდება, რომ იგი ვერ დაგიცავთ და უკეთეს ცხოვრებას ვერ მოგცემთ. თქვენ არასწორი მიმართულებით ეძებთ.

სხვები ეძებენ ძალაუფლებას, პრესტიჟს და რა სურთ? ადამიანი ყოვლისშემძლეობას ესწრაფვის, სურს, გახდეს ყველაზე ძლიერი, რათა სიკვდილმა ვერ შესძლოს მისი გატაცტვერება, მაგრამ ეს სურვილი ძალიან ღრმად არის დაფარული, რასაც კაცი ვერც კი გრძნობს. როცა ძალაუფლებას მიაღწევს, მაშინ აშკარა ხდება მისი ამაოება.

აქედან შემდეგი პარადოქსი გამომდინარეობს: როცა ამქვეყნად წარმატებას აღწევთ, უკიდურესი წარუმატებლობის გრძნობა გეუფლებათ. კვლავაც გიმეორებთ — არაფერია ისეთი წარუმატებლობა, როგორც ამ ცხოვრებაში მოპოვებული წარმატება. თუ არ მიგიღწევიათ წარმატებისათვის, ილუზია შეიძლება გაგრძელდეს და იფიქრებთ, რომ ოდესმე მიაღწევთ წარმატებას. მაგრამ თუ წარმატებას მიაღწევთ, როგორღა შეინარჩუნებთ ილუზიას? წარმატებას მიაღწიეთ, შინაგანი სიცარიელე კი იგივე დარჩა. ახლა კონტრასტით უფრო მეტად შეიგრძნობთ — გარშემო კეთილდღეობა გაქვთ, შიგნით კი — სილატაკე, გარშემო სინათლეა, შიგნით კი — სიბნელე, გარშემო სიცოცხლეა, შიგნით კი — სიკვდილი. აი, რატომაა, როცა საზოგადოება ბარაქიანი და მდიდარი ხდება, უეცრად რელიგია წამოიწევს ხოლმე წინ.

ღარიბ საზოგადოებაში რელიგიას ვერ ექნება მნიშვნელობა, რადგან ადამიანებს არ განუცდიათ წარმატება. ჯერ კიღევ გრძელდება ძიება გარეთ, რასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ადამიანები ფიქრობენ, რომ როცა კარგი სახლი ექნებათ, ყველაფერი რიგზე იქნება; თუ ბევრი ფული ექნებათ, ყველაფერი მოგვარდება. ღარიბს მდიდრისაგან განსხვავებით შეუძლია ილუზიებით ცხოვრება. თუ მდიდარს შეხვდით, ვინც ისევ ილუზიებში ცხოვრობს, გახსოვდეთ, რომ იგი ღარიბად დარჩა და ვერ წარმატებისთვის არ მიუღწევია.

ბუდამ დატოვა სასახლე, მაჰავირმა — სამეფო. წარმატებამ მათ იმედი გაუცრუა. ისინი მიხვდნენ, რომ არასწორად მოძრაობდნენ, ამიტომაც საპირისპიროდ დაიძრნენ. მეფეები იყვნენ და მდაბიოებად იქცნენ, უძვირფასესი საგოსი განიძარცვეს და შიშვლები დარჩნენ. მოხდა შემობრუნება. წარმატება წარუმატებელია. რატომ? იმიტომ, რომ სინამდვილეში თქვენ ეძებდით არა კეთილდღეობას, არა ძალაუფლებას, უსაფრთხოებას ან სახლს, არამედ რაღაც სხვას.

თქვენ ეძებდით მარადიულ სახლს, საიდანაც არსად აღარ მიდიან; ეძებდით მარადიულ სიმშვიდეს, რომელიც სამუდამოდ, დაუსრულებლად გრძელდება. აი, რას წარმოადგენს ძიება. ეს არის სახლის ძებნა, ყოფიერების იმ მდგომარეობის ძიება, რომლის დროსაც თქვენ შინ გრძნობთ თავს. თქვენ ეძებთ არა კეთილდღეობას, არამედ სიკვდილისაგან თავდაცვას. ეძებთ სიცოცხლის ფორმას, რომელსაც სიკვდილი ვერ გაანადგურებს.

ცხოვრება კი ინგრევა, შიში ყოველ წამს თან გახლავთ, როგორ იცხოვრებთ ამ ცხოვრებით, რომელიც ვულკანზე ყოფნას წააგავს? მან შეიძლება ყოველ წუთს დაიგუგუნოს და შეიძლება, ნებისმიერ მომენტში დაგვაბნოთ სიკვდილმა. ასი წელი რომ იცოცხლოთ, ასივე წელს კანკალში გაატარებთ.

მეცნიერებმა ახლახანს დაიწყეს ამ პრობლემაზე ფიქრი. ადამიანის სიცოცხლე შეიძლება იმ დრომდე გაახანგრძლივოთ, როდემდეც გსურთ. ამ საუკუნეში შესაძლებელი გახდება ქრომოსომის უჯრედის ნახაზის შეცვლა. შესაძლებელი გახდება უჯრედი შეცვალოთ ისე, რომ სხეულმა სამას წელიწადს იცოცხლოს. ახლა ის საშუალოდ 70 წელიწადს ცოცხლობს, რადგან მამათქვენი და დედათქვენი ამდენ ხანს ცოცხლობდნენ

და მათ ეს გაუცნობიერებლად შეიყვანეს უჯრედში. უჯრედში არის ნახაზი, რომლის მიხედვითაც თქვენ დაახლოებით 70 წელიწადში უნდა მოკვდეთ. თუ შეგიძლებთ უჯრედში ნახაზის შეცვლას, მაშინ ადამიანი იცოცხლებს იმდენ ხანს, რამდენიც სურს.

კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი იმედთაგანი იყო ზუსტად სიკვდილის დაძლევა და სიცოცხლის გახანგრძლივება სასურველ დონემდე. მეცნიერები ცოტა ხნის წინ დადგნენ ამ ფაქტის წინაშე. ჩვენს საუკუნეში ამის განხორციელება შესაძლებელი გახდება. მაგრამ გაჩნდა ახალი პრობლემა. ადრე ფიქრობდნენ, რომ თუ ეს მოხდა, ყველა ბედნიერი იქნება და გაქრება სიკვდილის შიში, მაგრამ როცა დაუფიქრდნენ ამ პრობლემის შესახებ, შეიგნეს, რომ ადამიანი სამოცდაათ წელიწადს თუ ცოცხლობს, სამოცდაათი წელი ეშინია სიკვდილის, ხოლო თუ სამას წელს იცოცხლებს, სამასი წელი ექნება ეს შიში. შიში გაიზრდება, კი არ შემცირდება.

ძიება ხდება უკვდავების მოსაპოვებლად და ასეთი მარადიული არსებობა არის თქვენში. თქვენ არსებობთ თქვენშივე. აი, რატომ არ შეგიძლიათ შეეხოთ საკუთარ არსს. ხელი გარეთ მოძრაობს და გარე სამყაროს არის შეგუებული. ფეხით შიგნით ვერ შეაღწევთ, თვითონ ფეხებსაც არ სჭირდებათ ეს. შინაგან არსში არ არის სივრცე ფეხით მოგზაურობისათვის. თვალი ვერ ჩასწვდება სულის სიღრმეს. თქვენ მთლიანად შეეგუეთ გარეგანს.

შინაგანისათვის არაფერი არ არის საჭირო. შიგნით სრულყოფილი ხართ. იქ ყოველივე ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ძიება — ეს არის შინაგანი არსის ძიება და ეს შინაგანი ყოვლისშემძლეა. არანაირი ძალა არ არის ამ ყოვლისშემძლეობის სანაცვლო.

შეგიძლიათ იქცეთ ნაპოლეონად, ჰიტლერად ან ვინმე სხვად. რადაც არ უნდა წარმოიდგინოთ თავი, უძლური დარჩებით, ვიდრე ბუდა ან ქრისტე არ გახდებით. შეიძლება გახდეთ აინშტაინი და ბერტრან რასელი, მაგრამ ვერ იქნებით

ყოვლისმცოდნე. შესაძლოა განუსაზღვრელი რაოდენობის ინფორმაცია მიიღოთ, მაგრამ ისეთივე უმეცარნი დარჩებით, ვიდრე არ იქცევით ქრისტედ ან ზარატუსტრად. მხოლოდ მაშინ გახდებით ყოვლისმცოდნე, როცა ამას მიაღწევთ.

ძიება ხდება ყოვლისშემძლეობის, ყოვლისმცოდნეობისა და მარადიული არსებობის მისაღწევად. გახსოვდეთ ეს სამი სიტყვა. ისინი სანსკრიტული სიტყვა „აუმ"-იდან არის ნაწარმოები. სანსკრიტში „აუმ"-ი მთელი სამყაროს სიმბოლოა. მასში სამი ბგერაა. ა-უ-მ. ამ ძირითადი ბგერების დახმარებით მიიღება ყველა სხვა ბგერა, ასე რომ „აუმ" სხვა დანარჩენი სიტყვების ძირითადი სინთეზია. აი, რატომ ამბობდნენ ინდუისტები, რომ „აუმ" საიდუმლო მანტრაა და თავის თავში მთელ ყოფიერებას შეიცავსო. სამი ინგლისური სიტყვა — ყველგან არსებული, ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე — აუმ-ისგან არის ნაწარმოები. ისინი აღნიშნავენ იმას, ვინც ძლიერი და ყოვლისმცოდნე გახდა და ყველგან არსებობს, როგორც „აუმ"- იმას, ვინც უნივერსალური გახდა, ვინც ყოველივედ გადაიქცა. ვიდრე არ არის ყოველივე მიღწეული, არ მოხდება სიღრმისეული სრული დაკმაყოფილება.

დარჩებით ღატაკნი და ერთი ცხოვრებიდან მეორეში ასეთი ღატაკნი გადახვალთ. იცხოვრებთ, როგორც მათხოვარნი და ვერ შესძლებთ იმპერატორობას.

იესომ უთხრა მოწაფეებს: **„თუ სააშკარაოზე გამოგაქვთ, რაც თქვენშია, ის, რაც გაგაჩნიათ, გადაგარჩენთ. თუ ის არ არის თქვენში, ის, რაც არ არის თქვენში, მოგაკვდინებთ..."**

ძალიან უცნაურია! ის ამბობს: **„თუ სააშკარაოზე გამოგაქვთ, რაც თქვენშია..."** თქვენში უკვე არის მდოგვის მარცვალი, ღვთის სასუფევლის თესლი და თუ მას აღმოცენების საშუალებას მისცემთ, მაშინ ის, რაც თქვენშია, გიხსნით. თქვენ უკვე გაგაჩნიათ ის, რაც გადაგარჩენთ, მაგრამ თუ კარგავთ, მაშინ რაც არ არის თქვენში, მოგაკვდინებთ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, სიტყვა „ცოდვა" ძველებრაულ ენაზე „მიზნის დაკარგვას" ნიშნავს. თუ საკუთარ არსს კარ-

გავო, თქვენ ცოდვილი ხარო. თქვენშია მდოგვის მარცვალი, მაგრამ მას არ ახველდებო ნიაღაგში. თქვენ არ იქეციო მებაღედ და გეშინიათ, რომ მარცვალი დაიღუპება. თქვენი შიში საუკვლიანია. მარცვალი უნდა მოკვდეს, რომ ხე აღმოცენდეს. ძველი უნდა მოკვდეს, წარსული უნდა მოკვდეს ახალი რომ დაიბადოს. მარცვალი უნდა მოკვდეს, თქვენ კი შიშობთ და იცავთ მას.

ერთ მეუღეს სამი ვაჟი ჰყავდა. სიბრძნე და ნიჭი არცერთს არ აკლდა. მეუღეს ვერ გადაეწყვიტა, რომლისთვის ჩაებარებინა სამეფო.

ვაჟებს თანაბრად ჰქონდათ ყოველივე მომადლებული. მეუღემ რჩევისთვის ბრძენს მიაკითხა.

ბრძენმა გეგმა შეუდგინა და მეუღეს უთხრა: „შენ სამოგზაუროდ წადი და შენს ვაჟებს ერთი პატარა დაავალება მიეცი“. მართლაც, მეუღემ იხმო ვაჟები და თითოეულს ერთნაირი რაოდენობით მისცა მშვენიერი ყვავილის თესლი. თან დაუბარა: „გაუფრთხილდით ამ თესლს. მთელი თქვენი ცხოვრება მასზეა დამოკიდებული. როცა დაბრუნდებით მოგზაურობიდან, ანგარიშს ჩამაბარებთ, რა მოუვიდა ამ მარცვლებს“.

უფროს ვაჟს ყველაზე მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა და ყველაზე ყაირათიანი იყო. იფიქრა, სეიფში ჩავკეტავ თესლს და მამას მერე თავდაპირველი სახითვე ჩავაბარებო... მართლაც, ასე მოიქცა და სეიფის გასაღებს მუდამ თან დაატარებდა.

საშუალო ვაჟმა იფიქრა, მეც უფროს ძმასავით რომ მოვიქცე, იქნებ თესლი დალპეს სეიფშიო. წავიდა ბაზარში, გაყიდა თესლი და ფული შეინახა, მამა როცა დაბრუნდება, მაშინ ვიყიდი თესლს და უკან დავუბრუნებო.

უმცროსმა ვაჟმა კი გაიფიქრა, მამამ თესლი რომ დაგვიტოვა, ამაში რაღაც აზრია ჩაქსოვილიო. იგი ყველაზე გამოუცდელი და უცოდველი იყო. მან დაასკვნა: „თესლი ზრდას გულისხმობს. თვითონ სიტყვა „თესლი“ ზრდას ნიშნავს, ეს

არის არა მიზანი, არამედ ხიდი. ოვიოონ სიტყვა მოძრაობას აღნიშნავს რაღაცის გავლით. თესლი უსარგებლოა, ვიდრე არ გაიზრდება და მისგან ხე არ აღმოცენდება. თესლი გარდამავალი ფაზაა და არა მიზანი ან საბოლოო მდგომარეობა, ეს უბრალოდ ხიდია, რომელიც უნდა გაიაროთ“ და დათესა თესლი.

ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა მაია. როცა მან საშინელ ვაჟს შეახსენა თავისი დანაბარები და მაოგან პასუხები მიიღო, უფროსს უთხრა, „შენ ბრიყვი ხარ. ვინ ინახავს თესლს სეიფში? თესლი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინახება, თუ შესაძლებლობას მისცემ, ნიადაგში დაიღუპოს და ხელახლა დაიბადოს“.

მეორე შვილს უთხრა: „შენ უკეთ მოქცეულხარ, ვიდრე შენი უფროსი ძმა. შენ იმას მაინც მიხვდი, რომ თესლი უნდა მოკვდეს. მაგრამ რაოდენობა იგივე დარჩა და არა და, თესლს სწორი მეთოდით თუ ინახავ, იგი მრავლდება. შენ უფროს ძმაზე უკეთ მოიქეცი, მაგრამ შენც დაკარგე“..

უმცროსმა შვილმა მამა ბაღში გაიყვანა და თესლიდან აღმოცენებული ხე აჩვენა.

მამამ უთხრა: „შენ გაიმარჯვე! შენ იქნები ამ ქვეყნის მეფე, რადგან თესლის შენარჩუნების ერთადერთი ხერხი არის ის, რომ მიეცეს მას საშუალება, ისე მოკვდეს, რომ ხელახლა დაიბადოს...“

აი, რატომ ამბობს იესო: **„თუ გამოგაქვთ სააშკარაოზე რაც თქვენშია, ის რაც გაგანრიათ, გადაგარჩენთ. თუ ის არ არის თქვენში, ის რაც არ არის თქვენში, მოგაკვდინებთ.“**

თქვენ საერთოდ არ იცქირებით საკუთარ არსში. უბრალოდ ნაპერწკალიც კი არ გიგრძვნიათ თქვენში. რასაც არ უნდა აკეთებდეთ, დაინგრევით. შეიძლება გქონდეთ კეთილდღეობა, ძალაუფლება, ბევრ რამეს ფლობდეთ, მაგრამ ვერაფერი ვერ გიშველით. პირიქით, ამქვეყნიური ტვირთი დაგახრჩობთ. თქვენ დიდ წონას მიაღწევთ და ეს გძირავთ. თქვენი ნავი სანახევროდ ჩაძირულია. ვერ სტოვებთ ნავს. რადგან

ყოველივე, რასაც მიეჩვიეთ, აქ არის. მიზანდ გაქეთ დასახული, გადაიტანოთ ნავი მეორე ნაპირზე, მაგრამ ამ ქვეყნიდან ჯერ ვერავინ შესძლო რამე გადაეტანა იმქვეყნად.

სიკვდილის დროს როგორ გადაიტანთ რამეს იქითა ნაპირზე? ამ მოძღვრში თქვენი სხეული კვდება და ქრება თვით საშუალებაც ამქვეყნიდან რაიმეს წაღებისა.

აი, რატომ ფიქრობს მეცნიერი ცოდნის შეძენაზე. მე კი გეუბნებით, რომ არც ცოდნა გაგყვებათ იმქვეყნად. სხეულთან ერთად ტვინიც კვდება, რაც ცოდნის აკუმულატორია. თქვენი ტვინი კომპიუტერია. რომელშიც ცოდნა და ინფორმაცია იყრის თავს. ესეც გარეგანი ნიშანია. აინშტაინის ტვინს თუ გამოაცლით, ის ჩვეულებრივი იდიოტი იქნება. იესო აგროვებს არა ცოდნას, არამედ შემეცნებას.

მაშასადამე, არსებობს ადამიანთა სამი ტიპი: პირველი — უფრო მეტად გარეგნულზე ორიენტირებული ადამიანები, რომლებიც აგროვებენ ნივთებს. მაგრამ ან ნივთების გადატანა მეორე ნაპირზე შეუძლებელია. მეორე ტიპის ადამიანები არც თუ ისე დიდ ყურადღებას აქცევენ გარეგანს. მაგრამ ისინიც ზედაპირულნი არიან. აგროვებენ ინფორმაციას, წერილობით თეორიებს, ფილოსოფიას ეცნობიან. ისინი უფრო ჭკვიანები არიან. მაგრამ მაინც — სულელები: ცოდნა ტვინში გროვდება, ტვინი კი სხეულის ნაწილია, მართალია, შინაგანი, მაგრამ მაინც სხეულის ნაწილი. და სხეულთან ერთად ტვინიც მოკვდება.

მესამე ტიპის ადამიანები აგროვებენ შემეცნებას. ისინი შეგნებულნი არიან. ეს შემეცნება წარმოადგენს თქვენს შინაგან „მეს“ და მხოლოდ მისი გადატანა შეგიძლიათ მეორე ნაპირზე.

სხეულში ორი სამყარო არსებობს — მატერიისა და ცნობიერების, რომელთა შორის მჭიდრო კავშირია. ეს კავშირი თქვენი შემეცნებაა. მოიშორეთ ნივთები და განაგდეთ ინფორმაციული ცოდნა, გაზარდეთ შეგნება. გამოუხიზლდით. ასე უფრო მეტს გადაიტანთ ამ სამყაროდან იმ სამყაროში. ამ

სამყაროში შესაძლოა ყარიბს ჰგავდეთ, როგორც ბუდა — ბრიკჰუს, მაგრამ იმ სამყაროში თქვენ მეფეს დაემსგავსებით, რადგან იქ გადაიყვანთ მხოლოდ საკუთარ თავს.

იმ ღამეს, როცა ამოხეთქილმა ვულკანმა პომპეი გაანადგურა, მთელი ქალაქი ცეცხლში გაეხვია. სახლები ინგრეოდა. ხალხი გარბოდა და ყველა რაღაცას მიათრევდა. ხალხი მიარბენინებდა ძვირფასეულობას. მიეჩქარდათ ყველაფერი, რისი გადარჩენაც კი შეეძლოთ. მათ შორის ეროადერთი კაცი იყო, რომელსაც მხოლოდ თავისი კვერთხი მიეჩქარდა. ყველა აღელვებული და შეშფოთებული იყო. ინგრეოდა მთელი მათი ცხოვრება. მხოლოდ ეს კაცი მისეირნობდა ბრბოში. მას წესად ჰქონდა დილის სამ საათზე სეირნობა და ახლაც ზუსტად ეს დრო იყო.

ვინც კი ხედავდა მას, ყველა ეკითხებოდა: „ნუთუ ვერაფერი გადაარჩინე? ყველაფერი დაკარგე?“

კაცი პასუხობდა: „მე სხვა არაფერი მაქვს გადასარჩენი. რაც გამაჩნია, თანა მაქვს“.

ვიღაცამ ჰკითხა: „რას მოსეირნობ? ვერა ხედავ, რომ ყველაფერი იღუპება?“

კაცმა გაიცინა და მიუგო: „ყოველივე, რაც დააგროვეთ ამ ქვეყნისაა და სიკვდილი ანადგურებს. ცეცხლი სწვავს. მე კი მხოლოდ შეგნება დავაგროვე. ყველაფერი, რაც ხდება, თქვენთვის იქნებ ტრაგედიაა, ჩემთვის კი ახლა დილის გასეირნების დროა“.

ეს კაცი მისტიკოსი და იოგია. სწორედ ასეთ ადამიანის შესახებ ლაპარაკობს იესო: **„თუ სააშკარაოზე გამოგაქვთ, რაც თქვენშია, ის, რაც გაგაჩნიათ, გადაგარჩენთ, თუ ის არ არის თქვენში, ის, რაც არ არის თქვენში, მოგაკვდინებთ...“**

თუ სული ღარიბი გაქვთ, შესაძლოა, გარეგნულად მდიდარიც იყოთ, მაგრამ მაინც გაგრძელდება თქვენი ნგრევა იმის გამო, რომ შეპყრობილნი ბრძანდებით გარეგნული სიმდიდრით, თუ შინაგანად მდიდარნი ხართ, მაშინ ნუ შიშობთ, რადგან, იმის და მიუხედავად, გაქვთ რამე თუ არა, სიკვდილი ვერ

წაგგლეჯთ ვერაფერს. მხოლოდ შემეცნება სჯაბნის სიკვდილს. ეს სინათლის ერთადერთი სხივია ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც სიკვდილს აღემატება. შეგიძლიათ მოკვდეთ სრულიად შეგნებულნი? ეს ერთადერთი მნიშვნელოვანი პუნქტია.

მაგრამ თუ სრული შეგნებით არ ცხოვრობთ, როგორ მოკვდებით შეგნებულნი? სიცოცხლეშიც კი იმდენად შეუგნებელნი ხართ, როგორ შეგიძლიათ იყოთ შეგნებულნი სიკვდილში?

გახსოვდეთ — როცა ტკივილი ძალიან ძლიერია, სხეულს გააჩნია ავტომატური მექანიზმი, რათა ქვეცნობიერში გადაგრთოთ. სხვაგვარად ვერ გასძლებთ. ექიმებმა ანესთეზია დიდი ხნის წინათ მოიგონეს, თუმცა ბუნებამ ყოველთვის იცოდა იგი. როცა ტკივილი ბოლო წერტილს აღწევს და მოუთმენელი ხდება, კარგავთ გონებას და გული მიგდით, სხეულს შინაგანი რეგულიატორი გააჩნია. ავადმყოფმა შეიძლება შესჩივლოს სხვას, რომ გაუსაძლისი ტკივილი აწუხებს, მაგრამ ეს არ არის მართალი. თუ ტკივილი ნამდვილად გაუსაძლისია, გონებას დაკარგავთ.

არ არსებობს ტკივილი, რომელსაც თქვენ ვერ გაუძლებთ. ყველა ტკივილი მოსათმენია და ყველა ტანჯვა — გასაძლისი. აი, რატომ ხართ ფხიზელნი, რატომ არ კარგავთ გონებას. სიკვდილი კი ყველაზე მძიმე ქირურგიული ოპერაციაა. მოკვეთილი უნდა იქნეს თქვენი არსი. ის უნდა გამოეყოს სხეულს, რომელთანაც ყველაზე მეტად გაიგივდით. თქვენ და სხეული ერთნი ხართ. ეს არ არის თითის ან ხელის მოკვეთა. ეს არ არის აპენდიქსის ამოჭრა. ეს მთლიანი სხეულის მოკვეთაა, რაც არცერთ ექიმს არ ძალუძს.

ამ სხეულთან ცხოვრობდით რამდენიმე ათეული წელი და მთლიანად გაიგივდით კიდეც მასთან. თქვენ ფიქრობთ, რომ ხართ სხეული და ტკივილი ისეთია, რომ გონს კარგავთ.

მთელი თქვენი ცხოვრება სიკვდილისთვის შეგნებული მზადებაა, ამას უნდა აკეთებდეს სანიასინი. ეს არის ის, რასაც

მაძიებელი უნდა სწადიოდეს — იგი მზად უნდა იყოს! არ უნდა დაკარგოს არც ერთი წუთი, რადგან ერთხელ დაკარგულს ვერაფრით ველარ შეავსებთ და ერთადერთი სიმდიდრე შეგნებაა! აკეთეთ, რაც გინდათ, მაგრამ აკეთეთ ცხოსლად!

თქვენი ცხოვრება შეიძლება განსხვავდებოდეს სხვისი ცხოვრებისაგან, მაგრამ შინაგანი ძიება არ შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი. ის ერთნაირია ყველასთან. შეიძლება იყოთ ბიზნესმენი, პროფესორი, ექიმი, ინჟინერი ან მუშა, მაგრამ განსხვავება არ არსებობს. შინაგანი ძიება ყველასთვის ერთნაირია და შეგნებაში მდგომარეობს. დგება წამი, როდესაც იმდენად შეგნებული ხართ, რომ სიკვდილიც კი ვერ გაგხდით შეუგნებელს. აი, რა აქვს მხედველობაში იესოს — გახსენით ის, რაც თქვენშია. ეს თუ გაქვთ, გადაგარჩენთ, თუ არა გაქვთ, გაქრებით.

მომდევნო შეგონებაში კიდევ უფრო უცნაურ რამეს ამბობს იესო:

„ვისაც აქვს, უფრო მეტი მიეცემა, ხოლო ვისაც არ გააჩნია, ისიც წაერთმევა, რაც გააჩნია...“

ეს აბსურდს ჰგავს. იესო ლაპარაკობს შეგნებაზე. შეგნება იზიდავს შეგნებას და ამით იზრდება. თუ შეგნებული ხდებით, გინდებათ უნარი, უფრო მეტად შეგნებული გახდეთ, ყოველ ნაბიჯს მომდევნო ნაბიჯთან მიჰყავხართ. თუ შეუგნებელი ხართ, ყოველი ნაბიჯი უკან გწევთ.

ერთხელ მოლა ნასრედინმა ღამით უცნობს მიუკაკუნა კარზე. იგი ძალიან მთვრალი იყო. ფანჯარა გაიღო, პატრონმა გადმოიხედა და უთხრა: „ნასრედინ, რამდენჯერ გითხარი, რომ ეს სხვა კარია, არ არის შენი სახლის კარი. წადი და იქ დააკაკუნე. ეს არ არის შენი სახლი!“

ნასრედინმა ასძახა: „დარწმუნებული ხართ? იქნებ შენ არ იხედები შენი სახლის ფანჯრიდან?“

ადამიანი იმდენად მთვრალია, რომ შეუძლებელია იფიქროს: „მე ვარ არასწორიო“. თქვენი აზრით, ყოველთვის სხვა სცდება. თუ იტანჯებით ცხოვრებაში, იტანჯებით იმის

გამო, რომ სადღაც დაკარგეთ შეგნება. თქვენ ხართ არასწორი, მაგრამ ფიქრობთ, რომ სხვა არ იხედება იმ ფანჯრიდან. ფიქრობთ, რომ ყოველთვის საჭირო კარზე აკაკუნებთ. არა და ყოველთვის სხვის კარზე აკაკუნებდით. ამქვეყნად ყველა კარი სხვაა, ვიდრე დააკაკუნებთ შინაგან კარზე, რომელიც არ არის ამ სამყაროს ნაწილი.

თქვენ თქვენში ატარებთ რაღაცას, რაც არ ეკუთვნის ამ სამყაროს. ეს არის თქვენი განძი და თქვენი კარი, რომლითაც შეგიძლიათ მიხვიდეთ ღმერთთან. აი, რატომ ამბობს იესო: გაზარდეთ ის, რასაც უკვე ატარებთ. უკვე არის თქვენში ერთი სხივი, მაგრამ არ შეგიცვნიათ იგი ან მხოლოდ ნაწილობრივ შეიცანით. დაბინდულ შეგნებაში ის ძალიან მკრთალად ანათებს და გიჭირთ მისი დანახვა. სხივი ნამდვილად არის თქვენში. ამის გამო დგახართ ცხოველებზე მაღლა.

შეგნების პირველმა სხივმა შემოაღწია თქვენში, მაგრამ ის სხივი მხოლოდ მდოგვის მარცვალია. მას ნიადაგი უნდა მისცეთ. რა არის მარცვლისთვის ნიადაგი? ინდუისტებმა ამ ნიადაგს სატსანგი (მიახლოება იმასთან, ვინც თქვენზე მაღლა დგას) უწოდეს. მათი თანდასწრებით ყოფნისას თქვენი შეგნების სხივი სულ უფრო გაიზრდება, რადგან მისთვის აუცილებელია გამოწვევა.

გონების საერთო მიდრეკილებაა მუდამ იმისკენ სწრაფა, ვინც დაბლაა; იმ ადამიანისაკენ, ვინც ნაკლებად ფხიზელია. რატომ? იმიტომ, რომ მაშინ თავს მასზე მაღლა გრძნობთ. გგონიათ, რომ რაღაცას წარმოადგენთ. თითოეული ეძებს თავისზე დაბლა მდგომს. ამ ძიების გამო თვითონ ეშვება ქვემოთ.

როცა იესოსნაირ პიროვნებას ხვდებით, შეშფოთება გეუფლებათ, რადგან აქ ველარ დაიცავთ თქვენს უპირატესობას. თქვენ დაბლა დგახართ. ეს არ არის არასრულყოფილების კომპლექსი. უბრალოდ, იესოზე დაბლა დგახართ. თქვენი შეგნება არარაობაა, ის კი იმდენად ძლიერი სინათლეა, რომ

მასთან შედარებით სიბნელე ხდებით. ციციციც კი, შეგნების ეროი სხივიც კი არარაობად მოგეჩვენებათ.

ეს ასეც ურდა იყოს. თქვენი ლამპარი დღის სინათლეზე გამოგაქვთ და რას გრძნობთ? ალი მზის სინათლეზე სიბნელედ იქცევა. შეიტანეთ თქვენი ლამპარი ბნელ ოთახში და ის თავად მზედ იქცევა.

ამგვარად, გონება იმათკენ მიემართება, ვინც თქვენზე დაბლაა. ეს წყალს ჰგავს. როგორც წყალი ეძებს ყველაზე დაბალ დონეს, ასევე გონება ეძებს მას, ვინც მასზე დაბლაა. კაცი არ მოისურვებს ისეთ ქალზე დაქორწინებას, რომელიც მასზე ჭკვიანია. ის არ შეირთავს თავისზე უფროს ქალს.

რატომ? ფიზიოლოგიურად უკეთესი იქნებოდა, კაცს ცოლად თავისზე ხუთი წლით უფროსი ქალი მოეყვანა. მაშინ ისინი შესძლებდნენ ეროდროულად სიკვდილს. ქალებს ხომ ასაკის უფრო ხანგრძლივი ლიმიტი აქვთ. მაშინ ქვეყნად გაცილებით ნაკლები ქვრივი იქნებოდა. ეს ძალიან სევდიანი რამ არის.

ბიოლოგიურად სწორი იქნებოდა, ოცი წლის ყმაწვილს ცოლად ოცდაოთხი წლის ქალი რომ შეერთო, მაგრამ „ეგო“ ამ დროს შეურაცხყოფილია. არ დაქორწინდებით არც თქვენზე შეგნებულ და არც თქვენზე უფროს ქალზე. ამით „ეგო“ შეურაცხყოფილი დარჩება.

შეხედეთ თქვენს მეგობრებს — რატომ ამოირჩიეთ ისინი? სულის სიღრმეში ამის მიზეზსაც იპოვნით — ისინი თქვენზე დაბლა დგანან. მათ გვერდით თქვენ სინათლედ იქცევით, სხვაგვარად კი ჩვეულებრივი ლამპარი ხართ.

ადამიანები ცხოველების შეყვარებასაც ახერხებენ. ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ ადამიანების სიყვარული, როგორ შესძლებენ ცხოველების სიყვარულს? ძაღლს სცემთ თუ მოეფერებით, მაინც გამოგედევნებათ კუდის ქიცინით, ყოველთვის გაუხარდება თქვენი დანახვა. ძაღლზე უკეთეს თანამგზავრს ვერც კი იპოვნით.

ასე რატომ მეგობრობენ ადამიანები ძაღლებთან? იმიტომ, რომ ვინც თქვენზე დაბლაა, გეხმარებათ, თავს მასზე უკეთესად გრძნობთ.

მოლა ნასრედინი კარტს ეთამაშებოდა თავის ძაღლს. ნაცნობმა დაინახა და გაუკვირდა — ძაღლი მართლა თამაშობდა. ნაცნობმა უთხრა ნასრედინს: „საუცხოო და გონიერი ძაღლი გყოლიაო“.

ნასრედინმა უპასუხა: „არაფერიც. ის არც ისეთი ბრძენია, როგორც გგონია. როცა კარგი კარტი მოსდის, ის კუდს აქიცინებს“.

გონება ყოველთვის იმას ეძებს, ვინც მასზე შეუგნებელია. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ძაღლი თქვენზე განვითარებულია, თანაც ბევრ რამეში. ადამიანი სულ უფრო ქვეშეთ ეშვება და მაშინ სიყვარულის ობიექტია ავტომანქანები. მათ, როგორც მოგესურვებათ, ისე მოექცევით, ავტომანქანა კი ვერაფერს გიზამთ. ამას ემატება სახლი, ნივთები, ნივთებთან თავს მაღლა გრძნობთ, თქვენ პიროვნება ხართ.

სატსანგი გულისხმობს თქვენზე უფრო შეგნებული საზოგადოების ამორჩევას, გონება კი გეხმარებათ თქვენზე დაბლა მდგომთა ამორჩევაში.

იფხიზლეთ და მოერიდეთ ამას. დაბლა მდგომებთან თქვენც დაბლდებით. შეგნების სხივი სიბნელეში დაიკარგება. ყოველთვის შეგნებულნი ეძებეთ და ისწრაფეთ მათკენ, მაგრამ ეს თქვენს „ეგოს“ შეურაცხყოფს.

სატსანგი გულისხმობს ცხოვრებას „ეგოს“ საპირისპიროდ, „ეგოზე“ აღმატებას, ყოველთვის უფრო განვითარებულის ძიებას. გსურთ შეხვდეთ ღმერთს და უბედური ხართ იესოსთან ან ბუდასთან შეხვედრით. მაშ, როგორ განახორციელებთ პირველს? ღმერთი მთელი ყოფიერების კულმინაცია, უმაღლესი სინათლე და მთელი ცხოვრების ყვავილობაა. თუ ყოველთვის იმათ ირჩევთ, ვინც თქვენზე დაბლა დგას, ვერ დატკბებით ღვთის სასუფეველში შესვლით. თქვენ არასწორ გზას მიყვებით.

ერთი რამ ყოველთვის გახსოვდეთ: იცხოვრეთ ადამიანთა გარემოცვაში, მეგობრების, წიგნების სამყაროში და ნუ დაგავიწყდებათ, რომ არის რაღაც უფრო უმაღლესი. ამგვარად შესძლებთ უარი თქვათ „ეგოზე“, დაიმდაბლოთ თავი და უარყოთ „ეგო“. მუდამ, ყოველი ფეხის ნაბიჯზე, თქვენზე შეგნებული ეძებეთ და შესძლებთ იესოსთან შეხვედრას. და თუ ამას მოახერხებთ, შეხვდებით ღმერთსაც.

ეს არის აზრი და მნიშვნელობა იესოს სიტყვებისა: **„თუ არა ჩემით, ვეღარ მიაღწეთ მას“.** თუ არ შეგიძლიათ ჩემთან შეხვედრა, როგორ ფიქრობთ უმაღლესთან შეხვედრაზე? თუ ხვდებით შვილს, არის მამასთან შეხვედრის შესაძლებლობა, რადგან შვილი მხოლოდ წარმომადგენელია. ავატარები, ბუდები და ტირტჰანკარები მხოლოდ წარმომადგენლები არიან და უმაღლესის სინათლეს წარმოადგენენ.

თუ არ შეგიძლიათ მათთან შეხვედრა, მათთან ცხოვრება; თუ თქვენი „ეგო“ მათ თქვენთან არსებობის ნებას არ აძლევს, მაშინ არ არის შესაძლებლობა საბოლოო, ზღვრულ ჭეშმარიტებასთან მისვლისა.

იესომ თქვა: **„...მიეცით, ვინც ეძებს. იგი ნუ შეწყვეტს ძიებას, ვიდრე არ ჰპოვებს...“**

გონება ლეტარგიულ ძილშია, ხოლო როდესაც მოძრაობთ, ის უფრო მეტად ლეტარგიულია. თუ მოძრაობთ ქვემოთ, მას მეტი ენერგია აქვს, რადგან ქვემოთ მოძრაობას ძალისხმევა არ სჭირდება. ეს ჩანჩქერს წააგავს. ჯოჯოხეთში მოსახვედრად არანაირი ძალისხმევა არ არის საჭირო. იქ იქნება თქვენი ადგილი.

უკვე ეშვებით დაბლა და დაბლა, თქვენი გონების ყველაზე დაბალი მდგომარეობა კი ჯოჯოხეთია. ეს არ არის რაღაც გარეგანი. ეს თქვენი კიბის ყველაზე დაბალი საფეხურია, სადაც მოელი შეგნება ქრება და თქვენ უბრალო მცენარეულ ფენომენად იქცევით. მაგრამ თუ მოძრაობთ ზემოთ, მეტი ძალისხმევაა საჭირო.

აი, რატომ ამბობს იესო: „მიეცით მას, ვინც ეხება, იგი ნუ შეწყვეტს ძიებას, ვიდრე არ ჰპოვებს...“

ეს შეგონება თითქმის ძერის საწინააღმდეგოდ ღერს, მაგრამ ეს ასე არ არის. საჭიროა ამის გაგება. ძერის ოსტატი ამბობს: „ნუ დაატანთ ძალას, არ გამოიყენოთ ძალა, თორემ ღაკარგავთ, იყავით მშვიდი და მთლიანად მოღუნებული. მინებდით მდგომარეობას: „დაე, იყოს“. ეს მოღუნება უკვე ძალისხმევაა და აქტიურობა გრძელდება“.

ძენი არ არის სათქვენო. თქვენოვის იესო არის და თუ მას მიჰყვებით, დადგება მომენტი, როცა ძენი გასაგები და მისაწვდომი გახდება თქვენთვის. როდის მოვა ეს მომენტი? როცა ამოწურავთ ყველა ძალას; როცა გააკეთებთ ყველაფერს, რაც უნდა გაკეთებულიყო; როცა მიხვალთ თქვენი ძალისხმევის საბოლოო მწვერვალთან. მაშინ არაფერი აღარ იქნება საკეთებელი. თქვენი შესაძლებლობები ამოწურული იქნება. მთელი ენერგია დაიხარჯება საბოლოო ძალისხმევაზე და თქვენ გაერდებით და დუნდებით.

ეს თავისთავად ხდება. თქვენ არ აკეთებთ ამას. ეს იმას ჰგავს, ადამიანი რომ გარბოდეს, მერე კი ველარ შესძლოს სირბილი. იარაღი რომ მიუშვირო და უბრძანო: „გაიქეციო“, გიპასუხებთ: „ეს ჩემს ძალას აღემატებაო“.

ერთი ბაყაყი სოფლის ტალახიან გზაზე მანქანის ნაკვალევში ჩავარდნილა და ველარ ამოდიოდა. სხვა ბაყაყებიც ეხმარებოდნენ, მაგრამ ამაოდ. მოსაღამოვდა და ამხანაგებმა მიატოვეს ბედის ანაბარა. მეორე დღეს მიაკითხეს და ცოცხალი და მხიარულად მოხტუნავე რომ ნახეს, ჰკითხეს, როგორ ამოხვედიო?

„სატვირთო მანქანა მიახლოვდებოდა და სხვა გზა არ მქონდა, თავი უნდა გადამერჩინაო“, — უპასუხა ბაყაყმა მოძმეებს.

როცა საშიშროება არ არის, მთელი ძალის დახარჯვა არ მოგიწევთ. სიკვდილის ან სატვირთო მანქანის დანახვისას კი თქვენ მთლიანად იხარჯებით და ნაკვალევიდან ამოხვალთ.

ბევრს კარგავთ, რადგან ჯერ კიდევ არსებობს რაღაცები რასაც ეჭიდებით. თითქოს აკეთებთ რაღაცას, ატარებთ მედიტაციებს, მაგრამ უგულოდ. ეს სითბური ძალა არ არის საკმარისი. მისი საშუალებით ვერ აოროქლდებით. არსებობს კანონი — აორთქლება გარკვეულ ტემპერატურაზე ხდება.

რაღაცას აკეთებთ, მაგრამ კარგად იცით, რომ ამაში სანახევროდ იხარჯებით და თუ სანახევროდ ხართ მასში, არაფერი ხდება. სატვირთო მანქანა ჯერ არ მოსულა. თქვენ ნაკვალევში ხართ, თქვენს ნახევარს სურს ამოსვლა, ნახევარს არ სურს ამაზე დაიხარჯოს. გსურთ, იყოთ თავისუფალი, მაგრამ თვით ნაკვალევი გიცავთ, გაძლევთ აგრეთვე უსაფრთხოებას, ის სახლს ჰგავს. იქიდან ამოსვლა, როგორც ჩანს, დიდ ძალისხმევას მოითხოვს.

იესო ამბობს: ეძიეთ, ეძიეთ, ვიდრე არ ჰპოვებთ! კვლავაც დახარჯეთ ძალა, ძალისხმევა კულმინაციამდე მიგიყვანთ, კრეშჩენდომდე. მაშინ ძენიც მისაღები გახდება თქვენთვის. თუ ძენით იწყებთ, შეიძლება არასწორი მიმართულებით წახვიდეთ. ასე ხდება დასავლეთში, რადგან ძენის დასავლეთელმა მკვლევარებმა არ იციან იმ ძალისხმევის შესახებ, რაც ძენის ადამიანებმა დახარჯეს მოდუნებამდე. თანაც, ეს ძალიან მომხიბვლელია ზარმაცი გონებისათვის. ეს იზიდავს დასავლეთის ხალხს: მიმზიდველია ის, რომ არაფერი არ უნდა აკეთოთ და უკვე წესრიგში ხართ. ეს გხიბლავთ, მაგრამ ვერ გეხმარებათ.

ვიდრე იმ წერტილს მიაღწევდეთ, როცა მოდუნება შეგიძლიათ, ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. მოდუნება თქვენი მცდელობით არ მოდის. ის თავისთავად ხდება. იმის გამო, რომ მთელი ენერგია მოძრაობს და არაფერი რჩება მშვიდად — მოდის სიმშვიდე. და ძენი მართალია, რადგან მხოლოდ ამგვარ სინამდვილეში გამოვლინდება საბოლოო. იესოც მართალია, რადგან სიმშვიდე მას შემდეგ მოდის, რაც მთელ თქვენს ენერგიას ძალისხმევაში ჩასდებთ.

იესო პირველი ნაწილია, ძენი კი — იგივე პროცესის მეორე ნაწილი, ძენი დასასრულია, იესო — დასაწყისი. მსურს

შთაგაგონოთ, რომ თქვენთვის იესო უკეთესია, რაღგან ყველანი დამწყებები ხართ. ძენმა შესაძლოა გზას აგაცდინოთ, თქვენ არასწორად გესმით მისი მოძხებელელობა. შეიძლება ასეც იფიქროთ: „არაფრის გაკეთება არ არის საჭირო, მე ასეთიც კარგი ვარ“.ეს ასე რომ იყოს, პრობლემები აღარ იქნებოდა. რატომ მოხველით ჩემთან? რა საჭიროა ძენთან მისვლა? რა საჭიროა იესოს ძიება?

თუ მართლაც კარგები ხართ, პრობლემები აღარ უნდა იყოს. რა საჭიროა ძიება? რატომ უნდა დახარჯოთ დრო ძიებაში? ეს ყველაფერი აღარ იქნება საჭირო, თუ უკვე სრულყოფილნი ხართ, მაშინ აღარ უნდა გჭირდებოდეთ არანაირი იოგა, არანაირი ტანტრა, არანაირი მეთოდი, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარადაა. იმ მდგომარეობაში, როგორშიც ახლა ხართ, რაღაც არა გაქვთ წესრიგში. თავს გრძნობთ უბედურად, არა ხართ ნეტარი და ექსტაზური, თქვენ იტანჯებით. თქვენი არსება ავადაა. თქვენ არა ხართ წესრიგში!

მოუსმინეთ იესოს: „...მიეცით, ვინც ეძიებს, იგი ნუ შეწყვეტს ძიებას, ვიდრე არ ჰპოვებს...“

და მხოლოდ ბოლოს მიხვდებით, რომ ძენის ადამიანები მართლები არიან, რადგან, როცა ყველაფერს გააკეთებთ, ის, რაც უნდა გაგეკეთებინათ, ძალდატანება ქრება და მოდის „ძალდაუტანლობა“.

ამ სინამდვილეში, მუდმივობაში არ არის არანაირი აქტიურობა, არანაირი მოძრაობა, არანაირი ენერგია რამის გასაკეთებლად. არის სამადჰი, ზღვრული ჭიშკარი. ეს მხოლოდ ძალდაუტანებლობაში ხდება, მაგრამ დიდი ძალდატანების შემდეგ.

„... ნუ შეწყვეტს ძიებას, ვიდრე არ ჰპოვებს
და როცა ჰპოვებს, ის აღელდება...“

ეს ძალზე ძნელია:

„ის აღელდება, გაკვირდება და გამეუდება ყოველივეზე...“

რატომ იქნებით აღელვებული, როცა იპოვით? იმიტომ, რომ ეს ძალიან დიდი, უსაზღვრო, უსასრულო რამ არის და

როცა პოულობთ, პირველად იბნეული. როცა შეიგრებთ ამას, იმ კაცს ემსგავსებით, მთელი ცხოვრება ბნელ ოთახში რომ იჯდა და უეცრად კაშკაშა მზის შუქზე გამოიყვანეს. ის აღელდება, მისი თვალები ვერ გაუძლებენ ძლიერ შუქს. რომც გაახილოს თვალები, სინათლე იმდენად თვალისმომჭრელი იქნება, რომ სიბნელედ მოეჩვენება.

ღმერთთან პირველი შეხვედრა კრიზისია, რადგან თქვენ მრავალი ცხოვრება განულეთ არასწორად. ამიტომ როცა მოვა ნეტარება, ვერ დაუჯერებთ მას, შეშფოთდებით. არასოდეს არ ელოდით, არ იცოდით რომ ეს შეიძლება მოხდეს. ლაპარაკობთ ღვთის შესახებ, მაგრამ გაინ იცით, რაზე ლაპარაკობთ? რა გაქვთ მხედველობაში? სიტყვა „ღმერთი“ არ არის ღმერთი. თეორიები ღვთის შესახებ არ არის ღვთიური. შეიძლება ეს სიტყვა გაისაზღვროთ ლექსიკონიდან ან წმინდა წერილიდან, მაგრამ სინამდვილეში რა გაქვთ მხედველობაში, როცა ამბობთ, რომ ღმერთს ეძებთ?

ერთი პატარა ბიჭი სურათს ხატავდა. დედამ ჰკითხა, რას აკეთებო — ბიჭმა გაიკვირვა და უთხრა: „დამაცადე, ნუ მაცდენ, ღვთის პორტრეტს ვხატავ“.

დედამ ჰკითხა: „კი მაგრამ, არავინ იცის, როგორია ღმერთი, არავინ იცის, სად არის იგი. როგორ დახატავ მის პორტრეტს?“

„ნუ ღელავ, როცა ნახატს დავასრულებ, ყველა გაიგებს, როგორია იგი“, — მიუგო ბიჭმა.

ყველა მაძიებელი ამ მდგომარეობაშია. არ იცით, რას ეძებთ; არ იცით, რა გაქვთ მიზნად, სად მიდიხართ და რატომ. თქვენ შინაგანი მოთხოვნილების მიხედვით იქცევით, მაგრამ ჯერ არასოდეს განგიცდიათ ის, რის გამოც ეს მოთხოვნილება არსებობს. მოძრაობთ, აღწევთ და როცა უეცრად ხდება ეს, შეშფოთდებით ხოლმე.

ეს შეგონება გვიჩვენებს, რომ იესომ ყველაფერი ბრწყინვალედ იცოდა.

ნეტარება მოდის, მაგრამ მხოლოდ კრიზისის შემდეგ. ღმერთი უდიდესი კატასტროფაა, რაც კი შეიძლება შეგემთხვათ — თქვენ მოლიანად დაინგრევით, აღმოჩნდებით უძირო უფსკრულში, მთელი თქვენი ყოფიერება გაქრება ისე, როგორც კვამლი; უეცრად გაიფანტებით ღრუბელივით და ამოვა მზე, გამოსხივების უდიდესი სინათლე და უდიადესი ჭეშმარიტება. თქვენ კი მუდამ სიცრუეში ცხოვრობდით. ნამსხვრევებად იქცევით, მთლიანად განადგურდებით, მოკვდებით და გაჩნდება ღმერთი. როცა აღწევთ ჭეშმარიტებას, თქვენ უბრალოდ ქრებით.

იესო მართალია — თქვენ აღელდებით! ბევრი დაბრუნდება უკან ამ მდგომარეობიდან. ბევრმა დატოვა იგი, გამოიქცა და აღარასოდეს მიუხედავს მისკენ, რადგან ეშინოდათ. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ათეისტები სწორედ ისინი არიან, რომლებმაც რომელიმე წინა ცხოვრებაში მიაღწიეს ამ მდგომარეობას და იმდენად შეშფოთდნენ, რომ თვალდახუჭული გამოიქცნენ. ახლა მათ ეშინიათ ამ მდგომარეობის, გაქცევის საუკეთესო საშუალება კი ღვთის უარყოფაა.

ათეისტები ბავშვებს წააგვანან. ბავშვს თუ უშლით ტკბილეულის ჭამას და აშინებთ ავად გახდომით, იგი ტკბილეულის დანახვისას თვალებს ხუჭავს და ეშინია. ათეისტებიც იმდენად შეშინდნენ, რომ ახლა უარყოფენ ღმერთს. მათი შიში ფსიქოლოგიურია და არა ფილოსოფიური.

ბევრ ათეისტს შევხვედრივარ. მე ვაღრმავებივარ და დამინახავს, რომ ისინი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც ოდესღაც ისე შეშინდნენ, რომ ახლა იმის წარმოდგენაც კი, რომ ღმერთი არსებობს, შიშის ზარს სცემს მათ: „თუ მაინც არსებობს ღმერთი, მაშინ ის კვლავ მიიზიდავს მათ და ისინი კვლავ დაიწყებენ მისკენ სწრაფვას. არა, ღმერთი არ არსებობს, არ არსებობს ჭეშმარიტება. ეს ყოველივე ტყუილია და მთელი ცხოვრება შეთხზვითობაა მხოლოდ...“ მაშინ ათეისტები მშვიდად არიან და შეუძლიათ თავი აარიდონ

საბოლოო კატასტროფას. იესო მართალია: „ვინც ჰპოვებს, ის აღელდება...“

თქვენც მიხვალთ ამ მდგომარეობამდე. ბევრ თქვენგანს მიუღწევია ოდესღაც ამისთვის, არა ზუსტად იმ წერტილისათვის, რომელზედაც იესო ლაპარაკობს, არამედ მისულხართ ამ წერტილის სიახლოვეს. ახლა მოხვედით ჩემთან და მეუბნებით: „ეს ძალიან ძნელია, მე არ შემიძლია მედიტაციების ჩატარება და არც მინდა. მე შიში მიპყრობს. ეს სიკვდილს ჰგავს. სიცოცხლის საძებნელად მოვედი და არა სიკვდილისა, მე შეშინებული და აღელვებული ვარ, როცა თვალებს ვხუჭავ და ვეღრმავდები საკუთარ თავს, ისეთი გრძნობა მიჩნდება, თითქოს ვკვდები...“

ბევრი თქვენგანი მეუბნება ამას. ეს კარგი ნიშანია, რადგან იმის მაჩვენებელია, რომ თქვენ მართლაც შედიხართ შიგნით; რომ მედიტაცია ხორციელდება. ნუ გაექცევით ამას, სწორედ ეს არის მთლიანობის განძი. ცოტაც და მიხვალთ იმ წერტილში, სადაც ისე შეშფოთდებით, ისე აღელდებით, რომ მთელი თქვენი არსება დადგება სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე. ყოველთვის არსებობს ამ წერტილიდან გაქცევის საშუალება. მაგრამ თუ გამოიქცევით, ბევრი ცხოვრების განმავლობაში ვეღარ შესძლებთ გამბედაობის მოკრებას, რათა ამავე მიმართულებით წახვიდეთ. თქვენ უბრალოდ გაექცევით ამას. მაშინ თქვენს არსებაში უბედურება დაისადგურებს. იყავით ფხიზელნი! ნუ შეეცდებით გაქცევას! იარეთ წინ! ყველამ უნდა გაიაროს ეს გზა.

ესეების სკოლას, რომელსაც ქრისტე მიეკუთვნება, ამ მძიმე მდგომარეობის აღსანიშნავად ჰქონდა სპეციალური სიტყვა. ისინი ამას „სულის ბნელ ღამეს“ უწოდებდნენ. თითოეულმა უნდა გაიაროს ეს გზა. მხოლოდ მაშინ ამოვა მზე, როცა გაივლით სულის ბნელ ღამეს. რაც უფრო ბნელია ღამე, მით უფრო ბედნიერები იქნებით, რადგან მალე გათენდება. სულ მალე სიბნელის საშოდან დაიბადება მზე. ნუ შეეცდებით გაქცევას. ყოველ გარიყრაჟს სჭირდება ბნელი ღამის წიაღი.

ლამე ამზადებს ნიადაგს დილისათვის. ეს არის გაჭირვებული შდგომარეობა — წიაღი, რომლიდანაც იბადება უკიდურესი ნეტარება.

იესო მართალია, უსმინეთ მას და დაიმახსოვრეთ. ერთ მშვენიერ დღეს ეს თქვენ შეგემთხვევათ და სულ მალე კარგად გახდებით. გიხაროდეთ, როცა თავს გასაჭირში გრძნობთ, მაგრამ არა ამქვეყნიური მშფოთვარების გამო, არამედ იმ მღელვარების გამო, რომელიც მოდის ჭეშმარიტების მიღწევით, როდესაც ახლოს ხართ მასთან. გიხაროდეთ!

გასხივოსნებულის გვერდით იგივე ღელვა გეუფლებათ. მასთან მიახლოებისას შიში გიპყრობთ, კანკალებთ და პოულობთ გაქცევის მიზეზს. ყველანაირად ცდილობთ, რომ მასთან არ მიხვიდეთ. თქვენ ძლიერი მიზიდულობა გაქვთ მასთან, მაგრამ კარგავთ სიმშვიდეს. არ შეგიძლიათ ქრისტესთან ან ბუდასთან ყოფნა, მაგარამ ეს აუცილებლად უნდა გაიაროთ, ვინაიდან ეს ზრდის ნაწილია.

„... და როცა ჰპოვებს, ის აღელდება...“ მაგრამ თუ არ გამოიქცევა კვლავ ამქვეყნიურისაკენ, მაშინ „გაკვირდება...“ და გაოცდება. მაშინ ის იგრძნობს საიდუმლოს და გაიცინებს, რადგან ღამემ მშვენიერი დილა მოიტანა. ასეთი ჯოჯოხეთიდან, შიშისა და ტანჯვისაგან ასეთი ნეტარება იშვა, ეკლებიდან ასეთი მშვენიერი ყვავილი აღმოცენდა.

მაშინ „...ის აღელდება, გაკვირდება და გამეუდება ყველაფერზე...“ მაშინ ის აღარ იქნება ღატაკი. ენებები გაქრება მაშინ, როცა თქვენს ნამდვილ „მეს“ მიაღწევთ. შუაგული მიღწეულია. თქვენ გახდებით მეუე და იმპერატორი.

„...და გამეუდება ყველაფერზე...“

ახლა მთელი ყოფიერება მისი სამეუოა.

იესომ თქვა: „...ის, ვინც იპოვის ამ სიტყვების ახსნას, არ იგემებს სიკვდილს...“

„... ვინც იპოვის ამ სიტყვების ახსნას...“ სიტყვიერი ახსნა აქ არ იგულისხმება, რადგან ეს ვერ გიშველით. მე აგიხსენით სიტყვიერად, მაგრამ ამან ვერ გაქციათ უკედავად. მთავარია

ცხოვრებისეული ახსნა, თორემ სიტყვები უფრო აბუნდოვნებენ მნიშვნელობას. მხოლოდ გამოცდილება შეიძლება იქცეს ახსნად და იესო ამბობს: ის, ვინც იპოვის ამ სიტყვების ახსნას...“

ეს ვიღაც არის ის, ვისაც აქვს გამოცდილება; ვინც განვლო ეს უბედურება, მდგომარეობა განგაშისა, ტანჯვა — წამებისა, ვინც გადალახა სულიერი ღამე; ის ვინც გაოცდა და შეიცნო იდუმალება.

ჩვენი საუკუნის ერთერთმა ყველაზე გამჭრიახმა და შორსმჭვრეტელმა პიროვნებამ — რუდოლფ ოტომ* დაწერა წიგნი „იდეა უწმიდესისა“. მასში ის იყენებს ორ სიტყვას: „ტრემენდუმი“ და „მისტერიუმი“. პირველად, როდესაც აღწევთ ამ მტანჯველ მდგომარეობას, ყველაფერი საშინლად გეჩვენებათ, ეს არის ტრემენდუმი. თქვენ იბნევით და ვერ იგებთ, რა მოხდა. ჭკუიდან იშლებით და გეუფლებათ იმის შეგრძნება თითქოს გონება არ გიმუშავებდეთ. ეს არის ის ბოლო წერტილი, რომლის დადგომამდეც უნდა ფუნქციონირებდეს გონება. ახლა საჭიროა, უკან მოიტოვოთ გონება. ეს არის ტრემენდუმი — შინაგანი მიწისძვრა. ვულკანმა უკვე ამოხეთქა და წარსული დანგრეულია.

თუ შესძლებთ ტრემენდუმის გავლას, გაჩნდება მისტერიუმი — იდუმალება. ეს არის ის, რისი ახსნაც არ შეიძლება. იმის ახსნა, რაც ნეტარია, მშვენიერია და ექსტაზური, შეუძლებელია. ეს არის ყოფიერების სათავე, რომლის იქითაც ვერ წახვალთ. მის იქით აღარაფერი არ არის. შეიძლება გამოსცადოთ იგი, მას ვერ გააანალიზებთ. ეს არის მისტერიუმი — უკიდურესი საიდუმლო.

და ამბობს იესო: „ის, ვინც იპოვის ამ სიტყვების ახსნას, არ იგემებს სიკვდილს...“

მას, ვინც იგემა ყოფიერების უკიდურესი საიდუმლო, არ ეწევა სიკვდილი. სიკვდილი მხოლოდ გონების და „ეგოს“ გამო არსებობს და აგრეთვე იმიტომ, რომ საკუთარ თავს სხეულთან აიგივებთ. თუ არ იგივდებით სხეულთან, თუ არ

გაქვთ შეშლილი „ეგო“, თუ ცენტრირებული ხართ „მე“-ში, თქვენ უკვდავნი ხდებით.

სიკვდილი არსებობს იმიტომ, რომ თქვენ სიცრუე ხართ. თუ სიმართლედ იქცევით, სიკვდილი გაქრება. ჭეშმარიტებისათვის არ არსებობს სიკვდილი. ეს არის მარადიული ცხოვრება. მაშასადამე, არსებობს მანკიერი წრე. სიკვდილი არის იმიტომ, რომ თქვენ ხართ სიცრუე. სიკვდილის გამო კი თქვენს გარშემო ქმნით სიცრუეს, რადგან გეშინიათ და გინდათ თავი დაიცვათ. თქვენ ჩართული ხართ მანკიერ წრეში. უნდა იყოთ ფხიზლად და გამოხტეთ ამ წრიდან.

სიკვდილი არსებობს „ეგოს“ გამო. „ეგო“ კი ყველაზე ყალბი და ყველაზე ილუზიური რამ არის. სინამდვილეში ის არ არსებობს. ეს ყოველთვის უნდა გახსოვდეთ. თუნდაც 24 საათით რომ მიატოვოთ „ეგო“, ის მოკვდება. მისი გაქრობისათვის 24 წამიც კი საკმარისია.

„ეგომ“ რომ შესძლოს არსებობა უნდა კვებოთ იგი. მთელი ცხოვრება მასზე მუშაობთ, მაგრამ ის აზრი, თითქოს ვილაც ხართ, ვინც შეიძლება გადარჩეს, ოცნებაა. ბოლოს კი სიკვდილის დროს შიშს გრძნობთ. „ეგო“ ქრება და თქვენ გონებას კარგავთ. სხვა სხეულში იბადებით ხელახლა, უგონო მდგომარეობაში და მთელი ეს მანკიერი წრე ხელახლა იწყება. ნუ იქნებით სიცრუე! განაგდეთ იგი! მოიშორეთ ნიღაბი! იყავით ჭეშმარიტი ადამიანი. შეეცადეთ ის იყოთ, ვინც ხართ! ნუ შეეცდებით იყოთ ის, ვისაც არ წარმოადგენთ! პრეტენზია უმძიმესი ტვირთია და მხოლოდ ჭეშმარიტება გიხსნით.

იესომ თქვა: ჭეშმარიტება გაგანთავისუფლებთ, ჭეშმარიტება გადაგარჩენთ, ჭეშმარიტება იქცევა სამარადისო ცხოვრებად და უთხრა მოწაფეებს:

„... ის, ვინც იპოვის ამ სიტყვების ახსნას,

არ იგემებს სიკვდილს...“

მეც იგივეს გეუბნებით: თუ შესძლებთ იგემოთ თქვენი „მე“, არ იგემებთ სიკვდილს. ის კი, რასაც თქვენი შველა

შეუძლია, უკვე აქ არის, ეს არის მდოგვის მარცვალი. დაეხმარეთ მას ზრდაში.

პირველი დახმარება, რომელიც მას შეგიძლიათ გაუწიოთ, იქნება ის, რომ ხელი შეუწყოთ სიკვდილში. დაე, გაიხსნას ისე, რომ მასში დაფარული შინაგანი სინათლე გამოაცისკროვნდეს, რომ თესლი დიდ ხედ აღმოცენდეს. მარცვალი პატარაა, მაგრამ ეს ხე უზარმაზარი გაიზრდება. მარცვალი არ ჩანს. ხე კი? ხე იქცევა დიდ თავშესაფრად, სადაც მილიონობით ცოცხალი ფრინველი დაიბუდებს.

ჭეშმარიტება გიხსნით თქვენ და თქვენი საშუალებით ბევრ სხვა ადამიანსაც. ჭეშმარიტება თქვენთვის თავისუფლებად იქცევა და სხვებისთვის — თავისუფლებაში შესასვლელ კარიბჭედ. თუ სინათლედ იქცევით, განა მარტო თქვენი ცხოვრება განათდება. თქვენ სინათლედ იქცევით მილიონობით ადამიანისათვის. მრავალნი მიაღწევენ თქვენი საშუალებით სანუკვარ მიზანს. თუ სინათლედ იქცევით, თქვენ გახდებით ღვთის მოციქული, ქრისტე!

მე არ მსურს, თქვენ ქრისტიანები გახდეთ. ამას არა აქვს მნიშვნელობა და სიცრუეა. მე მსურს, თითოეული თქვენგანი ქრისტედ იქცეს. თითოეულ თქვენგანს შეუძლია, იქცეს ქრისტედ. თითოეულ თქვენგანშიც იგივე მარცვალია!

1974 წლის 10 სექტემბერი
პუნა, ინდოეთი.

განმარტებები

საუბარი პირველი

ოსტატი — ჰეშმარიტებას ნაზიარები, გასხივოსნებული მოძღვარი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს მოწაფესთან.

მოწაფე — იგულისხმება ჰეშმარიტების მაძიებელი.

ზ. ფროიდი (1856–1939 — ავსტრიელი ექიმ-ნევროპათოლოგი და ფსიქიატრი.

კ. იუნგი (1875–1961) — შვეიცარიელი ფსიქოანალიტიკოსი.

სიდჰარტჰა გაუტამა შაკია — მუნი (ძვ.წ. 6–5 სს) ბუდიზმის ფუძემდებელი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ინდოეთში.

ბუდა (სანსკრ) — „გაბრწყინებული", „გასხივოსნებული" — აბსოლუტურად

მოკშა — სულიერი გათავისუფლება, ხსნა.

არისტოტელე (ძვ.წ. 384–322) — ბერძენი ფილოსოფოსი, ლოგიკის მეცნიერებისა და სპეციალური ცოდნის სხვადასხვა დარგის დამფუძნებელი.

პლატონი (ძვ.წ. 428–348) — ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატეს მოწაფე.

სოკრატე (ძვ.წ. 469–399) — ბერძენი ფილოსოფოსი.

„მესამე თვალი" — იგულისხმება სულიერი თვალი, სულის გონი, სამყაროს ჰეშმარიტი აღქმის საშუალება.

ტირტჰანკარა — ჰეშმარიტებას ზიარებული, ბრძენი.

ეგო (ლათ. „მე") — ყალბი „მე"-ების კრებული, რომელიც ადამიანს თავის ჰეშმარიტ არსს აცილებს.

ლაო ძი (ძვ.წ. VI–V) — ძველი ჩინელი ბრძენი — მისტიკოსი. „დაოსიზმის" ფუძემდებელი.

მარკ ტვენი — ამერიკელი მწერალი.

კრიშნა — ინდუიზმის ტრადიციების მიხედვით ღვთაება ვიშნუს მერვე განსხეულება. განასახიერებს სიბრძნისა და ქმედების ერთიანობას.

რამა — პოემა „რამაიანის“ გმირი, ვიშნუს ერთ-ერთი განსხეულება.

საუბარი მეორე

ბერტრან რასელი (1872–1970) — ინგლისელი ფილოსოფოსი, ლოგიკოსი და საზოგადო მოღვაწე.

მაჰავირი ვარდჰამანა (ძვ.წ. 7–6 სს) — გასხივოსნებული, ინდური ფილოსოფიისა და რელიგიის არაორთოდოქსალური სისტემის ჯაინიზმის ფუძემდებელი.

კათარზისი (ბერძ. „განწმენდა“) — იხმარება რელიგიური, ეთიკური, ფიზიოლოგიური ან სამედიცინო მნიშვნელობით.

მაია — ძველინდური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების თანახმად, ჭეშმარიტი რეალობა არის ბრაჰმა (სამყაროს შემოქმედი ღმერთი, ხოლო სამყარო არის მოჩვენება, ილუზია, მაია).

შანკარაჩარია — სასულიერო წოდება ინდოეთში.

მაჰატმა (სანსკ. „დიადი სული“) — იხმარება როგორც გამოჩენილი, სულიერად მაღალგანვითარებული ადამიანის ზეწოდება.

გურუ — სულიერი მოძღვარი.

პანჩატატრა — ცხოვრებისეული სიბრძნის ხუთი წიგნი. მასში გადმოცემულია ინდური ხალხური ზღაპრები, ნოველები და იგავები.

კაბალა (ძვ. ებრ. „გადმოცემა“, „თქმულება“) — ებრაული მისტიკურ — რელიგიური მოძღვრება. „კაბალისტი“ — მიმდევარი

სუფია — სუფიზმის რელიგიურ-მისტიური მოძღვრება აღმოსავლეთ ქვეყნებში — ჩამოყალიბდა მე-8-9 სს-ში.

გიორგი გურჯიევი (1887-1949) — ჰეშმარიტებას ნაზიარები ოსტატი, მისტიკოსი.

ჯანაკა — გასხივოსნებული, ბრძენი მეფე. ცხოვრობდა ინდოეთში.

თომა აქვინელი (1225-1274 წწ) — შუა საუკუნეების კათოლიკე თეოლოგი.

საუბარი მესამე

კარმა — მიზეზ-შედეგის უცვლელი და უქცეველი კანონი, ბედისწერა, მოქმედება. მის თანახმად, ყოველი ადამიანის ბედი მკაცრადაა განსაზღვრული იმით, თუ როგორია მისი კარმა, ე.ი. წინა განსხეულებების დროს დაგროვილი მიზეზები, რომლებიც მომდევნო ცხოვრებაში თავიანთ შედეგს გამოიწვევენ. კარმის მოქმედების შეჩერება. ე.ი. განსხეულებათა ჯაჭვისაგან გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც შეიცნობს და შეერწყმება ჰეშმარიტებას.

სამსარა — მატერიალურ სამყაროში დაბადება-სიკვდილის განმეორებითი ციკლი.

ე.პ. ბლავატსკაია (1831-1891) — თეოსოფიური საზოგადოების დამაარსებელი.

დაო — გზა, უოფიერების ძირითადი კანონი.

ყადირი — მუსულმანი მისტიკოსი. გასხივოსნებული.

სადჰანა — იოგური პრაქტიკა, სულიერი თვითდისციპლინა.

საუბარი მეოთხე

აუთენტური (ბერძ. „თვითმყოფი") — ნამდვილი, ჭეშმარიტი.

ნუდიზმი (ლათ. „შიშველი") — მიმდინარეობა, რომელიც შიშველი სხეულის კულტს ქადაგებს.

ბრაჰმაჩარი — სულიერი განვითარების გზაზე მავალი ადამიანი, რომელიც სქესობრივ ურთიერთობისაგან თავშეკავებულ, უბიწო ცხოვრებას ეწევა.

საუბარი მეხუთე

ძენი — ჩინურად ჩანი. გამომდინარეობს სანსკრიტული სიტყვიდან ჯნაიანადან, რაც ნიშნავს აზროვნებას, განჭვრეტას. იგი ქადაგებს ადამიანის აბსოლუტთან შერწყმის შესაძლებლობას მიწიერ ცხოვრებაში.

რამაკრიშნა (1836-1886წწ) — გასხივოსნებული ოსტატი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ინდოეთში.

ვედური სისტემის მიხედვით, ინდური საზოგადოება შემდეგ ფენებად იყოფა: ბრაჰმანი (სასულიერნო პირნი და სწავლულნი), კშატრია (სახელმწიფოს მმართველნი და სამხედრო პირნი), ვაიში (მიწადმოქმედნი და ვაჭრები), შუდრა (მოსამსახურენი და მუშები).

წმინდა ავგუსტინე, ავრელიუსი (354-430წწ) — ქრისტიანი ღვთისმეტყველი და მისტიკოსი.

საუბარი მეექვსე

ადეპტი (ლათ. „მიღწეული") — რომელიმე მოძღვრების მიმდევარი და დამცველი.

ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900წწ) — გერმანელი ფილოსოფოსი, თანამედროვე ირაციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ნიჟინსკი — მე-20-ე საუკუნის გამოჩენილი რუსი მოცეკვავე.

ვედები — ინდუიზმის უძველესი საღმრთო წიგნები. სანსკრ. ცოდნა.

საუბარი მერვე

დერვიში — მოხეტიალე მუსულმანი ბერი. ექსტაზის მასწავლებელი სუფიზმის ტრადიციაში.

კრეშჩენდო (იტალიური) — მუსიკაში უფრო ხმამაღლა, ჟღერადობის გაძლიერება.

ტრანსცენდენცია (ლათ. „ზღვარს გადაცილებული") — ცნობიერების ჩვეულებრივ ფარგლებს გადაცილება.

შივა (სანსკრ. „ნეტარი") — ძველი ინდური ღვთაება.

ჟან პიაჟე (1896-1980) -შვეიცარიელი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი.

საუბარი მეათე

ავატარა (სანსკ) — ღვთაების განსხეულება დედამიწაზე მოსული ადამიანის სახით გარკვეული მისიის შესასრულებლად.

მანტრა — სულიერი ზრდისათვის გამოსაყენებელი განსაკუთრებული სულიერი ძალის მქონე ბგერები, სიტყვები, ჰიმნები.

ალბერტ აინშტაინი (1879-1955)-გერმანელი ფიზიკოსი და გამომგონებელი. ფარდობითობისა და რიგი ფიზიკური თეორიების ავტორი.

საუბარი მეთერთმეტე

თომას ედისონი — მე-20-ე საუკუნის ამერიკელი სწავლული და გამომგონებელი.

ჰერაკლიტე (ძვ.წ. 544-483) — ბერძენი ფილოსოფოსი და დიალექტიკოსი.

არქიმედე (ძვ.წ.287-212 წწ) — ძველი ბერძენი მეცნიერ-ფიზიკოსი და მათემატიკოსი, აღმოაჩინა ჰიდროსტატიკის კანონი, რომელიც მის სახელს ატარებს.

სიდჰა — იოგათი მიღწეული განსაკუთრებული ოკულტური შესაძლებლობა.

ზარატუსტრა (ზოროასტრა) (ძვ.წ. 10-7სს) — წინასწარმეტყველი, ძველი ირანული პარსიზმის დამაარსებელი.

საუბარი მეთორმეტე

კონფუცი — (ძვ.წ.551-479წწ)-ძველი ჩინური ერთ-ერთი იდეური მიმდინარეობის „კონფუციანელობის“ დამაარსებელი.

ბოდჰიდჰარმა — ერთ-ერთი ბუდა, ბუდიზმის გამავრცელებელი ჩინეთში. ძენის დამაარსებელი.

ჩჟუან ძი (ძვ.წ.4-3 სს) — დაოსიზმის რელიგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

სატსანგა (სანსკრ.) — სიკეთესთან კავშირი

საუბარი მეცამეტე

ისთებლიმშენტი (ინგ.) — საზოგადოების მმართველი, პრივილეგირებული ჯგუფები, მმართველობის მთელი სისტემა.

მექა, მედინა, ჭაში, გირნარი — მუსულმან და ინდოელ მორწმუნეთა სალოცავი წმინდა ადგილები.

ანტროპომორფიზმი — ღვთაების ადამიანური სახით გამოხატვა.

საუბარი მეთოთხმეტე

უპანიშადები — „ვედებში“ შემავალი 108 ფილოსოფიური ტრაქტატი.

საუბარი მეთექვსმეტე

სირშასანი — იოგური პრაქტიკა.

საუბარი მეჩვიდმეტე

აშრამი — რელიგიური თემი, ადგილი, სადაც ჰეშმარიტების მაძიებელი ადამიანები ეწევიან სულიერ — შემეცნებით ცხოვრებას.

სამადჰი — სრულყოფილი ექსტაზური მდგომარეობა. აბსოლუტთან შერწყმის მედიტ. მდგომარეობა. ცნობიერების უმაღლესი დონე.

საუბარი მეთვრამეტე

ჩაიტანია მაჰაპრაბჰუ — ინდუიზმის მიხედვით, კრიშნას ერთ-ერთი განსხეულება და ღვთის ერთგული მსახური, რომელიც ცხოვრობდა მე-15 საუკუნის ბოლოს ნავადვიპაში (დასავლეთ ბენგალია)

ცელიბატი — კათოლიკურ ქრისტიანობაში სასულიერო პირთა დაუქორწინებლობა.

საუბარი მეოცე

ჰეგელი (1770–1831) — გერმანელი კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელი.

საუბარი ოცდამეერთე

რუდოლფ ოტო — მე-20-ე საუკუნის გერმანელი მოაზროვნე.

სარჩევი

საუბარი პირველი 3
საუბარი მეორე 33
საუბარი მესამე 63
საუბარი მეოთხე 91
საუბარი მეხუთე 111
საუბარი მეექვსე 139
საუბარი მეშვიდე 166
საუბარი მერვე 185
საუბარი მეცხრე 211
საუბარი მეათე 233
საუბარი მეთერთმეტე 255
საუბარი მეთორმეტე 285
საუბარი მეცამეტე 316
საუბარი მეთოთხმეტე 343
საუბარი მეთხუთმეტე 367
საუბარი მეთექვსმეტე 395
საუბარი მეჩვიდმეტე 418
საუბარი მეთვრამეტე 441
საუბარი მეცხრამეტე 462
საუბარი მეოცე 482
საუბარი ოცდამეერთე 508
განმარტებები 533

რედაქტორი ნანა რობიტაშვილი
კორექტორი ლილი მგელაძე

ფორმატი 84X108 1/32, ქაღალდი ტიპოგრაფიული, ბეჭდვა ოფსეტური.
შეკვეთა №301

ტირაჟი 3500 ეკზ.

ფასი სახელშეკრულებო